

დ. მთიზიში

# ოპერაცია „სიხარონი“



ე. ბეზნა

## მე ვიყავი სიხარონი



გამომცემლობა „საბოთა საქართველო“  
თ ბ ი ლ ი ს ი — 1 9 7 5

ლ. მოიზიში — ოპერაცია „ციცერონი“

ე. ბაზნა — „მე ვიყავი ციცერონი“

წიგნში შეტანილია ნაწარმოებები, რომლებშიც აღწერილია მეორე მსოფლიო ომის წლებში ინგლისისა და ჰიტლერულ დაზვერვათა ბრძოლის ამბები თურქეთში.

ოპერაცია „ციცერონის“ ავტორს — ლ. მოიზიშს მის მიერ აღწერილი მოვლენების დროს გერმანელთა საელჩოს ატაშეს თანამდებობა ეკავა თურქეთში და იმავე დროს ფაშისტური გერმანიის ერთ-ერთი სადაზვერვო სამსახურის თანამშრომელიც იყო. ლ. მოიზიშის ჯაშუშურ მოვალეობაში შედიოდა კავშირის დამყარება აბვერის აგენტთან, მეტსახელად ციცერონთან, რომელიც ლაქიად მსახურობდა ინგლისის ელჩთან თურქეთში.

თუ როგორ გახდა ციცერონი ჰიტლერული დაზვერვის აგენტი, როგორ ახერხებდა იგი მოუპოვებინა მნიშვნელოვანი სამხედრო და პოლიტიკური ინფორმაციები ინგლისისა და აშშ-ის გეგმების შესახებ, მოგვითხრობს ე. ბაზნა თავის წიგნში — „მე ვიყავი ციცერონი“.

ისტორიული მოვლენების გაშუქებისას დაშვებულ ცალკეულ უზუსტობის მიუხედავად, ლ. მოიზიშისა და ე. ბაზნას წიგნები წარმოდგენას გვაძლევენ იმპერიალისტურ დაზვერვათა მოქმედების მეთოდებზე, რაც ძალზე საინტერესოა მკითხველთა ფართო წრისათვის.

თ ა რ გ მ ნ ა ზ უ რ ა ბ ბ რ ი გ ო რ ა შ ვ ი ლ მ ა

ლ. გომიზიძე

ოპერატორი „სინკრონი“



ოპერაცია „ციცერონი“ მართლაცდა ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენაა იმ საიდუმლო და უჩინარ ბრძოლაში, რომელიც არც ერთ წუთს არ წყდებოდა წარსული ომის ექვსი ხანგრძლივი წლის განმავლობაში. ეს ოპერაცია თურქეთში გაჩაღდა 1943 წლის ოქტომბრიდან, ვიდრე 1944 წლის აპრილამდე.

ციცერონი ჯაშუშის მეტსახელია, რომლის ნამდვილი სახელი ვერასოდეს ვერ გავიგე, თუმცა მისი მიზეზით ჩემი ცხოვრების ყველაზე დაძაბული ექვსი თვის განმავლობაში არაერთხელ ვიდექი გაგიჟების საზღვარზე და კინალამ თავიც კი წავაგე.

ის იყო, ყველაფერი ეს დამთავრდა, რომ დაიწყო მესამე რაიხის კოლოსალური კატასტროფა, რომელსაც მოჰყვა მრავალი წლის საშინელი სულიერი დათრგუნვა. მაშინ მეჩვენებოდა, უამრავ ბობოქარ მოვლენაში ჩაკარგული ოპერაცია „ციცერონი“ სამუდამოდ დაიმარხა ისტორიის მატრიანეში-მეთქი. მაგრამ, აი, ახლახან მასზე პრესაში გამოჩნდა სენსაციური ცნობები, რაც ძლიერ ამახინჯებს ნამდვილ ფაქტებს. და რადგანაც, გარდა თვით ციცერონისა, თუკი იგი ცოცხალია (რაც თითქმის დაუჭერებელია), მე აღმოვჩნდი ერთადერთი მოწმე, ვისთვისაც ცნობილია ამ საქმის ყველა წერილობანი, შევეცდები შეძლებისამებრ მიუდგომლად მოგიტხროთ ამ ოპერაციების ამბები. ვამბობ, „მიუდგომლად“-მეთქი, რადგან ხუთი წლის შემდეგაც კი იმდროინდელი მღელვარება და განცდები ისევ ცოცხლობენ ჩემი ჩიხსიერებაში.

როდესაც ოპერაცია „ციცერონი“ დაიწყო, ომი თავის

კულმინაციურ წერტილს უახლოვდებოდა. მოკავშირეები იტალიაში გადმოსხდნენ. რუსები კი ერთი წლის წინ, როცა გერმანელები ვოლგას უახლოვდებოდნენ და ყირიმში შეიჭრნენ, დამარცხების საფრთხის წინაშე იდგნენ, ახლა წარმატებით უტევდნენ. ყოველდღიურად უფრო და უფრო მძაფრი ხდებოდა საპაერო თავდასხმები გერმანიაზე. ჰიტლერის უზარმაზარმა სამხედრო მანქანამ დაშლა დაიწყო. მოკავშირეთა ჯარბი ძალები გადამწყვეტი დარტყმებისათვის ემზადებოდნენ. მესამე რაიხის დღეები დათვლილი იყო. გერმანიის ხელმძღვანელებს არ სურდათ შეეგნოთ შექმნილი მდგომარეობის სრული უიმედობა, თუმცა ოპერაცია „ციცერონმა“ ხელთ მისცა მათ ამომწურავი ცნობები მოწინააღმდეგის ძალებისა და განზრახვათა შესახებ, ცნობები, რომელთა მსგავსიც, საექვოა, სადაზვერვო სამსახურის არხებით მოეპოვებინა რომელიმე სამხედრო ხელმძღვანელს წარსულში.

მსოფლიოს სხვა ქალაქებთან შედარებით ანკარას ის უპირატესობა ჰქონდა, რომ იქიდან ყველაზე კარგად ჩანდა ომის საერთო სურათი. ანკარაში გერმანელთა საელჩოს ატაშე ვიყავი და, ბუნებრივია, სამხედრო დროის დიპლომატიური ინტერესების ცენტრში ვიმყოფებოდი. სამსახურებრივი საქმეების გამო ხშირად მიხდებოდა ჩასვლა სტამბულში—ცხელ, ბობოქარ, მღელვარე ქალაქში, რომელიც იმ დროისათვის ყველაზე დიდი ნეიტრალური ქალაქი იყო დედამიწის ზურგზე.

ანკარის საელჩო გერმანიისათვის იყო სარკმელი გარე სამყაროში და ამიტომ ელჩის თანამდებობა თურქეთში გახლდათ ყველაზე საპასუხისმგებლო იმ თანამდებობიდან, რომელიც შეეძლო შეეთავაზებინა მესამე რაიხის დიპლომატიურ სამსახურს. ამის შესახებ დამაჯერებლად მეტყველებს გერმანიის ყოფილი კანცლერის ფრანც ფონ პაპენის<sup>1</sup> დანიშვნა ელჩად. ეს თანამდებობა სრულიადაც არ იყო „სინეკურა“<sup>2</sup> და

<sup>1</sup> ფ რ ა ნ ც ფ ო ნ პ ა პ ე ნ ი — რამდენიმე თვის განმავლობაში 1932 წელს იყო გერმანიის კანცლერი.

<sup>2</sup> ს ი ნ ე კ უ რ ა (ლათ.)—კარგად ანაზღაურებული თანამდებობა, რომელიც არავითარ შრომას არ მოითხოვს.

საქმის წარმატებისათვის საჭირო გახლდათ მნიშვნელოვანი პოლიტიკური პიროვნება.

ინტერესს მოკლებული არ იქნებოდა აქვე აღვენიშნა, რომ ანკარაში გერმანელთა საელჩოს პირველი მდივნის თანამდებობა ეჭირა ენკეს, რომელიც ასე უშუალოდ დაკავშირებული იყო ოპერაციასთან. სხვათა შორის მისი მომხიბლავი, მაგრამ პატივმოყვარე ცოლი რიბენტროპის და-გახლდათ. მათი ყოფნა ანკარაში საეჭვოა შემთხვევითად ჩაითვალოს.

ინგლისის ელჩად თურქეთში იყო სერ ჰიუ ნეტჩულ-ჰიუგესენი — ფრჩად შესანიშნავი პიროვნება. მე მინახავს იგი ბევრ ოფიციალურ დარბაზობაზე, მაგრამ ერთხელაც არ მისაუბრია მასთან პირადად. ეჭვგარეშეა, იგი თურქების დიდი პატივისცემით სარგებლობდა და ჭეშმარიტად თავისი დროის ერთ-ერთი ყველაზე უფრო ნიჭიერი და კეთილსინდისიერი ელჩი იყო. შემთხვევამ მარგუნა შესაძლებლობა შემესწავლა ინგლისის საელჩოს დოკუმენტების დიდი რაოდენობა. მათგან, მეტწილზე, გრიფით „სრულიად საიდუმლოდ“ სერ ჰიუ ნეტჩულ-ჰიუგესენის მიერ საკუთარი ხელით გულმოდგინედ, აუჩქარებლად და აკურატულად იყო ჩაწერილი შენიშვნები, ახსნა-განმარტებანი და კომენტარები, რომელთა მიხედვითაც შეიძლებოდა გემსჯელათ მისი ხასიათის პედანტურობის შესახებ. მაგონდება, თუ როგორი აღტაცებული ვიყავით ფონ პაპენი. ენკე და მე ამ საიდუმლო დოკუმენტების გადათვალიერებისას. გვაოცებდა სერ ჰიუს პირადი მოხსენებების მაღალი პროფესიული ღირსება. დოკუმენტები დაწერილი იყო განსაკუთრებული მეტყველი სტილით და არ შეიცავდნენ არაფერ ზედმეტს.

1943 წლის ადრიან შემოდგომაზე მოხდა ერთი პატარა ინციდენტი, რომელიც რეტროსპექტულ გეგმაში შემდგომ მოვლენათა საწყის პუნქტად შეიძლება ჩაითვალოს, რადგანაც, ჩემი აზრით, იგი ოპერაციის დასაწყისი გახდა.

სამსახურებრივი მოვალეობის გამო ერთხელ მე ვესწრებოდი მეტისმეტად მოსაწყენ სადილს იაპონიის საელჩოში. როდესაც საუბრის ჩვეულებრივი თემები ამოიწურა, ერთ-ერთმა მანდილოსანმა ხელზე მკითხაობა დაიწყო. მეც მიმკითხავა და რადგან ეს მანდილოსანი საქმეთა რწმუნებუ-

ლის ცოლი გახლდათ, მე კი მხოლოდ და მხოლოდ ატაშე, არ  
იყო საჭირო მიმეხვედრებინა, რომ ხუმრობად ვიღებდი ქირო-  
მანტიაში მის ვარჯიშებს. მე თავაზიანად უნდა გამედიშა. ჩემს  
ხელზე დაკვირვების შემდეგ მან გამოაცხადა, დიდი მღელვა-  
რება და უსიამოვნებანი მოგელისო. გავიფიქრე, დაძაბულ  
საერთაშორისო მდგომარეობასა და ჩვენს მძიმე ვითარებაში  
არ არის ძნელი ასეთ უბრალო რამეზე წინასწარმეტყველება-  
მეთქი, მან ასევე მიწინასწარმეტყველა ხანგრძლივი სიცოცხ-  
ლე, მაგრამ ესეც კი იმ გარემოებაში არ მეჩვენებოდა ნათელ  
პერსპექტივად. როგორც კი ნება დამრთო ზრდილობის წე-  
სებმა, სადილიდან წამოვედი და გავემართე საელჩოს ბალისა-  
კენ, სადაც ჩემი მანქანა დავტოვე. მანქანაში ჩაჯდომისას.  
აღბათ, ძლიერ მივაჯახუნე კარი, ერთ-ერთი მინა გატყდა და  
მისი ნამსხვრევები წკრიალით ჩამოცვივდა მანქანაში. „მკით-  
ხავის“ წინასწარმეტყველებამ თითქოსდა ახდენა დაიწყო.

ცრუმორწმუნე როდი ვარ, მაგრამ შინ ნელა და ფრთხი-  
ლად მივდიოდი, რათა ბედს არ ემტყუნა. ძილის წინ, ჩვეუ-  
ლებისამებრ, შევედი საბავშვო ოთახში ჩემი პატარა ვაჟის  
სანახავად, მას სიცხე ჰქონდა. საბედნიეროდ, არაფერი ჰქონ-  
და სერიოზული და ამ ორი მოვლენის დამთხვევის უსიამოვნო  
გრძნობა დილისათვის თითქმის გაქრა.

მაგრამ არც მომდევნო დღეს ჩაუვლია მღელვარების გა-  
რეშე. და თუმცა ბედი მხოლოდ და მხოლოდ ჩემს მდივანს  
არ წყალობდა, ამ შემთხვევის შედეგები ჩემთვისაც ფრიად  
ავბედითი აღმოჩნდა. მის ნამდვილ სახელს არ დავასახელებ,  
რადგან ის ქალიშვილი კარგ კაცს მისთხოვდა და ახლა ბედნი-  
ერად ცხოვრობს სადღაც გერმანიაში. თუმცა საელჩოში მას  
ნამდვილი სახელის მაგიერ ყველა შნურხენს ეძახდა მისი საყ-  
ვარელი ანდაზის „Am Schnürchen-ის“ გამო<sup>1</sup>. ეს მეტსახელი,  
რასაკვირველია, მის სამუშაოს ეკუთვნოდა. შრომისმოყვარე,  
მოკრძალებული, გულმოდგინე და ლოიალური, იგი მდივნის  
ბრწყინვალე ტიპი გახლდათ. როდესაც შნურხენი შვებულე-  
ბაში მიდიოდა, ან ავად ხდებოდა, რაც იშვიათი შემთხვევა

<sup>1</sup> ზუსტად ნიშნავს ისეთ ადამიანს, ყველაფერი მოწესრიგებული რომ  
აქვს—ჩინებულს, მის სამუშევარს წუნს რომ ვერ დასდებ.



გახლდათ, ნათლად ვრწმუნდებოდი, რომ უმისოდ არაფრად ვვარგოდი. შნურხენი იყო არა მარტო საუკეთესო მდივანი, არამედ მთელი ჩვენი სამუშაო პროცესის განუყოფელი ნაწილი.

და, აი, იმ დილით შნურხენმა სამსახურებრივი სეიფის მძიმე კარების დაკეტვისას ცერი მოიწეწა. საბრალო ქალიშვილი ნახევრად გულშეღონებული იყო, როცა ექიმის მოსაყვანად გავიქეცი. ორიოდ დღის შემდეგ ტკივილი გაუყუჩდა და შნურხენს ისევ შეეძლო შედგომოდა თავისი მოვალეობის შესრულებას, თუმცა ჯერ კიდევ უჭირდა მანქანაზე ბეჭდვა.

შნურხენს ახლა, ალბათ, უკვე დავიწყებული ექნება ყველაფერი ის, ზაც მაშინ მოხდა და მაპატიებს, თუ მის ქრილობას სულ უმნიშვნელოს ვუწოდებ. მაგრამ მაშინ სრულიადაც არ მცხელოდა ხუმრობისათვის, აბა, საიდან მეცოდინებოდა, რომ სწორედ ეს პატარა შემთხვევა იქნებოდა ჩემთვის არასასიამოვნო მოვლენათა ჯაჭვის პირველი რგოლი.

მეორე რგოლი იყო შნურხენისათვის ისეთი თანაშემწის მოწვევა, რომელსაც შეეძლებოდა მანქანაზე ბეჭდვა. ჯე გაჩნდა ვინმე ელისაბედი, რომელიც შემდგომ მკიდროდ იყო დაკავშირებული ოპერაცია „ციცერონთან“ მის ყველაზე მწვავე პერიოდში.

ისიც უნდა ვთქვა, რომ ამ ქალიშვილის ნამდვილი სახელი ელისაბედი არ ყოფილა. მე არ ვიცი, ცოცხალია ამჟამად იგი თუ არა და რა დაემართა იმ საშინელი დღის შემდეგ. მაგრამ მისი ოჯახის პატივისცემისათვის არ დავასახელებ ნამდვილ სახელსა და გვარს.

მე, როგორც ყველა ადამიანს, ცხოვრებაში მქონდა შეცდომები. როდესაც შემდგომ აუჩქარებლად ანალიზს გაუკეთებ წარსულ მოვლენებს, ნათლად რწმუნდები, რომ ბევრი მოვლენის ცუდი ფინალი საკუთარი შეცდომის ბრალია, ალბათ, თვით იყავი დამნაშავე. ამ კონკრეტულ შემთხვევაში ჩემი შეცდომა ის იყო, რომ ვენდე ადამიანს, რომელიც ამას არ იმსახურებდა. ელისაბედმა მომატყუა, და ძლიერ მკვიანურადაც გააკეთა ეს. იგი დიდხანს ეწეოდა ჩვენთან ღრმა ფსიქოლოგიურ თამაშს, ამიტომ ძლიერ გვიან მივხვდი, რომ საშინლად ვეზიზღებოდი.

1943 წლის სექტემბრის დამდეგს, შნურხენის ინციდენტის შემდეგ, მალე ბერლინში გაეფრინდი. მთელი მგზავრობა სახითათო იყო. შავ ზღვაზე ჩვენს თვითმფრინავს ყუმბარები დაუშინეს—მთელი ომის განმავლობაში ეს იყო პირველი საბრძოლო შემთხვევა. და მხოლოდ რაღაც სასწაულით გადავრჩით ყველანი.

ბერლინში მეტად ცუდი ვითარება იქმნებოდა. შეხვედრა, რომელიც აეროდრომზე მოგვიწყვეს, ისეთივე ცივი იყო, როგორი ამინდიც იდგა ევროპაში. სწორედ მაშინ დაიწყო ინგლის-ამერიკის ჯარების გადმოსხმა სიცილიაში და მნიშვნელოვნად გართულდა მდგომარეობა აღმოსავლეთ ფრონტზე. ყველაფერი ეს განსაზღვრავდა განწყობილებას ვილჰელმ-შტრაისზე. საგარეო საქმეთა სამინისტროს მოხელეებმა მე და ჩემს კოლეგებს — წვევამდელი ასაკის ყმაწვილებს — გამოგვიცხადეს, თქვენი საქმიანობა უსარგებლოა, თქვენზე ამაოდ იხარჯება დეფიციტური უცხოური ვალუტა და მალე ყველას ფრონტზე გაგზავნიანო. ჩვენ, ისევე როგორც სხვა საზღვარგარეთულ გერმანულ მისიებს, ბრალს გვდებდნენ, დროულად ვერ გაიგეთ მოკავშირეთა განზრახვა აფრიკაში ჯარების გადმოსხმის შესახებ, და კიდევ სხვა მრავალი მოვლენა, რომელმაც იტალია კატასტროფამდე მიიყვანაო. რამდენადაც ჩვენ ვერ შევძელით აუცილებელი ინფორმაციების შეგროვება, ბერლინელი მოხელეები ერთხმად გვეუბნებოდნენ, მზად იყავით უახლოეს დროში საელჩოს რბილი სავარძლების აღმოსავლეთ ფრონტის ნაკლებად კომფორტაბელურ ავეჯზე გასაცვლელადო.

მხოლოდ ჩემი გამომგზავრების წინ, ალბათ, უფრო იმისათვის, რომ გავემხნევებინე და ოპტიმიზმი ჩაგვენერგა თურქებისათვის, მიაშბეს საიდუმლო იარაღის ახალი ნიმუშებისა და სხვა საოცარი საშუალებების შესახებ, რომლებსაც უახლოეს მომავალში უნდა აღედგინათ მესამე რაიხის არასახარბიელო მდგომარეობა.

ბერლინიდან დაბრუნებისას კარგად მესმოდა, რომ ეს ახალი ამბები ვერ შეძლებდნენ მოეხდინათ საქირო შთაბეჭდილება თურქებზე. თითქმის დარწმუნებული ვიყავი, დიდხანს დარჩენა არ მომიხდებოდა თურქეთში. მე, რასაკვირველია,

არ შემეძლო გამეთვალისწინებინა, რომ რამდენიმე კვირის შემდეგ კვლავ ბერლინში დაბრუნება მომიწევდა, ახლა უკვე უმნიშვნელოვანესი დოკუმენტებით სავსე პორტფელით.

ოპერაცია „ციცერონი“. ჩემი ანკარაში დაბრუნებიდან რამდენიმე კვირის შემდეგ დაიწყო. გარდა ამისა, მოხდა კიდევ ერთი შემთხვევა, რომელიც მოხსენიების ღირსია. აქ ლაპარაკი ეხება ორ ადამიანს, რომლებსაც, როგორც მე დასაწყისში მეჩვენებოდა, არავითარი ურთიერთობა არ ჰქონდათ „ციცერონის“ ოპერაციასთან. მათ, უფრო სწორად, ერთ-ერთ მათგანს, არაპირდაპირ მოუხდა ეთამაშა გადამწყვეტი როლი ამ ოპერაციის დასკვნითს ეტაპზე.

მე დამავიწყდა მათი სახელები, რადგანაც მას შემდეგ მრავალმა წელმა განვლო. მაგრამ ეს იმდენად მნიშვნელოვანი როდია. მე მათ ვუწოდებ ჰანსსა და ფრიცს. ისინი დაახლოებით 25 წლის ასაკის გერმანელი მფრინავეები იყვნენ. ერთ-ერთ მათგანს საკმაოდ მიმზიდველი გარეგნობა ჰქონდა, ხოლო მეორის სახე იმდენად არაგამომეტყველი იყო, რომ ალარ დამამახსოვრდა. იმ დროს, რომლის შესახებაც მე მოგახსენებთ, მათ თურქეთში მხოლოდ რამდენიმე თვე დაჰყვეს: ამბობდნენ, თურქეთის სანაპიროს მახლობლად ისინი ძლივს გადმოხტდნენ პარაშუტით შავ ზღვაზე რუსეთის მრავალრიცხოვან გამანადგურებლებთან წარუმატებელი ბრძოლის შემდეგო. ნეიტრალურ ტერიტორიაზე ისინი, საერთაშორისო წესების შესაბამისად, ინტერნირებულ იქნენ. მაგრამ არა ეკლიანი მავთულის მიღმა. თურქები მათ ისევე ეპყრობოდნენ, როგორც სხვა ქვეყნების სამხედრო მოსამსახურეებს, რაც თურქთა მხრივ დიდი სულგრძელობა იყო, აზინავედნენ ანკარის კომფორტაბელურ სასტუმროებში, ამასთან ნება ჰქონდათ მთელი დღით წასვლისა პატიოსანი სიტყვით. ერთადერთი შეზღუდვა იყო სასტუმროში ღამით აუცილებლად უნდა დაბრუნებულიყვნენ.

კარგად მახსოვს, თუ რაოდენ გულთბილად მიიღეს ჰანსი და ფრიცი ანკარის გერმანულ კოლონიაში. რამდენიმე კვირის განმავლობაში მათ ყველგან იწვევდნენ სტუმრად, დაეხმარნენ კარგი სამოქალაქო კოსტიუმების შექენაში და გულუხვად გამოუყვეს ჯიბის ფული. მახსოვს ამ ყმაწვილების მე-

ტისმეტად პატრიოტული გამოთქმები. ჰანსი და ფრიცი უამბობდნენ ყველას, ვინც კი თანახმა იყო მოესმინა მათთვის, სამშობლოში გაქცევისა და ფრონტზე სწრაფად დაბრუნების გეგმებს, ყოველ შემთხვევაში, ისინი ასე ლაპარაკობდნენ.

როდესაც ამ ხმებმა ჩვენს საელჩომდე მოაღწია, ვალდებულად ჩავთვალეთ თავი გაგვეფრთხილებინა ისინი ხელი აეღოთ გაქცევაზე, ავუხსენით, რომ ამით დაარღვევდნენ პატიოსან სიტყვას და მისცემდნენ იმ პრივილეგიათა გაუქმების საბაბს, რომლითაც სარგებლობდნენ თურქეთში ღერძის ქვეყნების ინტერნირებული სამხედრო მოსამსახურენი. მაგრამ ჩვენი შიში ამაო აღმოჩნდა. ისინი ანკარაში ჩინებულად გრძნობდნენ თავს. მცირეოდენი მონაცემების მიხედვით, იმ დღეებში ჰანსისა და ფრიცის შესახებ დავასკვნენ, მათ მიერ ასე ხშირად გამოთქმული გმირული სიკვდილის სურვილი ძირითადად გათვალისწინებულია ანკარის გერმანული კოლონიის გაუთხოვარი ქალების მოსახიბლავად-მეთქი. თურქეთის დედაქალაქში ჰანსსა და ფრიცს, წარსულში მათი დამსახურების აღსანიშნავად, წვეულებებსა და დარბაზობებს უმართავდნენ.

მაგრამ ბოლოს და ბოლოს როგორღაც წარმოიშვა ექვი შავ ზღვაზე საპაერო ბრძოლის შესახებ. ბევრმა მოისმინა ეს ამბავი და ბოლოს შეამჩნიეს რაღაც წინააღმდეგობანი მათ ნაამბობში. ამან კი წააქეზა ზოგიერთი გაეგზავნა შეკითხვა ჰანსისა და ფრიცის ესკადრილიაში, რომელიც ჯერ ისევ ყირიმში იმყოფებოდა. შემთხვევით — თუმცა ვერ ვიტან ამ სიტყვას, როდესაც გაკვრით ვლაპარაკობ რაიმეს თუნდაც ოპერაციასთან დაკავშირებით, — პირველი ოფიციალური შეკითხვა სადღაც გზაში დაიკარგა. მან ანკარიდან ბერლინის გავლით ყირიმამდე ვერ მიაღწია. ცოტა ხნის შემდეგ მეორე შეკითხვა გაგზავნეს. მაგრამ შესაკითხმა ორგანოებმა პასუხის გამოგზავნაში გასაოცარი აუჩქარებლობა გამოიჩინეს. და, როდესაც იგი, ბოლოს და ბოლოს, მოვიდა, არ შეიცავდა ჩვენთვის რაიმე ახალს, უკვე ვიცოდით, რომ ჰანსი და ფრიცი უბრალოდ დეზერტირები იყვნენ და სანამ ანკარის გერმანული კოლონია მათ ზეიმს უმართავდა, ისინი ფულს ინგლისის სა-

დაზვერვო სამსახურიდან იღებდნენ. მაინცდამაინც არ გაგვიკვირვებია, როცა გავიგეთ, რომ დიდმნიშვნელოვანი საპა-ერო ბრძოლა შვე ზღვაზე, რომლის გამო მათ ბევრი ქალის გული დაიპყრეს, მათი გამოგონილი იყო. ავიაციის სარდლობამ გვაცნობა, ამა და ამ რიცხვში ყირიმის ერთ-ერთი აეროდრომიდან საცდელ გაფრენაზე ჰაერში ავიდა თვითმფრინავი, რომლის ქიმზე ორი მფრინავი იმყოფებოდა. მას შემდეგ ეს თვითმფრინავი აღარავის უნახავსო.

ასეთია ძირითადი ცნობები ოპერაციაში ჩაბმულ პიროვნებათა შესახებ. ორ დეზერტირზე ლაპარაკისას, მე რამდენადმე გავუსწარი მოვლენებს, რადგან ისინი საბოლოოდ გამოაშკარავებულ იქნენ 1943 წლის 26 ოქტომბრის ღირსსახსოვარი ღამის მხოლოდ რამდენიმე თვის შემდეგ. მე მაშინ პირველად შეეხვდი ციცერონს. მაგრამ ციცერონის გამოჩენის მომენტიდან ამბები ისე სწრაფად განვითარდა, რომ აღარ ღირს მოვცდეთ ციცერონთან შედარებით ისეთი უმნიშვნელო პერსონაჟების საქმიანობის აღსაწერად, როგორებიც ჰანსი და ფრიცი არიან, ანდა ამ დრამის ყველა სხვა მონაწილე, ელისაბედის გარდა.

იმ წელს ანკარაში მეტად საამური შემოდგომა იდგა. ზაფხული ჩვეულებრივზე ცხელი იყო, მაგრამ ოქტომბრის დამდეგისათვის უკვე სასიამოვნო და დიდებული ამინდი დაიჭირა. ყოველდღე ანათებდა მზე და მოჰქონდათ იმდენივე სიხარული, რამდენიც ანატოლიის ვრცელი დაბლობის თავზე გადაშლილ მშვიდ ლაჟვარდოვან ცას. გეგონებოდათ, სამყაროში სრული სიწყნარე სუფევსო.

ჩემთვის 26 ოქტომბერი არაფრით განსხვავდებოდა სხვა დღეებისაგან. ამ დღეს სხვადასხვა საქმეებით ვიყავით გართული, რაც, ჩვეულებრივ, ჩემს მოვალეობას შეადგენდა. საელჩოდან ადრე წამოსულს, რასაკვირველია, ფიქრადაც არ მომსვლია, რომ საღამოთი მთელი ჩემი ცხოვრება სრულიად სხვაგვარი კალაპოტით წარიმართებოდა.

იმ ღამით ადრე დაძინება გადავწყვიტე. ცოტა ხანს ვკითხულობდი. მერე შუქი გამოვრთე და ღრმად ჩამეძინა. ტელეფონის ზარმა გამომალვიძა.

ჩემი ბინის ტელეფონი უკვე რამდენიმე დღე იყო, რაც არ მუშაობდა და ეს მრავალ უხერხულობას მიქმნიდა. სწორედ ძილის წინ-მე და ჩემი ცოლი ვწუხდით, ტელეფონი-ისევე არ მუშაობსო. აშიტომ, ამ დაჯინებული ზარის გაგონებისას, ძლიერ არ გავბრაზებულვარ, რაც აუცილებლად მოხდებოდა, ტელეფონი დაზიანებული რომ არ ყოფილიყო.

შემდგომში ხშირად მიფიქრია, თუ როგორ განვითარდებოდა ოპერაცია, და იმ დასკვნამდე მივსულვარ, რომ საერთოდ ხომ შეიძლებოდა ეს ყველაფერი არ მომხდარიყო, ანკარის სატელეფონო სამსახურს ხაზი რამდენიმე საათით გვიან

რომ შეეკეთებინა ანდა იმ ღამით ჩემთან დაკავშირება არ მოხერხებულყო.

ნახევრად მძინარემ ავიღე ყურმილი. ლაპარაკობდა ფრაჯენკე, საელჩოს პირველი მდივნის ცოლი. მის ხმაში დაჟინება და მღვლეარება ისმოდა.

— თუ შეიძლება, გეთაყვა, ახლავე მობრძანდით ჩემთან ბინაში. ჩემს ქმარს თქვენი ნახვა სურს!

ვუპასუხე, უკვე დავწეკი დასაძინებლად-მეთქი, მაგრამ მაინც დავინტერესდი, თუ რა მოხდა; ფრაუ ენკემ შემაწყვეტინა:

— გადაუდებელი საქმეა. გთხოვთ, დაუყოვნებლივ მობრძანდეთ!

ჩემს ცოლსაც გაეღვიძა. სანამ ვიცვამდი, სხვადასხვა მოსაზრებებს გამოვთქვამდი, თუ რა დავალება მელოდა. შესაძლოა, ისევ რაიმე ახირებული მოწერილობა იყო ბერლინიდან — ასეთი რამ წინათაც ხშირად მომხდარა. სახლიდან გამოსვლისას საათს დავხედე: თერთმეტის ნახევარი იყო.

რამდენიმე წუთის შემდეგ მანქანა გაჩერდა საელჩოს მთავარ შენობასთან, რომელიც ძველი გერმანული სტილით იყო აშენებული და რამდენიმე ცალკეული კოტეჯისაგან შედგებოდა, სწორედ ამიტომ უწოდეს თურქებმა საელჩოს „ალმანქოი“, რაც „გერმანულ სოფელს“ ნიშნავს. ნამძინარევემა მეკარე თურქმა გააღო დიდი რკინის კარები. რამდენიმე ნაბიჯის გავლის შემდეგ მე ცოლ-ქმარ ენკეს ბინასთან აღმოვჩნდი. ზარის დარეკვისთანავე კარი თვით ფრაუ ენკემ გაძილა და ბოდიში მოიხადა შეწუხებისათვის:

— ჩემი ქმარი უკვე დაწვა დასაძინებლად, მაგრამ მას სურს, დილით ადრე გნახოთო. — შემდეგ მიმითითა სასტუმრო ოთახის კარისაკენ. — იქ ზის ვიღაც ძალზე უცნაური პიროვნება, რომელსაც რაღაცის მოყიდვა სურს. გთხოვთ ესაუბროთ მას და გამოარკვიოთ, რაშია საქმე. როდესაც წახვალთ, არ დაივიწყოთ შემოსასვლელი კარის დაკეტვა. მოსამსახურეები დასაძინებლად გავგზავნე.

ფრაუ ენკე გავიდა, მე კი, დარბაზში მარტოდ დარჩენილმა, დავიწყე ფიქრი, შედის თუ არა ატაშეს მოვალეობაში გვიან ღამით აწარმოოს მოლაპარაკება „უცნაურ პიროვნებას-

თან“-მეთქი. ყოველ შემთხვევაში, გადაეწყვიტე! რაც შეიძლება სწრაფად დამემთავრებინა ეს საუბარი.

შევადი სასტუმრო ოთახში. მძიმე ფარდები ჩამოშვებულ იყო. კარგად მოწყობილ დიდ ოთახს მხოლოდ ორი მაგიდის ლამპა ანათებდა. ამიტომ ბინა უფრო კომფორტებულური გეჩვენებოდათ, ვიდრე სინამდვილეში იყო.

ერთ-ერთი ლამპის მახლობლად ღრმა სავარძელში კაცი იჯდა. სახე არ მოუჩანდა. იგი უმოძრაოდ იყო და მძინარე გეგონებოდათ. წამოდგომისას შიშნარევი ხმით ფრანგულად მომმართა:

— თქვენ ვინა ხართ?

ვუთხარი, ენკემ დამავალა, თქვენთან მესაუბრა-მეთქი. აშენად იმისა, რომ გავიგეო, თავი დამიქნია. მაგიდის ლამპის სინათლით კარგად გაშუქებული მისი სახის გამომეტყველების მიხედვით მივხვდი, რომ დიდი შვება იგრძნო.

შესახედაობით ორმოცდაათ წელზე მეტს მისცემდით. ხშირი შავი თმა მაღალი შუბლიდან კეფაზე ჰქონდა გადავარცხნილი, ხოლო მუქი თვალები მუდამ მოუსვენრად გაუბოდნენ კარისაკენ. ჰქონდა კარგად მოხაზული ნიკაპი და პატარა უფორმო ცხვირი. საერთოდ, არცთუ ისე სანდომიანი სახის პატრონი გახლდათ. მოგვიანებით, როდესაც ახლოს გავიცანინი, ხშირად ვფიქრობდი, ამ ადამიანის სახე ჰგავს ჯამბაზის უგრიმო სახეს, რომელიც მიჩვეულია დამალოს თავისი ჭეშმარიტი გრძნობები-მეთქი.

ერთი წუთის განმავლობაში, რომელიც ძლიერ ხანგრძლივი მომეჩვენა, მდუმარედ ვათვალისწინებდით ერთმანეთს.

„ნეტავ ვინ არის იგი? — ვთქვი გუნებაში. — რასაკვირველია, დიპლომატიური კორპუსის წევრი არ იქნება“.

დავჯექი და ვანიშნე ისიც დამჭდარიყო. მაგრამ ამის ნაცვლად ფეხაკრებით მიუახლოვდა კარს და-სწრაფად გააღო. შემდეგ კი წყნარად მიხურა. უკან დაბრუნებისას შვებით ჩაეშვა სავარძელში. ამ მომენტში ნამდვილად უცნაურ ადამიანად მომეჩვენა.

ენის ბორძიკით ჩიქორთული ფრანგულით ალაპარაკდა:

— მე თქვენთვის წინადადება მაქვს — წინადადება გერმა-



ნელებისათვის... ოღონდ ვიდრე ვიტყვი, თუ რაშია საქმე, გთხოვთ მომცეთ პატიოსანი სიტყვა, მიუხედავად იმისა, მიიღებთ თუ არა ამ წინადადებას, თქვენ არასდროს არვის უამბობთ ამ ამბავს, გარდა თქვენი უფროსისა. ყოველგვარი ლაყბობა შეიძლება სიცოცხლის ფასად დაგვიჯდეს თქვენც და მეც. ყოველ შემთხვევაში, ამაზე მე ვიზრუნებ, თუნდაც ეს იყოს უკანასკნელი საქმე ჩემს სიცოცხლეში. — და მან ძალზე უსიამოდ, მაგრამ კარგად გასაგებად გამოისვა ყელში ხელი. — მაძლევთ პატიოსან სიტყვას?

— რასაკვირველია. მე რომ არ ვიცოდე საიდუმლოებთა შენახვა, ამჟამად აქ არ ვიქნებოდი. თუ შეიძლება, გეთაყვა, ამიხსენით, რა გნებავთ?

მოუთმენლად დავხედე ჩემს მაჯის საათს. მაშინვე მიმიხვდა.

— თქვენ იმწამსვე იპოვით საჭირო დროს, როგორც კი საქმის ვითარებას შეიტყობთ და გაიგებთ, თუ რატომ მოვედი აქ. ჩემი წინადადება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია თქვენი მთავრობისათვის. მე...— მას ენა დაება.

ჩემთვის მნიშვნელოვანი იყო იმის გაგება, ეს შეფერხება: ფრანგულ ენაზე ლაპარაკის სიძნელით იყო გამოწვეული, თუ მას სურდა ენახა, როგორ ზემოქმედებას მოახდენდა ჩემზე.

— შემიძლია გადმოგცეთ მეტად მნიშვნელოვანი დოკუმენტები, ფრიად საიდუმლო ყველა იმათათგან, რომლებიც კი არსებობენ.

ოტაოდენი დუმილის შემდეგ დაუმატა:

— მათი წყაროა ინგლისის საელჩო, რას იტყვით? ეს თქვენ, რასაკვირველია, გაინტერესებთ, ასე არ არის?

ეცდილობდი გულგრილად მომეჩვენებინა თავი. პირველად ვიფიქრე, რომ იგი წვრილფეხა გაიძვერაა, რომელიც კარგ გამორჩენას ეძებს-მეთქი. მასთან ფრთხილად უნდა ვყოფილიყავი. უცნობმა, თითქოს ჩემი აზრის დასადასტურებლად, მითხრა:

— მაგრამ მე მოვითხოვ ფულს ამ დოკუმენტებისათვის— ძალიან ბევრ ფულს. ჩემი სამუშაო ძალზე სახიფათოა, თქვენც კარგად იცით, მე რომ დავეჭვარე...

მან ისევ ყელში გამოისვა ხელი, მაგრამ ახლა ეს ჟესტი ჩემთვის როდი იყო განკუთვნილი.

—თქვენ გაქვთ განსაკუთრებული ფონდები ამის მსგავსი „საყიდელისათვის“, ასეა ხომ? ანდა, შესაძლოა, ისინი მოეპოვება თქვენს ელჩს? ყოველ შემთხვევაში, თქვენი მთავრობა უზრუნველყოფთ ამ სახსრებით. მე ამ დოკუმენტებში ოცი ათასი გირვანქა — ინგლისური გირვანქა სტერლინგი მინდა.

—სისულელეა, — ვუთხარი მე, — ამაზე ლაპარაკიც კი არ შეიძლება. ჩვენ არ გავგაჩნია აქ ასეთი დიდი თანხები. უნდა გქონდეს რაღაც განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი, ასეთი დიდი ფასი რომ დაასახელო, გარდა ამისა, ჯერ უნდა ვნახო ეს დოკუმენტები. თანა გაქვთ?

უცნობი სავარძელში გადაწვა, მისი სახე ისევ სიბნელეში ჩაიძირა. ჩემი თვალები უკვე მიეჩვივნენ ბინდებუნდს და მის უსანდომო სახეზე შევნიშნე უპირატესობის ღიმილი. არ ვიცოდი, რა მეფიქრა. ბოლოს და ბოლოს მე აბსოლუტურად არაფერი ვიცოდი ამ ადამიანის შესახებ, გარდა იმისა, რომ მან მოითხოვა ძალზე დიდი თანხა დოკუმენტებში, რომლებიც თითქოსდა ინგლისის საელჩოდან ჰქონდა. ვდუმდი. მალე ისევ ალაპარაკდა:

— მე სულელი როდი ვარ. ამ საქმეს წლები შეეწირე. კარგად ავწონ-დავწონე საქმის ყოველი მხარე. ახლა დადგა მოქმედების დრო. ჩემი პირობები თქვენთვის ცნობილია. თუ თქვენ დამეთანხმებით — ძალიან კარგია, თუ არადა...

უცნობმა წინ წამოიწია, ლამპის შუქმა გაანათა მისი სახე. — თუ არ დამეთანხმდებით, მაშინ მე ამ დოკუმენტს შევთავაზებ მათ.

მარცხენა ხელის ცერი გაიშვირა სქელი ფარდებით დაგმანული ფანჯრისაკენ, უცხოეთის სხვა საელჩოს მიმართულებით. წუთიერი დუმილის შემდეგ სიბრაზისაგან ჩახლეჩილი ხმით განაგრძო:

— მე მძაგს ინგლისელები...

არ მახსოვს, სახელდობრ, რა ვუპასუხე, მაგრამ ამ მომენტში პირველად გამიელვა აზრმა: ვთქვათ და, ეს უცნობი სრულიადაც არ არის თაღლითი? შესაძლოა, ფანატიკოსია? თუმცა ძლიერ ბევრი მოითხოვა.

სიგარეტი შევთავაზე. გამომართვა, მადლობა გადამიხადა, ოამდენჯერმე ღრმად მოქაჩა და ნამწვი გადააგდო.

კართან მიახლოებისას მიაყურა და, რა დარწმუნდა არავინ გვისმენსო, უკანვე გამობრუნდა და პირდაპირ ჩემ წინ დადგა. მეც წამოვდექი.

— გსურთ იცოდეთ, ვინა ვარ, ასეა ხომ? ჩემი სახელი არავისთვის არაა ცნობილი და არავითარი დამოკიდებულება არა აქვს საქმესთან. შესაძლოა, შემდეგ გიამბოთ ჩემი საქმიანობის ამბავი. მაგრამ ჭერ მომისმინეთ. მოფიქრებისათვის გაძლევთ სამ დღეს. თქვენი უფროსის ნახვა მოგიხდებათ, ის კი, ალბათ, ბერლინს დაუკავშირდება. 30 ოქტომბერს დღის სამ საათზე დაგირეკავთ საელჩოში და ვიკითხავ — მიღებულია თუ არა წერილი ჩემს სახელზე. მე თავს ვუწოდებ პიერს. თუ თქვენ მეტყვიით „არა“, მაშინ მეტს ველარ მნახავთ. თუ იტყვიით „დიახ“ — ეს იმის ნიშანი იქნება, რომ ჩემი წინადადება მიღებულია. მაშინ ისევ მოვალ იმავე დღის საღამოს ათ საათზე. მაგრამ აქ არა. ჩვენ უნდა შევთანხმდეთ შეხვედრის სხვა ადგილზე. მაშინ გადმოგცემთ ფოტოფირის ორ ხვეულს, რომლებზეც გადაღებულია ინგლისელთა საიდუმლო დოკუმენტები. მე კი მივიღებ თქვენგან ოცი ათას გირვანქა სტერლინგს ქალაქის ფულით. თქვენ რისკს სწევთ ოცი ათასი გირვანქა სტერლინგით, მე კი — ჩემი სიცოცხლით. თუ დოკუმენტების პირველი პარტია მოწონებულ იქნა, თქვენ მეორეს მიიღებთ. ყოველ შემდგომ ფოტოფირში მოვითხოვ თხუთმეტი ათას გირვანქა სტერლინგს. რას იტყვიით?

მგონი, არ ტყუოდა, ოღონდ დარწმუნებული ვიყავი, ყოველივე ამისგან არაფერი გამოვიდოდა, რადგანაც უცნობმა ძლიერადი გასამრჩელო მოითხოვა. თანაც ჩვენ არ შეგვეძლო გადაგვეხადა ასეთი თანხა, თუ წინდაწინ არ გავსინჯავდით დოკუმენტებს. ვფიქრობდი, რომ ახსნა-განმარტებითს ბარათში, რომლის დაწერაც უეჭველად მომიხდებოდა, განსაკუთრებით ხაზი გამესვა, თუ რა უზარმაზარ რისკს ვწევდით. მჭვი არ მეპარებოდა, რომ წინადადება უარყოფილი იქნებოდა.

მიუხედავად ამისა, შევთანხმდით, რომ იგი დაპირდავდა საელჩოში 30 ოქტომბერს დღის სამ საათზე, და თუ მის წი-

ნადადებას მიიღებდნენ, შევხვედრილიყავით ბალის საინვენტარო ფარდულის მახლობლად, საელჩოს ბალის სიღრმეში. შემდეგ მთხოვა, გამომერთო სინათლე დარბაზსა და კიბეებზე.

ამ თხოვნის შესრულების შემდეგ სადარბაზო ოთახში დავბრუნდი. უცნობმა უკვე ჩაიცვა პალტო და ქუდი დაიხურა; ქუდი თვალებამდე ჩამოეფხატა. შუალამე გადასული იყო. წინ გავუშვი და კარებთან გავჩერდი. უცებ ხელი წამავლო და ყურში ჩამჩურჩულა:

— გინდათ თუ არა იცოდეთ, ვინ ვარ? მე დიდი ბრიტანეთის ელჩის კამერდინერი ვარ.

არ დაუცდია, თუ როგორ მივიღებდი ამ ცნობას, და სიბნელეში გაუჩინარდა.

ასე დამთავრდა ჩემი პირველი შეხვედრა ადამიანთან, რომელსაც რამდენიმე დღის შემდეგ ჩვენ პირობითად მეტსახელი ციცერონი ვუწოდეთ.

გამოვრთე სინათლე სადარბაზო ოთახში და ენკეს სახლიდან გამოვედი.

საელჩოს ბალში შესულმა უნებლიეთ გავიფიქრე, თუ როგორ შეძლო გზის გაგნება სრულიად უცნობ ადგილას. სრულ სიბნელეში ადამიანმა, რომელიც ფრაუ ენკემ „უცნაურ პიროვნებად“ წარმომიდგინა-მეთქი. მანქანა საელჩოს ეზოში გავაჩერე და შინ ფეხით გავემართე. გრილი. ვარსკვლავებიანი ღამე იყო.

შინ ყველას მაგრად ეძინა, მე კი ვერ დავიძინე.

მეორე დღეს დილით თავი მტკიოდა და უგუნებოდ ვიყავი, როგორც ჩვეულებრივ ხდება უძილო ღამის შემდეგ. დღისით, როდესაც ოღნავ დავმშვიდდი, ღამის შეხვედრა უკვე სასაცილოდაც კი მეჩვენებოდა, მზად ვიყავი დავბრუნებოდი ჩემს თავდაპირველ აზრს იმის შესახებ, რომ ეს ადამიანი უბრალოდ თაღლითია, რომელიც ცდილობს გააპამპულოს მიმნდობი გერმანელები-მეთქი. მისი წინადადება სავსებით ფანტასტიკურად მეჩვენებოდა. მაგრამ იქნებ ეს იყო სწორედ ის მასალა, რომელსაც ასე დაყინებით მოითხოვდა ჩვენგან ბერლინი?

აბაზანის მიღებისა და მაგარი ყავის დალევის შემდეგ

თავი უკეთესად ვიგრძენი. მართლაც, მე არ მქონდა აღელვების განსაკუთრებული მიზეზი. ჩემგან ხომ არ მოითხოვდნენ რაიმე გადაწყვეტილების მიღებას, — ეს იყო ელჩის ანდა თვით ბერლინის საქმე. ჩემი ამოცანა გახლდათ მხოლოდ მომესხენებინა ინგლისის ელჩის კამერდინერის წინადადების ამბავი.

იმ დღით სამსახურში ძლიერ ადრე მივედი. ჩემი მდივანი ჯერ არ იყო მოსული და შემეძლო აბსოლუტურად წყნარ ვითარებაში დამეწერა ელჩისათვის ახსნა-განმარტებითი ბარათი. ბარათზე რომ ხელი მოვაწერე, დავიწყე ფიქრი იმის შესახებ, თუ რატომ გამოცხადდა სწორედ ენკესთან იღუმელი კაცი, რომელმაც თავი დიდი ბრიტანეთის ელჩის კამერდინერად წარმომიდგინა. მერე უკვე გამახსენდა ის, რაც ცნობილი იყო მთელი ანკარისათვის: ენკე რიბენტროპის ცოლის ძმა გახლდათ. მაგრამ მალე გავიგე იმ კაცის ვიზიტის ნამდვილი მიზეზი და ამან თითქმის გამიფანტა ექვები, მისი წინადადება სიცრუე რომ მეგონა.

ელჩს რომ ვუცდიდი, ბატონმა ენკემ დამირეკა და მთხოვა, შევსულიყავი მასთან. თურმე ცოლ-ქმარ ენკეს ძალიან მშვიდად ეძინათ.

მაგიდას რომ ვუჯექი, დავრწმუნდი, რომ ენკე მოუთმენლობისაგან ვერ ისვენებდა, სურდა გაეგო წინა ღამის ამბები, მაგრამ ყველანი ვღუმდით, ოთახში მოსამსახურე ქალი იმყოფებოდა. გვეჩვენებოდა, რომ იგი არასდროს წავიდოდა. სანამ იგი დაატარებდა ყავას და ფუნთუშებს, უბრალო საქმეებზე ვლაპარაკობდით.

ენკეს მოუთმენლობა მართობდა — ეს იყო თავისებური შურისძიება ჩემი უძილო ღამისათვის. ბოლოს მოსამსახურე ქალი გავიდა და მიემართე ენკეს ცოლს:

— ამ თქვენმა „უცნაურმა სუბიექტმა“ გასაოცარი წინადადება მომცა.

— ვიცი, — შემაწყვეტინა ენკემ. — თქვენს მოსვლამდე მას რამდენიმე სიტყვა გადაუვლაპარაკე და გადაეწყვიტე; რომ თქვენ ყველაზე შესაფერისი აღამიანი ხართ მოლაპარაკებისათვის. ჩემს მდგომარეობაში უნდა მოერიდო ამგვარ საქმეებს. მისი წინადადება, თავაზიანად რომ გამოვთქვათ,

რამდენადმე უჩვეულოდ მომეჩვენა, მაგრამ ეს სწორედ ის არის, რასაც უნდა აკეთებდნენ ახალგაზრდა ნიჭიერი ატაშეები. როგორც თქვენთვის ცნობილია, დიპლომატიურ სამსახურში მხოლოდ ორ ადამიანს შეუძლია იმუშაოს მშვიდად— ატაშესა და პირველი მდივნის ცოლს. მათ შეუძლიათ გააკეთონ ყველაფერი ის, რაც არ შეიძლება გააკეთოს სხვამ, რასაკვირველია, იმ პირობით, რომ მათ არ დაიჭერენ.

ყველას გაგვეცინა, ხოლო პირველი მდივნის ცოლმა და მე ყავის ჭიქები ერთმანეთს მივეუჭახუნეთ. მერე ენკეს ვუთხარი:

—მაშასადამე, თქვენ შეხვდით ამ ადამიანს. როგორ ფიქრობთ, რატომ ამოვირჩიათ სწორედ თქვენ?

—ჩვენ ერთმანეთს ვიცნობდით, — მითხრა ენკემ. — ექვსი თუ შვიდი წლის წინ, ჯერ კიდევ დიპლომატიურ სამსახურში ჩემს შესვლამდე, იგი რამდენიმე ხანს მუშაობდა ჩვენს სახლში. მას შემდეგ არ მინახავს, ვერაფრით ვერ გავიხსენე მისი სახელი, მაგრამ როდესაც გუშინ საღამოს მოვიდა, ზაინც ვიცანი. ნეტავი რად მოვიდა? ალბათ, ფული სჭირდება.

— დიახ, რასაკვირველია, ფული სჭირდება, — ვთქვი მე, — სურს არც მეტი, არც ნაკლები— ოცი ათასი გირვანქა სტერლინგი!

— რამდენი?! — ერთად წამოიძახა ცოლ-ქმარმა ენკემ. — ოცი ათასი გირვანქა სტერლინგი?!

თანხმობის ნიშნად თავი დავუქნიე, მინდოდა დაწვრილებით შეამბა მათთვის ყველაფერი, რომ ამ დროს დარეკა ტელეფონმა. ენკესთან წასვლამდე მდივანს ვთხოვე მაშინვე დაერეკა ჩემთან. როგორც კი ელჩი მოვიდოდა სამსახურში. ახლა მდივანი მატყობინებდა, ფონ პაპენი მზად არის მიგიღოსო. ენკე და მე ელჩთან წავედით.

პირველ სართულზე ფონ პაპენის კაბინეტში შევედით. ეს იყო უბრალოდ, მაგრამ გემოვნებით მოწყობილი დიდი ოთახი. კედლებზე საუცხოო სურათები ეკიდა. მთლად ჭალარა, მაგრამ ჯერ ისევ ძალზე ლამაზი ელჩი, საწერ მაგიდასთან იჯდა და ჩაშტერებით მიყურებდა თავისი მეტყველი ცისფერი თვალებით.

— აბა, ბატონებო, რა მოხდა?

— წუხელ, — ვთქვი მე, — ბატონ ენკეს სახლში მომიხდა

სრულიად უჩვეულო საუბარი დიდი ბრიტანეთის ელჩის კამერდინერთან.

— ვისთან? — ჩამეკითხა ფონ პაპენი.

მე გავიმეორე და გავუწოდე მას ახსნა-განმარტებითი ბარათი. პაპენმა სათვალე გაიკეთა და კითხვა დაიწყო. წაკითხვისას ელჩი დროდადრო მიყურებდა სათვალის ზემოდან და მაშინ მის სერიოზულ სახეზე მოულოდნელად ცბიერი გამომეტყველება გაიღვებდა ხოლმე.

ახსნა-განმარტებითი ბარათის წაკითხვის შემდეგ პაპენმა იგი საწერი მაგიდის კიდისაკენ გადადო, თითქოსდა მოიშორა მთელი პასუხისმგებლობა. მისი შინაარსის გამო, შემდეგ წამოდგა, მივიდა ფანჯარასთან, გაალო იგი და ისევ მდუმარედ, დაჟინებით დაიწყო ყურება ცისფერი ნისლით მოცული შორეული მთებისაკენ, დაბოლოს, ჩვენკენ შემობრუნდა.

— როგორი კამერდინერები მსახურობენ ჩვენთან საელჩოში?

მე შევხედე ელჩს, შემდეგ კი ენკეს. კრინტი არავის დაუძრავს.

— როგორ მოვიქცეთ, ბატონო ელჩო? — დაბოლოს ვკითხე მე.

— არ ვიცი. ყოველ შემთხვევაში, დასახელებული თანხა მეტად დიდია, რომ ჩვენ თვითონ გადავჭრათ ეს საკითხი. შეადგინეთ დეპეშა ბერლინისათვის და მომიტანეთ. მაშინ ისევ მოვილაპარაკოთ.

წავედი ჩემს კაბინეტში, ხოლო ენკე ელჩთან დარჩა. როდესაც ნახევარი საათის შემდეგ დავბრუნდი, ბატონი ფონ პაპენი მარტო იყო. ხელში ბერლინში გასაგზავნი დეპეშის ტექსტი მეჭირა.

— როგორ ფიქრობთ, რა შეიძლება იმალებოდეს ყოველივე ამის მიღმა? — შემეკითხა ელჩი.

— ვშიშობ, ბატონო ელჩო, ხაფანგი არ დაგვიგონ. თავდაპირველად ისინი, ალბათ, მოგვცემენ რამდენიმე ნამდვილ დოკუმენტს, შემდეგ კი დაიწყებენ პროვოცირებას ყალბი დოკუმენტებით. მაგრამ ვთქვათ, რომ ეს ადამიანი არაა თალღითი და აქ არ არის არავითარი ხაფანგი, შესაძლოა, ჩვენ

მაინც აღმოჩნდეთ არასასიამოვნო მდგომარეობაში. თუ ეს საქმე ოდესმე გამოაშკარავდება.

—როგორი შთაბეჭდილება მოახდინა ამ კაცმა პირადად თქვენზე?

—არცთუ ისე კარგი, ბატონო ელჩო, თუმცა საუბრის დასასრულს უკვე განწყობილი ვიყავი დამეჭვრებინა მისთვის. იგი არცთუ დიდად წესიერი მომეჩვენა. მისი სიძულვილი ინგლისელებისადმი თუ მოჩვენებითი და ხელოვნური არ არის, შესაძლოა, მისი მოქმედების ერთ-ერთი მოტივი იყოს, გარდა აშკარა მისწრაფებისა, გააკეთოს ფულის საკმაოდ დიდი თანხა. საერთოდ, მან არ დატოვა ჩემზე ჩვეულებრივი გაიძვერის შთაბეჭდილება. მაგრამ ყველაფერი ეს მხოლოდ ჩემი ვარაუდია.

—როგორ ფიქრობთ, როგორ მოიქცეოდნენ ინგლისელები, რომელიმე ჩვენს თანამშრომელს რომ მიემართა მათთვის ასეთივე წინადადებით?

—ვფიქრობ, რომ ისინი აუცილებლად მიიღებდნენ მას. ომის დროს არც ერთი ქვეყანა ხელიდან არ გაუშვებს ასეთ წინადადებას. მშვიდობიანობის დროს, ალბათ, უფრო დიპლომატიური იქნებოდა გამოგვეჩინა კეთილშობილება, გვეცნობებინა ყველაფერი დიდი ბრიტანეთის ელჩისათვის და არ ჩავრეულიყავით ამ საქმეში. მაგრამ ომის დროს, ბატონო ელჩო...

ელჩმა მაგიდიდან ჩემ მიერ შედგენილი დეპეშა აიღო და ყურადღებით წაიკითხა. შემდეგ მწვანე ფანქრით (ეს იყო ჩვენი ელჩის ფერი—საელჩოში სხვას არავის არ ჰქონდა უფლება დოკუმენტებზე ხელმოწერისას გამოეყენებინა მწვანე ფანქარი) დეპეშაში შეიტანა რამდენიმე შესწორება. ისევ წაიკითხა ტექსტი და, ბოლოს, ხელი მოაწერა. ქალაქის ფურცელი ახლა ოფიციალური დოკუმენტი გახდა. ფონ პაპენმა გამომიწოდა იგი.

—აბა, ერთხელ კიდევ წაიკითხეთ.

მე წავიკითხე:



## გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრს!

სრულიად საიდუმლოდ

ინგლისის საელჩოს ერთ-ერთმა მოსამსახურემ, რომელიც თავს დიდი ბრიტანეთის ელჩის კამერდინერად ასაღებს, მოგმართა წინადადებით გადმოგვცეს სრულიად საიდუმლო დოკუმენტთა ფოტოფირები. დოკუმენტების პირველ პარტიაში, რომელსაც მოუტანენ 30 ოქტომბერს, იგი მოითხოვს ოცი ათასს გირვანქა სტერლინგს. ფოტოფირის ყოველ შემდგომ ხვეულში საჭირო იქნება თხუთმეტი ათასი გირვანქა სტერლინგის გადახდა.

გთხოვთ თქვენს მითითებას, მივიღოთ თუ არა ეს წინადადება. თუ უნდა მივიღოთ, მაშინ საჭირო თანხა ჩამოტანილ უნდა იქნეს აქ სპეციალური კურიერის საშუალებით არა უგვიანეს 30 ოქტომბრისა. ცნობილია, რომ კაცი, რომელიც თავს კამერდინერად ასაღებს, რამდენიმე წლის წინ ჩვენი საელჩოს პირველ მდივანთან მსახურობდა. სხვა ცნობები მის შესახებ ჩვენ არ მოგვეპოვება.

პ ა პ ე ნ ი.

დეპეშა მაშინვე იქნა დაშიფრული და, არაუგვიანეს 27 ოქტომბრის საღამოს რვა საათისა, გადაცემულ იქნა რადიოთი. ხოლო ერთი საათის შემდეგ იგი უკვე რიბენტროპის საწერ მაგიდაზე იღო.

27 და 28 ოქტომბერს პასუხი არ მოსულა. 28 ოქტომბერს, საღამოს, უკვე მტკიცედ ვიყავი დარწმუნებული, რომ, თუ საგარეო საქმეთა მინისტრი მოწყალეების თვალთ გადმოგვხედავდა, უარყოფით პასუხს მოგვცემდა. აქამდე, უკვე რამდენჯერმე მომხდარა, რომ ელჩის წინადადებები უარყოფილ იქნა მხოლოდ იმის გამო, რომ მისგან მომდინარეობდა. ზოგიერთ მათგანს ბევრად შეეძლო ხელი შეეწყო იმ მიზნების განხორციელებისათვის, რომლისთვისაც თბრძოდა ჩვენი ქვეყანა. გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრსა და ჰიტლერამდელი გერმანიის კანცლერს შორის დაუძლეველი მტრული განწყო-

ბილება სუფევდა, და რადგანაც რიბენტროპმა აითვალწუნა ფონ პაპენი, მისგან ამ საკითხის დადებითად გადაჭრის იმედი არ უნდა გვექონოდა. ყველა ამ გარემოების გათვალისწინების გამო თითქმის დარწმუნებული ვიყავით, ბერლინი უარყოფითად რომ გვიპასუხებდა.

28 ოქტომბერს, ღამით, თურქეთის დიდი ეროვნული დღესასწაულის წინადღეს, მთელი ანკარა გაჩირალდნებული იყო. 29 ოქტომბერს მე თითქმის დაევიწყე პასუხის შესახებ, რომელსაც ისევ მოელოდნენ ბერლინიდან. ამ დღეს ჩვენ არ გვექონდა საშუალება გვეფიქრა სხვა რამეზე, გარდა ჩვენი მიმდინარე საქმეებისა.

თურქეთის ეროვნულ დღესასწაულთან დაკავშირებულ ფუნქციათა შესრულების გარდა 29 ოქტომბერს აოვნიშნავდით ფონ პაპენის დაბადების დღესაც, და ჩვენ უამრავი საქმე გვექონდა.

საელჩოში დილის დარბაზობის შემდეგ, რომელსაც ესწრებოდნენ მრავალრიცხოვანი თურქი სტუმრები და ყველა ქვეყნის დესპანები გარდა ჩვენი მტრებისა, მთელი დიპლომატიური კორპუსი უნდა წასულიყო მიღებაზე, რომილიც მოაწყო თურქეთის პრეზიდენტმა ეროვნული კრების შენობაში. ამ ოფიციალურ მიღებას ესწრებოდნენ როგორც ჩვენი მეგობრები, ისე მტრები, თუმცა ტაქტიანი მასპინძლები ჩვილებრივ თვალყურს ადევნებდნენ, რომ ერთმანეთისაომი მტრულად განწყობილი ქვეყნების წარმომადგენლები არ შეკრებილიყვნენ ერთ მისაღებ ოთახში. როგორც ჩანს, ამჯერად რაღაცამ შეუშალა ხელი მათ ჩვეულებისამებრ მოქცეულიყვნენ. დიპლომატიურ ფორმაში გამოწყობილნი, ორდენებითა და წარჩინების ნიშნებით, ჩვენ ყველანი ელჩის მეთაურობით წინ წავედით, რათა თითოეული ცალ-ცალკე მივსალმებოდით თურქეთის პრეზიდენტს.

რამდენიმე წუთის შემდეგ, როდესაც ჩვენ უკვე გამოვდიოდით მისაღები ოთახიდან, კინალამ დავეჯახე მთლიანად საპარადო ფორმაში გამოწყობილ დარბაისელ ხანდაწმულ ბატონს. ჯერ ვერ ვიცანი იგი, მაგრამ მალე მივხვდი, რომ ის იყო დიდი ბრიტანეთის ელჩი, რომელიც ინგლისურ მისიას

წინ მიუძღოდა დარბაზში შესასვლელად. სწორედ იმ დროს, როდესაც გერმანული მისიის ნაწილი ჯერ კიდევ იქ იმყოფებოდა. მაშინვე განზე გავდექი. მაგრამ, კარებისაკენ მიმავალი. იძულებული გავხდი გვერდით ჩამევლო ინგლისელ დიპლომატთა გრძელი რიგისათვის. როგორც მომეჩვენა, ინგლისელები მტრულად მიცქერდნენ.

ეს იყო უკანასკნელი დიდი მიღება თურქეთის პრეზიდენტთან, რომელსაც ესწრებოდნენ მესამე რაიხის დიპლომატიური წარმომადგენლები. მომდევნო წელს ამ დროისათვის ჩვენ ინტერნირებული ვიყავით და უკვე აღარ ვუღობავდით ინგლისელებს გზას თურქეთში.

შუადღის შემდეგ ჰიპოდრომზე სამხედრო პარადი ჩატარდა. დიპლომატიური ლოქები სავსე იყო მეგობრებითა და მტრებით, რომლებიც ერთხელ კიდევ ტაქტიანად დააშორეს ერთმანეთს. მხოლოდ ნეიტრალური ქვეყნების რამდენიმე დიპლომატს შეეძლო დაეკავებინა ყოველი სკამი.

ომის დროს თურქეთში აკრედიტებული დიპლომატები საკმაოდ უცნაურ ცხოვრებას ეწეოდნენ. ერთი მხრივ, მათ უნდა დაეცვათ მშვიდობიანი დროის მთელი ცერემონიალი და გამოეჩინათ დიპლომატიური თავაზიანობა, მეორე მხრივ, შეენარჩუნებინათ მათი ქვეყნების გამთიშველი მოჩვენებითი მტრობა. მაგრამ შინ მე ჯერ ისევ კარგ შოტლანდიურ ვისკის შევექცეოდი, ხოლო ჩემი კოლეგები მტრულად განწყობილი ქვეყნების საელჩოებიდან სტკბებოდნენ ჩინებული გერმანული რეინვეინით. ინდური საწებლების ფხვნილები და უნგრული წითელი წიწაკა საერთაშორისო საქონლის გაცვლა-გამოცვლის მუდმივი საგნები იყო, რომელიც, რასაკვირველია. წარმოებდა თურქი მსახურების მეშვეობით. როგორც ნეიტრალური ქვეყნის მოქალაქენი, ისინი ხელსაყრელ მდგომარეობაში იმყოფებოდნენ, რადგანაც მათ შეეძლოთ ორივე მხარესთან დაემყარებინათ როგორც დიპლომატიური, ისე საქმიანი ურთიერთობა.

ამ ფიქრებში ვიყავი შესანიშნავ სამხედრო პარადზე, რომელიც ჩვენმა მასპინძლებმა საგანგებოდ ჩვენთვის და ჩვენი მოწინააღმდეგეებისათვის ჩაატარეს. მხოლოდ ხუთი მეტრი

მაცილებდა მტრული ბანაკის წარმომადგენლებს, რომელთა შორის ბევრ სასიამოვნო სახის ადამიანს ნახავდით. მაგრამ უკეთესი იყო არ დამენახა. რას იზამ, ისინი ჩვენი მტრები იყვნენ.

პარადის შემდეგ, საელჩოში რომ დაებრუნდი, მითხრეს, რომ ელჩს დაუყოვნებლივ სურდა ჩემი ნახვა. მე გავემართე მისი კაბინეტისაკენ, სადაც მან უსიტყვოდ გამომიწოდა გაშიფრული ცნობა, რაშიც ეწერა:

კ ი რ ა დ ა დ

## ელჩს ფონ პაკინს

სრულიად საიდუმლოდ

ინგლისის ელჩის კამერდინერის წინადადება მიიღეთ სიფრთხილის ყველა ზომის დაცვით, სპეციალური კურიერი ანკარაში ჩამოვა 80-ში შუადღემდე. დოკუმენტების მიღების ამბავი დაუყოვნებლივ მიდებეშეთ.

რ ი ბ ე ნ ტ რ ო პ ი.

ამრიგად, საკითხი ჩვენი მონაწილეობის გარეშე იქნა გადაწყვეტილი. 30 ოქტომბერს, ზუსტად დღის სამ საათზე, ჩემს კაბინეტში დარეკა ტელეფონმა. ყურმილი ავიღე. ერთი წამით გული გამიჩერდა. ყურმილში თითქოსდა ძლიერ შორიდან მოისმა მშვიდი ხმა.

— ლაპარაკობს პიერი. მიიღეთ თუ არა ჩემთვის გადმოაქციე მიწერილი?

— დიახ!

— დღეს სალამოს შემოვივლი თქვენთან, ნახვამდის!

მან ყურმილი ჩამოკიდა. გარკვევით გავიგონე, თუ როგორ დაიწკარუნა ბერკეტმა მავთულის მეორე ბოლოში. მწურხენმა გაკვირვებით გადმომხედა: როდესაც ტელეფონმა დარეკა, მას ყურმილი ხელიდან გამოვტაცე (იგი პასუხის გაცემას აპირებდა). ახლა მის თვალებში შეიძლებოდა გამოუთქმელი საყვედურის ამოკითხვა. იგი მიხვდა, რომ აქ რაღაც საიდუმლოება იყო, რომლის გამხელა მისთვის არ სურდათ.

შემდეგ ელჩის მდივანს—როზას ვთხოვე, გადაეცა ფონ პაპენისათვის, რომ შესვლის ნებას ვთხოვდი. ორიოდე წუთის შემდეგ მან ტელეფონით მაცნობა, ელჩი გელოდებო. მაშინვე წავედი მასთან.

—კამერდინერმა ახლახან დარეკა, ბატონო ელჩო, მე შევხვდები მას საღამოს ათ საათზე.

— ფრთხილად იყავით, ჩემო ბიჭო, არ მისცეთ იმ ადამიანს თქვენი გაბამპულების უფლება. გულახდილად რომ გითხრათ, სრულიად არ მომწონს ეს საქმე. კამერდინერმა შეიძლება სკანდალი გამოიწვიოს. აქ ამის დაშვება შეუძლებელია. ჩემგან ყველა აუცილებელ მითითებებს მიიღებთ, მაგრამ გახსოვდეთ, რომ ჩავარდნის შემთხვევაში ვერ შევძლებ თქვენს დაცვას. ალბათ, მომიხდება იმის დამტკიცებაც, რომ არაფერი ვიცოდი თქვენი მოქმედებების შესახებ. განსაკუთრებით იზრუნეთ, რომ არც ერთმა გარეშე პირმა არ იცოდეს ეს ამბავი, არც ერთმა სულიერმა. გახსოვდეთ ფრანგული ანდაზა: „მხოლოდ შენიანები გაგკემენ“.

— ძალიან ბევრი ვიფიქრე ამაზე, ისიც გავითვალისწინე, თუ როგორ გადავცე ფული. ფულს მანამდე არ მივცემ, სანამ არ დავრწმუნდები, რომ ფოტოასლები გადაღებულია ნამდვილი დოკუმენტებისაგან. გულახდილად გეტყვით, ბატონო ელჩო, ეს საქმე უფრო ნაკლებ მიზიდავს, ვიდრე თქვენ. მაგრამ გავაკეთებ ყველაფერს, რაც კი ჩემზეა დამოკიდებული. კარგად მესმის, რომ, თუ რაიმე მოხდება, პასუხი მხოლოდ მე უნდა ვაგო. მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენ არასწორად მოვიქცეოდით, რომ ეს წინადადება უკუგვეგდო, განსაკუთრებით ომის დროს. ჩვენი მოწინააღმდეგეები არ მოიქცეოდნენ ასე. ჩვენ ხომ თვით არ გავკარებივართ ინგლისურ სეიფს—დოკუმენტები ჩვენთან მოაქვთ. ყოველ შემთხვევაში, ისიც კი არ ვიცით, გამოვა თუ არა რაიმე აქედან. შესაძლოა, ყველაფერი ეს ტყუილი აღმოჩნდეს.

— შესაძლოა, — წარმოთქვა ელჩმა. — გულახდილად რომ ვთქვა, არც კი მეწყინებოდა, უკეთუ ასე მოხდება. ასე თუ ისე, გაბარებთ ფულს. გირჩევთ დაითვალოთ.

ბატონმა ფონ პაპენმა საწერი მაგიდის შუა უჯრიდან გა-

მოიღო ქაღალდის ფულის მოზრდილი დასტა და ჩემკენ მოაჩოჩა. მაშასადამე, ბერლინელი კურიერი დროულად ჩამოვიდა. გამოოცა დასტის ზომამ, რომელიც შედგებოდა ცალკე დალაგებულ ათ, ოც და ორმოცდაათგირვანქიანი ბანკის ბილეთებისაგან. ნუთუ ბერლინში ვერ შეძლეს ეპოვათ უფრო მსხვილი კუპური? გარდა ამისა, ყველა ისინი საექვოდ ახლები იყვნენ. როგორც ჩანს, მათგან მხოლოდ მცირეოდენი ნაწილი იმყოფებოდა ოდესღაც მიმოქცევაში და ამან ოდნავ დამაეჭვა.

ელჩი თითქოს მიმიხვდა, გამოიცნო ჩემი აზრები.

— ბანკის ბილეთები ძლიერ ახალი ჩანან, — თქვა მან.

მხრები ავიჩეჩე და თვლა დავიწყე. ფულის დათვლის შემდეგ იგი ელჩის მაგიდაზე დადებული გაზეთის დიდ ფურცელში შევახვით. როდესაც კაბინეტიდან გამოვედი, ბატონმა ფონ პაპენმა კარებამდე მომაცილა:

— გახსოვდეთ, ხიფათში არ ჩამაგდოთ და არც თვით ჩავარდეთ!

მშვენიერი სურვილია-მეთქი, გავიფიქრე, სამწუხაროდ, მას ბედად არ ეწერა განხორციელება.

მკერდზე მიკრულვ პაკეტიანად ჩამოვედი კიბეებზე, საელჩოს ბაღზე გავლით შევედი ჩემს კაბინეტში. ფული სეიფში ჩავკეტე.

შემდეგ მოვიხმე შნურხენი და ვუთხარი:

— სხვათა შორის, ზომ არ მომცემთ სეიფის გასაღებსაც? დღეიდან იგი მე მექნება.

ვიცოდი, რომ ვაწყენინე მას, მაგრამ არ შემეძლო სხვაგვარად მოქცევა. განაწყენებულმა შნურხენმა გაკვირვებით შემომხედა:

— განა თქვენ აღარ მენდობით?

— ჩემო ძვირფასო შნურხენ, საქმე ის კი არაა, გენდობით თუ არა, ოღონდ ზომ შეიძლება იყოს ისეთი საგანგებო შემთხვევა, რომელმაც მოითხოვოს, ორივე გასაღებზე ჩემთან იყოს. მერწმუნეთ, მე ყველაზე ნაკლებად მსურს თქვენი განაწყენება.

მან მაშინვე გადმომცა გასაღები. მაგრამ სახეზე ეტყობოდა, გულნატკენი იყო. პირველად შემეცოდა შნურხენი, მაგრამ

შემდეგ გამახსენდა ფონ პაპენის სიტყვები: მხოლოდ შენი-  
ანები გაგცემენო, სჯობდა, რისკი არ გამეწია. ერთი კვირის  
შემდეგ, როდესაც მე ბერლინში წასასვლელად გავემზადე,  
შნურხენმა უკანვე მიიღო თავისი გასაღები და მას შემდეგ  
მასთან ინახებოდა. ტექნიკური მიზეზების გამო ეს აუცილე-  
ბელი იყო. მას არასდროს გაუცია მინდობილი უდიდესი საი-  
დუმლოება.

იმ საღამოს ათს აკლდა ათი წუთი, როდესაც ჩემს კაბი-  
ნეტში ფარდები ჩამოვუშვი და დარბაზში გამოვრთე სინათ-  
ლე, რათა ქუჩიდან არ დაენახათ ჩემთან მომსვლელი კაცი.

საელჩოს სარდაფის სართულში, სადაც ფოტოლაბორა-  
ტორია გვექონდა, უკვე გველოდა მშიფრავი, რომელიც ჯერ  
კიდევ ომამდე პროფესიონალი ფოტოგრაფი იყო. თუკი კა-  
მერდინერი მართლაც მოიტანდა ფოტოფირს, საჭირო გახ-  
დებოდა მისი დაუყოვნებლივი გამკლავება. მე თვითონ მოხა-  
ლისე ფოტოგრაფი ვიყავი, მაგრამ კარგად არ ვიცოდი გამე-  
კლავება. აი რატომ დამეჭირდა ოპერაციის დასაწყისში მიმე-  
მართა პროფესიონალისათვის. მაგრამ, მგონი, მან ვერ გაიგო,  
თუ რასთან ჰქონდა საქმე. როგორც ჩანს, მიხვდა, მნიშვნე-  
ლოვან დოკუმენტებს ვამუშავებო, მაგრამ სად მოიპოვეს  
ისინი და რისთვის იყო განკუთვნილი, ეს კი ვერასოდეს ვერ  
გაიგო, — ყოველ შემთხვევაში, ჩემგან არ გაუგია.

ათს ორი წუთი აკლდა, როდესაც დანიშნულ ადგილზე,  
საელჩოს ბალის ფარდულის მახლობლად ვიდექი. ბნელი, თუ-  
მცა ვარსკვლავიანი ღამე იდგა, ჩვენი მიზნისათვის სრულიად  
შესაფერისი ღამე.

გრილოდა, ისეთი სიჩუმე სუფევდა, ჩემი გულისცემაც  
კი მესმოდა. არ გასულა წუთიც, რომ ჩემკენ მომავალი ადა-  
მიანი შევამჩნიე. სიბნელეში თვალი დავაცეცე და მომესმა  
წყნარი ხმა:

— ეს მე ვარ — პიერი! Tout va bien?<sup>1</sup>

<sup>1</sup> ყველაფერი რიგზეა? (ფრანგ.).

ფარდულიდან ჩუმად წავედით საელჩოსაკენ. იმისდა მიხედვით, რომ მას არ წაუბოროძიკებია იმ ადგილებშიც კი, სადაც საფეხურები გვხვდებოდა (ჩვენ კი ძალიან სწრაფად მოვდიოდით), მას არაჩვეულებრივად კარგი მხედველობა ჰქონდა. ანდა, შესაძლოა კიდევ. ეს ადგილი მისთვის საკმაოდ ნაცნობიც კი იყო. ვინ იცის! არც ერთ ჩვენგანს კრინტი არ დაგვიძრავს.

ბნელი დარბაზის გავლით ჩემს კაბინეტში შევედით. შუქი ჩავრთე, ერთ წამს სინათლემ დაგვაბრმავა.

ახლა ეს ადამიანი არ ამყლავნებდა იმ ნერვულობის ნიშანწყალსაც კი, პირველი შეხვედრის დროს რომ ემჩნეოდა. როგორც ჩანს, კამერდინერი კარგ გუნებაზე გახლდათ და თავი ძლიერ მტკიცედ ეჭირა.

რაც შემეხება მე, უნდა ვალიარო, ოდნავ ვლეღავდი, მთლიანად არ ვიყავი დარწმუნებული, რომ საქმე კარგად დაგვირგვინდებოდა.

მან პირველმა დაილაპარაკა:

— ფული თანა გაქვთ?

თანხმობის ნიშნად თავი დავუქნიე.

ხელი პალტოს ჯიბეში ჩაიღო და ორი ხვეულა ფოტოფირი ამოიღო. ორივე ხელისგულზე დაიღო, მაგრამ, როდესაც მოვისურვე მათი ალება, ხელი გვერდზე გასწია.

— ჯერ ფული, — წყნარად წარმოთქვა მან.

სეიფს მივუახლოვდი. მახსოვს, გამიჭირდა მისი გაღება. ალბათ, იმიტომ, რომ ვნერვულობდი. ზურგით ვიდექი კამერდინერიდან და ეს აძლიერებდა ჩემს მღელვარებას. დარწმუნ-



ნებული ვიყავი, რომ ეს კაცი ძალზე იოლად დამარტყამდა უკნიდან თავში, სანამ მე სეიფს ვაღებდი, აიღებდა ფულს და მიიმალებოდა. ბოლოს და ბოლოს, სეიფში ოცი ათასი გირვანქა სტერლინგის გარდა, იყო კიდევ დოკუმენტები, რომლებიც, რასაკვირველია, საინტერესო იქნებოდა ზოგიერთი პიროვნებისათვის.

დაბოლოს, როდესაც სეიფი გავაღე და ფული გამოვიღე (ხელები ოღნავ მიკანკალებდა), მაშინვე დავკეტე მძიმე კარი, ჰიჩქარეში კინალამ თითიც დავიწეწე, როგორც ეს ერთხელ მწერხენს მოუვიდა.

კამერდინერისაკენ მივბრუნდი. იგი იმავ ადგილზე იდგა, თვალები გაზეთში შეხვეული ბანკის ბილეთების შეკვრისათვის მიეპყრო. მისი სახე ერთდროულად ცნობისმოყვარეობასაც და სიხარბესაც გამოხატავდა.

ეს იყო კრიტიკული მომენტი. მე უნდა გამომეჩინა სიმტკიცე, არ მიმეცა ფული მანამ, სანამ არ შევძლებდი იმის ნახვას, რასაც ვყიდულობდი. ფული საწერ მაგიდაზე დავდევი და ხმამაღლა და ძლიერ ნელა შევეუდექი თვლას.

იგი ახლოს მოვიდა და, ტუჩების ცმატუნზე ეტყობოდა, ჩემთან ერთად იწყო თვლა.

— თხუთმეტი ათასი... ორი ორმოცდაათიანი... ხუთასი... შვიდი ორმოცდაათიანი... თექვსმეტი ათასი...

და ასე მანამ, ვიდრე მთელი ფული არ დავთვალეთ.

შემდეგ ისევ შევახვეი ფული გაზეთის იმავე ფურცელში. დადგი გადამწყვეტი მომენტი.

— მომეცით ფირები, — ვუთხარი მე და ფულის დასტას მარცხენა ხელი დავადე, ხოლო მარჯვენა წინ გავიშვირე.

მან მომცა ორივე ხვეული და ხელი ბანკის ბილეთებისაკენ გაიშვირა.

— ჯერ არა, — შევაჩერე იგი. — თქვენ მიიღებთ ფულს, როდესაც ვნახავ, თუ რას წარმოადგენს ფოტოფირები. თქვენ მოგიხდებათ ნახევარი საათი მოცდა, ვიდრე გავამჟღავნებ ფოტოფირებს. გამჟღავნებისათვის ყველაფერი მზადაა. ფული აქ არის, თქვენ თვალწინ, და თვითონაც ხომ დათვალეთ. თუ თანახმა არა ხართ, შეგიძლიათ ახლავე უკან წილთ ფოტოფირები. აბა, რას იტყვით?

— თქვენ მეტად ექვიანი ხართ. უფრო მეტად უნდა მენ-  
ლოთ. მაშ კარგი. მე აქ დაგელოდებით.

პირველად ვიგრძენი დიდი შვება: შესაძლოა, ეს ტყუილი  
მანც არ იყო. ფულმა და იმან, თუ როგორ ნელა ვთვლიდი  
განზრახ, საჭირო ეფექტი მოახდინა. როგორც ჩანს, კამერ-  
დინერმა თავისი თავი უკვე წარმოიდგინა მთელი ქონების  
პატრონად და არ სურდა უბრალო ჯიუტობის გამო რისკი  
გაეწია. მოგვიანებით მივხვდი, რომ ფულმა მომცა ძალაუფ-  
ლების მოპოვების საშუალება.

იგი სრულიად უმოძრაოდ იდგა, სანამ ფულს ისევ სეიფ-  
ში ვინახავდი. ამასობაში სავსებით დავმშვიდდი. კრტიკულ-  
მა მომენტმა გაიარა.

— მოსწიეთ! — ჩემი პორტსიგარი გაუწოდე, მან რამდენ-  
იმე სიგარა ამოიღო.

— ეს ჩემთვის საკმარისი იქნება თქვენს დაბრუნებამდე, —  
წყნარად თქვა.

დაჯდა და სიგარეტი გააბოლა. კაბინეტი გარედან გასაღე-  
ბით ჩაკეტე, რათა ღამის დარაჯი შემოვლის დროს არ შესუ-  
ლიყო ოთახში. კამერდინერს, როგორც ჩანს, ესმოდა, თუ  
როგორ გადაბრუნდა გასაღები, მაგრამ, ჩემდა გასაოცრად,  
პროტესტი არ განუცხადებია. ორივე ხვეული ჯიბეში ჩავიდე  
და სწრაფად წავედი ფოტოლაბორატორიისაკენ, სადაც ფო-  
ტოგრაფი მელოდა.

მან უკვე წინასწარ მიიღო ზომები და ყველაფერი მზად  
დამხვდა ფირის გასამქლავნებლად. ფოტოგრაფმა მაშინვე  
ჩაღო ორივე ფირი გამამქლავნებლიან ავზაკში. ვთხოვე, დაწ-  
ვრილებით განემარტა ჩემთვის ყველაფერი, რასაც აკეთებდა,  
რადგან შემდგომში თვით მქონდა განზრახული ამის გაკეთე-  
ბა. ამას უფრო მეტი დრო დასჭირდა, ვიდრე მე ვვარაუდობ-  
დი.

— შეიძლება მოვწიო? — ვკითხე მე.

— რასაკვირველია, სანამ ფოტოფირი გამამქლავნებლიან  
ავზაკშია.

ფოტოგრაფი წითელ სინათლეზე მუშაობდა. ათი წუთის  
შემდეგ პირველი ავზაკი გახსნა. მე თვით ამოვიღე ხვეული,

გავრცეხე, შემდეგ კი ჩავუშვი სამაგრიან ქილაში. პირველს მეორე მოჰყვა.

გაიარა რამდენიმე წუთმა. მომეჩვენა, დრო ძლიერ ნელა გადის-მეთქი, დაბოლოს, ფოტოგრაფმა მითხრა:

— პირველი უკვე მზად უნდა იყოს. — ფირის ერთი ბოლო სინათლისაკენ შემოაბრუნა.

მიუხედავად ფირის მცირე ზომისა, კარგად ჩანდა საბეჭდ მანქანაზე დაბეჭდილი ტექსტი. მაშასადამე, ფოტოგადაღება ტექნიკურად უზადოდ იყო შესრულებული. შემდეგ ორივე ძვირფასი ფირი გასარეცხად აუზაკში ჩავუშვი. მოუთმენლად ვადევნებდი თვალს. კიდევ რამდენიმე წუთი და გავიგებდით, თუ რას ვყიდულობდით ასეთ დიდ ფასად.

სველი ფირები თოჯნე ჩამოვკიდე. ახლა ოთახი გაჩირალდნებული იყო. ავიღე გამადიდებელი მინა, დავიხარე ფოტოფირზე და თავისუფლად წავიკითხე ტექსტი: ს რ უ ლ ი ა დ ს ა ი დ უ მ ლ ო დ . ს ა გ ა რ ე ო ს ა ქ მ ე თ ა ს ა მ ი ნ ი ს ტ რ ო ს ა გ ა ნ დ ი დ ი ბ რ ი ტ ა ნ ე თ ი ს ს ა ე ლ ჩ ო ს . ა ნ კ ა რ ა . დოკუმენტი დათარიღებული იყო ახალი რიცხვით. სწრაფად გადავაკლე თვალი და დავრწმუნდი ცნობების განსაკუთრებულ სახელმწიფოებრივ მნიშვნელობაში.

ფოტოგრაფი გავუშვი, ვთხოვე დაბრუნებულიყო დაახლოებით თხუთმეტი წუთის შემდეგ, საგულდაგულოდ დავკეტე კარი გასაღებით, შემდეგ კი ჩემს კაბინეტში შევედი. კამერდინერი იმავე ადგილზე იჯდა, სადაც დავტოვე. მხოლოდ ნამწვებით სავსე საფერფლე მოწმობდა, რომ მან საკმაოდ დიდხანს იყადა. მაგრამ არ შემიმჩნევია მოუთმენლობის ან გაბრაზების არავითარი ნიშანწყალი, მხოლოდ მკითხა:

— როგორ არის საქმე?

პასუხის ნაცვლად გავხსენი სეიფი, ამოვიღე იქიდან ფულის დასტა და გავუწოდე. მივეცი აგრეთვე ასევე წინასწარ შედგენილი ხელწერილი ოცი ათასი გირვანქა სტერლინგის ჰილების შესახებ. მან ქედმაღლური იერით ხელისკვრით მოიცილა ის. უნდა გამოგიტყდეთ, რომ ამ მომენტში უხერხულად ვიგრძენი თავი.

შემდეგ მან ფული პალტოს ქვეშ ჩაიჩარა, რომელიც მთე-

ლი ამ დროის განმავლობაში არ გაუხდია, ქუდი თვალებზე ჩამოიფხატა, პალტოს საყელო აიწია. სიბნელეში უახლოესი მეგობარიც ვერ იცნობდა მას.

— Au revoir, monsieur! — წარმოთქვა მან.—ხვალ ამავე დროს...

თავი დამიქნია და ს-ბნელეში გაუჩინარდა.

ახლა, როდესაც ამ სტრიქონებს ვწერ, თვალწინ მიდგას იმ დამის ამბები. გონებას უბრუნდებიან, თითქოსდა, დავიწყებული ფრაზები, გარკვევით მახსენდება — მხრებში მოხრილი, სახის უცნაური გამომეტყველებით. ეს იყო მონის სახე, რომელიც დიდხანს ატარებდა პატივმოყვარე ოცნებას ძალაუფლების შესახებ და ბოლოს მოიპოვა. კიდევ ის. სულ ერთი საათის წინ იგი ჩემს კაბინეტში უბრალო მსახურად შემოვიდა, ხოლო წავიდა გამდიდრებული ადამიანი. ჯერ ისევ მესმის მისი ხმის დამცინავი და მოზეიმე ტონი, როდესაც ხელს უქერდა პალტოს ქვეშ დამალულ ძვირფას ფულის დასტას და მეუბნებოდა:

— A demain, monsieur. A la même heure!<sup>2</sup>

როდესაც ვუბრუნდები ყოველივე ამას, მეჩვენება, თითქოს რომელიღაც სხვა ცხოვრების სცენებს ვიხსენებ. თუმცა კარგად მახსოვს, თუ რა გადავიტანე მაშინ და ეს რამდენიმე საათი ისე გავატარე, აღარ დავწოლილვარ, გასაღებით ჩაკეციტე ჩემი კაბინეტი და ზედიზედ რამდენიმე საათს ვკითხულობდი, ვაკეთებდი ანალიზს, შენიშვნებს. ისევ ვკითხულობდი, თენდებოდა და თანდათან ბევრი რამ, რაც წინათ დახლართული და გაუგებარი მეჩვენებოდა საერთაშორისო საკითხებში, ამ დოკუმენტების მეშვეობით ჩემთვის ნათელი ხდებოდა. დოკუმენტები შედგენილი იყო ცივი, საქმიანი ენით. ნერვულობითა და მუშაობით გატანჯულს პირდაპირ საწერ მაგიდაზე დამძინებოდა, მეორე დილით კარებზე კაკუნმა გამაღვიძა—ეს უნურხენი მოსულიყო.

<sup>1</sup> ნახვამდის, ბატონო (ფრანგ.).

<sup>2</sup> ხვალამდის, ბატონო. ამავე დროს! (ფრანგ.).

ახლა დავეუბრუნდეთ იმ მომენტს, როდესაც კამერდინერი წავიდა. პირველ ყოვლისა ვიწრო კიბით ისევ დავეშვი ფოტო-ლაბორატორიაში. ფოტოფირის ვიწრო ნაჭრები ჯერ ისევ ავზაკში იდო გადასარეცხად და მე ფოტოგრაფის დაბრუნებას ვუცდიდი. დაბოლოს იგი მოვიდა და ფოტოფირი საშრობ კარადაში მოათავსა. ამ მომენტში ძლიერ არ მსურდა მიმემართა სხვისი დახმარებისათვის. თუმცა, არა მგონია. ფოტოგრაფს ოდნავ მაინც შეეტანა ეჭვი მომხდარ ამბავში.

გამადიდებლის წინ ვიჩქეი, ფოტოგრაფი ახსნა-განმარტებას მაძლევდა ფოკუსის დაყენების, ექსპოზიციის ხანგრძლივობის, გამამჟღავნებელისა და ფიქსაციის ხსნართა დამზადების შესახებ. მისი დახმარებით შევძელი რამდენიმე სურათის დაბეჭდვა. როცა დავრწმუნდი დამოუკიდებლად შემძლო მუშაობა, ფოტოგრაფს მადლობა გადავუხადე და გავუშვი დასაძინებლად. ძალზე მესიამოვნა მარტო დარჩენა.

ორივე ხვეულზე მთლიანად ორმოცდათორმეტი კადრი იყო, საკმაოდ სწრაფად დავიწყე მათი ბეჭდვა. თავს ვიკავებდი დოკუმენტების შესწავლისაგან, თვალყურს ვადევნებდი, რომ გადიდების შემდეგ ასოები ნათელი და მკაფიო გამოსულიყო.

გაირა რამდენიმე საათმა. დილის ოთხი საათი იქნებოდა, როდესაც მუშაობა დავამთავრე. ჩემ წინ იდო ორმოცდათორმეტი კარგად გამშრალი და გაპრიალებული სურათი. დაღლას არ ვგრძნობდი.

შემდეგ საგულდაგულოდ დავათვალიერე ოთახი და დავრწმუნდი, რომ არაფერი დამეტოვებინა. ზოგიერთი ჩემ მიერ პირველად დაბეჭდილი სურათი გაფუჭდა და ამიტომ მომიხდა ორიოდე სურათის ხელახლა დამზადება. მინდოდა გაფუჭებულიები დამეწვა, მაგრამ შენობაში ცენტრალური გათბობა იყო, ხოლო ღია ცეცხლის დანთების რისკი არ გავწიე. ამიტომ დუბლიკატები წვრილ-წვრილ ნაჭრებად დავხიე და საპირფარეშოში ჩავყარე.

შემდეგ ფრთხილად წამოვიღე ფოტოფირები და ორმოცდათორმეტი სურათი, დავბრუნდი კაბინეტში და კარები ჩავკეტე.

მახსოვს, რამდენიმე საათის დაძაბული მუშაობის შემდეგ,

როგორი სიამოვნებით მოვწიე პირველი სიგარეტი. ჯერ კიდევ წაუკითხავი ორმოცდათორმეტი გაპრიალებული სურათი იდო საწერ მაგიდაზე, ახლა კი შემეძლო აუჩქარებლად შევდგომოდი მათ შესწავლას.

ჩემს განცვიფრებას საზღვარი არ ჰქონდა. ძნელი დასაჯერებელი იყო, რომ ჩემს საწერ მაგიდაზე იდო დოკუმენტები, რომლებიც შეიცავდნენ ჩვენი მოწინააღმდეგის ყველაზე საგულდაგულოდ დაცულ საიდუმლოებებს—როგორც პოლიტიკურს, ისე სამხედროს. დოკუმენტები ნამდვილი იყო—ამაში არავითარი ეჭვი არ მეპარებოდა. დაზვერვის აგენტს მხოლოდ შეიძლება ეოცნება მთელი სიცოცხლის განმავლობაში ასეთი მასალების შეგროვებაზე. დოკუმენტების ერთი თვალის გადავლებითაც კი შეიძლებოდა იმის თქმა, თუ როგორი ფასდაუდებელი სამსახური გაუწია მესამე რაიხს კამერდინერმა. მის მიერ დანიშნული ფასი უკვე აღარ მეჩვენებოდა მეტისმეტად დიდად.

განსაზღვრული გეგმით მუშაობას მიჩვეულმა, თავდაპირველად შევეცადე დამელაგებინა ფოტოსურათები მათი მნიშვნელობის ხარისხიხდა მიხედვით. მაგრამ ეს შეუძლებელი აღმოჩნდა—ყოველი მათგანი ძალიან საინტერესო იყო. ბოლოს და ბოლოს დავალაგე უბრალოდ მათზე აღნიშნული თარიღებისდა მიხედვით.

დოკუმენტების უმრავლესობა დათარიღებული იყო უკანასკნელი რიცხვებით, ხოლო დანარჩენების ხანდაზმულობა ორკვირას არ აღემატებოდა. ეს იყო ინგლისის საგარეო საქმეთა სამინისტროსა და ანკარის საელჩოს მიმოწერა, რომლებიც შეიცავდნენ ინსტრუქციებს, კითხვებსა და პასუხებს ამ კითხვებზე. ბევრი დოკუმენტი ეხებოდა უდიდესი მნიშვნელობის პოლიტიკურ და სამხედრო მოვლენებს. თითოეულ დოკუმენტზე ზემო მარცხენა კუთხეში დასმული იყო გრიფი „სრულიად საიდუმლოდ“. გარდა თარიღისა, ასევე მითითებული იყო რადისტების მიერ მათი გაგზავნისა და მიღების დრო. ბერლინის მტკიცებით, ამ მნიშვნელოვანმა ჩანაწერმა მოგვიანებით ექსპერტებს ინგლისური დიპლომატიური შიფრის გახსნაში აღმოუჩინა არსებითი დახმარება.

განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა ჩვენთვის ინგლი-

სის საგარეო საქმეთა სამინისტროს დეპეშებს, რომლებიც ლონდონის, ვაშინგტონისა და მოსკოვის დამოკიდებულებას ეხებოდნენ. სხვა დოკუმენტებიდან ნათელი იყო, რომ სერ ჰიუ კარგად იყო ინფორმირებული პოლიტიკურ და სამხედრო საკითხებში, რადგანაც მეტად მნიშვნელოვანი პოსტი ეჭირა და ლონდონის პატივისცემითა და ნდობით სარგებლობდა.

გერმანელების ხელში ეს დოკუმენტები უფრო მნიშვნელოვან და ავისმომასწავებელ ამბებზე მეტყველებდნენ. შეუძლებელი იყო დაეჭვებულყოფით მოკავშირეთა გადაწყვეტილებასა და უნარში გაენადგურებინათ მესამე რაიხი. და ეს ძალიან მალე უნდა მომხდარიყო. დოკუმენტები ამტკიცებდნენ, რომ ნაცისტური გერმანიის ხელმძღვანელებს ჩვენი ქვეყანა დაღუპვისაკენ მიჰყავდათ. აქ, ამ ფოტოფირებში, წყდებოდა ჩვენი ბედი. წელში მოღუნულმა უძილო ღამის რამდენიმე საათი გავატარე ამ დოკუმენტებზე მუშაობაში. როგორც ციფრები და ფაქტები ადასტურებდნენ, მოკავშირეებს ისეთი უზარმაზარი რესურსები ჰქონდათ, რომ გერმანია მხოლოდ და მხოლოდ სასწაულს შეეძლო ეხსნა. ეს უბრალო პროპაგანდა როდი იყო. აქ შეიძლებოდა ჩვენი მომავლის ამოკითხვა.

ანატოლიის დიდებულ დაბლობს უკვე დიდი ხანია მზის სხივები მოეფინა, მე კი ისევ ფოტოსურათებთან ვიჭეჭი, ფარდებჩამოფარებულ ოთახში. ვფიქრობდი, შეძლებდნენ თუ არა გერმანიის ხელმძღვანელები, რომლებიც შორს, ბერლინში, ანდა ფიურერის შტაბში იმყოფებოდნენ, შეეცნოთ ამ დოკუმენტების მთელი მნიშვნელობა. და თუკი ამას ჩასწვდებიან. მაშინ მხოლოდ ერთი გზა რჩებათ.

მაგრამ მე შევცდი. ადამიანებმა, რომლებიც დაბოლოს დარწმუნდნენ დოკუმენტების სინამდვილეში, არ ისურვეს დაეჭვებინათ ჭეშმარიტი ფაქტებისათვის და ეს მასალები უსასარულო და უნაყოფო კამათისათვის გამოიყენეს.

ომის დამთავრებამდე ბერლინში თავს იქცევდნენ იმით, რომ შესძლეს ასე მარჯვედ შეეგროვებინათ სხვადასხვა ქვეყნებში საიდუმლო ცნობები, მაგრამ სტრატეგიული მიზნით ეს დოკუმენტები არასდროს არ ყოფილა გამოყენებული. ერთადერთი პრაქტიკული გამოყენება მათ მშიდვრავებთან პოეის. არასასიამოვნოა გამოტყდე, რომ მძიმე და სახიფათო მუშობა, რომე-

ლიც ჩვენ ჩავატარეთ, საბოლოო ანგარიშით სრულიად ფუჭი აღმოჩნდა.

მაგრამ ეს ყველაფერი შორეულ მომავალში მოხდა, ახლაც კი, მასალებთან მჭიდროდ, ჩემდა უნებურად, თავი ჩავეჭინდრე და დავიძინე.

ძლიერმა კაკუნმა გამაღვიძა. შურხენი მოვიდა.

დიპლომატიური წესების კარგმა მცოდნემ როდი გაიოცა, როდესაც დილის ცხრა საათზე ჩაკეტილ კაბინეტში მიპოვა.

რამდენიმე საათის შემდეგ, დაღლილი და გაუპარსავი, ვიჯექი ელჩის პატარა მისაღები ოთახის დივანზე. შემოდგომის პირველი ცივი დილა იყო. დაღლილობისა და სიცივისაგან ოდნავ მაჯრქოლებდა.

ფროილიან როზა—ელჩის მდივანი (იგი მასთან მუშაობდა ჯერ კიდევ ჰიტლერის ხელისუფლების სათავეში მოქცევამდე, როდესაც ფონ პაპენი კანცლერი იყო, ჩემი აზრით, უფრო ადრეც) ხან მისაღებ ოთახში შედიოდა, ხან ისევ ელჩის კაბინეტში გადიოდა. ელჩის მოსვლის მოლოდინში მისთვის ჩვეულებრივად მონდომებით არჩევდა ფოსტასა და დილის გაზეთებს.

როზას არ უყვარდა მომსვლელები, რომლებიც დილაადრიან მოდიოდნენ—ისინი ხელს უშლიდნენ ფოსტის გარჩევაში. აშკარა იყო, ასევე თვალში არ მოუვიდა ჩემი გარეგნობა და აბურძგვნილი წვერი, რომელიც დილიდან არ გამეპარსა. მას არაფერი უთქვამს, მაგრამ მისი სახის გამომეტყველებაზე ვატყობდი, რომ ფიქრობდა, მის აღმატებულებასთან ასე გამოცხადება სრული უხამსობაა.

რადაც ხომ უნდა მეკეთებინა და დავიწყე ჩემს საქალაქში ჩაწყობილი ფოტოსურათების გადაჩრევა. როზასაგან ზურგშექცევით ვიჯექი, ფოტოსურათების დანახვამ მაინც გაუღვიძა მას ცნობისმოყვარეობა:

—როგორც ჩანს, თქვენ მნიშვნელოვანი საქმე უნდა გქონდეთ, რადგანაც გაბედეთ ელჩის ასე ადრიანად შეწუხება. რა გაქვთ საქალაქში?

—თქვენი უმანკო თვალების შესაფერისი არაფერი. რამდენიმე შიშველი ლამაზი ქალია. ცარიელი ფაქტებია, თუ ასე შეიძლება გამოვთქვათ.

—თქვენ უწმაწურად ლაპარაკობთ. როგორ არა გრცხვენიათ?



მეტს აღარ ვუსმენდი და მოწყენილობის გამო დავიწყე სურათების დათვლა:

—...47, 48, 49, 50, 51...—რასაკვირველია, თვლის დროს შევეციდი როზას ლაყბობის გამო! თავიდან დავიწყე დათვლა.

—...49, 50, 51...

დაუჯერებელია! სულ რამდენიმე წუთის წინ ჩემს კაბინეტში დავთვალე ორმოცდათორმეტი სურათი. შევეცადე მშვიდად ვყოფილიყავი, ისევ დავიწყე დათვლა და ისევ მხოლოდ ორმოცდათერთმეტი სურათი დავითვალე.

— ფროილიან როზა, ხომ არ დამეხმარებით?

იგი მომიახლოვდა და შეხედა სურათების დასტას, რომელიც უკუღმა იდო.

—თუ შეიძლება, გეთაყვა, დაითვალეთ ისინი, მხოლოდ არ გადმოაბრუნოთ!

მან დაიწყო დათვლა, მე ყურადღებით ვადევნებდი თვალს.

—ორმოცდათერთმეტი,—მითხრა როზამ.

სად შეიძლებოდა ყოფილიყო ორმოცდამეთორმეტე?

ნუთუ დავკარგე იგი? თუ ეს ასეა, ალბათ მაშინ მოხდა, როდესაც ჩემი კაბინეტიდან ელჩის მისაღებ ოთახისაკენ მოვდიოდე.

ფოტოგრაფიებიანი საქალაქო ილღიაში ამოვიჩარე, სწრაფად გავაღე კარი და კიბეზე დავეშვი. წინა შესასვლელ კარში კინალამ ელჩს დავეჩახე, მაგრამ არ შევჩერდი და არც არაფერი მითქვამს. ფონ პაპენმა ისე შემხედა, როგორც შეშლილს.

ბაღში ბილიკის ყოველი ღუიმი გადავჩხრიკე, მაგრამ სურათი ვერსად შევნიშნე. სწრაფად წავედი ჩემი კაბინეტისაკენ. შნურხენი წყნარად იჯდა. საწერ მაგიდასთან.

—არაფერი დამიტოვებია აქ? მაგალითად, ფოტოსურათი?

—მე არაფერი მინახავს.

გადავჩხრიკე ჩემი საწერი მაგიდის ყველა ყუთი. მაგიდის ქვეშ ყველაფერი დავათვალიერე, ავწიე ხალიჩა და მის ქვეშ შევიხედე,—არაფერი იყო.

„დადგა ჩემი აღსასრული“.—გავიფიქრე მე.

— რა თქვით? — იკითხა შნურხენმა.

როგორც ჩანს, ხმამაღლა ამოვიკვნესე. მთელი სხეული მიკან-

კალბდა, როდესაც კვლავ გამოვევარდი კაბინეტიდან. ხომ არვის შეეძლო მოეპარა იგი, ვიდრე ჩემი კაბინეტიდან ელჩის მისაღები ოთახისაკენ მივდიოდი. იქნებ ვინმემ უკვე აიღო ფოტოსურათი? ღმერთმა დაგვიფაროს, თუ იგი ჩაუვარდა ისეთ პიროვნებას, რომლის ხელშიც არ უნდა აღმოჩნდეს! მაშ, რაღა ვქნა? ახლავე უნდა ვუამბო ელჩს ყველაფერი.

უეცრად ახალი აზრი მომივიდა—ხომ შეიძლება გავაკეთო სხვა ანაბეჭდი, ნაცვლად დაკარგული სურათისა, და დავდო დანარჩენებთან ერთად. მაგრამ სწრაფად ვუეკუაგდე ეს აზრი და გულდამძიმებული წავჩანჩალდი საელჩოს მთავარი კორპუსისაკენ.

ჭიშკრამდე მისულმა, ერთხელ კიდევ მიმოვიხედე ირგვლივ. ბილიკზე და მის ახლომახლო არაფერი იყო და უცებ იქ... იქ... ალაყაფის კარებთან...

გავიქეცი.

ღიახ, ეს იყო ორმოცდამეთორმეტე სურათი, რომელიც პირუკუ იდო.—თურქი მეკარე მისგან მხოლოდ რამდენიმე ნაბიჯის დაშორებით იდგა, მაგრამ მას არ შეეძლო მისი დანახვა, სურათს ეფარებოდა ნახევრად გაღებულ რკინის ჭიშკარი.

უკანასკნელი ოცი წუთის განმავლობაში აქ, ალბათ, ცოტა ხალხმა ჩაიარა, მაგრამ აქედან რამდენიმე მეტრზე იყო ათათურქის ცნობილი ბულვარი ფეხითმოსიარულეთა უწყვეტი ნაკადით. ქარის ოდნავი დაბერვა და ჩვენი საიდუმლო შეიძლება მთელი მსოფლიოს საკუთრება გამხდარიყო.

ფოტოსურათი ავიღე, ვცდილობდი, რაც შეიძლება გულგრილად დამეჭირა თავი, რადგანაც მეკარე ჩემს მხარეს იხედებოდა. რამდენადმე გაზვიადებული იმავე უღარდულობით სურათი ჭიბეში ჩავიდე. ზრდილობის წესები ხომ უნდა დამეცვა!

ჩემს კაბინეტში დაბრუნებისას მძიმედ ჩავეშვი სავარძელში.

— შნურხენ, გეთაყვა, დამალევინეთ ერთი ჭიქა წყალი!

წყლის დალევის დროს თანდათანობით მოვდიოდი გონს. ფოტოსურათები ხელახლა გადავთვალე—ამჯერად ორმოცდამეთორმეტი იყო,—კვლავ ელჩთან წავედი.

მან ღიმილით მიმიღო. როგორც ჩანს, ფროილან როზამ მოასწრო ეამბნა ჩემი უცნაური საქციელის შესახებ.

—რა შეგემთხვათ ამ დღით, მოიზიშ? შეშლილივით დარბისხართ, კინალამ წამაქციეთ!

—მაპატიეთ, ბატონო ელჩო, მაგრამ იმ მომენტში უცებ გამახსენდა, ერთი ნივთის წამოღება რომ დამავიწყდა.

როგორც ყოველთვის ტაქტიანი, ფონ პაპენი არც ახლა შემეკითხა, რა დაგავიწყდაო, და ეს ჩემთვის ნამდვილი შება იყო.

—გასაგებია, აბა, რას მეტყვით თქვენი კამერდინერის შესახებ? თავიდან მოიშორეთ თუ არა ის ოცი ათასი გირვანქა სტერლინგი? ფროილან როზას სიტყვებიდან მივხვდი, ამ ფულში თქვენ მიიღეთ მობანავე ლამაზი ქალების ფოტოსურათების მთელი კოლექცია.

ელჩი ამ დღით კარგ გუნებაზე იყო.

— ვფიქრობ, თქვენო აღმატებულებავე, რომ თქვენ ისეთივე შომხიბვლელნი მოგეჩვენებათ ჩემი მობანავე ლამაზმანები, როგორებიც მე მომეჩვენენ ისინი. იმ კაცმა ორი კოჭა ფოტოფირი მოიტანა. მათში ორმოცდათორმეტი კადრია, რომლებიც გავამკლავნე და გავადიდე. ვგონებ, მათთვის გადახდილი თანხა სულ არაფრად მისაჩნევია ამ დოკუმენტების მნიშვნელობასთან შედარებით. აი, ისინიც, ბატონო ელჩო.

მე გავუწოდე საქალაღე. გამომართვა და სათვალე გაიკეთა.

—დაუჭერებელია,—ჩაიბუტბუტა მან, როცა პირველ დოკუმენტს გადახედა.

ფოტოსურათების ერთიმეორის მიყოლებით გადაბრუნებისას ფონ პაპენი სულ უფრო და უფრო ღელავდა. მე კი დაძაბული ღამის შემდეგ თავს ძლივს ვიკაეებდი, რომ არ ჩამძინებოდა.

—ღმერთო ჩემო, თქვენ ნახეთ ეს სურათი?

ელჩის ხმამალალმა ხმამ მაიძულა გამოვეცოცხლებულიყავი. ფონ პაპენმა გამომიწოდა ერთ-ერთი დოკუმენტი, რომელშიც დაწვრილებით იყო მოცემული ინგლისის სამხედრო საჰაერო ფლოტის პირადი შემადგენლობის თურქეთში თანდათანობითი შეღწევის შესახებ. ციფრები ძალიან მნიშვნელოვანი იყო, გაცილებით უფრო შესამჩნევი, ვიდრე ჩვენ შეგვეძლო გვეყარაულდა.

—ამაში კარგი არაფერია,—თქვა ფონ პაპენმა.—ბერლინს ეს არ მოეწონება.

შემდეგ ელჩმა წაიკითხა მთელი რიგი ცნობები, რომლებიც ეხებოდნენ საბჭოთა კავშირისათვის იარაღის მიწოდებას (ეს მიწოდება ახლახან დაიწყო ლენდ-ლიზით). ამას, უდავოდ, სერიოზული არევ-დარევა უნდა გამოეწვია ფიურერის ბანაკში.

შემდეგ დოკუმენტში, რომელიც მხოლოდ დიდი ბრიტანეთის ელჩისათვის იყო განკუთვნილი, მოცემული იყო ლონდონის, ვაშინგტონისა და მოსკოვის ურთიერთდამოკიდებულების შეფასება. რუსები დაჟინებით მოითხოვდნენ მეორე ფრონტის გახსნას. როგორც ჩანს, ისინი იტალიურ ლაშქრობას არ თვლიდნენ მნიშვნელოვან წვლილად მოკავშირეთა საერთო საქმეში. ჩანდა, რომ მოსკოვი არათუ მოუთმენლობას იჩენდა; არამედ აეჭვებდა კიდევ თავის მოკავშირეთა ნამდვილი ზრახვები. ეს დოკუმენტი ძალიან მნიშვნელოვანი იყო რიბენტროპისათვის, რომელიც დარწმუნებული გახლდათ „მკრეხელური კავშირის“ გარდუვალ დაშლაში, როგორც ეს მან ერთხელ თქვა.

ფონ პაპენი განაგრძობდა დოკუმენტების გადათვალთვლებას. დროდადრო თავს იქნევდა და ხმამაღლა ამბობდა:

—დაუჯერებელია!.. წარმოუდგენელია!..

როდესაც დოკუმენტების პირველი ზედაპირული გაცნობა დაამთავრა, სავარძელში გადაწვა და ფიქრებს მიეცა. არ გამოუთქვამს არავითარი კომენტარი წაკითხულის ირგვლივ.

—ამგვარად, ბატონო ელჩო, რას ფიქრობთ ამის შესახებ?— გავბედე შეკითხვის მიცემა.

—თუ ეს დოკუმენტები ნამდვილია, მე კი არა მაქვს საფუძველი დავეჭვდე ამაში, მაშინ ისინი უდიდესი მნიშვნელობისაა. მაგრამ ჩვენ უნდა გვახსოვდეს, რომ ყველაფერი ეს მარჯვდ მოწყობილი მახე არ იყოს. დიდი შეცდომა იქნებოდა ინგლისელთა შეუფასებლობა. კამერდინერის მიერ მოტანილი დოკუმენტების შემდგომი პარტია დაგვეხმარება გადაწყვეტოთ, თუ როგორ წარვმართოთ მუშაობა შემდგომში. სიტყვამ მოიტანა და როდის ნახავთ მას ისევ?

—ხვალ, სალამოს ათ საათზე.

—იგი მეტად აჩქარებულად მოქმედებს. იმედი ვიქონი-

ოთ, ყველაფერი კარგად დასრულდება. სად ხედებით მას?

—ბაღში, ინვენტარის ფარდულის მახლობლად. ღობეზე გადმოძვრება ხოლმე, შემდეგ კი ჩემს კაბინეტში მიმყავს.

—ვინ იცის ამის შესახებ?

—არავინ, ბატონო ელჩო, თქვენს, ცოლ-ქმარ ენკებისა და ჩემს გარდა!

—თქვენმა მდივანმა?

—არ იცის,

—შეიძლება მას ვენდოთ?

—სავსებით, ბატონო ელჩო.

ფონ პაპენმა საქალაქადე აიღო და ისევ დაიწყო სურათების გადათვალიერება. მცირე პაუზის შემდეგ თქვა:

— მე ვაპირებ გავცე ბრძანება საიდუმლოს შენახვის უფრო მკაცრი წესების შემოღების შესახებ. უნდა დავიყვანოთ ეს წესები საელჩოს ყოველ თანამშრომლამდე. რადგანაც ინგლისელები ასეთ ხიფათში გაებმენ, არაა გამორიცხული, რომ ეს შეიძლება ჩვენთანაც მოხდეს. ამასთან..

იგი გაიხუმდა. რამდენიმე ხნის შემდეგ დაუმატა:

—ასე რომ, ამის შესახებ უნდა ვაცნობო საგარეო საქმეთა სამინისტროს. მანამდე კი დოკუმენტები ჩემთან კაბინეტში იქნება. თქვენ ამბობთ, ორმოცდათორმეტიო?

ნუთუ მხოლოდ მომეჩვენა, რომ მის თვალეში დაცივნის ნაპერწკალმა გაიელვა? ვიგრძენი, როგორ დამიარა ტანში ჟრუანტელმა უეცარი მოგონებისაგან. სულ ახლახან ისინი ხომ ორმოცდათერთმეტი იყო.

—ღიახ, ბატონო ელჩო, ორმოცდათორმეტიო.

ახლა ელჩმა ფოტოფირის დათვალიერება დაიწყო. რადგანაც არც იგი და არც მე ფოტოგრაფიის სპეციალისტები არ ვიყავით, ამან ჩვენ ვერაფერი მოგვცა.

—ღროა ჩვენი ბავშვი მოვნათლოთ,—ჩაფიქრებით თქვა ელჩმა.—ჩვენს მიმოწერაში რომ ვილაპარაკოთ კამერდინერის შესახებ, მეტსახელი უნდა მივცეთ. რა ვუწოდოთ მას? თქვენ არაფერი მოგიფიქრებიათ?

—არა, ბატონო ელჩო. პიერი ხომ არ ვუწოდოთ? ასე ეძახის იგი თავის თავს, როდესაც ტელეფონით მირეკავს. დარწმუნებული ვარ, ეს მისი ნამდვილი სახელი არ არის.

—არ გამოდგება, ჩემო ბიჭო. თქვენ ძალიან ღარიბი ფანტაზია გაქვთ. ისეთი სახელი უნდა მიეცეთ, რომელიც მასაც არ ეცოდინება. რამდენადაც ეს დოკუმენტები მჭევრმეტყველურად ლაღადებენ ბევრი რაიმეს შესახებ, ვუწოდოთ მას ციკერონი. რას იტყვი ამაზე?

ასე იქნა მეორედ მონათლული დიდი ბრიტანეთის ელჩის ორმოცდაათი წლის კამერდინერი გერმანიის ელჩის მიერ. მას შიილო დიდი რომაელის სახელი. ეწევა თუ არა მას ისეთივე ბედი? არასდროს არ განშიცდია განსაკუთრებული სიყვარული ციკერონისადმი, მაგრამ არ ვისურვებდი მისთვის ბოროტს. პატიოსნად ვცდილობდი, რაც შეიძლება, დიდხანს შემენახა, მისი საიდუმლოება. ისტორიის საკუთრებად დარჩება მხოლოდ ის ფაქტი, რომ იგი მესამე რაიხს აწოდებდა ინგლისის მთავრობის ყველაზე უფრო საიდუმლო დოკუმენტებს. როგორც არ უნდა იყოს მისი ნამდვილი სახელი, შთამომავლობისათვის ცნობილი იქნება ციკერონის მეტსახელით.

უბრალო მსახური და არა პროფესიული ფოტოგრაფი, ციკერონი, ტექნიკური თვალსაზრისით, ბრწყინვალედ იღებდა სურათებს. იგი სარგებლობდა ჩვეულებრივი „ლეიკის“ აპარატით, მაგრამ განსაცვიფრებელი ოსტატობით ფლობდა მას.

ციკერონს ერთხელაც არ უსვრია, არაზინ მოუწამლავს, გარდა თავისი თავისა, არავინ ჩაუგდია ხიფათში, არავინ მოუსყიდია და არაფერი გამოუტყუებია შანტაჟით, როგორც ამას ჩვეულებრივ აკეთებდნენ პირველი და მეორე მსოფლიო ომის პერიოდის ცნობილი ჯაშუშები, თუ მიუდგომლად ვიმსჯელებთ, შეიძლება ითქვას, რომ ოპერაცია „ციკერონი“ უზადოდ იქნა ჩატარებული. პოლიტიკურად კი, როგორც შემდგომ გამოიჩვენა, მან უმნიშვნელო როლი ითამაშა. ინგლისელები ნაკლებად დაზარალდნენ მისგან, უმთავრესად იმიტომ, რომ გერმანიის ხელმძღვანელებმა ვერ შეძლეს გამოეყენებინათ ის უაღრესად მნიშვნელოვანი მონაცემები მოწინააღმდეგის შესახებ, რომლებიც მათ შესთავაზეს.

თუ როგორი ზემოქმედება მოახდინა ოპერაცია „ციკერონმა“ გერმანიის ხელმძღვანელებზე, როგორც პოლიტიკური, ისე სამხედრო თვალსაზრისით, გავიგებთ ამ წიგნში მოთხრობილი შემდგომი ამბებიდან.

დღისით გამოვიძინე, დავისვენე და ისევ მზად ვიყავი შევდგომოდი სამუშაოს. დღის ბოლო მოვანდომე მომავალი ღამისათვის სამზადისს. ვიყიდე „პრაქტიკული სახელმძღვანელო ფოტოგრაფ-მოყვარულისათვის“ და მისი მითითებისდა მიხედვით გავაკეთე გამამყლავნებელი და ფიქსაჟი...

შემდეგ ისევ ელჩთან ვისაუბრე, საუბარს ფონ პაპენის კაბინეტში ენკეც ესწრებოდა. ამ დღეს ბატონმა ფონ პაპენმა სადილამდე და ნასადილევს თავისი დროის დიდი ნაწილი ციკერონის მიერ მოტანილი დოკუმენტების საგულდაგულო შესწავლას მოანდომა. ახლა მას უკვე აღარ ეპარებოდა ეჭვი მათ უტყუარობაში. საგარეო საქმეთა სამინისტროში გაგზავნილ იქნა დაშიფრული დეპეშა, რომლითაც რიბენტროპს გადასცეს პოლიტიკური ხასიათის ყველაზე მეტად მნიშვნელოვანი ცნობები. ცნობები, რომლებიც ნამდვილ სამხედრო ინტერესს წარმოადგენდნენ, უმალღეს სარდლობაში გაგზავნამდე გასაცნობად გადაეცა გერმანელების სამხედრო ატაშეს ანკარაში.

ელჩს, ენკეს და მე გვანტერესებდა ზოგიერთი ტექნიკური საკითხი, რომლებიც ეხებოდა თვით ფოტოგადაღების პირობებს.

უწინარეს ყოვლისა, როგორ მოახერხა უბრალო კამერდინერმა საიდუმლო დოკუმენტებთან მისვლა?

ჰყავდა თუ არა თანაშემწე? იყო თუ არა კიდევ ვინმე ინგლისის საელჩოდან ჩაბმული ამ საქმეში?

როგორ იღებდა კამერდინერი სურათებს?

არჩევდა თუ არა ყველაზე საინტერესოს?

თუ ასეა, რით შეიძლება აიხსნას, რომ ჩვენ მიერ მიღებული დოკუმენტებიდან ზოგიერთი მეტად მნიშვნელოვანი იყო, დანარჩენებს კი შედარებით მცირეოდენი მნიშვნელობა ჰქონდა? იღებდა სურათებს თვით ინგლისის საელჩოში, თუ სხვა რომელიმე ადგილას?

რა არის ციცერონის მოქმედების მოტივი ფულის შოვნის აშკარა მისწრაფების გარდა?

რატომ სძულდა ესოდენ ინგლისელები, რასაც იგი თვით ამტკიცებდა, და როგორ მოახერხა კამერდინერმა ელჩის ასეთი ნდობის მოპოვება?

რატომ მოითხოვდა დაჟინებით გადაეხადათ მისთვის გირვანჯა სტერლინგებით—ვალუტით, რომელსაც შედარებით იშვიათად შეხვდებით თურქეთში და, რასაკვირველია, გაცილებით უფრო ნაკლები გასაყალი ჰქონდა, ვიდრე ოქროსა და დოლარებს?

ლოგიკური იქნებოდა, თუ ვივარაუდებდით, რომ როდესაც კადაწყვიტა შესდგომოდა ამ სამუშაოს, იგი იმედოვნებდა ინგლისელთა დამარცხებას ანდა, შესაძლოა, კიდევ ელოდა მას. ჰაგრამ ამ დამარცხებას თან მოჰყვებოდა ინგლისური ვალუტის ყაუფასურება. მაშინ რატომ მოითხოვდა დაჟინებით გირვანჯა სტერლინგებს?

ყველა ეს შეკითხვა ჩავიწერე, რათა მოგვიანებით გამომერყვია ისინი ციცერონისგან.

თანდათანობით, ჩვენი ნაცნობობის მთელი პერიოდის განსჯელობაში, მან სავსებით სარწმუნოდ უპასუხა ბევრ მათგანზე. მხოლოდ ერთ პუნქტში ვამხილე იგი ტყუილში, როდესაც შევეკითხე, თუ რატომ ლაპარაკობდა ჩემთან ფრანგული ენით, რომელიც ძლიერ ცუდად იცოდა. მაშინ, როდესაც მას, როგორც დიდი ბრიტანეთის ელჩის კამერდინერს, თავისუფლად უნდა სცოდნოდა ინგლისური ენა. მან უარყო, ინგლისური ენა არ ვიცო. მე ეს უცნაურად და საეჭვოდ მომეჩვენა. მოგვიანებით ჩემი ეჭვები გამართლდა—ციცერონმა მომატყუა.

ზუსტად ათზე მივედი ბალში, ფარდულთან. ციცერონი უკვე იქ იყო. როგორც ძველ მეგობარს, ისე შემხვდა და მკითხა, ყველაფერი რიგზეა თუ არაო, მოწონებულია თუ არა წინა და-



მით ჩემ მიერ მოტანილი დოკუმენტებიო. მე დაჯამებული იგი.

როდესაც ჩემს კაბინეტში მოვედი, კარები ჩავკეტე. ისევე როგორც ენკეს სახლში, ციცერონმა ყოველგვარი გამაფრთხილებელი ზომები მიიღო, გვერდზე გასწია გრძელი ფარდები და დარწმუნდა, რომ არეინ უგდებდა ყურს. თითქოს არ ჩქარობდა. საწერ მაგიდასთან დავჯექი, იგი კი—ჩემ პირდაპირ მისთვის მომზადებულ სკამზე. მე ყოველივე ამის გაკეთების უფლება მივეცი მას. მაგიდაზე იდგა ვისკიანი გრაფინი და სიგარეტები. ეწყო. ჩემმა თურქმა მზარეულმა ქალმა დღისით ინახულა ერთ-ერთი თავისი მეგობარი ქალი ინგლისის საელჩოში და სამი ბოთლი რეინვეინი ერთ ბოთლ შოტლანდიურ ვისკიზე გადაცვალა.

ციცერონმა თავისთვის ღვინო დაისხა, შემდეგ კი საწერ მაგიდაზე ორი კოჭი ფოტოფირი დადო. ავიღე ისინი და საწერი მაგიდის ყუთში ჩავკეტე. ახლა საჭირო იყო ამეხსნა მისთვის, რომ ახლა მე არ მქონდა ფული ინგლისური ვალუტით, მაგრამ უახლოეს მომავალში მას გამოგზავნიდნენ ბერლინიდან. ცოტა არ იყოს, ვწუხდი, თუ როგორ მიიღებდა იგი ამას. მაგრამ მან შემაწყვეტინა:

—არაფერია, ოცდაათ ათას გირვანქა სტერლინგს ამ ორ ფოტოფირში სხვა დროს მომცემთ. თქვენ ხომ თვით ხართ დაინტერესებული, რომ მე კმაყოფილი ვიყო. მე გენდობით და ერთხელ კიდევ მოვალ.

სასიამოვნო იყო აღიარება იმისა, რომ ჩემი სიტყვა ოცდაათი ათასი გირვანქა სტერლინგი ღირდა. ახლა თითქმის ეჭვი არ მეპარება, რომ მაშინ მას უფრო მეტად სწამდა თავისი საქონლის ფასი, ვიდრე რომელიღაც მისთვის ნაკლებად ცნობილი ატაშეს დაპირება.

მისი სადღეგრძელო შევსვი, ძლიერ თავაზიანად უპასუხა ჩემს სადღეგრძელოს.

—გუშინ ღამით საერთოდ განვცვიფრდი თქვენი ნამუშევრის ტექნიკური სრულყოფით,—ვუთხარი მე და მოურიდებელი საუბრის კილოზე გადავედი.—თქვენ მარტო მუშაობთ თუ თანაშემწე გყავთ? მაგრამ როგორც არ უნდა მუშაობდეთ, სრულიად ნათელია, რომ ბრწყინვალე ფოტოგრაფი ხართ.

—უკვე დიდი ხანია, რაც ფოტოგრაფიას მივსდევ. არავინ მებმარება. ყველაფერს თვითონ ვაკეთებ.

—სად აკეთებთ—საელჩოში თუ კიდეც სადმე?

—რასაკვირველია, საელჩოში...

—ქლიერ მაინტერესებს როგორ იღებთ სურათებს და როდის?

—განა თქვენთვის საკმარისი არ არის, რომ მომაქვს დოკუმენტები?—უეცრად გაბრაზებით იკითხა მან.—შესაძლოა, როდისმე გიამბოთ ამის შესახებ, მხოლოდ ახლა არა.

აშკარა იყო, დღეს მეტს ვერაფერს ვათქმევინებდი. წასვლისას მთხოვა მეშოვა მისთვის ახალი ფოტოაპარატი.

—მე ფოტოგადაღებას გერმანული „ლეიკით“ ვეწევი,— მითხრა მან,—რომელიც ერთ მეგობარს გამოვართვი. მაგრამ მალე უნდა დავუბრუნო. კარგი იქნება, თუ მას ბერლინიდან გამოგზავნიან, რადგან, შესაძლოა, ვინმე ეწევა აქ, ანკარაში, გაყიდული ფოტოაპარატების აღრიცხვას.

როგორც ჩანს, მან ყველაფერი აწონ-დაწონა: მაგრამ მისმა ნათქვამმა ვერ დამაკმაყოფილა—მე მაინც ვერ გავიგე, თუ როგორ მუშაობდა იგი. მაგრამ ჭერჭერობით უნდა დავგეჭვებინა, რომ მარტო მუშაობდა და ამის შესახებ არავინ არაფერი იცოდა.

ჩემთან თითქმის შუალამემდე დაჰყო.

—კვლავ როდის შევხვდებით?—ვკითხე მე.

—დაგირეკავთ, როდესაც რაიმე ახალი მექნება, მაგრამ საელჩოში აღარ მოვალ. ეს მეტად სარისკოა. ჩვენ შევხვდებით ქალაქის ძველ ნაწილში რომელიმე ბნელ ქუჩაზე. თქვენ, რასაკვირველია, გაქვთ ავტომანქანა?

თანხმობის ნიშნად თავი დავუქნიე.

—სჯობდა, თუ შეხვედრის ადგილს დღეს საღამოსთვის შევათანხმებთ. ისეთი ადგილი შევარჩიოთ, სადაც თქვენთვის საჭირო არ იქნება გაჩერება. საერთოდ ნელა წაიყვანთ მანქანას, ჩამქრალი ფარებით. დათქმულ ადგილზე მიახლოებისას გახლებთ მანქანის კარს, მე კი შიგ შევხვტები, თუ ქუჩაში კიდეც ვინმე იქნება, მიიღეთ ისეთი შეხედულება, თითქოს ვერ მამჩნევთ, კვარტალს გარს შემოუვლით და მე წამიყვანთ, როცა ქუჩა დაცარიელდება. კარგი იქნება, თუ ახლავე პირდაპირ

წავალთ ქალაქში და ჩვენი შეხვედრის ადგილს დავადგენთ.

—აი, კიდევე რა,—განაგრძობდა იგი, როდესაც უკვე მინდოდა წასვლა მანქანისთვის,—იმ შემთხვევისათვის, თუ ჩვენს ლაბარაკს ტელეფონში მოისმენენ (ყველაფერი ხდება ჩვენს დროში), მე ყოველთვის დავასახელებ დროს ოცდაათხი საათით უფრო გვიან, ვიდრე სინამდვილეში მაქვს განზრახული. თუ, მაგალითად, გეტყვით, გიცდით ბრიჯის სათამაშოდ რვა რიცხვში ამა და ამ დროს-მეთქი, ეს ნიშნავს, რომ გელოდებით შვიდში, იმავე დროს. ასე უფრო უშიშრად ვგრძნობ თავს.

ღიახ, მგონი, რომ ყველაფერი ნამდვილად აწონ-დაწონა.

მე მანქანის მოსაყვანად წავედი, ციცერონი კი კაბინეტში დარჩა. ისე მოხდა, რომ ჩემი საკუთარი ძველი „მერსედესი“ იმ დროს სარემონტოდ იდგა და მანქანა დროებით ჩემს მეგობარს გამოვართვი, ეს იყო ახალი, დიდი „ოპელი“, მსგავსი მრავალრიცხოვანი ამერიკული ავტომობილისა, რომლებითაც დიპლომატიური კორპუსის წევრები დადიოდნენ. რამდენიმე დღის შემდეგ ვიყიდე ეს მანქანა—იგი ჩვენი მიზნებისათვის ძლიერ მოსახერხებელი აღმოჩნდა. დღისით განვაგრძობდი სიარულს ჩემი ძველი „მერსედესით“, რომელსაც კარგად იცნობდნენ ანკარაში.

როდესაც იმ დამეს „ოპელით“ საელჩოს მიუუახლოვდი, ციცერონი უკანა საჯდომზე დაჯდა და სარკმელებს საგულდაგულოდ ჩამოათარა ფარდები. მისი მითითებების მიხედვით, მანქანა ქალაქის ძველ ნაწილში მიმყავდა. დაბოლოს, მთხოვა მანქანა გამეჩერებინა უკაცრიელ ადგილზე ორ სახლს შორის.

—აქ იქნება ჭერჭერობით ჩვენი შეხვედრის ადგილი,—მითხრა მან.

შევეცადე დამემახსოვრებინა ეს ადგილი. იგი გზაჯვარედინის მახლობლად მდებარეობდა და ადვილად შეიძლებოდა მისი მიგნება. ციცერონმა ისევ გამოამჟღავნა დიდი შორსმკვრეტელობა.

—ახლა კი არ წამიყვანთ ინგლისის საელჩოში?

—სად?—ჩავეკითხე მე.

—ინგლისის საელჩოში, კანკაიაში.

ვიფიქრე, არასწორად გავიგონე-მეთქი.

—თქვენ გსურთ, რომ ინგლისის საელჩოში მიგიყვანოთ?

—რატომაც არა? მე იქ ვცხოვრობ.

„სარისკოა“,—გავიფიქრე მე, მაგრამ არაფერი მითქვამს და წინ წავედით. მანქანა ბრწყინვალე მდგომარეობაში იყო, მსუბუქად მიდიოდა ციცაბო აღმართზე, ქალაქის ახალი ნაწილისაკენ, სადაც საელჩოთა უმრავლესობა იყო განლაგებული.

ცის მუქ ფონზე უკვე კარგად შეიძლებოდა ინგლისის საელჩოს ორი დიდი შენობის სილუეტთა გარჩევა, კიდევ ერთი მოკლე პირდაპირი გადასარბენი, შემდეგ ციცაბო მოსახვევი და რამდენიმე წამის შემდეგ საელჩოს მთავარ ჭიშკართან ვიქნები, უეცრად გამიელვა აზრმა, ეს ხაფანგი ხომ არ არის-მეთქი. მაგრამ აღრე, ვიდრე კუთხემდე მივიდოდით, უკნიდან მომესმა ციცერონის ხმა:

—ახლა ნელი სვლით წადით, მაგრამ არ გაჩერდეთ.

ამჩქარებელიდან ავიღე ფეხი. კუთხეს შემოვუარეთ და საჭირო გზისაკენ ყურადღებით გავიხედე. გავიგონე, უკანა კარმა სუსტად გაიტკაცუნა, შემდეგ კი თითქმის უხმაუროდ ჩაიკეტა. უკან მოვიხედე: ციცერონი აღარ იყო.

რამდენიმე წუთის შემდეგ მანქანა გერმანიის საელჩოს წინ გავაჩერე. როგორც ჩანს, ყველას ეძინა. საელჩოს შენობა მთლიანად სიბნელეს მოეცვა, მხოლოდ ენკეს ბინაში ჯერ კიდევ ენთო სინათლე. ვიცოდი, რომ ისინი სალამოს წვეულებას აწყობდნენ. ეს მეტად დროული იყო. თურქმა მეკარემ, რომელმაც კარები გამიღო, ალბათ, ერთ-ერთ სტუმრად მიმიღო.

ჩავედი ქვევით, ფოტოლაბორატორიაში, ხელში ახალი ფოტოფირის კოჭები მეჭირა.

„პრაქტიკული სახელმძღვანელო ფოტოგრაფ-მოყვარული-სათვის“ ძლიერ გამოსადეგი აღმოჩნდა. ერთი საათის შემდეგ თოკზე ელექტრულ გამათბობელსა და ვენტილატორს შორის უკვე შრებოდა ორი სველი ფირი.

ამჯერადაც ფოტოგრაფიები უზადოდ იყო შესრულებული. ცნობისმოყვარეობისაგან ვიწვოდი, აღელვებულმა ავიღე გამადიდებელი მინა და შევეცადე რაიმე ამომეკითხა ჯერ ისევ სრულიად სველ ფირზე. მაგრამ თითქმის არაფერი ჩანდა—საჭირო იყო ცდა, ვიდრე ფირები გამაგრდებოდა. ოთახი ჩავკეტე და ბნელ ბაღში გავედი.

თუმცა თითქმის ღამის-ორი საათი იქნებოდა, ენკეს ბინაში

სინათლე მაინც ენთო. წავედი მათთან და ვთხოვე მოეცათ მაგარი ყავა. ორ მაგიდაზე პოკერის თამაში გაეჩაღებინათ. ენკეს სურდა ახალი ამბების გაგება და სასტუმრო ოთახის წყნარ კუთხეში გამიყვანა.

ვუამბე, ციკერონი ისევ იყო ჩემთან და ფოტოლაბორატორიაში ორი ახალი ფირი შრება-მეთქი. მას სურდა გაეგო ახალი დოკუმენტების შინაარსი, მაგრამ შემეძლო მხოლოდ იმის თქმა, ნიშანდადებულია გრიფით „სრულიად საიდუმლოდ“-მეთქი. დაწვრილებითი ამბების გაგება მხოლოდ დილით შეიძლებოდა.

რადგან იაპონიის ელჩი შინ აპირებდა წასვლას, ხოლო მის მაგიდაზე მოთამაშე სტუმრებს არ სურდათ თამაშის შეწყვეტა, მომიხდა მისი ადგილის დაკავება, მაგრამ ვერაფრით შევეელი ყურადღება მომეკრიფა თამაშში და სულ იმ ახალ საიდუმლოებებზე ვფიქრობდი, რომლებიც ფოტოლაბორატორიაში მელოდნენ. ან. არადა—როგორ შემეძლო მეფიქრა ჩემი პარტნიორის კარტის შესახებ, როდესაც გართული ვიყავი გაცილებით უფრო საინტერესო თამაშით.

ღამის სამი საათისათვის სადამო დამთავრდა. დრო იყო დავბრუნებოდი ჩემს სამუშაოს. არავის შეუმჩნევია, რომ საელჩოს შენობაში დავრჩი, და სხვებთან ერთად გარეთ არ გავსულვარ.

ფოტოლაბორატორიაში დაბრუნებულმა ვნახე, რომ ორივე ფირი გამშრალიყო და მაშინვე შევეუდექი მათ დაბეჭდვას. დილის ექვსი საათისათვის ჩემს მაგიდაზე უკვე ორმოცი სურათი იდო ინგლისური საიდუმლო დოკუმენტებით. რვა საათისათვის სახელდახლოდ გავეცანი მათ შინაარსს.

შემდეგ დოკუმენტები სეიფში ჩავკეტე და, ბაღში გამავალი უკანა კარით, საელჩოდან გამოვედი. ორი უძილო ღამის შემდეგ სასიამოვნო იყო დილის გამამხნევებელი ჰაერის სუნთქვა.

როდესაც შინ მოვედი, ცოლი ახალი ამდგარი იყო, იგი მავედრებელი თვალებით შემხვდა. ძნელი არ იყო მისი აზრების ამოკითხვა.

—სამუშაო, ძვირფასო, მხოლოდ სამუშაო! მე მთელი ღამის განმავლობაში საელჩოში ვმუშაობდი, თუ არ ჩავთვლი

რამდენიმე პარტია პოკერს, რომელიც ენკესთან ვითამაშეთ. კმაყოფილი ხარ?

ვფიქრობ, იგი ყველაფერს მიხვდა. რაც შემეხება მე, მხოლოდ ძილი მსურდა. დავწეჭი და ვთხოვე, თერთმეტ საათზე გამაღვიძე-მეთქი. ჩემს საქალაქში ორმოცი ახალი დოკუმენტი იღო. მათ შორის იყო პირველი ოქმი მოსკოვის კონფერენციისა, რომელსაც ესწრებოდნენ იდენი და კორდელ ჰელი.

კონფერენციაზე განხილული საკითხები ისეთი საიდუმლო ხასიათისა იყვნენ, რომ უიტსონ ჩერჩილს შეეძლო მათ შესახებ ლაპარაკი მხოლოდ თემთა პალატის დახურულ სხდომაზე.

ჩემს ყოველდღიურ მუშაობას შემდგომი ორი კვირის განმავლობაში ძირითადად წარმოადგენდა ბერლინისათვის შეტყობინებათა შედგენა და დაშიფრვა. მალე სრულიად გამომელია ძალ-ღონე, რადგანაც საიდუმლოების შენახვისათვის მიხედვებოდა თვით შემესრულებინა ის სამუშაო, რომელსაც ჩვეულებრივ პირობებში საელჩოს სხვა მოსამსახურენი ახორციელებდნენ.

ბევრ საზრუნავს მიმატებდა ბერლინი, რომელიც ციცერონის შესახებ შეკითხვების გრძელ სიებს მიგზავნიდა, და რომლებზეც სასწრაფოდ უნდა გამეცა ამომწურავი პასუხი. მხოლოდ ნათელმხილველს, რომელიც, სამწუხაროდ, მე არ ვიყავი, შეეძლო ეპასუხა ამ კითხვების უმრავლესობაზე.

ბერლინი ისევ და ისევ ითხოვდა ზუსტ მონაცემებს ციცერონის ნამდვილი სახელის, დაბადების ადგილისა და წარსულის შესახებ. განა ამას ჰქონდა რაიმე მნიშვნელობა? მნიშვნელოვანი იყო თვით მასალა, რომელიც მას ჩვენთვის მოჰქონდა. პირადად მე ციცერონ-პიერის ნამდვილი სახელი არ მაინტერესებდა.

ამ უსასრულო შეკითხვებიდან მხოლოდ რამდენიმე იყო ლოგიკური და სრულიად გამართლებული, და სწორედ მათზე ვცდილობდი მიმეცა ყველაზე ზუსტი პასუხი. ბერლინში ამას ჭეროვნად იღებდნენ და მაინც არ მასვენებდნენ ახალი შეკითხვებით. მე ხომ არ შემიძლო ციცერონთან დაკავშირებაც კი, რათა გამომერკვია ისინი, უნდა დამეცადა, ვიდრე იგი ისევ დამირეკავდა, ეს კი მის წარმატებებზე იყო დამოკიდებული.

ბერლინიდან ბრალს მდებდნენ, რომ მე ვერ შევძელი მომეფიქრა ციკერონთან კავშირის სხვა საშუალება.

„ვთქვათ, იგი აღარ გამოცხადდა თქვენთან. მაშინ რა უნდა გააკეთოთ?—მეკითხებოდნენ ისინი. ასეთ შემთხვევაში ოპერაცია „ციკერონი“ დამთავრდება“,—უპასუხოვდი მე. მაგრამ სრულიად აშკარა იყო, რომ ვიდრე ციკერონს ჰქონდა ფულის გამოძალვის საშუალება და ვიდრე მას შეეძლო ინგლისის საიდუმლო დოკუმენტების შოვნა, იგი ჩვენთვის იმუშავებდა. მაგრამ თუ რაიმე მიზეზებით ინგლისის ელჩის კამერდინერი ვერ შეძლებდა კიდევ მოეტანა მასალები, მაშინ ფასდაუდებელი წყარო ინფორმაციისა დაშრებოდა და არავითარი ჩემი ძალა, მესამე რაიხის ვერავითარი სიმდიდრე ვერ გამოასწორებდა მდგომარეობას. ყველაფერი ეს სავსებით ლოგიკური იყო. დარწმუნებული ვიყავი, რომ ჭერკეობით არც ერთი შეცდომა არ დამიშვია. მაგრამ ბერლინში ამას სხვაგვარად უყურებდნენ.

ოპერაციისადმი განსაკუთრებული ინტერესი გამოიჩინა კალტენბრუნერმა, რომელიც ახლახან იყო დანიშნული მთავარი საიმპერიო საზოგადოებრივი უშიშროების სამმართველოს უფროსად. სამმართველო წარმოადგენდა გერმანიის საიდუმლო სამსახურის იმ ნაწილს, რომელსაც საგარეო საქმეთა სამინისტრო კონტროლს არ უწევდა. ამ ვრცელი აპარატიდან ჩვენთან ყოველდღიურად მოდიოდა სხვადასხვა შეკითხვა. ახლა ოპერაციაში ჩაბმული იყო, ალბათ, არანაკლები თორმეტი სხვადასხვა დაწესებულება. სრულიად უმიზნოდ ამ საქმეში ჩაბმული იყო ათობით ყბედი ადამიანი.

ერთხელ, როდესაც განსაკუთრებულად ვიყავი დატვირთული, ბერლინიდან მოვიდა კიდევ ერთი შეკითხვა, რომელშიც ბრალს მდებდნენ, რომ ჭერ კიდევ ვერ გამოვარკვიე ციკერონის ნამდვილი სახელი, მისი ასაკი და დაბადების ადგილი. ბრაზმორეულმა ვუპასუხე: „ჭერ კერობით არ ძალმიძს დავადგინო ნამდვილი სახელი. შესაძლოა, ზუსტად დავადგინო და ა. შ. თუ მივმართავ უშუალოდ ინგლისის საელჩოს. თუ ასეთი მოქმედება სასურველია, გთხოვთ გამომიგზავნოთ წერილობითი მითითება“.

ამის შემდეგ მე უკვე აღარ ვიღებდი შეკითხვებს ციცერონის ნამდვილი სახელის გასაგებად.

იმ დღეებში მხოლოდ ციცერონის საქმით ვიყავი გართული. ნოემბრის პირველ რიცხვებში მოხდა მოვლენა, რომელიც ახლაც საკმაოდ მნიშვნელოვნად მიმაჩნია. ჩვენ გვაცნობეს, რომ ეს საკმაოდ უცნაური შემოვლითი გზა იყო. რუსეთიდან გამომგზავრებული ერთი დიპლომატი ვაშინგტონისა და სტოკჰოლმის გავლით ანკარაში ჩამოდიოდა. ამბობდნენ, მას დავალებული აქვს მოსინჯოს რუსებსა და გერმანელებს შორის ურთიერთგაგების შესაძლებლობაო. მე მიბრძანეს გამომეძებნა რაიმე ხერხი მასთან კონტაქტის დასამყარებლად, როგორც კი იგი ანკარაში ჩამოვიდოდა.

რასაკვირველია, ეს იყო ყველაზე საჩოთირო დავალება, რომელიც მხოლოდ შეიძლებოდა მიეცათ იმ დროს გერმანელი დიპლომატიისათვის თურქეთში. უდავოა, უბრალო ჭორსაც რუსებსა და გერმანელებს შორის ურთიერთგაგების დამყარების შესახებ, ისეთი შედეგები მოჰყვებოდა, რომელიც სრულიად შეუძლებელი იყო წინასწარ გამოგეცნოთ.

მაგრამ იდუმალი რუსი არც კი ჩამოსულა ანკარაში. შესაძლოა, მისი ჩამოსვლა სრულიადაც არ იყო ნავარაუდები—ქნელი სათქმელია. მაშინ ბევრი ამის მსგავსი „ჭორები“ დადიოდა. მხოლოდ ერთი რამ არ იწვევდა ეჭვს: რუსები დაჟინებით მოითხოვდნენ მეორე ფრონტის გახსნას, ხოლო ჩერჩილი ცდილობდა დაერწმუნებინა ისინი, რომ ეს ჭერჯერობით შეუძლებელიაო, დასავლეთ და აღმოსავლეთ მოკავშირეებს შორის დამოკიდებულება უაღრესად ცივი იყო. ყველაფერი ეს ჩვენთვის ცნობილი იყო, რასაკვირველია, ციცერონის წყალობით. ოთხ ნოემბერს ბერლინიდან ჩამოვიდა სპეციალური კურიერი. როდესაც მან ჩემგან ხელწერილი მიიღო, გამომიწოდა პატარა ჩემოდანი. მე გავხსენი იგი და დავინახე, რომ პირამდე სავსე იყო ინგლისური ქაღალდის ფულით—ორასი ათასი გირვანქა სტერლინგით. ყველა დასტას ეწერა: „ციცერონისათვის“.

მეორე დღეს, ხუთ ნოემბერს, ისე მოხდა, რომ მე არ ვიყავი კაბინეტში, როდესაც ტელეფონზე დარეკეს. შნურხენმა უპასუხა. მოგვიანებით მან გადმომცა, ვინმე ბატონი პიერი



გიწევთ ბრიყის სათამაშოდ ექვს ნოემბერს სალამოს ცხრა საათზეო.

„ესე იგი დღეს სალამოს“, — გავიფიქრე მე, მახსოვდა რა განსხვავება ოცდაოთხი საათისა, როგორც ჩვენ შევთანხმდით.

ნასადილევს გარაჟიდან ვეებერთელა „ოპელი“ გამოვიყვანე, დავიწყე მოტორის მომართვა, მაგრამ აღმოვაჩინე, რომ კარბურატორი წესრიგში არ იყო. გამალებით შევუდექი რემონტს. სამუშაო რთული იყო და მეშინოდა არ დამგვიანებოდა დათქმულ შეხვედრაზე. ვაითუ ციცერონმა მეტად აღარ დარეკოს-მეთქი.

გავიტანჯე, მაგრამ ცხრა საათამდე რამდენიმე წუთით აღრე მოტორი ამუშავდა. გათხუზნული სახითა და ხელებით დაეჯექი საქვსთან და მანქანა ზღვრული სისწრაფით წავიყვანე. გვერდით მედო პაკეტი ოცდაათი ათასი გირვანქა სტერლინგით, რომელიც უნდა გადამეცა ციცერონისათვის ორი უკანასკნელი ფოტოფარისათვის.

რამდენიმე წუთის დაგვიანებით ბნელ ქუჩაში შევუხვებო, სადაც ჩვენ უნდა შევხვედროდით.

წინ, მანქანიდან ასიოდე მეტრის დაშორებით, უცებ ვილაცამ ორჯერ მომცა სიგნალი ელექტროფარნით. ეს მხოლოდ შეიძლებოდა ციცერონი ყოფილიყო. ეს სრულიად ზედმეტი სიგნალების მოცემა უგუნურებად მომეჩვენა, მაგრამ ციცერონს, როგორც ჩანს, უყვარდა საბავშვო სპექტაკლების გათამაშება. საერთოდ მისგან ყველაფერი მოსალოდნელი იყო.

ახლა ნელა მივდიოდი. უკანა კარების გაღებისას კარგად დავინახე იგი ჩამქრალი ფარების სინათლეზე. კატასავით მარდად ამოხტა ციცერონი ნელა მიმავალ მანქანაში. მას წინა სარკეში ვხედავდი.

— ქალაქის ახალი ნაწილის მიმართულებით წადით. მე მალე ჩამოვალ.

ჯერ კიდევ კარგად არ ვიყავი მანქანის მართვას დაუფლებული, პედალს ფეხი მთელი ძალით დავაჭირე. მანქანა ადგილიდან მოწყდა. მივდიოდი ქუჩებსა და შესახვევებში, რომლებიც წინათ არასდროს მინახავს. უკან მოხედვისას დავრწმუნდები, რომ არავინ მოგვდევდა. ციცერონი მითითებებს მაძლევდა:

—ახლან მარცხნივ... პირდაპირ... მარჯვნივ...

ზუსტად ვასრულებდი მის მითითებებს. შემდეგ გავიგონე მისი ხმა:

—მოიტანეთ ოცდაათი ათასი გირვანქა სტერლინგი?

—ღიახ!

—კიდევ ერთი ფირი მოგიტანეთ. თქვენ კმაყოფილი დარჩებით.

მან გადმომცა გაზეთში შეხვეული კოჭა. დავმალე იგი ჯიბეში და ზურგსუკან გადავეცი პაკეტი ფულით. სარკეში შევნიშნე, რომ ფული ხელში რამდენიმე წამს გააჩერა, ეტყობა, შეეკოყმანდა, ალბათ, ფიქრობდა, დაეთვალა თუ არა. ბოლოს უბრალოდ ჩაიჩარა იგი პალტოს ქვეშ. სახის გამომეტყველების მიხედვით, იგი ზეიმობდა.

ახლა მე შევუხვებე ულუსმადიდანზე—ანკარის მთავარი მოედნისკენ. იმ დროისათვის ანკარის ქუჩები მეტად არათანაბრად იყო განათებული. ძველი კვარტალები დედაქალაქის გარეუბნებში სიბნელეს მოეცვა, ხოლო ახალი ქალაქის მთავარი ქუჩები სინათლისგან კაშკაშებდნენ, როგორც პიკადილი! ანდა ფრიდრიჰშტრასე<sup>2</sup> მშვიდობიანობის დროს.

ულუსმადიდანზე მანქანის ღივით ქუჩის ფანრების კაშკაშა სინათლე შემოიჭრა. უკანა დასაჯდომის კუთხეში მიკუნჭულმა ციციერონმა პალტოს საყელო აიწია და ფართოფარფლებიანი ქუდი თვალებზე ჩამოიფხატა. თურმე, კარბურატორის შეკეთებით გართულს, დამავიწყდა გვერდითი ფარების ჩამოფარება.

—ღვთის გულისათვის, აქედან სწრაფად გაემგზავრეთ,— ნერვულად ჩაიჩურჩულა მან.

მოვუმატე სისწრაფეს, დაახლოებით ასი მეტრი გავიარე და ბნელ შესახვევში შევუხვებე. ზურგსუკან მომესმა, როგორ შევებით ამოისუნთქა მან. ორჯერ ნელ-ნელა შემოვუარეთ დიდ კვარტალს. მინდოდა ციციერონი საუბარში ჩამება.

—რამდენიმე შეკითხვა უნდა მოგცეთ. ბერლინს სურს იცოდეს თქენი სახელი და ეროვნება.

ჩამოვარდა წუთიერი დუმილი, მანქანა უხმაუროდ განაგრძობდა სვლას ბნელ, ვიწრო ქუჩაზე.

<sup>1</sup> მოედანი ლონდონში.

<sup>2</sup> ქუჩა ბერლინში.

—არც თქვენ, არც მათ ეს არ გეხებათ. ჩემს სახელს არ გაგიმხელთ, თუ თქვენ ნამდვილად გსურთ მისი გაგება—თავად გაიგეთ, მაგრამ იცოდეთ, არ გაებათ ხაფანგში. შეგიძლიათ ბერლინის აცნობოთ მხოლოდ ის, რომ თურქი კი არა, ალბანელი ვარ.

—ერთხელ მიიხარით, ინგლისელები მძულსო. ხომ არ მეტყვიით—რატომ? ისინი ცუდად გეპყრობიან? თუ არის სხვა რაიმე მიზეზი?

დიდხანს დუმდა. ერთხელ კიდევ შემოეუარე კვარტალს. ალბათ, ამ შეკითხვამ გააბრაზა იგი და ბოლოს დაძაბულად მიპასუხა:

—მამაჩემი ინგლისელებმა დახვრიტეს.

სიბნელეში არ შემეძლო მისი სახის გამომეტყველების დანახვა. მაგრამ ახლაც კი, მრავალი წლის შემდეგ, ისევ მესმის. თუ როგორ წარმოთქვა ციცერონმა ეს. მახსოვს, ღრმად მომხვდა გულზე. შესაძლოა, მას ამოძრავებდა უფრო კეთილშობილური გრძნობა, ვიდრე ფულის უბრალო სიხარბე? პირველად ვიგრძენი ამ აღამიანისადმი წუთიერი სიმპათია.

მეტი შეკითხვა მისთვის აღარ მიმიცია. ალბათ, იგიც არ იყო განწყობილი საუბრისათვის. ფიქრებში ჩაძირულმა, უნებლიეთ მივაბრუნე მანქანა უკან, ანკარის მთავარი ქუჩისაკენ. მხიარული და ხმაურიანი დღისით, მიყრუებული ღამით, იგი ახლა ფარნების კაშკაშა სინათლით იყო გაჩირალდებული.

ციცერონმა ცივად ჩაილაპარაკა:

—ჯერ მარჯვნივ შეუხვიეთ, შემდეგ მარცხნივ.

მე გავაკეთე ისე, როგორც მან მიმითითა, და უცებ ჩემს მხარზე მისი ხელი შევიგრძენი.

—გთხოვთ შეანელოთ სვლა... ნახვამდის!

გავიგონე, როგორ ჩუმად გაიტკაცუნა კარმა. საელჩოსკენ მოვბრუნდი.

ღამის ორი საათისათვის დავამთავრე სამუშაო. ამჯერად იყო მხოლოდ ოცი სრულიად საიდუმლო ინგლისური დოკუმენტი. ზოგიერთ მათგანს რამდენიმე საათის შემდეგ უნდა გაეკვირვებინა გერმანელთა ელჩი.

შინ დავბრუნდი და ათ საათამდე მეძინა.

როდესაც ფონ პაპენის კაბინეტში შევედი (ეს იყო თორმეტ

საათზე) და გავუწოდე ფოტოსურათებთან ერთად ციცირონ-თან წინა ღამით შეხვედრის მოხსენება, მან გადმომცა ბერლი-ნიდან მიღებული განკარგულება. იგი ხელმოწერილი იყო საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის ფონ შტეენგრატის მიერ მიბარებდნენ ბერლინში მასთან შესახვედრად. თან უნდა წამე-ლო მთელი მასალა, რომელიც ჩვენ ციცირონმა მოგვიტანა,— როგორც ფირები, ისე დაბეჭდილი სურათები. ჩემთვის და-ტოვებული იყო ადგილი თვითმფრინავში, რომელიც სტამბუ-ლიდან 8 ნოემბერს დილით მიფრინავდა.

ამრიგად, ხვალ, 7 ნოემბერს, ანკარიდან საღამოს მატარებ-ლით უნდა გავმგზავრებულიყავი.

უკვე ღამდებოდა, როდესაც სტამბულის ექსპრესში ვიჯექი. გერმანიის დიპლომატიური სამსახურის წესები მოითხოვენ, რომ დიპლომატმა, რომელსაც თან მოაქვს ოფიციალური დო-კუმენტები, პირველი კლასის საწოლი ვაგონის ცალკე კუბე უნდა დაიკავოს, მაგრამ მე ვერ შევიძელი მისი მიღება. გზა ისეთი გადატვირთული იყო, რომ, ჩვეულებრივ, პირველი კლასის საწოლ ვაგონებში ბილეთები რამდენიმე დღით ადრე იყიდებოდა, ამიტომ მომიხდა ამელო მეორე კლასის ვაგონის ბილეთი, ეს კი ნიშნავდა, რომ ჩემს კუბეში კიდევ ვინმეს უნ-და ემგზავრა.

ჩემი თანამგზავრი ორმოციოდე წლის მამაკაცი აღმოჩნდა. როდესაც კუბეში შევედი, იგი უკვე იქ იყო. თავაზიანად მი-ვესალმე, ასევე მომესალმა იგიც. ომის დროს ანკარაში მი-ღებული არ იყო ჩაბმულიყავით ლაპარაკში უცნობ ადამიანებ-თან შემთხვევითი შეხვედრის დროს—ბოლოს და ბოლოს, ჩემი თანამოსაუბრე შეიძლება მტერიც ყოფილიყო. თუ ადამიანები ერთმანეთს ხვდებოდნენ, ასეთ გარემოებაში უკეთესი იყო სიჩუმე.

ჩვენ ჩვენს კუთხეებში ვისხედით, მე ვკითხულობდი, იგი კი ფანჯრიდან გაჰყურებდა ფართო, ბნელით მოცულ ვრცელ დაბლობს; შემდეგ ვაგონ-რესტორანში გავედი, თან მაგრად მეჭირა ხელში ძვირფასი შავი პორტფელი, ხოლო როდესაც დავბრუნდი, ჩემი თანამგზავრი ვაგონის გამცილებელს ელაპა-რაკებოდა. მე მომესმა ინგლისური სიტყვები.

ინგლისელთან ერთად ერთ კუბეში მგზავრობის პერსპექ-

ტივა ისეც არ მაძლევდა ხელს. მით უმეტეს, რომ თან მქონდა განსაკუთრებულნი მნიშვნელობის დოკუმენტები.

იმ იმედით, რომ ვინმე ნაცნობს ვიპოვიდი და დავითანხმებდი გაეცვალა ჩემთვის ადგილები, მთელი მატარებელი დავიარე, მაგრამ ვერავის შევხვდი.

ღამე ცუდად გავატარე, ვერ გავბედე დაძინება. ჩემი ნერვულობა, როგორც ჩანს, ჩემს თანამგზავრსაც გადაედო, რომელიც, ალბათ, ინგლისელი ოფიცერი ან მოხელე იყო. დაახლოებით სამის ნახევარზე მან სინათლე ჩართო და შეეცადა პირსაბნის ზევით ჩამოკიდებულ სარკეში დაენახა, მეძინა თუ არა, მივხვდი, ჩემი ყოფნა აწუხებდა. შესაძლოა, მასაც საიდუმლო დოკუმენტები მიჰქონდა.

როდესაც მატარებელი უკვე სტამბულის მახლობლად იყო, ლოგინიდან წამოდგა და პირის დაბანა დაიწყო. უცებ ჩუმად ინგლისურად შეიგინა. ქვევით გადმოვიხედე და მივხვდი, რომ თავისი საპარსავი მოწყობილობა დავიწყებოდა. ერთ წუთს ვყოყმანობდი, როგორც ჩანს, იგი ინგლისელი იყო, მაგრამ, ბოლოს და ბოლოს, არ შემეძლო ამის ნამდვილად დამტკიცება და გავუწოდე ტყავის მომცრო ნესესერი, რომელშიც ჩემი საპარსი მოწყობილობა ინახებოდა:

— ინებეთ!

პირდაპირ თვალეში შემხედა. შემდეგ გაეცინა. მეტად სასიამოვნო სიცილი ჰქონდა. მახსოვს, შევამჩნიე, რომ ჩემს თანამგზავრს მშვენიერი კბილები ჰქონდა.

—გმადლობთ! ეს დიდი კეთილშობილებაა თქვენი მხრით.

ამრიგად, ჩვენს შორის, შესაძლოა, მტრებს შორის, რაღაც კონტაქტი დამყარდა. გავიფიქრე, ალბათ, არასწორად ვიქცევი, მაგრამ გერმანია ხომ არ წააგებს ომს, თუ ჩემს საპარსავს ვინმეს ვათხოვებ-მეთქი.

ჰაიდარპარკში მატარებლიდან ჩამოსვლისას უბრალოდ მითხრა:

—გზა მშვიდობისა!

ალბათ, ამას არ მეტყოდა, რომ სცოდნოდა, თუ რა მქონდა პორტფელში.

სტამბულში ჩამოსვლისას პირდაპირ აეროპორტში გავემართე. „იუნკერსი-52“—ყველაზე საიმედო თვითმფრინავებს

შორის—მზად იყო გასაფრენად. როგორც ჩანს, მელო-  
დნენ.

მალე უკვე მივფრინავდით ამ ადრიან მზიან დილით არა-  
ჩვეულებრივად ცისფერ მარმარილოს ზღვის თავზე. ჩვენს  
ქვევით მთელი თავისი თვალწარმტაცი სილამაზით გადაშლი-  
ლიყო სტამბული. ჩვეულებრივ მუდამ მომხიბლავია ხოლმე  
ეს სანახაობა, ოღონდ ამჯერად მალე ჩამეძინა—უძილო დამემ  
თავისი გაიტანა.

სოფიაში, როდესაც ჩვენს თვითმფრინავში საწვავს ასხამდ-  
ნენ, აეროდრომის რადიოქსელით გამომიძახეს ცნობათა ბიუ-  
როში. იქ ერთმა რუხსამხედრომაზარიანმა მაღალ-მაღალმა  
ახალგაზრდა კაცმა პასპორტი მომთხოვა.

— მე მივიღე ესეივლთა ჯარების გენერლის კალტენბრუნე-  
რის მითითება გაცნობით, რომ სპეციალური თვითმფრინავი  
ჩაგიყვანთ პირდაპირ ბერლინში. გთხოვთ მომცეთ თქვენი  
ბილეთი. ბარგზე მე ვიზრუნებ.

გამიკვირდა, რატომ შეიქნა ასე საჭირო და აუცილებელი  
ციცერონის მიერ მოტანილი დოკუმენტებზე სასწრაფოდ ნახვა.

განა რა აუცილებლობას მოითხოვდა ბერლინიდან სპეცია-  
ლური თვითმფრინავის გამოგზავნა რამდენიმე საათით ადრე იქ  
ჩემს ჩასაყვანად? თუმცა ეს, შეიძლება, საერთოდ ვამაფრთხი-  
ლებელი ზომაც კი ყოფილიყო.

ასე თუ ისე, მე უკვე აღარ ვიყავი ანკარის წყნარ, მშვი-  
დობიან ვითარებაში, არამედ ისევ აღმოვჩნდი ვერმანტიისა და  
ლიუფტვაფეს ატმოსფეროში. თუ რამდენად არასასიამოვნო  
და დაძაბული იყო იგი, ეს რამდენიმე შემდგომმა დღემ და-  
კვანახა.

რამდენიმე საათის შემდეგ ბერლინის აეროდრომზე სვით-მფრინავიდან გადმოვედი. ყინულივით ცივი ქარი ქროდა, დედამიწა თოვლის თხელ ფენას დაეფარა. როგორ არ ჰგავდა ანკარას მისი ნათელი მზითა და ლაყვარლოვანი ცით!

აეროპორტთან ავტომობილი მელოდა. ვიდრე ჩავჯდებოდი, მითხრეს, კალტენბრუნერს სურს ნახოს ციკერონისაგან მიღებული დოკუმენტები, ვიდრე მას რიბენტროპს გადასცემო. ახლა ნათელი გახდა, თუ რატომ გამოგზავნეს ჩემთვის სოფიაში სპეციალური თვითმფრინავი.

მაგრამ მე არ ვიცოდი, თუ რა იმალებოდა ყოველივე ამის მიღმა. შემდეგ გავიგე, რომ ასე დაიწყო პირადი შუღლი კალტენბრუნერსა და რიბენტროპს შორის. იგი სულ უფრო და უფრო გააფთრებულ ხასიათს იღებდა. მე კი უბრალოდ კოზაკი აღმოვჩნდი ორ მოჩხუბარ აქლემს შორის.

ცოტა ხნის შემდეგ უკვე შევდიოდი დიდებულ შენობაში—ვილჰელმშტრასე 101-ში. გუშაგები, უსასრულო დერეფნები, ისევ გუშაგები კიბეებზე, შემდეგ მისაღები ოთახი, სადაც მდივნები მიმოდრიოდნენ. დაბოლოს, გაიღო კარი და კაბინეტიდან გამოვიდა გესტაპოსფორმიანი ორი მამაკაცი.

— თქვენ დოკუმენტები მოიტანეთ, არა? — სწრაფად შემეკითხა ერთ-ერთი მათგანი.

— დიახ.

— გთხოვთ აქ შებრძანდეთ!

მე შევედი დიდ ოთახში, შუაში იდგა უზარმაზარი საწერი მაგიდა. მას უჯდა კალტენბრუნერი, რომლის სახე მრავალრიცხოვან იარაღს დაეფარა — ეს იყო დუელების კვალი. საიდუმ-

ლო სამსახურის უფროსის დაბალი, ძლიერი ხმა სავსებით შესაბამებოდა მის უზარმაზარ მძლავრ ფიგურას.

ღრო რომ არ დაეკარგა, მაშინვე საქმეზე გადავიდა. ანკარაში ინგლისის საელჩოდან მოპარული დოკუმენტები მაშინვე გაშალეს მის საწერ მაგიდაზე. ოთახში ვიყავით ექვსნი: კალტენბრუნერი, მე და კიდევ ოთხი კაცი. მე არ გამაცვენეს ისინი.

—ამ დოკუმენტებს,—წარმოთქვა კალტენბრუნერმა,—თუ ისინი ნამდვილია, შეიძლება ჰქონდეთ უდიდესი მნიშვნელობა, აქ დამსწრე ბატონები—ექსპერტები—გამოარკვევენ, ნამდვილია თუ არა ეს დოკუმენტები. რაც შეგეხებათ თქვენ,—იგი მომიბრუნდა მე,—უნდა გვიამბოთ ყველაფერი, რაც კი იცით „ციცერონის“ შესახებ. ჩვენ შევადგინეთ შეკითხვების მთელი სია. ვიდრე პასუხს გაგვცემდეთ, ჯერ საგულდაგულოდ მოიფიქრეთ, შემდეგ კი მოგვეცით რაც შეიძლება სრული პასუხები: ადვილი შესაძლებელია, რომ ყველაფერი ეს მხოლოდ ეშმაკური მახე იყოს. ამიტომ ოპერაციის ყოველი ყველაზე უმნიშვნელო დეტალიც კი შეიძლება გადამწყვეტი აღმოჩნდეს ამ ვარაუდის შესამოწმებლად.

ერთ-ერთმა ექსპერტმა ჩართო ცალკე მომცრო მაგიდაზე მდგარი მაგნიტოფონი,—ყოველი სიტყვა, რომელსაც წარმოვთქვამდი საუბრის დროს, ჩაწერილი იქნებოდა. შემდეგ ოთხმა სპეციალისტმა დაიწყო შეკითხვების მოცემა. დაახლოებით ერთი საათის შემდეგ ვითხოვე მოეცათ ჩემთვის სულის მოთქმის საშუალება. შემდეგ მათ ისევ დაიწყეს შეკითხვების მოცემა და ასე გაგრძელდა კიდევ საათ-ნახევარს.

ამასობაში ფოტოფირები გაგზავნეს ლაბორატორიაში და საგულდაგულოდ შესრულებული ჯვლევის შედეგები მალე შემოუტანეს კალტენბრუნერს.

საუკეთესო სიმკვეთრისათვის რომ მიეღწიათ, სურათებს ბეჭდავდნენ ძლიერ მაღიაფრაგმირებელი ობიექტივის მეშვეობით, დიდი შუქძალით—დაახლოებით 130 სანტიმეტრის სიშორიდან. განათებისათვის გამოყენებული იყო პორტატული რეფლექტორებიანი ფოტონათურები. ფირების გამოკვლევამ აჩვენა, რომ ოთხი მათგანი ამერიკული იყო, ხოლო ერთი გერმანული. ყველა ისინი ოდნავ უკმარყოვნებული იყო, ოღონდ ამან გავლენა ვერ მოახდინა გამოსახულების სიმკვეთრეზე.



ყოველ კადრს საუკეთესო სიმკვეთრე ჰქონდა. ფოტოგრაფირებას, ალბათ, გამოცდილი სპეციალისტი აწარმოებდა, მაგრამ დიდი აჩქარებით. ყველაფრის მხედველობაში მიღების შემდეგ, რაც მე წინათ ვილაპარაკე, ნაკლებდსაჩქარებელი იყო, თუმცა არც შეუძლებელი, რომ ეს სურათები ერთმა კაცმა სხვის დაუნმარებლად გააკეთა.

სწორედ ეს აწუხებდა ინგლისელების მხრივ ყველაზე მეტად კალტენბრუნერს და აძლევდა რაღაც საფუძველს მანვ დაენახა. მაგრამ როდესაც საიდუმლო სამსახურის უფროსი სინჯავდა ერთ ან მეორე დოკუმენტს და ერთხელ კიდევ რწმუნდებოდა მისი შინაარსის მნიშვნელობაში, უკვე მასაც ჩემსავით აღარ ეპარებოდა ეჭვი მის უტყუარობაში.

და, ბოლოს, როდესაც ამოწურეს თავიანთი შეკითხვების სია, ექსპერტები წავიდნენ და მე კალტენბრუნერთან პირისპირ დავრჩი.

— დაბრძანდით,— მიმიწვია მან.

ნაკლებ ოფიციალური ატმოსფერო შეიქმნა. ახლა უკვე აღარ ვიყავი ადამიანი, რომელსაც პირადად ართმევდა ჩვენებას ყოვლადშემძლე საიდუმლო სამსახურის უფროსი, როდესაც კალტენბრუნერმა თავისი ძლიერი ხმით განაახლა საუბარი, ჩვენ ორივენი სავარძლებში ვისხედით და თავს გაცილებით უკეთესად ვგრძნობდით.

— სოფიაში სპეციალური თვითმფრინავი იმიტომ გამოვგზავნე, რომ მსურდა თქვენი ნახვა უფრო ადრე, ვიდრე რიბენტროპთან იქნებოდით. არ ვიცი, ხვდებით თუ არა, რომ რიბენტროპი არ მიეკუთვნება თქვენი მეგობრების რიცხვს. მას არ შეუძლია სიმპატიით გეპყრობოდეს, თუნდაც იმიტომ, რომ თქვენ ფონ პაპენის უახლოესი თანამშრომელი ხართ, და ის ამბავი, თუ როგორ სძულს რიბენტროპს ფონ პაპენი, თქვენთვის ახალი არ უნდა იყოს. საგარეო საქმეთა მინისტრი შეეცდება გამოიყენოს ოპერაცია „ციცერონი“ მხოლოდ თავისი მიზნებისათვის. მე არ ვაპირებ ამის ნების მიცემას. ოპერაცია „ციცერონი“ მხოლოდ ჩემმა სამსახურმა უნდა აწარმოოს. რაც შეეხება როგორც პოლიტიკური, ისე სამხედრო თვალსაზრისით ამ მასალების გამოყენებას, ჩვენ ცოტა უნდა დავიცადოთ. ყველაფერი დამოკიდებული იქნება იმაზე, თუ როგორ განვი-

არღება ოპერაცია მომავალში, რიბენტროპი აქამდე მტკიცე-  
დაა დარწმუნებული, რომ კამერდინერი ინგლისელების მიერ  
არის შემოგზავნილი. კარგად ვიცნობ რიბენტროპს—იგი თავის  
ნათქვამზე იდგომება უბრალო ჭიუტობის გამო. ყოველ შემთხ-  
ვევაში, ცოტა დრო როდი დასჭირდება, ვიდრე იგი თავის აზრს  
შეიცვლის, ფასდაუღებელი სადაზვერვო მონაცემები მის მაგი-  
დაში იღება ისე, რომ არავითარ სარგებლობას. არ მოიტანს.  
ამის დაშვება არ შეიძლება. თვით ფიურერთან მივალწევ იმას,  
რომ ოპერაცია აწარმოოს მხოლოდ საიდუმლო სამსახურმა.  
ამიტომ მომავალში თქვენ უნდა შეასრულოთ მხოლოდ და მხო-  
ლოდ ჩემი მითითებანი. თქვენ მეტად აღარ უნდა მიიღოთ ფუ-  
ლი ციკერონისათვის გადასახდელად საგარეო საქმეთა სამინის-  
ტროდან. სიტყვამ. მოიტანა და ორასი ათასი გირვანქა სტერ-  
ლინგი, რომელიც ამ დღეებში მიიღეთ, მე გამოვგზავნე. ვიძე-  
ლოვნებ, ისინი მშვიდობიანად ჩამოვიდნენ.

თანხმობა განეუცხადე. შემდეგ სრულიად აშკარად ვაგრძე-  
ნობინე, ზუსტად უნდა ვიცოდე, ვისი ბრძანებები უნდა შევას-  
რულო და ვისი არა-მეთქი. სხვაგვარად აუცილებლად იმ გაუ-  
გებრობისაგან წარმომდგარმა არეულ-დარეულობამ, შესაძ-  
ლოა, საფრთხის ქვეშ დააყენოს მთელი საქმე-მეთქი.

—ოპერაცია „ციკერონი“ უამრავ საზრუნავს მიჩენს, გან-  
საკუთრებით იმიტომ, რომ,—დავუმატე მე,—საიდუმლოს შე-  
ნახვისათვის მე თვით მიხდება შევასრულო მთელი საკანცელა-  
რიო სამუშაო. საერთოდ ყოველივე ეს ძალ-ღონის უდიდეს და-  
ძაბვას მოითხოვს. თუ გსურთ, რომ განვაგრძო მუშაობა, ეცა-  
დეთ, მომავლოთ შეკითხვებისა და ინსტრუქციების უსასრუ-  
ლო ნაკადი, რომელიც სხვადასხვა უწყებიდან მომდის. მე უბ-  
რალოდ არ ძალმიძს თავი გაეართვა მთელ ამ ნაჯღაბნს.

კალტენბრუნერი დამპირდა, ეს ამიერიდან აღარ განმეორ-  
დება, მე მივალწევ ფიურერთან საკითხის გადაჭრას, თუ ვინ  
უნდა მოჰკიდოს ხელი ამ ოპერაციის ჩატარებასო.

შემდეგ კვლავ ციკერონის ვინაობაზე ჩამოაგდო სიტყვა.

—თქვენ იცნობთ ამ ადამიანს,—თქვა მან.—გწამთ, რომ  
იგი არ გატყუებთ?

მხრები ავიჩიჩე. კალტენბრუნერი ლაპარაკს განავრძობდა,  
მაგრამ, ალბათ, უფრო თავის თავთან, ვიდრე ჩემთან.

—გასაგებია, რომ იგი რისკს სწევს თავისი სიცოცხლით, თუ, რასაკვირველია, ინგლისელებისათვის არ მუშაობს. მეორე მხრივ, მის მიერ გადმოცემული დოკუმენტები იმის საწინააღმდეგოდ მეტყველებენ, რომ იგი ინგლისელების მიერ იყოს შემოგზავნილი. მე ძალიან ყურადღებით ვკითხულობდი თქვენს ცნობებს. ჩემი აზრით, ციცერონის ამბავი სარწმუნოდ ჟღერს, მეტად სარწმუნოდაც. არ შემიძლია ეჭვის თვალთ არ შევხედო ამ ადამიანს. ჩემს მდგომარეობაში ეს ბუნებრივია. ერთხელ კიდევ მიაშბეთ, თუ როგორი შთაბეჭდილება დატოვა თქვენზე. მინდა უფრო ნათელი წარმოდგენა ვიქონიო მისი ვინაობის შესახებ.

— მე მგონი, იგი ავანტიურისტია. ციცერონი სახელის მაძიებელი, პატივმოყვარეა, საკმაოდ ქვეიანი, რამაც საშუალება მისცა ამაღლებულიყო თავის კლასთან შედარებით. ამასთან ვერ შეძლო შეეღწია პრივილეგიურ კლასში, რომელიც მას სძულს, მაგრამ რომლის წინაშეც ქედს იხრის. შესაძლოა, ციცერონმა თვით შეიგნოს თავისი გრძნობების წინააღმდეგობრიობა. ადამიანები, რომლებმაც დაკარგეს კავშირი თავის კლასთან, ყოველთვის საშიშნი არიან. ასეთია ჩემი აზრი ციცერონის შესახებ.

—ვთქვათ, ყველაფერი ეს ასეა,—თქვა კალტენბრუნერმა, — მაგრამ განა მას არ შეუძლია იმუშაოს ინგლისელებისათვის?

— შესაძლოა, მაგრამ ამაზე წინასწარ უარყოფითად ვარ განწყობილი. მე სრულიად არ მაეჭვებს, რომ, თუ ციცერონი ინგლისელებისათვის მუშაობს, ერთ მშვენიერ დღეს იგი თავს გაამჟღავნებს. აქამდე არ შემინიშნავს ამის ოდნავი ნიშან-წყალიც კი. დარწმუნებული ვარ; იგი ის არის, რადაც ასაღებს თავს. განსაკუთრებით დამარწმუნა შემთხვევით წამოცდენილმა მისმა სიტყვებმა, მამაჩემი ინგლისელმა დახვრიტაო.

— რაო?! ციცერონის მამა ინგლისელმა დახვრიტა? რატომ აღრე არ მითხარით ეს ამბავი? ასეთ ფაქტს ხომ შეუძლია მთელი ამ საქმის გადაჭრის გასაღები გახდეს?

— მაგრამ ეს ხომ უკვე გაცნობეთ ჩემს უკანასკნელ მოხსენებაში, რომელიც გაგზავნილ იქნა დიპლომატიური ფოსტით საგარეო საქმეთა სამინისტროში.

კალტენბრუნერმა ბრაზიანი, გამსჭვალავი თვალით გადმომხედა. მრავალრიცხოვანი ნაიარევით დაფარული მისი ხახის ფოველი კუნთი დაძაბული იყო. ამ მომენტში არ ვისურვებდი მის მოწინააღმდეგედ ყოფნას.

— როდის გამოიგზავნა თქვენი მოხსენება ანკარიდან? — თითქმის დამიყვირა მან.

— გუშინწინ.

— მაშასადამე, რიბენტროპმა განგებ დამიმალა ის, — კბილებში გამოსცრა მან და ხელის მკვეთრი გაქნევით ჩააგდო საფერფლეში დაუმთავრებელი სიგარეტი. ავის მომასწავებელი ნაპერწკლები გაუჩნდა თვლებში და გავიფიქრე, დიდი სიამოვნებით დაახრჩობს რიბენტროპს საკუთარი ხელებით-მეთქი იგი წამოხტა, მეც წამოვდექი. განცვიფრებული და შეშინებული ვიყავი ამ უეცარი თავდაჭერილობის დაკარგვით. მომეჩვენა, რომ კალტენბრუნერის მრისხანება ნაწილობრივ ჩემკენ იყო მიმართული.

— მაშ, რა იცით ციცერონის მამის სიკვდილის შესახებ?

— როდესაც უკანასკნელად ვნახე ციცერონი (ეს იყო ნოემბერს), შევეკითხე მას, რატომ გძულს ინგლისელები-მეთქი. იგი არ მოელოდა ამგვარ შეკითხვას და მისი პასუხი სავსებით გულწრფელად გაისმა. მან მითხრა: „მამაჩემი ინგლისელმა დახვრიტა“.

— მაგრამ ეს ხომ ძლიერ მნიშვნელოვანია, რადგანაც ციცერონს გვაცნობს სრულიად სხვაგვარად. რიბენტროპმა კი დამიშალა ასეთი ახალი ამბავი!

მაგიდას მუშტი დაჰკრა. შემდეგ, რამდენიმედ დამშვიდებული, ისევ მომიბრუნდა.

— თქვენ გამოკითხეთ დაწვრილებით ციცერონს მამის სიკვდილის ამბავი?

— არა. მე გაცემული ვიყავი მისი მოულოდნელი პასუხი და გადავწყვიტე, ჯერ არ ავჩქარდები გამოკითხვებით-მეთქი. თუ ციცერონი სიმართლეს ამბობდა, ჩემი სიჩუმე მას თანაგრძნობის გამოხატვად უნდა მოჩვენებოდა. ცნობისმოყვარეობის ყოველივე გამოვლინებას ამ მომენტში შეეძლო მისი ყურადღების დაძაბვა.

— შეეცადეთ გაიგოთ ყველა დაწვრილებითი ცნობა მისი მა

მის სიკვდილის შესახებ. მხედველობიდან არ გამოგრჩეთ არც ერთი დეტალი. რაც შემეხება მე, რასაკვირველია, შევეკითხები ბატონ რიბენტროპს, თუ რატომ დამიმალა თქვენი უკანასკნელი მოხსენება.

კალტენბრუნერი ფანჯარასთან მივიდა და თავისი ძლიერითიბები მინაზე აათამაშა. დაბოლოს, მას დაუბრუნდა თავდაპირველი რილობა.

— თანაც, თქვენთვის საინტერესო იქნება იცოდეთ, რომ თქვენს ჩამოსვლამდე ველაპარაკე ერთ ჩვენს დიპლომატს, რომელიც კარგად იცნობს სერ ჰიუ ნეტჩულ-ჰიუგესენს. ომის წინ ისინი ორივენი ჩინეთში იყვნენ. მან დაახასიათა ნეტჩული როგორც ბრწყინვალე დიპლომატი და განსაკუთრებით მომხიბლავი ადამიანი. მან ასევე მიაშბო, რომ სერ ნეტჩულს ძლიერ აფასებენ დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა სამინისტროში და თელიან შუა და შორეული აღმოსავლეთის ერთ-ერთ საუკეთესო სპეციალისტად. თუ ინგლისელებმა ანკარაში ასეთი გამოცდილი დიპლომატი გაგზავნეს, ისინი თურქეთს მნიშვნელოვან როლს აკუთვნებენ. თქვენ უნდა უამბოთ ეს ფონ პაპენს და გააფრთხილოთ იგი, ფხიზლად იყოს. წარმომიდგენია, რამდენს გადაიხდიდნენ ინგლისელები, როგორმე საშუალება რომ მისცემოდათ და შეეხედათ გერმანელთა ელჩის სეიფის შიგთავსში.

მე აღარ დაუწყე იმის ახსნა-განმარტება, რომ ანკარაში ყოველ ადამიანს კარგად ესმის, თუ როგორი მნიშვნელოვანი პოსტი უჭირავს სერ ჰიუს, მაგრამ მადლობა გადაუხადე და დავპირდი ყველაფერი ეს გადამეცა ფონ პაპენისათვის. კალტენბრუნერი ისევ მიუახლოვდა თავის მაგიდას, აიღო ფოტოგრაფიათა დასტა და ფოტოფირებთან ერთად გადმომცა. მე ავიღე ისინი და მაშინვე შევუღდექი მათ დათვლას იმის შიშით, რომ ისევ არ დამკარგვოდა სურჩათი.

კალტენბრუნერმა ღვარძლიანად ჩაიციხა და გადმომხედა. როგორც ჩანს, უცნაურად მოეჩვენა იმის გაფიქრებაც კი, რომ ერთ-ერთი ჩემი ძვირფასი დოკუმენტი შეიძლება დაკარგულიყო—და მერე სად?—ამ ოთახში! ოღონდ არაფერი უთქვამს, სანამ თვლა არ დავამთავრე.

—როდესაც რიბენტროპი თქვენს წასაყვანად ვინმეს გამოგ-

ზავნის, უთხარით მას, რომ უკვე იყავით ჩემთან. რაც შეეხებოდა თქვენს მომავალ ცნობებს „ციცერონის“ შესახებ, ჩემს პირად მითითებებს მიიღებთ, როგორც კი ანკარაში დაბრუნდებით მართლა როდის მიემგზავრებით?

— წარმოდგენა არა მაქვს. როგორც ჩანს, ეს დამოკიდებული იქნება საგარეო საქმეთა მინისტრზე—მე ხომ მან გამომიძახა ბერლინში.

წამოსვლისას კალტენბრუნერს ვთხოვე დაერეკა რიბენტრობთან და გაეგო, როდის ისურვებდა ჩემს ნახვას. ამასთან თუ კალტენბრუნერი თვით ეტყოდა საგარეო საქმეთა მინისტრს, რომ ჯერ იგი მოვინახულე, ალბათ, გაცილებით ნაკლები უსიამოვნებანი შემხვდებოდა. მან შეასრულა ჩემი თხოვნა. მითხრეს, რიბენტრობი ხვალ საღამოს შვიდ საათზე გელოდებოდა.

ამრიგად, ჩემს განკარგულებაში ბევრი დრო რჩებოდა. საიღუმლო დოკუმენტებიანი პორტფელი დავტოვე კალტენბრუნერთან, რომელმაც იგი თავის საწერ მაგიდაში ჩაკეტა. გადავწყვიტე, რომ იქ სურათები უფრო საიმედოდ იქნებოდა დაცული, ვიდრე ჩემთან, ნომერში.

— ვიმედოვნებ, თქვენო აღმატებულებავ, რომ თქვენ კამერდინერი არ გყავთ, — გავბედე ცოტაოდენი გახუმრება.

მაგრამ კალტენბრუნერი მოკლებული იყო იუმორის გრძნობას. იგი მოიღუშა, გამგმირავად გადმომხედა და ცივად ჩაილაპარაკა:

— თქვენი დოკუმენტები აქ სრულ უსაფრთხოებაში იქნება. მან კარებამდე მიმაცილა:

— გისურვებთ წარმატებას. თქვენთვის საჭიროა გისურვოთ წარმატება. გახსოვდეთ: თქვენ მიერ მოტანილ ცნობებს შეიძლება უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდეთ მომავალი გერმანიისათვის.

ვერ ვიტყვი, საიმპერიო დაზვერვის პირქუში შენობიდან მშვენიერ ხასიათზე გამოვედი-მეთქი.

მეორე დილას ტელეფონით მაცნობეს, პორტფელს სასტუმროში მოგიტანენ საღამოს, შვიდს რომ თხუთმეტი წუთი დააკლდებოდა.

დანიშნულ დროს ოტელ „კაიზერჰოფის“ დარბაზში შიკ-

რიცხვს ვუცდიდი, რომელსაც დოკუმენტები უნდა მოეტანა. მაგრამ ისინი შიკრიკმა კი არ მოიტანა, არამედ ორმა მეტად დარბაისელმა ბატონმა.

— ჩვენ გამოგვეზავნა ესეხელთა ჯარების გენერალმა კალტენბრუნერმა. უნდა მიგაცილოთ საგარეო საქმეთა მინისტრთან და დავესწროთ მასთან თქვენს შეხვედრას.

შვიდს აკლდა ერთი წუთი, როდესაც კალტენბრუნერის ორი მეძებრის თანხლებით შევდიოდი ვილჰელმშტრასეზე მდებარე საგარეო საქმეთა სამინისტროში. მომცრო კაბინეტში ჩვენ გველოდნენ საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ფონ შტრეენგრაჰტი და ბატონი ფონ ალტენბურგი.

— ციცერონის დოკუმენტები ხომ თან მოიტანეთ? — მკითხა ბატონმა ფონ შტეენგრაჰტმა.

— აქ არის, — ვუპასუხე მე და მივეუთითე ჩემს ზორბა პორტფელზე.

— ნება მიბოძეთ, გეთაყვა, გადავხედო მათ.

ას თორმეტი სრულიად საიდუმლო ინგლისური დოკუმენტი ახალ პატრონს გადავეცი. შტეენგრაჰტი ზედიზედ ათვალიერებდა სურათებს და შემდეგ ალტენბურგს გადასცემდა მათ. თან ორივენი თავს აქნევდნენ და ხმადაბლა ამბობდნენ, როგორც თავის დროზე ფონ პაპენი:

— დაუჭერებელია... შეუძლებელია!..

შემდეგ განმიცხადეს, საგარეო საქმეთა მინისტრის აზრით, ციცერონი ინგლისელებმა შემოგვაპარესო.

— ერთი შეხედვით, — თქვა ფონ შტრეენგრაჰტმა, რომელიც ისევ სინჯავდა ფოტოგრაფიებს, — დოკუმენტები ნამდვილი მოგეჩვენება. აბა, შეხედეთ ამას!

მან გამომიწოდა დოკუმენტის ფოტოსურათი, რომელზეც კასანბლანკის კონფერენციის დაწვრილებითი ცნობები იყო აღბეჭდილი. დოკუმენტი იმათ რიცხვს ეკუთვნოდა, რომლებიც ციცერონმა უკანასკნელად მოიტანა.

— ამ ცნობათა სინამდვილე კი, — განაგრძობდა შტეენგრაჰტი, — შეგვიძლია დავადასტუროთ, რადგან ჩვენ გვაქვს სრული ცნობები ამ კონფერენციის შესახებ. გულახდილად რომ ვთქვა, არ შემიძლია დავიჯერო, რომ ინგლისელებმა ასეთი მნიშვნელოვანი მასალები მოგვცეს უბრალოდ, როგორც სატყუარა.

ეს დოკუმენტი უტყუარად მიმანიწია. იგი არ გვაძლევს საფუძველს, ეკვი შევიტანოთ, რომ თქვენს კამერდინერს ნამდვილად მიუწვდება ხელი თავისი ელზის სეიფთან. მაგრამ მარტოოდენ, ღმერთმა უწყის, როგორ ახერხებს ამას. ალბათ, საკვირველი ადამიანია.

— განსაკვირველია, იგი უჩვეულო კამერდინერია, — ვთქვი მე, — და არაჩვეულებრივი ადამიანი. მან იცის, რა სურს, აღსავსეა გამბედაობით და იმისდა მიხედვით, რაც უკვე ვიცი მის შესახებ, იგი განსაკუთრებულად ჰქვიათ და ფრთხილი მეჩვენება.

— ამრიგად, თქვენ გჯერათ მისი? — მკითხა ფონ ალტენბურგმა, — მე მინდა ვთქვა, რომ მთლიანად გამორიცხავთ იმის შესაძლებლობას, რომ იგი ინგლისელებმა შემოგვაპარეს?

— დიახ! ოღონდ არ, შემიძლია ამის დამტკიცება. ყოველ შემთხვევაში, ამჟამად.

ფონ შტენენგრაჰტმა აუჩქარებლად ჩადო სურათები საქალაქში.

— კიდევ ხომ არ გვეტყოდით რამეს?

უარყოფის ნიშნად თავი გავიქნე. ფონ შტენენგრაჰტი და ფონ ალტენბურგი წამოდგნენ. პირველმა სწრაფი მზერა ისროლა ჩემი თანამგზავრების მხრისაკენ და წარმოთქვა:

— საგარეო საქმეთა მინისტრი ძლიერ წუხს, მაგრამ დღეს ვერ მივიღებთ. დოკუმენტები და ფოტოფირები აქ დარჩება. თქვენ მზად უნდა იყოთ გამოცხადდეთ მინისტრთან მისი პირველი მოთხოვნისთანავე. ვფიქრობ, ჩვენ ხომ ყოველთვის შეგიძლია თქვენი ნახვა ოტელ „კაიზერჰოფში?“

საუბარი დამთავრდა. ახლა სავსებით ნათელი გახდა, თუ რატომ არ მიმიღო თვით რიბენტრომმა.

ჩაბნელებულ ვილჰელმშტრასეთი ჩემს ორ თანამგზავრთან ერთად დავბრუნდი მახლობლად მდებარე ოტელ „კაიზერჰოფში“. როგორც იქნა, განვმარტოვდი ჩემს ფიქრებთან.

ორი დღის შემდეგ მივიღე ბრძანება სწრაფად გამოეცხადებულიყავი ბერენშტრასეს მე-16 ნომერში, მრჩეველ ლიკუსთან. იქ იყო საგარეო საქმეთა სამინისტროს ერთ-ერთი შენობა.

როდესაც იქ მივედი, გამომიცხადეს, მინისტრს დაუყოვნებლივ სურს თქვენი ნახვაო. ბერენშტრასედან სამინისტრომდე



ლიკუსმა გზადაგზა რამდენიმე რჩევა მომცა. მან მითხრა, რიბენტროპი ცუდ ხასიათზეა და ძლიერ უკმაყოფილოა კალტენბრუნერის საქციელით. რაც შეეხება საიდუმლო დოკუმენტებს, ისინი საგარეო საქმეთა მინისტრმა უკვე გადაათვალიერა. ჯერ კიდევ დარწმუნებულია, ეს მახეაო. უკანასკნელ ხანებში, განაგრძობდა ლიკუსი, მინისტრი ყველაფერს დიდი ექვიით ეპყრობა და ამას მისთვის უამრავი უსიამოვნება მოაქვს. მე მგონია, გონივრული იქნება, შეძლებისამებრ არ შევეკამათოთ მას.

ვიდრე ჩვენ უსასრულო დერეფნებით მივდიოდით რიბენტროპის მისაღები ოთახისაკენ, ლიკუსმა კიდევ ერთი რჩევა მომცა:

— ღვთის გულისათვის, ეცადეთ არ ახსენოთ ფონ პაპენის სახელი. რიბენტროპს სძულს იგი. ხშირად მინახავს, როგორ კარგავს თავდაპყერილობას, როდესაც ვინმე კარგად მოიხსენიებს ფონ პაპენის სახელს.

ასეთი მომზადების შემდეგ რიბენტროპის კაბინეტში შემიყვანეს. ჩემთან ერთად შემოვიდა ლიკუსიც, — როგორც ჩანს, იგი ერთ-ერთი იმათთაგანი იყო, რომლებიც იმ დროს საგარეო საქმეთა მინისტრის ნდობით სარგებლობდნენ. ისინი ძველი მეგობრები იყვნენ, თუ შეიძლება ასე ითქვას რიბენტროპის მიმართ. ყოველ შემთხვევაში, სკოლაში ერთად სწავლობდნენ.

რიბენტროპი რამდენიმე წლის განმავლობაში არ მენახა: ძლიერ დაბერებული მეჩვენა. როდესაც კაბინეტში შევედით, იგი წამოდგა, მაგრამ მაგიდას არ მოსცილებია და, ნაპოლეონის მსგავსად, გულხელდაკრეფილი მომშტერდა თავისი ციციციისფერი თვალებით. ჩვენ წინ იდგა ადამიანი, რომელიც პასუხისმგებელი იყო გერმანიის საგარეო პოლიტიკისათვის და, როგორც ამბობენ, ერთხელ ეთქვა: ისტორიაში ბისმარკზე მეტად ვიქნები აღიარებულიო.

გულშემლონებელი სიჩუმე ჩამოწვა. მერე ლიკუსმა წარმოთქვა ასეთ შემთხვევებში მიღებული რამდენიმე სასიამოვნო სიტყვა და ჩვენ შემოვუსხედით მაგიდას, რომელზეც გაშლილი იყო ციცირონის მიერ მოტანილი დოკუმენტები.

რიბენტროპმა დაუდევრად აიღო რამდენიმე ფოტოსურათი

და ბანქოს დასტასავით დაიწყო მათი ჩაჭრა. შემდეგ მე მომმართა.

— ამრიგად, ხვდებით. ეს ციკერონი რა კაცია?

მე გავიმეორე ის, რაც ხშირი განმეორების გამო თითქმის ზეპირად ვიცოდი, ვცდილობდი გადმომეცა ყველაზე არსებითი და ამასთან, რაც შეიძლება, მოკლედ. მაგრამ რიბენტროპმა არამეგობრული ტონით შემაწყვეტინა:

— საესებით ნათელია, რომ ამ ადამიანს ფული უნდა. მსურს ვიცოდე, არის თუ არა ეს დოკუმენტები უტყუარი, ნამდვილი. რა აზრის ხართ თქვენ ამის შესახებ?

— ვერაფერს ახალს ვერ დაუშატებ იმას, რაც უკვე ვთქვი; ბატონო მინისტრო. მე პირადად მიმაჩნია...

— მე მინდა ფაქტები, — შემაწყვეტინა მინისტრმა. — არ მაინტერესებს თქვენი პირადი აზრი — ეს ოდნავადაც ვერ გააქარწყლებს ჩემს ეჭვებს, რას ფიქრობს ამის შესახებ ენკე?

— იგი ჩემსავით ფიქრობს, რომ დოკუმენტები ნამდვილია და ეს ადამიანი ჩვენთან საკუთარი ინიციატივით გამოცხადდა. ბატონი ფონ პაპენიცი ასეთივე აზრისაა.

ვერ მოვასწარი ამ სიტყვების წარმოთქმა, რომ მაშინვე მივხვდი ჩემს შეცდომას. როდესაც ელჩის სახელი მოვიხსენიე, რიბენტროპს გამომეტყველება უფრო ცივი და მედიდური გაუხდა. ტუჩები მოეკუმა. პატრონის უკან მდგარმა ლიკუსმა ყვედრების თვალთ გადაომხედა.

რიბენტროპი ისევ ალაპარაკდა. ძალზე აუჩქარებლად, ნაწყვეტ-ნაწყვეტი ფრაზებით:

— მე გეკითხებით, ნამდვილი და უტყუარია თუ არა ეს დოკუმენტები. თქვენ რომ შეგეძლოთ ჩემი დარწმუნება ამაში, შესაძლოა, გაპატიებდით დანაშაულს, ერთხელ რომ ჩაიდინეთ. თუ დავრწმუნდები, რომ ნავარაუდევია უთანხმოება ლონდონს, ვაშინგტონსა და მოსკოვს შორის ნამდვილად არსებობს; მაშინ ნათელი იქნება, თუ როგორ უნდა ვიმოქმედოთ. აი ეს არის მნიშვნელოვანი. მაგრამ მე მინდა ფაქტები, ყმაწვილო კაცო, და არა პირადი აზრი თქვენი ან ვინმესი. შეგიძლიათ თუ არა თქვენ თავი გაართვათ ამ დავალებას? იქნებ, უკეთესია ანკარაში სხვა ვინმე გავგზავნოთ?

მინდოდა მეპასუხა: „აუცილებლად გავგზავნეთ ვინმე სხვა,

ბატონო მინისტრო. უძილო ღამეებმა დამტანჯა, და ყოველივე ამის სამაგიეროდ ისე მექცევიან, როგორც ბავშვს!“

მაგრამ გაეჩუმდი, ნუთუ კიდევ დიდხანს უნდა ვუყურო მინისტრის არასასიამოვნო სახეს და ვისმინო მისი ცივი ხმა? როგორ მინდოდა წამომდგარიყო და განეცხადებინა, საუბარი დამთავრდაო.

გულშემალონებელი სიჩუმე ისევ ლიკუსმა დაარღვია.

— მოიზიშისათვის ადვილი როდია მიიღოს საბუთი დოკუმენტების უტყუარობისა და იმ კეთილგანმზრასველობისა, თუ შეიძლება ასე გამოეთქვა, იმ ადამიანისაგან, რომლის შესახებაც ვლაპარაკობთ ახლა. თუ ციცერონი მარტო მუშაობს, ეს ლოგიკური იქნება ვივარაუდოთ, რომ დოკუმენტები ნამდვილია. მაგრამ, თუ მას თანაშემწე ჰყავს,—ეს რამდენიმედ გვაძლევს საფუძველს, ვივარაუდოთ, რომ ყოველივე ეს სიცრუეა, თუმცა ასეთი ვარაუდი საეჭვოა, რომ დამტკიცებად ჩაითვალოს. მინდოდა წინადადების შემოტანა,—ლიკუსი მომიბრუნდა:—იქნებ, თქვენ ყოველი ღონე იხმართ, რომ ზუსტად გამოარკვიოთ, ჰყავს თუ არა ციცერონს თანაშემწე?

—კარგი წინადადებაა, ლიკუს,—თქვა შეფმა. — ჩვენ ვიღებთ მას. — შემდეგ მომიბრუნდა, ისე რომ სახეში არ შემოუნედავს, და განაგრძო:—რადაც არ უნდა დაგიჯდეთ, გაიგეთ, ეხმარება თუ არა ვინმე ციცერონს. რა გააკეთეთ აქამდე ამ მხრივ?

— არაფერი, ბატონო მინისტრო, გარდა იმისა, რომ პირდაპირ შევეკითხე ციცერონს ამის შესახებ. მე ხომ მთლიანად მის პასუხებზე ვარ დამოკიდებული. თუ იგი ჩვენ გვატყუებს, სულ ერთია, მომავალში ასე თუ ისე ადვილად გასცემს თავის თავს.

რიბენტროპი ჯერ ისევ არ მთვლიდა ყურადღების ღირსად. იგი დოკუმენტებს ისევე ნერვულად ატრიალებდა ხელში. ეკვი და წყენა ნათლად აისახა მის სახეზე, როდესაც ფოტოსურათების გროვას უყურებდა, რომელიც გერმანიას სამოცი ათასი გირვანქა სტერლინგი დაუჭდა. უცებ მთელ დასტას დაავლო ხელი, თავისი უზარმაზარი საწერი მაგიდის ბოლოში ისროლა და ოდნავ გასაგონად ჩაილაპარაკა:

— შეუძლებელია!

შემდეგ წამოდგა.

— თქვენ ჯერჯერობით ბერლინში უნდა დარჩეთ. შესაძლოა, ისევ დამჭირდეთ.

— ოლონდ, ბატონო მინისტრო... ციკერონი ხომ ანკარაში მიცდის... შესაძლოა, ახალი დოკუმენტები იშოვა...

— ჯერჯერობით თქვენ ბერლინში უნდა დარჩეთ.

მან ცივად დამიქნია თავი. საჭირო იყო წასვლა.

ამრიგად, საქმეებს ჩამოშორებული დავრჩი. იმ დროისათვის ეს იშვიათად როდი ხდებოდა.

დედაქალაქში რამდენიმე დღე ვიცხოვრე. —

22 ნოემბერს, დილით, მაცნობეს, რომ საგარეო საქმეთა მინისტრმა მიბრძანა დაუყოვნებლივ ანკარაში დაბრუნება.

ორი კვირის განმავლობაში, რაც ბერლინში დავყავი, რიბენტროპი აღარ მინახავს. საქმე, რომელიც მთელი ამ დროის მონაკვეთში გავაკეთე, სავსებით შესაძლებელი იყო ერთ დღეში მომესწრო.

იმავე საღამოს გავემგზავრე ექსპრესით—ბერლინი—ბრესლავი—ვენა. კიდევ კარგი, რომ ადრე მივედი სადგურში, რადგან, ჩემდა გასაოცრად, მატარებელი განრიგით მითითებულ დროზე ადრე გავიდა და გაუჩერებლად გაიარა რამდენიმე საგარეუბნო სადგური, სადაც ნავარაუდევია იყო ჩასხდომა.

მხოლოდ შუალამისას, ბრესლავში, გავიგე, თუ რაში იყო საქმე, თურმე ჩვენი მატარებლის გამგზავრების მომენტში ბერლინს დასავლეთიდან უახლოვდებოდა ინგლისელთა ბომბდამშენების დიდი ჯგუფი. ეს იყო პირველი იმ მრავალრიცხოვანი საჭარეო თავდასხმებიდან, რომლებმაც მნიშვნელოვანი ნგრევა გამოიწვია, განსაკუთრებით ქალაქის ცენტრში. ძლიერ დაზარალდა ასევე სასტუმრო, რომელშიც ვცხოვრობდი, და მისი მომიჯნავე შენობები. ერთხელ კიდევ გამიღიმა ბედმა.

ეს იყო ომის დროს ბერლინში ჩემი უკანასკნელი მგზავრობა. რასაკვირველია, მაშინ არ ვიცოდი, რომ 1945 წლის ოქტომბრამდე ფეხს ვეღარ შევდგამდი გერმანიის მიწა-წყალზე.

24 ნოემბერს, გვიან ღამით, ჩვენი „იუნკერსი-52“ მშვიდობიანად დაეშვა სტამბულის აეროდრომზე. ძალზე გვიან იყო ანკარის ექსპრესს ველარ მივუსწრებდი. ამიტომ დამე სტამბულში დავრჩი. რადგან მატარებელი ანკარის მიმართულებით დღე-ღამეში მხოლოდ ერთხელ გადიოდა, ამიტომ მთელი ხვალინდელი დღე უქმად უნდა გამეტარებინა.

სასტუმროს ფანჯრებიდან ვხედავდი მოპირდაპირე აზიურ სანაპიროს, რომელიც ევროპულისაგან მხოლოდ ეიწრო ბოსფორის სრუტით იყო გამოყოფილი. უუქურა „ლინდერის“ გადაღმა მოჩანდა უსკუდარი და ჰაიდარვაშა, მათ უკან — ულუდაგი—თურქეთის ერთ-ერთი ყველაზე მაღალი მთა. ამ მშვენიერ სანახაობას ავსებდა მარმარილოს ზღვის გაშლილი სივრცეები. ნოემბრის ნაზ-ლაქევარდოვანი ცის ფონზე გამოირჩეოდა აია-სოფიის მეჩეთის კოხტა სილუეტი.

ამ სიმშვენიერის მზერით დამტკბარს, თითქმის დამავეიწყდა ჩემი საზრუნავი საქმე. კარგად გამოვიძინე და მთელი დღის განმავლობაში ვისვენებდი, დღის ბოლოს კი გალათის ხიდთან ბორანზე დავჯექი, რომელმაც ჰაიდარვაშაში მიმიყვანა. მატარებელი საღამოს ექვს საათზე გავქვა. ნელ-ნელა მიემართებოდა იგი სტამბულის ბაღების გავლით, რომლებშიც წელიწადის ამ დროისათვისაც კი უთვალავი იყო ვარდი. მალე დაღამდა. როდესაც მატარებელი იზნიტს მიუახლოვდა, უკვე მეძინა. მატარებელი სულ მალლა და მალლა მიიწვედა და, ბოლოს, თითქმის ათასი მეტრის სიმაღლემდე მიიწვია. გადიოდა უამრავ გვირაბს, უკან ტოვებდა მარმარილოს ზღვის სანაპიროს საუცხოო მცენარეულობას და ანატოლიის ერთფეროვანი დაბლობის სიღრმისკენ მიიწვედა.

თექვსმეტი. საათის შემდეგ ექსპრესი შევიდა თანამედროვე სტილით აგებულ ანკარის სადგურში. ათი წუთის შემდეგ უკვე შინ ვიყავი, ტანსაცმელი სწრაფად გამოვიცვალე და საელჩოში წავედი.

შნურხენმა მითხრა, თქვენი არყოფნის დროს ტელეფონით რამდენჯერმე დარეკა ბატონმა პიერმაო. მან მთხოვა გადმომეცა, შესაძლებელია, დღესაც დავრეკოო.

მე დაუდევრად დავუქნიე თავი.

— მეტი არაფერი?

— არა, კიდევ მაქვს სათქმელი.

შნურხენი ახლახან გათხოვდა და სურდა რამდენიმე დღით აეღო შვებულება, სტამბულში უნდა წასულიყო, სადაც ქმარს უნდა შეხვედროდა. ეს ნებადართული არ იყო, ამიტომ არაოფიციალურად უნდა გამეშვა.

— კეთილი, გაემგზავრეთ, — ვუთხარი მე.

შემდეგ ელჩთან წავედი, რომელსაც სურდა ჩემ მიერ ბერლინიდან ჩამოტანილი ყველა ახალი ამბის გაგება. როცა მისმენდა, თავს აქნევდა და იღუშებოდა. როცა რიბენტროპის სიტყვები გადავეცი, აღშფოთდა.

— ეს გასაგებია, როდესაც მინისტრებს ეჭვი ეპარებათ ამ დოკუმენტების სინამდვილეში. მაგრამ, ეშმაკმა დალაზვროს, რატომ ლაუბობენ მათ შესახებ? ტრაბახობენ იმით, რაც არ სწამთ. აი, ნახავთ ამ ყბედი იდიოტების გამო ჩვენ გრანდიოზულ სკანდალს გადავეყრებით ჯერ აქ, თურქეთში.

იმავე დღეს, ცოტა მოგვიანებით, ციცერონმა დარეკა. მას სურდა ჩემთან ცხრა საათზე შეხვედრა. რამდენადაც აღრევე შევთანხმდით ტელეფონით არასდროს გვეხსენებინა შეხვედრის ადგილი, გადავწყვიტე, წინანდელი დარჩებოდა-მეთქი. მივედი იქ ზუსტად დანიშნულ დროს. ციცერონი არ დამხვდა. გარს შემოვუარე მთელ კვარტალს, მაგრამ ვერ ვიპოვე. ისევ დავბრუნდი ძველ ადგილზე და მხოლოდ მაშინ დავინახე, რომ ციცერონი მანქანის შესახვედრად მორბოდა და გააფთრებით აქნევდა აქეთ-იქით ელექტროფარანს. ვერ გავიგე. ჩემი გაჩერება სურდა, თუ ეს სინათლის სიგნალიზაცია იყო, გზა განაგრძეო. გადავწყვიტე, სერიოზულად მოვლაპარაკებოდი მას ამ

ბავშვური საქციელის შესახებ: თურქეთის პოლიციას თავისუფლად შეეძლო შეენიშნა ყოველივე.

ბოლოს იგი მანქანაში ჩაჯდა. მშენიერ გუნებაზე იყო. მი-თხრა, მომენტარეო, და უკვირდა, თუ სად დავიკარგე ამდენ ხანს. როცა გაიგო, რომ ბერლინში ვიყავი წასული მხოლოდ და მხოლოდ მასთან დაკავშირებული საქმეების გამო, ძალიან კმაყოფილი და ნასიამოვნები დარჩა. მაცნობა, შენს არყოფნაში ორმოცდაათზე მეტი ძალზე მნიშვნელოვანი დოკუმენტის გა-დაღება შეეძელიო. მაგრამ ვერ გავბედე ჩემთან შენახვა; რად-გან ამას სახიფათოდ ვთვლიო. არ ვიცოდი, როდის დაბრუნდებოდი და ამიტომ გადავწყვიტე ფირების გასხვიოსნებაო. ცი-ცერონი ამ ფირებს გულმოდგინედ ინახავდა და მასში უნდა გადამენახა ჩვეულებრივი თანხა.

— ამაზე ლაპარაკიც კი არ შეიძლება, — ვუპასუხე მე. — რო-გორ ფიქრობთ, რას იტყვიან ჩემი უფროსები ბერლინში, მე რომ გასხვიოსნებული ფირები შევისყიდო თხუთმეტი ათას გირვანქა სტერლინგად?

მან დუმილით აიჩეჩა მხრები.

მანქანა ჩემი ერთ-ერთი მეგობრის სახლის მახლობლად გა-ვაჩერე. რასაკვირველია, მას წინასწარ შევუთანხმდი, რომ ამ სადამოს ოთახს დამითმობდა, სადაც მე და ციცერონს შეგვექ-ლო წყნარად გვესაუბრა. მეგობარი უკვე გველოდა. მას იოტი-სოდენა წარმოდგენაც კი არ ჰქონდა, თუ ვინ იყო ციცერონი. მუსიკალურ ოთახში მიგვაცილა და კეთილგონივრულად მარ-ტო დაგვტოვა.

ოთახში შესვლისას ციცერონმა ცნობისმოყვარეობით მო-ათვალიერა ყველაფერი. ათვალიერებდა გემოვნებით შერჩეულ ძვირფას ავეჯს. მე გადავეცი თხუთმეტი ათასი გირვანქა სტერლინგი დოკუმენტებისათვის, რომელიც მან ბერლინში გამგზავრების წინ მომიტანა. ციცერონმა მაგიდაზე ორი ახალი ხვეული ფოტოფირი დადო, ისევ დაიწყო ლაპარაკი იმ ფირის შესახებ, რომელიც გაუფუჭდა, როდესაც ეს ხვეული ორ ახალ-თან ერთად დადო, ავიღე იგი და უკანვე ჯიბეში ჩავუდე. ამ დროს ჩემი თითები რაღაც ცივ ლითონს შეეხო.

— თქვენ რევოლვერს ატარებთ? — ვკითხე მე.

— ყოველი შემთხვევისათვის, — მიპასუხა მან დაუდევარი კილოთი, — არ მინდა მათ ხელში ცოცხლად ჩავვარდე.

არ ვიცი, ჩათვლიდნენ თუ არა ბერლინში ამ სიტყვებს იმის დამამტკიცებლად, რომ არ გვატყუებდა.

მაგიდაზე ვახშამი იყო გაშლილი—ბუტერბროდები, გრაფინით ღვინო. ციცერონი დანაყრდა, შემდეგ ჩემ გვერდით დივანზე ჩამოჯდა. როგორც ჩანს, თავს ისე გრძნობდა, როგორც საკუთარ სახლში. სიგარეტი მთხოვა:

— მიამბეთ მამათქვენი სიკვდილის შესახებ. — ვუთხარი მე და პორტსიგარი გაუწოდეს.

—საამბობი არაფერია,—მიპასუხა მან და გუნება მაშინვე შეეცვალა: პირქუში გახდა.—საერთოდ არ მიყვარს ლაპარაკი ამის შესახებ. რატომ მეკითხებით ასე გამუდმებით ჩემს პირად ცხოვრებაზე? შესაძლოა, ეს გერმანული ჩვეულება იყოს, მაგრამ მე სრულიად არ მომწონს ყოველივე ეს.

—არავითარი სურვილი არა მაქვს ჩავერიო თქვენს საქმეებში. საერთოდ მიბრძანეს გამომეკითხა თქვენთვის. ბერლინში სრულიად გასაგები მიზეზით ცდილობენ უფრო მეტი ცნობები იქონიონ ადამიანზე, რომელიც ამარაგებს მათ ასეთი მნიშვნელოვანი ინფორმაციით. მათ სურთ იცოდნენ, თუ რას წარმოადგენთ და როგორია თქვენი მოქმედების მოტივები. შეიძლება ამას გერმანული პედანტურობა უწოდოთ, მაგრამ გარწმუნებთ, ეს ამოა ცნობისმოყვარეობა არ არის.

— რაც არ უნდა უწოდოთ ამ უცნაურ ინტერესს, მე იგი არ მომწონს. ჩემი პირადი ცხოვრება თქვენ არ გეხებათ. მე თქვენი მსახური არა ვარ და ვალდებული არა ვარ ვუპასუხო მსგავს შეკითხვებს. მე სიცოცხლეს საფრთხეში ვაგდებ, როდესაც გაწოდებთ ამ დოკუმენტებს. ამით უნდა შემოიტარგლოს საქმიანობაც. ვერ ვხედავ საფუძველს კიდევ რაიმე გავაკეთო თქვენთვის. გარდა ამისა, იქნებ სრულიადაც არ მსურს ჩემი წარსულის შესახებ ლაპარაკი.

— უკანასკნელი ადამიანი უნდა ვიყო, რომ გაიძულოთ ამის გაკეთება. არ ვიცოდი, რომ მამათქვენი სიკვდილი დაკავშირებულია რაღაც საიდუმლოებასთან. ერთხელ თქვენ ახსენეთ, იგი ინგლისელმა მოკლავ, და მე წვრილმანებმა დამაინტერესა.

—იგი მოკლეს და ეს არავითარი საიდუმლოება არ არის. ეს იყო უბედური შემთხვევა, რომელიც ნადირობისას მოხდა. მამაჩემი მარეკად დაიჭირავეს, და ერთი სულელი ინგლისელის



უგუნურება მას სიკოცხლის ფასად დაუჯდა. მაგრამ ვის რად უღირს ღარიბი ალბანელის სიკოცხლე!

ციცერონი დამშვიდდა და ცოტაოდენი ღვინო დალია. მე აღარაფერი მითქვამს, მან კი, მცირე ღუმბილის შემდეგ, განაგრძო:

—იმ იდიოტ ინგლისელს, ვიდრე სანადიროდ წავიდოდა, რომ ესწავლა თოფის სწორად ხმარება, მთელი ჩემი ცხოვრება სხვაგვარად წარიმართებოდა. ის შემთხვევა რომ არა, შესაძლოა, მქონოდა ბედნიერი ბავშვობა, ახლა, რასაკვირველია. მაქვს ფული, ბევრი ფული, მექნება უფრო მეტი, მაგრამ...

.ბოლომდე აღარ უთქვამს სათქმელი. გაჩუმდა.

— იცი, — ისევ ალაპარაკდა ციცერონი, — მამაჩემს სძულდა უცხოელები. ჩვენს მთებში მათ უბედურების გარდა არაფერი მოუტანიათ. მე მძულს ისინი უფრო მეტად, ვიდრე მამაჩემს.

— თქვენთვის ცნობილია იმ ინგლისელის სახელი, რომელმაც მამათქვენი მოკლა? — ვკითხე ხანგრძლივი სიჩუმის შემდეგ.

— არასდროს მინახავს ის ღორი, მაგრამ ვიცი მისი სახელი. როდესაც ცოტა წამოვიზარდე, ამის გამო ხელისუფლებას მივმართე. ბოლოს და ბოლოს მათ ცოტაოდენი ფული მომცეს. კომპენსაცია ობლობისათვის! ის ფული მეყო, რომ თურქეთამდე მომეღწია. მაგრამ ამით არ შემიწყვეტია ინგლისელების სიძულვილი. — შემდეგ მან თეატრალური კილოთი დაუმატა: — ახლა კი შურს ვიძიებ მათზე.

— გაქვთ თუ არა კიდევ რაიმე მიზეზი მათი სიძულვილისათვის?

— ბევრი. ისინი ცუდად მეპყრობიან. ელჩი კი არა — იგი საკმაოდ თავაზიანია, მაგრამ ზოგიერთი სხვები. ისინი მსახურებს აღამიანებად არ თვლიან.

— ასეთ შემთხვევაში რატომ განაგრძობთ მათთან სამსახურს?

— ამას რომ არ ვაკეთებდე, თქვენ არ მიიღებდით მათ საიდუმლო დოკუმენტებს, ასეა ხომ? სიამოვნებას მგვრის მათი მოტყუება. მაგრამ მალე დადგება მომენტი, როდესაც ვიტყვი: ჯარა! და მე მაშინ სადმე გადვიხვეწები, სადაც არაფერს მიცნობს და სადაც არ არიან ინგლისელები.

— იმ პირობით, თუ მანამ არ დაგიჭერენ.

—არა მგონია, დამიჭირონ. ამისათვის წლების განმავლობაში ვემზადებოდი, ყველაფერი ავწონ-დავწონე უმცირეს დეტალებამდე. მაგრამ თუ დამიჭერენ, ცოცხლად მაინც ვერ მომიხვლთებენ.

ამ საღამოს მან უკვე მეორედ მითხრა ეს. თითქმის თერთმეტი საათი იყო, როდესაც ციცერონი წავიდა, დახედა თავის იაფფასიან კალის, თუთიასა და სპილენძის შენადნობისაგან დამზადებულ საათს. ვუთხარი, მანქანით წაგიყვან-მეთქი, იუპერა, ალბათ, ჩქარობდა.

მე ისევ საელჩოში დავბრუნდი, სადაც ფოტოფირები სეიფში ჩავკეტე. წინანდელი გულმოდგინება რამდენადმე გამინელდა იმ მიღების შემდეგ, რომელიც ბერლინში მომიწყვეს, ფირების გამჟღავნება და სურათების დაბეჭდვა შეიძლებოდა დილისათვის გადამედო. შინ წავედი, თანაც იმაზე ვფიქრობდი, რაც ციცერონმა მიაშობო.

მისი ნაამბობი სარწმუნოდ მეჩვენა, თუმცა შიგ იაფფასიანი მელოდრამის კილო მოისმოდა, რამაც მაიძულა ყველაფერ ამას რამდენადმე სკეპტიკურად მოვპყრობოდი. დარწმუნებული ვიყავი, ბერლინში მისი ნაამბობი არავითარ შთაბეჭდილებას არ მოახდენდა.

რასაკვირველია, მესმოდა, რომ მე, ევროპელს, ავსტრიაში აღზრდილს, მთებში სასტიკი შუღლისა და საშინელი შურისძიების ატმოსფეროში აღზრდილი მაჰმადიანი ალბანელის სამყარო უცნაური და არაბუნებრივი უნდა მომჩვენებოდა. მაგრამ ჩვენ ვერასოდეს გავიგეთ, სარწმუნო იყო თუ არა ციცერონის ნაამბობი მამის სიკვდილის შესახებ, თუ მან გამოივონა ეს, რომ ნაკლებანგარებიანი გამოჩენილიყო მისი გამცემლობის მიზეზი. მისი ნაამბობი ვერ დაგვეხმარა გადაგვეწყვიტა საკითხი დოკუმენტების სინამდვილის შესახებ. ამის გამორკვევა კი უახლოეს დღეებში ძალზე აუცილებელი იყო.

შემდეგი საკურიერო თვითფრინავით ბერლინში ოცი ახალი ფოტოსურათი გავგზავნე. ერთ-ერთმა მათგანმა ბერლინში უფრო მეტი მღელვარება გამოიწვია, ვიდრე ციცერონის მიერ აქამდე მოტანილმა სხვა რომელიმე დოკუმენტმა. ეს იყო ტექსტი რადიოგრამისა, რომლის კიდევბზეც ხელით იყო გაკეთებული ტექნიკური ჩანანიშნები, რაც ეხებოდა ლონდონსა და

ანკარას შორის რადიოკავშირს. როგორც შემდეგ გავიგე, იგი განსაკუთრებით მნიშვნელოვანი აღმოჩნდა გერმანიის საიდუმლო სამსახურისათვის: მისი დახმარებით მოხერხდა ინგლისელთა ძალზე მნიშვნელოვანი შიფრის ამოცნობა.

გაგზავნილ დოკუმენტთა შორის იყო ისეთი მასალა, რომელსაც საკმაოდ დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა ჰქონდა. ეს იყო დიდი ბრიტანეთის ელჩის შავად ნაწერი მოხსენება ლონდონისა და ანკარის ურთიერთობის შესახებ, იგი თითქმის მთლიანად დაწერილი იყო თვით ელჩის თანაბარი, მკაფიო ხელით. შიგ გახლდათ ძლიერ აკურატულად შესრულებული უამრავი შესწორება. ჩვენთვის, თურქეთში გერმანიის საელჩოს თანამშრომლებისათვის, ეს მოხსენება განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო. იგი ნათლად გვიჩვენებდა თურქების გადაწყვეტალებას თავა შეეკავებინათ ომში მონაწილეობისაგან. ინგლისელები კი, ბუნებრივია, იმას ცდილობდნენ, რათა თურქეთი ნეიტრალიტეტის შენარჩუნებით შეიარაღებულიყო, შემდეგ კი მას თავი მოეყარა თავისი ჯარებისათვის თრაქიაში, რითაც აიძულებდა გერმანელებს, რაც შეიძლება, მეტი დივიზიები ჰყოლოდათ ბულგარეთში. დიპლომატიური ურთიერთობის გაწყვეტა გერმანიასა და თურქეთს შორის ამ გზის პირველი ნაბიჯი უნდა ყოფილიყო.

რასაკვირველია, ჩვენ აღრეც კარგად ვხედავდით, რა სურდათ ინგლისელებს, მაგრამ არ ვიცოდით, რაოდენ ახლოს იყვნენ ისინი თავიანთი გეგმების განხორციელებასთან. უფრო მეტიც, ამ დოკუმენტის წყალობით განსაკუთრებით აშკარა ხდებოდა მოწინააღმდეგის ზრახვები ასე დეტალურად გადმოცემული მისი ავტორიტეტული წარმომადგენლის მიერ; განცვიფრებული ვიყავი იმით, თუ როგორ მშვიდად და ფხიზლად აფასებდა სერ ჰიუ საერთაშორისო მდგომარეობას, როგორ არ უვლიდა გვერდს არასასიამოვნო ფაქტებს და თავს არ არიდებდა რთული საკითხების განხილვა-გარჩევას, თუნდაც მის მიერ გამოტანილი დასკვნები არც კი მოსწონებოდა უაითპოლს<sup>1</sup>.

<sup>1</sup> უ ა ი თ პ ო ლ ი — ქუჩა ლონდონში, სადაც განლაგებულია მთავრობის მთელი რიგი დაწესებულება. გადატანითი მნიშვნელობით—ინგლისის მთავრობა.

ამრიგად, ის არ ცდილა დაემალა, როგორი იყო გერმანელების ელჩის გავლენა თურქეთის საგარეო პოლიტიკაზე.

ასეთი შავადნაწერი დოკუმენტები შეიძლება ქცეულიყო ფასდაუდებელ მასალად ჩვენი გერმანელი პოლიტიკოსებისათვის, მათ რომ სურვილი ჰქონოდათ ესწავლათ მოწინააღმდეგისგან ინგლისური დიპლომატიის ნაცადი მეთოდები. ჩვენდა საუბედუროდ, ჩვენი ბერლინელი ხელმძღვანელები მეტისმეტად თავდაჯერებულნი იყვნენ—ისინი არც კი ფიქრობდნენ, ინგლისელებს შეუძლიათ რაიმე გვასწავლონო. მათ არ სურდათ დაეჯერებინათ არც ერთი ფაქტი, რომელიც მათი საკუთარი გაგების საპირისპირო იყო.

ამიტომ სერ ჰიუს შავადნაწერი უფრო ღირსეულად იყო შესახებული ანკარაში, ვიდრე ბერლინში.

„ნათლად და საღად შეფასებული ფაქტები შავადნაწერში გადმოცემულია საქმის დიდი ცოდნით“,—ასეთი იყო ფონ პაპენის დასკვნა მას შემდეგ, რაც ყურადღებით შეისწავლა ეს დოკუმენტი, დაწერილი მტრის ბანაკში მისი კოლეგის მიერ წვრილი, გარკვეული ხელით.

—ბერლინს ეს ძალზე არ მოეწონება,—დააბოლოვა პაპენმა.

რაც შეეხება ჩემს მუშაობას ახალ ფირებზე, აქ სუფთა ტექნიკური სირთულენი წარმოიშვა. ამის გასაგებად არ იყო საჭირო სპეციალისტ-ფოტოგრაფი ყოფილიყავი. როგორც ჩანს, ამჯერად ციცერონი ჩვეულებრივზე მეტად ჩქარობდა. მას არ ჰქონდა ფოტოგრაფირებული ქაღალდების გასწორების დროც კი: ერთი თუ ორი სურათი სხვა დოკუმენტებით იყო დაფარული, ზოგიერთი ნეგატივი ფოკუსში არ აღმოჩნდა. საერთოდ ყველა ისინი ნაკლებ გასარჩევი იყო, ვიდრე წინათ მოტანილი დოკუმენტები.

ფოტოსურათებსა და ფირებს ბერლინში გაგზავნისას, ჩვეულებისამებრ, დავურთე წერილი, სადაც ვწერდი ციცერონის ნაამბობს მამის სიკვდილის შესახებ, მოვიხსენიე ისიც, თუ როგორ შეაშინა იგი ჩემმა დიდი ხნით არყოფნამ, რის გამოც მან ერთი ფოტოფირი გაანათა, რომელზეც, მისი სიტყვებით, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი დოკუმენტები იყო გადაღებული. უნდა ითქვას, უკანასკნელი ამბავი მხოლოდ იმიტომ ჩავურთე,

რომ მეწყენინებინა რიბენტროპისათვის. ეს იყო ჩემი პატარა შურისძიება ბერლინში მისი ჩემდამი მოპყრობისათვის.

რამდენიმე დღის შემდეგ მივიღე პასუხი. ჩვეულებრივ, მბრძანებლური კილოთი მიბრძანებდნენ ამეძულებინა ციკერონი ერთხელ კიდევ გადაეღო მოხსენიებული დოკუმენტები.

ნოემბრის ბოლო დღეებში ისევ სტამბულს წავედი. მწყინდა, კვლავ ასე მალე რომ მომიხდა გამგზავრება, მაგრამ ამისათვის განსაკუთრებული მიზეზები არსებობდა.

ახლახან ციკერონმა მთხოვა განსაკუთრებული დახმაოების სახით მეშოვა მისთვის ხუთი ათასი გირვანქა სტერლინგი ამერიკული დოლარებით. მისი აზრით, სისულელე იქნებოდა ვადაეცვალა ასეთი დიდი თანხა ერთ-ერთ ადგილობრივ ბანკში—ეს აუცილებლად გამოიწვევდა ექვს. დოლარები კი სასწრაფოდ სჭირდებოდა, რადგანაც შემთხვევა მიეცა ხელსაყრელი ანაბრისათვის.

ამ დროისათვის ციკერონს თითქმის ყოველდღიურად მოჰქონდა განსაკუთრებით მნიშვნელოვანი დოკუმენტები. და მისთვის რომ კარგი განწყობილება შემენარჩუნებინა, გადაეწყვიტე დავხმარებოდი.

იმ თანხიდან, რომელიც მისთვის შემდგომ უნდა გადამეხადა, ხუთი ათასი გირვანქა სტერლინგი მე ავიღე და ავანსი ჩვენს საკუთარ ბანკში შევიტანე. მმართველს თანაც გაეცვალა ეს სტერლინგები დოლარებზე. მმართველმა მითხრა, ძალიან კარგ დროს მოხვედით. ერთ-ერთი მისი კლიენტთაგანი, საქმოსანი სომეხი ითხოვდა გაეცვალათ დოლარები გირვანქა სტერლინგებზე. ყველაფერი მოგვარდა და ციკერონს დოლარები გადავეცი.

რამდენიმე ხნის განმავლობაში არაფერი მსმენია ამ საქმის შესახებ და თითქმის დამავიწყდა კიდევ, მაგრამ ერთხელ, უცებ, ბანკის მმართველმა დამირეკა ტელეფონით, ძლიერ გაბრაზებული ჩანდა. დაუყოვნებლივ წავედი მასთან და გავიგე, რომ დეპეშა მიეღო შვეიცარიიდან. რომელიღაც შვეიცარიელ საქმოსანს სომხისაგან ეყიდნა ბანკნოტები გირვანქა სტერლინგებში და წაეღო ინგლისში, სადაც გაირკვა, რომ ფული ყალბი იყო. ამის შესახებ აცნობეს ანკარაში ბანკის მმართველს, რადგანაც იგი ამ გარიგების შუამავალი იყო. ახლა მას დიდი საფრთხე ემუქრებოდა.

მე დაუყოვნებლივ გავგზავნე ბერლინში ჩემ მიერ შესრულებული გარიგების დაწვრილებითი ანგარიში, ვთხოვე მოეცათ მითითებები. მალე მივიღე პასუხი, სადაც გამოთქმული იყო აღწეობა ჩემი უაზრო ექვების გამო ვილჰელმშტრასედან გამოგზავნილი ფულის სრულფასოვნების შესახებ. პასუხში ნათქვამი იყო, რომ დაუშვებელია მსგავსი მოსაზრების გამოთქმა. შემდეგ ამტკიცებდნენ, ამ მოგზაურობის დროს დიდ მანძილზე, რაც ინგლისურმა ბანკოტებმა გაიარეს, ვინმემ, ალბათ, გაცვალა ისინი ყალბ ფულზე ანდა, შეიძლება, იმ სომეხმა გამოიგონა მთელი ეს ამბავი და შეეცადა შენს მოტყუებასო. თანაც მაფრთხილებდნენ, მოიარებიოთაც კი ერიდეთ სკანდალსო და ამიტომ აუცილებლად დაუყოვნებლივ მოაწესრიგე ეს საქმეო. მივიღე მითითებაც, რაც შეიძლება ტექნიკურად ხმარებიდან ამომეღო საელჩოს ფონდები ანკარის ზანკიდან და უარი მეთქვა მის მომსახურებაზე. ბერლინს მეტად აღარ სურდა ამ ამბის გაგონება.

ბერლინში ჩემი უკანასკნელი ყოფნის დროს იქ ავრცელებდნენ ჭორებს, გერმანიაში ყალბი ინგლისური ქაღალდის ფული იბეჭდებოდა, განსაკუთრებით მსხვილ-მსხვილ კუპრებად—ნავარაუდევ იყო მათი ნეიტრალურ ქვეყნებში გადაგზავნა. მე შევეკითხე ამის შესახებ მრავალ ოფიციალურ პირს და მუდამ კატეგორიულად უარყოფით პასუხს ვიღებდი. ახლა ძველი ჭორები ისევ გაცოცხლდნენ ჩემს მეხსიერებაში.

ბერლინის მითითებები შევასრულე, საქმეც ბანკთან უხმაუროდ იქნა მოწესრიგებული. მაგრამ ეს ნაკლებად მახარებდა.

ნუთუ ბერლინში ყალბ ბანკოტებს ბეჭდავენ? ნუთუ ამდენად სულელები არიან სამინისტროს ხელმძღვანელები, რომ საფრთხე შეუქმნეს მთელ ოპერაციას და თვით ციცერონს, რომელსაც ყალბ გირვანქა სტერლინგებს უხდია? მაინც მსურდა დავრწმუნებულიყავი ფულის სრულფასოვნებაში, რომელსაც ციცერონს ვუხდიდი.

ჩემს სეიფში შენახული თითოეული შეკვრიდან ავარჩიე თითო-თითო საკრედიტო ბილეთი. საერთო ჯამში მათ შეადგინეს ათი ათასი გირვანქა სტერლინგი. ამ ფულით გავემგზავრე სტამბულის ბანკის მმართველთან, რომელთანაც ანგარიშს აწარმოებდა გერმანიის გენერალური საკონსულო. ვთხოვე

მას — გაესინჯა ფული და ვუთხარი, იგი შემოთავაზებულია ჩვენთვის გასაყიდად და შეამოწმეთ, ნამდვილია თუ არამეთქი. ორი დღის შემდეგ ფულის წასაღებად მივედი. ფული სრულფასოვანი აღმოჩნდა. ასე რომ, ერთი დიდი ტვირთი მომშორდა მხრებიდან.

პირველი საკურიერო ფოსტით, რომელიც დეკემბერში ჩემს სახელზე მოვიდა, მივიღეთ საკმაოდ საინტერესო ნივთი. ეს იყო წიგნების სრული კრებული მეოცე საუკუნეში ჯაშუშობის ყველაზე ცნობილი შემთხვევების შესახებ. მათ შორის, მახსოვს, იყო რონგეს მონოგრაფია: „ჯაშუშობის ისტორია პირველი მსოფლიო ომის დროს“. მე არ შემიკვებთია ეს წიგნები და მათი წაკითხვის არც დრო და არც სურვილი არ მქონდა. წიგნებს დართული ჰქონდა წერილი, რომელშიც საკმაოდ თავაზიანად იყო მითითებული, რომ მათი საგულდაგულო შესწავლა დამეხმარებოდა „ციცერონის“ ოპერაციის წარმატებით ჩატარებაში. ყველა ეს წიგნი საწერი მაგიდის ქვედა ყუთში ჩავდევი, სადაც ასე იდო დიდხანს წაუკითხავად და წარმოადგენდნენ გერმანული პედანტურობის ზედმეტად დადასტურებას.

წერილზე თავაზიანად ვუპასუხე, არ მაქვს დრო ბელეტრისტიკის წასაკითხად, ამასთან ძლიერ რთულია გაატარო რაიმე პარალელი ოპერაცია „ციცერონისა“ და, ვთქვათ, მატა პარის შემთხვევას ან ღრეიფუსის საქმეს შორის-მეთქი. ვამოვთქვი მოსაზრება, რომ უკეთესი იქნებოდა, თუ ვიხელმძღვანელებდი სალი გონებით. თანაც მოვაგონებდი, თუ ნამდვილად სურდათ დახმარება, უკეთესი იყო გამოერკვიათ ამ დომხალში. თუ ვის ვეჭვემდებარებოდი. რამდენიმე ხნის შემდეგ მივიღე არაოფიციალური წერილი, რომელშიც მირჩევდნენ ცოტა მომეთმინა, — დავა რიბენტროპსა და კალტენბრუნერს შორის გრაჟულდებოდა.

თითქმის მთელი კვირის განმავლობაში ციცერონის არაფერი გამიგია, თუმცა ამ ხნის განმავლობაში მივიღე ოფიციალური პასუხი შეკითხვაზე ჩემი მდგომარეობის შესახებ.

წერილი ნიშანდადებული იყო გრიფით „ს რ უ ლ ი ა დ ს ა ი დ უ მ ლ ო დ . პ ი რ ა დ ა დ გ ა ხ ს ნ ა ს“. იგი შეიცავდა კალტენბრუნერის მეტად მკვახე ფორმით შედგენილ ბრძანებას

მეტად აღარ მიმეწოდებინა ინფორმაცია ელჩ ფონ პაპენისათვის ოპერაციაზე. არავითარ შემთხვევაში არ უნდა მეჩვენებინა მისთვის დოკუმენტები.

მაგრამ მე აქვე გადავწყვიტე არ შემესრულებინა ეს მითითებები, თუ ჩავთვლიდი, რომ ესა თუ ის დოკუმენტი შეიძლება გამოდგომოდა ელჩს მის მუშაობაში. როდესაც ფონ პაპენს ეს წერილი გავაცანი, იგი აღშფოთდა და გაბრაზდა. თუ კალტენბრუნერის ბრძანებას რიბენტროპი დაადასტურებს, მითხრა ელჩმა, მაშინვე სამსახურიდან გადავდგებიო.

რაც შემეხება მე, ბრძანებისადმი დაუმორჩილებლობის გამო, მოგვიანებით არასასიამოვნო მდგომარეობაში ჩავყარდი.

დეკემბერში ციცერონი ძლიერ ნაყოფიერად მუშაობდა. მას მოჰქონდა ჩვენთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი მასალები და ისეთი რაოდენობით, როგორც არასდროს. უკვე დავრწმუნდით, რომ იგი არ გვატყუებდა.

ბერლინში, ბოლოს და ბოლოს, მიხვდნენ ამ ოპერაციის მნიშვნელობას. ყოველი საკურიერო თვითმფრინავს ჩაჰქონდა იქ სულ ახალი და ახალი სრულიად საიდუმლო ინგლისური დოკუმენტები, ამასთან იმდენად მნიშვნელოვანი, რომ დაეა რიბენტროპსა და კალტენბრუნერს შორის დროებით შეორეხარისხოვანი გახდა. მაგრამ რიბენტროპის დამოკიდებულება ოპერაციისადმი, მგონი, უცვლელი რჩებოდა. ყოველ შემთხვევაში, იგი განაგრძობდა ქედმაღლურ დუმისა და კმაყოფილებობა მხოლოდ დოკუმენტების წაკითხვით. როგორც ჩანს, საგარეო საქმეთა მინისტრს ეჭვი ეპარებოდა ამ დოკუმენტებს უტყუარობაში. ამ მიზეზით, ანდა ოპერაციისადმი თავისი მტრული დამოკიდებულობის გამო, იგი არ ცდილა გამოეყენებინა უმნიშვნელოვანესი მონაცემები.

ციცერონი კი ამ მოუსვენარ დეკემბერში სულ სხვა ადამიანად იქცა. იგი ახლა სავსებით მეგობრულად იყო ჩემდამი განწყობილი, საკმაოდ ამოიდგა ენა. როგორც ჩანს, მან მთლიანად გადალახა თავისი პირვანდელი გულჩათხრობილობა და თავშეკავებულობა. ოღონდ, როდესაც შეკითხვებს ვაძლევდი პირადი ცხოვრების შესახებ, იგი ისევ იღუშებოდა, მაგრძობინებდა, რომ ეს ჩემი საქმე არ იყო.

როგორც ჩანს, ციცერონი ძლიერ ამაყოფიდა თავისი წარმა-



ტებებით. ღამის შეხვედრების დროს უყვარდა თავისი მომავლის შესახებ ლაპარაკი. სიამოვნებას ანიჭებდა ეოცნება დიდ სახლზე, რომლის ყიდვასაც აპირებდა შორს აქედან, რომელიმე მისთვის სასურველ ქვეყანაში, მახსოვს, უნდოდა ბევრი მსახური ჰყოლოდა. ზოგჯერ თავისი მხიარული აღზნებით იგი ბავშვს მაგონებდა შობის წინაღღებში. გერმანიის სწრაფად გაუარესებული მდგომარეობა, ალბათ, სრულიადაც არ აღელვებდა მას.

—მე შევადგინე მოქმედების გეგმა ყოველგვარი სახის გაუთვალისწინებელი მდგომარეობის შემთხვევაში,—მიტხრა ერთხელ მან თავისი ჩვეული ქედმაღლური იერით,—ზუსტად ვიცი, თუ რას გავაკეთებ, თუ გერმანია ომს წააგებს.

მაგრამ მან არ გადაამიშალა ეს გეგმები. მის გარეგნობასაც დაეტყო მნიშვნელოვანი ცვლილებები. ახლა ის ატარებდა ყველაზე საუკეთესო ინგლისური მაუდისაგან კარგად შეკერილ კოსტიუმებს და კაუჩუკის სქელსაჩიან ძვირფასყელიან ფეხსაცმელს. როდესაც ერთხელ მას მაჯაზე დიდი საუცხოო ოქროს საათი გაეკეთებინა, გადავწყვიტე მოვლაპარაკებოდი.

—გიფიქრია თუ არა, რომ თქვენს შეფს და სხვებს შეუძლიათ შეამჩნიონ ყველა ეს ძვირფასი ნივთი? უცებ ისინი იფიქრებენ: საიდან აქვს ამდენი ფულირ. გულახდილად რომ ვთქვა, ძლიერ დაუდევრად იქცევირ. თქვენი ქცევა მეტად სახიფათოდ მეჩვენება.

ციცერონმა ნაღვლიანად შემომხედა. ჩემმა სიტყვებმა მასზე უდავოდ დიდი შთაბეჭდილება მოახდინეს. მან უცებ მოიხსნა საათი და მთხოვა, დაიტოვე იგი, სანამ არ მომეცემა საშუალება წავიღო სტამბულში და მივაბარო შესანახად სხვა ფასიან ნივთებთან ერთად.

ციცერონს ძალიან უყვარდა ძვირფასეულობა. ერთხელ მთხოვა მიმეცა კუთვნილი თხუთმეტი ათასი გირვანქა სტერლინგი არა ინგლისური საკრედიტო ბილეთებით, არამედ ბრილიანტებითა და პატიოსანი თვლებით. თვით მას არ სურდა: ეყიდა, შიშობდა, ეჭვი არ გამოეწვია.

მე ვუთხარი, რომ ასევე საეჭვო იქნებოდა, თუ წავიღოდი მალაზიაში და ვიყიდოდი თხუთმეტი ათასი გირვანქა სტერლინგის ბრილიანტებს. მაგრამ მაინც დავთანხმდი მეყიდა მისთვის.

ორი ათასი გირვანქა სტერლინგის ფასეულობანი. ამ თანხის ფარგლებში სრულიად მშვიდად შემეძლო მემოქმედა, თავი ისე მომეჩვენებინა, თითქოს საჩუქრებს ჩემი ცოლისთვის ვყიდულობდი.

სხვა აგრეთვე შესამჩნევი ცვლილება ციცერონის გარეგნობაში იყო მისი ფრჩხილები. როდესაც პირველად შევხვდი, ფრჩხილები ძირამდე ჰქონდა დაკვნეტილი. ახლა კი მანიკურსაც იკეთებდა.

მისი აღრინდელი ნერვულობა სრულიად გაქრა: შეწყვიტა ფარდების უკან შეხედვა და კარების უხეშად გაღება. იმდენად დარწმუნებული გახდა, რომ მეშინოდა, რამე არ ჩაედინა გაუფრთხილებლობით. თუმცა, თვის შუა რიცხვებში, მისი თვითდარწმუნებულობიდან კვალიც აღარ დარჩენილა, მაგრამ ამაზე შემდეგ.

მალე მას შემდეგ, რაც დამთავრდა მოკავშირეთა კონფერენციები კაიროსა და თეირანში, ციცერონმა დამირეკა და მთხოვა შემხვედროდა. იმ საღამოს ოფიციალურ სადილს უნდა დავსწრებოდი, რომელზეც უარის თქმა ახლა უკვე უხერხული იქნებოდა, ამიტომ შეხვედრის დრო რამდენადმე ადრე დავუნიშნე.

საღამოს რვა საათზე უკვე დათქმულ ადგილზე ვიყავი. ციცერონი აუჩქარებლად შემოხტა მოძრავ მანქანაში, ჩვეულებისამებრ, თავისი საკვირველი კატისებრი სიმარლით. მგონი, ისიც ჩქარობდა. გადავეცი ფულის შეკვრა, რომელიც მაშინვე პირდაპირ ჯიბეში ჩაიჩარა, და გადმომცა ორი ხვეული ფოტოფირი. როგორც მოგვიანებით გამოირკვა, იგი ყველაზე მნიშვნელოვანი ინფორმაცია აღმოჩნდა ციცერონის მიერ ჩვენთან მოტანილი ინფორმაციებიდან. მითხრა, რამდენიმე დღის შემდეგ კვლავ მოვიტან ახალ დოკუმენტებსო, და ბნელ მოსახვევში მანქანიდან წყნარად გადმოხტა.

არ მსურდა სადილზე უფრო დაგვიანება, ვიდრე ეს მიღებული იყო, ამიტომ პირდაპირ იქით გავემგზავრე, ისე რომ ფირები საელჩოში არ წამიღია.

სადილი არ იყო განსაკუთრებით სასიამოვნო, ჩემთვის მაინც. ყოველ ორ წუთში ხელს ჯიბეში ვიყოფდი, რათა დავრწმუნებულიყავ მათ უვნებლობაში.

მღელვარებამ ცუდ თანამოსაუბრედ გამხადა და იმ საღამოს ბრიჯიც ძლიერ ცუდად ვითამაშე.

ვცდილობდი, არ დამერღვია ზრდილობის წესები. ბოლოს ბოდიში მოვიხადე ადრე წამოსვლის გამო. ცოლი შინ რომ გავუშვი, საელჩოში გავემგზავრე. ჯერ მიწოდდა ფოტოფირები სეიფში ჩამეკეტა, დილისათვის გამემქლავნებინა და დამებეჭდა, მაგრამ ცნობისმოყვარეობამ დამძლია, გადავწყვიტე, მაშინვე შევდგომოდი საქმეს.

ფოტოლაბორატორიაში მთელი ღამე გავატარე და სამუშაო მხოლოდ გათენებისას დავამთავრე. ჩემს ხელთ იყო კაიროსა და თეირანის კონფერენციათა ოქმები.

დილით ბერლინისათვის შესადგენ მოხსენებაზე განვაგრძე მუშაობა. ჩემი პედანტი უნურხენი, რომელიც ზუსტად ცხრა საათზე გამოცხადდა, ალბათ გოცდა, როცა დაინახა სმოკინგში გამოწყობილი თავისი უფროსი საბეჭდ მანქანასთან. მაგრამ მან ერთხელ კიდევ მიჩვენა ბრწყინვალე მომზადება დიპლომატიური სამუშაოსათვის, სიტყვა არ უთქვამს ჩემი ტანსაცმლის შესახებ და არც იმაზე, რომ თვით დამებეჭდა საბეჭდ მანქანაზე და არ მეკარნახა მისთვის

ამ დოკუმენტების წყალობით ჩვენთვის სრულიად ნათელი გახდა სამხედრო მოქმედებათა შემდგომი მსვლელობა და მოკავშირეთა პოლიტიკა, რომელიც გაირკვა მოკავშირე ქვეყნების სამი ამასწინანდელი შეხვედრისას.

მოხსენებაში დოკუმენტების ძირითადი შინაარსის მოკლედ ჩამოყალიბების დროს ნათლად შევიგრძენი მწვავე სინამდვილე, რომ თითქოსდა დასკვნას ვწერდი გერმანიის დამარცხების გარდუვალობის შესახებ. მოსკოვის კონფერენციამ ჩაატარა მოსამზადებელი სამუშაო, ხოლო თეირანის კონფერენციამ საბოლოო შტრიხებით გამოკვეთა. კონფერენციაზე დამუშავებული იყო ახალი მსოფლიოს შექმნის გეგმები და პირველ ნაბიჯს სწორედ მესამე რაიხის სრული განადგურება და მისი ხელმძღვანელების—ომის დამნაშავეთა დასჯა წარმოადგენდა. მე ვერასოდეს გავიგე, თუ როგორი შთაბეჭდილება მოახდინეს ამ ცნობებმა ადამიანებზე, რომელთა ბედი თეირანში გადაწყვეტიეს. მე კი შიშით მაკანკალებდა იმ უზარმაზარი ისტორიული პერსპექტივის გამო, რომელიც ასახული იყო ციკერონის მიერ მოპარულ დოკუმენტებში.

მთელი დღე მოუსვენარ შრომაში გავატარე, ვადგენდი სულ ახალ და ახალ მოხსენებებს და ვგზავნიდი ფონ პაპენტანს. სალამოს ისევ შევხვდი ციციერონს. მან ფოტოფირის კიდევ ერთი ხვეული მომიტანა. მასში სულ რამდენიმე კადრი იყო, მაგრამ ერთ მათგანს მაინც უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა. ჩვენ დეპეშით დაუყოვნებლივ ვაცნობეთ ბერლინს, რომ თურქეთის სახელმწიფო მეთაური გაემგზავრა კაიროში პრეზიდენტ რუზველტთან და პრემიერ-მინისტრ ჩერჩილთან შესახვედრად. აქამდე არც ერთმა ჩვენთაგანმა, ვინც კი თურქეთში ვიმყოფებოდით, რომ არაფერი ვთქვათ ბერლინზე, ეჭვადაც კი არ იცოდა, რომ პრეზიდენტი ისმეთ ინენიუ და თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრი გაემგზავრნენ ანკარიდან.

ახლა ციციერონი ყოველდღიურად სულ უფრო და უფრო აქტიური ხდებოდა. თითქმის ყოველ მეორე დღეს მოჰქონდა ახალი მასალები. მე მივეცი მას სავსებით ახალი „ლეიკა“ და ბერლინიდან გამოგზავნილი ბევრი ფოტოფირი. ასეთი რაოდენობით ფოტოფირის ყიდვა ანკარაში ეჭვს გამოიწვევდა.

დეკემბრის მეორე კვირის ბოლოს ციციერონმა ისევ დამირეკა და შევთანხმდით ამავე სალამოს შევხვედრილიყავით. ჩვეულებებისამებრ, ჩვენ უმიზნოდ დავეხეტებოდით ანკარის ბნელ ქუჩებსა და შესახვევებში. უკანმჯდომმა ციციერონმა ფოტოფირის ხვეული გამომიწოდა, მე კი გადავეცი ფული. გარდა ფოტოფირისა, მან კიდევ პატარა პაკეტი გადმომცა.

—შემდეგ გახსენით,—თქვა მან.—იქ, ბერლინში, გაიგებენ. თუ რისთვისაა საჭირო.

მსურდა მეკითხა, თუ რა იყო პაკეტში, მაგრამ უცებ დამაბრმავა სხვა მანქანის ფარების ნათელმა სინათლემ—ჩემი მანქანის უკანა სარკიდან იგი ჩემ წინ მდებარე სარკეში აირეკლა.

მანქანიდან თავი გამოვყავი და ჩვენ უკან ოცი მეტრის დაშორებით გრძელი შავი ლიმუზინი დავინახე. მახსოვს, გულში შევაქე ჩემი თავი იმისათვის, რომ ვიზრუნე უკან დაკიდებულ ნომერზე. იგი მოლუნული იყო და გამხმარი ტალახით მოსვრილი. „ოპელის“ გერმანული წარმოშობის დადგენა, თუ ყურადღებით არ დააკვირდებოდი, შეუძლებელი იყო. შეიძლებოდა,

ჩაგეთვალათ ერთ-ერთ ახალ ამერიკულ მანქანად, რომელიც ანკარაში ასე ბლომად იყო.

ნელა წავედი წინ, დავიცადე, ვიდრე ლიმუზინი გვერდს ამივლიდა. მაგრამ ეს არ მოხდა. მაშინ გადავწყვიტე გაჩერებულიყავი ტროტუართან, რათა გამეშვა იგი. მაგრამ დიდო მუქი მანქანაც დაახლოებით ოცი მეტრის მანძილზე გაჩერდა. ახლა უკვე ავღელდი. ლიმუზინის ძლიერმა ფარებმა ნათლად გაანათეს „ოპელის“ შიგა ნაწილი. ციცერონი, რომელიც უკანა ფანჯრის ფარდას ეფარებოდა, როგორც ჩანს, ვერ მიხვდა, თუ რა ხდებოდა. ალბათ, მას სინათლე აწუხებდა. ამ დროს მომესმა ლიმუზინის საყვირის ხმა და დავინახე; როგორ ნელ-ნელა ვვიახლოვდებოდა იგი.

თავზარი დამეცა, ბევრი აღარ მიფიქრია, სწრაფად მოვწყვიტე მანქანა, სიჩქარეს ვუმატე, და ვცდილობდი ჩამომეცილებინა ლიმუზინი.

მალე დავრწმუნდი. რომ ჩვენს მდევარ მანქანას არანაკლები სიჩქარე ჰქონდა, ვიდრე ჩვენს „ოპელს“. გარდა ამისა, არ შემეძლო განმევითარებინა ზღვრული სისწრაფე, მეშინოდა, ვინმე გამვლელს, ან რაიმეს არ დავჯახებოდი. უბედური შემთხვევა ამ მომენტში ყველანაირი დასასრულს ნიშნავდა. თუ ჩვენ მოვკვდებოდით, ან სერიოზულად დავიჭრებოდით, თურქეთის პოლიცია მანქანაში იპოვიდა გერმანიის ატაშეს ფოტოფირს ხვეულით და ინგლისის ელჩის კამერდინერს, რომელსაც თან ფულის უზარმაზარი თანხა ჰქონდა... რასაკვირველია, ჩვენი მდევრები ამას თუ დაუშვებდნენ.

ამასობაში ლიმუზინი განაგრძობდა ჩვენს დევნას წინანდელ მანძილზე. მე ისევ შევამცირე სიჩქარე და ახლა ჩვენ უბრალოდ მივხობხვდით. მეორე მანქანამაც იგივე გააკეთა. მე უკვე დარწმუნებული ვიყავი, რომ ციცერონს თვალყურს ადევნებდნენ, შესაძლოა, იმ მომენტიდან, როდესაც იგი ინგლისის საელჩოდან გამოვიდა. ყველაფერი ეს იმის მაჩვენებელი იყო, რომ მათ იცოდნენ, ვინ იმყოფებოდა გერმანელი დიპლომატის მანქანაში.

თავს ძალა დავატანე, შევწყვიტე ამაზე ფიქრი. არ ვაპირებდი დამორჩილებას ისე, რომ არ გამეკეთებინა უკანასკნელი ცდა თავიდან ჩამომეცილებინა ისინი.

ძლიერ ვიწრო და ბნელ შესახვევში შესვლის შემდეგ ნელა შევუხვით კუთხეში, შემდეგ კი მოვუმატე სისწრაფეს და სრული სვლით შევუხვით ერთ კუთხეში, შემდეგ მეორეში, ამან არ მიშველა. სარკეში ჭერ ისევ ვხედავდი მუქი ლიმუზინის გამონახატულებას, რომელიც იმავე მანძილზე მოგვეყვებოდა.

რისი გაკეთება შეიძლებოდა კიდევ? დღისით რომ მომხდარიყო ეს ამბავი, შევეცდებოდი, გავჭრილიყავი გერმანიის საელჩოსაკენ, მაგრამ ღამით მეკარეს არანაკლები ერთი-ორი წუთი მაინც დასჭირდებოდა, რათა გაეღო მძიმე რკინის კარი. გარდა ამისა, თუ კარი ღია იქნებოდა, შიგ შესვლა ნიშნავდა მიეცა მდევნელებისათვის აუცილებელი დამამტკიცებელი საბუთი, რომ ციცერონი გერმანელთა ჯაშუში იყო. რაიმე სხვა გამოსავალი უნდა მომეფიქრებინა.

ქუჩების კუთხეების გარშემოვლისას, სარკეში ციცერონის გამონახატულება დავინახე, მკვდარივით გაფითრებული კუთხეში იყო მოკრუნჩხული. მას ესმოდა, რომ საფრთხე კარს გვადგა. მეორე მანქანიდან სინათლის სხივმა ერთი წამით გაანათა იგი და შევამჩნიე, რომ სახე ოფლიანი ჰქონდა. ხელებით ჩაებლაუქა წინა საჯდომის ზურგს.

—ნუთუ არ შეგიძლიათ უფრო სწრაფად წახვიდეთ?— იკითხა ხრინწიანი ჩურჩულით.

—შემიძლია, მაგრამ ამაოა.

უცებ გამიელვა აზრმა, მეცადა გავსულიყავი ერთ-ერთ დიდ ახალ საავტომობილო გზატკეცილზე, რომლებიც ანკარადან რამდენიმე მიმართულებით გადიან. ერთ-ერთ მათგანზე შემეძლო განმევითარებინა ზღვრული სისწრაფე და თავიდან ჩამომეცილებინა ლიმუზინი. ქალაქის კარიდან დიდებული გზები იწყებოდა, მაგრამ არ იყო მოსახვევები. რა გზითაც წახვიდოდი, იმავე გზით უნდა დაბრუნებულიყავი. ასეთ შემთხვევაში, თუ ისინი ინგლისელები იყვნენ, თავს არ შეიწუხებდნენ გამოდევნებით: მათ შეეძლოთ საერთოდ დაეცადათ, ვიდრე დაებრუნდებოდი.

თან არ მქონდა რევოლვერი. ანკარაში არასდროს არ ვატარებდი იარაღს. ახლა ეს უსარგებლოც იქნებოდა, რადგანაც პირველი არ დავიწყებდი სროლას, ხოლო მეორედ სროლას უკვე აზრი არ ჰქონდა. გარდა ამისა, ყოველთვის ვფიქრობდი,

რომ გატენილი რევოლვერის ტარება უფრო საშიშია-მეთქი, ვიდრე ურევოლვეროდ სიარული, რადგანაც იგი უნერგავს ადამიანს უსაფრთხოების სრულიად მცდარ გრძნობას.

უკეთესია, თუ დავეყრდნობი საკუთარ გონებას—გონება გაცილებით სასარგებლო იარაღია.

მაგრამ ციკერონს გატენილი იარაღი ჰქონდა და ეს განსაკუთრებით საშიში იყო ორივესათვის. როგორ მინდოდა რამენაირად ამომეღო რევოლვერი მისი ჯიბიდან.

ერთხელ კიდევ ვცადე აღრინდელი ოინი. ძლიერ ნელა გავიარე გზაჯვარედინი. იგივე გააკეთეს ჩემმა მღევრებმა. შემდეგ გავაქანე ავტომანქანა. შეუზხვიე ერთ კუთხეში, შემდეგ—მეორეში და ბოლოს—მესამეში. ეს იყო კრიტიკული მომენტი. ვგრძნობდი, როგორ მოიქნია გვერდი მანქანამ ორ თვალზე, როგორ ჰკრიალებდა მოსახვევებში, ხოლო ერთ ვიწრო გადასახვევში კინალამ გაკრა სახლის კუთხეს. მაგრამ მალე მანქანა სწორ გზაზე გავიყვანე და ისევ ვაიძულე დამმორჩილებოდა. კიდევ ორი კუთხის გარს შემოვლის შემდეგ ანკარის ცენტრალურ დიდ ხეივანს მივალწიე, სადაც მანქანის სისწრაფე გავზარდე ას ათამდე, შემდეგ კი ას ოც კილომეტრამდე. უკან მოხედვისას უდიდესი შებვა ვიგრძენი: არვინ ჩანდა. განვაგრძობდი სვლას იმავე სისწრაფით. კარგია, რომ ხეივანი მისი მრავალრიცხოვანი გზაჯვარედინით ამ გვიანი საათისათვის თითქმის ცარიელი იყო. ჩვენ გვერდი ჩაუუარეთ გერმანიის საელჩოს უზარმაზარ რკინის კარებს.

— წამიყვანეთ ინგლისის საელჩოში,—მომესმა სუსტი ხმა უკანა დასაჯდომიდან.

თანხმობის ნიშნად თავი დაუუქნიე და სწრაფად წავიყვანე მანქანა ზევით, ციცაბო გზატკეცილისაკენ. მარტოდ მდგარი პოლიციელი, თავი სიკვდილისგან რომ გადაერჩინა, განზე გახტა. საჭირო იყო კიდევ ერთ კუთხეში შეგვეხვია. მუხრუჭების მოქერით მკვეთრად შევამცირე სისწრაფე. ჩვენ თითქმის ასი მეტრით ვიყავით დაშორებული ინგლისის საელჩოდან. ციკერონი ჩუმად გადმოხტა მანქანიდან და სიბნელემ შთანთქა იგი.

უკან იგივე გზით ვბრუნდებოდი, რადგანაც სხვა გზა არ იყო. ახლა ვერავის ვერ ვხედავდი: ვერც ფეხით მოსიარულ-

ლევებს, არც პოლიციელებს, არც მანქანებს და, რასაკვირველია, არავითარ მუქ ლიმუზინს.

ჩემს კაბინეტში შესვლისას ვიგრძენი, რომ მთელი სხეული მიკანკალებდა. პერანგი მთლიანად სველი მქონდა, თმა შუბლზე მიმკროდა.

ფოტოფირების ახალი ხვეული სეიფში შევიწინახე. რჩებოდა კიდევ პატარა პაკეტი. შიგ აღმოჩნდა ყავისფერი მუყაოს ყუთი, დაახლოებით ათი სანტიმეტრის სიგრძის, ხუთი სიგანისა და ხუთი სიმაღლის. ბამბასა და პაპიროსის ქაღალდში გახვეული იყო რაღაც მაგარი საგანი. ვიდრე ვხსნიდი, იგი აკანკალებული ხელებიდან გამივარდა. ალებისას დავინახე პატარა ასანთის კოლოფისოდენა შავი საგანი. მას ცვილის სუნი ჰქონდა, აღარ ვიცოდი, რა მეფიქრა, ვერაფერი გავუგე. უკვე ვაპირებდი საწერი მაგიდის ყუთში ჩადებას, როდესაც უეცრად უკანა მხარეს ორი ძნელადშესამჩნევი გასაღების ანაბეჭდი დავინახე.

ახლა ჩემთვის ყველაფერი ნათელი გახდა. შავი ნივთიერება ჩვეულებრივი ცვილის ნაჭერი იყო, ხოლო ანაბეჭდი, როგორც ჩანს, ინგლისის ელჩის სეიფის გასაღებისა გახლდათ. ციცერონი მართალი იყო, ბერლინში ეცოდინებათ, თუ რისთვის იყო საჭირო ეს.

მე მეტად აღელვებული ვიყავი, ახლა ფოტოფირების გამოვლენება არ შემეძლო. გარაჟიდან ჩემი ძველი „მერსედესი“—სამსახურის მანქანა—გამოვიყვანე, რომლითაც დღისით ვსარგებლობდი, და წავედი ანკარის ერთადერთ ლამის კლუბში.

იქ მაგიდას მივუჯექი და მარტოხელამ ერთი ბოთლი ღვინო დავლიე. დარბაზის მეორე ბოლოში მხიარულებდნენ ინგლისელები. ზიცოთდი რა მათი საიდუმლოებები, გავიფიქრე. რომ მათ მხიარულებისათვის ჰქონდათ საფუძველი.

მე კი იმდენად ვიყავი თავზარდაცემული დილის დოკუმენტებითა და საღამოს შემთხვევით, რომ მხიარულების თავი აღარ მქონდა. ვიჭექი, ყლუპ-ყლუპად ვსვამდი ღვინოს და ამან თანდათანობით დამიწყნარა ნერვები. შუალამე დიდი ხნის გადასული იყო, როდესაც ანგარიში მოვითხოვე.



დაძაბული საავტომობილო მარულა გვიან ღამით ანკარის ქუჩებსა და შესახვევებში პირველი სიგნალი იყო, რომ ვილამ ცოტა რამ მაინც იცოდა „ციცერონის“ ოპერაციის შესახებ, ეს ღამე მთელი ოპერაციის შემობრუნების პუნქტი აღმოჩნდა. პირადად მე კი ყველა ჩემი უბედურების საწყისად მივიჩნე. მართლაც, მალე ანკარაში გამოჩნდა ელისაბედი. თუმცა ამ ორ მოვლენას შორის არავითარი კავშირი არ იყო.

ვერ გავიგე, ვინ დაგვედევნა იმ ღამით. არა მგონია, რომ ლიმუზინი ინგლისის საელჩოსი ყოფილიყო და თუ ეს ასეა, შიგ მსხდომმა ადამიანებმა მაინც არ იცოდნენ, ვინ აყო ჩემს მანქანაში. მათ რომ სცოდნოდა ამის შესახებ, ციცერონს, რასაკვირველია, მეტად აღარ ექნებოდა ელჩის სეიფთან მისვლის საშუალება, მაგრამ იგი განაგრძობდა დაუსჯელად ფართაშს კიდევ რამდენიმე თვის განმავლობაში.

შესაძლოა, მუქ ლიმუზინში ვინმე მოქეიფენი იყვნენ, რომლებიც გამოგვედევნენ მხოლოდ იმიტომ, რომ არაფერი ჰქონდათ საქმე, და შეამჩნიეს, ჩვენ ვცდილობდით მათგან დამალვას. შესაძლოა, მათ მე ვინმე სხვის მაგივრად. მიმიღეს. ერთი სიტყვით, შეიძლებოდა მრავალნაირი სხვადასხვა ვარაუდი, მაგრამ არც ერთი მათგანის დამტკიცება არ შეიძლებოდა. ყველაზე უფრო ვფიქრობდი, რომ ავტომობილი ეკუთვნოდა თურქეთის პოლიციას. მაგრამ ჩემთვის სრულიად გაუგებარი იყო, რატომ დასჭირდათ მათ ჩემი გამოდევნება. თუმცა ამ ვარაუდის სასარგებლოდ ლაპარაკობდა მეტად უცნაური შემთხვევა, რომელიც რამდენიმე დღის შემდეგ მოხდა.

მე ვესწრებოდი სადილს, რომელიც ენკემ გამართა. სტუმ-

რებს შორის თურქეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს უფრო-  
სი მოხელეებიც იყვნენ. ნასადილევს, როდესაც ჩვენ ყველა  
ერთად ვსაუბრობდით, მოულოდნელად ერთ-ერთმა მათგანმა  
მომმართა:

— ჩემო ძვირფასო მოიზიში, ვშიშობ, თქვენ ქუჩაში მოძრა-  
ობისას წესებს არაფრად აგდებთ, მეტი სიფრთხილე გმართებთ,  
განსაკუთრებით ღამით.

ეს შენიშვნა მან სხვათა შორის, უბრალო საუბრის დროს  
მომცა, ისე რომ ამისათვის არავითარი მნიშვნელობა არ მიუ-  
ცია. მე კი მხნეობა უნდა მომეკრიბა, რათა მიმელო იგი ისევე  
მსუბუქად, როგორაც ნათქვამი იყო. თავაზიანი ღიმილით  
მადლობა გადავუხადე კეთილი რჩევისათვის. მგონი, შევძელი  
ჩემი ჭეშმარიტი გრძნობების დამალვა.

— მაინც რა იცის ამ ადამიანმა? — ვფიქრობდი მე. — ალ-  
ბათ, მისთვის ცნობილია ღამის მარულის მიზეზები. მე უკვე  
ალარ შემძლო მეკითხა ამის შესახებ. თუ თურქეთის პოლიცია  
მომსდევდა, იცოდა თუ არა მან, ვინ იყო ჩემი მგზავრი?  
აქამდე ვფიქრობ ამის შესახებ, მაგრამ ვერ ვპოულობ დამაკმა-  
ყოფილებელ პასუხს, და საეჭვოა, რომ საერთოდ როდისმე  
ვიპოვი.

მანქანის დევნამ დიდად შეაშინა ციცერონი. როდესაც, და-  
ბოლოს, შეძლო ჩემი ავტომობილიდან გადმოხტომა, იგი ნერ-  
ვული შერყევის საზღვრამდე იყო მისული. მაგრამ, ალბათ,  
მალე გონს მოვიდა, რადგან უკვე სამი დღის შემდეგ ისევ  
შემხვდა. ამჯერად ჩემი მეგობრის სახლში წავედით.

აქ, გრძნობდა რა თავს სრულიად უშიშრად, მიამბო, იმის  
შეძლევ, რაც ჩვენ ასეთი გაჭირვებით დავალწიეთ თავი სა-  
შიშროებას, მოახერხა თავის ოთახში შეუმჩნეველად შესვლა.  
ძლივს მოასწრო ლივრეას ჩაცმა, რომ მის სანახავად მოვიდა  
სხვა მსახური, როგორც ჩანს, მისი მეგობარი. ასე რომ, ცი-  
ცერონს ბედმა გაუღიმა — ჰყავდა მოწმე, იმ შემთხვევისათვის  
თუ მოისურვებდნენ მის დაკითხვას, სად იყო იგი იმ ღამეს.  
საბედნიეროდ, ეს არ მომხდარა.

ციცერონს სურდა გაეგო, გაგზავნილია თუ არა ბერლინში  
ცივილის ის ნაჭერი, რომელზეც მე გადმომცა. მას სასწრაფოდ  
სჭირდებოდა გასაღები, თუ გასაღები ექნებოდა, მიიღებდა

შესაძლებლობას გადაეღო დოკუმენტები მეტი უსაფრთხოებით, როდესაც მისი შეფი არ იყო საელჩოში. როგორც ჩანს, იმ საღამოს ციცერონს ბევრი თავისუფალი დრო ჰქონდა.

ღვინით, ბუტერბროდებითა და სიგარეტით გამასპინძლების შემდეგ იგი თავს თავისუფლად და უდარდელად გრძნობდა. ტრამახობდა, ბევრს ლაპარაკობდა თავისი მისწრაფებების შესახებ, თავს იწონებდა კულტურული სამყაროს წევრობით. მომავალში ინგლისის ელჩის კამერდინერს განზრახული ჰქონდა მუსიკისათვის მოეკიდა ხელი. იგი ამას ადრეც გააკეთებდა, მაგრამ გარეგნობა ხელს არ უწყობდა. ციცერონი ძლიერ ამოცობდა თავისი ხმით და მიმღერა რამდენიმე არია ლეონკოვალოს „ჯამბაზებიდან“. მას რბილი, სასიამოვნო ტემბრის ტენორი ჰქონდა. მაგრამ ის, რამაც ასე განსაკუთრებით გამოიკა იმ დამეს,—ეს იყო მისი გამომეტყველება, რომელიც გამოიჩინა მის მკაცრ, ულამაზო სახეზე სიმღერის დროს. მუსიკის გავლენით იგი თითქოს სულ სხვა ადამიანად იქცა.

იმ საღამოს ღვინომ ციცერონი მეტად გულთბილი გახადა და ეს დამეხმარა შემესრულებინა ბერლინიდან ახლახან მიღებული არცთუ ისე სასიამოვნო მითითება. მე წინადადება მომიცეს შემემცირებინა ფულის გადახდა ყოველი ხვეული ფოტოფირისათვის თხუთმეტი ათასი გირვანქა სტერლინგიდან ათამდე. ჩემდა გასაოცრად, ციცერონი ხალისით დამეთანხმა ფასის შემცირებაზე.

ორი დღის შემდეგ მან ახალი ფირი გადმოიკა, რომელმაც გამკლავებისა და დაბეჭდვის შემდეგ უამრავი საზრუნავი და უსიამოვნება მომიტანა. ეს ისეთივე საინტერესო და ნაიშენელოვანი დოკუმენტი იყო, როგორც წინანდლები. მაგრამ ამ ტექსტმა როდი შემაშფოთა. გადიდებულ სურათზე ნათლად ჩანდა ორი თითის ანაბეჭდი. რომელიც აჩვენებდა, თუ როგორ მდგომარეობაში ეჭირათ ორიგინალი გადაღების დროს. ეჭვი არ მეპარებოდა, რომ ეს ციცერონის საჩვენებელი თითი და ცერი იყო.

მე კარგი მხედველობითი მეხსიერება მქონდა. განსაკუთრებით კარგად მამახსოვრდებოდა ხელები. მახსოვდა, რომ ციცერონი საჩვენებელ თითზე საკმაოდ დიდ ბეჭე ს ატარებდა და იგი ნათლად ჩანდა სურათზე. მაშინაც, ლვა

თავში აზრმა, თუ ინგლისელები როდისმე ნახავენ ამ სურათს, ციკერონისათვის ეს აღსასრული იქნება-მეთქი.

შემდეგ როდესაც ვნახე იგი, თითზე, როგორც ყოველთვის, ბეჭედი ჰქონდა გაკეთებული. შემდგომში მან უამრავი უსიამოვნება მომიტანა, მაგრამ უცილობელი დამამტკიცებელი საბუთი იყო, რომ ციკერონს მაინც ჰყავდა თანაშემწე. და ისევ იჩინა თავი წინანდელმა ეჭვებმა დოკუმენტების სინამდვილის შესახებ. რიბენტროპის ეჭვები, უამისოდაც ძლიერი, უფრო მეტად უნდა გაზრდილიყო. გარდა ამისა, მოსალოდნელი იყო კალტენბრუნერის უწყებიდან უამრავი შეკითხვა.

ბერლინში თავიდანვე ძალზე აინტერესებდათ, თუ როგორ იღებდა ციკერონი დოკუმენტებს. მე მიხდებოდა გამოვკიდებოდი უმცირეს დეტალებსაც კი, განმემატა ყველაფერი, ან რაც ვიცოდი მაინც. ციკერონს არაერთხელ უამბია ჩემთვის, თუ როგორ აწარმოებდა გადაღებას: არ სარგებლობდა სამფეხით ან რაიმე სადგარით, მას უბრალოდ ხელში ეჭირა „ლეიკა“. ამ ხელის თიფით იგი აყენებდა ექსპოზიციას და ხსნიდა საკეტს. მგონი, თითქმის შეუძლებელია გააკეთოთ კარგი სურათი, თუ ერთ ხელში აპარატი გაქვს, მეორეში— გადასაღები დოკუმენტები. ნათელი იყო, ციკერონს ან ჰყავდა თანაშემწე ან არასწორ ინფორმაციას მაძლევდა გადაღების თავისი მეთოდის შესახებ.

როგორც ერთს, ისე მეორეს ბერლინში შეიძლება მხოლოდ უკიდურესად გაღიზიანება გამოეწვია.

ძლივს მოასწრეს თითების ანაბეჭდიანი სურათის მიღება, რომ თავს დაგვატყდა დეპეშათა ნაკადი. რატომ, როგორ, საიდან და ასე შემდეგ და შემდეგ. მე უნდა მეკითხა, ციკერონს კი რაც შეიძლება სწრაფად, დაუყოვნებლივ, მაშინვე უნდა ვპასუხა. ახსნა-განმარტება უნდა მიმეღო ოცდაოთხი საათის განმავლობაში... აუცილებელია აბსოლუტური სიზუსტე და ასე შემდეგ... და სხვადასხვა...

ყველაფერ ამას თითქმის გაგიჟებამდე მივყავდი. ანკარაში ჩვენ გვყავდა ადამიანი, რომელიც გერმანიის იმპერიას აწვდიდა თეირანის კონფერენციისა და სხვა მნიშვნელოვანი მოვლენების შესახებ უძვირფასეს ცნობებს. დოკუმენტების სი-

ნამდვილეში ექვის მიტანა შეუძლებელი იყო, ვინაიდან ამას ადასტურებდა შინაგანი და გარეგანი ხასიათის დამამტკიცებელი საბუთები და შემდგომ მოვლენათა მთელი მსვლელობა. პირადად, ასეთ პირობებში მე აბსოლუტურად არაარსებითად მეჩვენებოდა, მარტო მუშაობდა ციცერონი თუ ჰყავდა თანაშემწე. მე დიდ უგუნურებად მეჩვენებოდა, განეხილათ ეს „პრობლემა“ როგორც მთელი ოპერაციის არსი, უთავბოლოდ მოეცათ ერთი და იგივე თავის მომაბეზრებელი შეკითხვები, რომლებიც მხოლოდ აღიზიანებდნენ ციცერონს.

ვთქვათ, ციცერონს ჰყავდა თანამონაწილე, რომლის დასახელება მას რაღაც მიზეზის გამო არ სურდა. განა ამას რაიმე მნიშვნელობა ჰქონდა? და როგორ შემეძლო მეძულებინა იგი გაეხსნა თავისი საიდუმლოება, თუ იგი ამჯობინებდა არ გაეკეთებინა ეს? მე იმ აზრისა ვიყავი, რომ მანამ, სანამ ციცერონი დოკუმენტებს გადმოგვცემს, მას შეუძლია რამდენიც სურს იმდენი იცრუოს. რასაკვირველია, მეც საგონებელში ჩამაგდო თითების ამ ანაბეჭდმა. ახლა ნათელი იყო, რომ იგი მარტო არ მუშაობდა.

დაე, ასე იყოს, მაგრამ რა მნიშვნელობა აქვს ამას? რა საჭიროა უსასრულოდ თავი მომაბეზრონ შეკითხვებით, როცა ციცერონს არ სურს პასუხის გაცემა?

ეს რომ თეირანის კონფერენციამდე მომხდარიყო, მაშინ რიბენტროპისა და კალტენბრუნერის ექვი მეტად თუ ნაკლებად გასაგები იქნებოდა.

მაგრამ, რადგანაც არ რჩებოდა მცირე ექვიც კი დოკუმენტების სინამდვილეში, მე სრულიად უაზროდ უნდა ამეტეხა ხმაური იმის გამო, გვატყუებდა თუ არა ციცერონი ამ ნაკლებმნიშვნელოვან საკითხში..

დაბოლოს, რომელიღაც ბიუროკრატებს ბერლინში, როგორც მათ მოეჩვენათ, ბრწყინვალე იდეა მოუვიდათ თავში: ანკარაში სპეციალისტი ფოტოგრაფი გამოაგზავნეს, რომელსაც ძლიერ ენდობოდნენ. სტამბულში სპეციალური თვითმფრინავით ჩამოსვლისას მან მაგნიტოფონი და სუფთა ტექნიკური შეკითხვების გრძელი სია ჩამოიტანა; რომლებიც ზეპირად უნდა შესწავლა.

დიდი ხნის ხვეწნის შემდეგ შევძელი დამეყოლებინა ციცი-

რონი გამოცხადებულიყო ჩემთან, საელჩოში. იგი დიდხანს უარყოფდა, სამართლიანად თვლიდა ამას აბსოლუტურ არასაკირო რისკად, — ჩვენ ხომ შეგვეძლო სრულიად მშვიდად შევხვედროდით ქუჩაში ან ჩემი მეგობრის სახლში. იგი მაინც გამოცხადდა ჩემთან კაბინეტში, სადაც მივეცი მრავალრიცხოვანი შეკითხვა, რომლებიც ბერლინიდან იყო ჩემთვის ჩამოტანილი. საუბრის ყოველი სიტყვა ფირზე იწერებოდა. რადგანაც ციკერონი ყოველთვის კატეგორიულად უარს ამბობდა ენახა საელჩოში ვინმე, ჩემ გარდა. მე, რასაკვირველია, დავუმალე, რომ მეზობელ ოთახში იმყოფებოდა ადამიანი, რომელიც ჩვენს საუბარს ყურს უგდებდა.

ციკერონის საელჩოდან მშვიდობიანად გაცილების შემდეგ ჩემს კაბინეტში დავბრუნდი, სადაც ბერლინელი სპეციალისტი მელიოდებოდა.

— ეს ადამიანი გენიაა ფოტოგრაფიაში, — თქვა მან მაღალფარდოვანი ტონით, — თუ ყველაფერი მის მიერ აქნათქვამი მართალია. მე არ შემიძლია ნამდვილად დავამტკიცო, რომ ასეთი გადაღება ფიზიკურად შეუძლებელია, მაგრამ მხოლოდ ერთი შანსია ათასიდან იმისა, რომ იგი თანაშემწის გარეშე მუშაობს. მხოლოდ ერთი რამე შემიძლია ვთქვა აბსოლუტური რწმენით, ეს ადამიანი ცრუობდა სურათის გამო, რომელზეც ჩანს მისი მეორე ხელი. ამ დოკუმენტის გადაღებისას მას მაინც ჰყავდა თანაშემწე. თუ ვილაპარაკებთ დანარჩენის შესახებ, აქ, როგორც მე ვთქვი, ერთი შანსია ათას შემთხვევაში, რომ იგი იღებდა ზუსტად ისე, როგორც ამტკიცებს და სრულიად მართოდ. თუმცა მე თითქმის შეუძლებლად მიმაჩნია.

სპეციალისტი ფოტოგრაფი მეორე დღეს უკან, ბერლინში, ვაემგზავრა. მე არასდროს მინახავს მისი ოფიციალური მოხსენება. ჩემი თვალსაზრისით, ამ ვიზიტს მხოლოდ ერთი დადებითი შედეგი ჰქონდა: შეწყვიტეს თავმომბეზრებელი დებულების გამოგზავნა, რომლებზეც საშუალება არ მქონდა პასუხი გაბეცა.

მაგრამ ეს ჯერ ყველაფერი არაა, რაც მოხდა მოვლენებით მდიდარ დეკემბერში. უკანასკნელი, ამ წლის ყველაზე მნიშვნელოვანი და არასასიამოვნო მოვლენა, რომელიც უშუალოდ მე შემეხო, მოხდა ჩემი შეფის გამო. ეს ამბავი ასე დაიწყო.

შობამდე ცოტა ხნით ადრე ციკერონმა ახალი დოკუმენტები მოიტანა. ერთ-ერთი მათგანი ასახავდა უკანასკნელ დროს ინგლის-თურქეთის დამოკიდებულებას. ჩვენ გავიგეთ, რომ გერმანიის სამხედრო მდგომარეობის გაუმჯობესების გამო ანკარამ დაუთმო ინგლისის მოთხოვნებს, მზად იყო დაეშვა თურქეთში ინგლისის სახმელეთო, სამხედრო-საზღვაო და სამხედრო-საჰაერო ძალების პირადი შემადგენლობის სულ უფრო და უფრო მზარდი „შელწევა“. მოყვანილი იყო ციფრობრივი მონაცემები. ეს გერმანელთათვის ძლიერ მნიშვნელოვანი მონაცემები იყო. ამ გარემოების გამო ჩემს მოვალეობად ჩავთვალე მეცნობებიან ამის შესახებ ფონ პაპენისათვის, ესე იგი ამჯერად არ შემესრულებინა კალტენბრუნერის მითითება.

ელჩი ძლიერ გაბრაზდა, ნაწილობრივ იმის გამო, რომ ინგლისის და თურქეთის მთავრობის მოლაპარაკების შედეგები გერმანელებისათვის საგანგაშო და საშიში იყო, ხოლო უფრო მეტად იმის გამო, რომ იგი წინასწარ გრძნობდა რიბენტროპის მძვინვარე რეაქციას. ანტითურქული პოზიცია რიბენტროპისა ახლა, შესაძლოა, გოწონებული ყოფილიყო ფიურერისა და უმაღლესი სარდლობის მიერ, ხოლო ამას კვალდაკვალ მოჰყოლოდა განუსჯელი ზომები. ყველაფერი ამის გათვალისწინებით ფონ პაპენმა გადაწყვიტა დაუყოვნებლივ ემოქმედნა. მისი გაბედული ნაბიჯი იყო სერიოზული ამბავი, რომელსაც შეიძლება ბოდა ბევრი რამ მოჰყოლოდა.

მან-დაუყოვნებლივ მოითხოვა მიღება თურქეთის საგარეო ჯაქმეთა მინისტრ ნუმან მენემენჯოლლუსთან, ისინი განმარტობით დიდხანს საუბრობდნენ. თურქეთის მინისტრი შეეცადა გაეფანტა გერმანიის ელჩის ეჭვები. თურქეთი არ აპირებს ნეიტრალიტეტის დარღვევასო, არწმუნებდა იგი. მაშინ ბატონმა ფონ პაპენმა უყოყმანოდ უამბო იმ ცნობების შესახებ, რომლებიც ხელთ ჰქონდა. მას, რასაკვირველია, ციტატები არ მოჰყავდა სიტყვასიტყვით ციკერონის მიერ მოტანილი დოკუმენტებიდან, მაგრამ ნათლად აგრძნობინა, გაცილებით მეტი ვიცი, ვიდრე თურქეთის მთავრობას აქვს ნავარაუდევით. ეს მას დასჭირდა, რათა თავისი ჩარევა დაესაბუთებინა.

ჩვენი თვალსაზრისით, ასეთ ვითარებაში მნიშვნელოვანი იყო გვეგრძნობინებინა თურქეთისათვის, რომ გერმანელები

ბრწყინვალედ იყვნენ ინფორმირებული იზგლის-თურქეთის საგანგებო საიდუმლო მოლაპარაკების შესახებ. ეს იყო დიპლომატიური ზემოქმედების ერთ-ერთი მეთოდი, ვინაიდან უბრალო გადაკრულ სიტყვას გერმანელთა მხრიდან შეეძლო აეძულებინა თურქები უფრო ფრთხილად მიეღოთ სამხედრო ვალდებულებანი ინგლისელებისაგან. ამ გადამკრელი დემარშით ფონ პაპენმა, უდავოდ, ხარს რქები მოუგრიხა.

ნუმან მენემენჯოღლუ გერმანიის ელჩივით შორსმკვერეტელი ადამიანი და გამოცდილი დიპლომატი იყო. შესაძლოა, ფონ პაპენს არასწორი ცნობები მიაწოდესო, ამტკიცებდა იგი. ანკარაში ან ლონდონში ნამდვილად შესაძლებელი იყო შემდგარიყო რამდენიმე საუბარი სამხედრო სპეციალისტებს შორის— იგი ამას არ უარყოფდა, მაგრამ განაცხადა, რომ არასწორი იქნებოდა მიეცათ ამ მოლაპარაკებისათვის ასეთი დიდი მნიშვნელობა. ფონ პაპენის წასვლამდე თურქეთის მინისტრი ერთხელ კიდევ შეეცადა შეემცირებინა ლონდონსა და ანკარას შორის ურთიერთგაგების მნიშვნელობა.

ბატონ ფონ პაპენის გაცილების შემდეგ ნუმან მენემენჯოღლუმ დაუყოვნებლივ მოიწვია ინგლისის ელჩი და გადასცა მას გერმანიის ელჩის მიერ ნათქვამი ყოველი სიტყვა. ორივენი შეთანხმდნენ, რომ ფონ პაპენი კარგად იყო ინფორმირებული უმაღლესი ინსტანციიდან. რასაკვირველია, წყარო ან თურქეთი იყო, ანდა ინგლისის საელჩო.

საელჩოში დაბრუნებისას სერ ჰიუ არანაკლებ შეშფოთებული იყო; ვიდრე ნუმან მენემენჯოღლუ: ელჩმა ყველაფერი დეტალურად, დაუყოვნებლივ აცნობა თავის საგარეო საქმეთა სამინისტროს ამ საუბრის შესახებ. წარმომიდგენია, როგორ განგაშს გამოიწვევდა უაიტჰოლში ეს ცნობა. მე აქამდე მახსოვს სერ ჰიუს მოხსენების უკანასკნელი ფრაზა:

„პაპენმა, როგორც ჩანს, უფრო მეტი იცის, ვიდრე ეს საჭიროა იცოდეს“.

ოცდაოთხ საათზე ნაკლებ დროში მას შემდეგ, რაც ინგლისის ელჩის მოხსენება გაგზავნილ იქნა ლონდონში, მისი ფოტოასლი ხელში მეჭირა. ამ დღეებში ციცერონი განსაკუთრებით სწრაფად მუშაობდა.

მე არავითარ ილუზიებს არ ვქმნიდი იმის შესახებ, თუ რა



შედეგებს გამოიწვევდა პირადად ჩემთვის ამ დოკუმენტის ბერლინში გაგზავნა. ინგლისელების ცნობებიდან ნათელი იყო, რომ ფონ პაპენი ნუმან მენემენჯოლლუსთან საუბრისას სარგებლობდა მონაცემებით, რომლებიც ამოღებული უნდა ყოფილიყვნენ მხოლოდ ციკერონის უკანასკნელად გადმოცემული დოკუმენტებიდან. როგორც უკვე ვამბობდი, დეკემბრის დამდეგს მე მკაცრი მითითებანი მივიღე კალტენბრუნერისაგან—არ მეჩვენებინა ფოტოასლი ელჩისათვის. როდესაც კალტენბრუნერამდე მიაღწევდა სურათები, ნუმან მენემენჯოლლუსთან სერ ჰიუს საუბრის ცნობებით, იგი მიხვდებოდა, რომ განზრახ არ შევასრულე მისი მკაცრი ბრძანება.

ჯერ გადავწყვიტე ამომელო ეს დოკუმენტი, მაგრამ შემდეგ მივხვდი, რომ სრულიად ამაო იყო ეს ბერლინი ხომ, გარდა ფოტოასლისა, მიიღებდა ნეგატივს, რომელიც დაუყოვნებლივ იქნებოდა გამჟღავნებული, შემდეგ თავში გამიელვა აზრმა, დამეშალა თვით ფაქტი მთელი ამ ფირის არსებობისა. მაშინ მომიხვდებოდა ანგარიში ჩამებარიბენა ათი ათასი გირვანქა სტერლინგის გამო, რომელიც მასში გადავიხადეთ. მე კიდევ მსურდა გადამეხადა ფული საკუთარი სახსრებიდან, მაგრამ რომ შემძლებოდა, კიდევ ასეთი უზარმაზარი თანხის შეგროვება მოკლე ვადაში, მაინც წავაწყდებოდი უდიდეს სიძნელეებს ინგლისის ვალუტის ყიდვის დროს. არა, გამოსავალი არ იყო გულდამძიმებულმა დოკუმენტები კონვერტში ჩავაწყვე და დავბეჭდე. თავს ისე ვგრძნობდი, თითქოს ფოსტით ჩემს სასიკვდილო განაჩენს ვგზავნიდი.

რამდენიმე ხნის განმავლობაში ახალი არაფერი მომხდარა. კალტენბრუნერის ავისმომასწავებელი სიჩუმე უფრო მეტად მოქმედებდა ნერვებზე, ვიდრე ყველაზე მკაცრი საყვედური. დაახლოებით ერთი კვირის შემდეგ შიკრიკმა მომიტანა ნიშანდასმული წერილი. „პირადად გახსნას“. ეს იყო კალტენბრუნერის ბრძანებების ბლანკზე დაწერილი მოკლე ბარათი. მასში ცივად იტყობინებოდნენ, რომ მე პასუხისგებაში ვიქნებოდი მიცემული დისციპლინის უხეში დარღვევისათვის. ეს კი მკაცრი ბრძანების შეუსრულებლობით გამოიხატებოდა. როგორც ჩანს, რიბენტროპს სათქმელი არაფერი ჰქონდა არც ამის მიზეზით, არც მნიშვნელოვან პოლიტიკურ

შოვლენათა შესახებ, რომლებიც ანკარასა და ლონდონში ხდებოდა. დიახ, ეს იყო ადამიანი, რომელიც თითს არ გაანძრევდა თავისი ხელქვეითების დასახმარებლად განსაცდელის უამს.

რაც შეეხება ციცერონს, ისიც, მოულოდნელად, დიდ განსაცდელში აღმოჩნდა. როგორც ჩანს, ინგლისის საელჩოში, ანკარაში, და ლონდონშიც ეჭვი დაებადათ. თუმცა, მართალია, ჯერ მათ არავითარი კონკრეტული მოქმედება არ მოჰყოლია.

მე ვერ ვიტყვი, საბოლოოდ როგორ იმოქმედა ფონ პაპენის საუბარმა თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრთან ოპერაცია „ციცერონის“ შემდგომ მსვლელობაზე. რამდენადაც ინგლისელებს ეჭვი დაებადათ, მათ მთელი ძალ-ღონე მოახმარეს იმას, რომ გამოერკვიათ. საიდან მიიღო გერმანიის ელჩმა საიდუმლო ცნობები.

ძირითადი როლი ამ გამორკვევაში ელისაბედს, ჩემს საკუთარ მდივანს, ეკუთვნოდა, მაგრამ ანკარაში იგი ჩამოვიდა ვაცილებით გვიან—მხოლოდ ახალი წლის დამდეგს...

დაახლოებით დეკემბრის შუა რიცხვებში ჩვენი პრესატაშე ერთი ოფიციალური საქმის გამო სოფიაში გაფრინდა.

ამერიკის ავიაციის ერთ-ერთი თავდასხმის დროს გერმანიის მისიის თავშესაფარში იგი პირველად შეხვდა ელისაბედსა და მის მშობლებს. ძველი სკოლის პროფესიულ დიპლომატს—ელისაბედის მამას—გერმანიის მისიაში—სოფიაში პასუხისმგებელი თანამდებობა ეჭირა.

თვით ელისაბედი სამდივნო სამუშაოს ასრულებდა. იგი ძლიერ ცუდად იტანდა საჰაერო თავდასხმებს და მშობლები გრძნობდნენ, რომ მას დღეს თუ ხვალ ნერვები უმტყუნებდა. მამა აღმერთებდა ელისაბედს. იგი შეეკითხა ზეილერს, შეიძლება თუ არა ანკარის საელჩოში, ან სტამბულის საკონსულოში ელისაბედისათვის რაიმე სამუშაოს გამონახვა. მისი ქალიშვილისათვის აუცილებელი იყო დასვენება რომელიმე ნეიტრალურ ქვეყანაში.

ზეილერმა ამის შესახებ მე ანკარაში დაბრუნებისას მიაგმო.

მან იცოდა, რომ სასწრაფოდ მჭირდებოდა მეორე მდივანი, რადგან სამუშაო მნიშვნელოვნად მომემატა, ხოლო შნურხენს ჯერ ისევ მხოლოდ ერთი ხელით შეეძლო ბეჭდვა.

ელისაბედი, თითქოსდა, სწორედ ის ქალიშვილი იყო, რო-

მელსაც მე ვეძებდი, დიპლომატიურ სამსახურში მეტად პატივ-  
ცემული გერმანელი დიპლომატის ქალიშვილი, რომელსაც  
მდივნად მუშაობის ცოტაოდენი გამოცდილებაც ჰქონდა, იყო  
ბრწყინვალე ლინგვისტი, და თუ მისი წარმოშობისა და აღზრ-  
დის მიხედვით ვიმსჯელებთ, ალბათ, სავსებით საიმედო ადა-  
მიანიც. თანაც, რადგან ოპერაცია გრძელდებოდა, ყველაფერ  
ზმას პირველხარისხოვანი მნიშვნელობა ჰქონდა.

მე ელისაბედის კანდიდატურა ელჩთან განვიხილე. მას სო-  
ფიიდან მისი ანკარაში გადმოყვანის შესახებ საწინააღმდეგო  
არაფერი ჰქონდა. ფონ პაპენი იცნობდა და პატივს სცემდა მის  
მამას და ნერვულ გოგონას ძლიერი თანაგრძნობით მოეპყრო.  
რაც შეეხება საგარეო საქმეთა სამინისტროს კადრების სამ-  
მართველოს უფროსს, იგიც წინააღმდეგი არ იყო. ერთადერთი  
ადამიანი, რომელსაც შეეძლო ხელი შეეშალა ელისაბედის  
გადმოყვანაში, ეს იყო კალტენბრუნერი. რადგან იგი ოპერა-  
ციით პირადად იყო დაინტერესებული, ყველა საკითხში,  
რომლებიც კი მისი თანაშემწეების შემადგენლობაში რაიმე  
ცვლილებას ეხებოდა, რჩევა მისგან უნდა მიგვეღო. რადგან  
მისი თანხმობის მიღებაში რაღაც შეფერხება მოხდა, მე მას  
გრძელი წერილი მივწერე, რომელშიც ვამტკიცებდი, არ შემიძ-  
ლია დავძლიო სამუშაო, დამხმარეს გარეშე-შეთქი.

პასუხად ჩემს თხოვნაზე ბერლინიდან მაცნობეს, რომ მდივ-  
ნად მამაკაცს გამომიგზავნიდნენ. ნათელია, რა სურდა ბერ-  
ლინს. შემოეჩინა კალტენბრუნერის ერთ-ერთი ჯაშუში, რათა  
ჩემთვის თვალყური ედევნებინა. ეს არ მომეწონა. მე მსურდა  
მდივნად მყოლოდა საიმედო ქალიშვილი, რომელსაც შეეძ-  
ლებოდა მანქანაზე ბეჭდვა და ეცოდინებოდა ინგლისური და  
ფრანგული ენები.

ის გარემოება, რომ მე ვიყავი მთავარი პირი, რომელიც პა-  
სუხს აგებდა „ციცერონის“ ჩატარებაში, როგორც ჩანს, დიდ  
გავლენას მანიჭებდა და ბოლოს და ბოლოს მაინც მივალწიე  
კალტენბრუნერის თანხმობას. ელისაბედი სოფიიდან ანკარაში  
გადმოიყვანეს. მე იგი სხვა დროს არასოდეს მინახავს.

ელისაბედი იანერის პირველ კვირაში ჩამოვიდა. მას სად-  
გურზე დავხვდი. ჩემი პირველი შთაბეჭდილება მის შესახებ  
მეტისმეტად ცუდი იყო. იგი, საერთოდ, საძაგელ ქალად მო-

მეჩვენა. ახლა მე მესმის, რომ ყური უნდა მეგდო ინსტინქტის ხმისათვის. დე დაუყოვნებლივ გამეგზავნა იგი სოფიაში. მაშინ რომ ასე მოვქცეულიყავი, თავიდან ავიცილებდი უამრავ უსიამოვნებას.

მე მგონია, არ ვეკუთვნი წინასწარ გამომცნობ ადამიანთა რიცხვს, მაგრამ როდესაც ელისაბედი ვაგონიდან გადმოვიდა, მისმა გარეგნობამ ჩემზე ცუდი შთაბეჭდილება მოახდინა. ის იყო ოცდახუთი წლის, შუათანა სიმაღლის ნათელი სახის ქერა ქალი, გრძელი გაქონილი, უსუფთაო თმებით. ჰქონდა უსიცოცხლო, არაფრის გამომხატველი თვალები. მისი სახის ცხიმოვანი კანს არაჩანსალი, მონაცრისფრო იერი დაჰკრავდა. ერთი სიტყვით—ძალზე არამიმზიდველი გარეგნობისა იყო.

შევეცადე თავი დამერწმუნებინა, რომ მისი იერი სოფიაში ხანგრძლივი მოგზაურობითა და ნერვულობით აიხსნებოდა და კიდევ შეეწუხდი, რომ ახალგაზრდა ქალიშვილი, რომელიც, ალბათ, შეიძლებოდა კარგიც ყოფილიყო, ასე დაცემულიყო სულიერად. მე იგი ჯერ სასტუმროში წავიყვანე, სადაც მისთვის ოთახი მქონდა შეკვეთილი, შემდეგ კი, ჩემთან, სახლში. ჩემს ცოლს უკვე მოემზადებინა მისთვის ვახშამი.

ჩემი ცოლიც გააოცა ელისაბედის გარეგნობამ. მან თავდაპირველად სააბაზანოში წასვლა შესთავაზა, მაგრამ ქალიშვილმა უარი განაცხადა და მაგიდას ხელდაუბანელიც კი მიუჯდა ჭამის დროს. ელისაბედი ძლიერ ცოტას ლაპარაკობდა, ხოლო ის, რაც მან თქვა, ან მეტად ზერელე, ან სისულელე იყო, ან ერთიცა და მეორეც ერთად. როგორც ჩანს, იგი აუხდაც ზრდილობისთვისაც არ აპირებდა ჩვეულებრივ საუბარში ჩარევას. ჩვენ გვაღიზიანებდა ის, რომ მას ვითომდა ზრდილობიანად და ისე მოწყენილად ეჭირა თავი, თითქოსდა დიდი ცხოვრებისეული გამოცდილება ჰქონდა. ჩანდა, რომ მას სრულიადაც არ აინტერესებდა ტრიამელ ველზე გაშენებული ეს უცხო, ახალი ქალაქი. ჩანდა, რომ მას საერთოდ არაფერი არ აინტერესებდა. რანდენადაც ვატყობდი, მასთან რაიმე, თუნდაც ადამიანური კონტაქტის დამყარება შეუძლებელი იყო. იმ მომენტიდან, რაც მას შევხვდი, დღემდე ელისაბედი ჩემთვის გამოცანად რჩება.

თვით ზეილერმა რომელმაც პირველმა მიაგმო მის შესა-

ხებ, ვერ გაუგო მას. შემდგომი რამდენიმე კვირის განმავლობაში იგი ხშირად მეუბნებოდა, ელისაბედი, როგორც იგი ანკარაში გახდა, სრულიად არ მეჩვენება იმ გოგონად, რომელსაც სოფიაში ვიცნობდიო. რა იყო ამ უეცარი ცვლილების მიზეზი, ვერაფრით ვერ გავიგე.

ჩამოსვლის მეორე დღეს ელისაბედი ავად გახდა. ავადმყოფობის ერთადერთი სიმპტომი იმაში გამოიხატებოდა, რომ სახე საშინლად დაუსივდა. იგი ჭიუტად უარს ამბობდა ყოველგვარ სამედიცინო დახმარებაზე. და ძლივს გავიტანე ჩემი, რომ ექიმი გამომეძახა. ჩემი მეუღლე წავიდა სანახავად, მაგრამ ქალიშვილი მეტად გულგრილად, უხალისოდ და დუმილით შეხვდა მის მისვლას. დუმილი თანდათან უდიერი ხდებოდა. რამდენიმე დღის შემდეგ, როდესაც მე თვითონ ვინახულე იგი, საწოლის გვერდით მდგარ მაგიდაზე რამდენიმე კოლოფი დასაძინებელი საშუალება შევამჩნიე და გავიფიქრე, რომ შესაძლებელი იყო, ქალიშვილის ასეთი უცნაური მდგომარეობა დამამწვიდებელ საშუალებათა გადაჭარბებული ხმარებით აიხსნებოდა. ეს ამბავი ექიმს ვაცნობე.

ახლა კი მესმის, რომ არ იყო საჭირო ამ საქმეში ჩარევა. ელისაბედს სასტუმროს დატოვება არ სურდა, მაგრამ იგი თურქულად არ ლაპარაკობდა, ხოლო არც ერთმა მსახურმა რომელიმე სხვა ენა არ იცოდა. მე მეშინოდა, რომ მას ჭეროვანი მოვლა არ ექნებოდა. ამიტომ მისი ნება-სურვილის მიუხედავად, დავარწმუნე გადასულიყო ჩემი მეგობრის სახლში. ელისაბედს აქ, როგორც ღვიძლ ქალიშვილს, ისე ეპყრობოდნენ, მაგრამ იგი მაინც რჩებოდა გულცივი, გულფიცხი და დროდადრო უხეშიც კი.

—ალბათ, ავადაა,—უუთხარი მის კეთილ დიასახლისს და ბოდიში მოვიხადე ჩემი მდივნის გამო, მაგრამ ყველაფერი ეს ძლიერ უცნაურად მეჩვენებოდა.

ათი დღის შემდეგ ექიმმა თქვა, ელისაბედი საკმაოდ გამოკეთდა და შეიძლება სამუშაოს შეუდგესო. და, აი, იგი პირველად გამოჩნდა ჩემს კაბინეტში. თავდაპირველად მას უბრალო დავალებები მივეცი, ძირითადად თარგმანები ფრანგული და ინგლისური პრესიდან. მისი თარგმანი სავსებით არაადამაკმაყოფილებელი აღმოჩნდა: მათში უამრავი შეცდომა იყო და

გარეგნულადაც მეტად დაუდევრად გამოიყურებოდა. ამას კ არაფრით არ მოველოდი, რადგან იგი ინგლისურად და ფრანგულად თითქმის უაქცენტოდ ლაპარაკობდა.

მე მგონი, უკვე საკმაოდ - ნათლად შევძელი მეჩვენებინა, რომ ელისაბედი ჩემთვის გახდა ტვირთი და არა თანაშემწე, რამდენადაც დაჟინებით მოვითხოვდი მის გადმოყვანას, მიხდებოდა შევრიგებოდი ამას. უფრო მეტიც, ჯერ კიდევ ვიმედოვნებდი, რომ დროდადრო იგი თავს დააღწევდა ამ ნამდვილად აუტანელ ლეთარგიულ მდგომარეობას: მისთვის ჩემი ნდობა რომ მეგრძნობინებინა და გამემხნეებინა იგი, დროდადრო უფრო მნიშვნელოვან სამუშაო დავალებას ვაძლევდი. რასაკვირველია, არაფერს ვეუბნებოდი ოპერაცია „ციცერონის“ შესახებ, მაგრამ ვცდილობდი გამეღვიძებინა მასში მუშაობის ინტერესი, ვეპყრობოდი მას არა როგორც ჩვეულებრივ მემანქანე ქალს, არამედ როგორც მდივანს, რომელსაც ენდობიან. ამით, როგორც შემდგომში აღმოჩნდა, საშინელი შეცდომა დავუშვი. ხომ ცნობილია, რომ ადვილია ყველაფერზე საღად იმსჯელო უკვე მას შემდეგ, რაც ეს მოვლენა მოხდა, იმ დროს მე ვფიქრობდი, რომ ეს სასარგებლო იყო.

მე უკვე აღვწერე ელისაბედის გარეგნობა, როდესაც იგი მატარებლიდან ჩამოვიდა. მაშინ ვიმედოვნებდი, რომ ხანგრძლივი მგზავრობისა და სოფლის საპაერო თავდასხმების შემდეგ იგი იზრუნებდა. თავის გარეგნობაზე, მაგრამ შევცდი. იგი კვლავ უსუფთაო და ჭუჭყიანი იყო. როგორც მამაკაცების უმრავლესობისათვის, ჩემთვის არასასიამოვნო იყო ყოველდღიურად ჩემ წინ ცუდად ჩაცმული, უსუფთაო ქალის ცქერა. მაგრამ აღარ ვიცოდი, რა მომეხერხებინა და არც არაფერი წამომიწყია.

ერთხელ მის მაგიდაზე დადებულ დოკუმენტებს ვსინჯავდი და მის თავთან დავიხარე, ვიგრძენი მისი თმების არასასიამოვნო სუნი. ეს უკვე მეტიმეტი იყო. და როცა იგი ოთახიდან გავიდა, ჩემს ერთგულ მეგობარს შნურხენს ვთხოვე, რასაკვირველია, რაც შეიძლება ტაქტიკურად, მაგრამ როგორმე გადაეკრა სიტყვა ელისაბედისათვის, რომ ანკარაში ბრწყინვალე საპარიკმახეროები იყო.

როგორც ჩანს, ელისაბედი მიხვდა, თუ ვისგან მოდიოდა ეს

გადაკრული სიტყვა, ეწყინა, მაგრამ, მაინც წავიდა საპარტი-  
მანეროში. ამ დღის შემდეგ ელისაბედი შეიცვალა. და თუ არ  
ჩავთვლით ზოგჯერ დროებით დაბრუნებას წინანდელ მდგომარეობასთან, იგი, მგონი, საწინააღმდეგო უკიდურესობაში:  
ჩავარდა, თავის გარეგნობაზე უამრავ დროსა და ფულს ხარ-  
ჯავდა, მე კი მაგრძნობინა, რომ ნაწყენი იყო ჩემზე, რამდენიმე  
დღის განმავლობაში არ მელაპარაკებოდა.

მას ძლიერ ვენდობოდი, და ეს იყო სერიოზული შეცდომა,  
რაზეც შემდგომში პასუხისგება მომიხდა. უფრო სერიოზული  
შეცდომა იყო ჩემი გულგრილობა. მისი პირადი ცხოვრებისად-  
მი. მალე გავიგე, რომ მას რაღაც საქმეები ჰქონდა ანკარაში  
ინტერნირებულ ერთ-ერთ იმ ორ გერმანელ დეზერტირთან,  
რომელთაც მე ჰანსი და ფრიცი ვუწოდებ. ახლა, არ მახსოვს,  
რომელი მათგანი იყო ის.

ყოველნაირი არასასიამოვნო ჭორები შეადგენენ საზღვარ-  
გარეთ მყოფ ადამიანთა პატარა ჯგუფის ცხოვრებას. მე ყო-  
ველთვის მძულდა ჭორები და ვცდილობდი არ მომესმინა ისი-  
ნი. ჩემი მდივნის პირადი ცხოვრება მის პირად საქმედ მეჩ-  
ვენებოდა და მეგონა, აბსოლუტურად არ მეხებოდა. გავბედავ  
დავამტკიცო, რომ თეორიულად მართალი ვიყავი. მაგალითად,  
მე რომ ჩვეულებრივი საქმოსანი ვყოფილიყავი, ეს თვალსა-  
ზრისი არავითარ ზიანს არ მომაყენებდა, მაგრამ ჩემთვის საჭი-  
რო იყო მხსომებოდა, რომ ჩვეულებრივი საქმოსნების სეიფში  
ხშირად არ ინახება იმის მსგავსი დოკუმენტები, რომლებსაც  
ჩვენ ციცირონი გადმოგვცემდა. დიახ, ადვილია იმსჯელო ამის  
შესახებ მას შემდეგ, როცა ყველაფერი მოხდა.

რამდენიმე ხნის შემდეგ ელისაბედი ჩემი მეგობრის სახ-  
ლიდან გადავიდა. ბინა თვითონ დაიქირავა ერთ-ერთ მრავალრი-  
ცხოვან გასაქირევებელ სახლში. და ისევ, ცოტაოდნავ უფ-  
რო ცნობისმოყვარე რომ ვყოფილიყავი, შემეძლო დროულად  
გამეგო, რომ ოთახები, რომლებიც ელისაბედის ბინის ზევით  
იმყოფებოდა, ინგლისის საელჩოს ერთ-ერთ მოსამსახურეს  
ეჭირა

ზევიდან ჩამოვარდნილ პატარა კენჭსაც შეუძლია? გა-  
მოიწვიოს, ელისაბედს მოელოდა ეთამაშა გადამწყვეტი როლი  
ოპერაციაში, როლი, რომელიც, ჩვენი თვალსაზრისით. უამ-

„ლუპველი აღმოჩნდა.“ ალბათ, იგი არასოდეს ჩაერეოდა ამ საქმეში და, ყოველ შემთხვევაში, არ ითამაშებდა ისეთ დიდ როლს, რომ მე ასე არ შეეძულებოდი. ახლა, უკან მოხედვისას, მე გარკვევით წარმომიდგება თვალწინ შემთხვევა, რომელმაც, როგორც ჩანს, აიძულა ელისაბედი შეეძულებოდი. ამ მომენტში შეინძრა პატარა კენჭი. თუმცა იგი ნერვული არსება იყო, ეს შემთხვევა მეტად უმნიშვნელოდ მომეჩვენა.

ერთხელ ჩემს კაბინეტში ელისაბედი ჩემი კარნახით წერდა. მას ფეხი ფეხზე ჰქონდა გადადებული, ისე რომ მთლიანად მოუჩანდა ლამაზი ფეხები, გულახდილად ვიტყვი, მე ეს მაღიზიანებდა, არღვევდა ჩემი აზრების მსვლელობას და კარნახს მიშლიდა. რამდენიმე წუთმა გაიარა და, ბოლოს, მე მის გვერდით გავჩერდი. რალაც სახუმარო უმნიშვნა მივეცი და ოდნავ გავუსწორე ქვედაწელი. ელისაბედი საშინლად გაწითლდა, არაფერი უთქვამს. მაგრამ მე მივხვდი იმ მომენტში, როგორ შემიძულა.



ბერლინში გაკეთებული გასაღებები შესანიშნავად ერგებოდა ინგლისელი ელჩის სეიფს. ციცერონმა მითხრა, ახლა ჩემი სამუშაოს დიდ ნაწილს პატრონის არყოფნის დროს ვაკეთებო. ვიცოდი რა ეს, ყოველთვის, როცა ანკარის ქუჩებში ვხედავდი შესამჩნევ მუქ ცისფერ „როლს-როისს“, ვფიქრობდი: „რას აკეთებს ახლა ჩვენი ციცერონი?“

იგი ბევრ მასალას გვაწვდიდა, მაგრამ არასდროს არ მიუღწევია ისეთი შედეგებისათვის, როგორც დეკემბერში. არ გამოადგა გასაღებებიც. ამას ჰქონდა მნიშვნელოვანი მიზეზი. ახლა ციცერონს უხდებოდა ემოქმედა ინგლისის საელჩოში გაცილებით უფრო რთულ პირობებში, ვიდრე წინათ.

მან, რასაკვირველია, არაფერი იცოდა ნუმან მენემენჯოლუსთან ფონ პაპენის საუბრის შესახებ და სერ ნეტჩულ-ჰიუგესენთან თურქეთის საგარეო მინისტრის მოლაპარაკების თაობაზე. მას არ შეეძლო ჰქონოდა ცნობები, უაიტჰოლის მძვინვარე რეაქციისა ამ საუბრის შესახებ. სამაგიეროდ, იგი ხედავდა პრაქტიკულ შედეგებს—ინგლისელებმა დაუყოვნებლივ გააძლიერეს საიდუმლოების შენახვის ზომები.

იანვრის შუა რიცხვებში, როგორც ციცერონმა მითხრა, ინგლისის საელჩოში ლონდონიდან, როგორც ჩანს, საიდუმლო დავალებებით სხვადასხვა ადამიანებმა დაიწყეს ჩამოსვლა; ექვი არ მეპარებოდა; რომ მათ უნდა შეემოწმებინათ, როგორ ინახებოდა საიდუმლო დოკუმენტები. როგორც ჩანს, ინგლისის ხელისუფლებას ექვი ჰქონდა აღებული, რომ ყველაფერი ეს სწრაფად საელჩოს შიგნით ხდებოდა. ყოველი სეიფი ახლა სპეციალური ხელსაწყოებით აღჭურვეს, ისე რომ, სეიფებთან

შეხებისას იგი განგაშს იწვევდა. ინგლისის საელჩოს დაკეტილ კარებსა და ფარდებჩამოფარებულ ფანჯრებში გამალებით მიმდინარეობდა უმაღლესი ხარისხის საიდუმლო მუშაობა.

ციცერონისათვის ეს ძლიერ საშიში იყო. იგი რომ უფრო ქვეიანი ყოფილიყო, იმით დაკმაყოფილდებოდა, რაც გააკეთა/ და დაუყოვნებლივ შეწყვეტდა მუშაობას. მაშინ ციცერონს ჯერ კიდევ შეეძლო წყლიდან მშრალად ამოსვლა. მან ჩემგან უკვე ორასი ათას გირვანქა სტერლინგზე მეტი მიიღო—თანხა, რომელიც სავსებით საკმარისია, რათა მთელი ცხოვრების დარჩენილი ნაწილი ფუფუნებაში იცხოვრო, რომელზეც იგი ასე ოცნებობდა.

შაგრამ ციცერონი ასეთი როდი იყო. მე მგონია, რომ მისი მხრიდან ეს იმდენად სიხარბე არ იყო (თუმცა, რასაკვირველია, ათ-ათი ათასი გირვანქა სტერლინგის ბანკნოტთა დასტის გაცვლა რამდენიმე ფოტოგრაფიაზე ძლიერ იზიდავდა მას), რამდენადაც გრძნობა ძალაუფლებისა, რაც მას ხიბლავდა. თუმცა, უდავოა, ფულიც ნაკლებ როლს როდი თამაშობდა.

ოპერაცია „ციცერონისათვის“ ძლიერ მნიშვნელოვანი თარიღი იყო 1944 წლის 14 იანვარი. ამ დღეს ყოველგვარი ექვიდოკუმენტების უტყუარობისა, რომელიც ჯერ კიდევ შეიძლებოდა ჰქონოდა ბერლინს, ერთხელ და სამუდამოდ შემადრწუნებლად გაიფანტა. ჩემგვარი სამუშაოს შემსრულებელი კაცი ივიწყებს, რომ საფრთხეში ვარდება მრავალი ადამიანის სიცოცხლე. ჩემი ნების საწინააღმდეგოდ ამის შესახებ შემახსენეს 14 იანვარს.

დეკემბერში ციცერონისგან მიღებულ დოკუმენტებში იყო თეირანის კონფერენციაზე სამხედრო წარმომადგენელთა მოლაპარაკების ოქმების ასლები. იქ გადაეწყვიტათ დაეწყოთ გერმანიის მოკავშირე ბალკანეთის ქვეყნების—უნგრეთის, რუმინეთისა და ბულგარეთის დედაქალაქთა გაძლიერებული დაბომბვა. სიაში პირველი იყო სოფია. მასზე თავდასხმა 14 იანვარს უნდა მომხდარიყო. ციცერონის მეშვეობით ბერლინმა და გერმანიის ხელისუფლებამ სოფიაში თავდასხმის შესახებ ჯერ კიდევ დაბომბვის დღემდე ორი კვირით ადრე იცოდნენ.

ბერლინმა მაცნობა, თუ ეს თავდასხმა შედგება, საბოლოოდ დამტკიცდება ციკერონის დოკუმენტების უტყუარობაო.

რიხენტროპი და კალტენბრუნერი კი შეეძლო დაერწმუნებინა მხოლოდ ათასობით უდანაშაულო ადამიანების დაღუპვას. ამ დღეს ჩემი მდგომარეობა საშინელი იყო: ვიცოდი, რომ ეს უნდა მომხდარიყო და არ შემეძლო მისი თავიდან აცილება. მართლაც, მე ხომ ეჭვი არ მეპარებოდა, რომ ციკერონის დოკუმენტები სიმართლეს ამბობდნენ და თავდასხმა აუცილებლად შედგებოდა.

14 იანვარს, გვიან, საღამოს, მე დავრეკე გერმანიის მისი-აში—სოფიაში. მეტი ცდა აუტანელი იყო, უნდა მცოდნოდა, რა ხდებოდა იქ.

—კავშირი სოფიასთან შეწყვეტილია, — მიპასუხა ანკარის სატელეფონო სადგურის ტელეფონისტმა ქალმა.

მხოლოდ 15 იანვარს, დილით ადრე, მოვახერხე სოფიასთან დაკავშირება და ველაპარაკე ჩვენი მისიის თანამშრომელს. მან მითხრა:

—ჩვენთან ახლახან საშინელი საჰაერო თავდასხმა მოხდა. მთელი ქალაქი იწვის. მსხვერპლი ძალიან დიდია.

დაკმაყოფილდა თუ არა ბერლინი? ახლა ხომ მათ ჰქონდათ დამამტკიცებელი საბუთი, რომ ციკერონი მათ არ ატყუებდა. ოთხი ათას ბულგარელს — მამაკაცს, ქალსა და ბავშვს — ეს სიცოცხლის ფასად დაუჭდაფ.

თებერვლის დამდეგს ციკერონმა ისევ აქტიური მოქმედება დაიწყო. ორი კვირის განმავლობაში იგი ვერ ბედავდა ხელს შეეხოს სეიფისათვის — ჯერ უნდა გაეგო, როგორ მოქმედებდნენ ახლახან დაყენებული მოწყობილობანი.

—მე ბევრი დრო დამჭირდა, რათა გამეგო ეს, — მეუბნებოდა იგი, — მაგრამ ამდენი დროის დაკარგვითაც კი ვერაფერს მივალწევდი, რომ ჩემთვის ბედს არ გაელიმა. მოხდა ისე, რომ უსაფრთხოების იმ ერთ-ერთ ექსპერტთან ელჩის საუბრისას, რომელიც ინგლისიდან იყო გამოგზავნილი, მე მეორე ოთახში ვიმყოფებოდი. მოსმენილი საუბრიდან მივხვდი, როგორ მოქმედებდნენ ახალი მოწყობილობები.

ამ მომენტში არ შევახსენე, რომ წინათ იგი უარყოფდა თავის ინგლისური ენის ცოდნას. მართალია, მე არასდროს მჭე-

როდა ეს. თუ მას, კარებთან მიყურადებისას, ესმოდა საუბარი, რომელიც უაღრესად ტექნიკურ ხასიათს ატარებდა, ეს ნიშნავს, რომ იგი ფლობდა ინგლისურ ენას, მე ყოველთვის მქონდა ამის ეჭვი.

მე არ ვაცნობე ეს ბერლინს. ჩემი მოხსენებიდან კარგი მაინც არაფერი არ გამოვიდოდა, იგი მხოლოდ უფრო მეტ საზრუნავს გამიჩენდა. ბერლინიდან ანკარაში კიდევ ერთ სპეციალისტს გამოაგზავნიდნენ, ამჯერად, შესაძლოა, ინგლისური ენის მცოდნე ფსიქოლოგს ინსტრუქციებით გატენილი პორტფელით—იმის შესახებ, თუ როგორ დაედგინათ ქვეშაობა.

რამდენიმე დღის შემდეგ ციცერონმა მითხრა, ელჩის სეიფი დაიხშო და აღარ იღებო. როგორც ჩანს, ახალ მოწყობილობებს რალაც მოუვიდა. ინგლისელებმა კაცი გაგზავნეს ლონდონში სპეციალისტებისა და ინსტრუმენტებისათვის, რომლებიც ინგლისიდან თვითმფრინავით მიიღეს და, ბოლოს, სეიფი ისევ გაიღო. ციცერონის თქმით, მან შეძლო დასწრებოდა ამას, ისე რომ დაენახა, როგორ მოქმედებდნენ ახალი მოწყობილობები.

ეს ნაამბობი სავსებით დაუჯერებლად მომეჩვენა, თუმცა ციცერონის პირიდან იგი ყოველად სარწმუნოდ ეღერდა. ციცერონს ყოფნიდა თავხედობა დამდგარიყო ახლოს, როდესაც სეიფს აკეთებდნენ. მაგრამ უბრალოდ არ შემიძლო იმის დაჯერება, რომ მას ამის ნება დართეს. რასაკვირველია, მისთვის უნდა ეთხოვათ გასულიყო ოთახიდან, ვიდრე სეიფს აკეთებდნენ. ინგლისელი მოხელეები სულელები არ არიან, ხოლო ინგლისის უსაფრთხოების სისტემა ბრწყინვალედ მოქმედებდა. ამიტომ არ შეიძლებოდა ეჭვი არ შეგპარვოდათ ციცერონის ნაამბობში. უფრო მეტიც, მე უნდა დამეჯერებინა ციცერონისათვის, რომ ყველაფერი ეს, როგორც იგი ამტკიცებდა, მისი თანდასწრებით იქნა დაყენებული. ვიცოდი, თუ როგორ აღელვებდათ ინგლისელებს ეჭვი გერმანიის ელჩის მათ საქმეში ჩახედულობის გამო, და ლოგიკური იყო გვეფიქრა, რომ მათ უფრო მჭიდროდ უნდა ჩაეხრახნათ ქანჩები, გაეძლიერებინათ საიდუმლოებათა შენახვის ზომები.

ციცერონი მეტად ბევრს ლაპარაკობდა ამ რთულ, ახალ

პოწყობილობათა შესახებ, რომლებშიც გამოყენებული იყო ელექტრომაგნიტური ხელსაწყოები, ინფრაწითელი სხივები და ასე შემდეგ. მე ვფიქრობ, იგი ამით ცდილობდა უფრო მეტად გაესვა ხაზი თავისი საზრიანობისთვის და ბევრი რამ კი საერთოდ შეთხზა.

როგორც ჩანს, იგი იმედოვნებდა ისევ გაეზარდა მისთვის მისაცემი თანხა. და ნამდვილად, მალე მან განაცხადა, მუშაობა ახლა იმდენად რთული და სახიფათო გახდა, რომ უნდა მივიღო ორჯერ მეტი მაინც, ვიდრე ახლა ვიღებო. ყოველი ფოტოფირის კოქში იგი ოცი ათას გირვანქა სტერლინგს მოითხოვდა, იმ პირობით, რომ თითოეულ კოქში, სულ ცოტა, თხუთმეტი სურათი ყოფილიყო. მაგრამ მე არ დავეთანხმე და წინანდელი ფასი დავტოვეთ.

მხოლოდ ახლა მივხვდი, თუ რატომ ცრუობდა თავისი ინგლისური ენის ცოდნის გამო. ციცერონი გამუდმებით მიმტკიცებდა, არ ვიცი თითქმის არც ერთი სიტყვა ინგლისურადო, ამიტომ არ შემიძლია განვსაჯო. რამდენად მნიშვნელოვანია ჩემ მიერ გადაღებული სურათებიო. რამდენადაც ასეა, შემთხვევაში არ შეეძლო ჩვენთვის მხოლოდ მეტად მნიშვნელოვანი მასალების მიწოდების გარანტირება, ჩვენ მისთვის უნდა გადაგვეხადა ყველა ფოტოფირისათვის, თუნდაც ზოგიერთი მათგანი არაფრით არ ყოფილიყო საინტერესო ბერლინისათვის.

მაგრამ თებერვლამდე ციცერონს არც ერთხელ არ მოუტანია ჩვენთვის ასეთი დოკუმენტები. მუშაობის დაწყებიდან, განსაკუთრებით დეკემბერში, მის მიერ გადაღებული განსაკუთრებულად ძვირფასი მასალა იყო. მაგრამ ახლა ისეთ სიძნელეებს წააწყდა, რომლებიც აქამდე არ განეცადა. მას აღარ ჰქონდა თავისუფალი მისადგომი საიღუმლო დოკუმენტებთან, ამიტომ გადაწყვიტა მიემართა ტრიუკისათვის, რომელიც დეტალურად უკვე დიდი ხნის წინ შეიმუშავა. მან არ იცოდა, რომ მე არასდროს არ მწამდა მისი ნათქვამი ინგლისური ენის არცოდნის შესახებ და მიყურადებელი ლაპარაკის შესახებ რომ მიაგებო, ამით თავისი თავი გასცა.

ერთხელ მან მომიტანა კოქი ფოტოფირით, რომელშიც სურათები თხუთმეტზე მეტი იყო. გულდასმითი გამკლავებისა

და გადიდების შემდეგ აღმოვაჩინე ინგლისის საელჩოს წვრილ-  
მანი ხარჯების ძლიერ გრძელი არასრული სია. თუნდაც სრულ-  
ლი ყოფილიყო, იგი მაინც არავითარ ინტერესს არ წარმო-  
ადგენდა ჩვენთვის. უფრო მეტი, მე სრულიად დაუჭერებლად  
ვთვლიდი, რომ ელჩი ასეთ ქაღალდებს თავის პირად სეიფში  
შეინახავდა. ამ ფოტოფირებში ციკერონმა ჩვეულებრივ ათი  
ათასი გირვანქა სტერლინგი მოითხოვა.

მე უარი ვთქვი გადამეხადა ფული ასეთ სისულელეში. მაგ-  
რამ ციკერონი დაჟინებით მოითხოვდა, იმოწმებდა იმას, რომ  
არ მესმის ინგლისური ენა და ამიტომ არ შემიძლია განვსაჯო,  
რამდენად მნიშვნელოვანია ესა თუ ის დოკუმენტებო.

კარგად მესმოდა მისი. რადგან არ მქონდა განსაკუთრებუ-  
ლად მნიშვნელოვანი დოკუმენტები, მან გადაიღო სრულიად  
არასაჭირო მასალები იმ იმედით, რომ მაინც გამოართმევდნენ,  
იგი განაგრძობდა მოქმედებას ამ სახით მანამდე, სანამ ისევ  
მიაწვდენდა ხელს ელჩის სეიფს. ეს შეიძლებოდა უსასრულოდ  
გაგრძელებულიყო.

ბოლოს და ბოლოს, მე ვუბასუხე ციკერონს, შენი მასალა  
ბერლინში უნდა გავგზავნო განსახილველად-მეთქი. მე ამის  
გარეშეც ათვალისწინებული ვიყავი და აღარ მსურდა კიდევ  
დაედოთ ბრალი სახელმწიფო სახსრების განიავებაში. ასე  
რომ, მე გავგზავნე ბერლინში ფოტოფირი და დაბეჭდილი  
სურათები თანხლებული წერილით, რომელშიც განვმარტე,  
რატომ ვთქვი უარი გადამეხადა ფული მათში.

ბერლინიდან კურიერის ხელით მიღებულმა პასუხმა მე-  
ტად გამაოცა. მე კატეგორიულად მქონდა ნაბრძანები  
გადამეცა ციკერონისათვის მისთვის ჩარიცხული ათი ათასი  
გირვანქა სტერლინგი და იტყობინებოდნენ, ეს ფირი ძლიერ  
მნიშვნელოვან მონაცემებს შეიცავსო.

როდესაც ციკერონს ფული გადავეცი, მან გულლიად გა-  
იღიმა. ახლა საკმაოდ კარგად ვიცნობდნ მას და უყოყმანოდ  
ვუთხარი, მე არ ვეთანხმები ბერლინს და კარგად მესმის, რო-  
როგორ თამაშს აწარმოებს იგი-მეთქი.

მან მხრები ააჩეჩა და მიპასუხა, რომ შემდგომში შეიძ-  
ლება მხოლოდ ისეთი დოკუმენტები ამოვარჩიო, რომელიც  
ნიშანდასმული იქნება „ს რ უ ლ ი ა დ ს ა ი დ უ მ ლ ო დ“

ანდა „ს ა ი დ უ მ ლ ო დ“, — ამისათვის ჩემი ინგლისური ენის ცოდნა საკმარისი იქნებაო.

შემდგომში ჩვენ ხშირად ვსაუბრობდით ინგლისურად, ამა- სთან ინგლისური მან გაცილებით უკეთ იცოდა, ვიდრე ფრან- გული. რაც შეეხება ინგლისის საელჩოს წვრილმანი ხარჯების სიას, მე ჭერ კიდევ არ მესმოდა, რატომ მისცა ბერლინმა მას ასეთი მნიშვნელობა.

იანვრის ბოლოს რამდენიმე დღით ბრუსაში გავემგზავ- რე. ეს იყო პირველი შევებულება ჩემი თურქეთში ჩამოსვლის შემდეგ და ვგრძნობდი, რომ სასვებით დავიმსახურე იგი.

ბრუსა თურქეთის ერთ-ერთი უძველესი ძალიან ლამაზი ქალაქია. იგი მინერალური წყლებით ცნობილი კურორტია და განსაკუთრებით კარგია იმ დროს, როცა პაერში უკვე გაზა- ფხულის სუნი იგრძნობა. ნათლად კაშკაშებდა მზე, შორს აზიდულიყო ჭერ ისევ თოვლით დაფარული წვეტიანი მწვერ- ვალი ულუდაგა. მე აღრევე ვიგემე კმაყოფილება წყნარად მეცხოვრა ასეთ მომხიბლავ, მომაჯადოებელ ადგილზე. მაგ- რამ ჩემს ოცნებებს განხორციელება არ ეწერა. ერთი დღის ჟოფნაც ვერ მოვასწარი, რომ ტელეფონის ზარმა ანკა- რიდან ბოლო მოუღო ჩემს დასვენებას.

სტამბულის საკონსულოდან გაქრა ერთი თანამშრომელი. თითქმის დანამდვილებით ცნობილი იყო, რომ იგი ინგლისე- ლებთან დეზერტირობდა. და რამდენადაც იგი ჩემი ნაცნობი აღმოჩნდა, ხოლო იმ განყოფილების უფროსი, სადაც იგი ბუშაობდა, ჩემი კარგი მეგობარი იყო, დაუყოვნებლივ ანკარა- ში დაბრუნება მიბრძანეს. წამოიქრა ასეთი საკითხი, ხომ არ მოახდენს ეს დეზერტირობა გავლენას ჩემს სამუშაოზე-მეთ- ქი. ჩემი განყოფილება მჭიდრო კონტაქტში იყო სტამბულის საკონსულოსთან. ძალიან შეწუხებული, იმავე საღამოს ჩამო- ვედი ანკარაში. ეს დეზერტირობა პირველი იყო, რასაც შემ- დეგ მთელი სერია მოჰყვა და რამაც აურზაური ატეხა. დე- ზერტირი სრულიად ყმაწვილი კაცი იყო, იგი ცოლის ძლიერი გავლენის ქვეშ იმყოფებოდა, რომელიც მრავალი წლით იყო მასზე უფროსი. მას თვალსაჩინო ადგილი ექირა გერმანიის სამხედრო დაზვერვაში, თან წაიღო თურქეთში გერმანიის ზტრებისათვის ძლიერ მნიშვნელოვანი დოკუმენტები. ყველა-

ფერი ეს დიდი უსიამოვნებით ემუქრებოდა ჩემს მეგობარს; —იმ განყოფილების უფროსს, სადაც დეზერტირი მუშაობდა ჩემს მეგობარს, რასაკვირველია, ეჭვი არ ჰქონდა, რომ მის თანაშემწეს, რომელსაც იგი ენდობოდა, შეეძლო განეზრახა რაიმე ამის მსგავსი, მაგრამ ახლა მომხდარის გამო პასუხისმგებლობას ძირითადად მას აკისრებდნენ. მისი მომავალი დიდი ხნის განმავლობაში ბეწვზე ეკიდა, თუმცა თვით იგი ნიჭიერი და კეთილსინდისიერი მუშაკი იყო.

მალე ამის შემდეგ მოხდა დეზერტირობის მეორე შემთხვევა, ხოლო რამდენიმე დღის შემდეგ — მესამე.

როცა ასეთი ამბები დაიწყო, ჩვეულებრივ ასეთი სიტყვა-ძვირი და აპათიური ელისაბედი სრულიად გამოიცვალა. მან განაცხადა, ვერ წარმომიდგენია, როგორ შეუძლია გერმანელს გადავიდეს მტრის მხარეზე იმ დროს; როდესაც მისი ქვეყანა სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლას აწარმოებსო. მისი აზრით, ეს იყო ყველაზე დიდი დანაშაული, რომელიც ადამიანს შეეძლო ჩაედინა.

რამდენადმე გამოაცა მისმა მგზნებარებამ. რასაკვირველია, ოდნავ ეჭვიც არ მქონდა, რომ იგი შეიძლება ჯამუში ყოფილიყო. უბრალოდ, ძლიერ უცნაური იყო გენახათ რაიმეთი აგზნებული ელისაბედი.

ჩვეული გულგრილობის თანდათანობითი დაძლევის ეს ნიშნები, უნდა გითხრათ, მსიამოვნებდა. უკანასკნელი სენსაციური მოვლენების გავლენით ჩემი თანაშემწე ლაპარაკის მოყვარული გახდა. ერთხელ ელისაბედმა მიაგმო თავისი ორი ძმა—ოფიცრების შესახებ, რომლებიც ფრონტზე იმყოფებოდნენ. დაბოლოს, ლაპარაკი დაიწყო თითოეული მოქალაქის მოვალეობის შესახებ, დაეხმარონ ჯარისკაცებს, რომლებიც დღე და ღამე სიცოცხლეს საფრთხეში იგდებენ ფიურერისა და სამშობლოსათვის, ელისაბედის ეს პატარა სიტყვა შეიძლებოდა ყოფილიყო დოქტორ გებელსის ერთ-ერთი გაზეთის კარგი მოწინავე სტატია. უდავოა, იქიდან გადმოიღო კიდეც.

ასეთი სახის გამოთქმები დიდ გავლენას არ ახდენდა ჩვენზე. მე პირადად კმაყოფილი ვიყავი ელისაბედის გამოცოცხლებით. თუმცა იგი საყოველთაო პროპაგანდის განმეორებით გამოიხატებოდა. მე ეს უკეთესობისკენ მიბრუნებად მიმაჩნდა.



ელისაბედმა დაიწყო საღამოებზე მიწვევების მიღება, რასაც იგი ადრე არასდროს არ აკეთებდა.

ზოგჯერ იგი იცინოდა კიდევ, ესეც ახალი ამბავი იყო, ერთხელ თუ ორჯერ თვითონაც გაიხუმრა. მის ჩვეულებრივ ასეთ უსიცოცხლო თვალეზში ახლა ცოცხალი ნაპერწკლები გაჩნდა. მგონი, მართლდებოდა ჩემი იმედები, მომეპოვებინა მისი ნდობა. ზოგჯერ ჩვენთან მოდიოდა სახლში. მე იმას მივალწიე, რომ ჩემი კოლეგები ასევე იწვევდნენ მას თავისთან.

ადვილი როდია აიძულო ქალიშვილი იგრძნოს, რომ იგი ჩვენ მოგვწონს და ჩვენია.

მაგრამ მასში ყოველთვის იყო რაღაც უცნაური. ძნელი იყო არ გაბრაზებულყავი, როდესაც ისე იქერდა თავს, თათქოს ყველაფერი ბეზრდებოდა. საღამოებზე სშირად თვალს ვადევნებდი, თუ უცებ როგორ ჩუმდებოდა მხიარულად მოლაპარაკე ადამიანების ჯგუფი ელისაბედის მიახლოებისას. იგი სწორედ ის ადამიანი იყო, რომელსაც უნარი აქვს გაუფუჭოს ხასიათი ადამიანებს. მე მაინც მეგონა, რომ გამოსწორდებოდა.

ერთხელ ჩვენს შორის გაიმართა მოკლე საუბარი, რომლისთვისაც თუმცა მაშინ არავითარი მნიშვნელობა არ მიმეცია, მაგრამ ახლა, როცა წარსულს გადავხედავ, დიდმნიშვნელოვნად მეჩვენება.

ჩვენ მარტონი ვიყავით ჩემს კაბინეტში. მე მოხსენებას ვწერდი, იგი კი გაზეთ „ტიმსიდან“ წერილს თარგმნიდა. უცებ თავი ასწია და მიტხრა:

— როგორ ფიქრობთ: გერმანიას ჯერ კიდევ შეუძლია ომის მოგება?

— რასაკვირველია, — საკმაოდ მკვანედ ვუპასუხე. რადგანაც არ მიყვარს, როცა მუშაობას გარეშე ლაპარაკით გაწყვეტილებენ.

— რატომ ფიქრობთ ასე? მდგომარეობა ყველა ფრონტზე ძალიან სერიოზულია, ასეა არა?

ქალალდი და ფანქარი გვერდზე გადაედე და შევხედე.

— დიახ, მდგომარეობა ძალიან სერიოზულია. და მე, რომელიც ვცხოვრობ მეოცე საუკუნის შუალედში, არ მწამს სასწაულები. მე გეთანხმებით, რომ თეორიულად ომი წაგებულა, ვითვალისწინებ ამერიკელების სამხედრო მასალების უდი-

დეს რაოდენობას და რუხების რესურსებს. მაგრამ სამხედრო მსალეები და ადამიანთა რესურსები ყველაფერი როდია. არის კიდევ პოლიტიკა და დიპლომატია. ომი საბოლოოდ იმ შემთხვევაში იქნება წაგებული, თუ ქვეყანა ამ სფეროშიც დამარცხდება.

— და, ეს რომ მოხდეს?

— მაშინ, ჩავთვლით, რომ ასეთია ღვთის ნება. ასეთ შემთხვევაში ჩვენ ვერაფრის გაკეთებას ვერ შევძლებთ.

— განა შექმნილი მდგომარეობიდან გამოსავალი არ არის?

— ცალკეული ადამიანებისათვის არა. ყოველ შემთხვევაში, მე, მაგალითად, ვერ ვპოულობ ასეთ გამოსავალს. ეს შეიძლება შევადაროთ მატარებელს, რომელიც დიდი სისწრაფით დალუპვისაკენ მიქრის იმ დროს, როცა ჩვენ შიგ ვსხედვართ, ადამიანს იმდენივე შანსი აქვს მოიტეხოს კისერი, თუ შეეცდება მატარებლიდან გადმოხტეს, რამდენიც მატარებელში რომ დარჩეს. ეს იმ შემთხვევაში, ჩვენ რომ დალუპვისაკენ მივჭროდეთ.

— ხოლო როგორ იქნება საგანგებო მუხრუჭის საქმე?

ელისაბედი პირდაპირ სახეში მიყურებდა — ეს წინათ არ გაუკეთებია. მე ვერ მივხვდი, რისი გაგება სურდა მას.

— ის, რასაც თქვენ გვთავაზობთ, — ვუპასუხე მე, — უდრის ცდას გააჩერო ისტორიის ბორბალი. მე პირადად არ გავაკეთებდი ამას, ეს რომ მხოლოდ ჩემს პირად ინტერესებში შედიოდეს.

ეს პასუხი განსაკუთრებით მოსწრებელი არ ყოფილა, მაგრამ, მგონი, ამან ჩვენი საუბარი დაამთავრა. ელისაბედი ისევ შეუდგა მუშაობას, ხოლო მე ფანჯარაში ვიყურებოდი ჩაფიქრებული.

უცებ შემეკითხა:

— რას ფიქრობთ სტამბულელი დეზერტირების შესახებ?

— არ მომწონს ისინი, ძლიერ ადრე გადმოხტნენ მატარებლიდან. თუ ადამიანი მთელი ამ წლების მანძილზე ერთ მხარეზე იყო ანდა — ყოველ შემთხვევაში, მის წინააღმდეგ არ ყოფილა, მისთვის საჭირო არ იყო ახლა მეორე მხარეს გადასვლა. ეს ცუდ გრძნობას იწვევს. მე შემიძლია პატივისცემით მოვეპყრო ადამიანს, რომელიც ყოველთვის ჩვენს წინა-

აღმდეგ იყო, ანდა წავიდა ჩვენგან მანამდე, ვიდრე ჩვენი დამარცხება ნათელი და დასაჯერებელი გახდა. მაგრამ ახლა ამის ჩადენა უკადრის საქციელად მეჩვენება, სხვა რომ არა ვთქვა, ვერც წარმომიდგენია, როგორი მოტივებით ხელმძღვანელობდნენ ეს დეზერტირები.

— მსგავსი შემთხვევები იყო სტოკჰოლმსა და მადრიდში, ასეა არა?

— დიახ, მე გავიგე ეს ამბავი.

— მეტად ჩომ არ მომრავლდნენ ახლა მოღალატე გერმანელები? დაფიქრდით თქვენ ოდესმე იმაზე, თუ რა შეიძლება იყოს ამის ნამდვილი მიზეზები?

— დიახ, მე ვიფიქრე ამის შესახებ. ჩემი აზრით, ჩვეულებრივი ადამიანები იმდენად შფოთლებიან თვით ღალატის აქტით, რომ არასდროს უფიქრდებიან მათ მიზეზებს. როგორც თქვენ ამბობთ, ახლა ეს ჩვეულებრივ მოვლენად ხდება. გერმანიის სახელმწიფო ბელადებს რომ ესმოდეთ ეს მიზეზები, ისინი, ალბათ, მათი შედეგების ლიკვიდაციას შეეცდებოდნენ. მაგრამ ჩვენ, გერმანელები, არასდროს არ ვყოფილვართ კარგი ფსიქოლოგები.

ელისაბედმა თავის დაქნევით გამოხატა თანხმობა. მერე რაღაცაზე ღრმად ჩაფიქრდა.

ბევრმა დრომ გაიარა, ვიდრე მე გავიხსენებდი ამ საუბარს, სხვათა შორის, მეორე დილით ელისაბედმა ისევ გამოაცა.

კაბინეტში მოსვლისას მე დავინახე, რომ იგი საწერ მაგიდაზე თავდახრილი იჯდა და გულამოსკვნით ტიროდა. რაც შეიძლებოდა, თავაზიანად შევეკითხე, რა მოხდა-მეთქი. მან არაფერი მიპასუხა და ისტერიულ ტირილს განაგრძობდა.

მე ვერაფერი გავაწყვე მასთან. შნურხენმა, რომელიც ცოტათი მოგვიანებით მოვიდა, შეძლო რამდენადმე დაემშვიდებინა იგი. ელისაბედს არასდროს აღარ უთქვამს არც ჩემთვის და არც შნურხენისათვის თავისი ცრემლების მიზეზი. მე შევთავაზე კარგად დაესვენა სახლში, და მანამ არ დაბრუნებულიყო, ვიდრე თავს უკეთ არ იგრძნობდა.

იგი სიტყვის უთქმელად წავიდა, მაგრამ ნაშუადღევს ისევ

დაბრუნდა. მობოდიშების რამდენიმე სიტყვით ჩაბუტბუტების შემდეგ იმ დაუმთავრებელი მასალის თარგმანი განაგრძო, რომელიც მის საწერ მაგიდაზე იდო. თარგმანი ძლიერ ცუდად იყო შესრულებული: შიგ ბევრი შეცდომა იყო. არ მითქვამს საყვედურის არც ერთი სიტყვა, ისე შევასწორე ისინი, სიმართლე რომ ვთქვათ, მეშინოდა, არ გამომეწვია ისტერიკის ახალი შეტევა,

ვხედავდი ელისაბედი უგუნებოდ იყო და მთელი დღე თვალს არ ვაშორებდი. ზოგჯერ რამდენიმე წუთს განუწყვეტლივ იყურებოდა ფანჯარაში და მძიმედ ოხრავდა. მე შევამჩნიე, ერთხელ თუ ორჯერ ფრანგული ლექსიკონი აიღო ხელში, თუმცა ინგლისურიდან თარგმნიდა და ეს შეცდომა მალე არ შეუნიშნავს.

მაგრამ მეორე დღეს ელისაბედი სავსებით დასვენებულ მოვიდა, უფრო უდარდელი და გამოცოცხლებული, ვიდრე ოდესმე. ძნელი დასაჯერებელი იყო, რომ ეს ქალიშვილი ოცდართხი საათის წინ უნუგემოდ ქვითინებდა.

როდესაც ელისაბედი ოთახიდან გავიდა, მე შნურხენთან ვარაუდი გამოვთქვი, რომ აქ რალაც სამიჯნურო ამბავი უნდა იყოს-მეთქი, მაგრამ შნურხენი არ დამეთანხმა.

ერთხელ—ეს იყო მარტში—შნურხენი ავად გახდა. იგი ძლიერ იშვიათად ხდებოდა ავად და ეს მით უფრო საწყენი იყო, რომ მოხდა სწორედ მაშინ, როდესაც უამრავი საქმე მქონდა. მართალია, ელისაბედი ყველაფერს აკეთებდა, რომ გაჭირვებიდან თავი დამეხსნა. იგი მუშაობდა ძლიერ ბევრს და გაცილებით კეთილსინდისიერად, ვიდრე ჩვეულებისამებრ. სავსებით ნათელი იყო, რომ იგი ცდილობდა შეესრულებინა დამატებითი სამუშაო, რომლის მნიშვნელოვანი ნაწილი მისთვის უცნობი იყო.

ყველაზე მძიმე ჩვენთვის იყო ბერლინში საფოსტო თვითმფრინავის გაფრენის წინაღვე, როდესაც, ჩვეულებრივ, გვიან დამემდე გვიხდებოდა მუშაობა, რათა მთელი ფოსტა მეორე დღის შუადღისათვის მოგვემზადებინა. ერთ-ერთი ასეთი მღელვარე დღის ბოლოს, როდესაც დავამთავრე კარნახი ელისაბედთან, ჩემი ყოველგვარი შესხენების გარეშე სურვილი

გამოთქვა დარჩენილიყო სამუშაოდ და დაემთავრებინა ყველაფერი, რომ დილით არ ავჩქარებულყოფიყავით. მე მოვიწონე მისი სურვილი, შინ წავედი, და პირველად დაუტოვე სეიფის გასაღები. ძლიერ დაღლილი ვიყავი, მაშინვე დავწეი დასაძინებლად, მაგრამ ვერ დავიძინე. მე მასში ექვი სრულიადაც არ მეპარებოდა—ასეთი აზრი არც კი მომსვლია. უბრალოდ შემეშინდა, ვაითუ დაუფიქრებლად სეიფი არ დაეკეტა ისე, როგორც საჭირო იყო, ან გასაღები არ დაეკარგა.

აზრი აღარ ჰქონდა ასეთი ფიქრებით წოლას და ტანჯვას. მე ავდექი. გამოვეწყვე და საელჩოში წავედი. ჩემს კაბინეტში ჯერ სინათლე ენთო. მძიმე ფარდები ჩამოშვებული იყო, ხოლო ფარდის ფონზე ვხედავდი ელისაბედის ჩრდილს, რომელიც ოთახში მოძრაობდა.

როდესაც ოთახში შევედი, ელისაბედი მანქანასთან იჯდა. ჩემს დანახვაზე წამოხტა.

— თქვენთვის დიდი ხანია დროა საწოლში იწვეთ. ელისაბედ. არაფერია თუ ვერ მოასწარი სამუშაოს დამთავრება. ხვალ ხომ ჩვენ მთელი დილა გვაქვს.

— მაგრამ მე მირჩევნია ღამით მუშაობა. სრულიად არ დავლილვარ, — მითხრა მან.

არავითარი სურვილი არ მქონდა ჩავბმულიყავი მასთან კამათში. მე ჩემი გავიტანე, დაუყოვნებლივ შეეწყვიტა მუშაობა. იგი უხალისოდ წამოდგა. გასაღები სეიფში იყო და როცა ყველაფერი შევაწყვეთ შიგ, იგი ჩაკეტე და გასაღები ჯიბეში ჩავიდევი.

ელისაბედმა პირდაპირ თვალეებში შემხედა; სახე დაუნაღვლიანდა.

— არ მენდობით? სხვა მდივანს ხომ აძლევთ უფლებას შეინახოს გასაღები?

— რომ არ გენდობოდეთ, არც დაგიტოვებდით მას უწინ. ახლა ვიღებ უბრალოდ იმიტომ, რომ როდესაც იგი ჩემთან არ არის, ვერ ვისვენებ, მე კი მსურს ამ ღამით მშვიდად მეძინოს.

მან ისევ გაიმეორა; არ მენდობიო, და ორი მსხვილი ცრემლი ჩამოუგორდა ლოყებზე. მას თვალეების ისეთი გამოხატულება

ჰქონდა, როგორც ძაღლს, რომელსაც არაფრისათვის სცემეს. ვიგრძენი რომ მკაცრად მოვიქეცი. მასაც არაფერი უთქვამს, მდუმარედ მიეუახლოვდი ჩემს მანქანას, შევთავაზე წამეყვანა შინ, მაგრამ უარი განაცხადა.

რამდენიმე დღის განმავლობაში არავითარი ამბავი არ მომხდარა. მე არ შემიძლო ჩივილი ელისაბედის საქციელზე. ერთხელ, სადილობისას, ჩემთან კაბინეტში შემოვიდა, ხელში ორი წერილი ეჭირა და მითხრა, ეს წერილები ჩემი ძმისგანაა, რომლებიც აღმოსავლეთის ფრონტზე იმყოფებოდნენ. მგონი მას ძლიერ უყვარდა ეს ძმა და ყოველთვის ბედნიერი იყო, როცა მისგან ცნობებს იღებდა. ხომ არ გსურს მათი წაკითხვა?

მე არასოდეს მქონდა განსაკუთრებული სურვილი სხვისი წერილების წაკითხვისა, მაგრამ არ მინდოდა მეწყენინებინა მისთვის. გარდა ამისა, ყოველ წამს იყო საშიშროება, რომ მას ისევ ისტერია მოეწყო.

საკმაოდ უხალისოდ დავიწყე კითხვა, მაგრამ რამდენიმე სტრიქონის წაკითხვის შემდეგ წერილის შინაარსით ძლიერ დავინტერესდი. ალბათ, მისი ძმა საინტერესო ადამიანი იყო და იცოდა, როგორ დაეწერა. ჯარისკაცური წერილების უმრავლესობა არასაინტერესოა, დაწერილია ულაზათო ენით. ზოგიერთი მათგანი სავსეა სენტიმენტალური ურა-პატრიოტული სისულელით.

ამ წერილში ვერ ვიპოვე ვერც ერთი, ვერც მეორე. ეს იყო პატიოსანი ყმაწვილის გრძნობების უბრალო გაზიარება, რომელიც ცდილობდა, რაც შეიძლება უკეთ მოეხადა თავისი ვალი და რომელსაც ღრმად აწუხებდა თავისი ქვეყნის, თავისი ხალხისა და საკუთარი ოჯახის ბედი. |

მე გულწრფელად ავღელდი, თუმცა ელისაბედის თანდასწრებით თავს უნერხულად ვგრძნობდი. იგი ჩემს პირდაპირ იჭდა, ჩემკენ მოეპყრო თავისი ნათელი თვალები. თითქოს სურდა წაეკითხა ჩემი ყველაზე იღუმალი აზრები. მე ვერ მიმხვდარიყავი, თუ რატომ მომცა მან თავისი ძმის წერილი. წერილების წაკითხვის შემდეგ მადლობით დავუბრუნე ისინი ელისაბედს. რამდენიმე წუთის შემდეგ იგი, თავის მანქანაზე დაყრდნობილი, მწარედ ქვითინებდა. ეს უეცარი შეტევები

ცრემლებისა და ისტერიკისა ძლიერ ხშირად მეორდებოდა. ხოლო დროდადრო ელისაბედი ძლიერ უმიზეზოდ გამოცოცხლებული გამოიყურებოდა.

ვერ შევძელი გამეგო რა ემართებოდა მას. რაც უნდა ყოფილიყო, ეს საშინლად მიშლიდა ხელს მუშაობაში. დაბოლოს, გადავწყვიტე წავსულიყავი ელჩთან და შეამბნა მისთვის ყველაფერი. ასე თუ ისე, თავიდან უნდა მომეცილებინა ელისაბედი. ვთხოვე დამხმარებოდა.

უნდა ვთქვა, რომ ფონ პაპენი სრულიად არ დარჩა აღტაცებული ამ თხოვნით. მან შემახსენა, რომ თვით მოვითხოვედი მის ანკარაში გადმოყვანას, და ვიყავი ყველა იმ რთული მაქინაციების მიზეზი, რომლისთვისაც მომიხდა მაშინ მიმემართა, და თუ ელისაბედი არაფრად არ ვარგა, ამაში მე მხოლოდ ჩემი თავი უნდა დავადანაშაულო.

—სავსებით გეთანხმებით, ბატონო ელჩო,—ვუთხარი მე,—არასდროს გავბედავდი თქვენს შეწუხებას ამის გამო, რომ ოპერაცია „ციცერონი“ არ ყოფილიყო. რამდენადაც მასზე სრული პასუხისმგებლობა მაძევს, მე არ ვიქნები მომხრე ჩემს განყოფილებაში მუშაობდეს ასეთი სულელი და ისტერიული ქალიშვილი. ძნელია იმუშაო ელისაბედის მსგავს ქალებთან, სრულიად შეუძლებელია იწინასწარმეტყველო, რა ოინებს მიმართავენ ისინი შემდგომში. დარწმუნებული ვარ რომ, თვით ქალიშვილი ჩვენთვის არავითარ საშიშროებას არ წარმოადგენს, მაგრამ დუ გავითვალისწინებთ მის ახლანდელ მდგომარეობას, არ შეგვიძლია იგი ჩვენს განყოფილებაში დავტოვოთ.

ელჩი ჩაფიქრდა:

— რა შეგვიძლია გავაკეთოთ?—თქვა მან, და გაოგნებული, რგოლებს ხატავდა საშრობ ქალაღზე. — თუ მე ბერლინში ვაცნობებ, რომ იგი თავს ვერ ართმევს სამუშაოს, მას გერმანიაში დაიბარებენ და სამხედრო ქარხანაში ამუშავებენ. გულახდილად გითხრათ, მე არ მსურს საქმის აქამდე მიყვანა, თუნდაც მისი მამის პატივისცემისათვის. თვით ქალიშვილისთვისაც ეს არასასურველი იქნება, ალბათ, დაღუპვის მსგავსიც. ვფიქრობ, ყველაზე კარგი იქნება, წერილს თუ მივწერ მის მამას, ვუამბობ მისი მდგომარეობის შესახებ, ვთხოვ ჩამოვიდეს და

ქალიშვილი უკან წაიყვანოს. ბერლინში ჩვენ შეგვიძლია ვაცნობოთ, რომ იგი ავად გახდა და სამკურნალოდ გაემგზავრა. თუ თქვენი სიტყვების მიხედვით ვიმსჯელებთ, ეს ქეშმარიტად სწორი აზრი უნდა იყოს.

მე აღტაცებული დავრჩი საკითხის ასეთი სუფთა დიპლომატიური გადაჭრით. შემდგომ საკურთხევო თვითმფრინავით ფონ პაპენმა წერილი გაუგზავნა ელისაბედის მამას. მან, რასაკვირველია, ამის შესახებ არაფერი იცოდა. მე თითქოს მხრებზე შედგმული მთა ჩამომხსნეს.

ამასობაში უკვე გაცილებით იშვიათად ვხედავდი ციცერონს, თუმცა დროდადრო მას დოკუმენტები მოჰქონდა. მასალის ნაწილი ჯერ ისევ დიდ ინტერესს წარმოადგენდა, მაგრამ მთლიანად უკვე ის აღარ იყო, რაც უწინ. როდესაც ინგლისელებმა საიდუმლოებათა შენახვის ზომები გააძლიერეს, მნიშვნელოვანი დოკუმენტები ელჩის სეიფში ინახებოდა, ალბათ, დროის იმ შუალედით, როდესაც მას ისინი სჭირდებოდა. ამიტომ ციცერონი ახლა უფრო მეტად ბედნიერ შემთხვევაზე იყო დამოკიდებული, ვიდრე უწინ.

ასეთ ვითარებაშიც კი ახერხებდა იგი მნიშვნელოვანი საქმის გაკეთებას. რამდენიმე კვირის განმავლობაში ჩვენ ვამჩნევდით, რომ ბევრი ახლახან მოტანილი დოკუმენტი შეიცავდა გადაკრულ სიტყვებს, რაღაც სრულიად საიდუმლო, როგორც ჩანდა, ძლიერ მნიშვნელოვანი ოპერაციის შესახებ. ერთხელ შემთხვევით წავაწყდი ახალ, დაშიფრულ სახელწოდებას: ოპერაცია „ოვერლორდი“. მე თავს ვიტეხდი, თუ რას შეიძლებოდა ნიშნავდეს სიტყვა „ოვერლორდი“-მეტქი, მაგრამ ყველა ჩემი ცდა უშედეგო აღმოჩნდა. დიდი ხნის განმავლობაში ჩვენ ამის შესახებ არავითარი ცნობები არ გვქონდა. ბერლინმაც ვერაფერი მოიფიქრა. მე ამაში დავრწმუნდი დირექტივების მიღების შემდეგ, რომლებიც საელჩოებისა და მისიების უმრავლესობას დაეგზავნა. ჩვენ ყველას მოცემული გვქონდა მითითება, რაღაც უნდა დაჯდეს სასწრაფოდ გაგვეშიფრა საიდუმლო სახელწოდება. ეს ბრძანება იმათი მსგავსი იყო, რომლებსაც ბერლინიდან გვიგზავნიდნენ, — ჩვენ არ ვიცოდით, როგორი სახით შეიძლებოდა მისი შესრულება.



მე ვუთხარი ციცირონს, თუ ოდესმე გაიგონებდა ინგლისის საელჩოში სიტყვას „ოვერლორდს“, მაშინვე უნდა ცდილიყო მისი მნიშვნელობის დამახსოვრებას და დაუყოვნებლივ ეცნობებინა ჩემთვის. მგონი, ეს მას სრულიად არ აინტერესებდა. როგორც ყოველთვის, მისთვის უსარგებლო იყო რაიმე ბრძანების მიცემა.

რამდენიმე ხნის განმავლობაში ვერ მოვახერხე რაიმე ძაფების პოვნა, რომელიც „ოვერლორდის“ არსის გახსნამდე მიმიყვანდა. ალბათ, იგი რაღაც სრულიად ახალს წარმოადგენდა და, მგონი, უდიდესი მნიშვნელობაც ჰქონდა. ციცირონის მიერ მოტანილი დოკუმენტებით თუ ვიმსჯელებთ, ოპერაცია ატარებდა უფრო სამხედრო ხასიათს, ვიდრე პოლიტიკურს.

ერთხელ ციცირონის მიერ მოტანილი დოკუმენტებიდან ერთი საინტერესო ადგილი გამახსენდა. სწრაფად ვიპოვე იგი ჩემს საქალაქში. ეს იყო ლონდონიდან ანკარაში ინგლისის ელჩისადმი დეპეშა, რომელშიც ლონდონი დაჟინებით მოითხოვდა, რათა ინგლის-თურქეთის მოლაპარაკებანი დამთავრებულიყო 15 მაისისათვის ან უფრო ადრე.

დოკუმენტებში, რომლებიც ციცირონმა გადმოგვცა, იყო აგრეთვე საინტერესო ადგილები, მაგალითად, მოსკოვისა და თეირანის კონფერენციების ოქმების ამონაწერები. ჩერჩილმა, რუსების მხრივ მნიშვნელოვანი ძალდატანების გავლენით, იკისრა 1944 წელს მეორე ფრონტი გაეხსნა ევროპაში.

დაბოლოს, თუ თვით სახელწოდების მიხედვით ვიმსჯელებთ, ოპერაცია „ოვერლორდი“ დასავლეთის მოკავშირეებმა დაგეგმეს, როგორც ერთ-ერთი გადამწყვეტი მეორე მსოფლიო ომში. ახლა მე სავსებით დარწმუნებული ვიყავი, რომ ვიპოვე პასუხი ჩემს შემაწუხებელ საკითხზე: ოპერაცია „ოვერლორდი“ მეორე ფრონტის პირობითი სახელწოდება იყო.

მე დავუყოვნებლივ გავგზავნე ბერლინში მოხსენება, დაწვრილებით გადავეცი ჩემი თვალსაზრისი და მოტივები, რომლითაც ვხელმძღვანელობდი. ერთი კვირის შემდეგ მივიღე ლაკონიური პასუხი: „შესაძლოა, მაგრამ ნაკლებ სარწმუნოა“.

-ამრავად, ამ საიდუმლო დაშიფრული სიტყვის ნამდვილი

მნიშვნელობის საბოლოო დამტკიცება გერმანიამ მხოლოდ 1944 წლის 6 ივნისს მიიღო, როდესაც აღრიანი დილით ნორმანდიის ნაპირებთან ინგლის-ამერიკის არმია გამოჩნდა.

მეტადოქუნაური იყო, რომ ციცერონის მიერ ჩვენთვის მოტანილ უკანასკნელ ფასდაუდებელ დოკუმენტებს ბერლინში ისეთივე გულგრილობით მოეკიდნენ, როგორც სხვა დანარჩენებს.

მე ვამბობ, „უკანასკნელ“, რადგანაც მარტის დამდეგს გადმოცემული დოკუმენტები, რომლებიც შეიცავდნენ გადაკრულ სიტყვებს „ოვერლორდის“ შესახებ, ნამდვილად უკანასკნელი იყო. მეტი ციცერონს ჩვენთვის არაფერი მოუტანია.

ძნელია გადაწყვიტო, დაიკმაყოფილა თუ არა ფულისადმი თავისი წყურვილი, ანდა, როგორც ჩანს, მუშაობა მეტად სახიფათო გახდა. მას არასდროს უთქვამს ჩემთვის ამის შესახებ, თუმცა არც აშკარად განუცხადებია, უკვე ყველაფერი დამთავრებულიაო. საეჭვოა, რომ ციცერონს სურდა ამ საშუაოს შეწყვეტა. იგი დაგვიპირდა მოეტანა ჩვენთვის ახალი ფირები. დარწმუნებული ვიყავი, რომ იგი ნამდვილად აპირებდა ამის გაკეთებას. მაგრამ მას მეტად აღარ ჰქონია საშუალება გადაელო ინგლისელებს საიდუმლო დოკუმენტები.

მას შემდეგ, რაც უკანასკნელი ფოტოფირები მომიტანა, ციცერონი რამდენჯერმე ვნახე. იგი ჩემთან რამდენიმე დღის შემდეგ მისთვის კუთვნილი ფულის მისაღებად მოვიდა. მაგრამ ამის შემდეგაც შევხვდი. უკანასკნელად სულ რამდენიმე დღით ადრე ვნახე, იმ საშინელ 6 აპრილამდე, როდესაც, როგორც მე წარმომიდგენია, გადაწყდა მისი და ჩემი ბედიც. დაახლოებით ამ დროს ბერლინში ფინანსური ანგარიში გავგზავნე „ციცერონის“ შესახებ.

ციცერონმა ჩემგან სულ მიიღო სამასი ათასი გირვანქა სტერლინგი.

ადრე თუ გვიან ეს უნდა მომხდარიყო. მარტის ბოლოს ელისაბედმა გაიგო „ციცერონის“ შესახებ. მე საქმეების გამო სტამბულში ვიმყოფებოდი, როდესაც ბერლინიდან ანკარაში დიპლომატიური ფოსტა მოვიდა. რამდენადაც შნურხენი ჯერ კიდევ არ იყო გამოსული სამუშაოზე, ჩემს განყოფილებაზე გამოგზავნილი კორესპონდენცია ელისაბედმა გახსნა. ჩვეულებრივ, „ციცერონთან“ დაკავშირებული ყველა წერილი მომდიოდა სპეციალური კონვერტით ჩემი მისამართით, ნიშანდადებით: „ს რ უ ლ ი ა დ ს ა ი დ უ მ ლ ო დ“, „პ ი რ ა დ ა დ გ ა ხ ს ნ ა ს“.

მაგრამ — უცნაური დამთხვევა — ამჯერად მოხელეს, რომელიც ბერლინიდან ფოსტას გზავნიდა, დაავიწყდა მისი სპეციალურ კონვერტში ჩადება. ამის შედეგად ელისაბედმა გახსნა კორესპონდენცია და წაიკითხა იგი.

როდესაც ანკარიდან დავბრუნდი, მან ყველა წერილი გადმომცა, ელისაბედი სავსებით მართალი იყო, რომ გახსნა კორესპონდენცია, რადგანაც არ მივეცი მითითება — არ გაეკეთებინა ეს. მიუხედავად ამის, მე ვღელავდი. ჩემი შემფოთება გაიზარდა, როცა ის მიაპიტი სახით უცებ შემეკითხა:

— ვინ არის ციცერონი?

არ ვუპასუხე, თავი მოვაჩვენე, რომ მუშაობით ვიყავი გართული და ვერ გავიგე. მან შეკითხვა გამიმეორა.

— მომისმინეთ, — ვუთხარი მე, ვხედავდი, რომ პასუხს ვერ ავარიდებდი თავს, — არის ისეთი საქმეები, როგორც მხოლოდ მე უნდა ვიცოდე. ეს ერთ-ერთი ასეთი საქმეთაგანია.

გთხოვთ, გეთაყვა, არ მომცეთ მეტი შეკითხვა, იმიტომ, რომ ვერ გაგცემ პასუხს.

-- რა უხეში ხართ! — მითხრა მან ცბიერი ღიმილით. — ნუ-თუ თქვენ არასდროს ისწავლით ენდოთ პაწაწა ელზას?

— აჰა, არასდროს, — სიცილით ვუპასუხე. მე მოხარული ვიყავი, რომ მან ყველაფერი ხუმრობად აქცია და თვით შევეცადე მეპასუხა იმავე ტონით.

გასაგებია, თუ როგორი დაძაბულობით ვკითხულობდი დეპეშას. ბერლინელი მოხელის დაუდევრობა განსაკუთრებით საწყენი აღმოჩნდა, რადგან ამ წერილიდან ყველას შეეძლო გაეგო, რომ ოპერაცია „ციცერონი“ დაკავშირებული იყო ინგლისის საელჩოს შიგნით მომხდარ. რაღაც ამბებთან. მე ეს სრულიად არ მომწონდა. მიუხედავად ამისა, არ მომსვლია აზრი, რომ მეტად ბატივისაცემი გერმანელი დიპლომატის ქალიშვილი, შეიძლება, ჯაშუში აღმოჩენილიყო.

მართალია, იგი არ მომწონდა, ხოლო მისი ინტერიულობა ზიზღს იწვევდა ჩემში და მსურდა, რაც შეიძლება, მალე მომეცილებინა თავიდან. მაგრამ ჩაგეთვალათ ელისაბედი მტრის შესაძლო აგენტად, სრულიად წარმოუდგენელი იყო. მისი სულელური შეკითხვები, შეიძლება, აგეხსნათ უფრო უბრალო ქალური ცნობისმოყვარეობით. ასე ვფიქრობდი მე, იმ მომენტში მაინც. ორი საათის შემდეგ სრულიად დავივიწყე ეს შემთხვევა.

რამდენიმე დღის შემდეგ ელისაბედი ჩემი მანქანით ქალაქში წავიყვანე. მას რაღაც ნივთების ყიდვა სურდა. როდესაც ჩვენ მივუახლოვდით ქუჩას, რომელზეც ანკარის საუკეთესო მაღაზიები იყო, ელისაბედმა მთხოვა გავყოლოდი მას, ვიდრე თავისთვის თეთრეულს იყიდდა. ქალაქში მხოლოდ ერთი ასეთი დიდი მაღაზია იყო. მე არ მსურდა მასთან ერთად სიარული, მაგრამ ელისაბედმა თურქული ენა არ იცოდა და საჭირო იყო დავხმარებოდი. არ მსურდა მეწყენინებინა და მეც გავყევი.

იგი მეტად ჭირვეული მყიდველი აღმოჩნდა. საბრალო გამყიდველმა მის წინ მატერიების მთელი მთა აღმართა, მაგრამ ელისაბედმა არჩევა ვერ შეძლო. იგი ჯერ ისევ დახლთან იდგა, როდესაც კართან ჩამოკიდებულმა ზარმა დაიწკრიალა, რომელმაც მაიძულა შემოვბრუნებულიყავი. შემოვიდა კიდევ ერთი მყიდველი. ეს ციცერონი იყო.

რასაკვირველია, ისეთი სახე მივიღე, თითქოს არ ვიცნობდი მას. იგი ჯერ ჩემ უკან დადგა, შემდეგ ელისაბედის გვერდით. მასაც თავი ისე ეჭირა, თითქოს სიცოცხლეში არასდროს ვენახე.

მან პერანგები შეუკვეთა, ძლიერ ძვირფასი აბრეშუმის პერანგები. მახსოვს, გავიფიქრე, როგორი სისულელეა მისი მხრივ ასეთი სახით გამოავლინოს თავის სიმდიდრე-მეტეი. ასეთმა ბავშვურმა სიხარბემ შეიძლება დალუპვამდე მიიყვანოს ადამიანი.

ციცერონმა უკვე მისცა შეკვეთა, ხოლო ელისაბედმა აქამდე ვერაფერი ამოირჩია. ჩემი თურქული ენის ცოდნა მეტად შეზღუდული იყო და ამიტომ გამიჭირდა ამეხსნა გამყიდველისათვის, რა სურდა ქალიშვილს.

ციცერონმა, რომელიც ბრწყინვალედ ლაპარაკობდა თურქულად, თავისი სამსახური შემოგვთავაზა მთარგმნელის სახით. იგი საკმაოდ ოსტატურად თარგმნიდა და საერთოდ განსაკუთრებით თავაზიანი იყო. ლაპარაკი ელისაბედთან ფრანგულ ენაზე წარმოებდა. მე არ ვიღებდი მასში მონაწილეობას და, მართალი გითხრათ, თავს ძლიერ უხერხულად ვგრძნობდი. სამაგიეროდ, ციცერონს ეს ყველაფერი, ალბათ, დიდ სიამოვნებას ანიჭებდა.

ბოლოს და ბოლოს ელისაბედმა, მოისურვა, რომ მისთვის თეთრეული შეკვეთით შეეკერათ. ციცერონი მის გვერდით იდგა. ერთიმეორეზე იღებდა დახლიდან თხელ ქსოვილებს. იზომავდა, თითქოსდა მანეკენი იყო. უნდა გითხრათ, რომ იგი ძლიერ სასაცილოდ გამოიყურებოდა. ელისაბედი იცინოდა, და მგონი, ისინი კარგად გრძნობდნენ თავს ერთად. იღიმებოდნენ და ხუმრობდნენ, თითქოს დიდხნის ნაცნობები იყვნენ. როდესაც ელისაბედმა, ბოლოს, ამოირჩია ქსოვილი და გამყიდველმა ქალმა ზომების აღება დაუწყო, იგი ოდნავ გაწითლდა. ციცერონი, როგორც ნამდვილი ჭენტლმენი, გვერდზე იყურებოდა.

შემდეგში ციცერონი დაინტერესდა, გერმანელი იყო ქალი თუ არა, და როდესაც მან დადებითად უპასუხა, თავაზიანად შეეკითხა, მოგწონს თუ არა ანკარაში ცხოვრებაო.

— ძალიან, — ღიმილით უპასუხა ელისაბედმა.

მე განზე ვიდექი და გულდასმით ვუგდებდი ყურს მათ

ლაპარაკს. ორივემ, თითქოსდა, სრულიად დაივიწყა ჩემი არსებობა.

ციცერონმა თავისი პერანგებისათვის ბანკნოტების უზარმაზარი შეკვრიდან გადაიხადა, რომელთა შორის ბევრი ათგირვანქიანი შევნიშნე, და მაღაზიიდან ჩვენზე ადრე გავიდა. წასვლისას, მნიშვნელოვანი თავაზიანობით თავი დაუკრა ელისაბედს. შემდეგ, როდესაც ჩვენ არავინ გვიყურებდა, გასაგებად თვალი ჩამიკრა და მრავლისმეტყველად გამიღიმა.

არც ერთს ეჭვი არ ჰქონდა, რომ რამდენიმე დღის შემდეგ ელისაბედს მოუხდებოდა ორივე ჩვენთაგანის ბედის გადაწყვეტა. ქალს, რასაკვირველია, წარმოდგენაც კი არ ჰქონდა, რომ ეს ხანში შესული, მისდამი მეგობრულად განწყობილი ადამიანი, სწორედ ის ციცერონი იყო, რომლის შესახებაც მეკითხებოდა.

რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, ეს ციცერონისა და ელისაბედის ერთადერთი შეხვედრა იყო.

დაბოლოს, ფონ პაპენმა მიიღო ელისაბედის მამის წერილი. დაგვიანება იმით აიხსნებოდა, რომ იგი მოულოდნელად ბუდაპეშტში გადაეყვანათ. გარდა ამისა, მისი ცოლი სერიოზულად გამხდარიყო ავად; ამ მიზეზების გამო მას ქალიშვილის წაყვანა შეეძლო მხოლოდ ნააღდგომევეს. იგი ბოდიშს იხდიდა პასუხის დაგვიანებისათვის. მადლობას უხდოდა ელჩს ქალიშვილისადმი მზრუნველობის გამო და ძლიერ წუხდა მისი ჯანმრთელობისათვის.

მე ალტაცებული ვიყავი, რომ ნააღდგომევეს თავს დავალწევდი ელისაბედს. დიდი ხნის მოლოდინი არ იყო საჭირო. თანაც იგი გაცილებით უკეთ იქცეოდა: ყურადღება მიაქცია თავის გარეგნობას, უფრო ღინჯი გახდა, ვიდრე წინათ იყო, ხოლო დროდადრო — ხალისიანიც, მაგრამ, ზოგჯერ დაფიქრებული, რაღაც უცნაურად და დაყინებით მიცქერდა და ვგრძნობდი, რომ სურდა რაღაც შეკითხვით მოემართა, მაგრამ ვერ გადაეწყვიტა.

ერთ უმნიშვნელო შემთხვევას უნდა აღეძრა ჩემში ეჭვი, მაგრამ იმ დროს მას მნიშვნელობა არ მივეცი.

მშვენიერი გაზაფხულის დილა დადგა. სამუშაო ცოტა

გვექონდა. ელისაბედმა ისარგებლა ამით და თავაზიანად მთხო-  
ვა, რომ რამდენიმე წუთი დამეთმო მისი მეგობარი მფრინა-  
ვისათვის, რომელსაც მე ჰანსი ვუწოდე. ელისაბედმა მითხრა,  
ჰანსი სამუშაოს ეძებსო. მას არ აინტერესებს ხელფასი, თუმ-  
ცა, რასაკვირველია, ფული, მიღებული მცირე დახმარების გარ-  
და, რომელსაც მას საელჩო გამოუყოფს, ზედმეტი არ იქნე-  
ბაო. ძირითადად ჰანსს სურდა ჰქონოდა რაიმე მუდმივი სამუ-  
შაო, რადგან უსაქმოდ ყოფნა მობეზრებოდა. ხომ არ შეგიძ-  
ლიათ გამონახოთ მისთვის რაიმე სამუშაო თქვენს განყოფილე-  
ბაშიო. ანდა, თუ ეს შესაძლებელია, მაშინ ხომ არ ისურვებდით  
მის მძლოლად აყვანასო?

როგორც ჩანდა, მას ძლიერ სურდა დახმარებოდა ყმაწვილს,  
და, რასაკვირველია, გამახსენდა ჰორები ერთ-ერთ მფრინავ-  
თან ელისაბედის კავშირის შესახებ. დავთანხმდი მოვლაპარაკე-  
ბოდი მას.

მეორე დღეს ორივე მფრინავი მრვიდა ჩემთან სამსახურში.  
ეს იყო ჩემი მათთან ლაპარაკის პირველი შემთხვევა, თუმცა  
ისინი ადრეც მინახავს. ისინი თავმდაბლად, რამდენადმე მორ-  
ცხვად დასხდნენ და ჩემი შეთავაზებული სიგარეტები გააბო-  
ლეს, სამშობლოს, ჯარისკაცის მოვალეობისა და ფიურერისათ-  
ვის საბრძოლველად ფრონტზე დაბრუნების სურვილის შესა-  
ხებ მათმა ლაპარაკმა ბევრი დრო დამაკარგვინა. სამწუხაროდ,  
ჩვენ ინტერნირებულნი ვართ და ამასთან სიტყვა მივეციოთ ჩვენს  
ელჩს, თორემ უკვე კარგა ხანია გავიქცეოდით თურქეთიდანო,  
მარწმუნებდნენ ისინი.

ბოლოს ისინი საქმეს შეეხნენ და მკითხეს, ხომ არ შეგიძ-  
ლია სამუშაო მოგვცეთო. მნიშვნელობა არა აქვს, როგორი იქ-  
ნება ეს სამუშაო, მხოლოდ გვეყოს სიგარეტების საყიდლადო.  
მაგრამ მათი მიზანი მარტოდენ ეს როდი იყო, მათ სურდათ,  
რომ გამოსადეგი ყოფილიყვნენ გერმანიისათვის. მათ ელისაბე-  
დისგან გაიგეს ჩემი არაჩვეულებრივი გულკეთილობის ამბა-  
ვი; — რომ მე ერთადერთი ადამიანი ვიყავი საელჩოში, რომე-  
ლიც უარს არ ეტყოდა ადამიანს დახმარებაზე... და, აი, რისკი  
გასწიეს და მომმართეს თხოვნით.

მე ვადროვე მათ ამ საკმაოდ ხანგრძლივი სიტყვის დამთავ-  
რება, თან ვცდილობდი შებეჭმნა მათზე ჩემი აზრი, დაბოლოს,

ვუპასუხებ, როგორც არ უნდა მსურდეს, მე საშუალება არა მაქვს რაიმე გავაკეთო თქვენთვის-მეთქი. თქვენ არ შეგიძლიათ მიიღოთ არაერთი სახის სამუშაო საელჩოში საგარეო საქმეთა სამინისტროს სპეციალური ნებართვის გარეშე, თუნდაც ეს სამუშაო სრულიად აუნაზღაურებელი იყოს-მეთქი.

ხომ არ შეგიძლიათ, ერთ-ერთი ჩვენგანი თქვენს პირად მძლოლად აიყვანოთ? რასაკვირველია, ამისთვის არ დაგჭირდებათ ბერლინის ნებართვა და შეგიძლიათ აიყვანოთ ერთ-ერთი ჩვენგანი, მით უმეტეს, რომ ჩვენ ავტოსაქმის საუცხოო მექანიკოსები ვართო, მაგრამ მე ვუთხარი, რარიგ სამუშაოზე არ უნდა იყოს, ესეც სრულიად გამორიცხულია-მეთქი.

რისინი ჩემგან უხალისოდ წავიდნენ. მეც მოხარული ვიყავი გამეგდო ისინი — არც ერთი მათგანი არ მომწონდა. მათ ქცევაში იყო რაღაც უცნაური, თუმცა მეტად თავაზიანი და ქედ-მოხრილნიც კი — ჩანდნენ.

ელისაბედს აღარასოდეს უხსენებია მფრინავები, მაგრამ პისი საქციელი არ ტოვებდა უმცირეს ეჭვსაც კი, რომ ქალიშვილს ღრმად მოხვდა გულში. ჩემი უარის თქმა დავხმარებოდი მის მეგობრებს.

სწორედ იმავე დღით, როდესაც მე საელჩოს ბალის გავლით შინ სასაუზმედ მივდიოდი, ჩვენმა სამხედრო-საჰაერო ატაშემ შემაჩერა. თურმე, მან ჩემი განყოფილებიდან გამოსული მფრინავები შენიშნა და მკითხა, იცი თუ არა, რომ ამ ორი მფრინავის შესახებ სამხედრო-საჰაერო ძალების შტაბში გაგზავნილია ოფიციალური შეკითხვაო. მათ ნაამბობში — ცნობილი იძულებითი დაშვების შესახებ — მეტად ბევრი წინააღმდეგობებია. უფრო მეტიც, განაგრძობდა სამხედრო-საჰაერო ატაშე, მე გავიგე, რომ მათ მეტისმეტად მეგობრული დამოკიდებულება აქვთ თქვენს მდივანთანო. თუ მომავალ გამოძიებას გავითვალისწინებთ, ხომ არ აჯობებს, ვუბრძანო ქალს ბოლო მოუღოს ამ საეჭვო მეგობრობასო. ატაშეს სურდა მოსულიყო ჩემთან კაბინეტში და იქ ეამბნა ყველაფერი ეს, მაგრამ სრულიად გასაგები მიზეზების გამო გადაწყვიტა არ ელაპარაკა ელისაბედის თანადასწრებით.

— მე მგონი, გენერალო, უკვე დიდი ხანია დროა ერთხელ და სამუდამოდ გამოარკვიოთ ეს საკითხი, — ვუთხარი, მე, —



ამ ორი ბიჭის შესახებ ბევრს ლაყბობენ. რამდენადაც მახსოვს, ოფიციალური შეკითხვა გაგზავნილი იყო შარშან. მაგრამ როგორ ვუბრძანო ჩემს მდივანს არ შეხვდეს მათ, როდესაც პასუხის ჯერ კიდევ არ მიგვიღია? თუ ისინი ის ადამიანები აღმოჩნდებიან, რომლებადაც თავს ასაღებენ, მე ბრალს დამდებენ. ბოროტ ცილისწამებაში, ეს კი სერიოზული საქმეა. ჩვენს შორის რომ ვთქვათ, მე ნაკლებ მომწონს ისინი, ვიდრე თქვენ. მაგრამ საეჭვოა, რომ ეს საკმარისი საფუძველი იყოს იმისათვის, რომ ელისაბედს ავუკრძალო მათთან სადილობა. სიტყვამ მოიტანა და... მათ ჩემთან დღეს დილით შემოიარეს და სამუშაო მთხოვეს.

— თქვენ რა უთხარით მათ? — მკითხა გენერალმა.

— მე ძლიერ თავაზიანად ვუპასუხე, რომ ვერაფრით დავეხმარები.

— სწორია. მოხარული ვარ, რომ ასე უპასუხეთ. მე ჩემს შეკითხვაზე პასუხს დღე-დღეზე ველოდები და, როგორც კი მივიღებ, გაცნობებთ.

მადლობა მოვახსენე გენერალს და სასაუზმედ წავედი. კიდევ ერთი მძიმე ტვირთი მომეხსნა მხრებიდან.

მაგრამ რამდენიმე დღის შემდეგ ჩემს კაბინეტში ისევ მოხდა გულდასაწყვეტი სცენა: ელისაბედი ისევ ცრემლად იღვრებოდა. ამჯერად, მგონი, ცოტათი მე ვიყავი დამნაშავე.

ერთ კვირაზე მეტხანს იმყოფებოდა შნურხენი შევბუღებაში და როგორც უკვე ვთქვი, ელისაბედი ბრწყინვალედ ართმევდა თავს დამატებით სამუშაოს. იგი გაცილებით უფრო საიმედო ადამიანი აღმოჩნდა, ვიდრე მოველოდით. ხშირად დამიტოვებინა მისთვის ჩემი კაბინეტი ზედიზედ რამდენიმე საათის განმავლობაში, როდესაც ელჩთან ანდა სამსახურებრივ სხდომებზე ვიყავი. ჩემი არყოფნისას იგი სავსებით დამაკმაყოფილებლად ასრულებდა ყველაფერს, რაც მოეთხოვებოდა. სიტყვამ მოიტანა და, ამ დროისათვის იგი უკვე საკმაოდ კარგად იყო ინფორმირებული „ციცერონის“ ხასიათის შესახებ, თუმცა დაწვრილებით არაფერი იცოდა.

შემდეგ დაბრუნდა შნურხენი და კვლავ იკისრა სამუშაოს ძირითადი ნაწილი, თანაც ისეთივე საიმედო და პუნქტუალური

იყო, როგორც ყოველთვის. ხოლო ელისაბედი დაუბრუნდა უცხოეთის პრესის თარგმანს. მიუხედავად ენების საუკეთესო ცოდნისა, იგი ყოველთვის ცუდად ასრულებდა ამ სამუშაოს, ალბათ იმიტომ, რომ საერთოდ სძულდა იგი. მისი მანქანაზე გადაბეჭდილი თარგმანები სავსე იყო ბეჭდური და გრამატიკული შეცდომებით და ტექსტის უხეში დამახინჯებით. მე ყოველთვის ვასწორებდი ამ შეცდომებს, ამასთან არასდროს დამიტუქსავს ელისაბედი. არ მინდოდა ზედმეტი სცენები გამე-მართა, მაგრამ იმ დილით მისი თარგმანი იმდენად ცუდი იყო, რომ მოთმინება დავკარგე.

— მე არ მჭირდება ასეთი სამუშაო, — ვუთხარი გაბრაზებით. — აქ მხოლოდ იდიოტური შეცდომებია. მე კარგად ვიცი, რომ თქვენ უკეთესად შეგიძლიათ თარგმნოთ. ყველაფრის თა-ვიდან გაკეთება მოგიხდებათ.

მე უკანვე შევაჩეხე თარგმანი. მაგრამ მაშინვე მივხვდი, რომ შევცდი. არ უნდა გამოვსულიყავი მოთმინებიდან. ბოლოს და ბოლოს, იგი ხომ მალე უნდა წასულიყო.

ელისაბედს სიბრაზისაგან სახე გაუფითრდა. აიღო მანქანაზე გადაბეჭდილი ფურცლები, გამგმირავედ შემხედა და, ისე რომ არც ერთი სიტყვა არ უთქვამს, ოთახიდან გავიდა. წინა ოთახში მან გააფთრებით დახია თარგმანი წვრილ-წვრილ ნაგლეჯებად, შემდეგ კი ჩავარდა სავარძელში და ტირილი აუტყდა. ისე, რომ ქვითინი ჩემს კაბინეტამდე აღწევდა. მე მასთან გავედი.

— მომისმინეთ, ელზა, — ვუთხარი, ხაზგასმული სიმშვიდით, — ეცადეთ იყოთ უფრო კეთილგონიერი: ჩვენ ყველას გვიხდება შევეურიგდეთ იმას, რასაც გვეტყვიან. ნუთუ თქვენ ფიქრობთ, რომ ელჩი არ მეჩხუბება, როდესაც რამეს სწორად არ გავაკეთებ?

— საქმე ამაში არ არის, — მპასუხობდა იგი ტირილით, — მწყინს, რომ გარდა ამ საძაგელი, მოსაწყენი თარგმანისა, არაფერს არ მენდობით. მე ველარ ავიტან ამას. ნუთუ თქვენ ნებას არ დამრთავთ შევასრულო რაიმე ნამდვილი სამუშაო?

არ ვიცოდი, რა მექნა ამ ისტერიულ არსებასთან. ალბათ, უფრო კეთილგონიერული იქნება, იყო მტკიცე და ამასთან ერთად კეთილი. ელისაბედს შეიძლება. ნერვული შერყევა მოს-

ვლოდა, ამიტომ, რაც შეიძლება, თავაზიანად უნდა მოვქცეოდი. მაგრამ ამჯერად მეტად გაბრაზებული ვიყავი. გარდა ამისა, ამას უკვე აღრე მივმართე, მაგრამ სცენებს დასასრული არ უჩანდა.

— თუ თქვენ არ მოგწონთ მუშაობა აქ, შეგიძლიათ უკანვე, სოფიაში, გაგზავნოთ. მე შევეცდები დაუყოვნებლივ მოგიწყოთ ეს.

როდესაც ელისაბედმა თავი ასწია, ცრემლები ისევ ჩამოსდიოდა ლოყებზე.

— ასე რომ, თქვენ გსურთ ჩემი თავიდან მოცილება, — ჩაიხურჩულა მან. იგი ხრინწიანი ხმით ლაპარაკობდა და ტუჩები უკანკალებდა.

— არა, მე არ მინდა რომ თქვენ წახვიდეთ, — ვიცრუე მე. — მაგრამ თუ ცუდად გრძნობთ თავს, არ დაგაყოვნებთ.

იმედი მქონდა, რომ იგი მოისურვებდა სოფიაში ანდა ბუდაპეშტში მამამისთან დაბრუნებას. არავითარი ამის მსგავსი იგი შეტრიალდა, ოთახიდან გავარდა და ძლიერი ჭახუნით მოიხურა კარი. ნახევარი საათის შემდეგ უკანვე დაბრუნდა და ბოდონში მოიხადა თავისი საქციელის გამო. ყველაფერი ძველებურად მოხდა.

ჩემმა მეუღლემ ელისაბედი მოიწვია პატარა სადილზე, რომელსაც იმ სწლამოს ვაწყობდით ჩვენთან. მინდოდა მცოდნოდა, მოვიდოდა თუ არა იგი მას შემდეგ, რაც მოხდა. ის მოვიდა, მართალია, ძლიერ გვიან, — ისე გვიან, რომ მოგვიხდა სადილის შეთბობა, ხოლო სუფლე გაფუჭებული იყო.

მე შევამჩნიე, რომ ელისაბედი ჩვეულებრივზე მეტად აღგზნებული იყო. მას მკვდრისებრი, ფერმკრთალი სახე ჰქონდა. მაგრამ ეს ისე უხდებოდა, რომ მისი ჩვეულებრივ უსიცოცხლო თვალები თითქმის ბრწყინავი ჩანდა. ეცვა სპილოს ძელისფერი ლამაზი კაბა — ეს ფერი გასაოცრად უხდებოდა ქალიშვილის ფერმკრთალ სახეს. ამ საღამოს იგი მეტად ლამაზად გამოიყურებოდა.

ოდნავაც არ შეხებია საკმელს, არც ღვინო დაუღევია. მთელი საღამოს განმავლობაში არც ერთი სიტყვა არ უთქვამს. მგონი, იგი სრულიად არ გვისმენდა მე და ჩემს მეუღლეს.

ისეთი შთაბეჭდილება შექმნება, თითქოს იგი ძლიერ აღელვებული იყო და თითქმის თავზარდაცემულიც.

მხოლოდ რამდენიმე კვირის შემდეგ გავიგე ელისაბედის უცნაური საქციელის მიზეზი. ვიდრე ჩვენთან მოვიდოდა, მას ნაცნობ ექიმთან შეუვლია და უკითხავს, მიეღო თუ არა ჩვენი მიწვევა. მას ეშინოდა არ მომეწამლა იგი.

ორშაბათს, 3 აპრილს, — ეს იყო აღდგომის კვირის პირველი დღე, ძლივს მოვასწარი ჩემს კაბინეტში შესვლა, რომ ელისაბედმა მკითხა, შეიძლებოდა თუ არა მარტო ჩემთან ლაპარაკი. მწურხენი, რომელიც ყოველთვის გამოირჩეოდა დიდი ტაქტით, წამოდგა და ოთახიდან გავიდა.

— მაშ ასე, — ვუთხარი მე, როდესაც მარტო დავრჩით, — ხომ არ შემიძლია რაიმეში გამოგადგეთ?

— შეიძლება მივიღო რამდენიმე დღის შვებულება სააღდგომოდ? ძლიერ მსურს ერთი კვირა მშობლებთან ერთად გავატარო ბუდაპეშტში. ვიცი, რომ შვებულება არ მეკუთვნის, მაგრამ, იცით რა, ჩემი ძმა შვებულებაშია და ისიც იქ იქნება.

მე აღტაცებაში მოვედი მისი თხოვნით და თავის შეკავება მომიხდა, რომ არ მეგრძნობინებინა ეს. როგორც კი იგი ბუდაპეშტში მოხვდება, გავიფიქრე, მამა შეძლებს მის დატოვებას. იქ დარჩება, მე კი ბარგს გავუგზავნი. მსურდა ხელი მომეხვია ქალიშვილისათვის, როდესაც მისგან უს თხოვნა გავიგონე. მაგრამ მე საკმაოდ კარგად ვიცნობდი ელისაბედს და დარწმუნებული ვიყავი, რომ ჩემი სიხარულის დანახვისას მას უცბადვე შეეძლო თავისი გადაწყვეტილების შეცვლა და შვებულებაზე უარის თქმა.

ამიტომ მოვიღე შე და ხელში ფანქარს ვატრიალებდი.

— ჰმ... — წარმოვთქვი მე. — მეტად შეუფერებელი მომენტი შეარჩიეთ. თქვენ კიდევ ბევრი დაუმთავრებელი სამუშაო გაქვთ და გარდა ამისა...

— მე ისეთი ბედნიერი ვიქნებოდი, რომ თქვენ გამგზავრების ნება მოგეცათ. გპირდებით, რომ მთელ სამუშაოს ხუთშაბათისთვის დავამთავრებ.

— თუ ასეა, — ვთქვი მე და გულში ვიკლავდი სიხარულს, — ასეთ შემთხვევაში მოგცემთ შვებულებას. თქვენ ამბობთ, რომ ხუთშაბათს გინდათ გამგზავრება?

— თუ მე შატარებლით ხუთშაბათს საღამოს გავემგზავრები, მაშინ მიუღსწრებ საკურიერო თვითმფრინავს, რომელიც სტამბულიდან გადის. როგორ ფიქრობთ, შევძლებ მასზე მოხვედრას?

— თვითმფრინავზე? არ ვიცი; — ვუპასუხე მე, ჯერ ისევ უცდელიობდი შემენარჩუნებინა პირქუში შესახედაობა. — შესაძლოა, გიშოვოთ ბილეთი.

როდესაც ამ წარმატების შესახებ ელჩს ვუამბე. იგი მეტად კმაყოფილი დარჩა.

— ჩინებულია, — მომიწონა ფონ პაპენმა. — მშვენიერი გადაწყვეტილებაა. ამავე თვითმფრინავით უნდა გავუგზავნოთ ახსნა-განმარტებითი წერილი მის მამას. მე ვიზრუნებ მისი ბილეთისთვის.

სამშაბათს და ოთხშაბათს ელისაბედი. განყოფილებაში თითქმის არ გამოჩენილა. იგი თავაზიანად იხდიდა ბოდიშს, ამბობდა, ბევრი საყიდელი მაქვსო. მე არ შევეპასუხე, თუმცა სრულიად ნათელი იყო, რომ იგი არ ცდილობდა გამგზავრებამდე დაემთავრებინა სამუშაო.

ერთხელ ელისაბედს ქალაქში შევხვდი. მას დიდი შეკვრა მოჰქონდა.

— ახალი პალატა, — მითხრა მან. ღიმილით. — ბუდაპეშტში საადდგომოდ ჩავიცვამ.

ოთხშაბათს, გამგზავრების წინაღღეს, იგი მოვიდა განყოფილებაში და რამდენიმე საათს დარჩა.

თარგმანებზე მუშაობისას მხიარულად ღიღინებდა თავისთვის, როგორც ჩანდა, ძლიერ მემადლიერებოდა შევებულები-სათავის. მე მაწუხებდა იმაზე ფიქრი, რომ, მგონი, ცოტათი უსამართლოც ვიყავი ამ ქალიშვილის მიმართ.

ელისაბედმა განაცხადა, ერთი კვირის შემდეგ დავბრუნდები და დასვენების შემდეგ შევძლებ სერიოზულად შევუდგე მუშაობასო. თან დამპირდა, რომ მეტად აღარ მომაყენებდა უსიამოვნებებს, მხიარულად ტიტინებდა თავისი ძმის შესახებ და იმაზე, თუ როგორ მოუთმენლად ელოდა მასთან შეხვედრას.

— მე ვუყიდე მას ბილეთი სტამბულამდე. მოლარემ, ჩვეულე-

ბისამებრ, განაცხადა, რომ ამ მატარებელზე ყველა ბილეთი უკვე გაყიდული იყო და მე ორმაგი ფასის გადახდა მომიხდა. მაგრამ სიხარულით გავაკეთე ეს და სიამოვნებით გადავიხდიდი სამჯერ მეტსაც, ოღონდ ასეთი ადვილი ხერხით თავიდან მომეცილებინა იგი.

ხუთშაბათს, დილით, ესე იგი 1944 წლის 5 აპრილს, ელისაბედი შნურხენთან და ჩემთან გამოსამშვიდობებლად მოვიდა. თავდაპირველად მან ხელი შნურხენს-გაუწოდა, დაჰპირდა, რომ ჩამოუტანდა ჩინებულ უნგრულ სააღდგომო კვერცხს, შემდეგ მე მომიახლოვდა და ერთხელ კიდევ გადამიხადა მადლობა გულკეთილობისათვის: სადგურზე გაგაცილებთ-მეთქი, შევთავაზებ, მაგრამ ელისაბედმა მთხოვა არ შეეწუხებულიყავი. მისი ბილეთი განზრახ სახლში დავტოვე, მაგრამ ამის შესახებ მისთვის არ მითქვამს, — მსურდა პირადად დავრწმუნებულიყავი, რომ იგი ნამდვილად გაემგზავრებოდა.

— ასეთ შემთხვევაში, მე ჯერ არ დაგემშვიდობებით, — მითხრა ელისაბედმა, — ჩვენ ხომ ვნახავთ ერთმანეთს გამგზავრების წინ.

კაბინეტიდან გამოსვლისას იგი იღიმებოდა. ეს იყო ერთადერთი შემთხვევა, როცა იგი ბედნიერი ვიხილე.

ექვსის ნახევარზე სადგურზე ვიყავი. მატარებელი უკვე ბაქანთან იდგა, თუმცა თითქმის ნახევარი საათი რჩებოდა მის გასვლამდე.

ფონ პაპენიცი აქ იყო. იგი მოვიდა სადგურზე, რასაკვირველია არა იმიტომ, რომ გაეცილებინა ელისაბედი, არამედ გამომშვიდობებოდა ესპანეთის ელჩს, რომელიც იმავე მატარებლით სამუდამოდ მიემგზავრებოდა. ანკარიდან. სადგურის შესასვლელთან ვიდექი, რადგანაც არ მსურდა მონაწილეობა მიმეღო ამ ნახევრად ოფიციალურ საუბარში. ჯიბეში ელისაბედისათვის მატარებლისადა თვითმფრინავის ბილეთები მედო.

— რატომ არ შეუძლია ამ უბედურ გოგოს დროზე მოვიდეს? — გავიფიქრე მე, როცა საათს დავხედე, თუმცა მატარებლის გასვლამდე თითქმის თხუთმეტი წუთიღა რჩებოდა.

მე გავიარ-გამოვიარე ვაგზლის ახლომდებარე მოედანზე, ხოლო შემდეგ უკან, ბაქნისაკენ, წავედი. შესაძლოა, ვერ შე-

ვამჩნიე, ისე გაიარა და ახლა უკვე მატარებელშია-მეთქი. მაგრამ იგი არსად ჩანდა.

მატარებლის გასვლამდე ხუთი წუთით ადრე ნერვულობა დაიწყო. ელჩი დაემშვიდობა ესპანელ კოლეგას და თავისი მანქანისაკენ წავიდა. როგორც ჩანს, აღელვება შემჩნეოდა, რადგან ჩემ გვერდით გავლისას ფონ პაპენმა მკითხა:

— არ გამოცხადებულა თქვენი ელისაბედი?

— არა, ბატონო ელჩო.

— სურს ბოლომდე თავისთავის ერთგული დარჩეს, — თქვა მან და დაუმატა: — იგი, ალბათ, მაშინ გამოცხადდება, როდესაც მატარებელი დაიძვრება. არიან ქალები, რომლებიც ყოველთვის იგვიანებენ. — იგი წინ წავიდა.

ელისაბედი არ მოსულა. მატარებელი უმისოდ წავიდა. ამ მატარებლით გაემგზავრა დიპლომატიური კურიერი, რომლის ჩანთაში მისი მამის მისამართზე გასაგზავნი წერილი იდო.

ახლა კი ძალიან შევშფოთდი. პირდაპირ სადგურიდან წავედი მის ბინაში, სადაც იგი არცთუ დიდი ხანი იყო, საელჩოს ქალიშვილთან ერთად ცხოვრობდა. ამ ქალიშვილმა გამიღო კარები, როდესაც დავრეკე.

— სად არის ელისაბედი? — ვკითხე მე.

მან მიპასუხა, ელისაბედი სამ საათზე დიდი ზანდუკითა და ჩემოდნით გაემგზავრა. ეს მეტად უცნაურად მომეჩვენა.

მის ოთახში შევიხედე. ვიმედოვნებდი, იქნებ ვიპოვო-მეთქი რაიმე, რაც ამიხსნიდა — სად შეეძლო მას დამალვა. ოთახში ასეთი რამ არ აღმოჩნდა. ყველა კამოდი და კარადა ცარიელი იყო. თან წაეღო ყველაფერი, რაც კი ჰქონდა.

დაბრლოს, ერთ-ერთ მტვრიან კუთხეში ვიპოვე ელისაბედის ძველი ზამთრის პალტო. ეს იყო ერთადერთი ნივთი, რომელიც თან არ წაუღია.

ახლა საბოლოოდ თავგზააბნეული ვიყავი. მის საწოლზე დავწევი და დავიწყო ფიქრი იმაზე, თუ სად უნდა გაუჩინარებულიყო იგი.

შესაძლოა, უბედურება შეემთხვა. ანდა, შესაძლოა, თავი მოიკლა? ელისაბედს შეეძლო ეს გაეკეთებინა ერთ-ერთი მისი ჩვეული სულიერი დეპრესიის დროს. სად ვეძებო იგი? რატომ

წაილო მთელი თავისი ნივთები? სამი საათის შემდეგ ამ დღეს ანკარიდან არ გასულა არც ერთი სხვა მატარებელი, ამიტომ იგი ჯერ კიდევ ქალაქში უნდა იყოს.

საელჩოში დაგბრუნდი და ფონ პაპენს ყველაფერი ვუამბე. იშვიათად მინახავს იგი ასე გაბრაზებული.

— აი, ასე ხდება ხოლმე, როდესაც საპასუხისმგებლო სა-  
მუშაოზე ისტერიულ ქალებს მივიღებთ ხოლმე, — თქვა მან.

მე ვლუმდი, იგი კი წინ და უკან დადიოდა თავის კაბინეტ-  
ში. დროდადრო ბრაზიანად გადმომხედავდა. შემდეგ შემე-  
კითხა:

— ანლა რისი გაკეთება გაქვთ განზრახული?

— მე განვაგრძობ მის ძებნას, ხოლო თუ ვერ ვიპოვე, და-  
უყოვნებლივ შევატყობინებ თურქეთის პოლიციას და ვაცნო-  
ბებ ბერლინში.

ფონ პაპენმა თავი გაიქნია:

— ეს ჯერჯერობით გადადეთ. იგი შეიძლება გამოჩნდეს.  
თუ ჩვენ შევატყობინებთ ანკარის პოლიციას, საქმე შეიძლება  
უაზეთში მოხდეს, მაგრამ ჩვენ ხომ სკანდალები არ გვჭირდე-  
ბა. თუ მოხდება ყველაზე ცუდი რამ და საჭირო იქნება, რომ  
ვაცნობოთ ამის შესახებ პოლიციას, მაშინ მე თვით ჯერ საგა-  
რეო საქმეთა მინისტრთან მოვილაპარაკებ.

მანქანაში ჩავჯექი და ანკარის ყველა კუთხე შემოვიარე.  
ვეძებდი ელისაბედის ყველა ნაცნობს, რომლების მოგონება მე  
შემეძლო. მათ ისევ და ისევ ვაძლევდი ერთ შეკითხვას:

— შემთხვევით ჩემი მდივანი ხომ არ გინახავთ?

არა, არავის უნახავს იგი.

დაახლოებით შუალამისას სასტუმროში წავედი, სადაც ორი  
ინტერნირებული გერმანელი მფრინავი ცხოვრობდა, რომელთა  
შესახებ ზემოთ ვილაპარაკე. თურქ ოფიცერს არ სურდა ჩემი  
შეშვება, ვიდრე არ წარვუდგინე დამამტკიცებელი დოკუმენტე-  
ბი; რომ გერმანიის საელჩოს თანამშრომელი ვიყავი. მხოლოდ  
ამის შემდეგ გამიყვანეს ოთახში, რომელიც ჰანსსა და ფრიცს  
ეჭირათ.

დავაკაკუნე. პასუხი არ იყო. უფრო ძლიერად დავაკაკუნე.  
ვიღაცა გაბრაზებული ხმით შემეკითხა: რა გინდათო. გვარი  
უუთხარი და გადაუღებელ საქმეზე უნდა მოგელაპარაკოთ-



მეტქი. კარი ერთ-ერთმა მფრინავმა გამძლო, პიჯამო ეცვა. ოთახის ბოლოში მეორეც შევნიშნე.

— არ იცით, სად არის ელზა? იგი უკვალოდ გაქრა.

— მე რატომ უნდა ვიცოდე, სად არის? მერამდენიმე დღეა არ მინახავს, ყოველ შემთხვევაში იგი აქ არ არის, რაშიც თქვენ თვით შეგიძლიათ დარწმუნდეთ.

დამცინავი ღიმილით მან კარები ყურთამდე გააღო და დემონსტრაციულად განზე დადგა, რათა შემძლებოდა მთელი ოთახის დანახვა.

— როგორ ფიქრობთ, სად შეიძლება იყოს იგი?

ამ შეკითხვისას მას პირდაპირ თვალებში შევხედე. მფრინავმა თვალები ძირს დახარა, ჩემს გამოსხედვას გაუბრბოდა. მასში რაღაც მეტად უცნაური იყო, იგი იდგა და კარის სახელურს ატრიალებდა. ჩემი შეკითხვა მოულოდნელი იყო მისთვის, მაგრამ მალე ისევ პირქუში და მშვიდი გამომეტყველება მიიღო.

— ახლახან გითხარით, არ მინახავს თქვენი მდივანი უკვე მთელი კვირაა-მეტქი. თქვენ გჯერათ ჩემი?

რამდენიმე დღის წინ ეს ადამიანი მონურად მთხოვდა მიმეცა მისთვის რაიმე სამუშაო. ახლა მას არ ემჩნეოდა წინანდელი დამცირებულობის კვალიც კი. მფრინავმა მითხრა ყოველი სიტყვის ხაზბასმით, მე და ჩემი მეგობარი დავილაღეთ და ახლა დასაძინებლად ვწვებითო. სიტყვა არ მითქვამს, შემოვბრუნდი და გამოვედი. კარები ხმაურით მიჯახუნდა ჩემს უკან და გავიგონე, როგორ გადატრიალდა საკეტში გასაღები.

რა უნდა მექნა?

სტამბულში დავრეკე, ჩვენს საკონსულოში. და ვთხოვე დახვედროდნენ მატარებელს, რომელიც იქ ანკარიდან მეორე დილით უნდა ჩასულიყო. მივეცი ელისაბედის ზუსტი აღწერილობა. შესაძლოა, იგი მაინც იყო ამ მატარებელში, მაგრამ რაღაც გამოუცნობი მიზეზის გამო გადაწყვიტა დამშალა.

სინამდვილეში კი მისი საქციელის ახსნა და გამართლება არაფრით არ შეიძლებოდა.

შუალამისას ანკარიდან შემდეგი მატარებელი გავიდა. მაგრამ იგი სტამბულში კი არ მიღიოდა, არამედ ადანში. მე საგულდაგულოდ დავათვალიერე მატარებელი, შევიხედე ყოველ

კუბეში. ელისაბედის არაავითარი კვალი არ ჩანდა. შემდეგ თავში გამიელვა აზრმა, რომ, შესაძლოა, იგი ჯერ კიდევ ცოცხალია — და ანკარიდან ავტომობილით გავიდა იმ პირობით, რომ პირველსავე გაჩერებაზე ჩაჯდებოდა ამ მატარებელში, პირველი გაჩერება კი ანკარიდან ათი კილომეტრის დაშორებით იყო. ეს თუმცა ნაკლებსარწმუნო იყო, მაგრამ მე უკვე მოთმინება გამიწყდა.

სასწრაფოდ ჩავჯექი ჩემს მანქანაში და, მიუხედავად სიბნელისა, გამალებით გავაქროლე წინ, ვცდილობდი დავწეოდი მატარებელს. სადგურში მატარებლის გასვლამდე ერთი წუთით აღრე მოვედი. არც ერთი კაცი არ ასულა მატარებელში.

იმ ღამეს მეტი არაფრის გაკეთება აღარ შემეძლო. შინ ვიჯექი და ვფიქრობდი, სად შეიძლება ელისაბედი იყოს-მეთქი? ნუთუ ისეთივე გზა აირჩია, რაც სტამბულელმა დეზერტირებმა? მაშინ დიდი უსიამოვნება მელის, შესაძლოა, სიკვდილიც ან, ყოველ შემთხვევაში, საკონცენტრაციო ბანაკი მაინც.

მაგრამ მას, რასაკვირველია, არ შეეძლო ასეთი გზის არჩევა. ბოლოს და ბოლოს, იგი ხომ გერმანიის ერთ-ერთი საუკეთესო ოჯახის წარმომადგენელია. მამამისი სავსებით ღირსეული ადამიანი და პროფესიული დიპლომატია. არა, მე არ შემეძლო ამის დაჯერება. იქნებ, იგი კატასტროფაში მოხვდა. მაგრამ მისი ნივთები? ელისაბედმა ხომ თან წაიღო მთელი თავისი ნივთები. მას, რასაკვირველია, არ შეეძლო ამ ნივთებთან ერთად ბუდაპეშტამდე თვითმფრინავით მიეღწია. ეს კი, ალბათ, იმას უნდა ნიშნავდეს, რომ იგი უკან დაბრუნებას არ აპირებს. ამიტომ, როგორადაც არ ვცდილობდი, ვერაფრით ვერ მოვიშორე აზრი მისი დეზერტირობის შესახებ.

დილით აღრე ჩემმა მეუღლემ სავარძელში მძინარეს მომისწრო. იგი არასდროს არაფრის შესახებ არ მეკირხებოდა, რაც ჩემს სამსახურთან იყო დაკავშირებული. ამისათვის მისი ძლიერ მაღლიერი ვიყავი. მაგრამ იგი მატყობდა, რომ რაღაცაზე ვწუხდი.

მეორე დღეს, დილის რვა საათზე, ისევ წავედი ელისაბედის სახლში. მძიმე წინაგარძნობებით დატანჯული ნელ-ნელა ავედი კიბეებზე. ისე ღრმად ვიყავი ჩაფიქრებული, რომ ერთი სართულით მაღლა ავედი, ვიდრე საჭირო იყო, და ისე დაე-

რეკე, რომ კარებისათვის არ შემიხედავს. არავითარი პასუხი. ისევ დავრეკე. კარები მსუქანმა, ხანში შესულმა ქალმა გააღო. მან მითხრა, ბატონი შინ არ არისო.

— რომელი ბატონი? — ვკითხე მე.

მხოლოდ ახლა შევნიშნე კარებზე წარწერა. ეს ბინა ინგლისის საელჩოს უმცროს მდივანს ეკუთვნოდა. უსიამოვნო წინათგრძნობამ შემიპყრო.

ქვედა-სართულში ჩასვლისას თავს საცხებით გულგატეხილად ვგრძნობდი. ამჯერად მე ჩემთვის საჭირო ბინაში დავრეკე, მაგრამ გაგებით მხოლოდ ის გავიგე, რომ ელისაბედი არ დაბრუნებულაო.

მოგვიანებით დავურეკე თურქეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს უფროს მოხელეს. იგი მეგობრულად იყო განწყობილი ჩემდამი და ახლოს ვიცნობდი მას. ვთხოვე, ახლავე მიმიღეთ მეტად საჩქარო საქმეზე-მეთქი.

კომფორტაბელურ კაბინეტში ვეახლე და ვუამბე ელისაბედის გაუჩინარების შესახებ. თან მეტად ფრთხილად ვკითხე, თურქეთის ხელისუფლება ხომ არ დამეხმარება დაკარგული ქალიშვილის მოძებნაში-მეთქი. ფონ პაპენი, დავუმატე მე, ძლიერ წუხს, და არ უნდა, ეს საქმე გაზეთში მოხედეს-მეთქი. იგი დაფიქრდა და ცოტა ხნის შემდეგ მითხრა:

— საეჭვოა, რომ ეს უბედური შემთხვევა, ან თვითმკვლელობა იყოს. ასე რომ იყოს, მე უკვე მეცოდინებოდა. ვშიშობ, გაცილებით უფრო შესაძლებელია, რომ თქვენმა მდივანმა სტამბულში გერმანელი დეზერტირების მაგალითს მიჰბაძა. არსებითად, ამაში ეჭვიც კი არ უნდა შეგეპაროთ.

მან კარებამდე მიმაცილა და დაუმატა:

— თქვენი გულისათვის იმედი უნდა ვიქონიო, რომ მე ვცდები.

განყოფილებაში რომ დავბრუნდი, სტამბულიდან პასუხი დამხვდა. საკონსულოდან საიმედო პიროვნება გაეგზავნათ მატარებლის შესახვედრად, მაგრამ შიგ არავინ აღმოჩენილა თუნდაც ოდნავ რომ მიმსგავსებოდა ელისაბედის აღწერილობას.

ახლა არჩევნის დრო აღარ მქონდა. სასწრაფოდ უნდა მეც-

ნობეზინა ყველაფერი ბერლინისათვის. ასეთი სიძნელე მოხსენების შედგენისას არასდროს განმიცდია. ვწერდი, რომ ელისაბედი უგზო-უკვლოდ გაქრა და რომ ჯერჯერობით შეუძლებელია დადგენა, თვითმკვლელობაა ეს თუ უბედური შემთხვევა. მაგრამ არსებობს მისი ინგლისელებთან გადასვლის შესაძლებლობაც-მეთქი.

როდესაც ეს ცნობა გავგზავნე, ელისაბედის დეზერტირობა ახლა სულ უფრო და უფრო შესაძლებლად მეჩვენებოდა, დაბოლოს, დავიჯერე კიდევ, როგორც უტყუარი ფაქტი.

როგორც მოველოდი, ბერლინიდან წერილები წამოვიდა. ამასთან თითოეული შეიცავდა უამრავ შეკითხვას, რომლებზეც მეექვევებოდა, რომ მეპასუხა, თავისთავად ცხადია, რომ ყველა ამ შეკითხვაში იყო მკაცრი ბრძანება: რაღაც უნდა დაჯდეს, დადგინდეს დაკარგული ქალიშვილის ადგილსამყოფელიო.

უბედური შემთხვევის ან თვითმკვლელობის ვარაუდს ბერლინში მხარი არ დაუჭირეს და მე თვითონაც უკვე აღარ მწამდა ეს ამბავი.

რაღაც საშინელი კომმარული დღეები დამიდგა. საგონებელში ჩამავდო ელისაბედის მამის დუმილმაც — მას ხომ ჩემი წერილი რამდენიმე დღით ადრე უნდა მიეღო.

ელისაბედის გაუჩინარებიდან მეზუთე დღეს მივიღე მოწერილობა კალტენბრუნერის უწყებიდან. მიბრძანებდნენ დაუყოვნებლივ ჩამებარებინა ანგარიში ბერლინისათვის. საკუთრივ თვითმფრინავით უნდა გავფრენილიყავი 12 აპრილს, ჩაეჯექი ღამის მატარებელში, რომელიც სტამბულში მიდიოდა. თვითმფრინავი, რომლითაც მე ბერლინში უნდა გავფრენილიყავი, 14 აპრილს გადიოდა. წინასწარ ვგრძნობდი, რაც მომელოდა ბერლინში.

სტამბულში ჩამოსვლისას მანქანა ჩემს მეგობარს გამოვართვი და დღის დიდი ნაწილი ამ უზარმაზარი ქალაქის ქუჩებში უმიზნო ხეტიალში გავატარე. თუმცა ამის არავითარი საფუძველი არ მქონდა, მაგრამ მაინც ვიმედოვნებდი, ელისაბედი შეიძლებოდა სტამბულში ყოფილიყო და სრულიად შქმთხვევით შევხვედროდი მას. მაგრამ ეს არ მომხდარა.

გერმანიის საკურიერო თვითმფრინავი 13 აპრილს, დღით,

ჩამოტრინდა. მეორე დილით უნდა გავმგზავრებულიყავი ამ თვითმფრინავით.

საკონსულოში კორესპოდენციათა დახარისხება ხდებოდა. მე ვითხოვე .ნებართვა მენახა ისინი, რათა შემემოწმებინა, ხომ არ იყო წერილი ჩემს სახელზე.

ჩემს სახელზე ორი ახალი მოწერილობა იყო, ერთი კალტენ-ზრუნერისგან, მეორე კი საგარეო საქმეთა სამინისტროდან. ორივე მკაცრ საყვედურს შეიცავდა ელისაბედის გაუჩინარების გამო. ყველა ისინი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდნენ იმას, რომ ელისაბედი სოფიიდან ძირითადად ჩემი დაქინებულნი თხოვნით გადმოიყვანეს.

მე მოწერილობა ისევ ჩანთაში ჩავდევი და ჩანთის დაკეტვას ვაპირებდი, რომ უცებ შევნიშნე პატარა ყავისფერი კონვერტი, რომელიც ჩემს მისამართზე იყო. სასწრაფოდ გავხსენი იგი და კითხვა დავიწყე. წერილში საწერი ქალაქის ნაგლეჯზე ნაჩქარევად მხოლოდ რამდენიმე სტრიქონი იყო დაწერილი. როცა წავიკითხე, ხელები ამიკანკალდა.

წერილი იყო ჩემი მეგობრისგან, რომელიც საგარეო საქმეთა სამინისტროში მსახურობდა. იგი მატყობინებდა, როგორც კი გერმანიის მიწაზე დაადგამ ფეხს, ალბათ, მაშინვე დაგაპატიმრებენო, მაღალი თანამდებობის ზოგიერთ წრეებში ვარაუდობენ, თითქოს შენ აქეზებდი შენს მდივანს დეზერტირობისაკენ და დაეხმარე კიდევ გაქცევაშიო.

ნათელია, როგორი დასკვნების გამოტანა შეიძლებოდა ამ წერილიდან.

ოდნავი წარმოდგენაც არ მქონდა, რა უნდა მექნა. მეორე დილით გაფრინდა თვითმფრინავი ბერლინში. მე რომ ამ თვითმფრინავს გავყოლოდი, ბერლინში ჩავიდოდი თუ არა, მაშინვე ციხეში ჩამსვამდნენ ან საკონცენტრაციო ბანაკში გამგზავნიდნენ, ხოლო მოგვიანებით, შესაძლოა, დავეხვრიტეთ კიდეც. როგორ შემეძლო დამემტკიცებინა, რომ ელისაბედის დეზერტირობაში სრულიად უდანაშაულო ვიყავი. აქაც რომ დავრჩენილიყავი, ეს იქნებოდა ბრძანების პირდაპირი დაუმორჩილებლობა, და ბერლინი ამას მიიღებდა როგორც ჩემი დანაშაულის ცხად აღიარებას.

საათობით დავეხეტებოდი სტამბულის ქუჩებში. აქ არ მყავდა მეგობარი, რომლისთვისაც შემეძლო მიმემართა დახმარებისა და რჩევისათვის. ბოლოს, როგორც იქნა, მოვიფიქრე, როგორ გადამეჭრა ეს საკითხი დროებით, ან გადამეღო მაინც მისი გადაჭრა. იმავე დღეს, გვიან ღამით, ბერლინში დაშიფრული დეპეშა გავგზავნე, რომელშიც ვაცნობებდი უფროსობას, რომ ავად გავხდი და ექიმმა ამიკრძალა თვითმფრინავით მგზავრობა-მეთქი. შემდეგ ნაკუწ-ნაკუწად ვაქციე თვითმფრინავის ბილეთი.

საშინლად დაღლილი დავბრუნდი სასტუმროში და ხანგრძლივი ცივი შხაპი მივიღე, რათა გონება გამხსნოდა. უკვე წყალს ვკეტავდი, როდესაც ტელეფონმა დაიწკრიალა.

ყურმილი ავიღე. ხაზის მეორე ბოლოდან ვიღაც ინგლისურად შელაპარაკებოდა.

— მოგმართავთ ინგლისელების სახელით. თუ თქვენ ხვალ ბერლინში წახვალთ, აუცილებლად დაგხვრეტენ, ჩვენ გვსურს

მოგცეთ გადარჩენის საშუალება. გადმოდით ჩვენთან, ამით თქვენ იხსნით თქვენს, თქვენი მეუღლისა და ბავშვების სიცოცხლეს.

ყურმილი ჩამოვკიდე.

თუმცა გადაწყვეტილი მქონდა დავწოლილიყავ და დამეძინა, მაგრამ გადაწყვეტილება შეეცვალა და ტანთ ჩაეიცვი. ასეთ მდგომარეობაში ვერც შევძლებდი დაძინებას. ის იყო ფეხსაცმელებს ეიცვამდი, რომ ისევ დაიწკრიალა ტელეფონის ზარმა. ამჯერად სხვა ხმა იყო—ლაპარაკობდა გერმანულად, მაგრამ შესამჩნევი უცხოური აქცენტით.

—ის, რის გაკეთებასაც თქვენ აპირებთ,—უბრალოდ სიგიჟეა. ვიდრე გადაწყვეტილებას მიიღებდეთ, კარგად მოიფიქრეთ. ინგლისელები ადამიანები არიან. მობრძანდით საკონსულოში და განიხილეთ ეს საკითხი, მისტერ...

მოსაუბრემ დაასახელა გვარი, რომლის გაგონება ხშირად მიხდებოდა. მტერმა ჩემ მიმართ უფრო ადამიანურობა გამოიჩინა, ვიდრე ჩემმა ხელმძღვანელებმა. გერმანია ახლა ჩემთვის სიყვდილსა და ციხეს ნიშნავდა. ინგლისი კი... არა, არა. მე არაფერი მიპასუხია, ერთიანად ვკანკალებდი. ყურმილი ჩამოვკიდე. ხმა არ ამომიღია.

რამდენიმე წუთის შემდეგ ისევ დარეკა ტელეფონმა.

— გელაპარაკებით დოქტორ რ. ხომ გახსოვართ?

ეს იყო ჩემი თანამემამულე, ვენის მცხოვრები. მე არასდროს მისაუბრია მასთან, მაგრამ შეხვედრისას ჩვეულებრივ ვესალმებოდით ერთმანეთს.

— მომისმინეთ, — მითხრა მან, — ყურადღებით მომისმინეთ. მე აღჭურვილი ვარ უფლებით მოგცეთ კიდევ ერთი წინადადება, რათა გადავარჩინო თქვენი სიცოცხლე. შეგიძლიათ სასჯელის შიში არ იქონიოთ იმ საქციელისათვის, რომელიც თქვენ ჩაიდინეთ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას. ინგლისელებმა იციან, რომ თქვენ წესიერი ადამიანი ხართ და უბრალოდ ასრულებდით თქვენთვის მოცემულ მითითებებს. მე შემიძლია შეგხვდეთ დღეს და ზუსტად გადმოგცეთ ინგლისელების წინადადებები. დიდი ხანია მე მათთან ვმუშაობ. მაშასადამე, შეგხვდებით.

— არ შემიძლია ამის გაკეთება, — ვუპასუხე მე. — თუ არ ვილაპარაკებთ სხვა დანარჩენების შესახებ, არსებობენ პირადი ხასიათის მიზეზები, რომლებიც აფერხებენ ამას. ჩემი იაჯახის დიდი ნაწილი გერმანიაში იმყოფება. გარდა ამისა, გავიქცე ახლა, როდესაც გემი ჩაძირვას იწყებს... არა, მე არ შემიძლია ასე მოქცევა, ნუთუ თქვენ ეს არ გესმით?

— რასაკვირველია, მესმის. მაგრამ რა მოგელით მომავალში? რა მოელის თქვენს შვილებს? თქვენ მეტად აღარ გექნებათ ასეთი შესაძლებლობა. გარდა ამისა, როდესაც გერმანია წააგებს ომს, თქვენ შეიძლება პასუხისგებაში იქნეთ მიცემული მთელი რიგი საქმეებისათვის, თუ თქვენ დარჩებით მათთან, ვისთანაც ამჟამად იმყოფებით. ეს სრულიადაც არ არის მუქარა.

— მე არ შემიძლია ამის გაკეთება, დოქტორ. მესმის, რომ თქვენ სიკეთეს მისურვებთ. გმადლობთ.

ყურმილი დავდევი და ქვევით ჩავირბინე. ვესტიბიულში ორი თუ სამი კაცი იყო. მე მომეჩვენა, რომ მათ გაოცებით შემხედეს, როცა გვერდი ჩავუარე და გავემართე პატარა ოთახისაკენ, სადაც სასტუმროს კომპუტატორი იყო მოთავსებული.

— დასაძინებლად ვწვები და ამიტომ არ მსურს, ვინმემ დამირეკოს დღეს საღამოს, — უთხარი მე.

ათი ლირა ტელეფონისტი ქალის მახლობლად მდებარე სკამზე დავდე. მან თავი დამიქნია.

შემდეგ ჩემს ოთახში დავბრუნდი და უკვე ნახევრად გახდილი ვიყავი, როცა ისევ დაიწკრილა ტელეფონმა. როგორც ჩანს, მათ ჩემზე მეტი გადაუხადეს ტელეფონისტ ქალს.

თავდაპირველად არ მსურდა მეპასუხა, მაგრამ ტელეფონი განაგრძობდა რეკვას და, ბოლოს, მე ავიღე ყურმილი. ისევ ახალი ხმა იყო.

— თუ თქვენ ბერლინში გაემგზავრებით, დაიღუპებით. მოიფიქრეთ, ვიდრე ჭერ კიდევ გვიან არ არის...

ჯიბიდან დანა ამოვიღე და სატელეფონო ხაზი გადაეჭერი. რად ჩავიდინე ეს? არ მსურდა კიდევ მომესმინა, ვგრძნობდი, რომ წინააღმდეგობის უნარი აღარ მქონდა.

დაძინება უკვე აღარ შემეძლო. დამის ორ საათზე ვესტიბიულში ჩავედი, ვისარგებლე კარისკაცის ტელეფონით და



კოლს დავუტრეკე ანკარაში. ვუთხარი, ფრთხილად იყავი, არ გამოგჩრჩეს მხედველობიდან და სახლის ყველა კარი ყოველთვის მაგრად გქონდეს დაკეტილი-მეთქი. დაპირდი, რომ შემდეგ ყველაფერს ავუხსნიდი.

ეს კი გამოიწვია იმან, რომ უეცრად თავში უხიაგო აზრი მომივიდა: ხომ შეიძლება ვინმე ჩემი ბავშვების მოტაცებას შეეცადოს, იციან, რომ მე გავყვები მათ? ახლა ეს გიჟურ ვარაუდად მეჩვენება, მაგრამ მაშინ ხომ, მართლაც, გიჟური, უცნაური დრო იყო.

მეორე დილით გერმანიის საკურიერო თვითმფრინავი ბერლინში უჩემოდ გაფრინდა. მე სტამბულის სადგურში წავედი და ღამის მატარებელში, რომელიც ანკარაში მიდოდა, საწოლი ვაგონი მოვითხოვე. სალაროში მითხრეს, ამ მატარებელზე ყველა ბილეთი გაყიდულიაო. გადავიხადე ხუთჯერ უფრო მეტი და მივიღე ბილეთი საწოლ ვაგონში. იმავე ღამეს გავემგზავრე სტამბულიდან. ეს იყო აუტანელი მგზავრობა.

ანკარაში დაბრუნებისას გავიგე, რომ ჩემი მდივნის გაქცევა ყველასათვის ცნობილი იყო. მაგრამ არავინ იცოდა ნამდვილად, სად დაიშალა იგი. სრულიად მოულოდნელად, სიმაღლელე ციცერონისაგან გავიგე.

სტამბულიდან ჩამოსვლის მეორე დღეს ციცერონმა დამირეკა. მას დაუყონებლივ სურდა ჩემი წახვა. ჩემი მეგობრის ბინაში საღამოს ათ საათზე შევხვდით ერთმანეთს, აშკარა იყო, ციცერონი ძლიერ ღელავდა.

— თქვენი მდივანი ინგლისელებთანაა, — მაშინვე მითხრა მან.

მე თანხმობის ნიშნად თავი დავუქნიე, რადგან უკვე სავსებით დარწმუნებული ვიყავი ამაში. მან დაუმატა:

— იგი ჯერ ისევ ანკარაშია.

როგორც ციცერონი ვარაუდობდა, მაცნობა მისამართი, სად იმყოფებოდა ელისაბედი.

შემდეგ შემეკითხა:

— რა იცის მან ჩემს შესახებ?

მე მართლაც არ ვიცოდი, თუ სწორედ რა იყო მისთვის ცნობილი ციცერონის შესახებ.

მე შემეძლო მხოლოდ მევარაუდა. ხოლო, რასაც მე ვვარაუდობდი, არცთუ სასიამოვნო იყო. პატარა ჰაუზის შემდეგ ვუთხარი:

— მან იცის თქვენი პირობითი სახელი... შესაძლოა, კიდევ რაიმე.

ტახტის საზურგეს ჩაბლაუქებული და ფერმკრთალი, იგი თვალდაჰყეტილი მიყურებდა:

— თქვენ საესებით დარწმუნებული ხართ, რომ მას თან არ წაუღია არც ერთი ფოტოგრაფია, რომელიც თქვენ მოგიტანეთ?

— საესებით დარწმუნებული ვარ.

ამან ცოტათი დაამშვიდა ციცირონი. შემდეგ ვუთხარი მას:

— თქვენთვის საკირო იქნება, რაც შეიძლება სწრაფად გაემგზავროთ ანკარიდან.

მან არ მიპასუხა. ტახტზე იჯდა ჩვეულებრივად და უზაროდ იყურებოდა წინ. ბოლოს იგი წამოდგა.

— მე უნდა წავიდე.

იგი უმოძრაოდ იდგა ჩემ წინ. მისი დაძაბული სახის ყოველი ნაკვთი საშინელ მღელვარებას გამოხატავდა. მე შევაშინე, რომ მან ისევ დაიკვნიტა ფრჩხილები. ძნელი იყო გეცნოთ მასში ადამიანი, რომელიც სულ რამდენიმე კვირის წინ, ფირების გადმოცემისას, ტრაბახობდა თავისი სახითაო მუშაობით, თითქოსდა ეს იყო ბავშვური გართობა. დროდადრო იგი ცრუობდა ჩემთან. ახლა კი მეჩვენებოდა დამარცხებულ ადამიანად, რომელსაც არავითარი იმედი არ დარჩათავი დაეღწინა შექმნილი მდგომარეობიდან. მის მუქ თვალეზში გამოკრთა თავზარდაცემა.

— *Au revoir, monsieur!*, — მითხრა მან.

პირველად გავუწოდე მას ხელი. მან სუსტად ჩამომართვა, შემდეგ სწრაფად გავიდა სახლიდან და სიბნელეში გაუჩინარდა. მას შემდეგ არასდროს აღარ შევხვედრივარ.

რამდენიმე ხნის განმავლობაში მე არ დავდიოდი სამსა-

<sup>1</sup> ნახვამდის, ბატონო (ფრანგულად).

ზურში. როგორც უნდა იყოს, ოფიციალურად ვირიცხებო-  
დი ავადმყოფად და არ შემეძლო არსად გამგზავრება. რო-  
დესაც მომხდარის შესახებ ელჩს ვუამბე, ამასთან არ გამომი-  
ტოვებია არავითარი დეტალი, მან, ჩვეულებისამებრ, თანა-  
გრძნობა და ურთიერთგაგება გამოავლინა.

— ცოტა დაისვენეთ, — მითხრა მან, — თქვენ, რასაკვირვე-  
ლია, გჭირდებათ დასვენება. მეტად ცუდად გამოიყურებით.

მე უკვე ერთხელ შევიარე ჩემს განყოფილებაში. ანკა-  
რაში ჩემი დაბრუნების შემდეგ პირველ ყოვლისა ყველაზე  
საგულდაგულო სახით დავათვალიერე ჩემი სეიფი. ყველა-  
ფერი ადგილზე იყო. ერთადერთი, რისი გადაცემაც ელისა-  
ბედს შეეძლო ინგლისელებისათვის, — იყო, ცნობები, რო-  
მლებიც მას ჰქონდა, თუ, რასაკვირველია, ამასთან არ გადა-  
იღო რაიმე დოკუმენტების ასლი.

მე თავზარდაცემული ვიყავი ყოველივე იმით, რაც მოხდა.  
ზოლო სრულმა უმოქმედობამ ისე იმოქმედა ჩემზე, რომ  
მართლაც ავად გავხდი და რამდენიმე დღე ვიწეკი მაღალი  
ტემპერატურით. როდესაც საწოლიდან წამოვდექი, ჩემი  
სახე ძლიერ შეცვლილი მომეჩვენა. საფეთქელთან თმები  
გამიჭადარავდა.

ბერლინი დუმდა. მე მოვახსენე, რომ ელისაბედი ინგლი-  
სელებთან იმყოფება-მეთქი, მაგრამ არავითარი პასუხი არ  
მიმიღია მასზე. არავითარი აზრი არ იყო გამოთქმული ჩემი  
ბერლინში შეწყვეტილი მოგზაურობისა და არც ჩემი ავად-  
მყოფობის შეტყობინების შესახებ. დუმილი სულ უფრო  
ავის მომასწავებელი ხდებოდა.

მართლაც, მე ხომ დაეინებით მოვითხოვე და ჩემი გავი-  
ტანე თურქეთში ელისაბედის გადმოყვანისათვის, მაგრამ ვერ  
შევეძელი გათვალისწინება და გაფრთხილება მისი მოწინააღ-  
მდეგის ბანაკში გადასვლისა. მე ვფიქრობდი, რომ ეს იყო  
ჩემი მთავარი დანაშაული, თუმცა ამით სრულიადაც არ ამო-  
აწურებოდა ჩემი ცოდვები.

კარგ დამოკიდებულებაში ვიმყოფებოდი ორივე გერმან-  
ელ დეზერტირთან და ვიყავი მათი უღიმღამო განყოფილე-  
ბის უფროსის მეგობარი. თუ ყველაფერ ამას ერთად შევკ-  
რებთ, მაშინ მე მეტად არახელსაყრელი სახით წარვდგებოდი.

უფრო მეტი, მე არაერთხელ ვაწყენინე რიბენტრობს, — იგი თვით მეუბნებოდა ამის შესახებ.

მაგრამ ეს ჯერ ყველაფერი არ იყო. პირადი, ასევე პოლიტიკური მიზეზების გამო, მე ფონ პაპენის მხარეზე ვიყავი ყველა კამათსა და უთანხმოებაში სამინისტროს შიგნით. ამით, რასაკვირველია, არაფერს ვიგებდი არც კალტენბრუნერის და არც რიბენტროპის თვალში. ყველაზე ცუდი ის იყო, რომ მე ფონ პაპენს ვაჩვენე ციკერონის მიერ გადმოცემული დოკუმენტები და განზრახ დავარღვიე კალტენბრუნერის ბრძანება.

ამით, როგორც მე ვფიქრობდი, ამოიწურებოდა ჩემი ცოდვები. სხვა მხრივ მე წლიდან წლამდე პატიოსნად ვასრულებდი ჩემს მოვალეობას. მაგრამ კარგად მესმოდა, ბერლინში არ მიიღებენ ამას მხედველობაში და ჩემი დამსახურებანი, რასაკვირველია, აღიარებული იქნებიან სავსებით უმნიშვნელოდ, ჩემ მიერ ჩადენილ დანაშაულებებთან შედარებით.

ორი კვირის შემდეგ ისევ დავიწყე სამსახურში სიარული. ისეთი შეგარძნება მქონდა, თითქოს ყველა ექვით მიყურებდა. ასე იყო ეს თუ არა, მე წარმოდგენილი მქონდა, ჩემს ზურგს უკან ისევ ჩურჩულებენ ელისაბედის დეზერტირობის შესახებ, უხეშად ლაპარაკობენ ჩემთან, ანდა უბრალოდ, გამირბიან-მეთქი.

ერთხელ, როდესაც შინ მოვედი, ჩემმა მსახურმა ქალმა მითხრა, ორი ბატონი გელოდებათო. მე სასტუმრო ოთახში შევედი და დავინახე ჰანსი და ფრიცი.

ამ დროისათვის მათ უკვე შეწყვიტეს თავის გასაღება ორ გმირ მფრინავად, რომლებიც ტრაგიკული საჰაერო ბრძოლის შემდეგ პარაშუტით გადმოხტნენ შავ ზღვაზე, ახლა უკვე ცნობილი იყო, რომ ისინი დეზერტირები იყვნენ. ამის საბოლოო მტკიცება მიღებულ იქნა ბერლინიდან რამდენიმე დღის წინ. ისევე როგორც სხვა შეტყობინებათა უმრავლესობა ბერლინიდან, იგი ძლიერ გვიან მოვიდა.

მფრინავებს დრო ამაოდ არ დაუჟარგავთ და მაშინვე საქმეზე გადავიდნენ.

—ჩვენ თქვენთან ინგლისელების დავალებით მოვედით...

მე შევაჩერე ისინი, ვთხოვე სახლიდან გასვლა და ქუჩაში ეთქვათ ჩემთვის ის, რაც სურდათ. ქუჩაში გასვლის შემდეგ ერთ-ერთმა მათგანმა მითხრა:

— ინგლისის საელჩომ დაგვაუვალა, მათ მხარეზე გადასვლა შემოგთავაზოთ. თქვენ მათი შიში ნუ გექნებათ. მაგრამ თუ ისეთ სისულელეს ჩაიდნით, რომ უარყოფთ მათ წინადადებას, თავს გაუფრთხილდით.

მე ეჭვი არ მეპარებოდა, რომ პირდაპირი მუქარა, რომელსაც შეიცავდა უკანასკნელი ფრაზა, სრულიად არ შედიოდა მათს დავალებებში, როგორც ჩანს, მათ თვით მოიფიქრეს იგი. არაფერი მითქვამს, შემოვბრუნდი და შინ წავედი.

ერთხელ მე და ჩემი ცოლი იაპონიის საელჩოში ვიყავით სადილზე: დაახლოებით რვა საათზე ტელეფონით გამომიძახეს.

ლაპარაკობდა ჩემი მსახური ქალი. მან მთხოვა დაუყოვნებლივ სახლში მოდიო. ამის თქმისთანავე მან ყურმილი დადო და ვერ მოვასწარი შეკითხვის მიცემა, რაში იყო საქმე. მაშინვე ბავშვების შესახებ გავიფიქრე. მისი ხმის მიხედვით, რაღაც საშინელება უნდა მომხდარიყო.

არ მითქვამს არაფერი, არც ცოლისა და არც მასპინძლებისათვის, ჩემს ავტომობილში ჩაჯექი და სახლისკენ გავემგზავრე, მანქანა თავბრუდამხვევი სისწრაფით მიმყავდა.

ოთხ-ოთხი საფეხურის გამოტოვებით კიბეებიდან პირდაპირ საბავშვო ოთახში შევირბინე. ბავშვებს მშვიდად ეძინათ. შუბლი მოვიწმინდე და ქვევით ჩავედი, სასტუმრო ოთახში. ვიდრე მსახურ ქალს ვკითხავდი რამეს, სოდიანი ვისკი მინდოდა დამეღია. ჩემდა გასაოცრად, სასტუმროში ისევ ენთო სინათლე და დივანზე იჯდა კაცი, რომელსაც მე დიდი ხანია ვიცნობდი.

— ბოდიშს ვიხდი, რომ ასეთ დროს მოვედი თქვენთან. — მითხრა მან. — მაგრამ დაყოვნება არაფრით არ შეიძლება. ჩვენ ვიცით, რომ ბერლინში თქვენ აღარ ითვლებით „პერსონა გრატად“<sup>1</sup>. თქვენ გეძლევათ თავის გადარჩენის უკანასკნე-

<sup>1</sup> პერსონა გრატა (ლათ.)—დღობით აღჭურვილი პირი, სასურველი პიროვნება.

ლი შესაძლებლობა. მე ვიცი, რომ უკვე შემოგთავაზეს ასეთი წინადადებები, მაგრამ თქვენ უარი თქვით მათზე. მე გთხოვთ არა დეზერტირობას, არამედ უბრალოდ შეხვდეთ ინგლისის საელჩოს ერთ-ერთ თანამშრომელს და მოელაპარაკოთ მას. ეს თქვენ არაფერს გავალდებულებთ. ინგლისელები გთვლიან კარგ და საიმედო მუშაკად. რასაკვირველია, თქვენ გესმით, რომ გერმანიამ ფაქტიურად წააგო ომი.

მე დიდი ხანია ვიცნობდი ამ ადამიანს, მაგრამ მცირე წარმოდგენაც არ მქონდა, რომ იგი უკვე მტრის მხარეზე იყო, ნუთუ უნდა გავეჩქე ჩემს თანამემამულეებს დასჯის შიშით. დანაშაულისათვის, რომელიც მე არასოდეს ჩამიდენია? მთელი ძალ-ლონით ვცდილობდი დამერწმუნებინა ჩემი დაუპატრეებელი სტუმარი, თუმცა მზადა ვარ გავაკეთო ყველაფერი შესაძლებელი ამ საშინელი ომის დამთავრებისათვის, მაგრამ მაინც არასდროს დავთანხმდები დეზერტირობაზე-მეთქი.

ამას საკმაოდ დიდხანს ვუხსნიდი, რადგან ერთხელ და სამუდამოდ მსურდა დამერწმუნებინა ინგლისელები, რომ ისინი ტყუილუბრალოდ კარგავდნენ დროს ჩემს გადაბირებაზე. შესაძლოა, ვფიქრობდი მე, მათ შეწყვიტონ ეს ცდები, თუ საკმაოდ ნათლად გადავცემდი მათ ჩემს თვალსაზრისს. როდესაც ლაპარაკი დავამთავრე, ინგლისელთა მოციქული წამოლდა.

— მე მესმის თქვენი, — თქვა მან. — და მაინც ვისურვებდი დამერწმუნებინეთ, რომ თქვენი გადაწყვეტილება შეგეცვალათ. ვხედავ, რომ არ შემიძლია ამის გაკეთება, დი, გულახდილად რომ ვთქვა, ეს კიდევ მომწონს.

ეს იყო ინგლისელების უკანასკნელი ცდა დავერწმუნებინე, დავთანხმებულისავე მათ მიერ შეთავაზებულ გამოსავალზე ჩემს სრულიად უიმედო მდგომარეობიდან.

ჩემთვის ადვილი არ იყო გამეძლო ცდუნებისათვის და არ მიმელო მათი წინადადება. ამაზე ჩემი უკანასკნელი ძალ-ლონის დახარჯვა მომიხდა. ამიტომ იყო, რომ მომდევნო დარტყმამ უფრო მძიმედ იმოქმედა ჩემზე.

ერთხელ, დილით, სამსახურში წასვლისას, ფოსტალიონს შეეხვდი. იგი იშვიათად მოდიოდა ჩემთან სახლში, რადგანაც მთელი ჩემი კორესპონდენცია საელჩოში მიდიოდა, მაგრამ ამ-

ჯერად მან ჩემი სახლის მისამართზე გამოგზავნილი წერილი გადმომცა. კონვერტი მაშინვე გავხსენი. მასში იღო ოთხადღეკეცილი თეთრი ქაღალდის ერთი ფურცელი. არ იყო არც გამოგზავნის მისამართი, არც მისი ხელმოწერა, იყო მხოლოდ მანქანაზე გერმანულად დაბეჭდილი ერთი სტრიქონი:

„ინგლისის საელჩოში ყველაფერი ცნობილია ციციერონის შესახებ“.

დიღხანს ვიმტვრევდი თავს ამ წერილზე. ეს იყო ჩემი მეგობრის მიერ გამოგზავნილი გაფრთხილება, თუ მტრის დაცინვა? მე არ მქონდა სულ მცირე წარმოდგენაც იმისა, თუ ვისგან მომდინარეობდა იგი. კონვერტზე ანკარის საფოსტო შტამპი იღო. მე გამაოცა ერთმა დეტალმა: ტექსტის ერთადერთ სტრიქონში ორი გრამატიკული შეცდომა იყო.

იმავე დღეს ბერლინიდან მოვიდა დიპლომატიური ფოსტა. არ გასულა ერთი საათიც კი, რომ მივიღე ანონიმური წერილი, ხოლო ხელში უკვე მეჭირა სხვა, რომლის შინაარსი არანაკლებ შემაშფოთებელი იყო.

„გაცნობებთ, რომ დაიწყო გამოძიება იმ მიზნით, რათა დადგინდეს თქვენი ბრალდულობა, რომ ნაპრილს მტრის მხარეზე დეზერტირობისას დახმარება გაუწიეთ თქვენს მდივანს“.

აი ესეც, სამშობლოს მადლობა!

მე შინ წავედი, ანგარიშს არ ვაძლევდი თავს, თუ რას ვაკეთებდი. ჩემი ნაბიჯების რითმზე თავისთავად მეორდებოდა სიტყვების რითმი, რომლებიც თავში მიტრიალებდნენ:

„გაცნობებთ, რომ დაიწყო გამოძიება იმ მიზნით, რათა დადგინდეს...“

ჩემი ბავშვები ბალში თამაშობდნენ. ცოლი ქალაქში საყიდლებზე წასულიყო.

მანქანაში ჩავჯექი და ანკარის გარეუბნებისაკენ წავედი. უფრო შორს და უფრო შორს მივდიოდი დაუსრულებლივ. პირდაპირ გზატკეცილზე. მხოლოდ ამ იდუმალ სოფლურ მივარდნილ ადგილზე შეეძლო ხალხისაგან დევნილ ადამიანს მოეპოვებინა მშვიდობა და სიმშვიდე.

არ ვიცი, რამდენ საათს გაგრძელდა უმიზნო მგზავრობა,

და ცოლსა და ბაეშეებზე ფიქრებმა, ბოლოს და ბოლოს, მაიძულა უკან დავბრუნებულიყავი. მთელი პასუხისმგებლობა მე დამაწვა, მხოლოდ მე და საბოლოო ანგარიშში იგი უფრო მნიშვნელოვანი იყო, ვიდრე ყოველგვარი სხვა რამ. მოგონებამ ახლობლების შესახებ მაიძულა მეფიქრა, შესაძლოა, ეს ჯერ კიდევ დასასრული არ არის-მეთქი. მე, რომ უფრო შორსმკვრეტელი ვყოფილიყავი, შესაძლოა, მივმხვდარიყავი, რომ ეს მხოლოდ დასაწყისი იყო.



ამით მთავრდება ოპერაცია „ციცერონი“. ომი მალე თავის საბოლოო სტადიაში შევიდა, რომელიც ჩვეულებისამებრ პოლიტიკური გადატრიალებებით მთავრდება. უკანასკნელი გრანდიოზული შეტევის დაწყებით აღმოსავლეთსა და დასავლეთში გაქრა მოლაპარაკებების გზით მშვიდობის მიღწევის ყოველგვარი იმედი. ციცერონს რომ განეგრძო ჩვენთვის მასალების მოტანა, საეკვოა, რომ მას რაიმე მნიშვნელობა ჰქონოდა გერმანიისათვის — გერმანელ ხელმძღვანელებს რომ სცოდნოდათ კიდევ, თუ როგორ გამოეყენებინათ ისინი, ეს კი მათ არ იცოდნენ. 1944 წლის ბოლოსათვის დაკარგულ იქნა დიპლომატიური და პოლიტიკური მაქინაციების უკანასკნელი იმედი, რომელთა შესახებ მე ოდესღაც ვეუბნებოდი ელისაბედს.

შესაძლოა, მკითხველისათვის საინტერესოა გაიგოს, თუ რა შეემთხვა ამ მოთხრობის მთავარ მოქმედ პირებს.

ჩემი ორქოფული მდგომარეობა დამთავრდა თურქეთსა და გერმანიას შორის დიპლომატიური ურთიერთობის გაწყვეტით. 1944 წლის მაისში, ესე იგი მალე იმ მოვლენათა შემდეგ, რომელთა შესახებ ლაპარაკი გვქონდა წინა თავში, თურქებმა ხელშეკრულება დადეს მოკავშირეებთან და რამდენიმე თვის შემდეგ დიპლომატიური ურთიერთობა თურქეთსა და გერმანიას შორის გაწყვეტილ იქნა. ამ თვეებში სხვადასხვა საბაბით ვაქიანურებდი ჩემს დაბრუნებას გერმანიაში, თუმცა დიდი ხანია ნაბრძანები მქონდა დაბრუნება.

მაისიდან აგვისტომდე გერმანიის სხვა ოფიციალურ პირებთან ერთად ჩაბმული ვიყავი ჯერ კიდევ იქ მყოფი საკმაოდ დიდი გერმანული კოლონიის ევაკუაციის საქმეში. გერმანიაში უნდა გაგზავნილიყო ორი ათასზე მეტი კაცი, მათ რიცხვში

ბერი ქალი და ბავშვი. თურქებმა გამოგვიცხადეს, ყველანი აგვისტოს ბოლომდე უნდა გაემგზავრონ, წინააღმდეგ შემთხვევაში ინტერნირებული იქნებიან როგორც მტრული ქვეყნის ქვეშევრდომებიო. მაგრამ ჩვენ თითქმის ყველანი სამშობლოში გავგზავნეთ.

გერმანიის ელჩი 1944 წლის 5 აგვისტოს გაემგზავრა, თვის ბოლომდე ნავარაუდები იყო სამი სპეციალური მატარებლის გაგზავნა, რომლითაც უნდა გაემგზავრებულიყო ყველა დარჩენილი გერმანელი.

მე სრულიადაც არ მინდოდა გერმანიაში დაბრუნება და ამიტომ ისე მოვაწყვე საქმე, რომ უკანასკნელი მატარებლით უნდა წავსულიყავი. მაგრამ ეს მატარებელი საერთოდ არ გასულა ანკარიდან. წითელმა არმიამ, რომელიც შეტევას აწარმოებდა ბალკანეთიდან, უკვე გადაჭრა სარკინიგზო ხაზი სადღაც სოფიასა და ბელგრადს შორის.

ამრიგად, 31 აგვისტოს მე და ჩემი ოჯახი ინტერნირებული ვიყავით ანკარაში საელჩოს სხვა დარჩენილ თანამშრომლებთან და გერმანიის კოლონიის წევრებთან ერთად. ჩვენ არ გავგზავნეს საკონცენტრაციო ბანაკში — უბრალოდ საელჩოს ტერიტორიაზე დავრჩით. ერთადერთი ცვლილება მდგომარეობდა იმაში, რომ სახლს რამდენიმე რიგი ეკლიანი მავთული შემოარტყეს, რომლის წინ და უკან გუშაგები დადიოდნენ.

ეს ინტერნირება დროებითი იყო, ვიდრე არ გამონახავდნენ გერმანიაში ჩვენი გაგზავნის შესაძლებლობას. ჩვენ ველოდით, რომ ჯერ კიდევ წლის დასასრულამდე გავგზავნიდნენ შვეციის ხომალდით, რომლისთვისაც მოკავშირე ფლოტს უნდა უზრუნველყო თავისუფალი გზა და დიპლომატიური ხელშეუხებლობა. მაგრამ მე ისევ ბედმა გამიღიმა. 1945 წლის აპრილის ბოლომდე შვედებმა ვერ შეძლეს ამ გემის მოცემა. ამ დროისათვის ჰიტლერი უკვე ცოცხალი აღარ იყო, ხოლო მესამე რაიხი უკანასკნელ დღეებს ითვლიდა.

რამონი მე ხნის შემდეგ მე და რამდენიმე სხვა გერმანელი დიპლომატი სტამბულში გემზე მოვთავსდით.

როდესაც ჩვენ გიბრალტარს მივალწიეთ, ომი კიდევ დამთავრდა. რამდენადაც მეტად აღარ არსებობდა. გერმანიის

მთავრობა, აღარ იყო ასევე გერმანიის დიპლომატიური სამსახურიც. ჩვენ დავკარგეთ ჩვენი დიპლომატიური ხელშეუხებლობა. ზოგიერთი ჩვენთაგანი ცოტა ხნით ადრე ინტერნირებულ იქნა ინგლისელების მიერ ჯერ ინგლისში, მოგვიანებით კი — გერმანიაში, ოკუპაციის ინგლისურ ზონაში.

დაკითხვის შემდეგ გამათავისუფლეს და უკან, ჩემს მშობლიურ ქალაქ ვენაში, გამგზავნეს. აქ მე შევხვდი ცოლს და ბავშვებს, რომლებმაც რამდენიმე ხანი შვეციაში დაჰყვეს. როდესაც ნიურბერგის პროცესი მიმდინარეობდა, მე ერთი ორჯერ გამომიძახეს სასამართლოში ჩვენების მისაცემად. ჩემს წინააღმდეგ არ იყო წამოყენებული არავითარი ბრალდება. სიხარულით შემიძლია ვთქვა, რომ მშვიდობიან ცხოვრებას პატიოსანი სახელით დაეუბრუნდი. ახლა მე ვცხოვრობ ინსბრუკის მახლობლად, ავსტრიის ტიროლში, პატარა დაბაში, სადაც ერთ-ერთი საფეიქრო ფირმის ექსპორტის უფროსად ვმუშაობ.

რიბენტროპს და კალტენბრუნერს ნიურბერგში სიკვდილით დასჯა მიუსაჯეს და ჩამოახრჩვეს. ფონ პაპენი, რომელიც ასევე ბრალდებულთა შორის იყო ამ ცნობილ პროცესზე, მთლიანად გაამართლეს. ახლა იგი დასავლეთ გერმანიაში ცხოვრობს.

არ ვიცი, როგორი ბედი ეწია ქალიშვილს, რომელსაც მე ელისაბედს ვუწოდებდი. მე ვნახე იგი ერთხელ, მაგრამ ვერ შევძელი მასთან საუბარი. ეს მოხდა უკვე იმ საბედისწერო დღის, 6 აპრილის, შემდეგ, ხოლო გავიდა ცოტაოდენი დრო და იგი თურქეთიდან გაემგზავრა — უმჯობესი იყო ეს მისთვის თუ უფრო ცუდი, ძნელი სათქმელია. იგი თითქოს მიწამ ჩაყლაპა და აქამდე თვით მის ოჯახს არ აქვს წარმოდგენა, სად ცხოვრობს, არ იციან, ცოცხალია თუ არა.

მე არ ვიცი, როგორ გამოიყურება იგი ამჟამად. ელისაბედი, რომელიც ჩემთან მუშაობდა, იყო გრძელთმიანი ქერა ქალი, ტიპური გოეთეს გრეტჰენი. მე გავიგე, რომ ქალიშვილს, რომელიც მაშინ თურქეთიდან გაემგზავრა, ჰქონდა მოკლე შავი თმა, ეცვა ჩინებული ამერიკული ტანსაცმელი და იგი ლაზათიანად იღებავდა თმას. როგორც ამბობდნენ, ელეგანტურ ახალგაზრდა ამერიკელ ქალს ჰგავდაო.

ციცერონიც თითქოსდა მიწამ ჩაყლაპა. მალე ჩვენი უკანასკნელი შეხვედრის შემდეგ იგი ინგლისის საელჩოში აღარავის უნახავს.

ჩემგან მან სამასი ათასი გირვანქა სტერლინგი მიიღო, ესე იგი მილიონ დოლარზე მეტი იმდროინდელი სავალუტო კურსის მიხედვით. ეს ფული მას გადაეცა დასტადასტად, რომელიც შედგებოდა ათი, ოცი და ორმოცდაათგირვანქიანი საკრედიტო ბილეთებისაგან. მას შემდეგ, რაც ოპერაცია „ციცერონი“ დამთავრდა, გავიგე, რომ თითქმის ყველა ისინი ყალბი იყო. მგონია, საგარეო საქმეთა სამინისტროდან გამოგზავნილი მხოლოდ პირველი შეეკრა შეიცავდა ნამდვილ ფულს; მაგრამ ეჭვი არ მეპარება, რომ გერმანიის სადაზვერვო სამსახურის მიერ გამოგზავნილი ორასი ათასი გირვანქა სტერლინგი გაკეთებული იყო გერმანიაში, ისე როგორც ჩემოდანიც, რომლითაც ისინი ჩამოტანილ იქნა ანკარაში კალტენბრუნერის სამმართველოდან. უდავოა, რომ მისგან მიღებული ფულის შემდგომი პარტიები ასევე ყალბი იყო. ყალბისმქნელობა დიდი ხნით ადრე აღმოვაჩინე, ხოლო დადასტურდა იგი ომის შემდეგ. კალტენბრუნერის ხალხი ისე ოსტატურად აკეთებდა ყალბ ფულს, რომ თვით ბანკის მმართველები წამოეგნენ ანკესზე. ჩვენი მმართველი სტამბულში არ იყო ერთადერთი ადამიანი, რომელიც მოტყუებდა, და მხოლოდ ინგლისის ბანკის ექსპერტებმა საბოლოოდ დაადგინეს, ფული ყალბიაო.

ამრიგად, ციცერონმა შეძლო გაქცევა, თან წაიღო მთელი თავისი ფული, რომელიც ერთიანად შემდეგ თანხას შეადგენდა: ოცდათხუთმეტი ათასი გირვანქა სტერლინგი, ოცი ათასი დოლარი და ორი ათასი გირვანქა სტერლინგის ბრილიანტი — რასაკვირველია, ნაკლები, ვიდრე მან დახარჯა ანკარაში აბტე-შუმის პერანგებსა და მაჯის საათში. მთლიანად, ციცერონს დაახლოებით ორმოცი ათასი გირვანქა სტერლინგი ჰქონდა. მართალია, ეს საკმაოდ მნიშვნელოვანი თანხა იყო, მაგრამ იგი იმ ფულის ერთ მეთათღზე ცოტათი მეტი იყო, რომელიც მისი ვარაუდით, მან გამოიმუშავა. რამდენადაც ციცერონმა ჩვენ საბოლოო ანგარიშით გადმოგვცა დაახლოებით ოთხასი

ფოტოსურათი, გამოდიოდა, რომ მას უხდიდნენ დაახლოებით ას დოლარს თითოეულ დოკუმენტში. თუ გავითვალისწინებთ იმ უზარმაზარ რისკს, რომელსაც იგი სწევდა, ეს არ იყო მეტად გულუხვი გასამრჯელო.

ახლა ჩემთვის ნათელია, რატომ გადაიხადა ბერლინმა უყოყმანოდ ათი ათასი გირვანქა სტერლინგი ინგლისის საელჩოს წერილმან დანახარჯებში. არსებითად, მათ იყიდეს არაფრის ფასის მქონე ფოტოფირის კოჭი არაფრად ღირებული ქალაქის ფურცლებით.

ახლა, როცა მრავალი წლით ვარ დაცილებული იმ მღელვარე დროს და შეიძლება გაცილებით მშვიდად მოვიგონოთ ეს ამბები, მე ვხედავ რალაც ბედის დაცივნას და კიდევ თავისებური სახის სიმბოლოს იმაში, რომ ციცერონისათვის გადახდილი მთელი ფული ყალბი იყო.

ყველაფრის შესახებ უკვე ვთქვი და ბოლოს შეკითხვის მიცემის დროა, როგორ მოეკიდნენ მესამე რაიხის ხელმძღვანელები ინგლისის ელჩის სეიფიდან მოტაცებულ საიდუმლო მასალებს?

გადახდილ იქნა ფულის ყველაზე დიდი თანხა, რომელიც ოდესმე იხსენიებოდა ჯაშუშობის ისტორიაში. მართალია, იგი გადაიხადეს მეტად მნიშვნელოვან დოკუმენტებში, რომლებიც იძლეოდნენ ყველაზე ახალ მონაცემებს მოწინააღმდეგის საიდუმლო გეგმების შესახებ, მაგრამ გადახდილი ფული ყალბი იყო, ხოლო მიღებული მონაცემები არასდროს არ ყოფილა გამოყენებული.

ჩემი აზრით, ამაში მდგომარეობს „ციცერონის“ ყველაზე მნიშვნელოვანი მომენტი ისტორიული თვალსაზრისით. საბოლოო ანგარიშით, ყველაფერი, რაც გაიგეს გერმანიის ხელმძღვანელებმა ამ დოკუმენტებიდან, ეს იყო მხოლოდ ერთადერთი რამ: მათ უნდა წაეგოთ ომი!

ეს იყო ომის კრიტიკული პერიოდი, მისი შემობრუნების მომენტი, მისი დასასრულის დასაწყისი. ციცერონის მასალების შესწავლისას გერმანიის ლიდერებს შეეძლოთ გაეგოთ და, შესაძლოა, მართლაც მიხვდნენ, რომ მოკავშირეები გაცილებით ძლიერნი იყვნენ მათზე, მაგრამ მათ არ სურდათ ამ არასასიამოვნო ფაქტის აღიარება.

იმ დღეებში მიამიტურად მწამდა, რომ გერმანიის ხელმძღვანელები ჩემსავით აშკარად დაინახავდნენ დოკუმენტებში იმას, თუ რა უნდა მომხდარიყო, და, მაშასადამე, იმასაც, თუ რა შეადგენდა მათ მოვალეობას. ეს ამომწურავი დაზუსტებული მონაცემები, როგორც მე მაშინ ვიმედოვნებდი, აიძულებდნენ მათ გაეგოთ, რომ გერმანიის წინაშე იდგა არა ძველი ალტერნატივა — გამარჯვება ან დამარცხება, არამედ ახალი — დამარცხება ან სრული განადგურება. მეგონა ამისი შეცნობით ისინი შესაფერისად იმოქმედებდნენ. მე მათ პატრიოტებად ვთვლიდი.

ახლა, რასაკვირველია, ვხედავ, თუ რა საშინლად ვცდებოდი. ახლა ჩემთვის გასაგებია, რომ რიბენტროპსა და დანარჩენებს არ შეეძლოთ პირდაპირ შეეხედათ სახეში სიმართლისთვის, რადგან იცოდნენ დალუპვა ელოდათ. მოკავშირეები რომ არასდროს დაიწყებდნენ მათთან მოლაპარაკებას ზავის შესახებ — ეს მათ მშვენივრად იცოდნენ. ამრიგად, თავისი ქვეყნისა და მთელი მსოფლიოს უამრავი ტანჯვის ფასად, მათ გადაწყვიტეს არაფრად ჩაეგდოთ ის არასასიამოვნო ფაქტები, რომლებიც მათ ციცერონმა წინ გადაუშალა.

აი რა იყო ციცერონის დოკუმენტებისადმი ბერლინის ეკვის ნამდვილი მიზეზი, რომელიც მაშინაც კი გრძელდებოდა, როდესაც ციცერონის ცნობათა უტყუარობა ნამდვილად იქნა დადგენილი. ისინი სარწმუნოდ მიიჩნევდნენ მხოლოდ იმ ცნობებს, რომელთა მონაცემები მათთვის სასურველი იყო. მე ძალიან კარგად მახსოვს, როგორ ტკბებოდნენ ისინი ჩერჩილის სერიოზული ავადმყოფობის თითოეული წვრილმანით. ჩერჩილი სიკვდილის სარეცელზეა, ეს ის არის, რაც სასიამოვნოა მოისმინოს ფიურერმა, ესე იგი აბსოლუტური სიმართლეა. ამავე დროს ისინი თავს არიდებდნენ გაცილებით უფრო მნიშვნელოვან, თუმცა ნაკლებ სასიამოვნო ცნობებს, რომლებსაც შეიცავდნენ დოკუმენტები, თითქოსდა, მ.თ. არ გააჩნდათ არავითარი მნიშვნელობა, ანდა, რაც უფრო სულელური იყო, თითქოსდა, ეს ცნობები შემოგზავნილი იყო ფრით ინგლისელების მიერ.

რიბენტროპი ციცერონის მიერ მოტანილ დოკუმენტებში

განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა აღმოსავლეთ და დასავლეთ მოკავშირეებს შორის განხეთქილების ანდა უბრალო გაუგებრობის შემცველ დადასტურებას, სწორედ ეს შეესაბამებოდა მის თეორიას. რიბენტროპს არასდროს გადაუდგამს არც ერთი დიპლომატიური ნაბიჯი, რათა გამოეყენებინა ეს დოკუმენტები მოლაპარაკების გზით. აღმოსავლეთ ფრონტზე ზავის დადებისათვის.

სურვილის უქონლობა — შეეხებათ სინამდვილისათვის პირდაპირ სახეში, უუნარობა — გაეგოთ, თუ რა ხდება მსოფლიოში, — აი რა იყო ნაცისტი ლიდერების უდიდესი უგუნურება. მათი დამოკიდებულება „ციცერონის“ მიმართ ამ უგუნურების ტიპური მაგალითი იყო. მსოფლიოს, რომელიც საკმარის დაზარალებული იყო მათი დანაშაულებრივი მოღვაწეობისგან, შემდგომ აურაცხელ ტანჯვად ექცა ეს, რის შედეგებსაც აქამდე განიცდის მილიონობით უდანაშაულო ადამიანი.

მაშინდელი გერმანიის ხელმძღვანელები არ იყვნენ ნამდვილი პოლიტიკური მოღვაწეები. უცნაური დამთხვევაა, მაგრამ იმ ცნობებისათვის, რომელთა გამოყენება ამ ადამიანებმა ვერ შეძლეს, ყალბი ფული გადაიხადეს.





ე. ბ ა ზ ნ ა

# მე ვიყავი სიბერონი

ჩაწერილია პ. ნოგლის მიერ



## როგორ ღაიწერა ეს წიგნი

მან ტელეფონით საკმაოდ ცუდ ინგლისურ ენაზე მითხრა, ელიას ბაზნა მქვიაო, მე სტამბულელი საქმოსანი გახლავართ — მეორე მსოფლიო ომის დროინდელი ცნობილი ჯაშუში, ციცერონიო. ჩვენ შევთანხმდით, მიუნხენის სასტუმრო „ფირ იარესტეიტენში“ შევხვედროდით ერთმანეთს.

სასტუმროს ვესტიბიულში შესვლისას დავინახე ხანდაზმული, მელოტი, მსუქანი, ტანმორჩილი ადამიანი, ფიქრიანი თვალები ჰქონდა. იგი გასასვლელისაკენ მიმავალ ქალიშვილს გასცქეროდა.

„მიუნხენში ბევრი ლამაზი ქალიშვილია“, — მომმართა მან (ამჯერად ფრანგულ ენაზე).

თავდაპირველად სხვადასხვა ამბებზე ვილაპარაკეთ, ეს საქმეს არ შეეხებოდა. როგორც გავიგე, ბაზნას მოსწონდა სასტუმროს ვესტიბიულში ჯდომა და მის ბინადართა ყურება. შემდეგ შევეკითხე, ნამდვილად სწორედ ის ციცერონი ხართ-მეთქი?

ბაზნა სავარძელში, გაშხლართული იჯდა, დროდადრო აქეთ-იქით უდარდელად იყურებოდა, მაგრამ როდესაც ჩემი შეკითხვა მოისმინა, თვალები გაუბრწყინდა, გასწორდა და გამგმირავი შხერით გადმომხედა. აშკარად აღაშფოთა ჩემმა უნდობლობამ. მხოლოდ მისი თვალების მოძრაობით, მაშინ და მოგვიანებითაც, შეგეძლოთ შეგეცნოთ მასში საშიში ადამიანი.

მაგიდაზე ჩვეულებრივი, მოწაფის მწვანე რვეული დადო.

— ეს ჩემი ცხოვრებაა, — გამომწვევად და გადაჭრით ჩილაპარაკა მან, თითქოს უარყოფდა ჩემს სკეპტიციზმს.

მე შევნიშნე, ადამიანი არასდროს ცრუობს და არ ალამაზებს სიმართლეს, როდესაც მოგვითხრობს თავისი ცხოვრების გზას-მეთქი. პასუხად მწვავე გამოხედვა მომაპყრო. მერე მისი სახის გამომეტყველება მოულოდნელად შეიცვალა და გულდიად გამიღიმა. ახლა ჩემ წინ იდგა გონებამახვილი თანამოსაუბრე, რომელიც ესწრაფოდა მხოლოდ ერთს: სარფიანად მოეკვარახქინებინა საქმე. მან ღიმილით შენიშნა:

— თქვენ უფუოდ მართალი ხართ. ამ რვეულში ჩემი თავი გმირად და პატრიოტადაც კი გამოვიყვანე, — მან თვალი ჩამიკრა, — და, როგორც ყოველ ადამიანს, მეტად დიდი წარმოდგენა მაქვს საკუთარ თავზე.

მან მთელი თავისი განზრახვა და გულისნადები გამომიძულა და არ უფიქრია რაიმეს დამალვა. ამ ადამიანის აღსარებაში დავინახე გულწრფელი პატივმოყვარეობა, რაღაც იდუმალი შიში და ახირებული მისწრაფება უქმად ყოფნისა და ფუფუნებისადმი.

მე ვკითხე, მრავალი წლის ღუმილის შემდეგ რატომ გადაწყვიტა თავისი დღიურის გაყიდვა:

— ფული მჭირდება, — მიპასუხა მან. — მე მსურს აღძვრა საქმე გფრ მთავრობის წინააღმდეგ. გერმანიას ჩემი ფული მართებს. გერმანიის რაიხმა უსინდისოდ მომატყუა. მსურს ფეოდალური მთავრობისაგან მივიღო კომპენსაცია იმ ყალბი ფულისათვის, რასაც მაძლევდნენ გერმანელები მათთან ჯაშუშობის დროს.

(თუ ის ნამდვილად შეეცდებოდა მიიღოს კომპენსაცია იმ ყალბი ინგლისური ბანკის ბილეთებში, რომლებიც ეძლეოდა მას გასამრჩელოს სახით გერმანიის სასარგებლოდ ჯაშუშობისათვის. ეს საქმე უსასრულოდ გაგრძელდება მისი ჭიუტობის გამო. მაგრამ ამას მოგვიანებით შევეხებით).

მას აშკარად ღალატობდა მეხსიერება. ეს ადვილი ასახსნელია. ვინაიდან მისი თავგადასავლის შემდეგ ხომ ჩვიდმეტი წელი გავიდა. მაგრამ იგი ყოველთვის მზად იყო ეკარნახა, სად შეიძლებოდა აუცილებელი ცნობის მიღება, რათა

შევსებულიყო ესა თუ ის ხარვეზი. ორმა ჟურნალისტმა — მიუნხენელმა ჰანს შვარცმა და პოლივუდელმა ტომას ბეილმა — მთელი თვეები მოანდომეს ყველაფერი იმის შემოწმებას და დაზუსტებას, რაც ბაზნამ გვიამბო. მესამე ჟურნალისტმა — მიუნხენელმა ჰერბერტ კაუფოლდმა — შეამოწმა მისი მოგონებიდან ის მომენტები, რომლებშიც მას რამდენადმე ეჭვი ეპარებოდა აღწერილ მოვლენათა ხანდაზმულობის გამო.

დაბოლოს, უკანასკნელი დეტალი, რომელიც დამტკიცებას მოითხოვდა, — ეს იყო ალიბი ადამიანისა, რომელმაც თავი ციცერონად გაგვაცნო. ამ მიზნით მივმართეთ ბატონ მოიზიშს, რომელთანაც დაკავშირებული იყო ბაზნა. ამჟამად მოიზიში ინსბრუკში ცხოვრობს. პირდაპირ შეხვედრა მოეწყო. ეს იყო რაღაც უცნაური შეხვედრა, ცივი და ფორმალური. ამ უჩვეულო საქმის პარტნიორებს ბევრი რამ შეეძლოთ ეთქვათ ერთმანეთისათვის. და მაინც ბატონი მოიზიში წარმოადგენდა ჯაჭვის რგოლს, რომელიც აკლდა ამ ამბავს. მან დაადასტურა, ელიას ბაზნა ნამდვილად არის მთელ მსოფლიოში გახმაურებული ციცერონიო.

მიუნხენი, 1962 წლის თებერვალი  
ჰანს ნოგლი

„დეილი ექსპრესი“, 1950 წლის 30 იანვარი.

„ბელგიურ გაზეთში მოთხრობილია გასაოცარი ამბავი იმის შესახებ, რომ 1943 წელს გერმანელებმა მოიპოვეს მოკავშირეთა მეტად მნიშვნელოვანი სამხედრო საიდუმლოებანი, გადაუხადეს რა 300 000 გირვანქა სტერლინგი თურქეთში ინგლისის ელჩის სერ ჰიუ ნეტჩბულ-ჰიუგესენის კამერდინერს. ასე გაიგეს გერმანელებმა მოსკოვისა და კასაბლანკის კონფერენციების გადაწყვეტილებანი მოკავშირეთა ბომბდამშენების მასობრივი თავდასხმებისა და ევროპაში მოკავშირეთა ჯარების შეჭრის გეგმათა შესახებ. გერმანელები ასევე დაეუფლნენ ინგლისის დიპლომატიური კოდის გასაღებს“.

ღიას, ყველაფერი სწორედ ასე იყო. და ადამიანი, რომელმაც მიყიდა ეს ინფორმაცია გერმანელებს, ვიყავი მე, ელიას ბაზნა.

ინგლისელები ყრველნაირად ცდილობდნენ მიეჩქმალათ ჩემი მოღვაწეობა, მაგრამ მათ ვერ შექლეს ფაქტების უარყოფა.

პარლამენტის სხდომის ოქმის ჩანაწერი — „ხენსარდი“ 478.2023-4 (1950 წლის 18 ოქტომბერი).

„მისტერ შეპერდმა საგარეო საქმეთა მინისტრს მიმართა შეკითხვით იმ ცნო-

ბის გამო, რომ სრულიად საიდუმლო დოკუმენტები, იმ დოკუმენტთა ჩათვლით, რომელიც ეხებოდა ოპერაცია „ოვერლორდს“, მოპარულ იქნა თურქეთში ჩვენი საელჩოდან და გადაეცათ გერმანელებს. მისტერ შეპერდმა იკითხა, ჩატარებულ იქნა თუ არა ამ საქმის გამოძიება, როგორია მისი შედეგები და რა ზომები იქნა მიღებული იმისათვის, რომ თავიდან იქნეს აცილებული მსგავს შემთხვევათა განმეორებაო.

მისტერ ბევინმა უპასუხა, ფაქტიურად არავითარი დოკუმენტი არ მოუპარავთ ომის დროს მისი უდიდებულესობის საელჩოდანო. მაგრამ საქმის გამოძიებამ გვიჩვენა, რომ ელჩის კამერდინერმა საელჩოში რამდენიმე განსაკუთრებული მნიშვნელობის დოკუმენტი გადაიღო. იგი ვერ შეძლებდა ამის გაკეთებას, რომ ელჩს დაეცვა საიდუმლო დოკუმენტების შენახვის არსებული წესები. ამ შემთხვევის შემდეგ ყველას, ვისაც ეს ეხებოდა, გაეგზავნა ახალი ინსტრუქციები და მიღებულ იქნა სხვა ზომები მსგავს შემთხვევათა განმეორების თავიდან ასაცილებლადო.

მისტერ შეპერდმა შენიშნა, ამ საკითხის შესახებ წიგნში! გამოქვეყნებულმა განცხადებამ დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია ჩვენს საზოგადოებაშიო. და თუ გეგნება, რომელიც ეხებოდა ოპერაცია „ოვერლორდს“, ფაქტიურად არ მოუპარავთ, მაშინ ასეთ შემთხვევაში რატომ საგარეო

---

1 მისტერ შეპერდი ეხება 1950 წელს ლონდონში გამოცემულ ლ. მოიზის წიგნს—„ოპერაცია ციკერონი“.

ჯაქმეთა სამინისტრომ არ გამოაქვეყნა ამ განცხადების უარყოფაო.

მისტერ ბევეინმა ისევ აღნიშნა, დოკუმენტები მოპარული არ ყოფილა, ისინი გადაიღესო, ხოლო ეს საბოლოო ანგარიშით ერთი და იგივეა“.

რასაკვირველია, ეს ერთი და იგივეა, და სწორედ ამის წყალობით 300 000 გირვანქა სტერლინგის ღირებულების ბანკის ბილეთები საგულდაგულოდ აღმოჩნდა გაშლილი ჩემს ოთახში ხალიჩის ქვეშ, ანკარაში, ინგლისის საელჩოს შენობაში. ყოველთვის, მათზე ფეხის დაბიჯებისას, ნიშნის მოგების გრძობა მეუფლებოდა და განვაგრძობდი ინგლისის ელჩის სერ ჰიუ ნეტჩბულ-ჰიუგესენის ერთგული მსახურის როლის თამაშს.

მე ხანგრძლივი გზის გავლა მომიხდა, ვიდრე ეს ფული ჩემს ხელში აღმოჩნდებოდა. მამაჩემი, ჰაფის იაზარი, ისლამის მასწავლებელი და ორი ნაჰერი მიწის პატრონი, ღვთისმოსავი და ღვთისმოშიში ადამიანი იყო. „შენ მეტისმეტად დიდ იმედს ამყარებ შენ ბედზეო“, — ყოველთვის მეუბნებოდა იგი, როდესაც ჩემი ბედ-იღბალზე წუხდა.

ჩვენი გვართ ძალზე ვამაყობდი, პაპაჩემის დიდების ანარეკლის შუქით ვცხოვრობდით, რომლის შესახებ მამაჩემს უყვარდა თხრობა. ოტომანთა იმპერიის დროს პაპაჩემი ფაშა იყო და ცნობილი გახლდათ როგორც ტაჰირ-ფაშა მამაცი. ახლა ეს სასაცილოდ უღერს, მაგრამ იმ დროს მისი სახელი პატივითა და მოწონებით წარმოითქმებოდა.

პრისტინიდან (მე იქ დავიბადე), რომელიც ბელგრადიდან ორას ოცდახუთი კილომეტრის მანძილზე მდებარეობს, სკოპლესკენ მიმართული ახლანდელი ავტომაგისტრალით გადავედით სალონიკში. სადაც ქემალ ათათურქის დაბადების ადგილის მახლობლად ვცხოვრობდით. ჩემი ბიძა, გენერალ-მაიორი ქემალი, ათათურქთან ერთად იბრძოდა.

მოგვიანებით სტამბულში გადავედით. ოტომანთა იმპერია კნინდებოდა და ამიტომ დროდადრო გვიხდებოდა საცხოვრებელი ადგილის შეცვლა.



პრისტინი იუგოსლავიის ხელში გადავიდა, ხოლო სალონიკი — საბერძნეთისა. ყოველი ასეთი გადასვლის შემდეგ მამა კარგავდა ფულსაც და ქონებასაც. მას შეეძლო მეურნეობის მართვა, მაგრამ არ შეეძლო ფულის დაგროვება. იგი ისლამის მასწავლებელი იყო და არა საქმოსანი.

— რატომ არ უმჯობესდება ჩვენი ცხოვრება? — დროდადრო ვეკითხებოდი მას.

— გარეგანი კეთილდღეობა — ეს არის. ყველაზე მთავარი ცხოვრებაში, — ჩვეულებრივ მიპასუხებდა იგი.

მე ამას ვიღებდი როგორც დრომოკმული შეხედულებების მქონე მოხუცი ადამიანის აზრს.

მე ფატიხის სამხედრო სკოლაში გამგზავნეს, სადაც ცნობილი გვარის მოზარდთა შორის აღმოვჩნდი. რასაკვირველია, აქ მე თეთრი ყვავი ვიყავი. რამდენიმე ხნის შემდეგ მამაჩემს ჩემი უკან წაყვანის წინადადება მისცეს.

ბევრ ჩემს ყოფილი სკოლის ამხანაგს ახლა თურქეთში ხელმძღვანელი თანამდებობები უჭირავს. ჩემი ძმა გერმანიაში სწავლობდა, ჩემმა სამმა ბიძაშვილმა მალალ მდგომარეობას მიაღწია ფინანსურ სამყაროში, ხოლო ანკარის ახლანდელი მერი ჩემი ნათესავია.

არც იმდროინდელი ვითარება, არც ჩემი ოჯახი დამნაშავე არ არის, რომ ამ გზით წავედო, მე თვით გადავუხვიე წინასწარ დასახულ გზას.

პირველი მსოფლიო ომის შემდეგ თურქეთი იტალიის, საფრანგეთისა და ინგლისის ჯარებმა დაიკავეს. მუშაობა საფრანგეთის სატრანსპორტო ნაწილში დავიწყე, ვისწავლე მანქანის ტარება და მალე შოფრობამ გამიტაცა.

ერთხელ, როგორღაც, სატვირთო მანქანა თბრილში ჩამივარდა და დაიმტვრა. ამან სამუშაო დამაკარგვინა ფრანგებთან. მაშინ ინგლისელებთან ქირით სამუშაოდ დავდექი, ინგლისელი კაპიტნის ტარება დავიწყე. საჭესთან ჩემს თანატოლებზე მალლა ვგრძნობდი თავს, რომლებიც სტუდენტები იყვნენ ანდა რაიმე ხელობას სწავლობდნენ.

ერთხელ ფრანგმა ოფიცერმა თავისი მფრთხილველი ჩვენს სახლთან დატოვა. განა ინგლისელები და ფრანგები არ

იყენენ თურქეთის მტრები? განა მათთან ანგარიშის გასწორება არ იყო საქმეური? მოტოციკლეტს მოვახტი და ქალაქში, როგორც სულელმა, ისე გავაქროლე. უცებ ისეთ ქუჩაზე აღმოვჩნდი, რომელიც ციცაბოდ ეშვებოდა ქვევით და როგორც სტამბულის ბევრი ქუჩა, მოულოდნელად თავდებოდა საფეხურებითა და ჩიხით. რამდენჯერმე გადავბრუნდი, სულმთლად დავამტვრიე მოტოციკლეთი და მხოლოდ სასწაულით გადავრჩი, თუმცა მთლიანად დაჩეხილი და გასისხლიანებული ვიყავი. ასეთ მდგომარეობაში ამიყვანა თურქმა პოლიციელმა, რომელმაც გადამცა ფრანგებს, ხოლო მათ თავის მხრივ ინგლისელებს, რომლებთანაც მაშინ ვმუშაობდი. მაგრად მცემეს, შემდეგ კი სამხედრო ციხეში მიკრეს თავი.

ციხეში ჩემი ქედუხრელობის გამო ისევ მცემდნენ, მაგრამ განა ნამდვილად ასე ძლიერ მძულდა ინგლისელები და ფრანგები? სინამდვილეში ეს მხოლოდ მეჩვენებოდა, მე მძულდა არა ისინი, არამედ მათი წესრიგი და დისციპლინა. ერთხელ სერჟანტმა ზევით წამიყვანა და მიბრძანა იატაკის მორეცხვა. მე წავართვი მას პისტოლეთი, ვაიძულე კარი გაეღო და გავიქეცი.

საათზე ნაკლები დროის შემდეგ ისევ დამიჭირეს, ამჯერად ფრანგებმა, რომლებმაც ბაზნალის რაიონის საჟანდარმო უბანში მომიყვანეს. ღამით საპირფარეოში წაყვანა მოვიტხოვე. იქიდან კი ფანჯრიდან ქუჩაში გადავხტი და გავიქეცი. დღისით სტამბულის მიდამოებში ვიხეტიალე, თავს მემამოხედ ვთვლიდი, თუმცა სინამდვილეში ცხრამეტი წლის ტრახანა და წესრიგის დამრღვევი ჰაბტუკი ვიყავი. ენიკაპის რკინიგზის სადგურის ბაქანზე დახლზე მძინარე ჯარისკაცი დავინახე. ბუდიდან რევოლვერი ამოვაცალე და მეორე დღეს ისევ დამაპატიმრეს.

დანაშაულთა სია იზრდებოდა. ქურდობა, სამხედრო ქონების დამტვრევა, შეიარაღებული გაქცევა ციხიდან, იარაღის უკანონო შენახვა... ჩემს საქმეში უკვე მაშინ იყო მითითებული, საშიში და გამოუსწორებელი დამნაშავე არისო.

ცალკე კამერაში ჩამსვეს და ბორკილები დამადგეს. კიდევ ვამაყობდი ამით.

საფრანგეთის სამხედრო-საველე სასამართლომ სამი წლის პატიმრობა მომისაჯა. მარსელში გადამიყვანეს და გამგზავნეს ბანაკში, სადაც კატორღელები მუშაობდნენ. იქ შვევისწავლე ფრანგული ენა, რისთვისაც შემდგომში ინგლისის ელჩის ქება დავიმსახურე.

ინგლისმა და საფრანგეთმა თურქეთის ახალ მთავრობასთან დადო ხელშეკრულება, რომელშიც იყო მუხლი, მათ მიერ გასამართლებულ თურქეთის მოქალაქეებს რომ ეხებოდა. ამის წყალობით ვადაზე ადრე გამათავისუფლეს.

მარსელში სავაჭრო-სატრანსპორტო ფირმის სახელოსნოში სამუშაოზე მოვეწყვე. იქ, პირველად ჩემს ცხოვრებაში, ვისწავლე რაღაც სასარგებლო საზეინკლო საქმე.

იმ დროს თურქეთში კვალიფიციური მუშების დიდი მოთხოვნილება იყო და მე ბედმა გამიღიმა, სამუშაო მივიღე სტამბულის მუნიციპალიტეტის სატრანსპორტო განყოფილებაში. შემდეგ გავხდი სახანძრო რაზმის უფროსი და (სულელი) კიდევ ვამაყობდი ამით. მალე სამხედრო სამსახურში გამიწვიეს და არმიის პირველი თურქული ჯგუფის ინსპექტორის ალი საით ფაშის მძღოლად დავიწყე მუშაობა.

შემდეგ გადავწყვიტე დამოუკიდებელი ვყოფილიყავი. ერთი თუ ორი წარმატებითი საქმე და მამისგან ვალის სახით გამორთმეულმა ფულმა ძველი „სტუდენტეკერის“ ყიდვის უფლება მომცა, და საკუთარი ტაქსის მძღოლი გავხდი. მაგრამ ამ წამოწყებიდან არაფერი გამოვიდა და მოხარული ვიყავი, როდესაც იუგოსლავიის ელჩმა იანკოვიჩმა პირად მძღოლად ამიყვანა.

ასე გავხდი ის, რაღაც ხდება ყოველი ადამიანი, რომელმაც ვერაფერი ისწავლა და არაფერი აქვს, გარდა თავისა, — ესაა ყავასი. მაშასადამე, ყავასი ელიას ბაზნა. თურქეთში ყოველ კაცს, რომელიც უცხოელთან მსახურობს, ყავასი ქვია, ელჩის პირადი ყავასი მისი კამერდინერია. არიან ყავასეები, რომლებიც ალაგებენ ბინებს, ყავასი-მეკარვეები, ყავასი-მძღოლები და ყავასი-შიკრიკები. ყავასი — ეს არის არავინ და არაფერი, და ეს ყოველთვის იწვევდა ჩემს გულისწყრომას.

ვიყავი ყავასად იანკოვიჩთან, ამერიკის საელჩოს პოლკო-  
ვნიკ კლასთან, გერმანიის საელჩოს მრჩეველთან, ენკესთან,  
ინგლისის საელჩოს პირველ მრჩეველთან, მისტერ ბასკთან და,  
ბოლოს, სერ ჰიუ ნეტჩბულ-ჰიუგესენთან.

განა ისინი მართალნი არ იყვნენ, როდესაც გაურკვეველი  
წარმოშობის უმნიშვნელო ადამიანად მთვლიდნენ?

მახსოვს, ამ შეკითხვას ვაძლევედი ჩემს თავს 1943 წლის  
აპრილში, როდესაც სასტუმრო „ანკარა პალასის“ ვესტიბი-  
ულში ვიჯექი. იგი მოძველებული მაგიდებითა და მოუხერ-  
ხებელი სავარძლებით იყო მოწყობილი: ფეხქვეშ იატაკი საში-  
ნლად ჭრაჭუნებდა და მაინც ეს სასტუმრო საუკეთესო იყო  
ქალაქში. აქ ჩემთვის დასვენების ყველაზე საუკეთესო ადგი-  
ლი გახლდათ. თავისუფალ საათებში ვუკვეთავდი შავ ყავასა  
და ლიქიორს. ვკითხულობდი უცხოურ გაზეთებს. ოფიციალ-  
ტები ისე მეპყრობოდნენ, როგორც ჯენტლმენს.

ის, რასაც შეიძლება უწოდო ჩემი ცხოვრების გარდატე-  
ხის მომენტი, მოხდა სწორედ ამ ვესტიბიულში. ამ დღეს ანა-  
ლიზი გაუუკეთე მთელ ჩემს ცხოვრებას, და ამ ფიქრებიდან  
საკმარად უსიამოვნო გრძნობა დამრჩა. ოცდათვრამეტი წლისა  
ვიყავი. რა მომელოდა მე — ყავასის შემდგომი მოსაწყენი,  
უგუნური ცხოვრება!

მწარე მოგონებებით დატვირთულს ხელში გაზეთი მეჭირა,  
მაგრამ ვერაფრით შევძელი გულისყური მომეკრიბა, რომ  
გამეგო, რას ეხებოდა გაზეთში დაბეჭდილი სტატია, მივხვდი.  
რომ ნამდვილი ცხოვრებიდან გარიყული ვიყავი და ვცდი-  
ლობდი თავის მოტყუებას. თავს სულ ახალ და ახალ შეკი-  
თხვებს ვაძლევედი და პასუხები მაიძულებდნენ უფრო მეტად  
შემძულებოდა თავი.

რატომ გავხდი ყავასი? იმიტომ, რომ შემეძლო მხოლოდ  
მანქანებთან ფუსფუსი. როდესაც იუგოსლავიის ელჩ იან-  
კოვიჩთან მძლოლად ვმუშაობდი, ჯერ კიდევ მქონდა იმედის  
სხივი, მაგრამ ისიც გაქრა. იანკოვიჩი ბევრს სვამდა. როდე-  
საც თვრებოდა, მეგობრულად მექცეოდა. „ელიას, — მე-  
ტყოდა ის, — გავიგონე, როგორ მღეროდი, როდესაც მანქანას  
რეცხავდი. შენ მშვენიერი ხმა გაქვს. შენ უნდა ისწავლო

სიმღერა“. მართლაც, მუსიკაში მეცადინეობა დავიწყე. მუსიკა ჩემი ნუგეში გახდა.

ცოლი შევირთე. მიყვარდა ცოლი? მე მაჰმადიანი ვარ და აღვიზარდე ძველი ტრადიციების შესაბამისად, რომელსაც ჯერ ისევ პატივს ცემენ ჩვენთან, პროვინციაში. თურქული ადათ-წესების მიხედვით, ქალმა უნდა იმუშაოს და ბავშვები შობოს, ესაა მისი ერთადერთი მოწოდება. მე გულგრილი ვიყავი ცოლისადმი, მაგრამ მიყვარდა ბავშვები და ხშირად თვითონ ვუღებდი მათ სურათებს. როგორღაც ერთი ფოტოსურათი იანკოვიჩის ფაჩვენე. მან შემაქო. რასაკვირველია, ძაშინ არ ვიცოდი, რომ კარგი ფოტოგადაღების უნარი თითქმის ჩემი დიდი ხნის ოცნების განხორციელების საშუალება გახდებოდა.

იუგოსლავიის ელჩთან შვიდი წელიწადი ვიმუშავე. ერთდროულად ვსწავლობდი სიმღერას, ვოცნებობდი გავმხდარიყავი ცნობილი მომღერალი და წინანდებურად გატაცებული ვიყავი ფოტოგადაღებით.

როდესაც მომეჩვენა, რომ უკვე დიდ წარმატებებს მივაღწიე სწავლაში და დადგა დრო აუდიტორიის წინაშე გამოსვლისა, სამუშაოს თავი დავანებე. მაგრამ ჩემი კონცერტი სტამბულის ფრანგულ კლუბში სრული მარცხით დამთავრდა. დიდი ევროპელი კომპოზიტორების სიმღერებმა ვერ მოახდინეს შთაბეჭდილება ჩემს თანამემამულეებზე.

და ისევ ყავასი გავხდი. ამჯერად ამერიკის სამხედრო ატაშეს პოლკოვნიკ კლაასისა. ამან უფლება მომცა გავცნობოდი დიპლომატიური კორპუსის სხვადასხვა მხარეს. სწორედ აქ მასწავლეს, თუ როგორ უნდა იარო სრიალა პარკეტზე. კლაასი კარგი მეოჯახე იყო. მისი ცოლი, ახალგაზრდი და ლამაზი ქალი, პოკერს თამაშობდა და მეზღეობას მისდევდა. ჩემთან მას თავი უბრალოდ ეჭირა, მისთვის მხოლოდ ყავასი ვიყავი. შეშინებულმა ინტიმური გრძნობებით, რომელიც, რასაკვირველია, კლაასის ცოლისადმი იყო მიმართული, და რომ ერთ მშვენიერ დღეს შეიძლება სამუშაო დამეკარგა, გადავწყვიტე თვითონ წავსულიყავი იქიდან.

მალე გერმანიის საელჩოს მრჩეველ ენკეს სახლში მო-

ვეწყვე. მისი ცოლი რიბენტროპის და იყო. ბატონ ენკეს პირად რეზიდენციაში მე 1942—1943 წლებში ვმუშაობდი. სინდისის ყოველგვარი ქენჯნის გარეშე ფარულად დავინტერესდი პატრონის პირადი და სამსახურებრივი მიმოწერით. ხოლო თუ ერთხელ ჩაყავი ცხვირი სხვის საქმეში,—ეს გატაცებად გექცევა. გადავიღე ერთი თუ ორი წერილის ფოტოსურათი მხოლოდ იმ მიზნით, რომ მეტრაბახა ცოლის წინაშე, მეჩვენებინა მისთვის, რაოდენ თავისუფლად ვგრძნობდი თავს ენკეთა სახლში. ამავე მიზნით გადავიღე სურათი ენკეს შინ არყოფნისას დივანზე გაზეთით ხელში. ცოლს ეს ფოტოსურათი რომ ვუჩვენე, ვუთხარი, ასეთივე სასტუმრო ოთახი მინდა გვექონდეს-მეთქი.

ერთხელ შევამჩნიე, რომ ჩემს ჩემოდანში ყველაფერი გადაბრუნებული იყო, თითქოს შიგ რაღაცას ეძებდნენ. შესაძლოა, აღმოაჩინეს, რომ ფარულად ვკითხულობდი პატრონის მიმოწერას და ჯაშუშად ჩამთვალეს.

მალე ბატონმა ენკემ მითხრა, სამწუხაროდ, უნდა გაგათავისუფლოთ: აღარ მაქვს პირადი მსახურის ყოლის საშუალებაო.

ამასთან იგი მეტად თავაზიანი იყო. სული დამიმძიმდა: როგორც ჩანს, ჯაშუშად მიმიღეს. განა ჩემს სამუშაოს კეთილსინდისიერად არ ვასრულებდი? როდესაც ენკესთან მივედი, 76 კილოგრამს ვიწონიდი, ხოლო როცა გამათავისუფლეს, მხოლოდ 64 კილოგრამი ვიყავი.

ერთხელ, 1943 წლის აპრილში, ნაშუადღევს, სასტუმრო „ანკარა პალასის“ ვესტიბიულში ჩემს ცხოვრებას ვაჩამებდი. მე ვიყავი ადამიანი, რომელსაც შეუძლია მხოლოდ სხვათა ბრძანებებს შესრულება. ადამიანი, რომელიც რეცხავდა მანქანებს, აწოდებდა კოკტეილს, ამზადებდა აბაჯანას მიმზიდველი ქალებისათვის, კითხულობდა პატრონის მიმოწერას და შეიძლებოდა მოულოდნელად გაეთავისუფლებინათ, არცთუ ისე სანუგეშო სურათია.

მაგრამ, ალბათ, ასე დაბლა რომ არ დავშვებულებიყავი, ჩემი ცხოვრება არაფრით არ შეიცვლებოდა. მოულოდნელად მთელი ამ ბნელეთის სიღრმიდან ელვისებურად გაივლია ნათელმა აზრმა.

ამ აზრმა მწარე ფიქრებიდან გამომიყვანა. რატომ არ უნდა განხორციელდეს ჩემი უხიაგი აზრები? რატომ ეჭვობდნენ გერმანელები ჩემზე? იმიტომ, რომ ანკარა იყო ის ნეიტრალური იდგილი, სადაც დიდი მტრული სახელმწიფოების წარმომადგენლები ერთმანეთის გვერდით ცხოვრობდნენ, განუწყვეტლივ თვალყურს ადევნებდნენ ერთმანეთს.

რატომ არ უნდა გავხდე-მეთქი ჯაშუში? ეს აზრი არ გამომდიოდა თავიდან. გადავწყვიტე, უდიდესი ჯაშუში გავმხდარიყავი. ვიგრძენი, რომ მე შეეუმჩნეველ, გულჩათხრობილ და მომთმენ ყავასს — ამისათვის ყველა აუცილებელი თვისება მომეპოვებოდა.

ბედი თვით მიჩვენებდა გზას. ერთხელ გახეთქი ვიპოვე რაღაც, რასაც წინაბთ არ ვაქცევდი ყურადღებას. ეს იყო განცხადება, ინგლისის საელჩოს პირველ მდივანს მძლოლი ესაჭიროებო.

სასტუმრო „ანკარა პალასის“ ვესტიბიულიდან ძლიერ აღელვებული გამოვედი.

ჩემი რეკომენდაციების საგულდაგულო გადასინჯვის შემდეგ ამოვარჩიე ორი — იუგოსლავიის ელჩისა და ამერიკის სამხედრო ატაშესი. ბრწყინვალე რეკომენდაცია, რომელიც გერმანიის საელჩოს მრჩეველმა მომცა, გადავწყვიტე არ წამეღო. ომის დროს იგი ინგლისელებს, უთუოდ, საეჭვოდ მოეჩვენებოდათ.

სახლი, რომელიც მოხსენიებული იყო განცხადებაში, მდებარეობდა საელჩოს ტერიტორიაზე, კანკაის. ბორცვებიან რაიონში და დიდ ლამაზ ბაღში იყო ჩაფლული. გამოსასვლელისაკენ ვიწრო ბილიკი ეშვებოდა, გვერდზე იდგა „შევროლე“ — ინგლისის საელჩოს ნომრით. მანქანის უკანა დასაჯდომზე პორტფელი იდო დოკუმენტებით: ინგლისის საელჩოს პირველი მდივანი, ალბათ, უდარდელი ადამიანი იყო. ზარი დავრეკე.

მსახურმა ქალმა ოთახში შემეყვანა, სადაც დიდხდნს მომიხდა ლოდინი. სერ დუგლას ბასკი ამჟამად ინგლისის ელჩია ვენესუელაში. როდესაც იგი ანკარაში პირველი მდივანი იყო, ჯერ არ ჰქონდა მინიჭებული რაინდის წოდება.

როდესაც მისტერ ბასკი ოთახში შემოვიდა, მოწიწებითა წამოვდექი. ეს იყო მაღალი და, როგორც მომეჩვენა, საკმაოდ თავაზიანი ადამიანი. მან ცივი, შემფასებელი მზერით გადმომხედა.

— მაშასადამე, თქვენ გსურთ ეს სამუშაო?

— დიახ, მუსიე, — ფრანგულად ვუპასუხე.

— თქვენ არ ლაპარაკობთ ინგლისურად?

— კკითხულობ და გვარიანად მესმის.

ამის შემდეგ იგი ჩემთან ფრანგულად ლაპარაკობდა.

— თქვენ იცით რომელიმე სხვა ენები? — მკითხა ბასკმა და მანიშნა დაჯდომა, მაგრამ მოვიცადე, ვიდრე იგი არ დაჯდა. მე ვუპასუხე, გარდა თურქულისა და ფრანგულისა, შემძღვლია ლაპარაკი სერბიულ-ხორვატულად, ცოტაოდენ, ბერძნულად და გერმანულად-მეთქი.

რეკომენდაციები?

მას, როგორც ჩანს, მეტად მოკლე ლაპარაკი უყვარდა. ისეთი ადამიანი გახლდათ, რომელთანაც ადვილად შემეძლო წახიზებება, რასაკვირველია, რომ შემძლუბოდა ჩემი თავისაზრვის ამის უფლება მიმეცა.

უსიტყვოდ გავუწოდე ჩემი რეკომენდაციები.

— სად მოახერხეთ ასე ჩინებულად ფრანგული ენის სწავლა?

მე ვუამბე, რომ ჯერ კიდევ, როდესაც ყმაწვილი კაცი ვიყავი, ვმუშაობდი სატრანსპორტო-კომერციული ფირმის სახელოსნოებში-მეთქი. ეს სიტყვები სიმართლის მხოლოდ ნაწილი იყო, სინამდვილეში ფრანგულ ენას დავეუფლე, როდესაც ციხეში ვიჯექი. მისტერ ბასკმა ყურადღებით წაიკითხა ჩემი რეკომენდაციები.

— მაშასადამე, თქვენ გამოცდილი მძლოლი ხართ?

— დიახ.

იგი წამოვდგა.

— მოდით აქ, გეთაყვა.

მივყევი მას მაგიდისაკენ ოთახის კუთხეში. მან გამომიწოდა კალამი, მიმითითა მელანსა და ქალალდზე.

— დაწერეთ რაიმე.

— ფრანგულად?



— როგორც გსურთ.

„მე მიწოდებენ ელიას ბაზნას. დავიბადე 1904 წლის 28 ივნისს, პრისტინში. იმ დროს პრისტინი ოსმალეთის იმპერიის ნაწილი იყო. მამაჩემი, პაფიზ იაზარი, ისლამის მასწავლებელი იყო. ბალკანეთის ომების დროს, როდესაც ჩვენ, თურქები, გაგვაძევეს ალბანეთიდან და მაკედონიიდან, ჩემი ოჯახი ემიგრაციაში წავიდა, კონსტანტინოპოლში...“

ეს იყო ჩემი ბიოგრაფიის დასაწყისი, რომლის თხრობა ყოველთვის მიხდებოდა სამუშაოზე მიღებისას.

— მე მხოლოდ მსურდა გამეგო, იცით თუ არა წერა? — მითხრა მისტერ ბასკმა.

— დიახ, მუსიე.

მან ჩემ მიერ დაწერილი ქალაღის ფურცელი აიღო და ფანჯარას მიუახლოვდა. დიდხანს ყურადღებით სწავლობდა ჩემს ხელწერას.

— ცუდი არაა.

მე ოდნავ დაეუკარი თავი.

— მე თქვენ უბრალოდ ელიას გიწოდებთ, — მითხრა მან. ამ სიტყვებიდან დასკვნა გამოვიტანე, რომ სამუშაოზე მიღებული ვიყავი.

— გარდა მძღოლის მოვალეობისა, აქ თქვენ ღნდა შეასრულოთ სხვადასხვა სამეურნეო დავალებები.

— შემიძლია გავიგო, რამდენს გადამიხდით, მუსიე? — ვკითხე მე.

— ასი თურქული ლირა, — მიპასუხა მან. ეს ძლიერ ცოტა იყო.

— დიდი მადლობელი ვარ თქვენი, მუსიე, — თავაზიანად ვუპასუხე.

მეორე დღეს ჩემთვის განკუთვნილ ოთახში დავბინავდი. ბასკის სახლში ვალაგებდი ოთახებს, ვწმენდდი მის ტანსაცმელს და თვალყურს ვადევნებდი გასათბობი სისტემის გამართულობას. ხშირად მიხდებოდა სუფრის მომსახურებაც, როდესაც სახლში სტუმრები იყვნენ, ამასთან ერთად, რასაკვირველია, პატრონის პირადი მძღოლი ვიყავი.

მისტერ ბასკი მეტად ენერგიული და შრომისმოყვარე ადა-

მიანი იყო. მას საელჩოდან შინ დოკუმენტები მოჰქონდა და საღამოობით მუშაობდა.

მალე შეეძელი გამეგო, სად ინახავდა იგი ამ დოკუმენტებს. ერთხელ ბასკი მოულოდნელად გამოიძახეს სამსახურში. ალბათ, დოკუმენტები, რომელსაც კითხულობდა, აჩქარებით ჩაჩარა საწერი მაგიდის ყუთში იმ განზრახვით, რომ დაეკეტა ის გასაღებით. როგორც წესი, იგი ძლიერ აკურატული იყო ასეთ საქმეებში, მაგრამ ამჯერად რალაცამ გაართო და მაგიდის დაკეტვა დაავიწყდა. ჩვეულებრივ, როდესაც მისტერ ბასკი შინ არ იყო, მე შევდიოდი მის კაბინეტში, რათა მენახა, ხომ არ დატოვა შემთხვევით რაიმე-მეთქი- ამჯერად მაშინააღურად გამოვწიე მაგიდის ყუთი — და, ჩემდა გასაოცრად, ვაიღო. იქ დოკუმენტები ეწყო. სწრაფად ჩავიჩარე ისინი პიჯაკის ქვეშ. ის იყო მოვასწარი ამის გაკეთება, რომ ოთახში მისტერ ბასკი შემოვიდა.

— დარეკეს სტამბულიდან? — იკითხა მან (იმ დროს მინის ბასკი სტამბულში, ამერიკელთა ჰოსპიტალში იმყოფებოდა, ბავშვი უნდა შექნოდა).

— არა, მუსიე.

თავს ნება მივეცი და გავიღიმე.

— მესმის თქვენი, მუსიე. მე ხომ ოთხი შვილის მამა ვარ. ეს ყოველთვის ძლიერ...

მან ვერ შენიშნა ჩემი თანაგრძნობა.

— თქვენ დაამთავრეთ ცენტრალური გათბობის რემონტი?

— ჯერ არა, მუსიე.

— იმედი მაქვს, რომ ეს ბევრ დროს არ დაიკავენ?

— არა, მუსიე, — ვუპასუხე.

ჩავედი სარდაფში, სადაც გასათბობი სისტემა იყო დაყენებული და ყურადღებით წავიკითხე დოკუმენტები.

არასდროს დავინტერესებულვარ პოლიტიკით. ყავასის წინანდელმა სამუშაომ გულგრილი გამხადა ძლიერი ადამიანებისადმი, რომლებიც შედიოდნენ საელჩოებში და გამოდიოდნენ იქიდან. ბოლოს და ბოლოს ისინი მხოლოდ ადამიანები იყვნენ. მაგრამ, როდესაც მოვლენები არახელსაყრელად ვითარდებოდა, ისინი ცდილობდნენ ყველაფრის გაკეთებას, რათა ამას არავითარი გავლენა არ მოეხდინა მათზე.

მილს ჩაქუჩი დავარტყი და დარტყმის ხმა მთელ სახლში გავრცელდა. ახლა არვის შეეძლო ეფიქრა, არ მუშაობსო.

დოკუმენტები ჩემ წინ გავშალე. ეს იყო ინგლისის საელჩოს მიერ გაგზავნილი და მიღებული დოკუმენტები. მათ მომცეს ნათელი წარმოდგენა იმისა, თუ როგორ თამაშში იყო ჩაბმული თურქეთი.

მე ვკითხულობდი ჩერჩილის გამონათქვამ აზრებს. მისი აზრით, არავითარი ექვი არ იყო იმისა, რომ თურქეთს სურდა გამარჯვებულთა რიცხვში ყოფნა. და იმაშიც, რომ მოკავშირეები ომს მოიგებდნენ, ჩერჩილს ექვი არ ეპარებოდა. მაგრამ თურქებს ჯერ ისევ ეშინიათ გერმანელებისა და არ სურთ ომში ჩაბმაო. ამიტომ, მართლაც, საჭიროა მთელი ძალ-ღონის დახარჯვა, რათა დავარწმუნოთ თურქეთი ჩაებას ომში მომავალ გაზაფხულზეო.

ასეთი იყო ჩერჩილის გამონათქვამი. მე გააფთრებით რამდენჯერმე დავარტყი მილს. ჩერჩილს, რასაკვირველია, "შეეძლო გაეთვალისწინებინა, თუ როგორ განვითარდებოდა მსოფლიო მოვლენები. მეც ერთი პერსპექტივა მქონდა — ქუჩყიან სანგარში გორაობა.

მოკავშირეებს სურდათ (ეს ასევე დოკუმენტებიდან გავიგე), რათა თურქებს მათთვის თავიანთ ტერიტორიაზე აეშენებინათ აეროდრომები. თურქეთში შემოიტანდნენ უამრავ იარაღსა და სამხედრო მასალას. „შეარჩევდნენ საჭირო სპეციალისტებს, რომლებიც ასწავლიდნენ თურქებს იარაღითა და საბრძოლო ტექნიკით სარგებლობას“.

დასაწყისისათვის, გავიფიქრე მე, ცუდი არ იქნებოდა, რომ გამოეგზავნათ ზეინკალი — წყალგაყვანილობის ოსტატი, რათა ინგლისის საელჩოს პირველი მდივანი არ დარჩენილიყო ამ საქმეში ისეთი უმეცარი ადამიანის იმედად, როგორიც მე ვიყავი.

მე შევიტყვე შავი ზღვის გზების გახსნის გეგმათა შესახებ რუსებთან მათ სამხრეთ ფლანგზე პირდაპირი კავშირისათვის. რუმინეთის ნავთობის რაიონები სასტიკად იქნებოდა დაბომბილი თურქეთის აეროდრომებიდან და მაშინ ნავთობის მოპოვებას პლოეშტში საფრთხე ემუქრებოდა.

თურქეთის მოკავშირეთა გეგმების წაკითხვა გადავდევი

და გასათბობი სისტემის რემონტი დავამთავრე. შემდეგ წავიკითხე დოკუმენტი, რომელიც ადანის კონფერენციას ეხებოდა. ჩერჩილი ორი დღის განმავლობაში სპეციალურ ვაგონში მოლაპარაკებას აწარმოებდა თურქეთის პრეზიდენტ ინენიუსთან. რასაკვირველია, სრულიად საიდუმლოდ. ამ დოკუმენტიდან ცხადად ჩანდა, რომ რუსები იმარჯვებდნენ გერმანელებზე, ხოლო მოკავშირეები წარმატებით მოქმედებდნენ გერმანელთა წინააღმდეგ აფრიკაში. მაგრამ, აი (ასე უთხრა ჩერჩილმა პრეზიდენტ ინენიუს), რა ემუქრებოდა თურქეთს გერმანელები ატარებენ თავიანთ ტრადიციულ პოლიტიკას — „დრანგ ნახ ოსტენს“. ისინი იძულებული არიან დაიცვან მათი ნავთობით მომმარაგებელი წყაროები და ამიტომ შეუძლიათ გადაწყვიტონ თურქეთში შექრა, რომელიც უნდა შეიარაღდეს და მზად იყოს თავდაცვისათვის. მე ასევე წავიკითხე პრეზიდენტ ინენიუს პასუხიც. იგი ლაპარაკობდა პოლიტიკური მდგომარეობის შესახებ, რომელიც, მისი აზრით, შეიძლება და შექმნილიყო მსოფლიოში ომის შემდეგ.

ყველა დოკუმენტის წაკითხვის შემდეგ მივედი იმ დასკვნამდე, რომ ჩვენთვის, თურქებისათვის, ცუდი იქნებოდა ჩაბმული ვყოფილიყავით ამ ომში ინგლისელების პარტნიორების ანდა გერმანელების მსხვერპლის სახით. რამდენიმე წუთი დაძაბულად ვფიქრობდი, როგორ მოვექცეულიყავით ინგლისელების გეგმებს გერმანელებს გადავცემ, ეს უკანასკნელები შეძლებენ დაასწრონ მოკავშირეებს, არ დაზოგავენ არც ძალას და საშუალებებს შეიჭრან თურქეთში, ხოლო თურქეთი, დაინახავს რა, რომ გერმანელებმა ინგლისელებს დაასწრეს, ვერ გაბედავს ჩაებას ომში მოკავშირეების მხარეზე. ამრიგად, შემეძლო დავხმარებოდი ჩემს ქვეყანას ნეიტრალიტეტის შენარჩუნებაში.

შევაგროვე ხელსაწყოები, დოკუმენტები პიჯაკის ქვეშ დავმაღლე და თავი ომის მდგომარეობაში მყოფ მსოფლიოს არაალიარებულ ცენტრად ვიგრძენი.

ზევით ავედი. მისტერ ბასკი კაბინეტიდან გამოვიდა. მან შემხედა და ვიგრძენი, თუ რა ძლიერად ძგერდა ჩემი გული, ძლივძლივობით ვაიძულე თავი დამეოკებინა მღელვარება და ვუთხარი:

— გასათბობი სისტემა მოწესრიგებულია...

მან არ დამამთავრებინა ფრაზა.

— ახლახან დამირეკეს სტამბულიდან. შეგიძლიათ მომილოცოთ ქალიშვილი.

თავი დავუკარი და გაღიმებულმა ვუთხარი:

— ნება მიბოძეთ, გულითადად მოგილოცოთ, მუსიე.

მან თავი დამიქნია და ჩქარი ნაბიჯებით წავიდა. შევედი მის კაბინეტში და დოკუმენტები იმ ადგილზე დავდევი, სადაც უწინ იყო.

შემდეგში რამდენიმე კვირის განმავლობაში მისტერ ბასკისათვის მხოლოდ ერთი ქალი არსებობდა. ეს იყო სტამბულში ახლახან დაბადებული მისი ქალიშვილი. მე კი დამინტერესდა ძიძამ, რომელიც მისის ბასკმა ანკარაში ბავშვთან ერთად ჩამოიყვანა.

ძიძას მარა ერქვა. იგი ოცდაათ წელზე ცოტა მეტი ხნისა იქნებოდა. ტანადი, შავთმიანი. მეჩვენებოდა, რომ მასში რამდენიმე ეროვნების ქალებს საუკეთესო თვისებები იყო შეხამებული. შვედი ქალის ღია ცისფერი თვალები, ვნებიანი ტუჩები გაიძულებდათ მოგეგონებინათ საფრანგეთის სამხრეთი, ხოლო წვრილთითებიანი ნაზი ხელები მოძრაობის გრაციოზულობით ბუქარესტელ ქალებს გაგახსენებდათ. მისი ვინაობის განსაზღვრა ძნელი იყო. შემდეგ შევამჩნიე, რომ იგი ბევრს ეწეოდა და სვამდა ვისკის. როდესაც სვამდა, მისი სიცილი მხიარული და გადამდები იყო. თეთრი კბილები უბრწყინავდა, ხოლო ხმა ამქლავნებდა მის აშკარა მისწრაფებას თავგადასავლებისადმი. მასში იყო რაღაც, რაც მოგაგონებდათ ქარსა და ზღვას. შესაძლოა, ეს მემკვიდრეობით გადაეცა რომელიღაც ამერიკელი მეზღვაურისა და დედამისისაგან.

მე ცოლიანი ვიყავი და ამ დროისათვის ოთხი შვილი მყავდა. ცოლი ბავშვებთან ერთად სტამბულში ცხოვრობდა. მე ვუგზავნიდი მას ფულს და ვცდილობდი არ მეფიქრა მასზე. ბოლოს და ბოლოს შევძელი მისი დავიწყება. რასაკვირველია, ეს ჩემი მხრით საძაგლობა იყო. მაგრამ მალე ჩემთვის ყველაფერი განურჩეველი გახდა — მე შემიყვარდა მარა და ზღვაპირულ სამყაროში ვცხოვრობდი.

როდესაც პირველად დავინახე მარა, მისი თვალები სავსე

იყო სეკლითა და დარდით. ერთხელ მე გავიგონე, როგორ უთხრა მისის ბასკმა ქმარს, მარა, ალბათ, ჩვენთან რამდენიმე ხანს დარჩებაო.

მისის ბასკმა ეს თავის ქმარს უთხრა, როდესაც მე ჩაის ცაწყობდი, ხოლო მისტერ ბასკი საწოლზე მწოლიარე ბავშვს დაფიქრებული უყურებდა. მისტერ და მისის ბასკები ფიქრობდნენ, რომ ცუდად ვიცოდი ინგლისური ენა და ამიტომ ჩემი თანდასწრებით ისინი ხშირად ლაპარაკობდნენ ამ ენაზე თავიანთი საქმეების შესახებ. ბავშვს გავუღიმე, ორი თითი გავეთამაშე მას და გავედი.

მარასთან წავედი.

— შემიძლია რაიმეთი დაგეხმაროთ? ვინ გაწყენინათ? — ვკითხე მას.

მან გაკვირვებით შემომხედა.

— რამ გაფიქრებინათ?

— მე არაფერი ვიცი, მაგრამ ვგრძნობ, რომ თქვენ უბედური ხართ.

რამდენიმე ხნის შემდეგ ჩემთვის ნათელი გახდა, რომ ბასკის სახლში მე ვერ მივიღებდი იმას, რაც მსურდა. ჩემი მიზანი იყო საელჩოში შეღწევა. ანკარის ყველა საელჩოს ყავასებმა იცოდნენ, რომ ინგლისის ელჩი სერ ჰიუ ნეტჩბულ-ჰიუგესენი კამერდინერს ეძებდა, მაგრამ ამ ადგილის მიღება არც ისე ადვილი იყო. გადავწყვიტე, რომ საუკეთესო ხერხი ამ ადგილის მისაღწევად პირველი მდივნის მისტერ ბასკისაგან რეკომენდაციის მიღება იყო. ეს, რასაკვირველია, ბევრად უკეთესი იქნებოდა, ვიდრე თვით მიმემართა ელჩისათვის.

მე და მარამ მოვილაპარაკეთ შევხვედროდით ერთმანეთს კანკაიასსა და კავაკლიდერეს შორის მდებარე პატარა პარკში.

აქ მე პირველად ვიყავი, მაგრამ რატომღაც გადავწყვიტე ტყუილი მეტყვა.

— რა კარგია აქ! მე ხშირად მოვდივარ. მიყვარს მარტობა.

განზრახ შევყურებდი მარას კი არა, არამედ სხვებსა და

ბუჩქნარს, რომლებიც ჩემთვის სრულიად უმნიშვნელონი იყვნენ.

— გიყვართ ბუნება? — მკითხა მან რაღაც ნაზი ხმით. მე პასუხი არ მიმიცია, რადგან ჩემს შემდგომ ნაბიჯებზე ვფიქრობდი. ცოტა ხნის შემდეგ მითხრა:

— თქვენ ფიქრობთ, რომ უბედური ვარ.

— თუ თქვენ ფიქრობთ ადამიანის შესახებ, რომელსაც მიგატოვათ, დაივიწყეთ იგი, — ჩუმი ხმით წარმოვთქვი მე. — უწინარეს ყოვლისა თავი შეიკავეთ.

ვუამბე მას, რომ ოდესღაც აქ ვენახები იყო. ამიტომ ყველაზე გავრცელებულ თურქულ ღვინოს აქამდე კავაკლიდერე ჰქვია, თუმცა ახლა ერთი მილის მანძილზე ვაზს თვალთ ვერ ნახავთ.

ეს ცნობები სასტუმრო „ანკარა პალასის“ ღვინოების პრეისკურანტიდან ამოვიღე.

— რა ბევრი რამ იცით!

მე ცალყბად გავიღიმე.

— ყველაფერი, რაც ახლა ვიცი, ეს ის არის, რომ ვაპირებ. მივცე მისტერ ბასკს წასვლის განცხადება.

მან გაოცებით შემომხედა.

— რატომ? იგი ხომ მეტად კმაყოფილია თქვენი.

— თქვენ გამო, — ცივად ვუპასუხე.

მან არ იცოდა, რა ეპასუხა ჩემს სიტყვებზე, მაგრამ თვალები აღარ ჰქონდა ისეთი დარდიანი.

— მე არ მესმის თქვენი.

— ნუ წუხხართ ჩემზე. უნდა დაგტოვოთ, უნდა წავიდე. მაპატიეთ.

მე ისე წავედი, რომ არ შემიხედავს მისთვის.

მარა თავისი ბუნებით მოუთმენელი იყო. მეორე საღამოს დაყინებით მოითხოვა მოკლე პაემანი „ჩვენს პარკში“. ჯერ უარი ვთქვი, მაგრამ შემდეგ ნება დავრთე თავს დავთანხმებოდი. მისი თვალების მიხედვით დავინახე, რომ მან გამიგო ისე, როგორც მსურდა.

ჩვენ სკამზე დავსხედით.

— რატომ გსურთ წასვლა?

— თქვენ ხომ იცით.

— არა, არ ვიცი.

— ყოველ ქალს ესმის ასეთი რამ უსიტყვოდ.

— მე არ მესმის თქვენი.

მე ვუამბე, ცოლიანი ვარ, ერთი ნახვით შემიყვარდი-  
შეთქი.

— თქვენ გადაიტანეთ უბედური სიყვარული, — განვა-  
გრძე მე. — ამიტომ თქვენთვის ადვილია გაიგოთ, რატომ არ  
უნდა ვიდგე თქვენს გზაზე...

ჩვენი ხელები ერთმანეთს გადაეხლართა და მარას მოვე-  
ხვიე. ჩვენ აღვუთქვით ერთმანეთს, რომ შევიკავებდით ჩვენს  
გრძნობებს და გადავწყვიტეთ მეტად აღარ შევხვედრო-  
დით. მაგრამ ჩვენ სიყვარულმა დაგვიმონა.

— მარა, თქვენ არასწორად გამიგეთ, — შევნიშნე მე.

თავი დამიქნია და მხარზე დამადო.

— არის ერთი შესაძლებლობა.

— როგორი?

— მე არ შემიძლია თქვენთან ერთად ერთ სახლში ცხო-  
ვრება. მაგრამ ელჩი კამერდინერს ეძებს. რატომ არ შეიძლე-  
ბა გულახდილად მოელაპარაკოთ მისის ბასკს? რატომ არ  
შეგიძლიათ უთხრათ მას, რომ ჩვენ არ გვსურს ერთმანეთი,  
უბედური გავხადოთ? იგი გაიგებს, ხოლო მისტერ ბასკმა,  
შესაძლოა, რეკომენდაცია მომცეს ელჩთან.

— მაშინ ჩვენ შევძლებთ ხანდახან შეხვედრას? — წარ-  
მოთქვა მარამ.

— თქვენ გგონიათ, ეს სწორი იქნებოდა? — ვკითხე მე.  
მარა მომეხვია და მაკოცა.

— მე მოველაპარაკე მისის ბასკს, — ჩაიჩურჩულა მან.  
ვიგრძენი, რომ ჩემი წასვლა ხელს აძლევდა მისტერ ბასკს.  
უკანასკნელ დროს იგი მეტად ფრთხილად. ხარჯავდა ფულს  
და აშკარად წუხდა, სწორად არ მოვიქეცი, მსახური რომ ავიყ-  
ვანეო. გასათბობი სისტემა შეკეთებული იყო და მთელი სამუ-  
შაოს შესრულება სახლში შეეძლო ქალს, რომლის შრომა  
გაცილებით იაფი იყო.

რამდენიმე დღის შემდეგ იგი შემეკითხა, გსურს თუ არა  
ელჩის კამერდინერი გახდეთ.



— ბედნიერი ვიქნებოდი მიმელო ეს ადგილი, მუსიე, —  
ვუპასუხე მე.

— სერ ჰიუ, რასაკვირველია, თვით გადაწყვეტს. მას თქვე-  
ნი ნახვა სურს. ნახეარი საათის შემდეგ ჩემთან ერთად წამო-  
ხვალთ საელჩოში.

აბაზანაში ვიწეკი და მის აღმატებულებასთან მომავალ შეხვედრაზე ვფიქრობდი. შევყურებდი პრიალა სარკეებს და სურნელებითა და არომატული ესენციებით სავსე შუშებს და ვოცნებობდი როდისმე მქონოდა ასეთი დიდებული აბაზანა.

მარა ჩემს მხრებსა და კისერს ზელდა, ხოლო მე მისი თითების თამაშით ვტკბებოდი.

მან მიაშობო, ელჩი 57 წლისაა, მეტად ელეგანტურია და კარგად ეპყრობა მოსამსახურეებსო.

ამ დროისათვის მე უკვე ბევრი რამ ვიცოდი სერ ჰიუ ნეტ-ჩბულ-ჰიუგესენის შესახებ. იგი 1886 წლის 26 მარტს დაიბადა. განათლება იტონსა და ოქსფორდში მიიღო: როდესაც ჯერ კიდევ ყმაწვილი კაცი იყო და მუშაობდა საგარეო საქმეთა სამინისტროში, წილად ხვდა პატივი გაეგზავნა გერმანიისათვის ომის გამოცხადების დებეშა 1914 წლის 3 აგვისტოს, შუალამისას. ანკარაში იგი 1939 წლის თებერვლის დამლევიდან იმყოფებოდა, ხოლო მანამდე მსახურობდა ჩინეთში, ირანსა და ბელჯიაში.

— ასე ამბობენ, კარგად უკრავს როიალზე და ხატავსო, — განაგრძობდა მარა. — აბა, უკვე დროა გადმოხვიდე აბაზანადან.

წუთის შემდეგ დაუმატა:

— ჩვენ ისევ შევხვდებით ერთმანეთს?

— რასაკვირველია.

ახლა მის მოვალეობაში შედიოდა ბავშვის დაბანა და მისი თვალყურის დევნება.

ვიდრე მე ვიცვამდი, მარამ აბაზანიდან წყალი გაუშვა და მისი გარეცხვა დაიწყო. იგი დაიხარა და როდესაც დაილაპარაკა, მის ხმაში რაღაც დაძაბულობა შევნიშნე. რაც მან მითხრა, იმან სუნთქვა შემიკრა.

— ზოგჯერ მეჩვენება, რომ შენ ელჩის მსახურად გახდომა გარკვეული მიზნით გსურს.

ამ დროს სარკის წინ თმას ვივარცხნიდი: იმან, რაც მან მითხრა, იმდენად გამაოცა, რომ მაშინვე ვერ ვიპოვე საპასუხო სიტყვა.

— რა გაქვს მხედველობაში? — ვკითხე იმდენად მშვიდად, რამდენადაც შემეძლო.

მარა გასწორდა, ჩვენ სარკეში შევხედეთ ერთმანეთს. — შენ კითხულობ დოკუმენტებს, რომელიც მისტერ ბასკს მოაქვს საელჩოდან.

შემოვბრუნდი და წყნარად შევხედე მას.

— შენ რა, მალულად დადიხარ ჩემს ოთახში?

— მოვედი როგორღაც, მაგრამ შენ არ იყავი. დოკუმენტები ბალიშქვეშ იდო.

ეს ნიშნავს, რომ იგი ჩხრეკდა ჩემს ოთახს. მაგრამ ბრალს არ ვდებ მას. მეც იგივეს გავაკეთებდი.

— რატომ არ უთხარი ეს ამბავი მისტერ ბასკს?

არ მიპასუხა. მივხვდი, რომ მოკავშირე ვიპოვე.

მე პირველი გამოვედი, როდესაც დავრწმუნდი, რომ არავინ იყო, თავი დავუქნიე მარას, რომ უკან გამომყოლოდა.

მისტერ ბასკი მანქანასთან მიცდიდა.

— თქვენ რა, კონტაქტებოვით, რომ სასიამოვნო შთაბეჭდილება მოგეხდინათ? — გაბრაზებით მკითხა მან.

— მუსიე, — თავაზიანად ვუპასუხე, — მე ისეთი წვერი მაქვს, რომ ორჯერ მიხდება დღეში წვერის გაპარსვა.

მისტერ ბასკს ავტომობილის კარები გავუღე და საჭესთან დავჯექი.

საპარადო შესასვლელთან გამოჩნდა მარა ბავშვით ხელში, მან ბავშვის ერთი ბეწო ხელი აიღო და როდესაც მანქანა დაიძრა, მისტერ ბასკს და მე დავგიქნია.

მე განზრახ ნელა მივდიოდი, რათა ხელები არ ამკანკალებ-

ბოდა. ყველა, ვინც კი ამ წუთს შემხედავდა, მიხვდებოდა, რომ ჩემი ნდობა არ შეიძლებოდა.

მაგრამ, ჩემდა საბედნიეროდ, ელჩმა არც შემომხედა, როდესაც მისტერ ბასკმა კაბინეტში შემიყვანა. სერ ჰიუ ნეტჩბულ-ჰიუჯესენს მაშინ არ შეეძლო ეწინასწარმეტყველა, რომ მტერს აცნობდნენ. თუ ნამდვილად არსებობს მეექვსე გრძობა, ელჩს ეს არ გააჩნდა, ყოველ შემთხვევაში, მისი მომავალი კამერდინერის მიმართ. მისთვის მე მხოლოდ მტვერსასარუტი და ტანსაცმლის ჯაგრისი ვიყავი. უეცრად შიში გაქრა.

— სერ, ეს ელიასია... — უთხრა მისტერ ბასკმა.

სერ ჰიუმ გადმომხედა, თავი დამიქნია და თვალებით ანიშნა მისტერ ბასკს მისულიყო მასთან. ელჩმა დოკუმენტების შეკვრა გადასცა. მათ მრავლისმეტყველად შეხედეს ერთმანეთს. ამით გავიგე, რომ ეს მეტად მნიშვნელოვანი დოკუმენტები იყო.

— ხვალ დილით დაგიბრუნებთ, სერ, — ჩაილაპარაკა მისტერ ბასკმა.

მაშასადამე. მათ შინ წაიღებს, ვიცოდი, რომ ამ საღამოს იგი აპირებდა საბჭოთა საეაქრო წარმომადგენელთან ბანკეტზე წასვლას. დილით მისი ფრაკი გავაუთოვე.

მისტერ ბასკმა დოკუმენტები პორტფელში ჩადო და გავიდა. მე ადგილზე მიჯაჭვულივით ვიდექი.

ეს იყო გემოვნებით მოწყობილი მაღალქერიანი დიდი ოთახი. ძვირფასი ხალიჩა, კოხტა ავეჯი. სერ ჰიუ, როგორც ჩანს, ხმამაღლა არასდროს იცინოდა, არასდროს გარეგნულად არ ამყლავნებდა თავის გაბრაზებას. ამ ტანად ჯენტლმენს ჰქონდა კეთილშობილი სახე, ზევითშეყრილი ღია წარბებითა და ელეგანტური უღვაშებით. სერ ჰიუს რომ გაეგო, როდესმე ჩემი მოტყუების შესახებ, იგი მხოლოდ ოდნავ იქნებოდა შეურაცხყოფილი, მაგრამ უთუოდ მოთმინებას დაკარგავდა, რომ ეპოვა თუნდაც ერთი ბეწო რამ თავის კოსტიუმზე.

იგი წყნარად შემეკითხა წინანდელი სამუშაოს შესახებ. მე ვუამბე იგივე, რაც თავის დროზე მისტერ ბასკს, რა თქმაც უნდა, არ მითქვამს, რომ რიბენტროპის სიძესთან ვმუშაობდი.

მისტერ ჰიუ მთლიანად დაეყრდნო თავისი პირველი მდივნის რეკომენდაციას, ამიტომ საუბარი მოკლე იყო.

— როდის შეგიძლიათ შეუდგეთ სამუშაოს? — მკითხა სერ ჰიუმ.

მას სასიამოვნო რბილი ხმა ჰქონდა.

— ახლავე, თქვენო აღმატებულებავ!

მსახურთუფროსმა, სახელად ზეჟიმ, სახლი მაჩვენა. ელჩის რეზიდენცია კანკაის ბორცვზე მდებარეობდა. ეს იყო ინგლისური ქალაქგარეთა სახლის სტილით აშენებული დიდი შენობა. საელჩო გვერდით მდებარეობდა, მაგრამ, როგორც გავიგე, სერ ჰიუმ ამჯობინებდა თავის რეზიდენციაში მუშაობას. აქვე, ალბათ, ინახავდა იგი საიდუმლო დოკუმენტებს.

მისი კაბინეტი მეორე სართულზე, სამზარეულოს თავზე იყო. პირველი, რაც — გავიფიქრე, იყო ის, რომ ხალიჩა და-ახშობდა ჩემი ნაბიჯების ხმას.

მოსამსახურეთა ოთახები, მათ შორის ჩემი უბრალო პატარა ოთახი, პირველ სართულზე იყო.

გულში განვსაზღვრე მანძილი ოთახებს შორის. ყოველ სართულზე გრძელი დერეფანი იყო. სახლში ორი კიბე იყო, მე უნდა გადამეწყვიტა, რომელი მათგანი გამომეყენებინა ჩემი მიზნებისათვის. პირველ სართულზე ეკიდა ორი სურათი — მეფე გეორგ VI-ისა და დედოფლისა. და რომელი გზითაც არ უნდა დავბრუნებულყავი ჩემს ოთახში, აუცილებლად უნდა ჩამეველო ერთ-ერთი მათგანისათვის. აუცილებლობის შემთხვევაში შემეძლო დამემალა ერთ-ერთი პორტრეტის უკან დოკუმენტები ან სხვა რაიმე.

მესამე სართულზე სერ ჰიუმს, მისი ცოლისა და ქალიშვილის საწოლი ოთახები და აბაზანები იყო მოთავსებული. მე გამოვიტვალე, რომ აუჩქარებლივ შემიძლია ელჩის აბაზანიდან საწოლ ოთახამდე მივიდე ერთ წუთში, ზოლო სამ წუთში — მეორე სართულზე აბაზანიდან მის კაბინეტამდე, იქიდან — ორი წუთი ჩემს ოთახამდე. სერ ჰიუმს უთუოდ უყვარდა. აბაზანაში ნებივრობა.

ჩემი მოვალეობა იყო სერ ჰიუმსათვის აბაზანის მომზადება და დახმარება ჩაცმისას. ეს ნიშნავს, რომ დრო მექნებოდა ამედო სეიფის გასაღები, რომელსაც სერ ჰიუმ მუდამ თან ატარებდა.

მსახურთუფროსმა მითხრა, რომ მიმეხედა ელჩის საწოლი ოთახისა და გარდერობისათვის, და გავიდა.

გარდერობში ოცდახუთი კოსტიუმი იყო, მათ შორის დამლომატიური ფორმა. მე ყოველთვის მომწონდა ლამაზი ტანსაცმელი, მაგრამ არ შემეძლო გულგრილად გადამერჩია სერ ჰიუს კოსტიუმები. გარდერობიდან ძვირფასი სუნამოს ოდნავ შესამჩნევი ნაზი სუნი გამოდიოდა. კოსტიუმების ჯიბეებში კუქის აშლილობის საწინააღმდეგო რამდენიმე აბი ვიპოვე.

მაგიდაზე იდო ფანქრით შესრულებული ფანჯრიდან ქალაქის ხედის დაუმთავრებელი ნახატი. ოსტატობამ, რომლითაც შესრულებული იყო ეს ნახატი, აღმაფრთოვანა.

ნახატით ხელში მივუახლოვდი ფანჯარას, გავაღე და ღრმად შევეისუნთქე სუფთა ჰაერი. ანკარაში შემოდგომა წელიწადის საუკეთესო დროა. ზაფხულის საშინელი პაპანაქება უკან დარჩა. ცა მუქი ცისფერია, თბილა, ხოლო საღამოს სივრცე კიდევ სასიამოვნოა. ქვევით, მთის ძირში, ალვის ხეს შეეხედე და საელჩოს ჩოგბურთის კორტები დავინახე. თუ სერ ჰიუს იქ ითამაშებს, მე კიდევ ერთი შესაძლებლობა მემატებოდა.

ნახატი თავის ადგილზე დავდე, ფანჯარა დავხურე. შემდეგ მაგიდასთან მივედი და ზედა უჯრა გამოვწიე. შიგ დასაძინებელი აბები იდო — ეს იყო ჩემთვის მეორე სასიამოვნო აღმოჩენა. უჯრა დავხურე. შემობრუნებისას კარებში ლამაზი ქალი დავინახე. მას დიდი ელვარე თვალები, საღად დავარცხნილი თმა და პირის სკეპტიკურად ჩამოშვებული კუთხეები ჰქონდა.

— თქვენ ახალი კამერდინერი ხართ?

მე თავი დავუქნიე.

— დიას, ქალბატონო. ელიასი მქვია.

ლედი ნეტჩბულ-ჰიუგესენმა გაკვირით შემხედა და ჩემად გავიდა. ვიგრძენი, მასთან უფრო ფხიზლად უნდა ვიყო, ვიდრე მის ქმართან-მეთქი. ისევ შევშინდი.

რათა თავისადმი საკუთარი რწმენა დამებრუნებინა, საწოლი ოთახიდან გასვლისას ნახატი ავიღე და მეფე გეორგ VI პორტრეტის უკან დავმაღე, და მხოლოდ სამი დღის შემდეგ დავდე თავის ადგილზე. სერ ჰიუს ვერ შენიშნა დანაკარგი, ისევე, როგორც ნახატის გამოჩენა სამი დღის შემდეგ. ისე შეავლო მას თვალი, თითქოს მისი გონება სხვაგან ქროდა. სერ ჰიუს უთუოდ წერდა ლექსებს.

მარამ თითქმის სამუდამოდ დაივიწყა თავისი ყოფილი საქ-

მარ. მისი ფანტაზია და მისი სიყვარულის გამომჟღავნება ახალი ხერხების გამოგონებებით დაუშრეტელი იყო. მან თავის თავს გადააქარბა ჩემი საყვარელი კერძების მომზადებაშიც აი, თუგინდ იმამა ბაილიდი, რომელიც კეთდება კვერცხისა და ხილისაგან ზეითუნის ზეთით. სერკესა ტავუგუ — ქათმის ხორცი ჩერქეზულად. იმ საღამოს მან ბაკლავა მომიმზადა — ტკბილი კერძი ნუშის, ფსტისა და კაკლისაგან.

ჩვენ სამზარეულოში ვიჯექით. ბავშვს თავის საწოლში ეძინა, მისა მშობლები საბჭოთა სავაქრო წარმომადგენელთან ბანკეტზე წავიდნენ.

თვალყურს ვადევნებდი, როგორ ამზადებდნენ მარას მარჯვე თითები ბაკლავას.

— როგორ მსიამოვნებს, რომ აქა ხარ, — შენიშნა მარამ.

მე წამოვდექი, ლანგარი ავიღე, ვუთხარი, ერთი წუთის შემდეგ დავბრუნდები-მეთქი. მისტერ ბასკის კაბინეტისაკენ წავედი.

ჩემს ყოფილ პატრონს თავისებური ჩვეულებები ჰქონდა, და მე კარგად ვიცოდი ეს ჩვეულებები... მისი მაგიდის უჯრიდან, რომელსაც ახლა ადვილად ვხსნიდი, პორტფელი გამოვიღე, პორტფელიდან ყველა დოკუმენტი ავიღე, რომლებიც სახლში მოვიტანე. შემდეგ პორტფელი კვლავ მაგიდის უჯრაში ჩავდე, ხოლო დოკუმენტები — ლანგარზე და მათ ხელსახოცი გადავაფარე. შემდეგ კარადიდან ერთი ბოთლი ბრენდი და ორი კიჭა გამოვიღე და სამზარეულოში დავბრუნდი.

— ჩინებულია! — წამოიძახა მარამ, როდესაც დამინახა.

თუმც იმედი გაუცრუვდა, რომ ვისკი არ იყო. ლანგარი მაგიდაზე ნათურის ქვეშ დავდე (ეს ყველაზე კამკაშა ნათურა იყო სახლში) და ხელსახოცი ავიღე.

მარამ შეწყვიტა ბაკლავას კეთება, პირდაღებული მიყურებდა. სამზარეულო კარადას მივუახლოვდი და ერთ-ერთი ქვაბიდან „ლეიკა“ ამოვიღე. ეს ძველი ფოტოაპარატი იყო, რომლითაც წინათ სურათებს ვუღებდი ჩემს ბავშვებს.

დოკუმენტებს ერთიმეორის მიყოლებით ვიღებდი. დოკუმენტები ზემოდან რომ გადამელო, სკამზე დადგომა მომიხდა. ეს ხერხი საკმაოდ ეფექტური, მაგრამ ძლიერ რთული იყო. გადავწყვიტე, მსგავსი სამუშაოების შესრულების უკეთესი ხერხი მომიენახა.

— ასეც ვიცოდი, — ჩუმაღ ჩაილაპარაკა მარამ. მაგრამ მისი სიტყვები არ გამიგონია: მთელი ჩემი ყურადღება მიმართული იყო იმაზე, რომ გამეკეთებინა კარგი ფოტოსურათები.

— შენ გსურს, რომ თურქეთი ჩააბან ომში? — ვკითხე მე. — დარწმუნებული ვარ, შენ არ გინდა ეს.

მას ხმა არ ამოუღია. წყნარად განვაგრძე მუშაობა. მარას თანდასწრებით ჩემთვის ადვილი იყო მშვიდად ვყოფილიყავი, ამისათვის მადლობელი ვარ მისი.

გადაღების დამთავრების შემდეგ ფოტოაპარატი ისევ ქვაბში ჩავდე, ხოლო დოკუმენტები და ხელუხლებელი ბრენდი კაბინეტში წავიდე. როდესაც სამზარეულოში დავბრუნდი, მარა ჯერ ისევ ფართოდ გახეილი თვალებით უყურებდა ქვაბს, რომელშიც ფოტოაპარატი დავმალე.

— აქ ვერასდროს იპოვნიან მას, — ჩაიჩურჩულა მან.

— ჩურჩულით ლაპარაკის მიზეზი არა გვაქვს, — შევნიშნე მე.

მარა უკიდურესად დაძაბული იყო. მისი ნერვულობა ძალებს მმატებდა. ნაძალადევად ვიღიმებოდი, იგი კი გმირად მთვლიდა.

— არ დაგავიწყდეს ბაკლავა.

— შენ თურქეთის დაზვერვაში მსახურობ! — მოულოდნელად წამოიძახა მან.

გავიციინე.

მე არ მქონდა დრო წამეკითხა გადაღებული დოკუმენტები, ამიტომ მათი შინაარსი მოგვიანებით გავიგე.

ერთ-ერთ დოკუმენტში რუსების მიერ მიღებულ სამხედრო ქასალების რაოდენობაზე იყო ნათქვამი. სია იარაღის, სამხედრო ტექნიკისა და სამხედრო აღჭურვილობისა უსასრულო იყო. როდესაც იგი გერმანელების ხელში ჩავარდება, დაინახავენ, რა უზარმაზარ ძალ-ღონეს ხმარობენ მოკავშირეები და ცდილობენ ერთმანეთის დახმარებას.

ბაკლავას მადიანად შევექცეოდით.

— ზოგჯერ მე ზიზღს ვგრძნობ, როდესაც ხალხს ვატყუებ. მაგრამ როდესაც გვერდით შენ ხარ, ისევ კარგად ვარ.

კიდევ ერთი ფრაზა წამომცდა:

— ყველაფერს ამას სამშობლოსათვის ვაკეთებ.



ამ უკანასკნელ სიტყვებს ხაზი უნდა გაესვას ჩემი სამუშაოს მნიშვნელობისათვის.

— გიყვარვარ? — პასუხად მკითხა მან. ეს იყო ერთადერთი შეკითხვა, რომელიც მან მომცა.

— კი, — ვუპასუხე და თვით ვირწმუნე ეს.

საკუთარ თავში დარწმუნებულიც ვიყავი და არც ვიყავი. მიზანი, რომელიც დავისახე, ძალას მმატებდა, მაგრამ ამავე დროს ვერაფრით შევძელი თავი დამეხსნა შიშისაგან. წასვლის წინ მარამ ქვაბიდან ფოტოაპარატი ამოიღო და მომცა.

გრილი ღამე იყო. პალტოს საყელო ავიწიე და ავჩქარდი.

ჩემი ცხოვრება თითქოსდა გაორდა. საკუთარი ჩრდილი ყოველთვის ჩემ უკან იყო. წინ მიბიძგებდა. ყოველ დილით, რვის ნახევარზე, მე ელჩს ვალვიძებდი და ერთი ჰიქა ფორთოხლის წვეს ვაძლევდი. ჩემი ჩრდილი ჩემი მხარიდან იხრებოდა და ცდილობდა ინგლისის საიდუმლოებანი აღმოეჩინა სერ ჰიუს ტუმბში, სადაც შავი ტყავის პატარა ყუთი იდგა.

ჩემი შემდგომი მოვალეობა ელჩისათვის აბაზანის მომზადება იყო.

სერ ჰიუს ვალვიძების შემდეგ ყოველთვის რჩებოდა საწოლში ნახევარ საათს. იგი კითხულობდა გაზეთებს, ან დოკუმენტებს, რომელთაც პატარა შავი ყუთიდან იღებდა.

აბაზანაში შესვლისას მეუბნებოდა, თუ რომელ კოსტიუმს ჩაიცვამდა. მაშინვე ვიღებდი მას გარდერობიდან, ვამოწმებდი, ყველა ღილი იყო თუ არა ადგილზე, ვაუთოვებდი, როდესაც დაჰმუჭუნული იყო.

ერთხელ ტუმბს მივეუახლოვდი და შავი პატარა ყუთის გაღებას შევეცადე, მაგრამ იგი დაკეტილი იყო.

როდესაც ელჩი სასაუზმოდ მიდიოდა, ეს პატარა ყუთი მის კაბინეტში უნდა წამეღო და მისი პირადი მდივნისათვის მიმეცა.

პირველ საუზმეზე ელჩი ოც წუთს ხარჯავდა, მეორეზე — ოცდახუთს და სადილზე, როგორც წესი, — ნახევარ საათს. იგი იმდენად ზუსტად იცავდა დაწესებულ რეჟიმს, რომ მისი მიხედვით შეიძლებოდა საათის გასწორება.

მეორე საუზმის შემდეგ იგი ნახევარ საათს სასტუმრო ოთახ-

ში როიალზე უკრავდა. სადილის წინ ისევ აბაზანას იღებდა. მანამდე კი სადილისათვის კოსტიუმს ვუმზადებდი.

თანდათანობით ამ სახლის ცხოვრების რიტმს შევეგეუე.

ვიდრე ოჯახი სუფრასთან იჯდა, არაფერი მქონდა საქმე. მაგიდას მუსტაფა ემსახურებოდა. მე მხოლოდ მაშინ ვესმარებოდი, როდესაც ჰიუსს და ლედი ნეტჩბულ-ჰიუგესენი სტუმრებს ღებულობდნენ.

მუსტაფა უღარდელი, მორჩილი და მხიარული ადამიანი იყო. არაფერი აკვირვებდა. მე რომ მისი თანდასწრებით სერ ჰიუსათვის ხელი გამერტყა, იგი მხოლოდ მხრებს აიჩეჩავდა, იფიქრებდა, რომ ამის საკმარისი მიზეზი მქონდა.

შეფ-მზარეული მანოლი ფილოტი სხვა ყაიდის ადამიანი იყო, იგი ოსტატურად ამზადებდა ბივშტექსს და მეტად დიდი წარმოდგენისა იყო თავისი პიროვნების შესახებ. იგი თავის ქვაბებს, თფშებს, ჯამებს და ტაფებს ზუსტად ისევე აწყობდა, როგორც ტოსკანინი თავისი ორკესტრის მუსიკოსებს, ხოლო, როდესაც ქურიდან რაიმე კერძს გადმოიღებდა, ეჩვენებოდა, რომ ესმოდა აღელვებული აუდიტორიის ტაშის გრიალი.

მანოლი ფილოტი ლედი ნეტჩბულ-ჰიუგესენის მარჯვენა ხელად თვლიდა თავს და იმის გამო, რომ არ იყო კმაყოფილი თავისი პატარა სამყაროთი, საუზმისათვის მომზადებული მონარშული თონლო კვერცხით, ხბოს ღვიძლით, იგი დამატებით მოვალეობას კისრულობდა — ადევნებდა თვალყურს დანარჩენ ყაეასებს.

1

მისი ოთახი ჩემ გვერდით იყო. მაგრამ, სუბედნიეროდ, არასდროს ათევდა ღამეს იქ. მას ოჯახი და ბინა ქალაქში ჰქონდა.

მსახურთუფროსი ზეჟი თავისი ღირსების განსახიერება იყო. იგი ყველაფერს ზიზღით უყურებდა. ძლიერ გართული იყო თავის წარმოსადგეგობით და ამიტომ დრო არ რჩებოდა ჩემს შესამჩნევად.

ჩამოვთვალე ელჩის ყველა მსახური. ამ ადამიანებთან მიხედვით და მუშაობა და, ბუნებრივია, ისინი ამჩნევდნენ, როგორ ვიქცეოდი.

ელჩის პირად მდივანს ლუისი ერქვა. ეს იყო მშვენიერი ქალი, ისეთივე მორჩილი და უტყვი, როგორც სეიფი, მის ოთახში რომ იდგა. მე ყურადღებით დავათვალიერე სეიფი

და რაღაც უცნაურად გავუღიმე მის ლუისის. მან კი ცივად გამომართვა ელჩის პატარა შავი ყუთი.

მის ლუისიმ სეიფი გააღო და გავიგე. თუ სად ინახებოდა პატარა შავი ყუთის გასაღები. დღისით იგი მის ლუისისთან იყო, ხოლო ღამით ელჩს თან მიჰქონდა.

მის ლუისიმ პატარა შავი ყუთი სეიფში პატარა წითელი ყუთების გვერდით დადგა.

ელჩის რეზიდენციაში ჩემი ყოფნის უკვე მესამე დღეს მივზვდი შავი და პატარა წითელი ყუთების სისტემის აზრს. ეს სერ ჰიუს ბუნების მეტად განსაზღვრული თვისებებით აიხსნებოდა.

ყველა დეპეშა, მოხსენება, მემორანდუმი, ესე იგი ყველაზე მნიშვნელოვანი დოკუმენტები, პატარა წითელ ყუთებში ინახებოდა. ისინი საელჩოდან მის პირად რეზიდენციაში მიჰქონდათ, რადგან სერ ჰიუს აქ ამჯობინებდა მუშაობას.

გადაუსინჯავი დოკუმენტები ღამით მის ლიუსის სეიფში რჩებოდა. მაგრამ განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი დოკუმენტები, რომლებზეც ელჩს სურდა თავისუფალ დროს ეფიქრა, პატარა წითელი ყუთებიდან შავში გადაქონდათ, რომელიც სერ ჰიუს საწოლ ოთახში მიჰქონდა:

მაშასადამე, საიდუმლო, მაგრამ არა განსაკუთრებულად საიდუმლო დოკუმენტები ინახებოდა საელჩოში ძლიერი დაცვის ზედამხედველობით. სამაგიეროდ, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი დოკუმენტები დღისით ელჩის მაგიდაზე პატარა წითელ ყუთებში იმყოფებოდა, მის პირად რეზიდენციაში, ხოლო ღამით მას ლუისის სეიფში სდებდნენ, რომელიც უბრალო მოსახმარი იყო. ერთადერთი მოდარაჯე ძალდი ამ კაბინეტის კარის მიღმა ათას რვაას ოთხმოცდა ოთხ წელს დაბადებული დაღლილი მცველი გუშაგი იყო, რომლის ჯანმრთელობა ძლიერ შერყეული იყო მრავალწლიანი ღამის მორიგეობით. როდესაც მას ეძინა, ცუდად მორგებული კბილის პროტეზები სტვენდნენ. სერ ჰიუს შავი პატარა ყუთის დოკუმენტებით გვიან ღამემდე იჯდა და მხოლოდ ძილის მომგვრელი ტაბლეტების საშუალებით იძინებდა.

ჩემი ოთახი, რომელიც, როგორც უკვე ვთქვი, სხვა მსახურთა გვერდით იყო, პატარა და მეტად უბრალო მოწყობილი გახ-

ლდათ. საწოლი, მაგიდა, კარადა ტანსაცმლისათვის და სკამი. დამატებით მე ვყუიდე ასვატიანი ნათურა და მოვიტანე ლითონის ღეროები, ასევე ლითონის რგოლი. ფოტოაპარატი შეიძლება მიგეხრახნა ლითონის დისკოზე, ხოლო ღეროები გამოგეყენებინათ როგორც დგარი. ასე გამოვიდა სამფეხი, რომლის დახმარებით ადვილი იყო დოკუმენტების გადაღება. რათა თავიდან ამეცილებინა ეჭვი, ორი ღერი კარადას მოვარგე და მათზე ჰალსტუხები ჩამოვკიდე, ხოლო დანარჩენი ორი პირსაბანის მახლობლად კედელზე მივაშვებ. მათზე პირსახოცს ვკიდებდი, ზოგჯერ კი გარეცხილ წინდებს.

ლითონის დისკო საფერფლედ გამოვიყენე.

ნაჭდეები, რომლებიც მასზე ფოტოაპარატის მიხრახნით წარმოიქმნა, დამწვარი სიგარეტების კვალივით აჩნდა. მერე ცვილის დიდი ნაჭერი მოვიტანე.

მარა ჩემი ნუგეში იყო. მასთან ყველაფერს ვივიწყებდი.

— რატომ არ უნდა დაკვამყოფილდე იმით, რაც მე მაქვს? — როგორღაც ვკითხე მას, თითქოს იგი რაიმეში დამნაშავე ყოფილიყო. — მე ახლა ყველაზე კარგად ანაზღაურებული სამუშაო მაქვს რომელიც კი ოდესმე მქონდა. რატომ უნდა ვაკეთო ასეთი საქმეები?

ამინდევით ცვალებადი ხასიათისა ვიყავი, უგუნებობა სწრაფად ცვლიდა ჩემს მხიარულობას.

მარამ მეგობრულად მომიჭირა ხელი. იგი თავის მოვალეობად თვლიდა გავემხნეებინე. სწამდა, რომ მე თურქეთის პატრიოტი ვიყავი, რაშიც თითქმის თვითონაც დავრწმუნდი.

— ისე მეშინია შენ გამო, მაგრამ შენ უნდა გააკეთო ეს.

ჩემი სულიერი განწყობილება უცებ შეიცვალა. მე გავიღიმე და სერ ჰიუს შესახებ ჩამოვუგდე ლაპარაკი, რომლის, როგორც ნავარაუდები იყო, ერთგული ვიყავი.

— დილით უნდა ნახო იგი, — დავიწყე მე. — უნებისყოფი და რბილი, როგორც ძველი ფლანელის შარვალი, მაგრამ თანდათანობით გონს მოდის, გადაყლაპავს ფორთოხლის წვენს, შემდეგ ადგება ლოგინიდან და აბაზანას მიიღებს. ჰოდა, გამო-

ცოცხლდება, როგორც ზიზილა, და შეუძლია მთელი დღე აკეთოს გონებრივი სამუშაო.

— რა კარგად ლაპარაკობ! — წამოიძახა მარამ.

ჯერჯერობით ბედი მილიმონდა. პალტოს ჯიბიდან სამი ნაჭერი ცვილი ამოვიღე და ვაჩვენე.

— რა არის ეს? — წამოიძახა მან.

— გასაღების ანაბეჭდი, — დავიტრაბახე და უუამბე. როგორ შევძელი ამის გაკეთება.

მისი აღმატებულობა აბაზანაში ჰყუმპალაობდა, ვიდრე მე საწოლ ოთახში მის ნაცრისფერ კოსტიუმს ვწმენდდი. მისი სეიფის გასაღები, პატარა, წითელი და შავი ყუთების გასაღებები ტუმბზე იდო.

მე სწრაფად გავაკეთე გასაღებების ანაბეჭდი. გასაღებზე ცვილის პატარა ნაჭერი დარჩა. გარდერობიდან სერ ჰიუს ერთ-ერთი ცხვირსახოცი ავიღე, გასაღებები გავწმინდე და უკან, მაგიდაზე დავდე.

ამ მომენტში სერ ჰიუს ხალათში გამოწყობილი საწოლ ოთახში შემოვიდა. იგი ისე უეცრად გაჩნდა, რომ შეშინებაც ვერ მოვასწარი.

ხელში თოვლივით თეთრი ცხვირსახოცი მეჭირა.

— გასარეცხად უნდა მივცე, თქვენო აღმატებულება. — ჩაველაპარაკე მე.

სერ ჰიუს თავი დამიქნია, მაგრამ ჩემი სიტყვები ნამდვილად არ გაუგონია, ტუმბს მიუახლოვდა, სწრაფად აიღო გასაღებები, ხალათის ჯიბეში ჩაიღო და ისევ გავიდა.

ერთი წუთის შემდეგ გავიგონე როგორ გამოივლო მან პირში წყალი. ოფლი აბრეშუმის ცხვირსახოცით მოვიწმინდე.

ტრაბახს განვაგრძობდი:

მოგესმინა, როგორ ივლებდა პირში წყალს, მთის ნაკადულის ჩხრიალი გეგონებოდა.

კმაყოფილებით ვუყურებდი ცვილის ანაბეჭდებს და წარმოვიდგინე, როგორ შეშინდებოდა სერ ჰიუს, როდესაც უეცრად გაახსენდა, რომ მას თან არა აქვს სრულიად საიდუმლო

დოკუმენტების ყუთების გასაღებები. იგი აბაზანიდან, ალბათ, გოივიით გამოვარდა.

წუთიერი სიჩუმის შემდეგ თვითკმაყოფილმა გავილიმე და დავუმატე.

— სერ ჰიუ ძლიერ კარგად არის აღზრდილი. მას რომ დრო არ დაეკარგა ხალათის ჩაცმაში, იგი აუცილებლად დანაშაულზე წამასწრებდა.

ჩვენ კავაკლიდერეზე, მყუდრო პარკში, სკამზე ვისხედით. იგი ჩამეხუტა და წამიჩურჩულა:

— იცი, რაზე ვოცნებობ ზოგჯერ? ჩემს სახლზე, რომელშიც ჩვენ ბედნიერი ვიქნებოდით.

— თუ ყველაფერი ნორმალურად წარიმართება, მალე ასეთი სახლი გვექნება, — ვუპასუხე მე.

იგი ისე ვნებიანად მომეხვია, რომ კიდევ დამავიწყდა, რის შესახებაც ვფიქრობდი.

— როდის აპირებს მისტერ ბასკი შემდეგ ბანკეტზე წასვლას?

— ზეგ.

იმ საღამოს, როდესაც მისტერ ბასკი ბანკეტზე წავიდა, მარასთან წავედი.

მისტერ ბასკის პორტფელში გვარების სია ვიპოვე და სამზარეულოში გადავიღე იგი.

დამე მარას ოთახში გავათიე. ფოტოაპარატი ჩემი პალტოს ჯიბეში იყო, რომელიც საწოლის ზურგზე ეკიდა.

გადაღებულ სიაში ჩამოთვლილი იყო თურქეთში ინგლისის ყველა საიდუმლო აგენტის სახელები.

განთიადისას სახლიდან გამოვედი. ეს იყო ათას ცხრაას ორმოცდასამი წლის ოცდაექვსი ოქტომბერი. ეს დღე ჩემთვის გადამწყვეტი უნდა ყოფილიყო: საღამოს გერმანიის საელჩოში შეღწევა გადავწყვიტე.

ორმოცდათორმეტი სურათი მქონდა და ვფიქრობდი. როგორი თანხა მომეთხოვა მათში. იმ დღეს ვცდილობდი არ შევჩეხებოდი სერ ჰიუსს.

გადავწყვიტე, მომეთხოვა 20 000 გირვანქა სტერლინგი

მოსვენებას მიკარგავდა აზრი, რომ შესაძლებელი იყო მიმე-  
ლო ფულის ასეთი დიდი თანხა.

საელჩოში ფარულად უნდა შემეღწია. ამასთან არ უნდა  
დამვიწყებოდა, რომ სულ ექვსი თვის წინ საელჩოს მრჩევე-  
ლის ენკეს ყავასი ვიყავი. აუცილებლად უნდა დარწმუნებუ-  
ლიყვნენ გერმანელები, რომ მე გამოცდილი ჯაშუში და პერ-  
სპექტიული აგენტი ვიყავი.

მოუთმენლად ველოდი სამუშაოს დამთავრებას. ოცდაექ-  
ვსი ოქტომბერი ყველაზე გრძელი დღე იყო ჩემს ცხოვრებაში.  
ინგლისის საელჩოდან სალამოს ექვს საათზე გამოვედი, ჭი-  
ბეში ფირი მეღო.

გერმანიის საელჩოში მეკარე იუგოსლაველი პეტერი იყო-  
მან მაშინვე მიცნო.

— შენ რა, დაბრუნება ხომ არ გსურს? — მკითხა მან.

— შესაძლოა, — ვუპასუხე მე.

ძლივს ვიკავებდი თავს. შვიდმა ააათმა დარეკა. ეს იგი  
მთელი საათი ამაოდ ვცდილობდი თავის დამშვიდებას.

— გთხოვთ, უთხრათ ფრაუ ენკეს, რომ მისი ნახვა მსურს, —  
ვეუთხარი მე.

გერმანიის საელჩო ათათურქის ბულვარზე მდებარეობდა.  
დაქანგული რკინის კარების მიღმა თავისებური ცხოვრება დუ-  
ღდა: გრუხუნებდნენ და ზანზარებდნენ მანქანები, სახედრე-  
ბზე შემჯდარი მამაკაცები და ფეხშიშველი გლეხები ქალაქში  
მიდიოდნენ. შიგნით კი სუფევდა წესრიგი, სიჩუმე, უზადო სფ-  
სუფთავე.

ინგლისისა და გერმანიის საელჩოთა შენობები ყველაზე  
დასამახსოვრებელი იყო ანკარაში. გაფიქრებამ, რომ ყავასას  
ელიას ბაზნას ამ ორ საელჩოსთან ყველაზე მჭიდრო კავშირი  
ექნებოდა, მაიძულა გამეღიმა.

პეტერი რეკავდა ტელეფონით.

— ისინი გელოდებიან, — მითხრა მან.

გზა ვიცოდი.

სახლი, რომელშიც, ცოლ-ქმარი ენკე ცხოვრობდა, საელ-

ჩოს გვერდით მდებარეობდა. იგი აღმოსავლური სტილით იყო ნაგები. მე შემომეგება უცნობი ყავასი. როგორც ჩანს, ენკემ იგი ჩემს წასვლის შემდეგ აიყვანა.

მან სასტუმრო ოთახში გამიყვანა.

დივანზე დავეჯექი, რომელზეც რამდენიმე თვის წინ ჩემი სურათი გადავიღე... ოთახი ისეთივე იყო, როგორც წინათ, როდესაც მე ვალაგებდი. ეტყობოდა ქალის მზრუნველი ხელების კვალი, ფრაუ ენკემ, რიბენტროპის დამ, იგი დიდი გემოვნებით მოაწყო. ღრმა, რბილი სავარძლები, მძიმე ფარდები, ძვირფასი, ხალიჩები.

წამოვდექი და ფარდები ჩამოვაფარე, შემდეგ ორი ნათურა ჩავრთე და მოხერხებულად მოვეწყვე სავარძელში. მე სიბნელეში ვიმყოფებოდი.

მეტად დიდხანს ვიცდიდი.

ფრაუ ენკე ორმოცი წლის, ნერვული, პატივმოყვარე ქალი იყო. როგორც ყოფილმა მსახურმა, ვიცოდი, რომ იგი სვამდა ბულგარული ბელადონის ფესვებიდან დამზადებულ წამალს. მასთან შეთვისება ყოველთვის როდი იყო ადვილი. იგი პარკინსონის დაავადებით მოკვდა. შესაძლოა, იგი, გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრის და, ჭერ კიდეც ავად იყო მაშინაც, როცა მათთან ვმუშაობდი. მაგრამ მე, ყავასს, ამას არასდროს არ მიმქლავნებდა.

როდესაც იგი ოთახში შემოვიდა, წამოვდექი.

—სალამო მშვიდობისა, მადამ, — წავიჩურჩულე მე.

—რატომ ჩამოაფარეთ ფარდები, ელიას? — მკითხა მან.

— მადამ, თქვენგან ბევრი ფულის მიღების იმედი მაქვს... მისმა სახემ გაოცება არ გამოხატა...

— ვშიშობ, მე არ მექნება თქვენთვის დრო, — მითხრა მან.

— დაეჯდეთ, მადამ, — შევთავაზე მე.

მის თვალებში გაოცებამ გაიფლვა.

— არა, ელიას, ჩვენ არ დავსხდებით. უკეთესი იქნება, თუ აქვენ ახლავე წახვალთ.

მაგრამ მე არ მესმოდა მისი სიტყვები.

— მე ეს-ეს არის ინგლისის საელჩოდან წამოვედი. ახლა



სერ ჰიუ ნეტჩულ-ჰიუგესენის კამერდინერი ვარ. ჩემი სი-  
ცოცხლის რისკის გაწევით მე...

სიჩუმე ჩამოვარდა, ჩემი ხელები ნოტიო გახდა.

ფრაუ ენკემ პირველმა დაილაპარაკა:

— მე ვფიქრობ, ჩემი ქმარი ისურვებს თქვენს ნახვას.

ერთხელ მე წავიკითხე რამდენიმე წერილი, რომელიც ალბერტ ენკემ თავისი ცოლისძმის — რიბენტროპისაგან მიიღო და თუმცა ენკეს არაფერი უთქვამს ჩემთვის ამის შესახებ, მაგრამ მე ვიცი, ეს საკმარისი იყო ჩემს გასანთავისუფლებლად. და ახლა, ათას ცხრაას ორმოცდასამი წლის ოცდაექვსი ოქტომბრის საღამოს, მე კვლავ უნდა შევხვედროდი ენკეს.

ინვე ენკე ქმრის დასაძახებლად გავიდა.

დაბოლოს, ორივენი მოვიდნენ. ისეთი შთაბეჭდილება დამჩა, თითქოს ენკეს სურდა, მის ცოლს მიეღო მონაწილეობა ამ საქმეში.

— საღამო მშვიდობისა, ელიას, — მითხრა მან.

როგორც საქმიანი ადამიანი, ალბერტ ენკე ელოდა, თუ რას შევთავაზებდი.

იგი დაახლოებით ორმოცდაათი წლისა იქნებოდა. პროფესიული დიპლომატი არ ყოფილა. მამა გერმანელი ჰყავდა, დედა — შვედი. მამამ მცირე სახელი მოიპოვა თურქეთში, სადაც ჯებირს აგებდა ხეობაში.

ალბერტ ენკე, ასევე საქმიანი კაცი, მრავალი წლის განმავლობაში ცხოვრობდა სტამბულში. თურქეთი მისი მეორე სახლი იყო. და რიბენტროპის დაზე ქორწინება რომ არა, მას არასდროს მოიწვევდნენ დიპლომატიურ სამუშაოზე.

წინათ, როდესაც მსახური ვიყავი, ენკე საელჩოს მრჩეველი გახლდათ, მაგრამ უკანასკნელ დღეებში იგი დააწინაურეს: დესპანი გახდა.

— ბატონო დესპანო, ნება მიბოძეთ, გულწრფელად მოგილოცოთ, — თავაზიანად ვუთხარი მე.

— გმადლობთ.

მან უთუოდ გაიფიქრა, ეს სრულიადაც არ არის ყავასის საქმეო, თანაც არაკეთილი საიმედოობის გამო დათხოვილი ყავასისა. ნერვულობის დასაფარავად ლაპარაკი დავიწყე. სიტყვები სხაპასხუპით მივაყარე:

— თურქეთი და გერმანია ყოველთვის მეგობრები იყვნენ. ისინი არასდროს იბრძოდნენ ერთმანეთის წინააღმდეგ. ჩვენ, თურქებს, ყოველთვის გვიყვარდა გერმანელები და ჩვენი დამოკიდებულება თქვენდამი არ შეცვლილა...

ენკეს სახე წინანდებურად ინარჩუნებდა ცივ გამომეტყველებას. ის, რასაც მე ვამბობდი, სიმართლე იყო და არ იწვევდა საწინააღმდეგო აზრს. მაგრამ ჩემი ხმის ყალბი კილო ჩემს სიტყვებს ცარიელს და არაფრის გამომხატველს ხდიდა. ენკეს თვალეში დამცინავი—ირონიული ნაპერწკლები გამოჩნდა და ამან გამაბრაზა. ტონი შევცვალე.

— გერმანელების საქმე ახლა ისე კარგად აღარ მიდის, რომ უარი თქვან დახმარებაზე, საიდანაც არ უნდა იყოს იგი,—უბეშად ვთქვი მე.—მე მაქვს შესაძლებლობა ინგლისის საელჩოში „ლეიკით“ გადავიღო დოკუმენტები. გვთავაზობთ ფირს სურათებით. ყველა დოკუმენტი, რომლებიც გადავიღე, ნიშანდადებულია გრიფი „საიდუმლოდ“ ანდა „სრულიად საიდუმლოდ“.

— სურათები აქა გაქვთ?—შემაწყვეტინა ენკემ.

ჩემი თითები ჭიბეში ფირის ლენტს ეთამაშებოდნენ.

— არა, — ვუპასუხე მე. — მაგრამ ახლა შემიძლია შეგთავაზოთ ორი ფირი, რომელშიც ოცი ათასი გირვანქა სტერლინგის მიღება მსურს. თუ თქვენ მიიღებთ ჩემს წინადადებას, ყოველი შემდგომი ფოტოფირი ეღირება თხუთმეტი ათასი გირვანქა სტერლინგი.

— ჭკუიდან შეიშალეთ!—წამოიძახა მან.

— თქვენ, რასაკვირველია, შეგიძლიათ უარი თქვათ ჩემს წინადადებაზე. მაგრამ სხვა საელჩო ხომ ახლოსაა აქედან. იქ უთუოდ კარგად გადამიხდიან ცნობებისათვის, რომელიც ინგლისელთა და ამერიკელთა განზრახვებს ამხელს.

ცოლ-ქმარმა ენკემ ერთმანეთს გადახედეს.

— ჩვენ არ შეგვიძლია გადავიხადოთ ასეთი თანხა, როცა არ

ვიცი, რა ღირებულებისაა თქვენი სურათები. ყოველ შემთხვევაში, ჩვენთან საელჩოში ასეთი დიდი თანხა არ არის.

— მაშასადამე, მოგიხდებათ შეეკითხოთ ბერლინს. მე ტელეფონით ოცდაათ ოქტომბერს დავრეკავ და თქვენ მეტყვიით, მიიღო თუ არ ჩემი პირობები ბერლინმა.

— მოიზიში, — ჩაერია ფრაუ ენკე.

ენკემ ჩაფიქრებით გადახედა მას და თავი დაუქნია.

— დიახ, ეს მას ეხება.

შემდეგ წამოდგა და მომიბრუნდა.

— ახლა უკვე გვიანაა. მე ერთ ადამიანთან დაგაკავშირებთ. საათს დავხედე. უკვე სამი საათი იყო, რაც საელჩოში ვიმყოფებოდი.

— ვწუხვარ, რომ ამდენი დრო დაგაკარგვინეთ, მაგრამ მე დიდხანს მაიძულეს მეცადა...

ფრაუ ენკე ტელეფონს მიუახლოვდა და ნომერი აკრიფა. ზგი დიდხანს იცდიდა, ვიდრე პასუხს მიიღებდა.

მისი სიტყვებიდან მივხვდი, რომ ადამიანი, რომლის გვარი მოიზიში იყო, დაუყოვნებლივ უნდა მოსულიყო საელჩოში.

ფრაუ ენკემ ყურმილი დადო და ქმარს გერმანულად უთხრა:

— იგი წევს.

— მაგრამ ახლა ხომ მხოლოდ თერთმეტის ნახევარია, — შევნიშნე მე.

ორივემ გადმომხედა.

— თქვენ ლაპარაკობთ გერმანულად?

— ცოტას.

აქამდე ფრანგულად ვლაპარაკობდით..

— მეც დასაძინებლად მივდივარ, — თქვა ენკემ და კარებისკენ წავიდა.

როდესაც უკვე კარს მიუახლოვდა, ხმამაღლა ვკითხე:

— შემიძლია ვუთხრა ბატონ მოიზიშს, რომ თქვენი მსახური ვიყავი?

ენკემ ცივად მიპასუხა:

— მე არ შემძლია დაჟინებით მოგთხოვრით, რომ არ უთხრათ. მე თითქმის დავივიწყე, რომ ჩემი მსახური იყავით, ინგლისის ელჩი ერთხელ ასევე უკმაყოფილოდ გაიხსენებს თქვენს სამსახურს.

ენკე გავიდა. ფრაუ ენკე მაშინვე მიჰყვა მას.

მე ისევ ვიცდიდი. გერმანელებს არ სჯეროდათ ჩემი. ჩემი ერთადერთი იარაღი მოთმინება იყო.

ვისარგებლე ენკეს სიგარეტებით. ინგლისური სიგარეტები, რომელთა მოწვევასაც ინგლისის საულჩოში მივეჩვიე, უკეთესი იყო.

მოიზიში საშუალო სიმაღლის, ღონიერი, შავგვრემანი კაცია, მოძრავი თვალებით. იგი ავსტრიელია. მისი ოფიციალური თანამდებობა საელჩოში—სავაჭრო ატაშე, სინამდვილეში კი სს-ის ობერმტურმბან-ფიურერი იყო და მუშაობდა საიმპერიო უშიშროების მთავარი სამმართველოს მეექვსე განყოფილებაში. იგი ემორჩილებოდა არა ელჩს, ფონ პაპენს, არამედ კალტენბრუნერს. ყველაფერი ეს მოგვიანებით გავიგე. მაშინ კი მხოლოდ შემეძლო მევარაუდა, რომ იგი გერმანელთა საიდუმლო სამსახურში მუშაობდა.

მოგვიანებით მოიზიშის მიერ დაწერილი ჩემი დახასიათება წავიკითხე:

„თითქოსდა იგი უკვე ორმოცდაათს გადაცილებულსა ჰგავდა. ხშირი შავი თმა მაღალი შუბლიდან პირდაპირ უკან ჰქონდა გადავარცხნილი, ხოლო შავი თვალები ყოველთვის მოუსვენრად გაუბოდნენ ჩემგან კარებისაკენ. მას მტკიცედ შემოხაზული ნიკაპი და პატარა უფორმო ცხვირი ჰქონდა. საერთოდ არც ისე მიზიდველი სახე. მოგვიანებით, როდესაც მას ახლო გავეცანი, გადავწყვიტე, რომ ადამიანის სახე ჰგავს ტაკიმასხარას სახეს უგრიმოდ, რომელიც მიჩვეულია დამალოს თავისი ჭეშმარიტი გრძნობები“<sup>1</sup>.

აი, ასეთი მოვეჩვენე მოიზიშს. მის თვალებში მე ზიზღი

<sup>1</sup> იხ. ლ. მოიზიში, ოპერაცია „ციცერონი“.

და უსიტყვო გაოცება დავინახე იმის გამო, რომ ბატონმა ენკემ მარტო დამტოვა თავის სასტუმრო ოთახში.

— თქვენ გითხრეს ჩემი წინადადების შესახებ? — ვკითხე მე.

მან უარყოფის ნიშნად თავი გააქნია. მე ვცდილობდი მომეთმინა. თითქოსდა მე დოკუმენტი ვიყავი, რომელიც ერთმა თანამშრომელმა მეორეს გადასცა.

კვლავ გავიმეორე ის, რაც ენკეს ვუთხარი. მოიზიშმა აშკარად არ დამიჯერა. ჩემ მიერ ოცი ათასი გირვანქა სტერლინგის მოთხოვნამ იგი გააცინა:

— თქვენი სახელი?

— ამას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს. შეეკითხეთ ბატონ ენკეს.

— მე არ შემიძლია ფულის მოთხოვნა, როდესაც არ მინახავს თქვენი სურათები.

— მე ოცდაათში თხუთმეტ საათზე დაგირეკავთ. პიერი ვარ-მეთქი, გეტყვით.

— მაშასადამე, პიერი გქვიათ?

— თუ თქვენ ფული გქნებათ, როდესაც დაგირეკავთ, ჩვენ შევხვდებით ერთმანეთს.

— სად?

— საელჩოს უკან ფარდულია ინვენტარით.

— თქვენ ესეც იცით?

— დიახ, რასაკვირველია. იქ ზუსტად სადამოს ათზე ვიქნები. თქვენ ფულს მაჩვენებთ, მე კი ფირს მოგცემთ. თქვენ მაშინვე გაამჟღავნებთ მათ. იმედი მაქვს თქვენთან საელჩოში ამისათვის ყველაფერი გაქვთ.

— დიახ.

— თქვენ გაცნობით სურათებს, მე კი დავიცდი. შეგიძლიათ ფული არ მომცეთ მანამ, ვიდრე არ გასინჯავთ სურათებს და არ დარწმუნდებით, რომ ისინი ღირან იმად, რასაც მათში მოვითხოვ. ეს პირობები თქვენ ხელს გაძლევთ?

გულდაჯერებულობამ, რომლითაც მე ვლაპარაკობდი, აიძულა მოიზიში ყურადღება დაეძაბა. ჩემი ნაოცნებარი, როგორც ჩანს, აღარ ეჩვენებოდა ასე დაუჯერებლად.

— მე მჭირდება ახალი ფოტოაპარატი, „ლეიკა“,—ჩუმად

ვუთხარი მე. — თქვენ ასევე უნდა უზრუნველყოთ ფირებით. გამოყენებული ფირის ნაცვლად ახალს მომცემთ. მე არ უნდა მნახონ ფოტოხელსაწყოების ყიდვისას.

ახლა იგი დიდი ყურადღებით მისმენდა.

-- ბერლინი არასდროს დათანხმდება გადაიხადოს ასეთი უზარმაზარი თანხა, — მითხრა მოიზიშმა.

— ეს თქვენი საწუხარია და არა ჩემი. ახლა, დიდად დამაყალებთ, თუ დარბახსა და კიბეზე სინათლეს გამოართავთ. მე მივდივარ.

მომეჩვენა, თითქოს მთელი რიგი შეკითხვების მოცემა სურდა, მაგრამ გადავწყვიტე, რომ წასვლის დრო იყო. ნერვები უკიდურესად დაქიმული მქონდა. იყო წუთები, როცა მთელი წამოწყება არარეალური და უაზროც კი მეჩვენებოდა.

ჩემი მტკიცე მოქმედებით მოჯადოებულმა მოიზიშმა სინათლე გარედან გამორთო. მე ხელი ჯიბეში მედო და მაგრად ვუჭერდი ფირს. მეგონა. მას რომ გაეგრძელებინა შეკითხვების მოცემა, ფეხებში მიუვადებდი ფირებს და ამით უდიდეს შვებას ვიგრძნობდი, თუნდაც ერთი ფენინგიც არ მოეცა.

ლამის სიბნელეში გავუჩინარდი.

მეორე დღით ანკარის გერმანიის საელჩოდან ბერლინში გაგზავნილ იქნა დაშიფრული დეპეშა:

„გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრს. პირადად. სრულიად ნაიდუმლოდ. ჩვენ გვაქვს ინგლისის საელჩოს მოსამსახურის წინადადება, რომელმაც თავი ინგლისის ელჩის კამერდინერად წარმოგვიდგინა, ვიყიდოთ სრულიად საიდუმლო ორიგინალური დოკუმენტების სურათები. დოკუმენტების პირველ პარტიაში იგი მოითხოვს (30 ოქტომბერს) ოცი ათას გირვანქა სტერლინგს. ყოველ შემდგომ ფირში — თხუთმეტი ათას გირვანქა სტერლინგს. გთხოვთ გვაცნობოთ, მივიღოთ თუ არა ეს წინადადება, თუკი, მაშინ საჭირო თანხა უნდა ჩამოტანილ იქნეს სპეციალური შიკრიკის მიერ არა უგვიანეს ოცდაათი ოქტომბრისა. ინგლისის ელჩის კამერდინერად წოდებული რამდენიმე წლის წინ ჩვენი საელჩოს პირველ მდივანთან მსახურობდა. მეტი მის შესახებ არაფერია ცნობილი. პაპენი“.

ამ დეპეშის ტექსტი ჩემთვის მხოლოდ ათი წლის შემდეგ

გახდა ცნობილი, ხოლო პასუხი, რომელიც მაიძულებდა მეზე-  
იმა, შედარებით ადრე გავიგე:

„ელჩ ფონ პაპენს. პირადად. სრულიად საიდუმლოდ. ინგ-  
ლისის კამერდინერის წინადადება მიიღეთ, დაიცავით გამაფრ-  
თხილებელი ზომები. სპეციალური კურიერი ანკარაში ოცდა-  
ათში შუადღემდე ჩამოვა. დოკუმენტების მიღების შემდეგ და-  
უყოვნებლივ ველოდები მოხსენებას. რიბენტროპი“.

იმ დროს, როდესაც ამ დეპეშების გაცვლა ხდებოდა, სას-  
ტუმბრო „ანკარა პალასში“ ვიჯექი. ბევრს ვსვამდი, მაგრამ არ  
ვივრებოდი.

რუბიკონი გადავლახე და უკან დაბრუნება აღარ შეიძლე-  
ბოდა. ძნელია გადმოსცე ის მღელვარება, რომლითაც ველო-  
დი 30 ოქტომბერს. მაგრამ მე არც ერთ შემთხვევაში არ უნდა  
დამეკარგა ჭკუა. უფრო მეტიც, ამ დღეებში ჩემთვის საჭირო  
იყო განსაკუთრებული ყურადღებით მოვკიდებოდი ჩემს კა-  
მერდინერულ მოვალეობას. ოცდაცხრა. ოქტომბერი თურქე-  
თის ეროვნული დღესასწაულია. წინააღმდეგობით, სადამოს, თურქე-  
თის საგარეო საქმეთა სამინისტროში დიპლომატიური დარ-  
ბაზობა იყო, ოცდაათ ოქტომბერს, შუადღისას, პრეზიდენტმა  
ინენიუმ დარბაზობა მოაწყო დიპლომატიური კორპუსისათვის,  
ხოლო ნაშუადღევს დიდი სამხედრო პარადი გაიმართა იზოდ-  
რომზე. სერ ჰიუსათვის შესაფერისი კოსტიუმები უნდა მომემ-  
ზადებინა.

როდესაც სერ ჰიუს საპარადო კოსტიუმს ვუმზადებდი,  
რომლითაც პრეზიდენტთან მიღებაზე უნდა წასულიყო, იგი  
საწოლ ოთახში შემოვიდა, შემხედა, როგორ ვაცილებდი უკა-  
ნასკნელ მტვერს მის კოსტიუმს და ღიმილით მითხრა:

— ელიას, ახლა შესაფერისი შემთხვევაა გითხრათ, რამ  
თქვენი ძლიერ კმაყოფილი ვარ. თქვენ ჩინებული კამერდინე-  
რი ხართ.— მან ეს წყნარი სასიამოვნო ხმით მითხრა.

— გამადლობთ, თქვენო აღმატებულებავ.

ძალა აღარ მქონდა შემეხედა სერ ჰიუსათვის, მის კოსტი-  
უმს ვუყურებდი.

სერ ჰიუს ძალიან კარგ გუნებაზე იყო.



— საოცარი რამეა, იმყოფებოდე ნეიტრალურ ქვეყანაში ასეთი ომის დროს, როგორც ეს არის,— შენიშნა მან. ამ დროს მე უსიტყვოდ ვაწოდებდი მას ტანსაცმელს.

— სამხედრო პარადზე თურქეთის მთავრობამ უნდა იზრუნოს იმაზე, რომ მტრულად განწყობილი სახელმწიფოების წარმომადგენლები მნიშვნელოვან მანძილზე იმყოფებოდნენ ერთმანეთისაგან...

— თქვენო აღმატებულება, — წარმოვთქვი მე, — ძალიან მოხარული ვარ. რომ ჩემი ქვეყანა ნეიტრალურია.

მან ყურადღებით შემხედა, მაგრამ არავითარი ყურადღება არ მიუქცევია ჩემი სიტყვებისათვის. მე ვიცოდი, რომ თავისი მთავრობის მითითებების მიხედვით, იგი ყველაფერს აკეთებდა, რაც მასზე იყო დამოკიდებული, რათა თურქეთი ომში ჩაება. მან უღიმღამოდ გაიღიმა და განაგრძო:

— პრეზიდენტთან მიღებაზე ელჩების წარდგენა ხდება სახელმწიფოთა სახელწოდების ანბანის რიგის მიხედვით. თქვენ გესმით, რას ნიშნავს ეს?

მე მეტად დიდხანს ვიყავი ყავასად, ამიტომ მესმოდა, თუ რას ნიშნავდა ეს.

— მათი წარდგენა ხდება ფრანგული ანბანის რიგით: პირველად ელჩი Allemagne, შემდეგ Anglettere, ესე იგი პირველად გერმანიის ელჩი, შემდეგ კი ინგლისის, — განაგრძობდა სერ ჰიუ ნეტჩბულ-ჰიუგესენი, — მე შეეხვდები გერმანიის ელჩს, როდესაც ბატონი ფონ პაპენი გამოჩნდება დარბაზში, მე შესასვლელთან მოვიციდი. ჩვენ მივესალმებით ერთმანეთს ძლივს შესამჩნევი თავის დახრით, ისე რომ სახეში არ შეეხვდავთ. ასეთია წესი. ჩვენი ხალხები ერთმანეთს ელეტენ, ჩვენ კი ერთმანეთს ვესალმებით.

— ყველაფერი ეს ძლიერ საწყენია, თქვენო აღმატებულება, — თავს ნება მივეცი შემენიშნა ეს.

მოულოდნელად სერ ჰიუმ რაღაც მშრალი, მოკლე ხმა გამოსცა. როგორც ჩანს, რაღაც სამხიარულო გაახსენდა.

— რამდენიმე წლის წინათ, როდესაც პეკინში ვიმყოფებოდი, პაპენის შვილი ჩემი ოჯახის მეგობარი იყო. ჩვენ კარგი ურთიერთობა გვქონდა.

მან ისევ გაიცინა.

— რა მოხდებოდა, თქვენ რომ უცებ ვერმანიის საელჩოში ბატონ პაპენისათვის პატარა საჩუქარი მიგერთმიათ?

გულის ძგერა შემიწყდა, ხომ არ გავები ხაფანგში-მეთქი. იქნებ გერმანიის საელჩოში შესვლისას მნახეს? ამ აზრებმა საშინლად გამაწითლეს.

მაგრამ სერ ჰიუმ ხმამალა გაიცინა.

— რატომ შეიურებთ ასე შეშინებული? — მკითხა მან. — მე ახლახან გამახსენდა, რომ თურქეთის ეროვნული დღესასწაული ჩემი კოლეგა ფონ პაპენის დაბადების დღეს ემთხვევა. თუ მეხსიერება არ მალატობს, ახლა იგი სამოცდაოთხი წლისაა. მშვიდობიანი დრო რომ იყოს, ბუნებრივია, მივულოცავდი, მაგრამ ახლა ომია. წელს იგი იოლად უნდა წავიდეს ინგლისური საჩუქრის გარეშე.

ერთხელ კიდევ დავრწმუნდი, რომ სერ ჰიუმს კარგად ადგა ფორმა და გავიღიმე. მაგრამ მალე გუნება შემეცვალა. თავდაპირველობა დამიბრუნდა.

ბირველად მას შემდეგ, რაც გერმანიის საელჩოდან წავედი. ვიგრძენი, რომ შემწვევდა ძალა დასახული მიზნის მისაღწევად.

მე გულწრფელად მეცოდებოდა სერ ჰიუმ. თავის საპარადო ფორმაში იგი ძალიან სიმპათიურად გამოიყურებოდა. როგორც კი წავიდა, მისი ოთახისაკენ ფოტოაპარატით გავეშურე, რომელიც მტვერსასრუტში მქონდა დამალული.

მეორე დღეს, ნაშუადღევს, თავისუფალი ვიყავი, რადგანაც უქმე დღეს ვმუშაობდი.

მარას შევხვდი. ჩვენ ათათურქის ბულვარში ვსეირნობდით, მაღაზიის ვიტრინებს ვუყურებდით, მარამ არ იცოდა, რომ ჩემთვის გადამწყვეტი სატელეფონო ლაპარაკი უნდა შემდგარიყო.

— გუშინ პირველად გადავიღე სურათი საელჩოში, — ვუთხარი მას.

— საელჩოში? — გაოცებით წამოიძახა მან, თითქოს დაუჯერებელი რამ ვუთხარი.

— დიახ, სერ ჰიუმს ოთახში. მაგიდაზე მდგარი პატარა წითელი ყუთები გავხსენი და ორი დეპეშა გადავიღე.

საკუთარი ხმის ბგერები ნერვებს მიწყნარებდა.

— გასაღებების ასლი გავაკეთე, — განვაგრძე მე (ისინი გააკეთა ზეინკალმა, რომელიც ჩემთან ერთად მრავალი წლის განმავლობაში მსახურობდა სტამბულის მუნიციპალიტეტის სატრანსპორტო განყოფილებაში).

მარა პანიკურმა შიშმა მოიცვა, როდესაც წარმოიდგინა, თუ რა შეიძლებოდა შემთხვეოდა.

— ოთახში რომ ელჩი შემოსულიყო?

მე თვითკმაყოფილებით გავიღიმე.

— იგი სადარბაზოდ იყო ინენიუსთან. დეპეშები ფანჯრის რაფაზე დავაწყვე და ისე გადავიღე.

სამს ხუთი წუთი აკლდა. ჩვენ სატელეფონო ჯიხურთან ვავჩერდით.

ისე ვიყავი აღელვებული, რომ ძლივს შეენიშნე ჩვენკენ მომავალი ადამიანი.

ეს იყო მანოლი ფილოტი, ინგლისის საელჩოს მზარეული იგი მეტად ცნობისმოყვარე გახლდათ, ამიტომ მოისურვა მარას გაცნობოდა.

— რა საუცხოო დღეა! — წამოიძახა მან. — როგორ ბრძანდებით? რატომ არ გავაცნობთ ერთმანეთს?

იგი პრანჭვა-გრეხასა და ყბედობას მოჰყვა. ცდილობდა შთაბეჭდილება მოეხდინა მარაზე. შემდეგ დაიწყო ლაპარაკი ელჩის საყვარელი კერძების შესახებ, თავისი სამზარეულოს ქება.

შალე მარა და მანოლი სხვადასხვა კერძების მომზადების წესთა განხილვას შეუდგნენ. მე კი ამ მომენტში ორივეს თავიდან მოცილება მსურდა.

ზუსტად სამი საათი იყო. ყასიდად საცდელად გავიღიმე:

— მე ახლა ტელეფონით უნდა დავრეკო, შენ კი, — მივმართე მანოლის, — ამასობაში უამბე მარას, როგორ ამზადებ ბაკლავას.

მანოლიმ ხმამაღლა გაიცინა და შენიშნა:

— ჰა, ჰა, ჰა! მეორე ქალიშვილთან რეკავს!

ტელეფონის ჯიხურში შევიმალე. შუბლი ოფლით მომენამა. გერმანიის საელჩოს ნომრის აკრეფის შემდეგ მოიზიში ვი-

კითხე. როდესაც მიპასუხა, მე დათქმული ფრაზა წარმოვ-  
თქვი:

— ლაპარაკობს პიერი.

მოიზიში ისე მელაპარაკებოდა, თითქოს ძველი მეგობრე-  
ბი ვიყავით.

— მოხარული ვიქნები თქვენი ნახვისა დღეს საღამოს, --  
მითხრა მან.

მე ვუპასუხე, ასევე მოხარული ვიქნები თქვენთან შეხვედ-  
რით-მეთქი.

შემდეგ მან ყურმილი დადო. ჯიხურში აუტანლად დახშუ-  
ლი ჰაერი იყო. სწრაფად გავაღე კარი და ხარბად შევისუნთქე  
სუფთა ჰაერი.

მაშასადამე, გერმანელებმა მიიღეს ჩემი წინადადება.

მღელვარებისაგან მაკანკალებდა. ვგრძნობდი, ეს ყველაზე  
საპასუხისმგებლო მომენტი იყო ჩემს ცხოვრებაში.

ზიზღით შევხედე მანოლის, ამ თვითკმაყოფილ სამზარეუ-  
ლო გრძნეულს. მას ნამდვილად არც დასიზმრებია ისეთი თან-  
ხა, როგორც ოცი ათასი გირვანქა სტერლინგია. მარას ხელი  
ჩავკიდე.

— ჩვენ უნდა წავიდეთ.

მანოლიმ გაიღიმა — გადაწყვიტა, რომ ვეპყვიანობდი.

იმ დღეს, როდესაც მოიზიშს ვურეკავდი, დამთავრდა მო-  
კავშირეთა მოსკოვის კონფერენცია. იგი თვრამეტიდან ოც-  
დაათ ოქტომბრამდე გრძელდებოდა.

ინგლისის საგარეო საქმეთა სამინისტრომ თავის დროზე  
დებეშით აცნობა ინგლისის ელჩს მოსკოვში მიღებულ გადა-  
წყვეტილებათა შესახებ. კონფერენციაზე სხვა პრობლემებს  
შორის განიხილებოდა შემდეგი საკითხები, რომელთა გადაჭ-  
რა ომს სწრაფ დასასრულამდე მიიყვანდა:

1) სასწრაფო შეკრა საფრანგეთში; 2) თურქეთზე გაძლიე-  
რებული ზეგავლენის მოხდენა ამ წლის ბოლომდე მისი ომში  
ჩაბმის მიზნით; 3) შვეციაზე ზეგავლენის მოხდენა ამ ქვეყანა-  
ში მოკავშირეთა ავიაციის საავიაციო ბაზების შექმნის მიზნით.  
სერ ჰიუმ მიიღო ინსტრუქცია მოეხდინა თურქეთის მთავრო-

ბაზე მაქსიმალურად შესაძლებელი ზეგავლენა. მას აგრეთვე აცნობეს, რომ მოსკოვიდან წამოსული მისტერ ანტონი იდენი გაჩერდა კაიროში, სადაც სურდა თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრ ნუმან მენემენჯოღლუსთან შეხვედრა. შეხვედრა დანიშნული იყო ოთხ ნოემბერს.

მე არ ვიცოდი ეს ამბები და არ მქონდა უმცირესი წარმოდგენაც კი, რომ ინფორმაცია, რომელიც ყველა ამ საკითხს ეხებოდა, უკვე ოცდაათი ოქტომბრის საღამოს პატარა წითელ ყუთებში იდო. ერთადერთი რამ, რაც ვიცოდი — ეს იყო ბელი, რომელიც ჯერ კიდევ ჩემკენ იყო.

სადილისათვის კოსტიუმი მოვამზადე, რომლის ჩაცმასაც სერ ჰიუ აპირებდა ამ საღამოს, და როდესაც მას იცვამდა, მე ვილიმებოდი. უეცრად გავიფიქრე, რომ შემდეგში, როდესაც სერ ჰიუ საპარადო ფორმით დიპლომატიურ დარბაზობაზე წავიდოდა, მე შემეძლო ფირის გადაგზავნა. ყველაფერი, რაც მე უნდა გამეკეთებინა — ეს იყო ჩამედო ფირი მის ჯიბეში, რომლიდანაც ბატონი ფონ პაპენი შეუმჩნევლად ამოიღებდა, როდესაც ელჩები ერთმანეთს გვერდს ჩაუვლიდნენ. ამ უაზრო იდეამ გამამხიარულა.

სერ ჰიუ ასევე კარგ გუნებაზე იყო.

— თქვენ კმაყოფილი ხართ. კარგად გაატარეთ დრო ნაშუადღევს? — მკითხა მან.

— დიახ, თქვენო აღმატებულებავ, — ეუპასუხე მე.

როდესაც სერ ჰიუ სადილობდა, მის ოთახში შევედი, ყუთები გავაღე, მათგან დოკუმენტები ამოვიღე, შემდეგ დავკეტე ისინი და ჩემი ოთახისაკენ გავეშურე. სწრაფად დავაყენე ფოტოაპარატი, ჩავრთე ასვატიანი ნათურა ჩემი ტუმბის თავზე და დოკუმენტები გადავიღე. სამ წუთსაც კი არ მოვუნდი, დოკუმენტები პიჯაკის ქვეშ მქონდა დამალული და სერ ჰიუს ოთახის კარებთან ვიყავი. ჩემდა სავალალოდ, კარები ნახევრად ღია იყო. თითქოს მეხი დამეცა. ოთახიდან ჩემამდე აღწევდა სერ ჰიუს ხმა: იგი ტელეფონით ლაპარაკობდა.

პანიკური შიში დამეუფლა. თითქოს იატაკს გავეკარი, მაგრამ რამდენიმე წამის შემდეგ თავი შევიკავე და ნელ-ნელა გავემართე დერეფანში. ამასობაში კარები, ნელა დაიხურა და

აჩქარებულმა ნაბიჯებმა წინ გამისწრეს. ეს იყო სერ ჰიუ, რომელიც სასადილო ოთახში ბრუნდებოდა: აშკარად გაბრაზებული იყო. ვიცოდი, რომ მას არ უყვარდა, როდესაც სადილის დროს აწუხებდნენ.

ნელა განვაგრძობდი სიარულს, ვიდრე იგი არ გაუჩინარდა.

შემდეგ შევედი მის ოთახში და ფრთხილად დავდე დოკუმენტები თავის ადგილზე.

ორი საათის შემდეგ საელჩოდან გამოვედი, რათა მოიზიშს შეცხვედროდი, მაგრამ ამ დოკუმენტების სურათები თან არ წამილია. ცრუმორწმუნე ვიყავი. ამ ფირმა კინაღამ უბედურება მომიტანა და ამიტომ არ ვაპირებდი ორჯერ თავის გამეტებას ერთ სადამოს.

გერმანიის საელჩოს ტერიტორია უკანა მხრიდან მავთულხლართით იყო შემოღობილი. ვიცოდი, სად იყო ხვრელი და შიგ გავეყვარი.

ინვენტარის ფარდული, როგორც შეხვედრის ადგილი, შემთხვევით როდი შევარჩიე. იგი გარემოცული იყო ხშირი ბუჩქნარით, რომელიც ცნობისმოყვარეთა თვალებისგან დაგვიცავდა.

ფრთხილად მივთხედ-მოვიხედე. სიჩუმე იყო. მარტო ვიყავი.

ცივი უღრუბლო ღამე იდგა. ფარდულის ჩრდილში ვიცდიდი. მოიზიში დანიშნულ დროზე ორი წუთით ადრე გამოცხადდა: იგი რომ ვინმესთან ერთად მოსულიყო, შემეშინდებოდა. მოიზიშს ისევე ცოტას გენდობოდი, როგორც იგი მე. ვთქვათ, არ მოიტანა ფული? რა იქნება, თუ ისინი თავს დამესხმიან და ძალით წამართმევენ ფირებს? დაიწყებენ ჩემს შანტაჟირებას და მაიძულებენ უფასოდ ვიმუშაო?

ასეთ თამაშში, როგორიც ეს არის, არ შეიძლება იყოს არავითარი ნდობა.

— პიერ! — ჩუმად დამიძახა მან.

ვიცდიდი. გზაზე სიჩუმე იყო.

მოიზიშმა ნერვულად დაიწყო წინ და უკან სიარული. ჩემო თავშესაფარიდან გამოვედი და ვუთხარი:

— იქნებ, თქვენთან წავსულიყავით?

ზურგიდან ჩემმა მოულოდნელმა გამოჩენამ მოიზიში დღად შეაშინა.

დაზვერვის შენობა ას მეტრზე იმყოფებოდა აქედან. ჩვენ უსიტყვოდ მივდიოდით. როდესაც სახლში შევედით და დერეფანში გავედით, შევნიშნე, ირგვლივ ბნელოდა.

— თქვენი კაბინეტის ფანჯრები ათათურქის ბულვარზე გადის, — შევნიშნე მე. — ხომ ჩამოაფარეთ ფარდები?

— თქვენ, როგორც ვხედავ, კარგად იცნობთ აქაურობას, — წარმოთქვა მან.

— ეს აუცილებელია.

ჯერ კიდევ ენკესთან მუშაობის დროს ვიცოდი, სად იყო მოთავსებული დაზვერვა. ამასობაში მოიზიშმა სინათლე აანოო და კარები დახურა. ჩვენ მარტოკა ვიყავით.

— მაჩვენეთ ფირი.

ჩვენ პირისპირ ვიდექით, — ორი ადამიანი, რომელიც ერთმანეთს არ ენდობოდა.

— მაჩვენეთ ფული.

მოიზიში რალაც წამით შეეყოყმანდა. შემდეგ გადაჭრიო მიუახლოვდა სეიფს ოთახის კუთხეში და, ჩემკენ ზურგით მდგომმა, ფოლადის კარი გახსნა. შემდეგ უეცრად მკვეთრად შემობრუნდა და თვალებში შემხედა. მას აშკარად ეშინოდა ჩემი.

მე ვერ შევეძელი არ გამეღიმა. მისმა შიშმა საკუთარი შიშისაგან გამათავისუფლა.

— შეიარაღებული არა ვარ, — ჩუმად წარმოვთქვი.

მან არ მიპასუხა. შემდეგ სეიფიდან დასტა გამოიღო. ფული გაზეთ „Lia Republique-ში“. იყო შეხვეული.

ფირი წინ გაშვერილ ხელისგულიდან დავანახე. მან შეკვრა გახსნა—ფულის დასტა დავინახე.

შემდეგ იგი მაგიდას მიუახლოვდა და ფულის დათვლა დაიწყო, მე კი ყურადღებით ვადევნებდი თვალს. თანხა ზუსტად ოცი ათასი გირვანქა სტერლინგი აღმოჩნდა.

ახლა, როდესაც ფული სულ ახლოს იღო, გამიქრა ძლიერი

სურვილი, დავუფლებოდი მას. უმწეო მომეჩვენა პერსპექტივა—დავკმაყოფილებულიყავი ამ თანხით. სწორედ ახლა მომინდა მქონოდა უფრო მეტი ფული. ბევრი, ძლიერ ბევრი ფული.

სწრაფი მოძრაობით მოიზიშმა ფული შეაგროვა, სეიფში ჩაღო და დაკეტა.

— ჯერ ფირს გავამჟღავნებ, — მითხრა მან მტკიცე ხმით. — არ ვაპირებ ჰაიპარად საქმის გაკეთებას.

მოიზიშს ფირი მივეცი—და იგი სწრაფად გავიდა ოთახიდან.

მე უკვე არ მახსოვს, თუ რა ხდებოდა ჩემს სულში ამ თხუთმეტი წუთის განმავლობაში. როგორც ჩანს, ვშიშობდი, რომ მომატყუებდნენ — თავისთან დაიტოვებდნენ ფირსაც და ფულსაც, ხოლო მე კინწისკვრით გამაგდებდნენ.

თითქმის, საუკუნემ გაიარა, ვიდრე მოიზიში დაბრუნდებოდა. დაბოლოს, როდესაც იგი კარებში გამოჩნდა, მისი სახე იღუმალეებით მოცული იყო. ჩვენ დიდხანს ვუყურებდით ყურადღებით ერთმანეთს, თითქოსდა ვფიქრობდი — ყველა „მომხრისა“ და „მოწინააღმდეგის“ შესახებ. მაგრამ, აი, მოიზიშის სახიდან გაქრა დაძაბულობა.

— გსურთ ვისკი?

— ჯერ ფული, — ცივად ვუპასუხე.

ამჯერად იგი აღარ ყოყმანობდა, მაშინვე მომცა ფული და მასთან ერთად ქალაქის ნაჭერი.

— გთხოვთ, ხელი მოაწეროთ ხელწერილს.

თავდაპირველად მომეჩვენა, რომ სხვანაირად მომესმა, მაგრამ რამდენიმე წუთის შემდეგ სიცილი ამიტყდა. ამ სიცილმა შიშის უკანასკნელი ნატამალი მომაცილა თავიდან.

— მე ისეთი სულელი არა ვარ, როგორც თქვენ ფიქრობთ, — ვუთხარი მას.

მოიზიშმა ყურადღებით შეხედა ხელმოუწერელ ხელწერილს და გაიღიმა.

— ჩვენ უაღრესად დიდი ბიუროკრატები ვართ, — მითხრა და ხელწერილი დახია.

მაშინვე გამოვცალე ერთი ჰიქა ვისკი. ჩვენ ერთმანეთის სადღეგრძელო დავლიეთ.

— „ლეიკა“ და ფირი, გეთაყვა, — შევახსენე.



მოიზიშმა ისინი მაგიდის უკრიდან ამოიღო და გამომიწო-  
და.

— კიდევ რა გნებავთ? — ცივად შემეკითხა იგი.

— ჰო, მომავალში, როდესაც თქვენ გნახავთ, გთხოვთ რე-  
ვოლვერი მომცეთ.

— ეს რისთვის?

— ეს ჩემი პირობაა.

— კარგი.

— მაშინ ხვალამდე, — წარმოვთქვი და წასასვლელად შევბ-  
რუნდი.

— ხვალამდე? — გაოცდა მოიზიში.

— დიახ, თქვენთვის კიდევ ერთი ფირი მექნება. უკვე  
არის...

— მაგრამ, ჯერ ფული არ მაქვს, — აღელვებით თქვა მან.  
მხრები ავიჩეჩე.

— რა გაეწყობა, მოგვიანებით გადაიხდით.

გერმანიის საელჩოდან იმავე გზით წავედი, რომლითაც  
მოვედი. ღობის ხერვლში გავძვერი და მე უკვე მდიდარი ად-  
მიანი ვიყავი.

მარას არ უკითხავს, საიდან მქონდა ფული. მას ტანსაცმე-  
ლი ანკარის ყველაზე ფეშენებლურ მაღაზიაში—ათათურქის  
ბულვარზე ვუყიდე.

— რომელიმე ჩვენმა ნაცნობმა რომ დაგვინახოს აქ? —  
შეწუხდა მარა.

დასამშვიდებლად ხელი ჩავიქნე.

მარას ვუყიდე ძვირფასი სუნამოები, რომლებზეც დიდი  
ხანია ოცნებობდა, მდიდრული თეთრეულიც ვუყიდე.

იგი ბევრს სვამდა, რაც ზოგჯერ ჩემს ზიზღს იწვევდა.

სახლი კავაკლიდერეს ბორცვზე დავიქირავეთ.

— შენ თურქეთის საიდუმლო სამსახურისთვის არ მუშა-  
ობ? — როგორღაც შემეკითხა მარა.

— მე არასდროს მითქვამს, რომ ვმუშაობ. ეს შენი საკუთა-  
რი იდეა იყო.

— არც მსურს ვიცოდე, საიდან გაქვს ფული.

— სულ ერთია არაფერს გეტყვი.

ჩვენი მყუდრო სახლი კარგი ავეჯით იყო მოწყობილი, რბილი ნოხებით მოფენილი. მაცივარი ყოველთვის სავსე იყო, ხოლო რადიომიმღებიდან ყოველთვის გაისმოდა საცეკვაო მუსიკა. არც ერთ ყავასს არ ჰქონდა საკუთარი სახლი. თავი ვერ შევიკავე და კარებზე ჩამოვკიდე ფირფიტა სიტყვებით: „ციცერონის ვილა“.

ერთხელ მარა შევისწარი, როდესაც გარდერობს და მაგიდის უჯრებს ჩხრეკდა.

— ფული მანდ არა დევს, — გესლიანად ვუთხარი მე.

დანაშაულზე წასწრებულად ოდნავადაც არ შეცბუნებულა. კიდევ გაიცინა და გადამეხვია.

ფულს ინგლისის საელჩოში ჩემს ოთახში ვინახავდი — ვამჯობინებდი უფრო დაცურდნობოდი ინგლისელთა უდარდებლობას, ვიდრე მარას. ფულს ნოხის ქვეშ ვმალავდი. ვტკბებოდი, როცა მათზე ფეხს ვადგამდი.

ჩემი მეორე შეხვედრა მოიზიშთან ხანმოკლე იყო, ის ფირი გადავეცი, რომელზეც მოსკოვის კონფერენციის დოკუმენტები იყო გადაღებული, მან კი რევოლვერი მომცა.

— თქვენ ბატონ ენკესთან მსახურობდით? — შემეკითხა იგი.

— თუ ბატონი ენკე ასე ამბობს, ექვი არ არის, რომ ეს სიმართლეა.

— იგი ამტკიცებს, რომ თქვენ ყავასი იყავით ექვსი თუ შვიდი, რვა წლის წინათ.

ეს არ იყო სწორი. ექვსი წლის წინ ბატონი ენკე სტამბულში იყო. მე კი ანკარაში ვიყავი მისი მსახური. მას, როგორც ჩანს, არ სურდა ეთქვა, რომ საელჩოში ვემსახურებოდი. მის ცოლისძმას, რიბენტროპს, ასეთ შემთხვევაში შეეძლო გამოერკვია, რომ არ ვატყუებდი ენკეს ისევე, როგორც ახლა ინგლისის ელჩს ვატყუებ.

— ბატონმა ენკემ იცის, რა თქვას, — ვუპასუხე მოიზიშს.

— ბატონმა ენკემ ვერაფრით ვერ შეძლო თქვენი სახელის გახსენება.

— გულწრფელად მწყინს ეს, — წყნარად ვუპასუხე.

— თქვენი სახელი?

— როდესაც ბატონ ენკეს გაახსენდება, მეც გავიხსენებ. მოიზიშს ცხადად სურდა, ჩემი ვინაობის გაგება.

მათ მეტსახელი ციცერონი მომცეს — რომაელის სახელი, რომელიც თავისი მჭევრმეტყველებით იყო ცნობილი, ბატონი ფონ პაპენი ფიქრობდა, რომ დოკუმენტები, რომლებსაც მას ვაცნობდი, ასევე მჭევრმეტყველური იყო.

ერთხელ მარამ რევოლვერი იპოვა. .

— ზოგჯერ ძლიერ მაშინებ, ელიას, — მითხრა მან.

— ამიერიდან ციცერონი მიწოდე, — ვუპასუხე მას.

მან რაღაც სულელურად შემომხედა. სიტყვა „ციცერონს“ მისთვის, შესაძლოა, უფრო მნიშვნელობა ჰქონოდა, ვისკის მარკის დასახელება რომ ყოფილიყო.

— ახლა ზოგიერთი ადამიანისათვის ციცერონი — ყველაზე მნიშვნელოვანი სახელია მსოფლიოში, — ვუთხარი მას.

მოგვიანებით გავიგე, გერმანელებს დიდხანს ჰქონდათ ეჭვი ჩემ მიერ გადაცემული დოკუმენტების უტყუარობაზე. ბერლინში უარს ამბობდნენ დაეჯერებინათ, რომ მე საშუალება მქონდა მეშოვა ასეთი მნიშვნელოვანი დოკუმენტები.

მაგრამ რამდენიმე წლის შემდეგ ფონ პაპენის მემუარებში წავიკითხე:

„საკმარისი იყო ერთხელ შეხედვა, რათა გეთქვათ, ჩემ წინაშეა ინგლისის საგარეო სამინისტროდან თავის ელჩთან ანკარაში გაგზავნილი დეპეშის ფოტოგრაფია. ფორმა, შინაარსი, ფრაზეოლოგია არავითარ ეჭვს არ იწვევდა ამ დოკუმენტების უტყუარობაში. იგი შედგებოდა საგარეო საქმეთა მინისტრის — ანტონი იდენის პასუხების სერიისაგან სერ ჰიუ ნეტჩბულ-ჰიუგესენის შეკითხვებზე, რომელიც დასმული იყო მის მიერ შერეულ დეპეშაში, სადაც იგი მოითხოვდა მითითებებს, რომელიც ინგლისის პოლიტიკის ზოგიერთ თვალსაზრისს ეხებოდა, უწინარეს ყოვლისა, თურქეთთან ურთიერთობაში“.

ბატონი ფონ პაპენი ეყრდნობოდა დეპეშას, რომელიც ჩემ მიერ გადაღებული იყო ზუსტად იმ დროს, როდესაც იგი სერ

პიუ ნეტჩბულ-პიუგესენს შეხვდა დარბაზობაზე პრეზიდენტთან  
ეროვნული დღესასწაულის გამო.

მაგრამ ბერლინს დიდხანს არ სჯეროდა ჩემი. მხოლოდ უფ-  
რო გვიან. როდესაც ყველაფერი დამთავრდა, შევიტყვე, რომ  
ბერლინი მატყუებდა.

ბანკნოტების რაოდენობა ჩემი ნოხის ქვეშ სწრაფად იზრდებოდა. ოცდაათი ათასი გირვანქა სტერლინგი, ორმოცდახუთი ათასი გირვანქა სტერლინგი, სამოცდათხუთმეტი ათასი... მე უკვე დიდი ხანია შევწყვიტე ფულის თვლა, რომელსაც მონიში მაძლევდა. არასდროს დამბადებია აზრი, გერმანელებს შეუძლიათ ჩემი მოტყუება-მეტქი.

დავიწყე ჩემი ხელების მოვლა და რეგულარულად ვიკეთებდი მანიკიურს. სპარიკმახეროში გაპარსვის შემდეგ (უკვე დიდი ხანია შევწყვიტე თვითონ გაპარსვა) ყოველთვის მიკეთებდნენ სახის მასაჟს.

მარას შესამჩნევი სიძულვილით დაეუწყე მოპყრობა.

— მე ასე იშვიათად გხედავ, — ჩიოდა იგი.

— ძლიერ მოუცლელი ვარ, — ვპასუხობდი მე.

— ტყუილია. დაგინახე, როგორ შედიოდი სასტუმრო „ანკარა პალასის“ ვესტიბიულში.

მარა ბუნღუნა გახდა.

არსებითად, მარას უკვე არაფრით შეეძლო უკვე დახმარება. ჩემთვის ახლა საჭირო აღარ იყო მისტერ ბასკის სახლში სიარული. ყველაფერი, რაც მაინტერესებდა, საელჩოში ჩემთვის. რა თქმა უნდა, მისაწვდომი იყო.

მარამ ცხვირი უფრო ჩამოუშვა და სმას უმატა.

— არ არის საჭირო ასე ბევრის სმა, — ვეუბნებოდი მას.

— შენი საქმე არ არის...

ჩვენ ახლა ძალსა და კატასავით ვცხოვრობდით. ხშირი აყალმაყალი გუნებას მიფუჭებდა, ამიტომ ვცდილობდი, რაც შეიძლება, თვალში არ მოვხვედროდი.

ახლა მე საელჩოში საათობით ვიჯექი ჩემს ოთახში. ფეხებს.

ყვითელ ნოხზე ვდებდი და ფრჩხილებს ვიხეხავდი. ანკარის ყველაზე საუკეთესო მკერავმა კოსტიუმი შემიკერა, მაგრამ მე არ გავწეე რისკი, საელჩოში გამოწყობილი გამოეჩენილიყავი. დროდადრო ფარულად ვიცვამდი ახალ კოსტიუმს და ჩემი თავით ალტაცებული ვიყავი.

ხშირად ვფიქრობდი ჩემი მომავლის შესახებ და გადავწყვიტე, შემდეგში ბურსაში გადავსულიყავი. ბურსა ულუდაღის მთის ძირში მდებარეობს. იგი ჭერ კიდევ ჰანიბალმა დააარსა. ცნობილია თავისი ცხელი წყაროებით, ბურსას ბუნება და ჰაერა შეეიცარია მოგაგონებთ. აი, სად შეიძლებოდა ნამდვილი დასვენება. იქ არავინ დაინტერესდებოდა ჩემი წარმოშობით.

ერთ-ერთ ასეთ საღამოს პირველად მოვიფიქრე ბურსაში სასტუმროს მშენებლობის დაწყება.

ამასობაში ინგლისის საელჩოში საიდუმლო დოკუმენტების გადაღება ჩემთვის გახდა ნერვული აღზნების საშუალება, თავისებური ნარკოტიკი. ვტკბებოდი საშიშროებასთან თამაშით და დიდხანს არ მჭეროდა, რომ ოდესმე შეძლებდნენ ჩემს დაქვრას.

მარა შეკითხვებს შეკითხვებზე მაძლევდა.

— ვისთვის მუშაობ? მითხარი, ვისთვის მუშაობ? — დაჟინებით მოითხოვდა იგი.

— შენი საქმე არ არის.

ყვიღულობდი მისთვის ძვირფას კაბებს და სუნამოს, მის მადლობას გულცივად ვღებულობდი.

ერთმანეთისადმი. ლტოლვა გაგვიწვდებოდა.

მე განვაგრძობდი ყველაფრის გადაღებას, რაც კი ხელში მომხვდებოდა. № 1594 დებეშაში, რომელიც ინგლისის საგარეო საქმეთა სამინისტროდან ანკარის საელჩოში მიიღეს, ნათქვამი იყო:

„მოგაგონებთ თქვენს ვალდებულებას, თანახმად მოსკოვში ხელმოწერილი ოქმისა, ჩააბათ თურქეთი ომში ამ წლის დასასრულამდე“.

ეს დებეშა ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრის მისტერ იდენის მიერ იყო ხელმოწერილი და ამის გამო მძულდა იგი. დაე, თვით აწარმოონ და დაამთავრონ ეს ომი, ხოლო თურქეთმა ამას თავი უნდა აარიდოს. ბურსა რომ გადაიქცეს ბრძო-

ლის ველად ანღა დაბომბვის ობიექტი გახდეს? ბურსა, სადაც სასტუმროს აშენებას ვაპირებდი? ვინ არიან ჩემთვის მსოფლიოს დიდი ადამიანები? მე შევძლებდი მივსალმებოდი მათ, როგორც სტუმრებს ფეშენებელურ ოტელში, მაგრამ როგორც დეპეშათა გამგზავნებს, რომლებსაც სიკვდილი მოაქვთ, მე, ყავასი, ვწყევლი მათ.

სერ ჰიუ თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრს ნუმან მენემჯოღლუს ეწვია. საელჩოდან წასვლის წინ მას სუფთა ცხვირსახოცი და ნაცრისფერი ხელთათმანები გადავეცი. რა პასუხს მისცემს ნუმანი ინგლისელებს?

ეს პასუხი მოყვანილი იყო № 875 დეპეშაში, რომელიც გაეგზავნა ანკარის ინგლისის საელჩოდან საგარეო საქმეთა მინისტროს ლონდონში.

მასში ნათქვამი იყო:

„მენემჯოღლუს მარწმუნებს, რომ თურქეთის მთავრობა გადადგამს გადამქრელ ნაბიჯს, როგორც კი ნათელი გახდება, რომ მოკავშირეთა დესანტის გადმოსხმამ დასავლეთში წარმატებით ჩაიარა“.

ყველა დიპლომატი ომს ისე უყურებდა, როგორც პიკნიკზე მიწვევას, სადაც დაპატიყებული მხოლოდ მას შემდეგ მიდის, როდესაც დარწმუნდება, წვიმა არ იქნებაო.

ამ დეპეშათა ფოტოგრაფიები მოიზიშს გადავეცი. ახლა ჩვენ მის ავტომობილში—„ოპელ ადმირალში“ ვხვდებოდით ერთმანეთს. მას ნელა მიჰყავდა ხოლმე მანქანა წინასწარ დათქმულ ქუჩაზე, ვიდრე არ შემამჩნევდა. მე სწრაფად ვკდებოდი მანქანაში და ჩვენ შესახვევებში ვუჩინარდებოდით.

მე, როგორც წესი, პალტოს აწეული საყელოთი უკანა დასაჯდომზე ვიყავი განაბული. ჩვენ ულუს-მაიდანის მოედნის გავლით მივიდიოდით, ანკარის ყველაზე ხალხმრავალი მოედნით, სადაც ჩვენი „ოპელ ადმირალი“ სხვა მანქანათა ნაკადში მოძრაობდა და თვალყურის დევნება საერთოდ შეუძლებელი იყო. კაშკაშა სარეკლამო ჩირალდნებმა ღამის ბინდბუნდი გარღვიეს.

ვუყურებდი მოიზიშის კეფას. „ოღუსმე მეც მეყოლება საკუთარი მძლოლი“, — ვფიქრობდი მე.

ქუჩები ვიწრო და ჩუმი გახდა. შემოვბრუნდი და უკანა სარკიდან ქუჩას შეეხედე. როდესაც დავერწმუნდი, რომ არვინ მოგვლევდა, სიგარას მოვუყიდე. ეს ნიშნავდა, რომ ირგვლივ ყველაფერი მშვიდად იყო. მოიზიშმა შეებით ამოისუნთქა.

ფირი მის გვერდით დასაჯდომზე დაედევით და ფულის შეკვრა ავიღე.

შემდეგ მან, ჩვეულებისამებრ, შეკითხვები დამიწყო.

ამ მხრივ იგი მარას მაგონებდა.

— როდის გადაწყვიტეთ ჩვენთან მუშაობა?

— ორი წლის წინ.

მე ვეუბნებოდი მას პირველივე სიტყვას, რაც თავში მომდიოდა.

— თქვენ მარტო მუშაობთ?

— დიახ.

— ბერლინს არ სჯერა, რომ ერთ ადამიანს შეუძლია ამდენი სურათის მოწოდება. თქვენ თანაშემწეები უნდა გყავდეთ.

— ჩემი თანაშემწეები ხელებია.

— საერთოდ, არ მჯერა, რომ საიდუმლო დოკუმენტები ინგლისის საელჩოში ასე ცუდად ინახება.

— ისინი საელჩოში როდის ყრია. ისინი რომ იშოვო, ამისათვის რისკი უნდა გასწიო.

ყოველთვის მომწონდა მანქანით მგზავრობა, მაგრამ ამისთვის ანგარიშის გასწორება მიხდებოდა — უნდა მომეთმინა მოიზიშის შეკითხვები.

— თქვენი სახელი?

მისი მზერა სარკეში დავიჭირე და გავიღიმე.

— ციტერონი.

იგი მოიღუშა, რამდენიმე წუთს დუმდა.

— გეთაყვა, სადმე ინგლისის საელჩოს მახლობლად გადმომსვით, — ვუთხარი მე.

— ეს სარისკო არ არის?

— ერთი რისკით მეტი ან ნაკლები — რა ბედენაა.

ათათურქის ბულვარისკენ შევუხვეით.

— რატომ მუშაობთ ჩვენთან?

— იმიტომ, რომ ფულს კარგად მიხდით. თქვენ თვითონ იცით ეს.



— ეს ერთადერთი მიზეზია?

— განა კიდეც რა მიზეზი უნდა მქონდეს?

— მსურს ვიცოდე ნამდვილი მიზეზები.

დაეინებით მომმართა მან.

მე ვლუმდი. მას, როგორც ჩანს, აწუხებდა, რომ იდეურობა მაკლდა. ყველა გერმანელი ასეთია.

— მითხარით ნამდვილი მიზეზი, — ისევ დაიწყო მან.

ბოლოს და ბოლოს დავაკმაყოფილე მისი სურვილი:

— მე მძულს ინგლისელები.

დაბოლოს, ვუთხარი ის, რისი მოსმენაც მას ჩემგან დიდი ხანია სურდა. მან თავი დამიქნია ნიშნად იმისა, რომ ყოველთვის ამის ექვი ჰქონდა. ალბათ, ინგლისელებისადმი ჩემი დიდი სიძულვილის პატივისაცემად იგი რამდენიმე წუთს დუმდა.

მოიზიშის ნებაზე ვთამაშობდი. ის, რაც მე შემდეგ ვუთხარი, ჩემგან მტანჯველ მოგონებასავით წამომცდა.

— ინგლისელმა მამაჩემი მოკლა, — ხრინწიანი ხმით წარმოვთქვი მე.

მოიზიში ჩაფიქრდა. ახლა მას შესაფერისი ახსნა-განმარტება ჰქონდა ჩემი ჯაშუშური მოღვაწეობისათვის — შურისძიება.

საუბრის თემა შევცვალე:

— ვფიქრობ, თქვენთვის ძნელი არ იქნება გასაღების ასლის გაკეთება?

— არა, — წაიბუტბუტა მან.

მას პატარა შავი ყუთის გასაღების ცვილის ტვიფარი მივეცი, რომელიც ლამით სერ ჰიუს ტუმბზე დგას.

— ერთი პატარა ყუთისათვის გასაღების ასლი მე თვით გავაკეთე, მაგრამ ამ გასაღებით მუშაობა ძალიან ძნელია, — შევნიშნე მე.

— კეთილი, ვნახავთ, — ძლივს გასაგონად წარმოთქვა მან. ჩვენ ზევით მივიდიოდით ქუჩაზე, ქუჩის ბოლოში ინგლისის საელჩო მდებარეობდა.

— შეიანელეთ, გეთაყვა.

მან გზას მოუკლო.

— ძლიერ ვწუხვარ იმის გამო, რომ შეკითხვების მოცემისას მოგაგონებთ ისეთი რამ, რაც...

გერმანიის სადაზვერვო სამსახურის თანამშრომელის კვა-  
ლობაზე მან ღიძი თავაზიანობა გამოიჩინა.

მიმავალი მანქანიდან ნელა გადმოვხტი, მის გვერდით რაჟ-  
დენიმე ნაბიჯი გავივრბინე და კარები მივაჭახუნე. მოიზიშმა  
გაზს უმატა.

ბნელ ქუჩაში მარტო დავრჩი. შევეკრთი — ყინვამ მთელ  
ტანში დამიარა. შიში ვიგრძენი, შიში მამაჩემის რისხვისაგან,  
რომელიც თავისი სიკვდილით მოკვდა. ალვის ხეები გორაკიდან  
მრისხნანე ჩრდილებს ფენდნენ. უგულოდ გავიღიმე, შიშისაგან  
თავის დაღწევას ვცდილობდი.

ღიძით ყოველგვარი შიში გამიქრა. ასვატიანი ნათურა ჩემს  
ტუბზე კაშკაშით ანათებდა დოკუმენტებს, რომელიც ომის  
სხვადასხვა მხარეს ეხებოდა.

სერ პიუსათვის გაშიფრული დეპეშები და მემორანდუმები  
ჩემს ოთახზე გავლით მიდიოდნენ დანიშნულ ადგილას. ღამით  
მე უცნაური საუბარი მქონდა ამქვეყნის ძლიერ ადამიანებთან,  
რომელთა სახელები დოკუმენტებში იყო.

მოგვიანებით თავის მოგონებებში ჩერჩილი წერდა:

„ჩვენ რომ შევეძლოთ თურქეთის დათანხმება ჩაებას ომში,  
მაშინ შესაძლებელი გახდებოდა, ისე რომ არც ერთი ჯარისკა-  
ცი, არც ერთი ზომალდი და არც ერთი თვითმფრინავი არ ჩა-  
შოგვეცილებინა გადამწყვეტ ბრძოლებს, ისე გავბატონდებო-  
დით შავ ზღვაზე. გამოვიყენებდით მხოლოდ წყალქვეშა ნა-  
ვეებს და მსუბუქ ზომალდებს, აღმოვუჩენდით რუსეთს დახ-  
მარებას და მომარაგებას მისი არმიებისათვის უფრო იაფი და  
უფრო სწრაფი გზით, ვიდრე არქტიკით ანდა სპარსეთის  
უბით“.

აი, რაზე დაიყვანებოდა პრობლემა. ეს დეტალურად იმ  
დეპეშებიდან გავიგე, რომლებიც გადავიღე. ზოგჯერ ეს დეტა-  
ლები ჩემთვის გაუგებარი იყო, სამაგიეროდ, სხვა დოკუმენ-  
ტებში მდგომარებას ანალიზი უკეთდებოდა მთელი გულახდი-  
ლობით.

„ოვერლორდის“ ოპერაციის კოდური სახელწოდება სულ  
უფრო ხშირად ჩნდებოდა ჩემი ფოტოაპარატის ობიექტივის

წინ. შემდეგ მივხვდი, რომ ეს სახელწოდება შეიძლება ეკუთვნოდეს მხოლოდ მეორე ფრონტს, რომლის გახსნასაც მოითხოვდნენ რუსები მოკავშირეებისაგან, მეორე ფრონტს. რომელიც ისტორიაში შევიდა როგორც საფრანგეთში შექრა.

ერთ-ერთ დეპეშაში ნათქვამი იყო:

„თუ თურქეთი ომში ჩვენს მხარეზე ჩაებმება, განთავისუფლდება საესკორტო გემები, ესოდენ აუცილებელი „ოვერლორდის“ ოპერაციისათვის.

თეირანის კონფერენცია ათას ცხრაას ორმოცდასამი წლის ოცდარვა ნოემბრიდან პირველ დეკემბრამდე მიმდინარეობდა. რუსები მოითხოვდნენ, რომ ომის დამთავრების შემდეგ გერმანიის გენერალური შტაბისათვის ბოლო მოეღოთ.

ჩერჩილმა თქვა, რომ „ოვერლორდის“ ოპერაციის ჩატარებასთან დაკავშირებით თვით გადმოსხმა იმდენად არ მაწუხებებს, რამდენადაც ის, თუ რა შეიძლება მოხდეს ერთი თვის შემდეგ, როცა ყველა გერმანელი მოიკრებს ძალებსა და საშუალებებს კონტრდარტყმისათვისო. ამ პერიოდში წითელმა არმიამ უნდა შეებოქოს გერმანელთა ძალები აღმოსავლეთის ფრონტზე, ისევე როგორც დასავლეთის სახელმწიფოებმა იტალიაში. თურქებს რომ აერჩიათ ეს მომენტი ჩარევისათვის, მოკავშირეთა გამარჯვება უზრუნველყოფილი იქნებოდაო.

საგარეო საქმეთა სამინისტროდან სერ ჰიუსადმი გაგზავნილ დეპეშაში ნათქვამი იყო:

„ეგვიპტეში განლაგდება ჩვიდმეტი ესკადრილია. ისინი აუცილებელია ჰაერსაწინალო დაცვისათვის იმ შემთხვევაში, თუ თურქები იგრძნობენ გერმანიის ავიაციის მუქარას. გარდა ამისა, თურქეთის ტერიტორიაზე შეიძლება განლაგებულ იქნეს საზენიტო არტილერიის სამი პოლკი“.

ჩერჩილმა ამის შესახებ შემდეგი განაცხადა:

„ჩვენ გეჭირდება საავიაციო ბაზები სმირნასა და ბადრანში... როდესაც მივიღებთ მათ და განვალაგებთ იქ ესკადრილებს, გერმანელებს საჰაერო სივრციდან განვდევნით... გერმანელთა გარნიზონები კუნძულებზე ჩვენ შიმშილით უნდა ამოვწყვიტოთ. თუ თურქეთი ომში აქტიურ მონაწილეობას მიიღებს, კუნძულები თავისით დანებდებიან. ასეთ შემთხვევაში არ მოგვიხდება როდოსზე იერიშის მიტანაც კი. კუნძულების

გარნიზონები გერმანელებმა უნდა მოამარაგონ, და თუ ჩვენ გვექნება საავიაციო საფარველი თურქეთის ტერიტორიიდან, ჩვენი საესკადრო ნაღმოსნები გერმანელთა ბაღრაგს შეიპყრობენ, რისი გაკეთება შეუძლებელია ამჟამად იმის გამო, რომ გერმანელები ჰაერში ბატონობენ. თურქეთის ბაზები საშუალებას მოგვცემენ ვაწარმოოთ გამუდმებული ზეგავლენა გერმანიაზე. აი, ეს იქნება „ოვერლორდის“ ოპერაციის მომზადება“.

მაშასადამე, გერმანელებმა იცოდნენ, რას ფიქრობდნენ და რა გეგმებს ადგენდნენ მათი მოწინააღმდეგენი.

ჩემს ოთახში წარმოსახვით ლაპარაკს ვაწარმოებდი მსოფლიოს სახელმწიფო მოღვაწეებთან.

რა კავშირი აქვს, ვეკითხებოდი ჩემს თავს, „ოვერლორდის“ ოპერაციას ჩემთან? თუ ერთადერთი გერმანული ბომბი მაინც ჩამოვარდება ანკარაში და მე დამეცემა. რა სარგებლობა შექნება თქვენი ჩვიდმეტი ესკადრილიისაგან ეგვიპტეში?

ვიცოდი, რომ ანკარაში ინგლისის საელჩოს სარდატი ჰქონდა, სავსებით შესაძლებელია, რომ ეს ბომბსაფარი იყო.

რა სარგებლობა მაქვს, ვფიქრობდი მე, იმისგან, რომ კუნძულ როდოსზე გერმანელები შიმშილით მოკვდებიან? შიმშილი, შეიძლება, თურქეთში მოვიდეს.

ცხოვრების ყოველი ახალი დღე ჩემთვის საინტერესო სპექტაკლი იყო, რომელიც ბოლომდე უნდა მენახა. ერთ-ერთი მთავარი მოქმედი პირი იყო ინგლისის ელჩი, რომელსაც მრ, ყავასი, ყოველდღე რვის ნახევარზე ვალვძიებდი. მეორე მოქმედი პირი, ლედი ნეტჩბულ-ჰიუგესენი, ელჩის ცოლი იყო, რომელიც ძლივს ამჩნევდა ყავასის მისალმებას, როდესაც დერეფანში მის გვერდში ჩაივლიდა. ყავასი ელჩის შარვალს აუთოებდა, აბაზანას უმზადებდა.

ყავასის როლს მე ვთამაშობდი.

ჩვენ ყველანი ლანდები ვიყავით: ვმოძრაობდით ისე, რომ ერთმანეთს ვერ ვამჩნევდით.

რა უცნაური იყო ცხოვრება!

მე ელჩის ოთახში მივიდიოდი. იგი იქ არ იყო. ხელში

მტვერსასრუტი მექირა. იგი ჩემი საშვი იყო უცხო ტერიტორიაზე გასასვლელად.

სერ ჰიუს კაბინეტის ერთადერთი ტელეფონი არ იყო ჩართული კომუტატორთან.

გერმანიის საელჩოს ნომერი ავკრიფე და ტელეფონთან მოიზიში ვითხოვე:

— ლაპარაკობს-პიერი, — დავიწყე მე. მან იცოდა, რომ ეს მორიგე შეხვედრას ნიშნავდა.

— ხვალინდელი ბრიჯის თამაშის ამბავი როგორ არის?

ეს ნიშნავდა შეხვედრას დღეს საღამოს ათ საათზე, ადგილზე, რომელიც დათქმული იყო წინანდელი შეხვედრის დროს.

— არ შეიძლება სხვა დრო შევარჩიოთ? — მოულოდნელად შეგეკითხა იგი.

— არა.

დუმილი.

— სად შემოქლია თქვენი მონახვა? შეიძლება დაგირეკოთ? მე ჩავიცინე.

— რასაკვირველია, თუნდაც ახლა დარეკეთ. მე შეფის კაბინეტში ვარ. გითხრათ ტელეფონის ნომერი?

მოიზიშს მხოლოდ რამდენიმე წამი დასჭირდა, რომ გონს მოსულიყო.

— თქვენ ყბედი ხართ, — წაიბუტბუტა მან. — კეთილი, შევეთანხმდით. ხვალ ვითამაშებთ ბრიჯს.

მოიზიშმა ყურმილი ისე მძაფრად დადო, თითქოსდა ინგლისურ ტელეფონზე თითები დაიწვაო.

მშვიდად დავდევი ყურმილი და ტელეფონიდან მტვერი გადავწმინდე, რათა სერ ჰიუს არ ჰქონოდა მიზეზი ბრალი დაედო თავისი ყავასისათვის მოვალეობისადმი აგდებულ დამოკიდებულებაში.

ჩვენ კანატეპეს რაიონში შევხვდით ერთმანეთს, აკაის ქუჩის კუთხეში. მოიზიში ცოფს ყრიდა.

— თქვენ, ალბათ, ჰკუდიდან შეიშალეთ, რომ ელჩის პირადი ტელეფონით დარეკეთ, — უკმეხად მითხრა მან.

— პირდაპირ იარეთ, — მშვიდი ხმით წარმოვთქვი მე.

იგი ისე მიდიოდა, თითქოსდა ჯავრს მანქანაზე იყრისო.

— გაცილებით უარესია, წახვიდე საელჩოდან დღის იმ დროს, როდესაც სამსახურებრივი მოვალეობის გამო უნდა იმუშაო მტვერსასრუტით.

— ტელეფონთან რომ თავს წაგდგომოდნენ?

— ვიტყვოდი, რომ ქალიშვილთან ვლაპარაკობ. მე რომ მეთქვა, გერმანელთან ვლაპარაკობ-მეთქი, არასდროს დამიჯერებდნენ.

ჩემი თვალსაზრისით, ეს სავსებით ლოგიკურად ჟღერდა.

— არაფერიც არ შემემთხვევა, — ვთქვი მე, მოხერხებულად მოვეწყვე უკანა დასაჯდომზე. მას გადავეცი ფოტოფირის ხვეული, მან კი ფული გამომიწოდა. რამდენიმე წუთის შემდეგ მოიზიშმა ჩემი თხოვნით გაკეთებული პატარა შავი ყუთის გასაღების ასლი მომცა.

— ვფიქრობ, მოერგება, — წაიბუტბუტა მან.

— დღეს საღამოსვე გავსინჯავ, — წყნარად ვუპასუხე მე. მან რალაც უცნაურად გადმომხედა.

— ზოგჯერ თქვენ გამო ჟრუანტელი მივლის, — შენიშნა მოიზიშმა.

მე გავიღიმე. ჩემთვის სასიამოვნო იყო, რომ ზოგჯერ ასეთ შთაბეჭდილებას ვახდენდი მასზე.

ჩვენ ბნელ, მივარდნილ ქუჩებში მივდიოდით. უცებ ჩვენ უკან სინათლემ გაიელვა.

გვერდით მინა ჩამოვუშვი. გრილმა ჰაერმა გამოგვაცოცხლა.

— რატომ მოკლა ინგლისელმა მამათქვენი?

მოიზიშმის კითხვა მოულოდნელი იყო. ტუჩები მოკეკუმე. „რატომ განაგრძობს იგი ამ შეკითხვებით თავის მობეზრებას?“

— ეს არავის ეხება.

— ბერლინს სურს იცოდეს, — ჩუმად წარმოთქვა მან. — იქ ჯერ კიდევ არ სჯერათ თქვენი.

— ჩემთვის სულ ერთია.

უცებ, ჩვენ უკან მომავალი მანქანის ფარების კაშკაშა სინათლემ დაგვაბრმავა.

— ახლა, როდესაც ჩვენ ვიცით. თუ რატომ მუშაობთ ჩვენთან, ბერლინი სხვაგვარად გიყურებთ...

— რა კავშირი აქვს ყველაფერ ამასთან მამის სიკვდილს? მე ხომ შემეძლო ტყუილი მეტყვა თქვენთვის?

— მე მჯერა და არც მჯერა თქვენი. ამგვარად, რატომ მოკლა ინგლისელმა მამათქვენი?

— იგი თოფით მოკლეს. ეს უბედური შემთხვევა იყო, რომელიც ნადირობისას მოხდა, — ვთქვი მე, — მაკედონიის მთებში. ამ საქმის ძიება შეწყვეტილია.

რათა, დაბოლოს, თავი დამელწია მისი შეკითხვებისგან, ვუთხარი პირველივე აზრი, რომელიც გონებაში დამებადა.

— თქვენთვის ცნობილია იმ ინგლისელის სახელი?

— მე არასდროს მინახავს ის ღორი, მაგრამ მისი სახელი ვიცო.

ამ მომენტში მოიზიში ტროტუართან გაჩერდა.

— რა მოხდა?

მან არ მიპასუხა. ერთი წუთის შემდეგ ისევ წავიდა და მეორე ქუჩაში შეუხვია. ქუჩა ცარიელი იყო. ფანჯრებში — არც ერთი სინათლე. ეს საცოდავი კვარტალი უნდა უმადლოდეს დამეს იმის გამო, რომ მან მისი სილატაკე დაფარა.

მოიზიშმა მთელი ძალით გააქროლა მანქანა. მე კი საშინელი თავზარი დამეცა.

— ჩვენ მოგვდევენ; — წამოვიძახე მე.

იმის მიხედვით, თუ როგორ იჯდა მოიზიში, შეიძლებოდა დასკვნის გამოტანა, რომ ძლიერ დეღავდა. სრული სვლით შეუხვია კუთხეში. მანქანამ ღრჭილათ მოიქნია ბოლო.

— ახლა თქვენ ხომ გესმით, რატომ არ იყო საჭირო ელჩის ტელეფონით დარეკვა? — თითქმის იყვირა მან.

მოიზიშმა სისწრაფეს მოუკლო. ჩვენ უკან მანქანამაც შეანელა სვლა. როდესაც მოიზიშმა მანქანა გააჩერა, ჩვენი მდევარი მანქანაც გაჩერდა. შემდეგ დაიწყო გააფთრებული დევნა ღამით. ჩვენ ვერაფრით შევძელით თავი დაგველწია მდევნელებისგან.

„მკვდარს სიმშვიდე სიცრუით დაუურღვიე და ახლა შიშაა ჩემი ხვედრი“, — ვფიქრობდი მე.

— თუ ეს ყველაფრის დასასრულია, თქვენი ბრალია! — მიყვია მოიზიშმა.

რა თქმა უნდა, მეც ვგრძნობდი ცოტაოდენ დანაშაულს.

— მაგრამ ისინი, მე არ მადევნებდნენ თვალყურს. ჩვენ ხომ ერობაშად არ გამოგვედევნენ, ეს თქვენ გითვალთვალენ, — შევნიშნე მე.

თავბრუდამხვევი სისწრაფით მივქროდი ვიწრო, მოღრეცილ ქუჩებში და ყოველ წუთს დამტერევა გველოდა.

— წადით ინგლისის საელჩოსაკენ, — დავუყვირე მას. — მე გადმოვხტები, როგორც კი კუთხეში შეევხვევთ.

მოიზიშმს პასუხი არ გაუცია, მაგრამ შეუხვია კონიაკის გორაკებისაკენ, სადაც ინგლისის საელჩოც იმყოფებოდა.

იმედი მქონდა, რომ უცნობები მოიზიშმს მოსდევდნენ და არა ადამიანს. რომელიც აკაის ქუჩაზე მანქანაში ჩაჯდა. მაგრამ ეს იმედი არცთუ ისე საფუძვლიანი იყო. შიში იმისა, რომ ჩემი თამაშის დასასრული მოვიდა, უფრო ძლიერი აღმოჩნდა.

— მოემზადეთ გადასახტომად!

მოიზიშმის აღელვებულმა ხმამ შემაკრთო. წინ ფარების სინათლეზე შესახვევი გამოჩნდა. მოიზიშმა მკვეთრად შეუხვია მარჯვნივ. გუნდასავით მოვიკუნტე. შემდეგ მან ისე ძლიერად დაამუხრუჭა, რომ კინალამ ჩვენ-ჩვენი დასაჯლომიდან გადმოვარდით. უცბად გავაღე კარი და მანქანიდან გადმოვხტი. ქეფენილზე დაცემისას რამდენჯერმე გადავბრუნდი და ერთი წამის შემდეგ მესერთან აღმოვჩნდი.

მოიზიშმის მანქანის ხმა არ მიმწყდარიყო, რომ გვერდით მდევნელებმა ჩაიქროლეს.

მაგრამ მანქანაში მხოლოდ ერთი ადამიანი იყო. წამის რაღაც ნაწილში მომეჩვენა, რომ ამ ადამიანის სახე დავინახე. ახალგაზრდული, ნაპატივები სახე.

ღროის რაღაც მონაკვეთმა გაიარა, ვიდრე გონს მოვედი და ავბედით სიჩუმეს შევეჩვიე. საღლაც ღამის სიბნელეში დევნა გრძელდებოდა. მე მარტო ვიყავი.

მაშინ არ ვიცოდი, რომ შევძლებდი ამ სახის ცნობას ათას სხვა სახეთა შორის.

დაღლილი და გატანჯული საწოლზე დავეცი. თავი მისკდებოდა.



ერთიც ვნახოდა მათ ჩემზე ჰქონდეთ ეჭვი? იცის კი იმ ნაპატივებსახიანმა კაცმა, ვის მისდევდა იგი? იცის კი სერ პიუმ, რას ვაკეთებ მე? თუკი, მაშინ როგორ გაიგო ეს? რატომ დავბრუნდი საელჩოში? ალბათ, უკეთესი იქნებოდა აქედან გაქცევა და დამალვა.

მე ვერ ვიპოვე სათანადო პასუხები ამ შეკითხვებზე. ახლა საჭირო იყო რაიმე ხერხის მოძებნა თავი დამეღწია შიშისაგან.

შავი ყუთის გასაღების ასლს ხელებს ვუჭერდი. იმწამს მისი ფანჯარაში გადაგდება მომინდა. მაგრამ ვიცოდი, რომ არასდროს ვიზამდი ამას. გასაღების გასინჯვის სურვილი უფრო ძლიერი აღმოჩნდა.

მაგრამ უეცრად რატომ დამეზადა ასეთი სურვილი?

წამოვდექი, მძიმედ ვსუნთქავდი. ხელ-ფეხი არ მემორჩილებოდა. ფოტოაპარატი მოვამზადე, მასრაში ასვატიანი ნათურა ჩავსვი. ნელ-ნელა, ავტომატურად. სიმარჯვე, რომლითაც ასე ვამაყობდი, გაქრა.

დერეფანში გამოვედი. სიჩუმე იყო. წინდების ამარა ჩავიარე მეფე გეორგ VI პორტრეტის გვერდით.

იმ მომენტში არ შემეძლო სხვაგვარად მოქმედება. თუმცა შიში არ გამქრალა.

უხმაუროდ, ყოველგვარი ყოყმანის გარეშე, ელჩის საწოლი ოთახის კარი გავაღე, შევედი. ისევ მივხურე და საწოლისკენ გავემართე. შევჩერდი, რათა ელჩის სუნთქვა მომესმინა. შემდეგ ტუმბს მივუახლოვდი, რომელზეც პატარა შავი ყუთი იდგა.

მაშასადამე, ლომის ბუნაგში ვიყავი. ელჩს ყოველ წუთს შეეძლო თვალების გახელა. მე ვერ ვბედავდი მისკენ გახედვასაც კი, ვშიშობდი, ისტერიულად არ დამეყვირა.

სუსტი სინათლის ვიწრო ზოლმა პატარა შავი ყუთი გადაქრა. როგორც ჩანს, ფანჯრებზე მქიდროდ არ იყო ჩამოშვებული ფარდები.

გასაღები კლიტის ჰუჭურუტანაში გავუყარე და გადავატრიალე. ყუთი რბილად და უხმაუროდ გაიღო. ქაღალდები მოვსინჯე და ამოვიღე. ყუთის მახლობლად წყლით სავსე ჭიქა იდგა. ახლა იგი ცარიელი იყო. ელჩმა, როგორც ჩანს, დასაძინებელი წამალი მიიღო. ერთიც ვნახოთ. და, ჩემი ხათვანგში მომწყვდევა

უნდა? მაგრამ ამ მომენტში არ ძალმიძდა შეფიქრა ასეთ რამეზე.

მალე საწოლი ოთახიდან გამოვედი.

ჩემს ოთახში დაბრუნებისას დოკუმენტები გადავათვალიერე და უეცრად მთელი სხეული ამიკანკალდა. საწოლში დაეწეი და დავიწყე ცდა, ვიდრე ხელების ცახცახი არ შემიჩერდა.

იყო ელჩი საწოლში? თუ საწოლი ცარიელი იყო? ამ შეკითხვაზე პასუხის გაცემა არ შემეძლო.

დოკუმენტები გადავიღე, მაგრამ მათ შინაარსში ჩაწვდომა ვერ შევძელი. მხოლოდ ერთი ფრაზა შევიდა ჩემს გონებაში. სერ ჰიუს ხელი ვიცანი. ეს მის მიერ შედგენილი დეპეშა იყო. ხვალ დილით იგი უნდა დაეშიფრათ და ლონდონში საგარეო საქმეთა სამინისტროში გაეგზავნათ.

მე შემდეგი წავიკითხე: „პაპენმა უფრო მეტი იცის, ვიდრე საჭიროა იცოდეს“.

მაშასადამე, მათ იციან, რომ პაპენისათვის ბევრი რამ ცნობილია... მაგრამ იციან მათ, საიდან არის ყველაფერი ეს მისთვის ცნობილი?

სინათლე გამოვრთე, დოკუმენტები ელჩის საწოლ ოთახში წავიღე, უეცრად გარკვევით წარმოვიდგინე, ელჩმა ყველაფერი იცის-მეთქი, და გულის ძვრა შემიწყდა.

კარის გაღების დროს ყური მივუვდე. ოთახის სიღრმიდან მძინარე ადამიანის თანაბარი სუნთქვა მოისმოდა. სინათლის ზოლი, რომელიც არამჭიდროდ ჩამოშვებული ფარდებიდან აღწევდა, საწოლს კვეთდა. დავინახე ელჩის ფერმკრთალი, მოქანცული სახე.

დოკუმენტები სწრაფად ჩავდევი უკანვე ყუთში, შემდეგ კი რაღაც საშინელება მოხდა. საკეტის ჭუჭრუტანიდან გასაღების გამოღებისას ხელი წავკარი იქვე მდგარ ჭიქას, რომელიც იატაკზე დაეცა და წვრილ-წვრილ ნამტვრევებად იქცა.

თავხარი დამეცა, მაგრამ, რასაკვირველია, ამ მომენტში არ ვგრძნობდი არც შიშს, არც საშინელების გრძნობას. დავინხარე და მძინარეს სახეში შევხედე.

სერ ჰიუს შეიჩხრა და ისევ მიჩუმდა. დაჟინებით ვუყურებდი მას და მომეჩვენა, რომ ძილში იგი გრძნობდა კარზე მომდგარ ხიფათს.

რამდენიმე ხნის წინათ მარას მოქმედებამ დამაეჭვა. ჩემს ქედმაღლურ მოპყრობასა და ზიზღს უნდა ეჩვენებინა მისთვის, თუ რა ცოტას ნიშნავდა იგი ამჟამად ჩემთვის.

სახლში ვისხედით. ჩვენი სახლის თითქმის ყველა ოთახი პირდაპირ ყვავილებში იძირებოდა. სადღაც ბრმა კანარის ჩიტი გალობდა. გამყიდველმა გვითხრა, კანარის ბრმა ჩიტები უკეთესად მღერიანო. მქონდა ნარგილეც, რომელიც მარამ ჩემი ფულით იყიდა. რადიომიმღებიდან სასიამოვნო მუსიკის ხმები, კანარული ჩიტის ჭიკჭიკი, მტვრით დაფარული ნარგილე და ხელში უთუოდ ვისკის ბოთლი, — ასეთი იყო ოჯახური მყუდროება მარას წარმოდგენით.

გულდასმით ვუთვალთვალებდი მას, ვცდილობდი მეპოვა ლალატის რაიმე ნიშანი.

ერთიც ვნახოთ და, მისტერ ბასკთან გამცა? შესაძლოა, ყველაფერი არ უთხრა, მაგრამ გადაუკრა, ცოტაოდენი რამ ვიცეო.

ყველაფერი, რისი ჩადენაც მას სურდა—ეს იყო ქალური პატივმოყვარეობის დაკმაყოფილება, მაგრამ ამას ჩემთვის, შეიძლება გამანადგურებელი შედეგები მოჰყოლოდა.

— როგორ გრძნობს თავს ბასკების ბავშვი? — შევეკითხე ისეთი სახით, თითქოს ეს ძლიერ მაინტერესებდა.

— კარგად, — მოკლედ მიპასუხა მან.

მარა ძლიერ გამოიცვალა. წინათ განუწყვეტლივ მიაამბობდა ბავშვის ამბავს. ჩემს გართობას ცდილობდა. ახლა იგი როგორღაც უცნაურად მიყურებდა. იქნებ, მომეჩვენა?

— შენ უსიამოვნება გაქვს ელჩთან? — მოულოდნელად

შემეკითხა იგი. ამ შეკითხვამ გამაოცა. დაჟინებით შევცქერო-  
დი, ვცდილობდი გამომეცნო, რა ჰქონდა მხედველობაში.

— არა, ვუბასუხე მე, — რატომ უნდა მქონდეს?

— შენ რალაც უცნაური გახდი ამ ბოლო დროს.

ამას რომ მელაპარაკებოდა, სახეში კი არ მიყურებდა, ფრჩხილებს იპრიალებდა.

ოდესღაც მის ხელებს ალტაცებაში მოვყავდი. ახლა ისინი გაძვალტყავებული მეჩვენებოდა. ოდესღაც ცისფერი თვალე-  
ბი უშინაარსო და არამეტყველი გახდა, ხოლო უხეშმა ხმამ ჩემთვის ყოველგვარი მომხიბვლელობა დაკარგა.

— არავითარი უცნაური, — ბრაზით ვთქვი მე.

მართლაც, არავითარი უსიამოვნება არ მქონია. ელჩთან. დი-  
ლით, ჩვეულებისამებრ, მის საწოლ ოთახში შევედი. ფარდებზე  
გადავწიე, ჯანმრთელობა ვუსურვე და ფორთოხლის წვენი მი-  
ვაწოდე.

იატაკზე ჭიქის ნამსხვრევები ეყარა. ისინი რომ ღამით ამეკ-  
რიფა, სერ ჰიუ მიხვდებოდა, ღამით ოთახში ვილაც ყოფილაო.

მან ფორთოხლის წვენი დალია. როდესაც ჭიქას ტუმბზე  
დგამდა, იატაკზე გატეხილი ჭიქის ნამსხვრევები შენიშნა.

ავღელდი. სერ ჰიუმ წარბები შეიკუმუხნა, თითქოს რაღაცის  
გახსენებას ცდილობდა.

— როგორც ჩანს, ძილში გავტეხე, — თქვა მან.

ისეთი სახე მივიღე, თითქოს გატეხილი ჭიქა მხოლოდ ახლა  
შევნიშნე, საჩქაროდ დავიხარე და ნამსხვრევების შეგროვება  
დავიწყე.

— თითები კი არ გაიჭრათ, — მითხრა მან და ჩემი მიტანი-  
ლი დილის გაზეთების კითხვა დაიწყო.

მთელ დღეს ყურადღებით ვადევნებდი თვალყურს სერ  
ჰიუსს, მაგრამ მის ქცევაში უჩვეულო ვერაფერი შევნიშნე.  
მართალია, ვიცოდი, რომ დილით ლონდონში დეპეშა გაგზავ-  
ნა, რომელიც წინა ღამით გადავიღე.

რატომ არაფრით იმჩნევს, რომ რაიმე იცის? განა არ უნ-  
და გაოცებულიყო, საიდან იღებდა ასეთ ცნობებს ფონ ჰაპე-  
ნი. მას უნდა ეგრძნო უნდობლობა ადამიანებისადმი, რომლე-  
ბიც გარს ეხვივნენ მას. რომ ჩემთვის შეკითხვები მოეცა. ეცა-  
და ჩემი მხილება და თუნდაც რაიმეთი გაემქლავნებინა თავი-

სი ეკვები, ეს უფრო ბუნებრივი იქნებოდა, ვიდრე მისი ახლანდელი ჩვეულებრივი დამოკიდებულება ჩემდამი.

სერ ჰიუ დიპლომატი იყო. იგი იძულებული იყო მუდამ კონტროლი გაეწია თავისი გრძნობებისათვის. მან ისწავლა ყოფილიყო ყოველთვის აუღელვებელი და თავაზიანი—პიკნიკებზე, ომის გამოცხადების დროს, მთავრობის შეცვლისას. ასე თუ ისე, მისმა სიმშვიდემ მოთმინებიდან გამომიყვანა.

საშინლად გაურკვეველი მდგომარეობა მაღიზიანებდა, ჯავრს მარაზე ვიყრიდი.

— ოდესმე თუ დაამთავრებ ფრჩხილების წმენდას? — წამომცდა მე.

მარამ არაფერი მიპასუხა, თითები გაშალა და სული შეუბერა.

— ნეტა რამ წამოგიხუმტურა, — უკმაყოფილოდ თქვა მან და სკამზე შეინძრა, უფრო მოხერხებულად დაჯდა. ამან სულ მთლად გამომიყვანა მოთმინებიდან. თავი შევიკავე და გულის გადასაყოლებლად მოიზიშთან დარეკვა და მასთან შეხვედრა გადავწყვიტე.

— ამჯერად ერთმანეთს ქუჩაში შევხვდით. ირგვლივ სიწყინარე იყო, „ოპელში“ შევძვერი.

— როგორ მიაღწიეთ? — ვკითხე მოიზიშს.

მან მხრები აიჩეჩა და უნდობლად მიიხედ-მოიხედა, თითქოს არ სჯეროდა, რომ გუშინდელი მდევარი აქ არ იყო.

— იგი გაქრა, — მიპასუხა მან.

როგორი ახსნა უნდა გამოუნახო ამას? როგორ შეეძლო ადამიანს შეენიშნა, რომ მანქანაში აღარ ვიყავი? მას აშკარად სურდა გაეგო, ვინ ვარ მე, მაგრამ ამჯერად არაფერი გამოუვიდა. სხვანაირად რომ ვთქვათ, არაფერი საშიში არ მომხდარა.

მოიზიშს ფირი გადავეცი.

— ელჩის საწოლ ოთახში შევედი, — ძლივს გასაგონად წარმოვეთქვი მე, ვცდილობდი შთაბეჭდილება მომეხდინა, — ყველაფერი ეს არც ისე ძნელია. მას ხომ, ჩვეულებისამებრ, დასაძინებელი წამალი ჰქონდა დალეული.

— როგორ? — წამოიძახა მოიზიშმა. — თქვენ ამ ღამით ფოტოსურათები გადაიღეთ?

— რატომაც არა? ინგლისელებს არა აქვთ საფუძველი

იფიქრონ, საელჩოში ჯამუშია, რომელიც გერმანელებთან მუშაობსო. და მაინც რა მოხდა?

მოიზიშმა ჩემი შეკითხვა გუშინდელ დევნას დაუკავშირა.

— იქნებ, თქვენ მართალი ხართ, — შენიშნა მან. — სავესებით შესაძლებელია, რომ მათ არაფრის ეჭვი არა აქვთ, ხოლო გუშინდელი გამოდევნება — სუფთა შემთხვევეობაა. შესაძლოა, ადამიანმა კარგად დალია, ჩვენი დევნა უბრალოდ აიხირა და მეტი არაფერი. არ არის გამორიცხული, რომ მე ჩვეულებრივი თვალყურის დევნება დამიწყეს. არა მგონია, ინგლისელებს მართლაც სჯეროდეთ, რომ სავაჭრო ატაშე ვარ.

— მხედველობაში არა მაქვს გუშინდელი დევნა, — ვთქვი მე, — ვფიქრობ მხოლოდ დებეშაზე, რომელსაც თქვენ წაიკითხავთ, როდესაც ფირს გაამჟღავნებთ.

მოიზიშმს ინგლისის ელჩის შენიშვნის შესახებ ვუამბე.

მაგრამ მას არ შეეძლო ჩემთვის ეთქვა, თუ რამ დაძაბა ასე ინგლისელები.

მოიზიშმა ვერ შეძლო ყოველივე ამის სარწმუნოდ განმარტება, რომ მე უიში გამფანტვოდა.

განმარტება მხოლოდ მრავალი წლის შემდეგ ფონ პაპენის მოგონებებში ვიპოვე... თურმე, იგი თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრთან ნუმან მენემენჯოლლუსთან მისულა, ჩემგან მიღებული ცნობების გამო. ფონ პაპენი დიპლომატი და პოლიტიკოსი იყო. მან ნათლად წარმოიდგინა მოვლენათა საერთო სურათი და, რასაკვირველია, რაღაც უნდა წამოეწყო. მას, როგორც ჩანს, ამ გამაფრთხილებელი გასროლით სურდა ხელი შეეშალა თურქეთისათვის, რომ ინგლისელებს არ მიმხრობოდა. მე, რასაკვირველია, ეს არ ვიცოდი. საექვო რეპუტაციის გამო უიშობდნენ ჩემს დიდ სახელმწიფოებრივ საქმეებში ჩარევას. ფონ პაპენი შემდგომში წერდა:

„მთელმა რიგმა ინგლისურმა დებეშებმა მაიძულეს დაუყოვნებლივ მიმემართა ნუმანისადმი. ჩემთვის მხოლოდ საჭირო იყო შემეხსენებინა დებეშის შესახებ, რომელშიც ლაპარაკი იყო ევროპის თრაკიაში რაღარის დანადგარების დაყენების შესახებ, რათა ინგლისის ბომბდამშენებს შეძლებოდათ რუმი-

ნეთის ნავთობის კოშკურების უფრო დიდი სიზუსტით და-  
ბომბვა. ჩემო თვალსაზრისით, მაშინდელი ვითარება დაუყოფ-  
ნებლივ და გადაჭრით ჩარევას მოითხოვდა. ამიტომ ნუმანის-  
თვის უნდა გამეგებინებინა, რომ მქონდა ზოგიერთი ცნობა  
ამაზე ინგლისელთა გეგმების შესახებ. მე ვუთხარე მას, რომ ინ-  
გლისის სამხედრო-საჰაერო ატაშემ თუ მისმა კოლეგამ გა-  
დაკრულად უთხრეს ამ გეგმების შესახებ ნეიტრალური სა-  
ხელმწიფოების წარმომადგენლებს, ჩემი მოვალეობა იყო მი-  
მეპყრო მისი ყურადღება იმ სერიოზული საშიშროებისადმი,  
რომელიც შეიძლებოდა მომხდარიყო, თუ ამ რადარული და-  
ნადგარების განლაგება ცნობილი გახდებოდა ბერლინისათვის.  
თუ ეს მოხდება, საეჭვოა, რომ შევძლო გერმანიის ავიაციის  
სტამბულზე თავდასხმის თავიდან აცილება-მეთქი. ნუმანი  
ძლიერ გააკვირვა ჩემმა ვრცელმა ცნობებმა. ყოველივე ამით  
გაოცებულმა, მან ჩვენი ლაპარაკის შინაარსი ინგლისის ელჩს  
გაუზიარა. მეორე დღეს ჩემს მაგიდაზე იღო დეპეშა, რომელ-  
შიც სერ ჰიუ ამის შესახებ საგარეო საქმეთა სამინისტროს აც-  
ნობებდა: „პაპენმა უფრო მეტი იცის, ვიდრე საჭიროა იცო-  
დეს“.

მაშასადამე, თვით ფონ პაპენმა დააცქვეტინა ყურები  
მთვლემარე ინგლისელებს.

მაგრამ იმ დროს, რასაკვირველია, არ ვიცოდი ეს ამბავი.  
ჩემთვის არ იყო ცნობილი, თუ რა წამოიწყო პაპენმა. ყველა-  
ფერი, რაც მე ვიცოდი და რასაც ვგრძნობდი მაშინ, ეს იყო  
შიში, პანიკური შიში.

მოიზიშს ვთხოვე ჩემს სახლამდე მივეყვანე. მარა სავარ-  
ძელში იჯდა და თავისი ფრჩხილების მოვლით იყო გართული.  
აქვე იყო კანარული ჩიტი, ნარგილე, ყვავილები და ვისკი. იდი-  
ლიური სურათია. ყოველივე ამან ძარღვებში სისხლი ამიღუ-  
და.

—ახლახან ჩემი ნათესავეებისაგან წერილი მივიღე,—ვუთხარ-  
ი მას.

—მერე რა?

ეს მისთვის საინტერესო არ იყო, განაგრძობდა თავის

ფრჩხილების მოვლას და თან მუსიკას ესმენდა. რადიომიმღე-  
ზიდან მოისმოდა „აყვავებული ცხოვრება“ — მოღურაი ფრან-  
გული სიმღერა.

იმ დღით მივიღე ჩემი შორეული ნათესავის — მეხმეტის  
წერილი.

„ძვირფასო ელიას, ჩვენ ყველას იმედი გვაჩქს. რომ ჭანმ-  
რთელად ხარ“, — მწერდა იგი. წერილი ნათესავებისაგან, რომ-  
ლებსაც მთელი საუკუნეა არ მოუწერიათ, მაგრამ რომლებსაც  
რაიმე სჭირდებათ, სწორედ ასე იწყება.

— „გახსოვს ჩვენი პატარა ეზრა? — განავრძობდა მეხმე-  
ტი.— იგი კარგად სწავლობს და ჩვენც ძლიერ კმაყოფილი ვართ  
მისი. ნიშნები საუკეთესო აქვს...“

წერილში ბევრი რამ იყო პატარა ეზრას შესახებ, რომე-  
ლიც ვერაფრით მოვიგონე. როდესაც უკანასკნელად ვნახე  
ბიძაშვილი მეხმეტი, მას ბევრი პატარა ქალიშვილი ჰყავდა.

„შეძლებ რაიმე გააკეთო ეზრასათვის ანკარაში? ჩვენ  
ძლიერ მადლობელი ვიქნებით შენი. მან ხომ სავაჭრო კოლეჯი  
დაამთავრა...“

წერილი გვერდზე გადავდე და მის შესახებ ფიქრი შევწყ-  
ვიტე.

ნათესავები არასდროს მაინტერესებდნენ. ბიძაშვილი მეხ-  
მეტი, როგორც ჩანს, ფიქრობდა, თუ საელჩოში მუშაობს,  
სასწაულების მოხდენა შეუძლიათ.

მარას შევხედე და ღვარძლიანად ჩავიციე.

— ჩვენ ერთ ოთახს გავანთავისუფლებთ, — მივმართე მას. —  
ეზრა ჩვენთან იცხოვრებს.

— ვინ არის ეს ეზრა? — უკმაყოფილოდ შემეკითხა იგი.  
ჩავიციე.

— ნათესავია. მე თვით ძლივს მახსოვს იგი. მან სკოლა და-  
ამთავრა და...

— მერე ჩამოვა და აქ იცხოვრებს?

მარა ისე მსჯელობდა; თითქოს ეს მისი სახლი ყოფილიყო.

— უნდა დავეხმარო, — წყნარად ვუპასუხე, — იგი ჩემი  
ბიძაშვილის შვილია, რომლისგან ძლიერ დავალებული ვარ.

სინამდვილეში მე არაფრით ვიყავი დავალებული მეხმეტი-  
საგან.



— რა უნდა მას აქ?

— ო, ზეცავ, — საიდან შემიძლია ამის ცოდნა? ანკარა, რაც უნდა იყოს, დედაქალაქია. ქალიშვილს სურს ფეხზე დადგეს. ხაცნობობა მყავს და დავეხმარები.

ამ ლაპარაკის შემდეგ პირველ დღეებში მარა პირდაპირ დღულდა სიბრაზისაგან და ძლიერ ექვიანი გახდა. შემდეგ დამშვიდდა და დამიწყო დარწმუნება, ეზრა ხელს შეგვიშლის ჩვენ პატარა მყუდრო ბუდეშიო.

მარას ნაზ გოდებას ვუსმენდი, მაგრამ ჩემი ყურები თითქოსდა ბამბით იყო დახშული.

მისი ნაამბობი სრული სიმართლე იყო. მას, როგორც ჩანს, კიდევ ვუყვარდი და არ შეეძლო ჩემი გაცემა.

შვება ვიგრძენი. მარასადმი სიმპათიასთან ერთად მტკიცე რწმენა და უპირატესობის გრძნობა დამიბრუნდა.

ერთხელ, როდესაც მუსიკას ვუსმენდით, მარამ ჩუმად, თითქოსდა უცაბედად, მითხრა.

— ეზრა არ ჩამოვა აქ და აქ არ იცხოვრებს. შენ გერმანელებთან მუშაობ. ახლა მე ყველაფერი ვიცი.

მარა მემუქრებოდა.

მაგრად გავარტყი სახეში.

ისე მოხდა, რომ მარამ მისტერ ბასკისა და მის ცოლის ლაპარაკს ყური დაუგდო და გაიგო, რომ პირველი მდივანი, ისევე როგორც საელჩოს ყველა თანამშრომელი, შეშფოთებული იყო. ბასკიმ უამბო ცოლს, გერმანელებს, ალბათ, ინფორმაციის ჩინებული წყარო აქვთ, შესაძლოა, თვით ელჩის პირად რეზიდენციაშიო.

მარა მაშინვე ყველაფერს მიხვდა.

მას დაწვრილებით ვატყმევიანე ყველაფერი, რაც იცოდა.

— ამ ლაპარაკს სრულიად შემთხვევით მივუგდე ყური და, ვფიციან შენს თავს, სულ ეს არის, რაც ჩემთვის ცნობილია, — მითხრა მან.

არ ვიცოდი, დამეჭერებინა მისთვის თუ არა.

მარა თავის სიყვარულს მეფიცებოდა და მარწმუნებდა, მას არ ჰქონდა განზრახვა დამმუქრებოდა ანდა შანტაჟი მოეწყობა ჩემთვის, და ყველაფერი მიაბო.

ჩემი უნდობლობით ვტანჯავდი, მაგრამ ვერ შევძელი შიშისაგან თავის დაღწევა, ვერც იმაში დარწმუნება, რომ იგი ახლა ჩემი მტერი იყო.

როდესაც მეორე დილით საელჩოში სამუშაოზე მივდიოდი, ქუჩის მეორე მხარეს შევნიშნე მაღალი, ტანადი ადამიანი, რომელიც საელჩოს შესასვლელს უყურებდა. იგი თამბაქოს უკიდებდა, ასანთი ხელისგულებით დაეფარა. იქნებ, იგი სახის დამალვას ცდილობდა? ანდა მე მითვალთვალებდა? მას ახალგაზრდა, არასასიამოვნო სახე ჰქონდა. ჩემი მღევნელის სახე. შიშმა შემიპყრო.

ნერვებმა მიმტყუნეს და ამაო იყო თავშეკავების ყველა ცდა.

ჩემს ოთახში ნოხი აგვეცე. ფული იატაკზე იყო გაშლილი მეორე ნოხივით, თუ ძვირფასი ნოხივით, როგორც შეიძლება წარმოიდგინოს კაცმა, რამდენიმე ბანკნოტი ავიღე და ხელში ავატკაცუნე.

ზოგჯერ ვფიქრობდი, ნოხის ქვეშ ფულის დატოვება სარისკო იქნება-მეთქი. შეიძლებოდა მათი შენახვა სარდაფში კიბის საფეხურების ქვეშ, სადაც ქვების გამოღება შეიძლებოდა, მაგრამ ჩემმა ქედმაღლობამ, ასევე იმ აზრმა, რომ ვინმეს შემთხვევით შეეძლო მათი პოვნა, ასეთი ნაბიჯის გადადგმისაგან შემაჩერა. ამასთან მსიამოვნებდა ყოველ საღამოს მათი ცქერა.

ვწყევლიდი ჩემს უუნარობას, რომ არ შემიძლო გარკვეული გადაწყვეტილების მიღება. ასევე დავწყევლე შიში, რომლისთვისაც ვერავითარი გამართლება ვერ გამოვნახე.

სამზარეულოში შევხვდი მანოლი ფილოტის. ძალაუვნებურად გავიღიმე.

— რას იტყვი იმ მამის შესახებ, რომელსაც სურს თავისი ქალიშვილი მომანდოს?

• მანოლს ქოთანში ქათამი ედო.

— რამდენი წლისაა ქალიშვილი?

— როგორც ჩანს, დაახლოებით ჩვიდმეტის.

— ასეთ შემთხვევაში მამამისი ნამდვილი სულელი ყოფილა, — გადაჭრით დაასკვნა მანოლიმ.

— ნახე, იქნებ, შეძლო ლედი ნეტჩბულ-ჰიუგესენტან მისი შოსამსახურედ მოწყობა, — ჩაერია საუბარში გუსტაფა.

— კარგი იდეაა, — მითხრა მანოლიმ ლიმილით. — მე ყოველ ლამით შინ მივდივარ, მას შეუძლია ჩემს ოთახში დაიძინოს.

— და რომელიმე სადამოს შენ უთუოდ არ წახვალ შინ, — შევნიშნე მე.

ხუმრობას განვაგრძობდი. ხმამაღლა ვიციხოდ.

— შენი ეზრა ლამაზია? — მკითხა მანოლიმ.

— ჩვიდმეტი წლისა სხვაგვარი არ იქნება, — ვუპასუხე მე. — ნამდვილად მოველაპარაკები ლედი ნეტჩბულ-ჰიუგესენტანს.

მხოლოდ ამ სიტყვების შემდეგ მივხვდი, რომ ნამდვილად კარგი იქნებოდა გამომენახა ეზრასათვის სამუშაო საელჩოში. მას შეეძლო ჩემი თანაშემწე გამხდარიყო.

— იგი შეიძლება ჩვენ ყველას გამოგვადგეს, — ლიმილით ვთქვი მე.

მანოლიმ და მუსტაფამ ჩაიციხეს.

ახლა განუწყვეტლივ ეზრაზე ვფიქრობდი, და ეს უკავშირდებოდა აზრს, რომ მუქარა მხოლოდ ჩემს წარმოსახვაში იყო და არავითარი საბაბი არ მქონდა არ გამეგრძელებინა დაწყებული საქმე.

ერთ მშვენიერ დილით ლედი ნეტჩბულ-ჰიუგესენტან წავიდა.

ვუამბე მას, ჩემი ნათესავი, ახალგაზრდა ქალიშვილი, ამ დღეებში ანკარაში ჩამოდის და არსად შეუძლია თავი შეაფაროს-მეთქი. ხომ არ სჭირდებოდა შემთხვევით იგი ლედი ნეტჩბულ-ჰიუგესენტანს?

მან უხალისოდ მომისმინა. მერე მითხრა, მსახური ქალი არ მჭირდებაო, მაგრამ ქალიშვილს შეუძლია რამდენიმე დღე საელჩოში გაჩერდეს, ვიდრე რაიმე შესაფერისს არ იპოვისო. მან ეს აშკარა გულგრილობით მითხრა.

— ძლიერ მადლობელი ვარ თქვენი, — ვუთხარი მე, თავი დავუკარი და ოთახიდან გამოვედი.

ლედი ნეტჩბულ-ჰიუგესენტან საუბრის დროს საგულდა-

გულოდ ვსწავლობდი მას. მაინტერესებდა, თუ რა რეაგირებას მოახდენდა ელჩის ცოლზე ჩემი თხოვნა.

აშკარა იყო, რომ მას არავითარი ეჭვი არ ჰქონდა ჩემს მიმართ. არვინ იცოდა, რომ ციცერონი მე ვიყავი.

იმ დღეს ცას ვეწიე სიხარულით.

მეორე საუზმის შემდეგ ელჩი, ჩვეულებისამებრ, როიალზე უკრავდა. იმ დღეს დარეკა და ხილის წვენი მოითხოვა. იმწამსვე მიეჭტანე და რამდენიმე წუთს მოკრძალებით ვუსმენდი მუსიკას.

— თქვენო აღმატებულებავ, თქვენ შესანიშნავად უკრავთ, — ნება მივეცი თავს შემენიშნა.

— გმადლობთ, — მიპასუხა მან ღიმილით.

თვლები გადავატრიალე, ხელი გულთან მივიღე, „მფრინავი ჰოლანდიელიდან“ ერთ-ერთი არია წამოვიწყე.

როგორც უკვე ვთქვი, ამ დღეს ძალზე გახარებული ვიყავი.

— მაპატიეთ, თქვენო აღმატებულებავ.

სერ ჰიუმ გაიღიმა და თავი დამიქნია.

-- ჩანს, რომ სწავლობდით.

— დიახ, თქვენო აღმატებულებავ, მე სტამბულის კონსერვატორიაში ვსწავლობდი.

სერ ჰიუმ რამდენიმე აკორდი აიღო და გაიღიმა. მაშინვე ვიცანი ნაცნობი მელოდია. ხელი როიალზე დავდე და წამოვიწყე:

In einem Bächlein helle, da schoos in froher Eil,

Die launische Forelle vorüber wie ein Pfeil...

ელჩი შესანიშნავ აკომპანირებას მიწევდა, ნამდვილი მუსიკოსივით მიუძღოდა იგი ჩემ ხმას.

არა, მას, რასაკვირველია, ჩემ მიმართ ეჭვი არა აქვს.

Ich stand an dem Gestade und sah in süsßer Ruh;

Das muntern Fischleins Bade in klaren Nasser Zu.

მუსიკამ შორსშორს წავგიღო. ოთახი ჩინებულმა ხმებმა გაავსო.

Doch plötzlich war das wasser trübe,

Und eh'ich mich's versah...

სიმღერა დამთავრდა. თითოეული ჩვენთაგანი ქათინაუ-

რებს არ იშურებდა. სასტუმრო ოთახიდან ცარიელი ჭიქით გამოსვლის შემდეგ მე არ მქონდა მიზეზი ელჩის შიში მქონოდა.

იგი ერთ საათზე მეტს უკრავდა. მუსიკა მთელ სახლს მოეფინა. ამ დროისათვის მე რამდენიმე დოკუმენტის გადაღება მოვასწარი. ერთ-ერთ მათგანში მოხსენებული იყო, 1944 წლის 14 იანვარს უნდა მოხდეს მოკავშირეთა ავიაციის სოფიაზე თავდასხმაო.

ჩემი ოთახიდან გამოსვლისას მოულოდნელად მარას შევხვდი. ელჩი ისევ უკრავდა.

მარა დამხმარე შესასვლელთან იდგა საბაკშვო ეტლით, რომელშიც ბასკების ბავშვი გორავდა.

მკაცრად შევხედე: იგი წინათ ხომ არასდროს ყოფილა აქ. მარა ბავშვისაკენ დაიხარა:

— აი, სად მუშაობს შენი მამიკო...

წინანდებურად ბავშვზე დახრილმა შემხედა, გაუღიმე და ისეთი სახე მივიღე, ვითომც ბავშვით დავინტერესდი, და კიდევ გავეთამაშე მას ორი თითით.

— როგორ გაზრდილხარ — წამოვიძახე მე.

მარამ გაიღიმა.

შემდეგ ჩუმი, ჩახლეჩილი ხმით მითხრა, გავიგონე, თუ როგორ უთხრა ცოლს მისტერ ბასკმა, ლონდონიდან ახლახან საიდუმლო სამსახურის რამდენიმე აგენტი ჩამოვიდაო.

ბავშვს ლოყაზე ხელი მოვუთათუნე. მარა აუჩქარებლად მიჰყვა ეტლს.

მაშასადამე, გამაფრთხილა.

დროის ანგარიში იმ დროიდან დავკარგე, როდესაც სახიფათო თამაში დავიწყე. მაშინ შემოდგომა იყო, ახლა უკვე ზამთარი იდგა. ვერ ვამჩნევდი, როგორ მისდევდნენ ერთმანეთს კვირეები. ჩემთვის ყველა დღე ერთმანეთს ჰგავდა. მუდმივ დამბული ნერვებით ვცხოვრობდი. ცხოვრებაში არ გამაჩნდა არაფერი, გარდა ფულის შოვნის საშინელი წყურვილისა, რისკისა და შიშისა.

იანვარი იდგა. ყინვისგან აწითლებულლოყებიანმა თბილად შეფუთვნილმა ბავშვმა მომაგონა, თუ რა სწრაფად გადიოდა დრო.

ჩემი ოთახისაკენ გავეშურე, შევაგროვე ფული, ფირები, ფოტოგადაღების მოწყობილობები, ყველაფერ ამას ელჩის ფრაკი გადავაფარე, რომელსაც რამდენიმე ღილი მივაკერე და კიბის ქვეშ დავმალე.

ახლა, როდესაც ნოხის ქვეშ ფული აღარ იყო, პირველად ვიგრძენი არარაობა ყველაფერი იმისა, რაც გავაკეთე.

მარამ დროულად გამაფრთხილა.

როდესაც სერ ჰიუმ დამირეკა, მის კაბინეტში კიდეც სამი-ადამიანი იმყოფებოდა. როდესაც შევედი, ორმა მათგანმა დაკვირვებით შემხედა და შემდეგ დიდხანს ყურადღებით მათგალიერებდნენ პროფესიული უნდობლობით. მესამე კუთხეში ჩაცუცქულიყო. იქ კარგად შენიღბული სეიფი იყო, რომელსაც იგი, როგორც ჩანს, იკვლევდა.

— მოგვიტანეთ, გეთაყვა, ყავა, — მითხრა სერ ჰიუმ. მისი ხმის კილო ჩვეულებრივ მეგობრული იყო. საინტერესოა, ვფიქრობდი შე, ეს სამი აგენტი ახლახან მოვიდა, თუ დიდი ხანია იმყოფებიან სახლში? ერთიც ვნახოთ და, სერ ჰიუმ უბრალოდ განზრახ დამაყოვნოს სასტუმრო ოთახში როიალთან, რათა ამ ადამიანებმა მშვიდად შეძლონ ჩემი ოთახის გაჩხრეკა?

როდესაც მათ ყავას ვაწვდიდი, მომეჩვენა, რომ გამომცდელად მიყურებდნენ.

— რამდენი ხანია, რაც ჩემთან მსახურობთ, ელიას? — ფრანგულად შემეკითხა სერ ჰიუმ.

— სამი თვეა, თქვენო აღმატებულება.

— მე ძლიერ კმაყოფილი ვარ მისი, — განმარტა მან ინგლისურად.

სამივე დუმდა.

ერთ-ერთმა მათგანმა ინგლისურად მითხრა:

— რძე მომიტანეთ, გეთაყვა.

— კეთილი, — ვუპასუხე.

— და შაქარი, — დაუმატა მან გერმანულად.

მე უკვე ვაპირებდი მეგრძობინებინა, რომ გავუგე მას, მაგრამ უკანასკნელ მომენტში მივხვდი: ეს ხაფანგი იყო.

და ჩუმად ვუთხარი ფრანგულად:

— გთხოვთ, მაპატიოთ, სერ, მე ცუდად მესმის გერმანული. სერ ჰიუმს პირდაპირ თვალეში შევხედე და დავუმატე:

— მე მხოლოდ რამდენიმე გერმანული სიმღერის სიტყვები ვიცი, მაგრამ არ ვიცი, რას ნიშნავს ის.

სერ ჰიუმ გამოხედვით დაადასტურა ეს.

— მოიტანეთ კიდეც შაქარი ჟენტლმენისათვის, — მითხრა სერ ჰიუმ ფრანგულად. იგი, როგორც ჩანს, არ იწონებდა მსგავს მოურიდებელ უტაქტო მეთოდებს, რომლითაც საიდუმლო სამსახური სარგებლობდა.

შაქარი მოვიტანე, თუმცა იგი ისედაც სრულიად საკმარისი იყო. ძლივძლივობით ვახერხებდი ხელების კანკალის შეკავებას.

მოიზიშთან შეხვედრა დაენიშნე.

ტელეფონით რომ დავკავშირებოდი, ამჯერად ჩვეულებრივზე შეტი დროის დახარჯვა მომიხდა. როგორც ჩანს, მოიზიშს ახალი მდივანი ჰყავდა.

— პიერი ლაპარაკობს. შემძლია დაველაპარაკო ბატონ მოიზიშს?

— ვისთან გსურთ ლაპარაკი?

— ბატონ მოიზიშთან. უთხარით მას, რომ პიერს სურს მასთან ლაპარაკი.

ქალს სასიამოვნო კრიალა ხმა ჰქონდა, მაგრამ, როგორც ჩანს, გვიანი აღქმის უნარი.

— პიერი? — შემეკითხა იგი ღიმილით. — რომელი პიერი? ალბათ, არშიყოფა სურდა უცნობ აბონენტთან, მაგრამ ამის გუნებაზე სრულებითაც არ ვიყავი.

— უბრალოდ პიერი, — სერიოზულად ვუთხარი. — შემაერთეთ, გეთაყვა.

— კეთილი, — უკმაყოფილოდ მითხრა მან.

ქალს, მართლაც, მეტად სასიამოვნო ხმა ჰქონდა და გული დამწყდა კიდეც ჩემი უკმეხობის გამო.

— დღეს ხასიათზე ვერა ვარ, — წავიბუტბუტე, მაგრამ პასუხად მოიზიშის ხმა გავიგონე და შეხვედრის შესახებ შევთანხმდი.

ჩვეულებისამებრ, ცარიელ ქუჩებში მივდიოდით.

— ჩვენს კვალს აადევნეს, — ვუთხარი მოიზიშს.

--- დარწმუნებულნი ხართ?

— დიახ, სპეციალურად მოიწვიეს ლონდონიდან.

— მაშ, ყველაფერი რთულდება. თქვენ, როგორც ჩანს, რამდენიმე ხნით მოისურვებთ მუშაობის შეწყვეტას?

მხრები ავიჩეჩე.

— უნდა დავიცადოთ. მათ ყველა მსახურის ოთახი გაჩხრიკეს.

— მაშასადამე, არა მარტო თქვენი?

--- არ ვიცი, იყვნენ თუ არა ისინი ჩემს ოთახში, მაგრამ მუსტაფა ჩიოდა, ვილაც იქექებოდა ჩემს ნივთებშიო. ჩემს ოთახში მათ არავითარი კვალი არ დაუტოვებიათ.

--- მაშასადამე, მათ ჭერჭერობით ეჭვი არა აქვთ.

— ფოტოაპარატი და ფული საიმედოდაა დამალული.

მოიზიშმ ფირი გავუწოდე, მან კი ფული ჩამაბარა, ალბათ, ფიქრობდა, რომ ეს უკანასკნელი იყო.

— ერთ-ერთმა მათგანმა სერ ჰიუს კაბინეტში შენიღბული სეიფი შეამოწმა, — ვუთხარი მე.

მოიზიშმა ყურადღებით შემხედა.

— ასეთ შემთხვევაში, მათ ისიც კი არ იციან, როგორ ხდება მათი საიდუმლოების გაცემა, — მითხრა მან და გამამხნეველად გაიღიმა.

— რატომ ფიქრობთ ასე?

— იმიტომ, რომ ისინი უთუოდ დამალულ მიკროფონს ეძებენ. თუ მათ სეიფი შეამოწმეს, მაშასადამე, მათ ეჭვი აქვთ, რომ სადღაც მიკროფონია დამალული. ისინი არ ვარაუდობენ, რომ ამ შემთხვევაში საჭიროა ფოტოაპარატურაც ეძებონ.

მისმა ვარაუდმა, ცოტა არ იყოს, დამამშვიდა. ნერვები სპოცრად მქონდა დაძაბული და მზად ვიყავი ხავსსაც კი მოვჭიდებოდი.

ნერვულად გავიციინე.

— სერ ჰიუს და მეც ცოტას ვნერვულობთ. მაგრამ თითოეულ ჩვენგანს ამაზე საკუთარი მიზეზები გვაქვს. დღეს ჩვენ დაკვრით თავი შევიქციეთ, რამაც ორივეს ძალები შეგვმბატა. თითოეული თავისი გზით წავედით წინ.

მოიზიშმა რაღაც უცნაურად შემომხედა. მან, როგორც ჩანს, გადაწყვიტა, რომ ჰკუიდან იშლებოდა. ჩავიციინე.



— მე ვმღეროდი, იგი კი როიალზე უკრავდა. თუ ეს ბიჭები იპოვიან დამალულ მიკროფონს და ჩანაწერს დაუკრავენ, აი, სერი ეს იქნება.

ამ აზრმა ორივე გაგვართო.

როდესაც ჩვენ ერთმანეთს ვემშვიდობებოდით, ვუთხარი:

— გეთაყვა, ბოდიში მომხადეთ თქვენს მდივანთან. საკმაოდ უქმესად ველაპარაკე. ეს ახალი ქალიშვილია, არა?

— დიახ, იგი ახლახან ჩამოვიდა სოფიიდან.

— ბედს გაუღიმიო.

— რატომ?

— ნახეთ ფირის ერთ-ერთი კადრი. ერთი კვირის შემდეგ სოფიაზე საშინელი თავდასხმა მოხდება.

მანქანიდან გადმოსვლის შემდეგ მარასთან წავედი, რათა მადლობა მეთქვა დროულად გაფრთხილებისათვის.

მოჩვენების მეშინოდა. მეშინოდა მარასი, რადგან ვეჭვიანობდი, რომ გამცემდა. მეშინოდა უსიამოვნო სახის უცნობი ახალგაზრდა კაცისა. რომელმაც კინაღამ მიაგნო ჩემს კვალს. მეშინოდა ინგლისის საიდუმლო სამსახურის აგენტებისა, რომლებიც, ჩემი „ლეიკის“ ნაცვლად, დამალულ მიკროფონებს ეძებდნენ.

წინათგრძნობამ არ გამაფრთხილა, რომ ამ დღეს ჩემს ნამდვილ მტერთან—ქალთან ვლაპარაკობდი, რომელმაც კბილი მომისინჯა, ქალთან, რომელმაც სწორედ იმ ადამიანის კვალს მიაგნო, რომელსაც მეტსახელად „ციცერონს“ ეძახდნენ.

მეშინოდა მოჩვენებებისა და ჩრდილებისა. მაგრამ ამის კი არ უნდა მშინებოდა: თურმე მოიზიშის ახალი მდივნის სასიამოვნო ნაზი ხმისა უნდა მშინებოდა.

იმ დღიდან ბევრს ვფიქრობდი ამ ქალიშვილზე, ვფიქრობდი მასზე და მძულდა. ზოგიერთი რამ გავიგე მის შესახებ და ერთხელ კიდევ ვნახე, როდესაც ჩვენი გონებათა კიდილი გრძელდებოდა. მაგრამ ბევრი დეტალი ჩემთვის ცნობილი მაშინ გახდა, როდესაც ამ წიგნის დაწერა გადაწყვიტე. ბატონ ნოგლისა და ორი გერმანელი ჟურნალისტის დახმარებით

ბევრი რამ გავიგე ქალის შესახებ, რომლის ხმა პირველად მოიზიშის ტელეფონში მოვისმინე. მას კორნელია კაპი ერქვა.

კორნელია კაპი, მოიზიშის ახალი მდივანი, ოცდასამი წლის ლამაზი, ქერა, გერმანელი დიპლომატი ქალიშვილი, ამერიკელებთან მუშაობდა.

„ექვსი წლის ვიყავი, როდესაც პირველად ვეწვიე შეერთებულ შტატებს, — გკითხულობდი შემდგომ მის ჩანაწერებში. — ბერლინში დავიბადე, მაგრამ არსებითად არასდროს არ მიცხოვრია გერმანიაში. მამაჩემი კონსული იყო ბომბეიში მანამ; სანამ შეერთებულ შტატებში არ გადაიყვანეს. იქ იგი გენერალური კონსული გახდა კლივლენდში (ოგაიოს შტატი). შეერთებულ შტატებში ბევრი მეგობრები მყავდა. კლივლენდში ვცხოვრობდი, ვიდრე ომი არ დაიწყო, გერმანიაში მამა და მე 1941 წელს დავბრუნდით“.

მამამისი იტალიაში მსახურობდა, შემდეგ კი — ბულგარეთში.

„შტუტგარტში რამდენიმე კვირა მედიცინის დათა სკოლაში ვსწავლობდი. ყოველგვარი ხალისის გარეშე ვსწავლობდი, მაგრამ სხვა არჩევანი არ მქონდა, რადგან ფაბრიკაში მუშაობა მომიხნდებოდა. მამაჩემის ნაცნობების წყალობით შევძელი იტალიაში, მამაჩემთან, გადასვლა. 1943 წლის ივლისში მშობლებთან ერთად სოფიაში გადავედი, სადაც მამა გერმანიის საელჩოში დანიშნეს. საელჩოში მდივნად ვმუშაობდი. ანკარაში შემთხვევით არ ჩამოვსულვარ. თავისი ანკარელი აგენტების დახმარებით, ამერიკის საიდუმლო სამსახური 1943 წლის აგვისტოში სოფიაში დამიკავშირდა და მე ამერიკელების მხარეს ჩავები სოფიაში ჯაშუშურ მუშაობაში. ანკარაში მოიზიშმა გაცილებით გამიადვილა მუშაობა. უკვე ოთხი დღის შემდეგ სეიფის გასაღები მქონდა და მე მისი საიდუმლო დოკუმენტების ასლს ვიღებდი. ჩემი ძმები — პიტერი და ტოტარდი — გერმანელთა არმიის ოფიცრები იყვნენ და რუსეთის ფრონტზე იბრძოდნენ, სწორედ ეს იყო მეორე მიზეზი, თუ რატომ მოვიპოვე ასე ადვილად მოიზიშის ნდობა. ჩემმა სიყვარულმა ერთი ადამიანისადმი, რომელსაც კლივლენდში შევხვდები, მნიშვნელოვანი როლი ითამაშა იმაში, რომ ხალისით დავთანხმდი ამერიკის საიდუმლო სამსახურში შევსულიყავი (მე

არ დავასახელებ იმ ადამიანის სახელს). ანკარაში მას ისევ შეეხებოდა. ახლა იგი ეგრეთ წოდებული „აშშ სტრატეგიული სამსახურის სამმართველოს“ აგენტი იყო“.

სრფიაში კორნელიამ დაითანხმა მამა, მოექებნა მისთვის სამუშაო რომელიმე ნეიტრალურ ქვეყანაში, მაგალითად, თურქეთში, სადაც ახალგაზრდა ქალის ცხოვრება უფრო მხიარული იქნებოდა. ეს წმინდა შემთხვევითობა იყო, რომ იგი ანკარაში სადაზვერგო ინფორმაციის მთავარ წყაროსთან — თვით მოიზიშთან მოხვდა, რომელსაც სწორედ ამ მომენტში სჭირდებოდა მდივანი. გერმანიის სპელჩოში მუშაობას იგი სიხარულით დათანხმდა, როგორც სამუშაოც არ უნდა შეეთავაზებინათ.

კორნელია მამის განსაკუთრებული სიყვარულით სარგებლობდა მუდამ და თავს ბედისგან განებივრებულად თვლიდა, რადგან ისევ შეხვდა ადამიანს, რომელიც ოდესღაც ძლიერ უყვარდა. იგი მზად იყო, რაც უნდა დაჯდომოდა, ყველაფერი გაეკეთებინა.

მოიზიშის მისაღებად ტელეფონის რეკვისას იგი ოლებდა ყურმილს.

— საეჭრო ატაშეს კანცელარია! — ამბობდა იგი. მე მომწონდა მისი ხმა.

— ლაპარაკობს პიერი. ბატონ მოიზიშს სთხოვეთ, გეთაყვა. მის შეკითხვებს იმით ვხსნიდი, რომ იგი ახალი თანამშრომელი იყო.

— პიერი? რომელი პიერი?

იგი იცინოდა და დიდხანს არ მაკავშირებდა მოიზიშთან. ვფიქრობდი, რომ მას ჩემთან არშიყობა უნდოდა. მაგრამ მან იცოდა, რომ ციცერონს ელაპარაკებოდა.

„მე მხოლოდ ამერიკის საიდუმლო სამსახურში ვმუშაობდი, — წერდა კორნელია. — მოიზიში სავსებით მენდობოდა. მე ვიცოდი ციცერონის შესახებ ჯერ კიდევ მანამდე, ვიდრე მივიღებდი დავალებას წამეკითხა მთელი ფოსტა, რომელიც შიკაგოს ყოველდღე ჩამოჰქონდა ბერლინიდან. რადგან მარტო ვმუშაობდი და ამასთან არვინ მიშლიდა ხელს, საკმარისი დრო მქონდა იმისათვის, რომ ბერლინიდან მოსული დოკუმენტების ასლი გადამეღო, რომელთაგან ნათელი იყო, რომ ციცერონის

მოძებნა საჭირო იყო თვით ინგლისის საელჩოში. დოკუმენტების ასლს ამერიკელებს ყოველ საღამოს გადავცემდი. ერთხელ მათ კინაღამ დაადგინეს იმ ადამიანის პიროვნება, რომელიც მოიზიშს საღამოობით ხვდებოდა მანქანაში. ეს სწორედ იმ საღამოს მოხდა, როდესაც მოიზიში და ციცერონი ძლივს დაუსხლტნენ მდევარს, რომელიც გაშმაგებით დასდევდა მთელ ანკარაში, ამერიკელებმა ჯერ კიდევ აქამდე დიდი ხნით ადრე იცოდნენ, რომ ადამიანი, მეტსახელად „ციცერონი“, ნამდვილად არსებობდა. მე დავალებული მქონდა მისი პიროვნების აღდგენა“.

საიდან იცოდნენ ამერიკელებმა დიდი ხნით ადრე ამ საშინელ გამოდევნებამდე ციცერონის არსებობა?

• როგორ და საიდან მიიღეს ინფორმაცია?

დიდება, რომლითაც გარემოცული იყო ციცერონის სახელი, სიამით ავსებდა ჩემს თავმოყვარეობას. ამ სახელმა დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროში და გერმანიის დაზვერვაში. ციცერონის შესახებ ლაპარაკობდნენ ჰიტლერის შტაბში და ამერიკის დაზვერვაში, რომელსაც მეთაურობდა ალენ დალესი, ჯონ ფოსტერ დალესის ძმა, რომელიც შემდგომ ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანი გახდა. ხმები ციცერონის შესახებ დაზვერვის აგენტებსა და დიპლომატებს შორისაც დადიოდა.

— ციცერონი?! — ეს ხომ ინგლისის აგენტია. ინგლისელები იყენებენ მას, რათა გერმანელები შეცდომაში შეიყვანონ.

— ციცერონი — ერთი ინგლისელი დიპლომატის მეგობარია; ამიტომ მას აქვს საშუალება მოიპოვოს საიდუმლო დოკუმენტები.

— ციცერონი არ არსებობს. იგი გერმანიის პროპაგანდისტულმა მანქანამ გამოიგონა.

ერთხელ ღამით მოიზიშთან შევიპარე, იქ ენკეც იმყოფებოდა.

— თუ თქვენ საშიშროებას იგრძნობთ, მაშინვე ჩვენთან მოდიეთ, — მითხრა ენკემ. — ჩვენ გერმანიაში გაგგზავნით. ფიურერმა ბრძანა, რომ ჯილდოს სახით ომის შემდეგ ვილა მოგცეთ.

— თქვენ ელაპარაკეთ ჰიტლერს ჩემს შესახებ?

— რასაკვირველია.

მე, უბრალო ყავასი, სიამაყით ავივსე.

თავის მოგონებებში ფრანც ფონ პაპენი იხსენებს ჰიტლერთან ერთ საუბარს და წერს:

„როდესაც სიტყვა შეეხო საერთო ვითარებას, მე შევახსენე თეირანის კონფერენციის გადაწყვეტილებათა შესახებ, რომელიც ჩვენთვის ციცერონის დეპეშებიდან იყო ცნობილი“.

მოიზიში იხსენებს თავის საუბარს გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრთან და წერს<sup>1</sup>:

— „რიბენტროპმა ისევ არ გამხალა თავისი ყურადღების ღირსი. იგი განაგრძობდა დოკუმენტების ხელში ნერვულად ტრიალს. ეკვი და ბრაზი ნათლად ისახებოდა მის სახეზე, როდესაც იგი ფორტოგრაფიათა გროვას უყურებდა, რომელიც გერმანიას სამოცდახუთი ათასი გირვანქა სტერლინგი დაუჭდა. უცებ მან მთელ შეკვრას ხელი წააგლო, ისროლა თავისი უზარმაზარი საწერი მაგიდის ბოლოში და ძლივს გასაგონად წაიბუტბუტა: „შეუძლებელიაო“.

მოიზიშს ასევე მოჰყავს ციტატა მესამე რაიხის საიმპერიო უშიშროების მთავარი განყოფილების უფროსის კალტენბრუნერის განცხადებიდან.

„რიბენტროპი აქამდე მტკიცედ დარწმუნებულია, რომ კამერდინერი ინგლისელების მიერ არის მოგზავნილი. მე კარგად ვიცნობ რიბენტროპს — იგი თავის ნათქვამზე ჭიუტად დგას. ყოველ შემთხვევაში, საკმაოდ დრო გაივლის, ვიდრე შეიცვლის თავის აზრს, ხოლო უმნიშვნელოვანესი სადაზვერვო ცნობებზე ეყრება მის მაგიდაზე, ისე რომ არაავითარ სარგებლობას არ მოიტანს. ამის დაშვება არ შეიძლება, მე თვით ფიუჩრერთან მივალწევ იმას, რომ „ციცერონის“ რპერაციას ხელმძღვანელს მხოლოდ საიდუმლო სამსახურმა“<sup>2</sup>.

ამრიგად, ორი ძლევა მოსილი ადამიანი ციცერონის გამო ჩხუბობდა, მაგრამ ანკარაში მე იმდენად ციცერონი არ ვიყავი, რამდენადაც ყავასი, რომელიც თავის გრძელ ცხვირს სხვის საქმეებში ჩრიდა.

<sup>1</sup> იხ. ლ. მოიზიში, ოპერაცია „ციცერონი“.

<sup>2</sup> იქვე.

საიდან შემეძლო მცოდნოდა, რომ ბერნში, შვეიცარიაში, იმყოფებოდა ამერიკელი, სახელად ალეს დალესი, რომელსაც ხანგრძლივი დროის განმავლობაში ბერლინში ბევრი ინფორმატორი ჰყავდა. საიდან შემეძლო მცოდნოდა, რომ ერთ-ერთი ინფორმატორი იყო გერმანელი დიპლომატი რიბენტროპის წრედან, სახელად კობლე, ცნობილი მეტსახელით ჯორჯ ვუდი, რომლის ძმა ფაშისტებმა აწამეს? მხოლოდ ომის შემდეგ გავიგე, რომ ჯორჯ ვუდმა აცნობა მისტერ დალესს ბერნში ჯაშუშის, მეტსახელად ციცერონის არსებობის შესახებ, რომელსაც ანკარაში, ინგლისის საელჩოში უნდა ემსახურნა.

ამერიკელები პირდაპირ დაესივნენ ციცერონს. მათ, რასაკვირველია, სურდათ თეფშით მიერთმიათ თავიანთი ინგლისელი მოკავშირეებისათვის გამოუცნობი გამოცანა და აშკარად სიტყვა გადაეკრათ იმაზე, რომ მათ ძილში მოეპარათ ეს პერსონა. ამგვარად, ციცერონი გახდა სათამაშო ორი ურთიერთმეტოქე სადაზვერვო სამსახურისა, რომელთა პრესტიჟი საფრთხეში იყო ჩავარდნილი.

ამერიკელებმა ამ საქმეში ჩააბეს თავიანთი სპეციალისტი ბალკანეთის საკითხში ჯორჯ ერლი. მე შემიძლია ვიამაყო იმით, რომ თავსატეხი გავუჩინე მისტერ ერლის — პრეზიდენტ რუზველტის პირად მეგობარს. ჩემით, უბრალო ყავასით, საერთაშორისო მასშტაბით დაინტერესდნენ.

მისტერ ერლიმ, პერსილვანიის შტატის ყოფილმა გუბერნატორმა, ამერიკის ყოფილმა ელჩმა ვენასა და სოფიაში და, ბოლოს, სამხედრო ატაშემ ანკარაში, უცებ გაიხსენა სოფიაში ამერიკის საიდუმლო სამსახურის აგენტი-ქალი, რა იქნება, ვსინჯოთ და შევაპაროთ ის ქალი გერმანელთა ანკარის საელჩოშიო. ლაპარაკი იყო კორნელია კაპზე. და რაიწყო მეტსახელმა ციცერონმა მოგზაურობა ბერლინიდან ბერლინის გავლით, ვაშინგტონში, სტამბულსა და სოფიაში, ანკარაში. იგი ცხარე კამათის, აღფრთოვანებისა და აღშფოთების საგანს წარმოადგენდა, გამოიწვია რა ფარული იატაკქვეშური ბრძოლა ნეიტრალურ ანკარაში, სადაც მტრულად განწყობილ სახელმწიფოთა დიპლომატები ერთმანეთს ცივად უსალმებოდნენ.

მე, რასაკვირველია, მაშინ არაფერი ვიცოდი ყოველივე

ამის შესახებ და ყველაზე ნაკლებ ვფიქრობდი იმაზე, რომ ის ახალგაზრდა ქალი თავგამეტებით მოდიოდა ჩემს ნაკვალევზე.

ოდესღაც მე მძულდა კორნელია კაბი, მაგრამ იმ დროიდან თითქმის ოცი წელი გავიდა და ახლა წარსული გრძნობები დამიჩლუნგდა.

თუმცა იმ დროს კორნელიას მხოლოდ ხმით ვიცნობდი, და მრავალი წლის შემდეგ შევიტყვე მის შესახებ ზოგიერთი წვრილმანი რამ.

მითხრეს, იგი ამერიკაში ცხოვრობსო. მე იქ ჩემს მეგობრებს მივწერე, მაგრამ უშედეგოდ. მათ მიპასუხეს, ისეთ უზარმაზარ ქვეყანაში, როგორც შეერთებული შტატებია, უსარგებლოა ეძებო ქალი, რომელიც უთუოდ გათხოვდა და უკვე მრავალი წელია ქმრის გვართ ცხოვრობსო. საიმიგრაციო ხელისუფლებასაც მივწერე, მაგრამ მათ არც კი შეიწუხეს თავი პასუხისათვის.

როცა ამ წიგნის დაწერა გადავწყვიტე, ვთხოვე ჟურნალისტ თომას ბეილის დამხმარებოდა მის მოძებნაში. და, აი, მან ერთხელ მიაკვლია კორნელიას. იგი ჩიკაგოში კანმორ-ავენიუზე ცოლ-ქმარ კუტანდინებთან ცხოვრობდა.

ამას მოჰყვა მიმოწერა ცოლ-ქმარ კუტანდინებთან, რაც დაგვეხმირა ვამეგო კორნელიას შემდგომი ბედი. მომცეს ჩიკაგოს ერთი რესტორანის მისამართი. სადაც, როგორც მითხრეს, კორნელია ოფიციალტად მუშაობდა და რომ მისი ყველაზე ახლო მეგობარი იყო ვიოლეტა კაილი, ცნობილი მეტსახელით პინკი.

პინკიმ შემდეგი მაცნობა:

— მე აქამდე რესტორანში ვმუშაობ. ზოლო კორნელია უკვე დიდი ხანია ჩვენგან წავიდა. მისტერ კლაუსმა, რესტორანის პატრონმა, კორნელია იმიტომ აიყვანა, რომ იგი გერმანელია. თვით კლაუსიც გერმანელია. ჯერ კიდევ პირველი მსოფლიო ომის დროს დეზერტირობდა და აქ სხვისი გვართ დაიწყო ცხოვრება. მაგრამ ამის შესახებ ცნობილი გახდა სულ ახლახან, როდესაც სიცოცხლე თვითმკვლელობით დაამთავ-

რა... ყოველ შემთხვევაში იგი დაეხმარა კორნელიას. კორნელია გათხოვილია, ანდა გათხოვილი იყო ბილ ჰორმანზე, გამოძიების ფედერალური ბიუროს ყოფილ აგენტზე. იგი მას კუტანდინებთან შეხვდა. ორივენი იქ ცხოვრობდნენ. მე ვფიქრობ, ისინი ცხოვრობენ სან-დიეგოში, კალიფორნიის შტატში.

შემდეგ ბეილმა ინახულა კორნელია ჰორმანი, რომლის ქალიშვილობის გვარი კაპი იყო.

„იგი სან-დიეგოს გარეუბანში ცხოვრობს, წერდა ბეილი, მისი ქმარი თვითმფრინავების ნაწილებისა და ელექტრომოწყობილობის შემსყიდველია. ისინი ცხოვრობენ პატარა სახლში, სამხედრო-საზღვაო ბაზის ტერიტორიაზე“.

მე შევისწავლე მთელი ინფორმაცია კორნელიას შესახებ, რის მოპოვებაც შეეძელი. წავიკითხე ცოლ-ქმარ კუტანდინების ყველა წერილი. წავიკითხე პინკის წერილი და, ბოლოს—თვით კორნელიას ჩანაწერები. საბოლოოდ დავადგინე, რომ იგი იყო არა ინგლისის, არამედ, როგორც მე ვვარაუდობდი ამერიკის აგენტი.



ინგლისის საიდუმლო სამსახურის აგენტების ჩამოსვლას ლონდონიდან ის შედეგი მოჰყვა, რომ სერ ჰიუს სეიფს სასიგნალო სისტემა გაუკეთეს. მათ კვალდაკვალ ჩამოსული სპეციალისტები საათობით რჩებოდნენ კაბინეტში და მე მხოლოდ შემდეგ მოვეარაუდე, რას აკეთებდნენ ისინი იქ. სერ ჰიუს სეიფის გასაღების ასლი ახლა უსარგებლო იყო.

მე ეს ბედის დაციწვასავით მივიღე და შევეჩვიე აზრს, ციკერონი ცოტა ხნით უნდა გაუჩინარდეს-მეთქი, ფული გადავმალე. ახლა მას ჩემთან სახლში საწერი მაგიდის უკრასი ვინახავდი. ამ დროისათვის საკმაოდ მდიდარი ადამიანი გავხდი და გადავწყვიტე ყავასის სამუშაოს მიტოვება. არვის შეეძლო ჩემი დაძალება—გამეგრძელებინა სახიფათო თამაში: მე არ ვიყავი შებოჭილი ვალდებულებებით.

საჭირო იყო მხოლოდ ფოტოაპარატურის განადგურება და მაშინ არ დარჩებოდა არავითარი კვალი. მაგრამ ამის გაკეთება არ შემიძლო. რალაცას ველოდი, თვითონაც არ ვიცოდი, რას.

როგორღაც მოიზიშს შევხვდი, მაგრამ მისთვის არაფრის მიცემა აღარ შემიძლო. ვუამბე ახალი სიძნელეების შესახებ.

აპათიამ შემიპყრო. არც შეჩერებისა და არც წინ წასვლის ძალა აღარ გამაჩნდა.

—საჭაერო თავდასხმა სოფიაზე მოხდა,—წაიბუტბუტა მან.

მხრები ავიჩეჩე.

— მე ხომ გითხარით თქვენ ეს ამბავი.

მე ვიცოდი, რომ ბერლინში იყვნენ ადამიანები, რომლებ-

საც ჯერ კიდევ ეპვი ეპარებოდათ ჩემი დოკუმენტების სინამდვილეში.

სოფიაზე თავდასხმის შესახებ მოიზიში მოგვიანებით წერდა:

„—დაქმნაყოფილდა ბერლინი? ახლა ხომ მათ ჰქონდათ დამამტკიცებელი საბუთი, რომ ციკერონი მათ არ ატყუებდა. ოთხი ათას ბულგარელს—მამაკაცებს, ქალებს და ბავშვებს—ეს სიცოცხლის ფასად დაუჯდათ“.<sup>1</sup>

—ახლა ყველა დაიჯერებს, რომ თქვენი მასალები ნამდვილია,—მითხრა მოიზიშმა.

მაგრამ ჩემთვის სულ ერთი იყო.

—თქვენ განაგრძობთ თქვენს სამუშაოს? — მკითხა მოიზიშმა.

—არ ვიცი.

შინ წავედი. მარა თვალცრემლიანი მომეარდა.

—მისის ბასკი მალე ლონდონში გაემგზავრება ბავშვის გამო. მთხოვს მასთან ერთად გავემგზავრო.

—მერედა რატომ არ გაემგზავრები?

მარა ფართოდ გახელილი თვალებით მიყურებდა.

—ასეც ვიცოდი!—წამოიძახა მან.—ასეც ვიცოდი! ჩვენს შორის ყველაფერი დიდი ხანია დამთავრდა! შენ მაგდებ!

—შენ ხომ პირველმა თქვი, მივემგზავრებიო,—შეენიშნე მე, —პირველმა დაიწყე ლაპარაკი ლონდონში გამგზავრების შესახებ.

—დიდი ხანია ოცნებობ თავიდან მომიშორო!

სახლიდან გამოვედი და საელჩოში წავედი. იქ თბილოდა. სიჩუმე, მყუდროება, ცივილიზაცია. უცნაურია, მაგრამ საელჩოში ვგრძნობდი მშვიდობასა და სიმშვიდეს, თითქოს ეს ჩემი ერთადერთი თავშესაფარი იყო.

ჩემდამი სერ ჰიუს უცვლელმა მეგობრულმა დამოკიდებულებამ მაიძულა განმეცადა სირცხვილის გრძნობა. კიდევ მშურდა მუსტაფასი, მისი უდარდელი ცხოვრება. ოდესღაც მეც ასეთი ვიყავი!

<sup>1</sup> იხ. ლ. მოიზიში, ოპერაცია „ციკერონი“.

—ო, ალაჰი!—წამოიძახა მუსტაფამ, როდესაც დამინახა,—  
იგი ჩამოვიდა, ეზრა აქ არის!

სულ დამავიწყდა, რომ მიეწერე ჩემს ბიძაშვილს, რათა  
გამოეგზავნა ეზრა ჩემთან: მისთვის ხომ სამუშაო ვიშოვე.

ეზრას ჩამოსვლამ ბოლო მოუღო ყველა ჩემს კეთილ  
ზრახვებს.

მე ოცი წლით უფროსი ვიყავი ეზრაზე. ეს ერთადერთი  
იყო, რაც მაიძულებდა დავფიქრებულიყავი.

სახელის მაძიებელი, ცინიკური, ცრუმორწმუნე და ულამა-  
ზო ადამიანი ვიყავი. მქონდა სხვა ნაკლოვანებებიც. ძლიერ  
პატივმოყვარეც გახლდით და გულწრფელად ვნანობდი ამის  
გამო. არ მყოფნიდა ნებისყოფა ეზრა უკან გამეგზავნა.

მას ხომ ჩვიდმეტი წელი შეუსრულდა. იგი ძლიერ  
ლამაზი იყო, როგორც თურქული ან ბერძნული წარმოშობის  
მრავალი ქალიშვილი. გულჩვილი, დამყოლი არსება. მომხიბ-  
ლავი სიცილი. მან ჩამოსვლის დღესვე მოაჯადოვა მანოლი,  
მუსტაფა და მსახურთუფროსი ზეიკიც. მან თან სიცოცხლე  
შემოიტანა სახლის იმ ნაწილში, სადაც მოსამსახურეები ცხოვ-  
რობდნენ. აიძულა მამაკაცები ფეხის წვერებზე ევლოთ, ნებას  
რთავდა მისთვის ესიამოვნებინათ, ეთქვათ ქათინაურები. მა-  
ცოფებდა ის აზრი, მუსტაფა, შეიძლება, მის გვერდით იყოს,  
როდესაც მე მოუცლელი ვარ-მეთქი. სწორედ ამიტომ ძლიერ  
შკაცრად ვეპყრობოდი ეზრას.

—არ ვიცი, მოიძებნება თუ არა შენთვის აქ სამუშაო, —  
ვუთხარი მას.—შენ ცუდად ხარ ჩაცმული და მეტად ხმაურიან  
ნი ხარ.

—მუსტაფამ მითხრა...

—მუსტაფას არ აქვს წარმატება ქალებში და ყოველთ-  
ვის მოხარულია შეხვდეს ქალს, რომელსაც იგი მოეწონება.

—მაგრამ მე არ მომწონს იგი.

—ვერაფრით დაგეხმარები. შეგიძლია მასთან ისეირნო,  
თუკი გსურს. მე დრო არა მაქვს, ძლიერ მოუცლელი ვარ.

—მაგრამ რატომ არ შეუბნებით, ისე არ იქცევი, როგორც  
საჭიროაო?

— მე უკვე გითხარი, რომ დრო არა მაქვს-მეთქი.

ასეთი მოპყრობა ჩემი ერთადერთი იარაღი იყო მისი ახალგაზრდობის წინააღმდეგ. მას მანოლის ოთახი მისცეს.

— არ მგონია, რომ ნეტჩბულ-პიუგესენმა ნება დაგართოს აქ დარჩე. მე მგონია, ყველაზე უკეთესი იქნება მივწერო მამაშენს...

— მე არ დავბრუნდები სახლში! გეთაყვა, არ გამგზავნოთ შინ!

— მაშინ წადი საპარიკმახეროში და თმები წესრიგში მოიყვანე.

მას მშვენიერი თმები ჰქონდა. მომწონდა მისი გასაოცრად ლამაზი ბზინვარება. ზოგიერთი ჩემი შენიშვნის შემდეგ ეზრა ისე მტკიცედ ველარ გრძნობდა თავს.

როდესაც ვუყუარებდი, მას სახეზე უმწეობა ესახებოდა. ქათინაურებს, რომელსაც მისი მისამართით არ ზოგავდნენ სხვები, არავითარ ყურადღებას არ აქცევდა. ერთადერთი, რაც ახარებდა, — ეს ჩემი ქება იყო.

ერთხელ საუთოებელ ოთახში სერ ჰიუს კოსტიუმს ვაუთოებდი. უცებ დენი შეწყდა. დაფისაკენ წავედი. ეზრა უკვე იქ იყო.

— ალბათ, დამცველი გადაიწვა, — შევნიშნე მე. — მიდი და მოსთხოვე. მუსტაფას ახალი.

— არა, მითხრა, მან, — არც ერთი დამცველი არ გადამწვარა. მე გამოვადვრე ისინი.

გაკვირვებით შევხედე მას.

— აქ, მუშები არიან, — ამიხსნა მან. — ისინი რაღაცას აკეთებენ სეიფში, სადაც ფული ინახება. მითხრეს, დამცველები გამოაძვრეო.

მე არ დავუცადე, როდის დაამთავრებდა იგი ლაპარაკს. ის, რაც ეზრამ ფულად მიიჩნია, სინამდვილეში საიდუმლო დოკუმენტები იყო. ელჩის კაბინეტისაკენ გავეშურე.

საელჩოს უშიშროების სამსახურის თანამშრომელი მოწყენილი სახით იჯდა და თვალყურს ადევნებდა სეიფთან მოფუსფუსე ორ მუშას.

— ნუთუ აუცილებელი იყო დამცველთა გამოძრობა? — ვიკითხე მე. — დენი მჭირდება. თორემ სერ ჰიუ გაბრაზდება.

სეიფის კარები გაღებული იყო. მუშები სასიგნალო სისტემაზე მუშაობდნენ და არავითარ ყურადღებას არ მამკვედნენ.

—მე დაუყოვნებლივ დავაყენებ ყველა დამცველს თავის ადგილზე!—ვთქვი. გაბრაზებით და შემოვბრუნდი, რომ წავსულიყავი.

მაშინ ერთ-ერთი მუშა გამომყვა.

—რატომ გაღელვებთ ეს ამბავი?

—მე უნდა ვაუთოო.

—სად არის დამცველები?

იგი ფართან წავიყვანე. ეზრა ჭერ ისევ იქ იყო.

—თუ თქვენთვის საჭიროა სასიგნალო სისტემის შეკეთება,—ცივად ვუთხარი მე,—საკმარისია ერთი დამცველის გამოღება.

—ეს ჩემი საქმეა,—წაიბურტყუნა მუშამ.

მას მოუხდა რამდენჯერმე წინ და უკან სიარული, ვიდრე საჭირო დამცველს იპოვიდა: შემდეგ დანარჩენები ჩართო.

—ბოლოს და ბოლოს, სრულიად არ არის აუცილებელი გამართო დენი მთელ სახლში მხოლოდ იმიტომ, რომ სასიგნალო ზარი არ მუშაობს!—ვუთხარი ღიმილით.

მუშა კაბინეტში წავიდა. ეზრას შევხედე.

—დაიმახსოვრე დამცველი,—ვუბრძანე.

იგი საგონებელში ჩავარდა.

—რატომ?

—უბრალოდ მსურს, რომ იგი დაიმახსოვრო, ესაა და ეს.

წინანდელი სიმშვიდე დამიბრუნდა. ამ მომენტში უცებ ვიგრძენი, რომ წარმატება, რომელმაც, როგორც მეჩვენებოდა, დამტოვა-მეთქი, ისევ დამიბრუნდა.

მე ყველაფრის გაკეთება შემეძლო, როდესაც ალტაცების საგანი ვიყავი, ხოლო ეზრა ჩემით აღფრთოვანებას იწყებდა.

—მსურს მოგცე ერთი დავალება,—ვუთხარი მას.—რა საგებლობაა იმისგან, რომ სეიფი მოწყობილი იქნება სასიგნალო სისტემით? რომ არ დაიწკრიალოს სასიგნალო ზარმა, საკმარისია უბრალოდ ერთი დამცველის გამოღება.

—არ მესმის,—წაიბურტბუტა, მან.

—დღეს საღამოს ყველაფერს ავიხსნი.

ეზრა დამცველის ფართან დარჩა, მე კი დასაუთოვებლად დავბრუნდი. უთო ისევ გაცხელდა.

ჩვენ ტაქსში ვისხედით:

— წადით, ძველი ქალაქის გავლით, ციტადელის შემდეგ ათათურქის ბულვარზე და შემდეგ გორაკებისაკენ.

მახარებდა, რომ შემეძლო მიმეცა ბრძანებები ტაქსის მძღოლისათვის და რომ ეზრა ჩემ გვერდით იყო.

გადავწყვიტე, ანკარა ღამით მეჩვენებინა მისთვის. მაგრამ ეზრა, როგორც მე ვიცოდი, სხვა რამით იყო გატაცებული.

— რატომ მიყიდეთ ეს პალტო?— ჩუმაღ შემეკითხა იგი.

მე და ის მაღაზიაში ვიყავით და მას ბეწვეულით გაწყობილი ლამაზი პალტო ვუყიდე.

— მე არ მომწონს ჭმენი ძველი პალტო, — დაუდევრად ვუპასუხე. — ასე ადვილი როდია, იყო ლამაზი. აი, ეს ციტადელია.

მან იქით გაიხედა, საითაც მე ვუჩვენებდი, მაგრამ სათანადო ინტერესი არ გამოუჩენია, მისი აზრები პალტოს დასტურებადნენ.

— იგი ძალზე ძვირია, — მითხრა მან.

— შენ ნუ წუხხარ ამაზე!

მისთვის მე გამოცანა ვიყავი: უხეშად ვეპყრობოდი, მაგრამ ძვირფასი საჩუქარი კი ვუძღვენი.

ჩვენ კაშკაშა სინათლით გავსებულ ათათურქის ბულვარზე მივდიოდით. მანქანაც მსუბუქად სრიალებდა თოვლზე.

მინდოდა ეზრას მოეხვეოდი, მაგრამ თავი შევიკავე, ვშობდი, ყველაფერი არ გამეფუჭებინა. ქუჩები უკაცრიელი გახდა. ჩვენ ვილების ულამაზესი კვარტალი გავიარეთ და ქალაქგარეთ გავედით.

ცივმა ზამთარმა თითქოს თავის აპოგეას მიაღწია. ანატოლიის მთები თოვლმა დაფარა. ღამით ცა ცივი და სუფთა იყო.

მძღოლს ვუთხარი გაჩერებულიყო და დაეცადა ჩვენთვის.

— მოდი, ცოტა გავისეირნოთ, — ვუთხარი ეზრას.

მის გვერდით მივდიოდი, ხელები ღრმად მქონდა ჩაჩრი-

ლი პალტოს ჯიბეებში, შორიდან ყრუ მუქარით სავსე ყმურ-  
ლი მოისმოდა.

—მგლებია, ზამთარში ისინი ქალაქამდე მოდიან. გაიყინე?  
შევნიშნე რომ იგი კანკალებდა.

—არა,—ჩუმად წარმოთქვა მან.

—რას ფიქრობ ამ ომის შესახებ?

მან გაკვირვებით შემომხედა:

—რა კავშირი აქვს მას ჩვენთან?

—სრული სიმართლეა.

—არაფერი მესმის...

—გინდა უნივერსიტეტში სწავლა?

ჩემი შეკითხვა მოულოდნელი იყო მისთვის. თანამედროვე  
თურქ ქალიშვილს არაფერი ისე არ ენატრება, როგორც უნი-  
ვერსიტეტში სწავლა. თურქეთში ქალებს, როგორც წესი,  
არაფრად თვლიან, მაგრამ ქალიშვილი, რომელიც უნივერსი-  
ტეტში სწავლობს, თავს თავისუფლად გრძნობს.

ეზრამ თავი დახარა. იგი თანდათანობით ეჩვეოდა ჩემს  
სიურპრიზებს.

—მე ყოველთვის მსურდა სწავლა,—ჩიჩურჩულა მან.

თოვლს ფეხქვეშ ჭრაჭაჭრუჭი გაჰქონდა.

—გახსოვს, რომელი დამცველის გამოძრობაა საჭირო?

მან უხმოდ შემომხედა.

—თუ შენ კიდევ გახსოვს, ერთ მშვენიერ დღეს შეძლებ  
უნივერსიტეტში შესვლას.

—რა შუაშია აქ დამცველი?

უნდა ამეჩხნა ყოველივე. სიჩუმე და ჩვენი ხმაურიანი ნა-  
ბიჯები მეხმარებოდა.

—სეიფში ფული კი არ არის.—ვეუთხარი მე და შევჩერ-  
დი.—შიგ სამხედრო საიდუმლოებები ინახება.

ეზრასათვის ბნელი სილუეტი ვიყავი შორს მოციმციმე  
თეთრი მთის ფონზე. მე როლს ვთამაშობდი, მაგრამ უთუოდ.  
კარგად ვასრულებდი მას.

—მხედველობაში იქონიე, რომ ყველაფერი შეიძლება მოხ-  
დეს. აბა, წავიდეთ!

ნელა გავემართეთ მანქანისაკენ. ეზრასათვის ეს იყო ცივი  
რომანტიკისა და მიმზიდველი საშიშროების ღამე.

—თქვენ ყველაფერს გერმანელებს გადაცემთ?—მკითხა მან ბავშვური. მგზნებარე ჩურჩულით.

—ეს შენი საქმე არ არის.

ტაქსში ჩაჯექით. ეზრა კუთხეში გამართული და უმოძრაოდ იჯდა. მე თამბაქოს ვეწეოდი, მესმოდა, როგორ ამოისუნთქა რამდენჯერმე მძიმედ.

—ზუსტად არ ვიცი, რომელი დამცველია,—მითხრა მან.

—კიდევ მოვიფიქრებ, შეიძლება თუ არა შენი გამოყენება. ეს მისი ჩამოსვლის შემდეგ მეოთხე დღეს, საღამოს, იყო. სიტყვა „ოვერლორდი“ ისევ და ისევ ჩნდებოდა დოკუმენტებში, რომლებსაც მე ვიღებდი. ფაქტიურად არაფითარი ექვი არ იყო იმაში, რომ ეს მეორე ფრონტის კოდური სახელწოდება გახლდათ, რომლის გახსნასაც დაჟინებით მოითხოვდნენ რუსები, ესე იგი საფრანგეთში შექრას.

შესაძლებელი გახდა ინგლისელების, ამერიკელებისა და რუსების განზრახვათა გაგება.

ჩერჩილს სურდა თურქეთი ომში ჩაბმულიყო. იგი საბერძნეთში შექრას გეგმავდა. სურდა თურქების დახმარებით ხელში ჩაეგდო სალონიკი და შეჭრილიყო ბალკანეთში, რათა დასავლეთის მოკავშირეებს, ისევე როგორც რუსებს, ჰქონოდათ იქ პლაცდარმები.

მაგრამ თურქები ყოყმანობდნენ. მათ განაცხადეს, არ ჩავებმებით ომში მანამდე, ვიდრე არ მოხდება წარმატებითი შეჭრა საფრანგეთში. ინგლისელებს კი სურდათ, რომ თურქეთის ომში ჩაბმა და საბერძნეთში შეჭრა საფრანგეთში შექრამდე მომხდარიყო. მე მესმოდა ვითარება, რომელიც დოკუმენტებიდან ჩანდა. საკითხი შემდეგში მდგომარეობდა: რომელი მოიგებდა დიპლომატიურ ბრძოლას, ინგლისის ზემოქმედება თუ თურქეთის თავშეკავების ტაქტიკა?

ეზრა სწრაფად გაერკვა ყველაფერში. ჩვენი გასეირნებილი მეორე დღესვე ჩემთან მოვიდა ოთახში.

—სერ ჰიუ ბანკეტზე წავიდა,—მითხრა მან.

მე გავიღიმე, რადგან ვიცოდი, რომ ასე იქნებოდა.

—საიდან იცო?—ვკითხე მე.

—მანქანაში ვნახე. მანოლიმ მითხრა, ბანკეტზე წავიდაო



ეზრა ჩემს მახეში გაება და ამიტომ ჩემი გაოცება სურდა.  
—მისი მდივანიც წავიდა.

მე წამოვდექი.

—შესაძლოა, იგი ცოტა ხანს გასასეირნებლად გავიდა,—  
გავიფიქრე.

ეზრამ თავი გააქნია.

—თქვენ გსურდათ საპარიკმახეროში წავსულიყავი...—  
მხოლოდ ახლა შევნიშნე, რომ მას ახალი ვარცხნილობა ჰქონ-  
და...

როდესაც იქიდან გამოვდიოდი, მდივანი ქალი საპარიკმა-  
ხეროში შემოვიდა, ხოლო ვარცხნილობას დიდი დრო სჭირდე-  
ბა.

მლელვარებამ მომიცვა. თავს ძალა დავატანე და გავიღიმე.  
არ მსურდა ეზრა მიხვედრილიყო ჩემს მლელვარებას.

—მაშინ დამცველი გამოიღე...

ეზრა გაოცდა. სახე დაძაბა, მაგრამ პასუხად მხოლოდ გა-  
იღიმა.

—ეს საჭირო აღარ არის,—ჩუმად მითხრა მან.—მე უკვე  
გამოვიღე.

მხოლოდ ახლა მივხვდი, თუ რატომ მოვაწყვე ეზრა საელ-  
ჩოში. მაყურებელი მჭირდებოდა.

მარა თავის დროზე ასეთივე როლს თამაშობდა. მომწონდა,  
როცა ჯერ შეშინდებოდა, ხოლო შემდეგ კი აღფრთოვანდებო-  
და. ახალი, კრიტიკულად განწყობილი აუდიტორიისათვის  
პირველი ტაში უნდა გამომეტაცა. შიშზე ბევრად ძლიერი  
იყო შთაბეჭდილების მოხდენის აუცილებლობა.

თავს ჯაშუშური დრამის გმირად ვთვლიდი. ეზრა ლოყა-  
ში მჯდარი აღფრთოვანებული მაყურებელი იყო, რომელიც  
პიესის დამთავრების შემდეგ ავტოგრაფს მომთხოვდა.

—კარს უკან დამიციადე.

—კეთილი,—ჩაიჩურჩულა მან.

მისი ცდა კარების უკან არავითარ როლს არ თამაშობდა,  
მაგრამ ამას ჩემი ჯაშუშური თამაში მოითხოვდა. რით შეეძლო  
ეზრას ჩემი დახმარება, დერეფანში დგომით? რა სარგებლობა  
იქნებოდა იმის გამო, თუ დამიყვირებდა: „ფრთხილად, ვი-  
დაც მოდის!“ ჩემი მიზანი იყო მეჩვენებინა მისთვის, როგორი  
გულგრილი შემიძლია ვიყო ასეთი თავზე ხელაღებული საქ-  
ციელის გმირობის ჩადენისას. მისი აღფრთოვანებული თვა-  
ლები მაგულიანებდა და მაჩქარებდა, ისევე როგორც დო-  
ლის ცხენს დეზები. ეს თამაში გულგრილს მხდიდა და ძალ-  
ღონეს მმატებდა.

ოთახში, სადაც სეიფი იმყოფებოდა, ეზრას მზერას ვგრძ-  
ნობდი.

რა შეიძლებოდა შემმთხვევოდ? სერ პიუ ბანკეტზეა, ლუ-  
სი, მისი მდივანი,—საპარიკმახეროში. ლედი ნეტჩბულ-პიუ-

გესენი დილიდან არ გამოსულა თავისი ოთახიდან. იგი გაცეც-  
და და ახლა თავს ჩაის ფანტასტიკური რაოდენობით იკურ-  
ნავდა.

კაბინეტში შევედი და უყოყმანოდ გავაღე სეიფი. შემდეგ  
პატარა წითელი ყუთიდან დოკუმენტები ავიღე, სეიფი დაე-  
კეტე და პოპულარული ფრანგული სიმღერის სტვენით ჩემს  
ოთახში წავედი.

ეზრა ფართოგახელილი თვალებით მიყურებდა, როდესაც  
გვერდით ჩავუარე, მაგრამ არც კი შევხედე მას.

დოკუმენტები გადავიღე.

დოკუმენტები შეიცავდა საგარეო საქმეთა სამინისტროს  
ღირექტივებს, რომლებიც თურქეთის მთავრობას მოკავშირე-  
თა 1944 წლის სამხედრო გეგმებს აცნობდა. როგორც ჩემთვის  
ცნობილი გახდა, განზრახული იყო ოპერაციის ჩატარება ბალ-  
კანეთში გერმანელთა პოზიციების წინააღმდეგ, ესე იგი—სა-  
ბერძნეთში შეჭრა.

„ნავარაუდევია, რომ ინგლისის ბომბდამშენებს და გამა-  
ნადგურებლებს იზმირის აეროდრომზე გადასვლის ნება ექ-  
ნებათ დართული 15 თებერვალს—სალონიკის რაიონში გად-  
მოსასხმელი მოკავშირეთა ჯარებისათვის ეფექტური მხარდა-  
ჭერის აღმოსაჩენად. აუცილებელია თურქეთის მთავრობაზე  
შესაბამისი შთაბეჭდილების მოხდენა, იმიტომ, რომ მათ მო-  
გვეცენ ამ ოპერაციის თანხმობა და დაგვეხმარონ მის ჩატარე-  
ბაში“.

ეს თურქეთის ომში ჩაბმას ნიშნავდა. მაგრამ ამ დოკუმენტ-  
ში ჩემთვის მნიშვნელოვანი იქნებოდა აღფრთოვანების სიტყ-  
ვები, რომლითაც ჩვიდმეტი წლის ქალიშვილი მომმართავდა,  
როდესაც მას გავუზიარებდი იმას, რაც ჩემთვის ცნობილი  
გახდა.

გადაღებისას ფოტოაპარატის ხელში დაჭერა მომიხდა: ჩე-  
მი „სამფეხი“ „ციცერონის ვილაში“ დავტოვე. დოკუმენტე-  
ბი ფრაკის კალთებქვეშ დავმაღე. ეზრას გვერდით რომ ჩავუ-  
არე, ვუთხარი:

—დამცველი ხუთი წუთის შემდეგ ჩადევი თავის ადგილას.  
მე არ დავყოვნებდი კაბინეტში.

ნელა ავდიოდი კიბეზე, არ ვჩქარობდი, რათა არ შემენე-  
ლებინა აღფრთოვანება, და ამას საშინელი შიშის ფასად  
ჩავდიოდი.

—ელიას! — გავიგონე მე. ეს ლედი ნეტჩბულ-ჰიუგესენის  
ხმა იყო. მე ადგილზე გავშეშდი. და შეცბუნებული ვუყურებ-  
დი ქალს, რომლის სიფხიზლე უფრო მაშინებდა, ვიდრე მისი  
ქმრის შუბლშეკრული გამოხედვა.

—რა მოუხერხეთ იმ ქალიშვილს, თქვენს ნათესავს? უშო-  
ვეთ სამუშაო?

—ჯერ არა, მადამ,— ვუთხარი მე.— ვფიქრობ, რომ, შესაძ-  
ლოა, მან აქ იმუშაოს, რადგან...

—ხომ გითხარით, რომ აქ მხოლოდ დროებით შეუძლია  
გაჩერდეს-მეთქი.

—რასაკვირველია, მადამ. მე დაუყოვნებლივ ყველაფერს  
გავაკეთებ.

—რამდენმა დრომ გაიარა?

—მადამ, ეზრა დღესვე წავა საელჩოდან. თქვენ შეგიძლი-  
ათ არხეინად დაისვენოთ, მადამ..

ერთი ცენახით და ეზრამ უკვე დააყენა დამცველი ადგილ-  
ზე?

—უთხარით მუსტაფას, რომ კიდევ ერთი კიქა ჩაი მოიტა-  
ნოს.

—ახლავე ვეტყვი, მადამ.

შემოვბრუნდი, თითქოს სამზარეთლოში ვაპირებდი წასვ-  
ლას. მისმა ხმამ შემაჩერა.

—ეზრას შეუძლია დღეს არ წავიდეს,— მითხრა მან შერ-  
ბილებული ხმით.— მაგრამ ხომ არ შეიძლება აქ გაუთავებლივ  
იცხოვროს.

თავი დამიქნია და ქედმალლური, მედიდური სვლით წა-  
ვიდა თავისი ოთახისაკენ.

ჩაციებით ვუყურებდი მას.

—თქვენგან დიდად დავალებული ვარ, მადამ,— წავიბუტ-  
ბუტე და ოთახში შევედი, რომელშიც სეიფი იდგა. მე აზრადაც  
არ მომსვლია, რომ უფრო ჰკვიანური იქნებოდა ჯერ გამე-  
გო, დააბრუნა თუ არა ადგილზე ეზრამ დამცველი. მაგრამ  
საჩქაროდ მსურდა დოკუმენტების თავიდან მოშორება.

სეიფი გავალე, დოკუმენტები ყუთში ჩავდევი და ისევ  
დავკეტე იგი.

სასიგნალო სისტემა დუმდა.

სამზარეულოში წავედი.

—ლედის ჩაი მიართვი!—დავიყვირე მე.

მუსტათა თვალებდაჭყეტილი შემომაჩერდა.

—კუდად ხომ არ გრძნობ თავს?

—შენ მას ჩაი უნდა მიუტანო!

ძალა არ მქონდა კონტროლი გამეწია ჩემი თავისათვის,  
გავედი და კარი მაგრად გავაჯახუნე.

ეზრას სახეზე უმწეო დამნაშავის გამომეტყველება აღ-  
ბეჭდილიყო.

—დამცველი გატყდა, როდესაც მის ადგილზე დაყენებას  
ვცდილობდი,—ჩაიჩურჩულა მან.

მაშასადამე, მოინახა ადამიანი, რომელზეც ჯავრის ამოყრა  
შემეძლო და ყველაფერს დამცველის გატყდომას უნდა  
ვუმაღლოდე. მაგრამ ამან როდი დამამშვიდა.

—აიღე ახალი დამცველი!—დავიყვირე.

—დამნაშავე არა ვარ,—ენის ბორძიკით წარმოთქვა მან.

—შენ აღარ მჭირდები!—დაუყვირე მას.—ერთი წუთითაც  
არ შეიძლება შენი საელჩოში დატოვება.

მუხლები მეკვეთებოდა.

ეზრამ თავი ჩალუნა და ამიტომ ვერ შენიშნა, როგორ  
შევშინდი.

ამჯერად მოიზიშს მისი თხოვნით შევხვდი მანქანაში კი არა,  
არამედ მის კაბინეტში. მან ისეთივე გამაფრთხილებელი ზომე-  
ბი მიიღო, როგორიც პირველი ვიზიტის დროს. ისევ გავძვერი  
მესერში, საინვენტარო ფარდულის უკან.

ბატონმა ენკემ მიმიღო.

—მოიზიში რამდენიმე წუთის შემდეგ მოვა,—მითხრა მან  
და გაიღიმა. მის თვალბში ქება ამოვიკითხე.

—თუ გერმანელები არ მიიღებენ შესაბამის ზომებს, თურ-  
ქეთი ომში ჩაებმება,—ვუთხარი მას და უკანასკნელი დოკუ-  
მენტების შინაარსი ვუამბე.

—ასეთ შემთხვევაში დაუყოვნებლივ გავუკეთებთ წარდ-  
გენას თურქეთის მთავრობას,—წარმოთქვა მან.

მალე გამოჩნდა მოიზიში და მას ფირი გადავეცი.

მოგვიანებით ფონ პაპენი თავის მოგონებებში წერდა.

„ციცერონის ინფორმაცია მეტად მნიშვნელოვანი იყო ორი მიზეზით. თეირანის კონფერენციაზე მიღებულ გადაწყვეტილებათა რეზუმე ინგლისის ელჩს გაეგზავნა. ამან გამოაშკარავა მოკავშირეთა განზრახვა, რომელიც ეხებოდა გერმანიის პოლიტიკურ სტატუსს მისი დამარცხების შემდეგ და გვიჩვენა, რა უთანხმოება იყო მათ შორის. მაგრამ უფრო დიდი მნიშვნელობა მისი ინფორმაციისა, უპირველეს ყოვლისა, იმაში მდგომარეობდა, რომ მან ჩვენს განკარგულებაში გადმოგვცა ზუსტი ცნობები მოწინააღმდეგეთა რპერატიული გეგმების შესახებ“.

ეს ცნობები მათ მიიღეს. მაგრამ შეძლებენ კი შეაჩერონ თურქეთი ომში ჩაბმისაგან?

თავს თურქეთის ინტერესების დამცველად ვგრძნობდი, თუმცა არამკითხე დამცველად.

—მე ჩემი ქვეყნის სახელით გამოვდივარ,—მალალფარდონად ვუთხარი ერთხელ ეზრას და იქვე ტრაბახით დავუმატე:—მართალია, ჩემს სამუშაოში უზარმაზარ თანხებს მიხდიან, მაგრამ უცხოური სახელმწიფოს ჯიბიდან. მე არ შევასუსტებ თურქეთის ხაზინას.

ეზრა მოკრძალებით მისმენდა. მის თვალში დიდი ადამიანი ვიყავი.

იმ დღეს ტანსაცმელი ვუყიდე, ნიშნად მადლობისა იმის გამო, რომ სასიგნალო ზარმა არ დაიწყებია. მან საჩუქარი ვმირის დიდსულოვან ქესტად ჩათვალა, რომელსაც, მისი აზრით, ყველა საფუძველი ჰქონდა გაბრაზებულიყო და უხეში ყოფილიყო კიდევ მასთან. ეზრას მეტად აღარ შეეძლო საელჩოში დარჩენა და ვუთხარი, ახლა „ციცერონის ვილაში“ იცხოვრებ-მეთქი.

—ო, როგორი მოხარული ვარ!—წამოიძახა მან.

—რატომ?

—ვშიშობდი, ვაითუ უკან, მშობლებთან, გამგზავნოს-მეთქი.

—უნდა გამეგზავნე,—პირქუშად ვუთხარი მე.—შესაძლოა, ომი დაიწყოს.

—მე თქვენთან დარჩენა მსურს,—ჩემად წარმოთქვა მან და თვალები დახარა. თავი მოვაჩვენე, თითქოს ვერ გავიგე მისი უკანასკნელი სიტყვები.

—თხუთმეტ თებერვლამდე ყველაფერი მოგვარდება.

—ნუთუ არ შეიძლება ისე მოგვარდეს, რომ ეს ამბავი არ მოხდეს?—მკითხა ეზრამ ბავშვური მიაშიტობით.

—შესაძლოა, უკვე ავაცილე იგი ქვეყანას,—ვუთხარი მას თვითკმაყოფილებით,—მაგრამ ჯერ კიდევ დარწმუნებული არა ვარ ამასში.

ეზრა მოკრძალებით შემომტყუროდა და მეც ამით ვტკბებოდი.

მაშასადამე, მე ვიცნობდი დიდი ადამიანების გეგმებს, რომელთა ხელში მთელი ხალხების ბედი იყო. მე შევძელი დავუფლებოდი საიდუმლოებებს, რომლებზეც ძლიერ ბევრი რამ იყო დამოკიდებული. ამავე დროს ცნობისმოყვარეობით ვადევნებდი თვალყურს, როგორ ეჩხუბებოდა მარა ეზრას.

—ნახავ, თუ მისის ბასკთან ერთად ლონდონში არ გავემგზავრო,— განაცხადა მან.

მაგრამ ეს გულში არ მომხვედრია. უკვე აღარ მეშინოდა, რომ მარა გამცემდა: იგი ამისათვის მეტისმეტად სუსტი იყო. ხანგრძლივი დროის განმავლობაში ის უკან იხევდა და მხოლოდ თავშეკავებულად მოქმედებდა.

ეზრა ჩემთან სახლში მოვიყვანე. ჩვენ ტაქსით მოვედი, მოვიტანეთ ჩემოდანი და ყუთი, რომლებიც სავსე იყო ყველაზე მოღურ მალაზიაში ნაყიდი ტანსაცმლით.

—როგორ გაბედე! — წამოიძახა მარამ.

გამეცინა, და ამან საბოლოოდ გამათავისუფლა შიშისაგან, ლედი ნეტჩბულ-ჰიუგესენთან შეხვედრისას რომ განვიცადე.

—იქნებ ფიქრობ, რომ იგი ჩემი საყვარელია?

...დღეები გადიოდნენ. მე ელჩის ყურადღებიანი კამერდინერი ვიყავი და ამავე დროს ყოველდღე ვიღებდი მის საიდუმლო დოკუმენტებს. ელჩის ცოლი ჩემდამი მეგობრულად

იყო განწყობილი: გულდასმით ვასრულებდი მის ყველა სურვილს. საკითხი თურქეთის ომში ჩაბმის შესახებ ჯერ არ იყო გადაწყვეტილი.

—ეზრა შენი საყვარელია?—შემეკითხა მარა.

—შენი საქმე არ არის.

—მისის ბასკმა ისევ მთხოვა გავემგზავრო მასთან ერთად ლონდონში. რას მირჩევ?

—რა გაეწყობა, ლონდონი ჩინებული ქალაქია.

თურქეთის ომში ჩაბმის საკითხი პირველად იქნა გადაწყვეტილი. ფონ პაპენმა წარდგენა გაუკეთა თურქეთის მთავრობას. ცნობებმა საიდუმლო შეთანხმებების შესახებ, რომლებიც მან ჩემგან მიიღო და რომლებმაც ასე ძლიერ გააოცა ანკარის მთავრობა, თურქებს ომის თავიდან აცილების შესაძლებლობა მისცა. თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ინგლისის ელჩს უარყოფითი პასუხი გასცა. მე გადავიღე იგი.

პაპენი წერდა:

„ციცერონის წყალობით თურქეთის მთავრობის 12 დეკემბრის პასუხი მოკავშირეებისადმი რამდენიმე დღის შემდეგ ჩემს მაგიდაზე იდო. მენემენჯოღლუმ განაცხადა, თურქეთის შეიარაღებული ძალების ცუდი მომარაგების გამო სალონიკის ოპერაციისათვის მომზადება თებერვლის შუა რიცხვებში შეუძლებელიაო. ამ ნოტამ ძალზე გაუცრუა იმედი დასავლეთის მოკავშირეებს“.

„ამრიგად,—წერდა იგი შემდეგ,—ჰიტლერმა იცოდა, რომ ჩერჩილის მიერ განზრახული იერიში სალონიკზე თებერვალში არ შედგებოდა... 3 თებერვალს ინგლისის სამხედრო მისიამ თურქეთი დატოვა... ბევრს მოასწავებს ისიც, რომ ავიაციის მარშალმა ლინელმა, რომელიც სათავეში უნდა ჩადგომოდა 15 თებერვალს დანიშნულ იერიშს სალონიკზე, ასევე დატოვა თურქეთი... იძულებული გახდნენ უარი ეთქვათ ბალკანეთის ოპერაციაზე“.

გადავიღე დეპეშა, რომელიც თურქეთის უარის ტექსტს შეიცავდა და რომელიც სერ ჰიუმ ლონდონში გაგზავნა. მისი გულისწყრომა აისახა დეპეშებში, რომლებიც მან ლონდონში გაგზავნა. მე ისინიც გადავიღე. ამ დეპეშებში ელჩი იძლეოდა თურქეთთან ურთიერთობის გაწყვეტის წინადადებას.



მე გადავიღე ყველა დოკუმენტი და დიდი შვება ვიგრძენი. იმიტომ, რომ ომის მუქარამ, რომელიც ჩემი ქვეყნის თავზე ჩამოწვა, გაიარა. და ეს არ მომხდარა ჩემი მონაწილეობის გარეშე. ამით მე, რასაკვირველია, ვამაყობდი.

სერ ჰიუს უნდა გაეცილუ? ინა ავიაციის მარშალი ლინელი.

— დღეს რა ჩინებული დღეა, თქვენო აღმატებულებავე, — შევნიშნე მე კოსტიუმის მიწოდებისას.

— თქვენ რომ იცოდეთ, რა ნაკლებად მაინტერესებს ამინდი, — მიპასუხა მან. მაგრამ საიდან შეეძლო სცოდნოდა მას, რომ მხედველობაში უამინდობა მქონდა?

იმ დროს როცა სერ ჰიუს ავიაციის მარშალს — ლინელს ემშვიდობებოდა, მარას თვალებზე ცრემლებს ვწმენდი. იგი მისის ბასკის ერთგული დარჩა და ინგლისში მიჰყვებოდა.

— მე შენზე გაჯავრებული არა ვარ, — მითხრა მან გამომშვიდობებისას.

იმ ღამეს ეზრა ჩემი საყვარელი გახდა.

— როდესაც მრავალი წლის შემდეგ მე ისევ შევხვდი ეზრას და ბაასი გავაბით, მან ღიმილით მითხრა:

— მარა გააგდე და მეც ეშმაკურად მომატყუე. შენ არც კი გიფიქრია იმ ქალის შესახებ, რომელიც ასე ბევრს ნიშნავდა შენთვის. შენ მაშინ არც კი იცოდი, რომ არსებობდა კორნელია.

მე ვუამბე, როგორ შევქელი ამ ისტორიის ხარვეზების შევსება:

ცოლ-ქმარ კუტანდინებისგან, ოფიციალტ პინკისა და თვით კორნელიასაგან გავიგე, რატომ მიიღო მან ასეთი დავალება და შევიტყვე აგრეთვე მისი შემდგომი ბედი. მაგრამ მე წინანდებურად ვთვლიდი მას მეორეხარისხოვან ფიგურად და ზოგჯერ ძლივს მჭეროდა მისი არსებობა.

კორნელიას შესახებ რაიმეს გაგება შესაძლებელი იყო მხოლოდ მათგან, ვინც მასთან ერთად გერმანიის საელჩოში მუშაობდა, — მოიზიშისა და მისი კოლეგებისაგან. მაგრამ გერმანიაში წასასვლელი სახსრები არ მქონდა, გარდა ამისა, ცუდად ვიცოდი გერმანული ენა. ბატონმა ნოვლიმ დამაკავშირა

ეურნალისტ ჰანს შვარცთან, რომელმაც მიაბო, როგორ უწყობდა შანტაჟს კორნელია თავის კოლეგებს.

მოიზიშს კარგად იცნობდა ვინმე ზეილერი, რომელიც პრეს-ატაშე იყო ფონ პაპენტან. ერთხელ მოიზიშს მის ბინაში შეეხვდი. სწორედ იქ გადავეცი დოკუმენტების ფოტოასლები, რომლებშიც ლაპარაკი იყო საბერძნეთში შეჭრისა და სალონიკის ხელში ჩაგდების ოპერაციის ჩაშლაზე. ზეილერი მაღალი, მხარბეჭიანი და წაბლისფერთმიანი კაცი იყო. ჩვენი შეხვედრა უფრო საღამოს წვეულებას ჰგავდა. ჩვენ ვისკის ვსვამდით და თავს კარგად ვგრძნობდით. მოიზიშმა, როიალისაქენ მიმითითა და მითხრა:

—თქვენ მიაბმეთ, რომ სერ ჰიუს აკომპანირებით მღეროდით. ეს მართალია?

—გერმანელებისათვის ყოველთვის საჭიროა ყველაფრის დამტკიცება,—ვთქვი მე და რამდენიმე არია ვიძღვრე.

სწორედ ზეილერმა ჩამოიყვანა კორნელია ანკარაში. ახლა იგი სადღაც ნიურბერგის გარეუბანში ცხოვრობს. როიალი მას უკვე აღარ აქვს—იგი მეფრინველე-ფერმერი გახდა.

ერთ-ერთი ნაწილი მოზაიკისა, რომელსაც მე ვადგენდი, რათა კორნელიას პორტრეტი შემექმნა, იყო ზეილერთან ბატონ შვარცის ინტერვიუს მაგნიტოფონური ჩანაწერი.

მე ჩემს სტამბულის ბინაში ვიჯექი და მეხსიერებაში წარსულის აღდგენას ვცდილობდი. კედლებზე ფოტოსურათები ეკიდა: რამდენიმე როლში ვიყავი გადაღებული, რომელთა თამაში ხშირად მიხდებოდა. ერთ-ერთ ფოტოზე როიალთან ვიდექი, ფრაკში გამოწყობილი ფერადოვანი მატერიით გადაკრულ სავარძელში გაშლართული ვიჯექი და ვუსმენდი ლაპარაკს, რომელიც ჩემს წარსულს ეხებოდა. თითქოს ჩემი ოთახის მყუდროება დაიარღვა. მაგნიტოფონის ლენტის შრიალი პაუზის დროს მაღიზიანებდა.

—რა მოვალეობას ასრულებდით ანკარის გერმანიის საელჩოში ათას ცხრაას ორმოცდაოთხ წელს? |

—პრეს-ატაშე ვიყავი.

—რა დამოკიდებულება გქონდათ მოიზიშთან?

—ჩვენ მეგობრები გახლდით.

—თქვენ მუშაობდით მასთან ერთად?

—როდესაც შემთხვევა მეძლეოდა.

—როგორ მოხდა, რომ კორნელია მოიზიშის მდივანი გახდა?

—ეს სრული შემთხვევითობაა.

—მეტად ყურადსაღები შემთხვევითობა. თქვენ ჩამოყვანეთ იგი ანკარაში?

—მოიზიშს სასწრაფოდ სპირდებოდა მდივანი.

—რადგან ციცირონის ცნობები მას ძლიერ ბევრ სამუშაოს აძლევდა?

—დიახ.

—მაშასადამე, მან თქვენ სოფიაში გაგზავნათ და დაგვაღალათ მოგეძებნათ შესაფერისი მდივანი და თქვენ შემთხვევით კორნელიას წააწყდით. ალბათ, იცოდით, რომ სოფიაში იგი ამერიკელებთან მუშაობდა?

—საიდან უნდა მცოდნოდა ეს მაშინ? თქვენ არასწორი ცნობები გაქვთ. მოიზიშს არ გაუუგზავნივარ სოფიაში მდივნის მოსაძებნად. ყველაფერი შემთხვევით მოხდა, როდესაც სოფიაში ჩემი საქმეების გამო გავემგზავრე.

—რა საქმეებისათვის?

—უნდა მეყიდა მოწყობილობა ტელეტაიპისათვის, გადასაღები ქაღალდი და სხვა. ყველაფერი ამის შოვნა ბერლინში ძლიერ ძნელი იყო.

—კორნელიამ თვითონ მოგმართათ?

—მე სასტუმრო „ბულგარეთში“ გავჩერდი, რომელიც გერმანელებისათვის იყო განკუთვნილი. აქ ცხოვრობდნენ საელჩოს თანამშრომლები, სავაჭრო დელეგაციათა წევრები და ოფიცრები, რომლებიც სოფიაში სხვადასხვა საქმეებზე ჩამოდიოდნენ.

—და იქ ცხოვრობდა კორნელია კაპი?

—დიახ.

—ასევე უბრალო შემთხვევითობით?

—იგი მშობლებთან ერთად ცხოვრობდა, მამამისი გერმანიის საელჩოში გენერალური კონსული იყო.

—იგი?

—საელჩოში მდივნად მუშაობდა.

—მამის წყალობით.

— ყველა ამას ამბობდა: მარჯვე მუშაკიაო.

— ელიას ბაზნამ, იგივე ციცერონმა, თავისთავზე გამოსცა რამდენად ყოჩალი იყო იგი.

— მის მშობლებს სასტუმროს სადარბაზო ოთახში შეეხვდი. მეტად სასიამოვნო ადამიანები არიან. კაპი — ძველი სკოლის დიპლომატია. იგი გენერალური კონსული იყო ბომბეიში, მოგვიანებით კი—კლივლენდში და...

— დიახ, ყველაფერი ეს მე ვიცი. მაშინ რამდენი წლისა იყო?

— ასე, ორმოცდაათი წლისა. მეტად გულჩვილი ადამიანი გახლდათ...

— განსაკუთრებით ქალიშვილის მიმართ.

— ეს მართალია. ისეთი შთაბეჭდილება შემექმნა, რომ მზად იყო შეესრულებინა მისი ყოველი ახირება.

— მათ შორის სამშობლოს დალატის სურვილიც?

— აბა, რა უნდა ექნა მას?

— იგი მიმზიდველი იყო?

— დიახ, ძლიერ. მე ვფიქრობ, იგი მაშინ ოც წელზე მეტისა არ იქნებოდა.

ძნელია თქვა ცუდი ოცი წლის ლამაზი ქალიშვილის შესახებ. კარგად მქონდა წარმოდგენილი, თუ როგორ აღმერთებდა გულჩვილი ბატონი კაპი თავის საყვარელ ქალიშვილს, ლამაზ ქერა ქალს, რომელსაც მე უნდა გავენადგურებინე.

— თქვენ ბატონ კაპთან ყოველთვის კორნელიას თანდასწრებით ლაპარაკობდით?

— დიახ.

— იგი, რასაკვირველია, ცდილობდა, თქვენს ლაპარაკს დასწრებოდა.

— ეს არ შემიმჩნევია. კაპმა მკითხა, ხომ არ შეიძლება მას რაიმე სამუშაო გამოენახოსო ანკარაში. თურქეთი ხომ ნეიტრალური ქვეყანა იყო, ხოლო სოფიაში საჭაერო თავდასხმებს ელოდნენ.

— რომელთა ამბავი თქვენ ციცერონის წყალობით იცოდით.

— გერმანელი დიპლომატები სოფიაში დიდ უსიამოვნებებს ელოდნენ.

ხანგრძლივი სიჩუმე ჩამოვარდა. ისმოდა მხოლოდ მაგნიტოფონის ლენტის შრიალი. წარმოვიდგინე მხრებაჩეჩილი ზეილერი. იქნებ, იგი ბევრს ლაპარაკობდა იმ დროს? მოიზიშმა, როგორც ჩანს, ბევრი რამ უამბო. მათ ხომ არ ჩამადგეს კორნელიას ხელში?

ამრიგად, თქვენ უთხარით კაპს, რომ თქვენი მეგობარი მოიზიში, უშიშროების საიმპერიო მთავარი სამმართველოს თანამშრომელი, რომელიც ცნობილ „ციცერონის“ ოპერაციას აწარმოებდა, იმდენად დატვირთულია საქმეებით, რომ მას დახმარება სჭირდება?

— არა, ეს ასე არ ყოფილა.

— აბა როგორ?

— მე ვუთხარი, თქვენი ქალიშვილისათვის შეიძლება ანკარაში სამუშაოს შოვნა და შევეცდები რაიმეს გაკეთებას-მეთქი. მე ხომ ვიცოდი, რომ მოიზიშს თანამშრომელი სჭირდებოდა.

— ასე გაებით ხატანგში.

— თქვენ ფიქრობთ. რომ ბატონი კაპი თანაუგრძნობდა კორნელიას?

— რატომაც არა?

— იგი წესიერი ადამიანი იყო. მოგვიანებით, როცა კორნელიას შესახებ მთელი სიმართლე გაიგო, დარდისაგან მოკვდა.

— ამრიგად, მან ჯერ მამა მოატყუა. შემდეგ კი თქვენც.

— მე მხოლოდ მსურდა დავხმარებოდი კოლეგას, რომელსაც სავსებით ვენდობოდი. ვუთხარი კაპს, ასეთ თანამდებობაზე ყოველმხრივ შესაფერისი ადამიანი უნდა შეირჩეს-მეთქი.

— და, ალბათ, კორნელიამ მაშინ წამოიძახა: „ეს საქმე სწორედ ჩემთვის არის ზედგამოჭრილი!“

— არა, კორნელიას სწორედ არაფერი უთქვამს. იგი ყოველთვის დუმდა. ლაპარაკობდა ბატონი კაპი. „ძველი დიპლომატის ქალიშვილი, — მითხრა მან, — უდავოდ შესაფერისი ადამიანიაო“.

— და თქვენ უამბეთ მას, რომ, როგორც მოიზიშის მდი-

ვანი. კორნელია „ციცერონის“ ოპერაციაში მიიღებს მონაწილეობასო?

— არაფერი მსგავსი მე მისთვის არ მითქვამს.

— თქვენ გსურთ თქვათ, რომ არ გიხსენებიათ „ციცერონის“ ოპერაცია, რომლის შესახებ გერმანიის დიპლომატიურ წრეებში ისევე ბევრს ლაპარაკობდნენ, როგორც გებელსის სამიჯნურო თავგადასავლებზე?

— მე არასდროს მომიხსენებია ციცერონი. მხოლოდ...

— მხოლოდ რა?

— ლაპარაკში მოვიხსენიე, რომ ჩვენ გარკვეული ინფორმაციის წყაროები გქონდა. მაგრამ არასდროს სიტყვა არ დამიძრავს ამის შესახებ კაპის თანდასწრებით. ამას სხვა ადამიანებს ვეუბნებოდი.

— თქვენ თუ დადიოდით კორნელიასთან ერთად სადმე?

— ღმერთო ჩემო, იქნებ ფიქრობთ, რომ რომანიც კი გავაჩაღეთ! ანკარაში დაბრუნებისას ვუთხარი მოიზიშს, შენთვის შესაფერისი ქალიშვილი ვიპოვე-მეთქი, გენერალური კონსულის ქალიშვილი, რომელიც ამერიკაში გაიზარდა და რომელმაც ინგლისური მშობლიური ენასავით იცოდა. მოიზიშმა მითხრა: „იგი ჩემთან იმუშავენს. ეს სწორედ ის არის, რაც მე მჭირდება“.

— რატომ გამოიჩინა მან ასეთი გულმოდგინება?

— როგორც ყველა ავსტრიელი, იგი გულფიცხი ადამიანი იყო.

— და კორნელია ანკარაში ჩამოვიდა?

— თავდაპირველად მან საგარეო საქმეთა სამინისტროს და უშიშროების საიმპერიო სამმართველოს კადრების სამმართველოში შემოწმება გაიარა. მას ხომ საბოლოო ანგარიშით კალტენბრუნერის ხაზით უნდა ემუშავა.

— ყველა ფიქრობდა, რომ კორნელია ამ სამუშაოზე გამოდგებოდა.

— იგი ანკარაში 1944 წლის იანვარში ჩამოვიდა.

— წარმომიდგენია, როგორ ზეიმობდა!

რაც შემდგომში გავიგონე, გამაოცა.

— მოიზიში და მე მის შესახებ დრად სადგურზე წავედით,

როდესაც ქალი ვაგონიდან გამოვიდა, მოულოდნელობისაგან შეეკრთი.

— რატომ?

— მე აღვწერე იგი, როგორც ძალიან ლამაზი და კარგად ჩაცმული ქალიშვილი. როდესაც კორნელია ვაგონის კიბეზე გამოჩნდა, ისეთი შესახედავი იყო, რომ მოიზიშმა შემკითხველი თვალებით გადმომხედა.

— კორნელიამ ცუდი შთაბეჭდილება მოახდინა?

— იგი საშინლად გამოიყურებოდა. ეს იყო ნერვების ხლართი. თმა სახეზე ჩამოშლოდა, ქუჩყიანი ხელები, ფრჩხილებქვეშ ასევე ქუჩყი, — რასაკვირველია, რკინიგზით მგზავრობის შემდეგ...

— ო, არა, სრულიად არა. ისეთი შთაბეჭდილება შემექმნა, თითქოს მგზავრობის დროს რაღაც მოხდა და ამან ქალზე ისე ძლიერად იმოქმედა, რომ სრულიად დაკარგა თავისი თავისადმი ინტერესი.

— შესაძლოა, მას უსიამოვნებანი ჰქონდა, სურდა ჯაშუშური დავალებები თავიდან მოეშორებინა. შესაძლოა, ამერიკელები, რომლებთანაც ის მუშაობდა, მგზავრობის დროს შეხვდნენ და ზეგავლენაც მოახდინეს.

— არ ვიცი. იმ დროს სრულიად აგვიბნია თავგზა მისმა გარეგნობამ და ქცევამ.

— შემდეგ შეიცვალა?

— გარეგნობით, რასაკვირველია, შეიცვალა. მოიზიში ყოველმხრივ არიგებდა, სთხოვდა მიეხედა თავისი თავისათვის და ქალიშვილის საკადრისად მოქცეულიყო. ამის გამო, ვფიქრობ, სძულდა მოიზიში, მაგრამ, გარდა ამისა...

— რა?

— მან დიდი საზრუნავი გაგვიჩინა. კორნელია ყველაფრისადმი გულგრილი იყო, არასდროს იცინოდა, არც კი იღიმებოდა. სრულიად საწინააღმდეგოდ იქცეოდა, ვიდრე სოფიაში. ანკარაში იგი სრულიად სხვა ადამიანი გახდა. მოიზიში კიდეც ამბობდა, მისთვის საჭიროა ვინმე ყმაწვილი გამოვნახოთ. შესაძლოა, ეს იყო ყველა უსიამოვნების მიზეზი. კორნელიასთან ურთიერთობა ძალზე ძნელი იყო მისი მძიმე ხასიათის გამო...

ამით მაგნიტოფონის ჩანაწერი დამთავრდა.

წერილში, რომელიც მაგნიტოფონის ლენტას ჰქონდა დართული; ნათქვამი იყო, ჩანაწერი გაგრძელდებაო.

ამგვარად, კორნელია გამოცანა იყო არა მარტო ჩემთვის, არამედ მათთვისაც, ვინც ახლოს იცნობდა.

დავუბრუნდეთ სან-დიეგოს (კალიფორნიის შტატი) კორესპონდენციას და თვით კორნელია კაპის განცხადებას. მან შემდეგი განაცხადა:

„ჩემი უცნაური ქცევა არ იყო სხვა რამ, თუ არა ცდა, რომ ყურადღება ამეცდინა. მე უნდა შემენიღბა ნამდვილი ნერვულობა და მღელვარება. მე ხომ მუდმივი შიშით ვცხოვრობდი, და რომ ნორმალური ცხოვრება მქონოდა, ეს მხოლოდ ჩემდამი ყურადღებას გაამახვილებდა იმ დღეებში, როდესაც დაძაბულობა თითქმის აუტანელი გახდა. ამიტომ ყველაზე დაძაბულ დღეებში ჩემი ნამდვილი ნერვულობა თვალში არ გცემოდათ“.

მაშასადამე, კორნელია, ცდილობდა რა ჩემს მხილებას, განზრახ თამაშობდა ნერვული ქალის როლს.

ერთმა მისმა განცხადებამ ამაღელვა:

„ანკარაში ყოფნისას ძლიერ მოქმედ წამალს ვსვამდი, რადგანაც ჩემი სამუშაო საშინელ ნერვულ დაძაბულობას მოითხოვდა. ვიცოდი, რომ თვით მამაჩემის ბრწყინვალე ნაცნობობას ბერლინში არ შეეძლო სახრჩობელიდან დავებ-სენი“.

ეს მხოლოდ თამაში იყო? ანდა, შესაძლოა, კორნელია იმიტომ სვამდა წამლებს, რომ ჩაეხშოთ თავისი სინიღისი და შიში?

რბილ, მოხერხებულ სავარძელში ვიჯექი, კორესპონდენციებით, მაგნიტოფონის ლენტებითა და თურქული სამშვენიესებით გარშემორტყმული, ერთიც ვნახოთ, უცებ კარი გაიღოს და ოთახში კორნელია შემოვიდეს, რომელიც ახლა დაახლოებით ორმოცი წლის იქნება და რომელმაც, როგორც ვიცი, საუკეთესო წლები წარსულს ჩააბარა.

მე ვეტყვოდი: „ორივემ უნდა ვაღიაროთ, რომ ეს ბინძური სამუშაო იყო. გამოგვიყენეს ისევე, როგორც მე ჩემი „ლეი-



კა“ გამოვიყენე. განა ამ სამუშაომ ჰეშმარტი კმაყოფილება მოგვიტანა? დროის დიდი ნაწილი იმას მოვახმარეთ, რომ საკუთარ შიშს ვმაღავდით“.

დამეთანხმებოდა კორნელია?

შე ცალყბად ჩავიცინებდი და დავემატებდი: „რისი გაკეთება გირჩიეს მათ, რომ დაგვეწყაოთ თქვენი შიში?“

მთელი მსოფლიოს ადამიანთა იმედები მიპყრობილი იყო საიდუმლოებით მოცული სიტყვებისადმი — „ოვერლორდის ოპერაცია“. გენერალური შტაბებისათვის ეს იყო მათემატიკური პრობლემა, საიდუმლო სამსახურთათვის — გამოცახა, მოწინააღმდეგეებისათვის — სასიკვდილო მუქარა. ყოველი მათგანისათვის — 176 000 ოფიცრისა და ჯარისკაცისათვის, რომლებსაც გადმოსხმისათვის ამზადებდნენ, — ეს ფრაზა სიკვდილს ნიშნავდა.

ოპერაცია უნდა დაწყებულიყო „დ“ დღეს, რომლის ზუსტი თარიღი ჯერ კიდევ საბოლოოდ არ იყო განსაზღვრული. მაგრამ იყო მხოლოდ რამდენიმე თარიღი, რომელნიც მოვლენებს განსაზღვრავდნენ და რომლებზეც მოკავშირეები მთელ თავიანთ იმედებს ამყარებდნენ. მათი წარმატება დამოკიდებული იყო მთელი რიგი ფაქტორების დამთხვევაზე.

ჯერ ერთი, წინა ღამე მთვარიანი უნდა ყოფილიყო. უნდა ყოფილიყო ზღვის კარგი მოქცევა, მაგრამ ზღვა ძლიერ ბობოქარი არ უნდა ყოფილიყო. 176 000 ადამიანს, რომლებიც ამ დღეს ლა-მანშს გადაჭრიდნენ, 20 000 მანქანასთან, ტანკებთან და სხვა მოძრავ საშუალებებთან ერთად, ისევე ეშინოდა სიკვდილის, როგორც ყველა ადამიანს, მაგრამ მათ უნდა დაევიწყათ შიში. ისინი უნდა გადმომსხდარიყვნენ, გამაგრებულიყვნენ ნორმანდიის ნაპირზე ანდა დახოცილიყვნენ.

„დ“ დღის მოლოდინში უდიდესი ნერვული დაძაბულობა იყო. ცას დაბალი ღრუბლები გადაეკრა, ქროდა სამხრეთ-დასავლეთის ქარი და იყო თავსხმა. ზღვა ბობოქრობდა. ოპე-

რაციის დამგეგმავი ოფიცრები ნერვულობდნენ: მათ მთელი თვიდან მხოლოდ სამი დღის ამორჩევა შეეძლოთ, როდესაც წარმატებით გადმოსხმის ყველა პირობა ხელსაყრელი იქნებოდა.

გერმანელმა სინოპტიკოსებმა იწინასწარმეტყველეს, რომ ქარიშხალი რამდენიმე დღეს გაგრძელდებოდა. მაგრამ მოკავშირეთა სინოპტიკოსები ამბობდნენ, ამინდი მეორე დღილით რამდენიმე საათის განმავლობაში გაუმჯობესდებოდაო. ამიტომ „დ“ დღე მეორე დღეს იქნა დანიშნული.

176 000 ადამიანმა სრუტე გადასჭრა და ნორმანდიის ნაპირზე გადმოსხდა. ეს მოხდა 1944 წლის 6 ივნისს. ოპერაცია „ოვერლორდი“ დაიწყო.

„ოვერლორდის“ მნიშვნელობას მის დაწყებამდე სამი თვით ადრე ვხვდებოდი. ეს უცნაური დასახელება სულ უფრო ხშირად მხვდებოდა დეპეშებში, რომლებსაც ფოტოთი ვიღებდი. პირველი ადამიანი ვიყავი მეორე მხარეს, ვინც „ოვერლორდის“ ამბავი გაიგო.

საუკეთესო ფორმაში გახლდით. ეზრა, ჩემი ხასა, აცოცხლებდა ჩემს უინს თავგადასავლებისადმი.

მე ავუხსენი ეზრას, რა არის ოპერაცია „ოვერლორდი“. იგი მეორე ფრონტის გახსნას ნიშნავდა. რასაც რუსები მოითხოვდნენ. როდესაც რუსები იმეორებდნენ თავიანთ მოთხოვნას, ეს ფრაზა მაშინვე ჩნდებოდა დეპეშებში: ოპერაცია „ოვერლორდი“ სხვას არაფერს ნიშნავდა, თუ არა მეორე ფრონტსო.

„ინგლისელებს სურდათ, რომ თურქეთი მათ მხარეზე გამოსულიყო. მაშინ გერმანელებს მოუხდებოდათ ყურადღების გამახვილება ბალკანეთში, იძულებული გახდებოდნენ აქ დაებანდებინათ თავიანთი დივიზიები, და ვერ შეძლებდნენ მათ გადმოსროლას საფრანგეთში. მაგრამ თურქეთი ჯერ ისევ არ იძლევა ომში ჩაბმის თანხმობას. სერ ჰიუმ დეპეშით აცნობა ლონდონში, რომ თურქები დათანხმდებიან ამაზე მხოლოდ მას შემდეგ, რაც ოპერაცია „ოვერლორდი“ წარმატებით დაგვირგვინდებაო“, — ავუხსენი ეზრას.

თავი გამოჩენილ სტრატეგად წარმოვიდგინე.

— თუ გერმანელები ფხიზლად ჩქნებიან, მათ არაფრის არ უნდა ეშინოდეთ, — განვაგრძობდი მე, — ყველაფერი, რაც მათ უნდა გააკეთონ, ესაა ყურადღებით წაიკითხონ დოკუმენტები. რომლებსაც მე ვაძლევ.

მათში სულ უფრო ძლიერ არის გამახვილებული ყურადღება ოპერაცია „ოვერლორდის“ მიმართ. ახლა უკვე დიდი ხნის ცდა აღარ არის საქირო. თუ გერმანელები გონიერები არიან...

ეზრა დიდი ყურადღებით მისმენდა. მარას ახლა არც კი ვინსენბლი. მთელი ჩემი ფიქრები ნაზ, მოკრძალებულ, ერთგულ ეზრას დატრიალებდა თავს.

— მიმატოვებ? — მკითხა მან.

მისმა შეკითხვამ შემაშინა.

— ხომ იცი, რომ ოდესღაც მოგვიხდება ერთმანეთს დაეშორდეთ.

დამეთანხმა და ამის დასამტკიცებლად თავი დამიქნია.

იგი შინ დაეტოვე, თვით კი ინგლისის საელჩოში წავედი. ზუსტად დილის რვის ნახევარზე სერ ჰიუს ფორთოხლის წვენი მივართვი. როდესაც იგი ოფიციალურ სადილზე იყო, მე გადავიღე დოკუმენტი, რომელშიც ასევე მოხსენიებული იყო ოპერაცია „ოვერლორდი“.

ოპერაცია „ოვერლორდი“ მოსვენებას არ მაძლევდა. მოგვიანებით ჩემთვის ცნობილი გახდა, რომ პირველი, ვინც გერმანელებს მისი ამბავი აცნობა, მე გახლდით.

დოკუმენტის შინაარსისდა მიხედვით, ამერიკელ გენერალს — გვარად ეიზენჰაუერს — უნდა განეხორციელებინა ოპერაციის უმაღლესი ხელმძღვანელობა. იმ დროს ეს გვარი ჩემთვის არაფერს ამბობდა. ამრიგად, უმაღლესი მთავარსარდალი ამერიკელი უნდა გახდეს. ამ ფაქტს თურქეთის მთავრობაზე ძლიერი შთაბეჭდილება უნდა მოეხდინა. ნავარაუდევო იყო, რომ თურქები ამერიკელი გენერლის უმაღლეს მთავარსარდლის თანამდებობაზე დანიშნვას განიხილავდნენ როგორც წარმატების საუკეთესო გარანტიას და მიხვდებოდნენ, ამჟამად ომში ჩაბმის შესაფერისი მომენტი დადგაო.

დავრეკე გერმანიის საელჩოში. მიპასუხა მოიზიშის მდივანმა.

— ლაპარაკობს პიერი.

ჩინებულ გუნებაზე ვიყავი.

— როგორ ბრძანდებით, ძვირფასო? დღეს რა მშვენიერი დღეა! მალე გაზაფხული დადგება, რას აპირებთ სააღდგომოდ?

— შევებულემაში წავალ, — ცივად მიპასუხა მან. — ვინ ლაპარაკობს?

— პიერი, მოიზიშის ახლო მეგობარი.

იგი ახითხითდა.

— მინდა ვიცოდე, სინამდვილეში ვინა ხართ.

— ეს თქვენ არ უნდა გაინტერესებდეთ, ძვირფასო. ახლა, გეთაყვა, ბატონ მოიზიშთან შემაერთეთ.

შემდეგ მე გავიგონე წყარუნი და მოიზიშის ხმა.

— ცუდი არ იქნებოდა ხვალ ბრიჯი გვეთამაშა, — ვუთხარი მე, — ხელი კოზირებით მაქვს სავსე.

— კეთილი, — მიპასუხა მოიზიშმა რაღაც გაბრაზებული ხმით.

— თქვენ ცუდ გუნებაზე ხართ? გეთაყვა, გადაეციტ სალამი თქვენს მომხიბლავ ქალიშვილს.

— შეწყვიტეთ სისულელის ლაპარაკი, — წაიბუტბუტა მან და ყურმილი დადო.

ოზდემირის ქუჩის კუთხეში შევხვდით ერთმანეთს. ჩვეულებრივ, ძველი ქალაქისაკენ წავედით, ფული და ფოტოფირის ხეულები გავცვალეთ.

— თქვენმა მდივანმა მითხრა, სააღდგომოდ შევებულემაში მიედივარო.

— მადლობა ღმერთს.

მის სახეზე უკმაყოფილო გამომეტყველება შევნიშნე, გავიღიმე. მოიზიშს როგორც ჩანს, არ შეეძლო მის შესახებ არაფერი კარგის თქმა.

— მინდა ერთხელ როგორმე გავისეირნო მასთან.

— თუ მოგწონთ ნერვული ქალები, რატომაც არა.

მოიზიშს ზურგზე ხელი მოვუთათუნე და მანქანიდან გადმოვხტი. საელჩოში მოსვლისას ფული ჩემი ნოხის ქვეშ დავაგდე.

1944 წლის აღდგომა, როგორც შემდგომში გავიგე, მნიშვნელოვანი პერიოდი იყო კორნელია კაპის ცხოვრებაში.

ჩვიდმეტი წლის შემდეგ, ასევე აღდგომის დღეებში, მე ჩემს სტამბულურ ბინაში ვიჯექი და ვცდილობდი იმ დროის შოვლენათა საიდუმლოების გამორკვევას. ის-ის იყო მაგნიტოფონის მეორე ჩანაწერი მივიღე ფოსტით. ისევ შეკითხვები და პასუხები:

— რა მოხდა აღდგომის წინ?

— ქალიშვილმა, თითქოს, სრულიად დაკარგა გონება.

— რა გაქვთ მხედველობაში, როდესაც ამბობთ, რომ მან გონება დაკარგაო?

— მის ისტერიას საზღვარი არ ჰქონდა.

— ახლა ხომ ამბობს, ეს თამაში იყო.

— მე არ მჯერა.

— შესაძლოა, ფიქრობდა, მოიზიშმა ექვი აილო ჩემზეო?

— შეიძლება. მაგრამ, სინამდვილეში, მას არაფერი არ ჰქონდა შესაწუხებელი. ჩვენ აზრად არ გვექონდა, რომ იგი მტრის მხარეზე მუშაობდა. გამცემლობის ყოველი აქტი, რომლის შესახებ ჩვენ ვიგებდით, მასში სიშმაგის აღგზნებას იწვევდა.

— რომელ გამცემლობაზე ლაპარაკობთ?

— იმ დროს ორი გერმანელი ინგლისელებთან გადავიდა.

— ანკარაში?

— არა, სტამბულში. სამხედრო დაზვერვის თანამშრომლები გერმანიის გენერალურ საკონსულოში მუშაობდნენ.

— მნიშვნელოვანი პიროვნებებია?

— დიახ, ამ ამბებმა გერმანელები შეაშფოთა. ჯერ ერთი გაუჩინარდა, შემდეგ—მეორე.

— კორნელიამ თავი აღშფოთებულად მოგაჩვენათ?

— დიახ. იგი სწყყელიდა მათ. გვიამბობდა თავისი ორი ძმის შესახებ, რომლებიც აღმოსავლეთის ფრონტზე მსახურობდნენ. თქვა, ეს ადამიანები ფრონტზე მებრძოლ ჯარისკაცებს ზურგში დარტყმას აყენებენო. ლაპარაკობდა სამშობლოს წინაშე მოვალეობის შესახებ. „გერმანიამ უნდა მოიგოს ომი, — თქვა მან, — მიუხედავად იმისა, მას ბევრი მტერი ჰყავს“.

— ექვების გაფანტვას ცდილობდა?

— ალბათ. მას საელჩოში ძმების წერილები მოჰქონდა და გვიკითხავდა.

— რა წერილები?

— ეს იყო ამაღლევებელი წერილები, ჭარისკაცების წერილები, რომლებმაც იციან, თუ რისთვის იბრძვიან. მოიზიში ამბობდა, იგი წერილების კითხვისას ტიროდაო.

— როგორც ჩანს, მოლაღატესაც ეპვი შეეპარება ხოლმე.

— ძნელია თქმა, თუ რა ხდება ამ დროს ადამიანის სულში.

— იგი უბრალოდ კარგად თამაშობდა თავის როლს.

— როგორც ჩანს, სხვა ახსნა არ არსებობს. მოიზიშს ბოლოს და ბოლოს ყველაფერი ისე მობეზრდა, რომ მისი თავიდან მოშორება მოინდომა.

— მაშასადამე. კორნელიას კი არ სურდა მოიზიშიდან წასვლა, არამედ მოიზიშს უნდოდა მისი თავიდან მოშორება?

— მათი სურვილები, შესაძლოა, ერთმანეთს დამთხვეოდნენ. ჩვენ, რასაკვირველია, არ შეგვეძლო გვცოდნოდა, რომ ფაქტიურად კორნელიამ მიიღო, რაც სურდა. მან ხომ იცოდა, რომ ყოველ ნაბრჭხე საშიშროებას წააწყდებოდა. შესაძლოა, ფიქრობდა, მოიზიში თვალყურს მადევნებსო, მაგრამ ეს ასე არ იყო. მოიზიში უბრალოდ ძლიერ დაიღალა, იგი პაპენტანაც კი მივიდა.

— რატომ?

— სურდა კორნელია გონივრულად მოეშორებინა თავიდან. მამამისი ხომ დიპლომატიურ სამსახურში იმყოფებოდა. საჭირო იყო მისი დაჭერება, რომ აუცილებლად წაეყვანათ ქალიშვილი. საბაბი შეიძლებოდა ასეთი ყოფილიყო: ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო მას არ შეეძლო დამაკმაყოფილებლად შეესრულებინა მოვალეობანი.

— ამრიგად, წერილი ბატონ კაპს სოფიაში გაუგზავნენ?

— არა, ამასობაში იგი ბუდაპეშტში გადაიყვანეს. ჩვენ მივწერეთ მას იქ, კორნელიამ არაფერი იცოდა ამის შესახებ.

— ამრიგად, ყველაფერს ისეთი სახე უნდა ჰქონოდა, თითქოს მამას სურდა, რომ შვილი მასთან დაბრუნებულიყო.

— დიახ, მოიზიშმა მოხუცი ადამიანის გრძნობები დაინდო, კორნელია უკიდურესად უყურადღებო იყო. ძლიერ

ბევრ შეცდომას უშვებდა და როდესაც ამაზე მიუთითებდნენ, ისტერიკას მიმართავდა.

— როგორც ჩანს, დიდ ყურადღებას უთმობდა მტრის მხარეზე მუშაობას...

ვუსმენდი მაგნიტოფონის ჩანაწერს და წარმოვიდგიხე კორნელიას იმდროინდელი მდგომარეობა. მან ფაქტიურად მიაღწია მიზანს. ხვდებოდა, ვინ იყო ციცერონი, მაგრამ ამავე დროს მხილებისა ეშინოდა.

ლაპარაკი გრძელდებოდა.

— ჩვენ კიდევ გაგვიხარდა; როდესაც ერთხელ კორნელიამ შვებულება მოითხოვა. მითხრა, მინდა შვებულება მამასთან, ბუდაპეშტში, გავატარო. მოიზიში მაშინვე მოვიდა ჩემთან და მიაგზო ამის შესახებ, გახარებული ხელებს იფშვნიტდა. „საქმე გაცილებით უკეთ მიდის, ვიდრე ჩვენ მოველოდით“, — შენიშნა მან.

— იგი ფიქრობდა, რომ ადვილად, მარჯვედ მოიშორებდა თავიდან ანჩხლ მდივანს, არა?

— დიას, ამის შემდეგ მოიზიში თავაზიანად ექცეოდა ქალს. ერთხელ მასთან ერთად მალაზიაშიც კი წავიდა. სააღდგომოდ მშობლებისათვის საჩუქრების ყიდვა უნდოდა.

— იყო იგი მოიზიშთან ერთად „ა ბ ც“ მალაზიაში?

— დიას. ყველაზე საუკეთესო მალაზიაში.

მაგნიტოფონი გამოვრთე. ამრიგად, ქალიშვილი, რომელსაც იმ დღეს „ა ბ ც“ მალაზიაში შევხვდი, კორნელია გახლდათ.

როგორღაც მომიწინა ეზრასათვის მესიამოვნებინა. „ა ბ ც“ მალაზიასთან შევჩერდით და ვიტრინას დაუწყუყეთ თვალიერება.

— რა ლამაზია! — აღფრთოვანებით წამოიძახა მან, როცა ერთ-ერთ კაბას შეჰყურებდა.

იმავე დღეს, საღამოს, საელჩოში ჩემს ოთახში ვიჯექი და ეზრაზე ვფიქრობდი. კაბა გავიხსენე, წარმოვიდგიხე, როგორ გაეხარდებოდა, მისთვის კოლოფით სწორედ ის კაბა რომ მიმეტანა.



— „ა ბ ც“ მაღაზია ათათურქის ბულვარზე ერთ-ერთი ფეშენებელფრი მაღაზიაა. იქ რომ ინგლისის საელჩოს თანამშრომლებს დავენახე, ჩემი ჯამუშური კარიერა უთუოდ დასრულდებოდა.

ვამაყობდი, რომ შემეძლო ეზრას ყოველგვარი სურვილის შესრულება. მაშინ არ ვფიქრობდი იმ საშიშროებათა შესახებ, რომლებიც მიდარაჯებდნენ და ვფიქრობდი, რომ ყველაფერი მუდამ ასე გაგრძელდება-მეთქი. ყოველგვარი ექვი უკუვაგდე. როდესაც წინასწარ არასასიკეთოს ვიგრძნობდი, ხელში ბანკნოტების დასტებს ვიღებდი და წინანდელი გულდაჭერებულობა მიბრუნდებოდა. მე გაუმაძლარი ვიყავი და არ მჯეროდა, რომ ოდესღაც ყველაფერი ამის დასასრული მოვიდოდა. დადგებოდა ციცერონი-ჯამუშისა და ელიას-ყავასის დასასრული. მაგრამ მაშინ ხომ დაიწყებოდა ბაზნა-ჯენტლმენის ცხოვრება. მე ხომ მდიდარი ადამიანი ვიყავი. განსაკუთრებით მდიდარი ადამიანი. გაზაფხულის იმ ცივ, მოწმენდილ დილას მე უზარმაზარ ქონებას ვფლობდი: მქონდა ორი მილიონ სამასი ათასი ლირი, ანუ სამასი ათასი გირვანქა სტერლინგი. ამეს ფიქრი მოსვენებას არ მაძლევდა.

„ა ბ ც“ მაღაზიაში (გადავწყვიტე მეყიდა ეზრასათვის ეს კაბა) მოიზიში დავენახე. მან ისეთი სახე მიიღო, თითქოს ვერ შეზნიშნა. მის თვალეში უკმაყოფილება ამოვიკითხე: დასწყევლა ჩემი უგუნურობა. იგი საკმაოდ მიმზიდველ ქალიშვილს ახლდა, რომელმაც მაშინვე დამაინტერესა. ქალიშვილს ჰქონდა წაბლისფერი თმა, გრძელი ფეხები და როგორღაც მოუსვენარი თვალეები. ორივენი ცუდად ლაპარაკობდნენ თურქულად, გამყიდველებს თითქმის არ ესმოდათ მათი.

— ხომ არ გკირდებათ მთარგმნელის სამსახური? — ვკითხე მე.

მაშინ ექვი არ მქონდა, რომ ადამიანი, რომელსაც დახმარება შევთავაზე, ჩემი მოწინააღმდეგე იქნებოდა. ქალიშვილს ფრანგულად ველაპარაკებოდი, შემდეგ კი გამყიდველ ქალს თურქულად ვუხსნიდი. მოიზიში პირქუში სახით განზე იდგა. მე და კორნელია მხიარულად ვცხებდობდით:

— თეთრეული გსურთ, მადამ? თქვენი ზომა?

დაუძინებელი მტრები მხიარულად ესაუბრობდით.

— გერმანელი ხართ?

— დიახ.

— იმელი მაქვს, მოგწონთ ანკარა?

— დიახ, ძლიერ.

იმ ღროისათვის კორნელიამ თითქმის უკვე მიადწია მიზანს: იცოდა, სად მოედებნა ციცერონი. მან იცოდა, რომ ციცერონი თურქი იყო და ინგლისის საელჩოში მსახურობდა. ერთხელ მნახა კიდეც, მაგრამ ახლა ვერ მიცნო.

მოგვიანებით იგი ამ შეხვედრის შესახებ ასე წერდა:

„მე კარგად მახსოვს ადამიანი, რომელიც თავაზიანად მეხმარებოდა „ა ბ ც“ მაღაზიაში საცვლების ამორჩევაში. მე, რასაკვირველია, არ ვბცოდი, რომ ეს სასაცილო ადამიანი ციცერონი იყო. მაშინ არ ვიცოდი, როგორ გამოიყურებოდა ციცერონი. ერთხელ, საღამოს, მოიზიშთან მივდიოდი. საელჩოს შესასვლელის პირდაპირ, ქუჩის მოპირდაპირე მხარეს ვიდექი და დავინახე იგი, მაგრამ ძლიერ ბნელოდა. იგი ინვენტარის ფარდულის მიმართულებით დაიშალა (ბაღში რომაა), მაგრამ როდესაც მოვეუახლოვდი ამ ფარდულს, იგი გაქრა“.

მაშასადამე, კორნელია თვალყურს ადევნებდა მოიზიშს, კითხულობდა ფოსტას, რომელიც შიკრიკს ბერლინიდან ჩამოჰქონდა, ციცერონს ღანით უდარაჯდებოდა. იგი სულ უფრო და უფრო ჰკრავდა რკალს ციცერონის ირგვლივ, რათა შოესპო იგი.

— გმადლობთ დახმარებისათვის, მუსიე.

— ნახვამდის, მაღამ, — გავიღიმე მე.

გადავწყვიტე, მოიზიშთან პირველსავე შეხვედრაზე გამომეკითხა ამ მომხიბლავი არსების ამბავი.

— გეთაყვა, მომეციოთ ის კაბა ვიტრინაზე რომ დევს, — ვუთხარი. გამყიდველ ქალს.

„ა ბ ც“ მაღაზიიდან სასტუმრო „ანკარა პალასში“ წავედი, ვესტიბიულში ჩემს გამოხატულებას უამრავ სარკეში შევხედე. ცუდად როდი ვიყავი ჩაცმული.

უცნაური ქალი, რომელსაც „ა ბ ც“ მაღაზიაში შევხვდი, გონებიდან არ მშორდებოდა და მე გავიღიმე. გამახსენდა ეზ-

რა, ვისთვისაც ის იყო კაბა ვიყიდე. ძალზე ძვირფასი კაბა. ისევ ვინატრე საუკეთესო სასტუმრო, რომლის აშენებასაც ვაპირებდი ბურსაში.

სწორედ იმ მომენტში, როდესაც ჩემს გამოხატულებას ვუღიმიოდი, ისევ დავინახე ახალგაზრდა ქალი.

დავინახე სარკეში იმ დროს, როდესაც იგი ვესტიბიულში შემოდის. მსურდა მასთან მისვლა და მეტყვა: „გამარჯობათ, მაღამ, მე მქონდა პატივი, ახლახან მენახეთ „აბც“ მაღაზიაში-მეთქი“. მაგრამ უკანასკნელ მომენტში დავინახე, რომ იგი მარტო არ იყო. ვილაც ახალგაზრდა კაცი შემოჰყვა. ახლა ისინი ერთმანეთის გვერდით მოდიოდნენ და ლაპარაკობდნენ. ისე რომ არ შევუწინივარ, გვერდზე ჩამიარეს და რესტორანში გაუჩინარდნენ.

თითქოს მეხი დამეცა. ვცდილობდი თავის დარწმუნებას, რომ ეს მოჩვენება იყო, მაგრამ შიში არ მშორდებოდა.

მე კარგად მახსოვდა ახალგაზრდა მოვლილი. სახე ადამიანისა, რომელიც ჩემი გააფთრებული დევისის დროს დავინახე. მე უკვე აღარ ვფიქრობდი ამ ადამიანზე, არც საშიშროების შესახებ. ახლა კი საფრთხესთან ერთად შიშიც დამიბრუნდა.

კაცი, რომელმაც ახალგაზრდა ქალთან ერთად ვესტიბიულში გაიარა, იყო ახალგაზრდა, რომელსაც სუფთა სახე ჰქონდა.

ეზრა საკოცნელად მომეხვია.

— თავი დამანებე! — დავუყვირე მას და ეუბიძგე.

— მხოლოდ მადლობის თქმა მინდოდა...

— რისთვის?

ჩემი აზრები შორს იყო აქედან.

— კაბისათვის, რომელიც შენ მიყიდე...

— რა სისულელეა.

თავი ათასგვარი ფიქრებით მქონდა სავსე.

— რა მოხდა? ხომ არ შემიძლია რითიმე დაგეხმარო?

ეზრას სუსტი ხმა საიდანღაც, შორიდან მოისმოდა, მაგრამ ნერვებმა მიმტყუნა და დავიყვირე:

— რაშია საქმე? ხომ მიიღე კაბა? კიდევ გინდა რაიმე? ღვთის გულისათვის, თავი დამანებე!

იგი იჯდა პატარა და შეშინებული, თვალები ცრემლებით ჰქონდა სავსე.

— მე მხოლოდ დახმარება მინდოდა, — ჩურჩულებდა იგი.

— ნუ პირფერობ! არავის შეუძლია ჩემი დახმარება!

ეზრა ოთახის კუთხისკენ წავიდა, სავარძელში ჩაჯდა და ჩაცმებით დამიწყო მზერა.

— ნუ მიყურებ ასე! — დავუღრიალე მე, — წადი აქედან! ველური შინაგანი შიში სიშმაგედ მექცა.

— ეს შენ ხარ დამნაშავე, რომ წყეულ მაღაზიაში წავედი! — ვუყვიროდი მას.

სიბრაზისაგან სული მეხუთებოდა. ვინ არის ის კაცი? ვინ არის ის ახალგაზრდა ქალი?

— იცნობთ მანდილოსანს, რომელიც ახლახან შემოვიდა აქ? — ვკითხე ვესტიბიულში მდგარ მეკარეს.

მან მხრები აიჩჩია.

— ბატონი?

— იგი ხშირად მოდის აქ. ალბათ, ინგლისელია. მისი გვარი სირსია, ანდა რაღაც ამის მსგავსი...

მაგრამ რა მნიშვნელობა ჰქონდა გვარს? თუ იგი ინგლისელი მზვერავი იყო, მაშინ მისი გვარი სხვაგვარად უნდა ეღერდეს.

მხოლოდ იმას ჰქონდა მნიშვნელობა, რომ გერმანელი ქალიშვილი, რომელიც მოიზიშს „ა ბ ც“ მაღაზიაში ახლდა, დაკავშირებული იყო ინგლისელთან, ეს ახალგაზრდა კი ერთხელ გამოეკიდა მანქანას, რომელშიც მე ვიჯექი.

შევეცადე დაკავშირებოდი მოიზიშს ტელეფონით, მაგრამ იგი საელჩოში არ იყო. ერთიმეორეზე საშინელი ფიქრები მოსვენებას არ მაძლევდა.

შესაძლებელია, ქალიშვილი გერმანელთა აგენტი იყო, მოიზიშის ფარული აგენტი. და მას მიზნად ჰქონდა დასახული

ანგლისელის გადაბირება. ალბათ, მოიზიშმა უკანასკნელ რამდენიმე კვირაში გაიგო, ვინ იყო მაშინ ჩვენი მთავარი მდევნელი, მაგრამ არაფერს მეუბნებოდა. იგი ხომ ბევრ რამეს მიმალავედა.

იყო სხვა ვარიანტიც — ინგლისელი ცდილობდა მოიზიშმის ახლონაცნობი ქალიშვილის გადაბირებას.

მესამე ვარიანტი შემდეგში მდგომარეობდა. ინგლისელი თვალყურს მადევნებდა, დაინახა, როგორ ველაპარაკებოდი ქალიშვილს „ა ბ ც“ მალაზიაში და ახლა მივიდა მასთან, რათა შეეტყო, მიცნობდა თუ არა იგი მე. მაგრამ ასეთ შემთხვევაში უფრო მოსალოდნელია, რომ ინგლისელი უკან გამომყვას. იქნებ, ისინი წმინდა შემთხვევითობით მოვიდნენ ერთად „ანკარა პალასში?“ — ანდა, ანდა...

მე ისევ ვცდილობდი მოიზიშმთან დარეკვას, მაგრამ იგი ისევ არ იყო საელჩოში.

რატომ შემიპყრო ასეთმა შიშმა? იქნებ, მხოლოდ მეჩვენება, რომ ეს ადამიანი მდევნიდა? მე ისევ და ისევ ვცდილობდი ჩემი მტანჯველი ფიქრები გამედევნა, მაგრამ უსარგებლოდ...

მაშინ ინგლისის საელჩოში გავემართე. ნოხის ქვევიდან აშოვილე ფოტოაპარატი და ფული, და შინ წავედი.

მთელი ღამე არ მიძინია. არ მქონდა რაიმე დამამტკიცებელი საბუთი იმისა, რომ საფრთხე შემუქრებოდა, სულის სიღრმეში ვგრძნობდი, რომ პირველად ვიყავი განსაცდელში.

დილის ოთხ საათზე ავდექი. ჩემი ჯაშუშური მოღვაწეობის ყველა კვალი მოვსპე. „ლეიკა“ ნამსხვრევებად ვაქციე და პატარა მდინარე ინკესუ დერეზში გადავყარე. ლითონის ღეროები, რომლებსაც დიდი ხნის განმავლობაში ვიყენებდი როგორც სამფეხს, იმ ნამსხვრევებს მიყვენ.

ამ დღემდე რამდენიმე კვირით ადრე ბანკში სეიფი იჯარით ავიღე და იქ ფულის დიდი ნაწილი შევიჩახე. დარჩენილი თანხა ჩემოდანში ჩავაწყვე. ეზრა გავალციქე.

— არავითარი შეკითხვები არ მომცე ახლა. — ეუბრძანე მას, დღეს, შუადღისას, ინგლისის საელჩოსთან, აი, ამ ჩემოდნით მოხვალ. საელჩოდან ორასი მეტრის დაშორებით დამელოდები ტაქსით. — ვხედავდი შიშით სავსე თვალებს, მაგრამ ახსნა-განმარტების დრო არ მქონდა. — შემდეგ ჩვენ

ჩემოდანს ბანკში წავიღებთ, მანამდე კი ნივთები ჩაალაგე. შენ ხომ აქ უკვე აღარ დაბრუნდები...

—მე სადღა წავიდე?

გარეგნულად იგი მშვიდად გამოიყურებოდა.

—სასტუმროში ნომერს დაიჭირავენ, ხოლო ამ სახლის შესახებ მე ყველაფერს მოვაგვარებ.

ეზრამ უსიტყვოდ ჩამკიდა ხელი ხელში.

თავზე ხელი გადაეუსვი. ახლა, როდესაც გადაწყვეტილება მიღებული მქონდა, დავმშვიდდი.

—არათფერი არ მომხდარა. მაგრამ საჭიროა ბარგის ჩალაგება, — ვუთხარი მე. — სამუშაოს თავს ვანებებ.

დილის შვიდ საათზე უკვე საელჩოში ვიყავი. ჩემს ოთახში ასვატიანი ნათურა მოვაძრე და მის ნაცვლად უფრო პატარა ნათურა მოვარგე. ასვატიანი ნათურა სარდაფში ნამსხვრევებად ვაქციე.

რვის ნახევარი იყო. სერ ჰიუსს გაღვიძების დრო მოვიდა. უდიდესი შვება ვიგრძენი იმისაგან, რომ დროულად შევწყვიტე ჩემი მუშაობა.

გაღაწყვიტე რამდენიმე ხანს საელჩოში დავრჩენილიყავი, ხოლო შემდეგ კი შემეტყობინებინა ჩემი წასვლის ამბავი.

მალულად შევხედე სერ ჰიუსს. საწოლში იგი რაღაც ძლიერ შესაბრალისად გამოიყურებოდა.

არ მკვირდებოდა მეტქვა, აბაზანა მზად არის-მეთქი.

საკმარისი იყო მხოლოდ ჩემი გამოჩენა საწოლ ოთახში.

—რომელი კოსტიუმი, თქვენო აღმატებულებავ?

მან ჩემ მიერ გაღებულ გარდერობში შეიხედა და ხანმოკლე ფიქრის შემდეგ რუხზოლებიანზე მიმითითა. შემდეგ კი აბაზანისაკენ წავიდა.

მომცრო ტანის ვარ და უხეში, უშნო სახე მაქვს. როცა კოხტა კოსტიუმში გამოწყობილი „ანკარა პალასის“ ვესტიბიულში ჩემს თავს ვათვალიერებდი, მწუხარებით ვფიქრობდი იმაზე, თუ რად არ ვგავარ ნამდვილ ჯენტლმენს-მეთქი.

სერ ჰიუ ჯენტლმენი იყო მაშინაც კი, როდესაც დილით ნამძინარევი და გაუპარსავი აბაზანაში გაუჩინარდებოდა

ხოლმე. გამოვიღე მუქი რუხზოლებიანი კოსტიუმი, პერანგი, ჰალსტუხი და შესაფერისი წინდები. ამ დროისათვის საკმაოდ კარგად შევისწავლე სერ ჰიუსს გემოვნება. იმ დღით, რომელიდაც მომენტში, მკაფიოდ შევამჩნიე ჩემი ნაკლოვანებები. შურით გავიმსქვალე.

სერ ჰიუ აბაზანიდან სუფთა, სახეგაბრწყინებული და თავდაჯერებული გამოვიდა. მე, მოხერხებული, უჩინარი მსახური, ჩუმად ვაწოდებდი ტანსაცმელს. როგორ მომინდა უცებ მისი სახიდან შიშის მომგვრელი თავდაჯერებულობის ნილაბი ჩამომეხსნა, რომელიც ასე მშურდა, და მხოლოდ ამის გულისათვის ვიყავი მზად მეყვირა, მე ციცერონი ვარ-მეთქი.

— თქვენ, რასაკვირველია, ბედნიერი ხართ, რომ ჩემთან მსახურობთ, — ცივად მითხრა მან და გაიღიმა.

გამოცდილებით ვიცოდი, რომ პასუხის მიცემა არ იყო საჭირო, სერ ჰიუსს ამით სურდა ეჩვენებინა, კარგ გუნებაზე ვარო.

— თქვენ რომ ჩემს კოლეგა ფონ პაპენთან მსახურობდეთ, ახლა არ გაიღიმებდით.

შევკრთი. ბედზე ამ წუთს მის ზურგს უკან ვიდექი.

— სამი გერმანელი ახლახან გაიქცა სტამბულში.

ეს ამბავი ყველა საელჩოში იცოდნენ — ელჩებიდან მეკარეებამდე.

— ვირთხები ჩასაძირად განწირულ გემს ტოვებენ, თქვენო აღმატებულებავ, — მორიდებით შევნიშნე მე.

— ჩემმა კოლეგამ, ფონ პაპენმა, ახლა უნდა ინანოს კიდევ ერთი დანაკარგის შესახებ, — ელჩის ხმაში კმაყოფილების ნოტები გაისმა.

„იგი უთუოდ მომიყვება, გერმანიის საელჩოდან ქალი გაქრაო“, — გავიფიქრე მე. სერ ჰიუ ვერ ხედავდა ჩემი სახის გამომეტყველებას; გარდერობთან მივედი და ზედა უჯრიდან სუფთა ცხვირსახოცი ამოვიღე.

— გაქრა ერთი გერმანელი ქალი, საელჩოს თანამშრომელი, — კმაყოფილებით აღნიშნა მან. — პაპენს უკუღმა წაუვიდა ყველაფერი.

სერ ჰიუმ სარკეში ჩაიხედა, მეგობრულად დამიკრა თავი და სასაუზმედ წავიდა.

არაფერი მესმოდა, გაურკვეველი მდგომარეობის გამო თავს ავად ვგრძნობდი. რა მოხდა? „ა ბ ც“ მაღაზიაში შევხვდი მოიზიშს ლამაზ ქერა ქალთან ერთად, შემდეგ ის ქალი ვნახე მამაკაცთან, რომელსაც ახალგაზრდული მოვლილი სახე ჰქონდა. შემეძლო დამეფიცა, რომ ეს სახე ჩვენი მღევრის სახე იყო. და ახლა სერ ჰიუმ ახსენა გერმანიის საელჩოდან გერმანელი ქალის გაუჩინარების ამბავი. მქონდა მიზეზი მეფიქრა, რომ ეს ის ქალი იყო, რომელიც „ა ბ ც“ მაღაზიაში ვნახე? ყველაფერი ეს შეიძლება ჩემი ავადმყოფური წარმოსახვის ნაყოფი ყოფილიყო.

იმ ღამიდან, როდესაც ყველაფერი მოვსპე, რაც ციცი-რონთან მაკავშირებდა, ერთმა კვირამ გაიარა, 1944 წლის აღდგომის კვირამ. ამ დროის განმავლობაში არ მომხდარა ისეთი რამ, რაც არაბუნებრივად მომჩვენებოდა და ემოქმედნა ნერვებზე.

მე დავტოვე პატარა სახლი, რომელსაც სიამაყით ვუწოდებდი „ციცერონის ვილას“, ხოლო ეზრა ძველ ქალაქში, ერთ პატარა ოათხში გადავიდა, სადაც გადავიტანე შეკვეთით შეკერილი კოსტიუმებით, ძვირფასი თეთრეულითა და კომწია ფეხსაცმელებით სავსე ჩემი ორი ჩემოდანი.

სერ ჰიუ ძალზე გულითადად იყო ჩემთან. მაგრამ მისი ცოლი, როგორც ეს მეჩვენებოდა, ალმაცერად მიყურებდა, ერთადერთი უჩვეულო ის გახლდათ, რომ მოიზიში მიუწვდომელი გახდა. ვურეკავდი მას ისევ და ისევ. მაგრამ ვაი, რომ, ალბათ, იგი ბერლინში გაემგზავრა. ბოლოს და ბოლოს. იგი არ იყო ვალდებული მოეხსენებინა ჩემთვის, რომ უფროსობამ გამოიძახა.

ვიდრე სერ ჰიუ საუბრობდა, სამზარეულოში ჩავედი და იქ უტებ ვიგრძენი, რომ ძალიან ბევრი თავისუფალი დრო მქონდა. მრავალი თვის განმავლობაში მე ორმაგ ცხოვრებას ვეწეოდი — ყავასისა და ჯაშუშისა. ახლა კი ჩემს უმოქმედობას აშკარად უნდა გამოეწვია ეჭვი. .

მანოლი ფილოტი, თითქოს, ელოდა შემთხვევას, ვინმესთან ეყბედნა.

— გერმანიის საელჩოდან გაქრა ერთი ქალი, — მითხრა მან მედიდური გამომეტყველებით.



არაფერი უჩვეულო არ იყო იმაში, რომ საელჩოს მოსამსახურემ ასეთი ამბები იცოდა. თურქეთის მოქალაქეები ანკარის ყველა საელჩოში მსახურობდნენ და მუდამ ერთმანეთში რაიმეს ცვლიდნენ. გერმანიის საელჩოს თურქი მოსამსახურეები გერმანულ ღვინოებს ამერიკისა ან ინგლისის საელჩოს ვისკზე, ანდა საბჭოთა საელჩოს არაყზე ცვლიდნენ. ამავე გზით ვრცელდებოდა ჭორები.

— გავიგე, — წავიბუტბუტე მე.

— არ იცი, ვინ არის?

მე თავი გავიქნიე.

მანოლიმ კმაყოფილებით გაიღიმა: როგორც ჩანს, ბევრი რამ ჰქონდა სათქმელი.

— იგი მდივანია, მისი სახელი და გვარია კორნელია კაპი. ასე გავიგე პირველად ეს გვარი.

შუადღისას სასადილო ოთახში ჩაის ვაწყობდი. სერ ჰიუსთან იყო მისტერ ბასკი, მისი პირველი მდივანი.

— ...გაგზავნილია კაიროში. მას საგულდაგულოდ ართმევენ ჩვენებს.

თავბრუ დამესხა. მისტერ ბასკის სიტყვები, რასაკვირველია, არაფერს ნიშნავდა, მაგრამ ავსებდნენ სურათს, რომელიც გონებაში დამეხატა. მე საბოლოოდ დავრწმუნდი, რომ ახალგაზრდა ქალი, რომელიც „ა ბ ც“ მაღაზიაში ვნახე, კორნელია კაპი იყო, რომ იგი დაკავშირებული იყო მოიზიშთან და იცოდა, რომ ციცერონი ინგლისის ელჩის კამერდინერი გახლდათ. ახლა მას ჩვენებს კაიროში ართმევენ. ალლო მიკარნახებდა, განსაცდელი ახლოვდებო.

მალე ისევ დავინახე ახალგაზრდული, მოვლილსახიანი კაცი. იგი იდგა ახმეტ ალაოლუს ქუჩაზე, სადაც ინგლისის საელჩოს დამხმარე შესასვლელი იყო. ნუთუ ეს იმას ნიშნავდა, რომ მან იცოდა, სად მუშაობდა ციცერონი? სასტუმრო „ანკარა-პალასის“ მეკარემ მითხრა, ამ კაცის გვარი სირსია თუ რაღაც ამის მსგავსიო.

როცა პირველად შევნიშნე, მას შემდეგ იგი ერთ საათს კიდევ იდგა. მერე აუჩქარებლად წავიდა ცენტრის მიმართულებით. სწრაფად გადავიცვი პალტო და კარგა დაშორებით

კვალდაკვალ მივყვევი. უკვე აღარ მაინტერესებდა, თუ რას აფიქრებდა სერ პიუ, თუკი დაკვირდებოდი და ადგილზე არ აღმოვჩნდებოდი.

სირსი ისე მიდიოდა, თითქოს საღამოთი სასეირნოდ გამოსულაო. არ ჩქარობდა. აქეთ-იქით არ იხედებოდა.

ათათურქის ბულვარზე იგი ტაქსში ჩაჯდა. როგორც კი მანქანა ცოტათი წინ წავიდა, მღელვარებისაგან აკანკალებული გვერდით მდგარ ტაქსში ჩავხტი და მძღოლს ვუბრძანე, ახლახან წინწასულ მანქანას გაჰყოლოდა. ფულმა, რომელიც მას ჩავუჩარე, თავისი საქმე გააკეთა. იგი ხალისით ასრულებდა ყველა ჩემს ბრძანებას.

ამჯერად ჩვენ როლები გავცვალეთ. ახლა მე მივდევი მოვლილსახიან ადამიანს. მაგრამ ეს დევნა ნაკლებ დრამატული იყო. მან არ იცოდა, რომ თვალყურს ადევნებდნენ.

ჩვენ მარმარა საკადის ქუჩაზე შევუხვით. მანქანა, რომლითაც სირსი მიდიოდა, პირველსავე შესახვევთან გაჩერდა.

— პირდაპირ წადი, გვერდზე ჩაუარე, — ვუბრძანე მძღოლს.

სირსმა ფული გადაუხადა მძღოლს, მანქანიდან გადმოვიდა და სახლში შევიდა.

ჩემს მძღოლს ვუთხარი, გაჩერებულიყო და შემდეგ მოსახვევში მოეცადა.

ტაქსიდან გადმოვედი, რისკს ვწევდი, სირს ზომ შეეძლო ჩემი დანახვა. მაგრამ თუ იგი მიცნობდა, ამას მნიშვნელობა არ ექნებოდა. თუ არადა იგი უბრალოდ ვერ შემნიშნავდა.

სახლში შევედი და კარებზე გაკრულ აბრებზე გვარების კითხვა დავიწყე. აქ ბევრი უცხოელი ცხოვრობდა. ეს იყო თანამედროვე ბინებიანი სახლი, რომლებშიც, როგორც წესი, საელჩოს თანამშრომლები და საქმოსნები ცხოვრობდნენ. გვარი სირსი ვერ ვიპოვე, თუმცა იქ ბევრი ინგლისური და ამერიკული გვარი იყო.

სახლთან მიახლოებისას სირსმა ჯიბიდან გასაღებების ასხმა ამოიღო. როგორც, ჩანს, იგი აქ ცხოვრობდა.

მამასადამე, ისეთი ვითარება შეიქმნა, რომ მან იცოდა, სად მოვეძებნე, ხოლო მე ვიცოდი, სად შეიძლებოდა მისი პოვნა.

ტაქსში ჩავჯექი და მძლოლს ვთხოვე საელჩოს მახლობ-  
ლად გაჩერებულიყო. არვის მიუქცევია ყურადღება ჩემი იქ  
არყოფნისათვის.

მთელ თავისუფალ დროს თვალყურს ვადევნებდი სახლს,  
მაგრამ სირსი არ გამოჩენილა. ბევრი დრო მქონდა მოსაფიქ-  
რებლად, ანალიზი გავუკეთე მთელ ჩემს შესაძლებლობებს.  
რა შეეძლო ეთქვა ინგლისელებისათვის კაიროში კორნელია  
კაპს? ვთქვათ, უთხრა, ციცერონი ინგლისის ელჩის კამერდი-  
ნერიყო. მაგრამ ეს მხოლოდ ვარაუდია, სად არის დამამტყი-  
ცებელი საბუთები? რას იზამენ ინგლისელები? მათ შეუძლი-  
ათ გაჩხრიკონ ჩემი ოთახი, მაგრამ მე უკვე ყოველგვარი სა-  
ექვოსაგან. გავთავისუფლდი. ისინი რომ თვალყურს მადევ-  
ნებდნენ, ამას დიდი ხანია ვამჩნევდი.

გადავწყვიტე, ყველაფერი გავაკეთო, რაც შემიძლია აღ-  
ნიშნულ ვითარებაში, ეს ისაა, რომ არ დავიბნე-მეთქი. ისე  
მოვიქეცი, თითქოს არაფერიც არ მომხდარა. ყველაფერი და-  
მოკიდებულია იმაზე, გაუძლებდა თუ არა ჩემი ნერვები ყო-  
ველივე ამას.

მაგრამ, აი, ისევ დავინახე სირსი.

იგი უნა კადესიდან მოდიოდა. მასთან ერთად იყო ქალიშ-  
ვილი, რომელსაც შავი თმები მოკლედ ჰქონდა შეკრეპილი.  
მას ინგლისის ქალთა დამხმარე კორპუსის ფორმა ეცვა.

კარებში ვიდექი და მთელი ჩემი ყურადღება სირსზე იყო  
მიპყრობილი. და მხოლოდ მაშინ, როდესაც ისინი თანამედ-  
როვებინებთან სახლში მიიმალნენ, ჩემმა ნერვებმა გამაფრთ-  
ხილებელი სიგნალი მომცეს.

მე ვნახე, როგორ წავიდა კორნელია კაპი „ა ბ ც“ მაღაზი-  
იდან, ვნახე; როდესაც გვერდზე ჩამიარა სირსთან ერთად  
„ანკარა პალასში“. მას გრძელი წაბლისფერი თმა ჰქონდა,  
ხოლო ამ ქალიშვილს — მოკლე და შავი. მაგრამ მისმა სია-  
რულმა, მისმა ტანადობამ აიძულეს ჩემი გული ატო-  
კებულიყო; ინგლისის სამხედროფორმიანი ქალი კორნელია  
კაპი იყო.

მეორე დღეს, როგორც იქნა, დავუკავშირდი მოიზიშს და  
ჩვენ იმავე დღის საღამოს შევხვდით ერთმანეთს. გერმანიის  
საელჩოს ტერიტორიაზე, ჩვეულებისამებრ, მესერში ხვრე-

ლის საშუალებით შევალწიე. მოიზიში შენობის შესასვლელთან მიცდიდა, ეს ლამის თორმეტ საათზე მოხდა. მოიზიში ავადმყოფურად გამოიყურებოდა. წინანდელი სიხალისის ნიშანწყალიც აღარ ემჩნეოდა. სახე უთრთოდა.

— თქვენ არ იყავით ანკარაში უკანასკნელ ორ დღეს?

— მივლინებაში ვიყავი.

იგი ცდილობდა, რომ მის ხმას წინანდებურად ექცერა, მაგრამ ვერ შეძლო ნერვულობის დაფარვა.

— მე აღარ ვიმუშავებ თქვენთან, — ნელა წარმოვთქვი მე.

— ეს თქვენი საქმეა.

— თქვენ გახლდათ ერთი ქალი, როდესაც შემთხვევით შეგვხვდით „აბც“ მაღაზიაში. — ვუთხარი მე. — რა იცის მან ჩემს შესახებ?

მოიზიში დამაცქერდა, მაგრამ სიტყვა არ დასცდენია.

— უნდა მეშინოდეს თუ არა მისი?

იგი გამოერკვა და ჩახლეჩილი ხმით მითხრა:

— მან არაფერი იცის.

— სამაგიეროდ, მის შესახებ მე ყველაფერი ვიცი. იგი დეზერტირია. ასეა არა? მისი გვარია კორნელია კაპი.

მოიზიშს სახე ნიღაბივით გაუშეშდა.

— რა იცით მის შესახებ? — მკითხა მან რაღაც უცხო ხმით.

— კორნელია კაპი დეზერტირია თუ არა?

— იგი გაუჩინარდა. ჩვენ არ ვიცით, სად არის.

მოიზიში უხალისოდ ლაპარაკობდა. პირდაპირ სიტყვების ამოგლეჯა მიხდებოდა.

— იგი ხომ თქვენი მდივანი იყო.

მან თავი დამიქნია.

— ესე იგი თქვენთან ტელეფონით ის მაკავშირებდა არა?

მან ისევ დამიქნია თავი.

— კიდევ რა იცით? — გაიმეორა მან.

— იგი ინგლისელებთანაა. შემიძლია გაჩვენოთ სახლი, სადაც შეგეძლებათ მისი პოვნა.

მოიზიში სკამზე კვლავ გამართული იჯდა. შემდეგ ხმამაღლა გაიცინა, ნერვული, მწარე სიცილით.

— აბა, მე რა შემიძლია? — შემეკითხა იგი. — იქნებ უნ-

და მოვიტაცო? ანდა ქუჩაში შეხვედრისას თმებით წამოვათ-  
რიო? მაგრამ ნუ გავიწყდებათ, ჩვენ ნეიტრალურ ქვეყანაში  
ვართ.

იგი ნერვული შერყევის მიჯნაზე იყო.

— ახლა იგი შევგვრემანია და ისე მოკლედ აქვს თმა შეკ-  
რეპილი, რომ თქვენ ვერ შეძლებთ... — გავიცინე მე, — რა  
იცის მან ციცერონის შესახებ?

მან მუშტები შეკუმშა.

— მან არაფერი არ იცის. — ამ ფრაზის დაყინებულმა გან-  
მეორებამ გასცა მისი ორჭოფობა. — ყველაფერი, რაც მან  
იცის ციცერონის შესახებ, ისაა, რომ ასეთი ადამიანი არსე-  
ბობს, — ხრინწიანად ჩაიჩურჩულა მოიზიშმა.

— ამის იმედი მაქვს, — ვუთხარი მე. — შემიძლია მოგ-  
ცეთ მისი მისამართი.

მე დავუწერე მარმარა საკადის ახლომდებარე სახლის  
მისამართი.

— იგი იქ ერთ ყმაწვილ კაცთანაა, რომელიც მაშინ ჩვენ  
გამოგვეკიდა, — ვუთხარ მე. — ეტყობა, ეს კაცი კორნელიას-  
თვის უფრო მეტია, ვიდრე უბრალო მეგობარი.

მოიზიშმა არაფერი მითხრა ამაზე. ვლუმდით მანამდე,  
სანამ დუმილი აუტანელი არ გახდა.

— თქვენ ჩემი ვალი გაქვთ, — ნელა წარმოვთქვი.

მოიზიში გაჭირვებით წამოდგა, სეიფიდან ბანკნოტების  
დასტა გამოიღო და გადმომცა.

— ყველაფერი რიგზეა? — მკითხა მან.

ფული ავიღე და კარებისაკენ წავედი.

— ჩვენ აღარ შევხვდებით ერთმანეთს, — ვუთხარი მე.  
მან ეს თავის დაქნევით დამიდასტურა.

ერთხელ კიდევ შევხვდე მას. ქვედა ტუჩს იკვნეტდა. დიახ,  
გავიფიქრე, მისთვის არც ისე ადვილი იქნება აუხსნას ბერ-  
ლინს კორნელია კაპის გაუჩინარება-მეთქი.

— ნახვამდის, მუსიე.

ეს იყო ჩემი უკანასკნელი ვიზიტი გერმანიის საელჩოში.

რა მოხდა მას შემდეგ, რაც მოიზიში და კორნელია კაპი „ა ბ ც“ მაღაზიაში ვნახე? ეს შეკითხვა დიდი ხნის განმავლობაში მაწვალებდა, მაგრამ ვერ ვპოულობდი პასუხს, ვიდრე მრავალი წლის შემდეგ არ მოვისმინე ზეილერის მაგნიტოფონის ჩანაწერი:

— როდის გაუჩინარდა კორნელია?

— ათას ცხრაას ორმოცდაათი წლის ექვს აპრილს.

— სწორედ აღდგომის დღეს.

— ეს მოხდა ხუთშაბათს, ვნების პარასკევის წინა დღეს. მან მითხრა, შევებულებაში მივდივარ მამასთან, ბუდაპეშტშიო.

— სწორედ ასე თქვა?

— დიახ, ჩვენ აზრადაც არ მოგვსვლია, რომ მას ტყუილის თქმა შეეძლო. მახსოვს, იმ დღეს ვუთხარი მოიზიშს, რომ, დაბოლოს, იგი თავს დააღწევს-მეთქი იმ ქალს. იგი ქალის ძალზე უკმაყოფილო იყო. მან გაიცინა და მითხრა, მინდა ვნახო, თუ როგორ ჩაჯდება კორნელია ვაგონშიო.

— არა, მან, რასაკვირველია, იხუმრა. უკანასკნელ მომენტამდე მეტად თავაზიანი იყო იმ ქალთან: არ სურდა, ქალს ექვი აეღო, რომ მოიზიშს სურდა მისი თავიდან მოშორება. მან ბილეთი უყიდა კორნელიას...

— მერე?..

— მატარებელი, რომლითაც კორნელია უნდა გამგზავრებულყო, საღამოს ექვს საათზე გადიოდა. მოიზიში შეუთანხმდა, რომ ბილეთს ბაქანზე მიუტანდა. სურდა გამომშვიდობებოდა და კეთილი მგზავრობა ესურვა. მაგრამ ქალი არ მოვიდა. მოიზიშს კინალამ გულის შეტევა დაემართა.

— მაშინვე ექვი აიღო, იგი ინგლისელებთან გადავიდაო, როგორც ეს სხვა გერმანელებმა ჩაიდინეს.

— არა, გადაწყვიტა, რაიმე შეემთხვაო. იგი ხომ საშინელი ისტერიული ქალი იყო და ხშირად მიდიოდა სამუშაოდან, მიზეზად შეუძლოდ ყოფნას ასახელებდა.

— რათა შესაძლებლობა ჰქონოდა მშვიდად შეხვედროდა თავის საყვარელს სირსს, თუ როგორ ერქვა?

— შეიძლება.

— სირსი მართლაც ამერიკელი იყო და არა ინგლისელი. როგორც ყველა ფიქრობდა.

— ამის შესახებ არაფერი ვიცი.

— კორნელიამ თვით აღიარა, რომ ყველაფერ ამას სიყვარულის გულისათვის აკეთებდა. იგი შემთხვევით შეხვდა ანკარაში კლივლენდელ საყვარელ ადამიანს. ყველაზე დიდი სიყვარული მის ცხოვრებაში სწორედ ის ადამიანი იყო... სწორედ ის მოვლილსახიანი კაცი.

— ვიმეორებ, მე არაფერი ვიცი ამის შესახებ. არაფერი არ ვიცი, რა მოტივით გადავიდა მტრის ბანაკში. აქ შეიძლება იყოს ფულიც და სიყვარულიც...

— მაშასადამე, მოიზიშს ექვი მაშინვე არ აღძვრია?

— იგი ღიბხანს ეძებდა კორნელიას სადგურზე... შემდეგ ჩემთან მოვიდა და ჩვენ ერთად წავედით ბინაში.

— და, რასაკვირველია, კორნელია იქ არ აღმოჩნდა.

— როდესაც ჩვენ მასთან სახლში შევედით, მაშინვე ყველაფერს მივხვდი, ოთახი ცარიელი იყო. რომელიღაც მცხოვრებმა გვითხრა, სახლიდან შუადღისას წავიდა და მთელი ბარგი წაიღო. ამ მომენტიდან ჩვენ ყველაზე უარესის შესახებ დავიწყეთ ფიქრი.

— გადაწყვიტეთ, რომ მტრის მხარეს გადავიდა?

— დიახ.

— რა ზომები მიიღეთ?

— ეს მე არ მეხებოდა. ეს მოიზიშის მოქმედების არე იყო.

— მერედა რა გააკეთა მოიზიშმა?

— ბატონ ფონ პაპენს მოახსენა, აბა, სხვა რის გაკეთება შეეძლო? ჩვენ იმასაც ვფიქრობდით, ვაითუ ქალმა თავს რაიმე აუტეხაო.

— თუ ჰკავდა ისეთ ქალს, რომელსაც შეეძლო თვითმკვლელობით დაემთავრებინა სიცოცხლე?

— ჩვენ არ გამოვრიცხავდით ამას. იგი ხომ საოცრად წერეული იყო. გვიჭირდა იმის გაფიქრებაც კი, რომ იგი მტრის მხარეზე გადავიდა. ამას შეიძლებოდა მოიზიშისათვის ძალზე არასასიამოვნო შედეგი მოჰყოლოდა.

— ცხადია, განა მან მაშინვე არ აცნობა ეს ამბავი ბერლინში?

— მან, რასაკვირველია, მაშინვე აცნობა. ასეც უნდა მოქ-

ცუელიყო, რომ მასზე ექვი არ მიეტანათ. ბერლინმა შეკითხვები დაგვაცარა, მათ არ სჯეროდათ, რომ შეიძლება უბედური შემთხვევა ან თვითმკვლელობა მოხდა. მაშინვე ექვი დეზერტირობაზე მიიტანეს. მალე კალტენბრუნერმა მოიზიშს ბერლინში ჩასვლა უბრძანა. მოიზიშმა ყველაზე უარესი რამ იეკვა.

— თქვენ მხედველობაში გაქვთ, რომ შეეძლოთ მოიზიშში დაეპატიმრებინათ დანაშაულებრივი დაუდევრობის გამო?

— მოიზიშში ყველაფრისათვის მზად უნდა ყოფილიყო. იგი სტამბულში წავიდა, რათა სპეციალურ თვითმფრინავში ჩამჯდარიყო, მაგრამ მოულოდნელად იქ თავის ამხანაგს შეხვდა, რომელიც ბერლინში საგარეო საქმეთა სამინისტროში მსახურობდა, რომელმაც უთხრა, უკეთესია იქ არ გაემგზავრო. მოიზიშს ურჩია თავი მოეავადმყოფებინა, ანდა კიდევ რაიმე მოეფიქრა. ბერლინში მას დაპატიმრებას უპირებდნენ კორნელისა გაქცევაში დახმარების აღმოჩენისათვის. ისინი მონახავდნენ უამრავ მიზეზს, რათა მასზე ეყარათ ჯავრი.

— ამრიგად, იგი არ გაემგზავრა ბერლინში, ხომ?

— არა. იგი ანკარაში დაბრუნდა. ძლიერ ცუდად გრძნობდა თავს. შემდეგ გამოჩნდა ციცერონი და უთხრა, კორნელი ინგლისელებთან გადავიდაო. ციცერონს სირსი ინგლისელი ეგონა. მაშინ ჩვენც ასევე ვფიქრობდით.

ამით მაგნიტოფონის ჩანაწერი დამთავრდა. ახლა მე ვიცი, თუ რა ხდებოდა მოიზიშის სულში, როდესაც იგი უკანასკნელად ვნახე.

აი, რას წერდა თვით კორნელია სან-დიეგოდან:

„ძლიერ სახიფათო იყო, მე უკვე არ შემიძლო იმის იმედი მქონოდა, რომ შევძლებდი კვლავინდებურად მემუშავა ამერიკელებთან ისე, რომ დაქვრისა არ მშინებოდა. მათ შხამი მომცეს — მოულოდნელი შემთხვევისათვის. თუ დამაპატიმრებდნენ, არ გამეგო საკუთარი სასიკვდილო განაჩენი. ამერიკელებისათვის გერმანიის საიდუმლო დიპლომატიური შოფრი ვიშოვე და შევძელი გადამელო საიდუმლო დოკუმენტების პირები. ყოველდღიურად გადავცემდი მათ მეკავშირეს. გავიგე ყველაფერი, რაც კი შეიძლებოდა ციცერონის შესახებ.



ვიცი, რომ იგი ინგლისის საელჩოს მოსამსახურე იყო. მაგრამ მე აღარ მინდოდა რისკის გაწევა. დარწმუნებული ვარ, რომ ჩემ მიერ მოპოვებული ინფორმაციის დახმარებით ადვილად შეიძლებოდა დადგენა, ვინ იყო ინგლისის საელჩოს მსახურთაგან ციკერონი. აღდგომის დღესასწაულებმა სულზე მომისწრეს. თანახმად ამერიკელების ინსტრუქციებისა, შვებულება ვითხოვე იმ საბაბით, ვითომდა მშობლების მონახულება მინდოდა. გაქცევა ექვს აპრილს უნდა შემდგარიყო. მოიზიში ტყუილად მიცდიდა სადგურზე. შუადღისას ჩემი ნივთები ჩავალაგე და ბინიდან წავედი. წავედი ადამიანთან, რომელსაც ჯერ კიდევ კლივლენდში ცხოვრებისას ვიცნობდი, ადამიანს, რომელიც უკვე იმ დროს მუშაობდა ამერიკის სადაზვერვო ორგანიზაციის სისტემაში, რომელიც ცნობილია სახელწოდებით: „სტრატეგიულ ბრძოლის სამმართველო“. მე, საერთოდ, არასდროს ვაძლევდი ჩემს თავს იმის ანგარიშს, რასაც ვაკეთებდი. ჩემი მუშაობის მოტივი საკირობა მოიძებნოს ჩემს დამოკიდებულებაში ახალგაზრდა ამერიკელთან, რომელსაც შემთხვევით შევხვდი ანკარაში. ახლა იგი აგენტი იყო. მაგრამ ჩემი მუშაობის ძირითადი მოტივი მდგომარეობდა ჩემს მისწრაფებაში — დავბრუნებულიყავი ამერიკაში, და ამას დამპირდნენ, როგორც ჩემი ჯამუშური მუშაობის ჯილდო. აქამდე ინგლისელებს ეჭვი არ ჰქონდათ ციკერონის არსებობის შესახებ. ამერიკის დაზვერვას სურდა, რადაც უნდა დაჯდომოდა, თავისი ბრიტანელი კოლეგებისათვის. მიერთშია სიურპრიზი — ციკერონის ამოხსნილი საიდუმლოება. თვითმფრინავით კაიროში გამგზავნეს და იქ ინგლისელებთან წარმადგინეს. კაიროში ინგლისელებმა პირველად გაიგონეს სახელი ციკერონი. ამასთან ამერიკელებისგან, რომლებმაც დასამტკიცებლად მე წარმადგინეს. ინგლისელები მთელ ამ ისტორიას მშვიდი სახეებით უსმენდნენ. მე ვერგავიგე, დამიჯერეს მათ რა არა. სწორედ რომ ვთქვათ, მათკარგი სილა გაარტყეს. შემდეგ თვითმფრინავით ისევ ანკარაში გამგზავნეს. გარეგნობა მთლიანად შემიცვალეს! თმები მოკლედ შევიჭერი და შავად შევიღებე, ჩამაცვეს ინგლისის ქალთა დამხმარე კორპუსის ფორმის ტანსაცმელი. საკუთარ თავს ვეღარ ვცნობდი...”

მაგრამ, იმ დროს, რასაკვირველია, არაფერი ვიცოდი. მაშინ მე არ მქონდა არც მაგნიტოფონის ჩანაწერი, არც კალიფორნიიდან მიღებული წერილები. მე კვლავინდებურად მისი აღმატებულების ინგლისის ელჩის ყავასი ვიყავი და ყოველ წუთს დაპატიმრებას ველოდი.

მაგრამ არაფერი მეტყველებდა იმაზე, რომ ჩემზე ეჭვი აიღეს. ცხოვრება საელჩოში თავისი ჩვეული კალაპოტით მიმდინარეობდა. მართალია, ზოგჯერ შეჩვენებოდა, რომ სერ ჰიუ უფრო თავდაქერილი და ფრთხილი გახდა. ასევე შემექმნა შთაბეჭდილება, რომ მისი დამოკიდებულება არა მარტო ჩემდამი, არამედ მუსტაფასადმი, მანოლის ფილოტისადმი და მსახურთუფროსის ზეჟის მიმართაც რამდენადმე შეიცვალა. მას, შესაძლოა, ყველა ჩვენგანზე ეჭვი ჰქონდა. მაგრამ არ იცოდა, რომელი იყო ჩვენში გამცემი.

შიში თან მდევდა. დროდადრო იგი აუტანელი ხდებოდა. ყოველდღე ვფიქრობდი გაქცევაზე. დილით გადავიფიქრებდი ხოლმე. გაქცევა ყველაფერს გამოააშკარავებდა, ჯერ თუ არ იყო გამოაშკარავებული.

ველოდი დასასრულს, რომელიც თითქოსდა არასდროს დადგებოდა.

ჩემ ირგვლივ მომხდარ ყოველგვარ ცვლილებას ვუკვირდებოდი. ამერიკელებმა მოუხშირეს საელჩოში სიარულს. ისინი რაღაცის შესახებ დიდხანს ლაპარაკობდნენ ჩაკეტილი კარების მიღმა, შემდეგ კი ისევ მიდიოდნენ. რას ნიშნავდა მათი ხშირი ვიზიტები? ვინ არიან ისინი? დიპლომატები? დაზვერვის აგენტები? ვლელავდი, ცნობისმოყვარეობა მოსვენებას არ მაძლევდა.

გახშირდა ვიზიტები თურქებსა და ინგლისელებს შორის. რამდენიმე თვის განმავლობაში დამოკიდებულება მათ შორის დაძაბული იყო, მაგრამ ახლა ის გაუმჯობესდა. კორნელია კაპი გერმანიის საელჩოდან 6 აპრილს გაუჩინარდა და თითქმის იმავე დროს მე შეეწყვიტე ჯაშუშური საქმიანობა.

განა მნიშვნელოვანი არ არის ის, რომ სწორედ იმ მომენტში, როდესაც დამოკიდებულებამ ინგლისელებსა და თურქებს შორის იწყო მოწესრიგება, დამოკიდებულება თურქეთის მთავრობასა და გერმანიის მთავრობას შორის შესამჩნევად გაუარესდა? რა ხდებოდა ჩამოშვებული ფარდის უკან?

ჩემი ავადმყოფური წარმოსახვა ხატავდა მოვლენათა მსვლელობას, რომელიც მხოლოდ ჩემი ფანტაზიის ნაყოფი იყო. დიდი იყო ნამდვილი ფაქტების გაგების სურვილი. რა იქნება, რომ ცცადო ერთხელ კიდევ შევხედო საიდუმლო დოკუმენტებს? წინათ ხომ ყველა ჩემს ცდას წარმატება სდევდა? ამჯერად მე არ მქონდა განზრახვა მეშოვა ცნობები გერმანელებისათვის. უბრალოდ მსურდა ჩემი ცნობისმოყვარეობის დაკმაყოფილება, ნერვების დამშვიდება. მაგრამ ვაი, რომ შიში განუშორებლად მსდევდა თან.

თუმცა ფარული საქმეები კვლავინდებურად ხორციელდებოდა და მე ზოგჯერ მეჩვენებოდა, რომ ციკერონის ირგვლივ დადგმული იყო უამრავი ხაფანგი. დროდადრო ვფიქრობდი, რომ განზრახ ვიხვევდი თვალებს, რათა არ დამენახა უფსკრული; რომლისკენაც მივექანებოდი. არ ვიცოდი, რა ხდებოდა ირგვლივ, არ ვიცოდი, რა გამეკეთებინა. თავდაცვის ინსტინქტი, რომელიც აქამდე მიცავდა, გაქრა.

უმწეო გავხდი. ყველაფერი, რაც მე ახლა შემეძლო გამეკეთებინა, — ეს იყო ლოდინი.

გერმანია დიდი იმპორტიორი იყო თურქეთის ქრომისა, რომის დროს თურქეთი წარმოადგენდა ამ ნედლეულის ერთადერთ წყაროს, ესოდენ მნიშვნელოვანს გერმანიის სამხედრო მრეწველობისათვის. ქრომის მიწოდება გერმანიისათვის გრძელდებოდა, მიუხედავად ენერგიული ცდისა—შეეწყვიტათ იგი.

მისტერ ბასკმა ახლა უცებ განაახლა თავისი კერძო ვიზიტები თურქეთის მთავრობის შესაბამის დაწესებულებებში, ხოლო თურქეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ და საგარეო ვაჭრობის უმაღლესმა მოხელეებმა მოუხშირეს სერ ჰიუსთან სიარულს, 20 აპრილს კი თურქეთმა შეეწყვიტა ქრომის გატანა გერმანიაში.

რას ნიშნავდა ეს? სერიოზულ დარტყმას გერმანიის სამხედრო მანქანისათვის. სილის გარტყმას ბატონ ფონ ჰაპენისათვის. დაიწყო სერ ჰიუს ტრიუმფი, რომელსაც არ შეეძლო დაემალა თავისი სიხარული.

ამ დიდმნიშვნელოვან დღეს მან თავისი საპარადო დიპლომატიური ფორმის ტანსაცმელი ჩაიცვა, რათა პირველად ხანგრძლივი დროის განმავლობაში სწვეოდა პრემიერ-მინისტრს.

მდგომარეობა შეიცვალა და ახლა უკვე არ შეიძლებოდა გვერწმუნა თურქეთის ნეიტრალიტეტი.

თუ თურქეთი, ვფიქრობდი მე, დაიწყებს ინგლისის პოლიტიკის გატარებას, მაშინ ჩემთვის მდგომარეობა ბევრად საშიში გახდება. აქამდე, როგორც თურქეთის მოქალაქეს, მეშინოდა ინგლისის საიდუმლო სამსახურის ფარული შურისძიებისა, იმ შემთხვევაში, თუ იგი გამომამაშქარავებდა.

მაგრამ ახლა ინგლისელებს ოფიციალურად შეეძლოთ ეთხოვათ მთავრობისათვის ჩემი დასჯა.

მე არარაობა ვიყავი. და თუ ინგლისსა და თურქეთს შორის ურთიერთობა მეგობრული გახდება, თურქეთის მთავრობა უთუოდ ანგარიშს არ გაუწევდა ჩემს პიროვნებას.

ყველაფერი ეს კარგად ავწონ-დავწონე და გადავწყვიტე საელჩოდან წავსულიყავი, ვიდრე გვიან არ იყო. მაგრამ არ შეიძლებოდა უბრალოდ ერთბაშად გაქცევა. გადავწყვიტე ვამებედა და წავსულიყავი ყველაზე უბრალო და პატიოსანი გზით, ესე იგი მეცნობებინა ელჩისათვის ჩემი წასვლის შესახებ.

დიდხანს ვყოყმანობდი, ვიდრე გამაწყვეტ ნაბიჯს გადავდგამდი. შეიძლება, ეს იყო სწორედ ის, რასაც ჩემგან მოელოდნენ. ნებას მომცემენ კი წავიდე საელჩოდან?

როდესაც სერ ჰიუს დიპლომატიურ ფრაკს ვაწოდებდი, ხელები მიკანკალებდა. ამ დიდებულ ფორმის ტანსაცმელში გამოწყობილი, იგი მეჩვენებოდა ძალის განსახიერებად, რომლის წინაშე თავს სრულიად უმწეოდ ვთვლიდი.

— თქვენო აღმატებულება, მინდა რაღაც შეგეკითხოთ. — ვუთხარი მე. ჩემთვის ძნელი იყო ამეძულებინა თავი მელაპარაკა ნორმალური ხმით. შუბლზე ოფლი დამასხა.

— რა გინდათ?

რასაკვირველია, მას დრო არ ჰქონდა ესაუბრა ვიღაც ყავასთან.

— თქვენო აღმატებულება, ჩემი ცოლი სტამბულში ცხოვრობს... ჩვენ ოთხი შვილი გვყავს...

ის, რაც მე ვთქვი, პირფერულად და არადამაჯერებლად ეღერდა. უცებ გონებაში ელვასავით გამიარა აზრმა, რომ, აი, უკვე თითქმის ოთხი თვეა არ ვწუხდი ცოლსა და შვილებზე. მათზე ფიქრიც კი დავივიწყე.

— აბა, რა გსურთ? — მკითხა უცებ სერ ჰიუს და რაღაც ცივად შემხედა. რას ნიშნავდა ეს გულცივობა?

— თქვენო აღმატებულება, მსურდა თქვენთვის მეთქვა ჩემი წასვლის შესახებ. სტამბულში სამუშაო მელის... ჩემი ოჯახი...

— ვერ ვბედავდი სახეში შემეხედა სერ ჰიუსათვის. მისი ქული ავიღე.

— მაშასადამე, თქვენ წასვლა გსურთ?

მის ხმაში, როგორც მომეჩვენა, ყოყმანი ისმოდა.

იქნებ, ეს მხოლოდ მომეჩვენა? ანდა ნამდვილად მისი თვალები ჩაციებით მიყურებდნენ?

— თქვენო აღმატებულებავ, მაპატიეთ, რომ გაწუსებთ ჩემს პირად საქმეებზე...

ენის ბორძიკით ვლაპარაკობდი. ხელები გამიოფლიანდა. ჩემი მოკრძალება თითქოსდა უკანასკნელი შანსი იყო.

— აბა, მომეცით იგი, — მითხრა მან.

ვერ გავიგე, რა ჰქონდა მას მხედველობაში. ფიქრებით შორს ვიყავი. სერ ჰიუ მომიახლოვდა, ქული გამომართვა, რომელიც ჯერ ისევ ხელში მეჭირა.

— მაპატიეთ, თქვენო აღმატებულებავ, — წავიბუტბუტე მე. — იქნებ, რაიმე დანაშაული ჩავიდინე?

იგი იდგა, ხელში ქული ეჭირა.

— თქვენ ჩემზე უკეთ იცით, თქვენი საქმეა, — წარმოთქვა მან. — თუ წასვლა გსურთ, არ დაგაკავებთ.

იგი მტკიცედ და თავდაჭერილად ლაპარაკობდა.

— შეუთანხმდით ყველაფერში ზეჟის.

თითქოსდა მაშინვე დაკარგა ჩემდამი ყოველგვარი ინტერესი და გამგზავნა მსახურთუფროსთან, რომელიც შინამოსამსახურეებს ზედამხედველობას უწევდა.

— გმადლობთ, თქვენო აღმატებულებავ, — ვუთხარი მე.

როდესაც სერ ჰიუმ განზე გაიხედა, შარვლის ჯიბიდან ამოვიღე ხელი; რომელშიც ცხვირსახოცი მეჭირა, და იმით სწრაფად შევიმშრალე ხელები.

ერთ წუთს იგი ფანჯარაში იყურებოდა; შემდეგ კი კარებისაკენ გაემართა.

— დიახ, შეუთანხმდით ყველაფერში ზეჟის; — გაიმეორა მან.

მე დავასწარი და კარი გავაღე, ხელში ჯერ ისევ ცხვირსახოცი მეჭირა.

— კეთილი, თქვენო აღმატებულებავ.

გამეხარდა რომ იგი წავიდა. უკან გაეყევი, რათა მენახა, როგორ მიდიოდა.

მუსტაფა გაღიმებული სახით მომიახლოვდა.

— გამოეწყო, — მითხრა მან და თავის მოძრაობით სერ ჰიუზე მიმითითა. შემდეგ შემხედა და მითხრა:

— ცუდად ხომ არა ხარ?

— დიახ, დიახ, — წავიბუტბუტე და ოფლი ცხვირსახოცით მოვიწმინდე. უცებ რალაც დამივარდა. ეს გასაღები იყო.

მუსტაფამ ისევ გაიღიმა.

— შეხედე, რა დაგივარდა. ეზრას ოთახის გასაღებია?

თავზარი დამეცა, გასაღები რომ სერ ჰიუს თანდასწრებით დამვარდნოდა, უთუოდ ეცნობდა მას და ციცერონის ძებნაც დამთავრდებოდა.

ეს იყო შავი ყუთის გასაღების ასლი.

მეგონა, ჩემი ჯაშუშური მოღვაწეობის ყველა დამამტკიცებელი საბუთი გავანადგურე-მეთქი, მაგრამ სრულიად დამავიწყდა გასაღები.

სწრაფად ავიღე გასაღები, რომელიც შემთხვევით ჯიბიდან ცხვირსახოცთან ერთად ამოვიღე.

— დიახ, ეს ეზრას ოთახის გასაღებია, — ხრინწიანი ხმით წარმოვთქვი და ნაძალადევად გავიღიმე.

კიდევ დიდხანს გამიღიმებს ბელი?

ცხოვრებაში ბევრი შესაძლებლობა მქონდა, მაგრამ ყველა ხელიდან გაუშვი. არ მსურდა დამეკარგა ფუფუნებით ცხოვრების უკანასკნელი შანსი.

დიდხანს ვფიქრობდი იმაზე, თუ რას ფიქრობდნენ ჩემზე ადამიანები, მაგალითად, სერ ჰიუ. საერთოდ ფიქრობდნენ თუ არა ისინი ჩემზე, თუ მათთვის მეტად უმნიშვნელო ადამიანი ვიყავი?

რას ფიქრობდა ჩემზე მისტერ ბასკი? სწორედ ის მისტერ ბასკი, რომელსაც ერთხელ ჩემი ბიოგრაფია დაუწერე.

მისთვის მე, უდავოდ, მხოლოდ „მკვიდრი“, ვიყავი. საიდანღაც, ბალკანეთიდან.

ახლა მათ რომ ჩემზე ექვი ჰქონოდათ, მაშინ, უთუოდ, მიწოდებდნენ გამყიდველს და საძაგელს. ამ ამბავს თუ შევხე-

დავთ მათი თვალსაზრისით, მაშინ ისინი, უთუოდ, მართალნი იქნებოდნენ.

ოჯახი მივატოვე.

ჩემი ცხოვრება სხვაგვარად წარიმართებოდა, ჩემთვის განკუთვნილ გზას რომ გავყოლოდი. ახლა, საელჩოში, ჩემს ოთახში ნივთების ჩალაგებისას, ვფიქრობდი, იქნებოდა კი ჩემი მომავალი, მართლაც, ასეთი ბედნიერი?

მაგრამ ერთი რამ არ იწვევდა ეკვს: ბანკის სეიფში ჩემს სახელზე უზარმაზარი თანხა იყო.

ინგლისის საელჩოდან 1944 წლის აპრილის უკანასნელ დღეს წავედი. სერ ჰიუსთან მეტად აღარ მილაპარაკია.

ჩემი წასვლის წინასაღამოს ბრძანა, რომ ზექის რამდენიმე ხნის განმავლობაში შეესრულებინა ჩემი მოვალეობანი. როდესაც ვუთხარო, რომ მსურდა სერ ჰიუსთან გამომშვიდობება, ამ ქედმაღალმა სუბიექტმა მხოლოდ გადმომხედა და უკმაყოფილოდ წარმოთქვა:

— მისმა აღმატებულებამ ბრძანა, ნუ შემაწუხებთო.

შიში კვლავინდებურად თან მდევდა. ნიშნავდა თუ არა კორნელია კაპის გაუჩინარება ციციერონის დასასრულს? სწორედ მოვიქეცი, რომ ჩემი მუშაობის კვალი დაეფარე? უნდა მომეშორებინა თავიდან ფოტოაპარატი და ლითონის ღეროები და მოგვიანებით — ორი გასაღები, რომლებიც არხში გადავაგდე?

უკანასკნელად ვისარგებლე დამხმარე შესასვლელით და მუყაოს ჩემოდნით ხელში ახმეტ ალაოლლუს ქუჩაზე აღმოვჩნდი. ციციერონი ტოვებდა ინგლისის საელჩოს.

მივდიოდი ცარიელ ქუჩაზე დაბალი, ჯმუხი, მელოტი მაშაკაცი, ხელში ჩემოდანი მეჭირა.

ამ მომენტში მე სრულიადაც არ ვგრძნობდი, თუ ესოდენ დიდმნიშვნელოვანი პიროვნება ვიყავი.

მანტეკეს კვარტალში კარგი ოთახი დავიჭირავე. და ისე ვცხოვრობდი, როგორც მდიდარი უქნარა. ზოგჯერ ჩემთან შოდიოდა ეზრა. იგი იდეალური საყვარელი იყო, უფრო ბავშვს ჰგავდა, ვიდრე მეგობარს, და მაინც ვგრძნობდი, რომ



უკვე მბეზრდებოდა. ამას იმით ვხსნიდი, რომ იგი მიცნობდა როგორც ყავასს, რითაც წარსულს მაგონებდა.

— გინდა უნივერსიტეტში შესვლა? ხარჯებს მე ვკისრულობ, — ვუთხარი მე.

ჩემს ვრცელ საუბრებში იგი ჩასწვდა ღრმა აზრებს და შესაძლებლობებს, რომელიც განათლებული ახალგაზრდა ქალის წინაშე იხსნება თანამედროვე თურქეთში, მიხვდა, თუ სინამდვილეში რა მქონდა მხედველობაში. იგი არ ტირიდა და სცენებს არ მიმართავდა. იგი აღზრდილი იყო მაჰმადიანურ ტრადიციებზე, რომლის მიხედვითაც ქალმა უნდა იცოდეს მხოლოდ ერთი რამ: ქედი მოიხაროს გარდუვალობის წინაშე.

ამ დროს მე გავიცანი ბერძენი მომღერალი ქალი აიკა. მას მშვენიერი აღნაგობა, მაგრამ ძლიერ უფერული ხმა ჰქონდა. აიკა პატიოსანი თამაშის წესებს მისდევდა: ვიდრე ვარჩენდი, იგი ჩემი ერთგული რჩებოდა. მას ქერა თმა. გრძელი ფეხები ჰქონდა და რაღაცით ძლიერ მაგონებდა კორნელია კაპს, რომლის გამოც ციცერონი ნაადრევად წავიდა სცენიდან. განა მე უფრო მდიდარი არ გავხდებოდი? განა არ დავეხმარებოდი თურქეთს შეენარჩუნებინა თავისი ნეიტრალიტეტი ბოლომდე? „შენ მაგონებ ქალს, რომელიც მძულს“, — ვუთხარი ერთხელ აიკას. მას გაეცინა. აიკას უამრავ ფულს ვახარჯებდი და ამიტომ იგი ყურადღებით უსმენდა ჩემს ტირადებს, ხოლო თავის აღფრთოვანებას კოცნით გამოხატავდა.

დრო გადიოდა. მოვლენათა დინებას მივყვებოდი. განა ეს იყო ის ცხოვრება, რომელზეც ვოცნებობდი?

ნორმანდიაში შექრა 6 ივნისს მოხდა.

— „ოვერლორდის“ ოპერაცია! — წამოვიძახე მე. — ეს „ოვერლორდის“ ოპერაციაა! „ოვერლორდია!“

აიკამ გაოცებით შემხედა.

— რა არის ეს?

— ასე უწოდებენ ისინი ნორმანდიაში შექრას.

— „ანკარა პალასში“ წავალთ? — მკითხა მან. მისთვის სავსებით სულ ერთი იყო, რაც მსოფლიოში ხდებოდა.

ნუმან მენემენჯოლლუ გადადგა. იგი ყოველთვის მეგობ-

რულად იყო განწყობილი გერმანელებისადმი, ხოლო თურქეთის ახალი პოლიტიკა ნიშნავდა, რომ მას მეტად აღარ შეეძლო ამ თანამდებობის დაკავება. ინგლისელებმა მოიპოვეს, რაც სურდათ. თურქებმა აუკრძალეს გერმანიის ხომალდებს თურქეთის წყლებში შესვლა და 2 აგვისტოს გაწყვიტეს გერმანიასთან დიპლომატიური ურთიერთობა. ომის გამოცხადება დროის საკითხი იყო.

რა კავშირი ჰქონდა ამას ჩემთან? განა მე შემეძლო მოვლენათა სვლის შეჩერება?

სრულიად მოულოდნელად სერ ჰიუ მოხსნეს თავისი თანამდებობიდან. მოგვიანებით გავიგე, რომ 31 აგვისტოს მინისტრ იდენისაგან დეპეშა მიიღო, ხოლო ერთი კვირის შემდეგ დატოვა საელჩო. მსგავსი აჩქარება უჩვეულო იყო და ამან ჩაფიქრების საბაბი მომცა.

იგი ბრიუსელში დანიშნეს ელჩად.

ერთხელ კიდევ ჩავჩარე ჩემი ცხვირი იმაში, რასაც ჩემთან არავითარი კავშირი არ ჰქონდა: ვესწრებოდი სერ ჰიუს გამგზავრებას.

ამით ჩემი ჭიის გახარება მსურდა. ანდა ერთხელ კიდევ შემეხედა ადამიანისათვის, რომელიც მოვატყუე და ჩემი ინტერესისათვის გამოვიყენე.

როდესაც მანქანა საელჩოს მახლობლად გაჩერდა, მე ქუჩის მეორე მხარეს ვიდექი.

ინგლისის საელჩომ საჯარო განცხადება გააკეთა მოიზიშის წიგნის „ციცერონის“ ოპერაციის გამოსვლის მხოლოდ ექვსი წლის შემდეგ, როდესაც ეს საკითხი პარლამენტში იქნა დასმული.

სერ ჰიუმ მხოლოდ ერთი საჯარო განცხადება გააკეთა „ციცერონის“ ოპერაციის შესახებ. იგი დათანხმდა, რომ წიგნში ძირითადად ყველაფერი სწორად იყო მოთხრობილი, და რომ მთელი ეს ისტორია ანდა მისი ნაწილი მაინც, რომელსაც მნიშვნელობა აქვს, გრძელდებოდა დაახლოებით ექვს კვირას. რამდენიმე დღის შემდეგ, როცა ყველაფერი ცნობილი გახდა, მათ ბოლო მოუღეს ამ ამბავს. კამერდინერს ელიოსი ერქვა. სერ ჰიუმ ვერაფრით გაიხსენა ჩემი გვარი: იგი,

დარწმუნებული იყო, რომ კამერდინერი საგულდაგულოდ შეამოწმეს, ვიდრე მას საელჩოში სამუშაოდ მიიღებდნენ. სერ ჰიუს ეგონა, რომ კამერდინერი სადღაც საელჩოში მუშაობდა მანამდე, ვიდრე მასთან მივიდოდა სამუშაოდ. მალე ეს ადამიანი განთავისუფლებულ იქნა. იგი გაქრა, არც იცის მისი შემდგომი ბედი.

მაგრამ ეს სრულიად არ იყო ასე. მე არ გავუჩინარებულვარ. როდესაც სერ ჰიუს მიემგზავრებოდა, მას შეეძლო ჩემი დანახვა ტროტუარზე. როდესაც მანქანა შესასვლელთან მივიდა, იგი კარებში გამოჩნდა. ამ წუთებშიც კი მას კარგად ეპირა თავი.

განა მისი წასვლა საელჩოდან ჩემს წასვლაზე უკეთესი იყო?

მე მსახურთათვის განკუთვნილი კარიდან გამოვედი, ეგი კი — საპარადო კარიდან. მე თვით მომქონდა ჩემი ჩემოდანი, იგი კი არ გარჯილა თავისი ბარგის წასაღებად. მე ფეხით წავვედი, იგი კი ნელა გაემგზავრება თავისი დიდი მანქანით.

მანქანაში სწორად და ამაყად იჯდა. ქული მოვიხადე, მაგრამ ვერ შემნიშნა.

მალე გამიტყდა გული ჩემს ახალ ცხოვრებაზე. რას ნიშნავდა ჩემთვის აიკას კოცნა და მისი მხიარული წამოძახილები? ოფიციალტები „ანკარა პალასში“ განსაკუთრებით თავაზიანები იყვნენ ჩემდამი. მაგრამ მე ხომ მათ მუდამ ზედმეტს ვაძლევდი.

მე ვერაფერი შევისწავლე; მქონდა მხოლოდ ერთი რამ — ფული. დავიწყე ნახმარი მანქანებით ვაჭრობა, თავს ბიზნესმენს ვუწოდებდი და ვერაფრით შევძელი მანქანებისათვის თავის დანებება.

ხშირად ვიჭექი სასტუმრო „ანკარა პალასის“ ვესტიბიულში, ვკითხულობდი გაზეთებს და გასაყიდი მანქანების განცხადებებს ვკრიდი.

ერთხელ დავინახე განცხადება, რომელშიც მხოლოდ ტელეფონის ნომერი იყო აღნიშნული. ვიცანი იგი. ეს მისტერ ბასკის, ინგლისის საელჩოს პირველი მდივნის, ტელეფონი იყო.

დაუძლეველი სურვილი გამიჩნდა, გამეგო, იცის თუ არა

მან მე რომ ციცერონი ვიყავი. იქნება საიდუმლო სამსახურ-  
მა და სერ ჰიუმ გარკვეულ პირებს გაანდევს ეს საქმე. ვინ  
უწყოდა სიმართლე, რომ ამ უსიამოვნო საქმის მასშტაბები  
დაეკანონებინა? მისტერ ბასკს დაუფრევე და ვუთხარი, და-  
ინტერესებული ვარ მანქანით, რომელსაც თქვენ ყილით-მეთ-  
ქი.

მისტერ ბასკმა თავის სასტუმრო ოთახში მიმიღო. ჩემს  
დანახვაზე მან თვალები დააჭყიტა, მე კი ჩემი უტიფრობით  
ვტკბებოდი.

— ეს თქვენა ხართ? — წამოიძახა მან. .

სალამი მივეცი.

— დიახ, სერ. ახლა მე ნახმარი მანქანებით ვვაჭრობ და  
უნდა ითქვას, სერ, ვაჭრობა ძლიერ გაცხოველებულია.

მისტერ ბასკი ახალ ბინაში ცხოვრობდა. მან ან მართლაც  
არაფერი იცოდა ანდა თავს იკატუნებდა. თავაზიანად იკითხა  
ჩემი ჯანმრთელობის შესახებ, ვუპასუხე, თავს კარგად ვგრძ-  
ნობ-მუთქი, და შემდგე ვკითხე, იმ მანქანას ხომ არ ყილდა,  
რომელიც მე მახსოვდა. ეს სწორედ ის მანქანააო, — მიპა-  
სუხა. მისტერ ბასკს საკმაო თანხა შევეთავაზე.

მოვრიგდით. ჩემი მდიდრული კოსტიუმი, მგონი, აღი-  
ზიანებდა კიდეც.

— შემიძლია ერთხელ კიდეც ვნახო მანქანა. სერ?

ჩვენ გარაჟში წავედით. მანქანა დავათვალიერე. განსაკუთ-  
რებული ყურადღება საბურავებს, სპიდომეტრს და დასაჯ-  
დომებს მივაქციე.

— კარგი მოვლილია, — შევნიშნე მე.

მისტერ ბასკის სახის გამომეტყველება არ იცვლებოდა.

— რა ისმის თქვენი ბავშვის ყოფილი ძიძის შესახებ?

როდესაც იგი მპასუხობდა, მანქანის კაპოტი ავწიე.

მღელვარება რომ დამეფარა, მობოტორზე დავიხარე.

— გათხოვდა? — ვიკითხე მე და კაპოტი დავხურე.

— დიახ, მას უკვე ბავშვი ჰყავს, — მითხრა მისტერ ბასკ-

მა.  
მისთვის, როგორც ჩანს, არასასიამოვნო იყო ეს ლაპარაკი.

— მანქანას ვყიდულობ, — ვუთხარი და სამასი გირვანქა სტერლინგი გადაუხადე.

გადაუხადე იმ ფულით, რომლებიც გერმანელებმა მომცეს. ვფიქრობდი, რომ იგი ნამდვილი იყო. ვის შეეძლო სცოდნოდა, რომ ხუთგირვანქიანი ბანკნოტები, რომლებიც მას მივეცი, ყალბი იყო?

მეგონა, უზარმაზარ სიმდიდრეს ვფლობდი, რომელსაც დიდხანს ვაგროვებდი და შემდეგ მივფლანგ-მოვფლანგე. ძლიერ დიდხანს ვიყავი ღარიბი, რომ თანხა გონივრულად გამომეყენებინა.

ამბავი, რომელიც ჩემი ფულის გამო შემემთხვა, საკმაოდ უცნაურია და მისი ფესვები თურქეთში უნდა მოიძებნოს.

ომის დასაწყისში გერმანელებმა დიდი რაოდენობით იყიდეს ტილო, რადგან თვით ვერ შეძლეს ასეთი ხარისხის ტილოს საკმარისად წარმოება. ამ ტილოს ჩვრებს ისეთი ხარისხის ქაღალდად ამუშავებდნენ, რომელიც გამოიყენებოდა ინგლისში ფულის წარმოებისათვის. ეს პირველი ნაბიჯი იყო.

შემდეგ საკონცენტრაციო ბანაკებში მოაგროვეს ყველა ეროვნების კვალიფიკაციური მბეჭდავები, გრავიორები და სხვა სპეციალისტები. ისინი ორანიენბურგის საკონცენტრაციო ბანაკის საგანგებო სექციაში მოათავსეს, სადაც ზოგიერთი შეღავათიც კი მისცეს (მათ რამდენიმედ მოწყალეებით ეპყრობოდნენ) და აიძულეს ემუშავათ, ესე იგი თურქეთის ტილოს ჩვრებიდან გაკეთებულ ქაღალდი ინგლისურ ბანკნოტებად ექციათ.

ნეიტრალურ ქვეყნებში დიდი რაოდენობით ყალბი ფულის მიმოქცევაში გაშვებით გერმანელები იმედოვნებდნენ გირვანქა სტერლინგის შესუსტებას. საიმპერიო უშიშროების მთავარი სამმართველოს მე-6 განყოფილებამ, რომლის ხაზითაც მუშაობდა მოიზიში, სხვაგვარად გამოიყენა ეს ფული, რადგან განყოფილებას ნამდვილი ვალუტა ცოტა ჰქონდა,

იგი თავის აგენტებს საზღვარგარეთ ყალბ ფულს უხდიდა.

ვიდრე ყალბ ფულს მიმოქცევაში გაუშვებდნენ, ისინი საგულდაგულოდ ამოწმებდნენ. თავიანთი აგენტი გაგზავნეს შვეიცარიაში, სადაც მან დიდი რაოდენობით ბანკნოტები წარადგინა ბანკში და სთხოვა, დიდად დავალებული ეიქნები, თუ გულდასმით შეამოწმებენ, რადგან ეჭვი აქვს, რომ ზოგიერთი მათგანი ყალბიაო. შვეიცარიის ბანკის სპეციალისტები სამი დღის განმავლობაში გულდაგულ იკვლევდნენ ბანკნოტებს.

ფულს ყველა ჩვეულებრივი გამოცდა ჩაუტარეს და, ბოლოს და ბოლოს, განაცხადეს, ნამდვილი ბანკნოტებიაო. რათა არავითარი ეჭვი არ დარჩენილიყო, შვეიცარიის ბანკმა ზერიის ნომრების გამოშვების თარიღითა და ხელმოწერებით ინგლისის ბანკში გაგზავნა, სადაც დაადასტურეს, რომ ეს ბანკნოტები, ეჭვს არ იწვევდა. ამრიგად, ყალბმა ფულმა ყველა გამოცდას გაუძლო.

1945 წლის თებერვლის ბოლოს თურქეთი მოკავშირეთა მხარეზე ომში ჩაება და ამ დროიდან გერმანიას ტილოს მიწოდება შეუწყვიტეს. მაგრამ ტილოს უკანასკნელმა პარტიამ საქმე გააყეთა.

1945 წლის მაისში ამერიკის საიდუმლო სამსახურმა აესტრიაში განგაში ატეხა: მან მიიღო ცნობები, რომ მდინარე ტრაუნის რაიონში მცხოვრები გლეხები დიდი რაოდენობით იჭერდნენ ბანკნოტებს, რომელიც მდინარეს მიჰქონდა. რაიონი აკრძალულ ზონად გამოაცხადეს და ამერიკელებმა ფულის აკრეფა დაიწყეს. ამ უცნაური თევზაობის დასასრულს მათ ხელში დაახლოებით ოცი მილიონი გირვანქა სტერლინგი აღმოჩნდა.

ამერიკელებმა იპოვეს საკონცენტრაციო ბანაკის ყოფილი პატიმარი, სახელად სკალა, რომელსაც დიდხანს არ სურდა ეთქვა, რომ გერმანელებს ეხმარებოდა ყალბი ფულის გაკეთებაში. მაგრამ დაკითხვის დასასრულს ცნობილი გახდა, რომ ყალბი ბანკნოტები გამოშვებულ იქნა დაახლოებით ორმოცდაათი მილიონი გირვანქა სტერლინგის რაოდენობით.

როდესაც ეს ამბავი ინგლისის ბანკს აცნობეს, მან ფარუ-

ლად დაიწყო მიმოქცევიდან ბანკნოტების ყველა სერიის გამორიცხვა, რომლებიც გერმანელების მიერ გაყალბებულ იქნა. ოფიციალური დუმილი იმით აიხსნებოდა, რომ ინგლისელებს ეზინოდათ არაკეთილსასურველი ეფექტისა, რომელსაც მოახდენდა საჯარო განცხადება საერთაშორისო სავალუტო ბაზარზე.

გერმანელებმა, რომლებიც აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ ამ გიგანტურ თაღლითობაში, განაცხადეს, რომ ყალბი ღირებულების ბანკნოტები დაახლოებით ოცდაცხრა მილიონი რაიხსმარკა გადაგზავნილ იქნა თურქეთში, ნაწილობრივ, გირვანქა სტერლინგის ზიანის მისაყენებლად და, ნაწილობრივ, გერმანელი აგენტებისათვის გადასახდელად. ეს აგენტი მე გახლდით.

ამერიკის საიდუმლო სამსახურის გამოძიება და ინგლისის ბანკის მიერ მიღებული ზომები საიდუმლოდ დარჩა. მე ფიქრადაც არ მომსვლია, რომ გერმანელებმა ისევე მომატყუეს, როგორც მე სერ ჰიუ მოვატყუე.

ბანკნოტები, რომლებსაც ასე გულმოდგინედ ვაგროვებდი, თურქეთის ტილოს ფასადაც კი არ ღირდა, რომლისგანაც იგი კეთდებოდა. თავი რომ აურაცხელი სიმდიდრის მფლობელი მეგონა, თურმე, ღარიბი ადამიანი ვყოფილვარ და არც ვიცოდი ეს ამბავი.

მე რომ იმ დროს დღიური მეწერა, შიგ შეიძლებოდა ასეთი რამის წაკითხვა:

„ჩემი რისკი ანაზღაურებულ იქნა, ხოლო მონდომება წარმატებით დაგვირგვინდა. ცოლს გავეყარე, მაგრამ ეს გარდუვალი იყო. მას და მის ოთხ შვილს მე, რასაკვირველია, ვეხმარებოდი. ახლა კეთილმოწყობილ ბინაში ვცხოვრობ, რომელზეც ყოველთვის ვოცნებობდი. ჩემი ყოფილი საყვარელი ეზრა ჩემს ხარჯზე უნივერსიტეტში სწავლობს. ჩემმა ყოფილმა საყვარელმა, მარამ, ჩემგან იმდენი ფული მიიღო, რომ ამერიკელს ტოლს არ უდებს. ცოლი და ბავშვი თავს კარგად გრძნობენ. ჩემი სინდისი შეუბღალავია. ინგლისელები, შესაძლოა, თავისი ელჩის რეპუტაციის გამო, ჩემს წინააღმდეგ არავითარ ზომებს არ იღებენ. საჯაროდ განცხადება რომ შემეძლოს, მათ ბევრ სასაცილოს დაეატეხდი. მე მდიდარი



ვარ და დამოუკიდებელი. ჩემი ახალი საყვარელი, აიკა, ჩინებულია. იგი, მართალია, ჩემზე მაღალია, მაგრამ ეს უმნიშვნელო ამბავია. ჩემი ფულებით მე ყველაზე მაღალი ვეჩვენებოდი. გერმანელებმა ომი წააგეს, მაგრამ ეს უნდა მომხდარიყო. რა მნიშვნელობა აქვს ამას ჩემთვის? ცხოვრება თავის გზით მიდის. მე ახლა სტამბულში ვცხოვრობ. მე და აიკა ბევრს ვმოგზაურობთ. დავდივართ ბურსაში. ჩინებული ადგილია. ვაპირებ იქ სასტუმროს მშენებლობას შვეიცარულ ყაიდაზე. აიკა აღფრთოვანებულია ჩემი ენერგიით, ცხოვრების უნარით, „შენ დიდი ადამიანი ხარ“,—ხშირად მეუბნება. მე არ მიყვარს იგი, მაგრამ შემძლია თავს ნება მივცე ფუფუნებისათვის, რომ მასთან ერთად მნახონ...“

მალე უარი ვთქვი ნახმარი მანქანებით ვაქრობაზე. ერთი სტამბულელი მშენებელი ჩემით დაინტერესდა და თავის თანამონაწილედ გახდომა შემომთავაზა. ასე დაიბადა მსხვილი სამშენებლო ფირმა „ბაზნა და კომპანია“.

არვინ მეკითხებოდა, საიდან ჩამოვედი და საიდან მქონდა ფული. დარბაისელი ადამიანის შთაბეჭდილებას ვახდენდი. ძვირფასი საპნის სუნი ამდიოდა. მე კიდევ დამავიწყდა, რომ ოდესღაც უბრალო ყავასი ვიყავი.

რამდენიმე ხნის შემდეგ მივალწიე იმას, რომ მთავრობასთან ხელშეკრულება დავდე სტამბულში საფოსტო-საამანათო სამსახურის შენობის აშენებისათვის. ერთი სიტყვით, ფირმა ყვაოდა. ხშირად ვსადილობდი მთავრობის მნიშვნელოვანი მოხელეების საზოგადოებაში. როგორღაც, ბურსის მუნიციპალიტეტის ხელისუფლებამ იჯარით შემთავაზა ახალი სკოლის შენობის აგება. დავიჭირავე არქიტექტორები და ინჟინრები პროექტის მოსამზადებლად და მშენებლობის ღირებულების გამოსათვლელად. მალე შევეთავაზე მათ ჩემი პროექტი და ხელშეკრულება დავდე. სკოლა ავაშენე. მისი გახსნის ცერემონიალზე ამ რაიონის მთელი დიდკაცობა ესწრებოდა. ამრიგად, პირველი კონტაქტი ბურსასთან დამეჯარდა.

ბურსაში იყო საკმაოდ რიგიანი სასტუმრო „გელიკი“. იგი კარგი სახელით სარგებლობდა, მაგრამ ძლიერ მოძველებული გახლდათ. ბურსაში ბევრი ცხელი წყარო იყო. იქ ადამიანები მთელი მსოფლიოდან ჩამოდიოდა, რომ თუნდაც რაღაც

დროით დაევიწყათ ომი. ომის შემდეგ ტურისტების რაოდენობა უდავოდ გაიზრდება. ბურსა ერთ-ერთი ყველაზე ლამაზი ადგილია თურქეთში და ყველაზე შესაფერისი ადგილი დიდი სასტუმროს მშენებლობისათვის. მისთვის შეიძლებოდა გვეწოდებინა „გელიკ პალასი“.

მე ამ ახალმა იდეამ გამიტაცა, მაგრამ ჩემი თანამონაწილე ამ განზრახვის წინააღმდეგი იყო და ჩვენ დავშორდით. ჩემს ახალ თანამონაწილეს ნიაზ აკარი ერქვა. ახალი გეგმები შევიმუშავეთ და დავაარსეთ ახალი ფირმა სახელწოდებით: „ბაზნა და აკარი“. მაგრამ ასეთი დიდი მშენებლობა, შეუძლებელი იქნებოდა მთავრობის დაუხმარებლად.

აიკა, მოლიმარი, მშვიდი და ლამაზი, ყოველთვის ჩემ გვერდით იყო და ხშირად ვლაპარაკობდი მასთან ჩემი ახალი გრანდიოზული პროექტის შესახებ.

— ჯერ კიდევ რომის იმპერატორები შორეულ წარსულში იღებდნენ აქ სამკურნალო აბაზანებს, — ვეუბნებოდი მას. — შენ იცი, როგორი არიან ადამიანები. მათ ყველა სამკურნალო წყალი უყვართ, რომელიც შორეული წარსულიდანაა ცნობილი. ჩვენ ზაფხულისა და ზამთრის სეზონები გვექნება.

აიკა ჭიქაში ვისკს ყინულს ურევდა.

მე ვაჩვენე მას ბურსა. იქ იშვიათი ჰავაა, ატმები, რომლებიც ბაღებში მოდის, ფითოეული გირვანქამდე იწონის. ულუდაგის მთა, ქალაქის უკან რომ ამართულა, თითქმის ორი ათას მეტრს აღწევს.

— ეს სამოთხე იქნება მოთხილამურეებისათვის, — შევნიშნე მე.

აიკას წინ გავშალე ჩემი არქიტექტორების მიერ მომზადებული გეგმები და მონახაზები.

— ჩვენ სასტუმროს ერთ-ერთი წყაროს თავზე ავაშენებთ, რათა სტუმრებს შეეძლოთ ისარგებლონ წყლით, ისე, რომ არ გამოვიდნენ შენობიდან. სასტუმრო ხუთსართულიანი იქნება. მასში ას ორმოცდაათი ნომერი იქნება. ყოველ ნომერს — თავისი აბაზანა, ტელეფონი და სხვა სათავსი შესანიშნავი ვესტიბიულით. საერთოდ, სასტუმროს ვესტიბიული ჩემი სუსტი მხარეა. სასიამოვნოა იქ ჯდომა და ხალხის ყურება.

ჩემი ოცნება, თითქოს, მოკლე ხანში უნდა განხორციე-

ლებულიყო. ლამაზი და მშვიდი აიკა ჩემს ხელს ეტყებოდა და იღიმებოდა.

მოულოდნელად სტამბულის ბანკირები. ბიზნესმენები და სახელმწიფო მოხელეები პანიკამ მოიცვა. ქალაქში ყალბი ინგლისური ბანკნოტები გავრცელდაო. საქმე იქამდე მივიდა. რომ ბიზნესმენებმა, რომლებსაც კავშირი ჰქონდათ ინგლისის ბანკის ბანკირებთან, დაიწყეს მათი შემოწმება.

ვაჭარმა, ვინმე ავადისმა, ვაჭარ ისმაილ კაარალისს კაუსტიკური სოდა მიჰყიდა, ფულად მან გირვანქა სტერლინგებით დიდი თანხა მიიღო. ავადისის მეგობარმა, სახელად ბურკანმა, რომელიც თავის საქმეების გამო შვეიცარიაში უნდა გამჯზავრებულიყო, ავადისის თხოვნით რამდენიმე ბანკნოტი წაიღო, რათა ისინი გამოეკვლიათ შვეიცარიის ბანკში. ბანკნოტები ერთხელ კიდევ ყოველმხრივ გამოსცადეს. ზოგიერთი მათგანი გაგზავნილ იქნა საექსპერტიზოდ ინგლისის ბანკში და ისევ ის ამბავი განმეორდა, რაც მოხდა ომის დროს, როდესაც გერმანელები პირველად აპირებდნენ თავიანთ ყალბის-მქმნელობას.

მაგრამ ამჯერად შედეგი სხვაგვარი აღმოჩნდა: ბანკნოტები ყალბად იქნა გამოცხადებული.

როდესაც ბურკანი თურქეთში დაბრუნდა, იგი დააპატიმრეს, მან პოლიციაში დაასახელა ავადისის გვარის, რომელიც ისევე დააპატიმრებულ იქნა. ავადისმა, თავის მხრივ, მიუთითა ისმაილ კაარალიზე, რომელმაც სოდაში ყალბი ფული გადაუხადა.

კაარალი სასამართლოს წინაშე წარადგინეს. მას, ავადისსა და ბურკანს ბრალი ედებოდათ ყალბი ფულის გავრცელებაში.

— საიდან გაქვთ ეს ფული? — ეკითხებოდნენ მათ.

ისმაილ კაარალისათვის ძნელი არ იყო ამის გახსენება. თავისი ანგარიშები ამოიღო და სასამართლოს უჩვენა. მათში მოხსენებულ იყო ბურსაში სასტუმრო „მელიკ პალასის“ მშენებლობაც, რომელიც სრული სვლით მიმდინარეობდა.

— ამრიგად, თქვენ აცხადებთ, რომ ეს ფული კონსორციუმიდან მიიღეთ, რომელშიც მთავრობა მონაწილეობს?

სასამართლომ წინასწარ იგრძნო, სკანდალი ატყდებოდა. ყველაზე დიდი სასტუმრო თურქეთის წყლებზე, თურქეთის

ტურიზმის მომავალი სიამაყე, რომლის მშენებლობაში თვით მთავრობა იღებდა მონაწილეობას, ყალბი ფულით შენდებოდა! ამ აზრმა სახელმწიფო მოხელეთა შორის პანიკა გამოიწვია.

მე ბურსას სასტუმროს ვრცელ ნომერში ვცხოვრობდი. იმ საღამოს, როდესაც ყველაფრის აღსასრული დადგა, ორ არქიტექტორთან ერთად ვიჯექი: ჩვენ სასტუმრო „გელიკ პალასის“ ფასადს ვიხილავდით. პირველი სართულის იატაკი წითელი ქვიშაქვის უნდა ყოფილიყო, ხოლო ოთხი ზედა სართულის იატაკი — მონაცრისფრო-მომწვანო.

ტელეფონთან მიმიხმეს.

ტელეფონი ფანჯარასთან იდგა, საიდანაც სამშენებლო მოედანი ჩანდა. მუშებს უკვე პირველი სართულის რაღაც ნაწილი აეშენებინათ.

ყურმილი ავიღე და ჩემი კომპანიონის აღელვებული ხმა გავიგონე. მან მითხრა, პოლიციაში ვიყავი და სტამბულში რაღაც წარმოუდგენელი რამ ხდებოდა. კარგად ვერ გავუხე მას და ვთხოვე გაემეორებინა.

მან მაცნობა, რომ ფირმის აქციების კონფისკაცია მოახდინესო. თვალეზი ამიჭრელდა.

— ეს შენ გადაუხადე ისმაილ კაარალის ინგლისური ბანკნოტებით?

— რასაკვირველია. მაგრამ მე არ მესმის...

— ბანკნოტები ყალბია.

ხაზის მეორე ბოლოს ხმა მიწყდა, ვერ შევძელი გამერჩია, თუ რას ამბობდა იგი და ყურმილი დავდე.

როდესაც ერთი საათის შემდეგ აიკა ჩემთან მოვიდა, დივანზე ვიწექი. არქიტექტორებმა უთხრეს, გულის შეტევა აქვსო. მათ არ იცოდნენ, რა მოხდა. მე ნახევრად გულწასული ვიყავი.

აიკა აულეღვებელი და ცივი ხმით მაძლევდა შეკითხვებს. მე ვპასუხობდი, მაგრამ არ მახსოვს, რას.

როდესაც ძალა დამიბრუნდა, სავსებით დავმშვიდდი. აიკა ჩემზე უკეთესად მიხვდა ტელეფონის ზარის მნიშვნელობას. მან იმავე საღამოსვე დამტოვა.

ბედმა არ გაუღიმა არც ერთ მათგანს, ვინც კი „ციცერონ-

ში“ იყო ჩაბმული. თურქეთთან დიპლომატიური კავშირის გაწყვეტის შემდეგ გერმანიის საელჩოს თანამშრომლები, თუ შეიძლება ასე ვთქვათ, საპატიოდ იქნენ ინტერნირებული. ბოლოს და ბოლოს, ისინი შვეციის გემ „დროტინგჰოლმზე“ მოათავსეს. ომი მთავრდებოდა, როდესაც ისინი ჯერ კიდევ ხმელთაშუა ზღვაში იყვნენ. „დროტინგჰოლმი“ ლივერპულში შევიდა. ინგლისელებმა დააპატიმრეს ის მგზავრები, რომლებიც, მათი თვალსაზრისით, საშიშროებას წარმოადგენდნენ. მათ შორის იყო მოიზიშიც.

იგი მოათავსეს „მტრის სპეციალისტთა“ ბანაკში და დღისითა და ღამით ჩვენებას ართმევდნენ.

— ვინ არის ციციერონი?

— მართალია, რომ იგი ინგლისის ელჩის კამერდინერი იყო?

— იცით თქვენ მისი ნამდვილი სახელი?

— თქვენ მას ყალბი ბანკნოტებით უხდიდით?

— არ შეიძლება თქვენ არ გცოდნოდეთ, რომ ფული ყალბი იყო. სიმართლე თქვით. რა რაოდენობის ფული მიიღო თქვენგან?

— როგორ გამოიყურება იგი? ჩვენ არ გვჯერა, რომ არ იცოდეთ მისი ნამდვილი სახელი. რა ჰქვია მას, თქვით მისი გვარი, გვარი, გვარი...

— მოიზიშს არ შეეძლო იმის თქმა, რაც თვითონ არ იცოდა. რამდენიმე თვის შემდეგ იგი გაათავისუფლეს.

მორალურად დაცემული და გატანჯული იგი შინ დაბრუნდა, აესტრიაში. ამ ამბების შემდეგ ჩვილმეტი წელი გავიდა. მას შემთხვევით შევხვდი ინსბრუკში. ჩვენ ცივად გავიღიმეთ და ცნობისმოყვარეობით შევხედეთ ერთმანეთს, რომ გვენახა, რა დამართა მას ცხოვრებამ. განსაკუთრებულ სიმპათიას ერთმანეთისადმი ჩვენ არ ვგრძნობდით. ესოდენ დიდი შრომისათვის არც ერთი ჩვენთაგანი არ ყოფილა დაჯილდოებული.

დანარჩენები? 1949 წელს გაზეთ „ფილადელფია ინკულარერში“ წავიკითხე ინტერვიუ, ჯორჯ ერლთან, და გავიხსენე, რომ ოდესღაც ზოგი რამ მსმენოდა მის შესახებ. მისტერ ჯორჯ ერლი პრეზიდენტ რუზველტის მეგობარი გახდა.

წარსულში იგი იყო პენსილვანიის შტატის გუბერნატორი და ამერიკის ელჩი ჯერ ვენაში, შემდეგ — სოფიაში. ომის დროს ამერიკის ექსპერტად გახლდათ ბალკანეთში. ოფიციალურად კი ამერიკის სამხედრო-საზღვაო ატაშედ ითვლებოდა თურქეთში, მაგრამ, სინამდვილეში, საიდუმლო სამსახურის სპეციალური წარმომადგენელი იყო. იგი იყო სცენის უკან მდგარი ადამიანი, რომლის ხელში ყველა ძაფი იყრიდა თავს. ეს მან გაგზავნა კორნელია კაპი ამერიკიდან ანკარაში ამერიკის საიდუმლო სამსახურის ინტერესებისათვის.

თავნება, თავდაჯერებულმა ერლმა ფარული კონტაქტი დაამყარა ფონ პაპენტან. იგი მოკავშირეთა პოლიტიკის წინააღმდეგი იყო, რომლებიც გერმანიის უსიტყვო კაპიტულაციას მოითხოვდნენ და ფიქრობდა, რომ სავსებით საკმარისი იქნებოდა, გერმანელებს თავიდან მოეშორებინათ ჰიტლერი და შეეწყვიტათ ომი. მას აზინებდა რუსების მოქმედება მომავალში, იმ შემთხვევაში, თუ ისინი ძლიერ შორს წაიწვედნენ წინ ცენტრალურ ევროპაში.

რუზველტი სხვაგვარი აზრისა იყო. ერლი იმუქრობდა ემხილებინა პრეზიდენტის პოლიტიკა, როგორც მცდარი და დამლუპველი. მალე პრეზიდენტმა თანამდებობიდან გადააყენა იგი.

„ფილადელფია ინკუაირერში“ წავიკითხე ერლის სტატია, რომელიც თავის დროზე კორნელიას მიერ შეგროვებული ყველა ინფორმაციის ილუსტრირებას წარმოადგენდა. ერლიმ განაცხადა, რომ პრეზიდენტმა აუკრძალა მას გამოექვეყნებინა რაიმე ცნობები, რომლებიც ეხებოდა მის მიერ მიღებულ ინფორმაციებს, მისი აშშ სამხედრო-საზღვაო ძალებში სამსახურის დროს. პრეზიდენტმა ასევე უბრძანა მას გადამდგარიყო თურქეთში სამხედრო-საჰაერო ატაშეს თანამდებობიდან და გადასცა იგი სამხედრო-საზღვაო ფლოტის სამინისტროს განკარგულებაში, რომელმაც გაგზავნა სამოას კუნძულებზე ტერიტორიის მმართველის მოადგილის თანამდებობაზე. ეს კუნძული დასახლებული იყო თექვსმეტი ათასი ადგილობრივი მკვიდრით.

როდესაც ყოველივე ამას ვკითხულობდი, უფრო გაძლი-

ერდა ჩემი სიძულვილი იმ ადამიანისადმი, რომელმაც მთელი კამპანია ჩაატარა „ციცერონის“ ოპერაციის წინააღმდეგ.

კორნელია კაპს ასევე არაფერი კარგის თქმა არ შეეძლო მის შესახებ.

„მე არასდროს მინახავს თურქეთში. გავიგე, მას რომ სპა უყვარდა და ვაშინგტონში უღირსი ყოფაქცევისათვის გამოიძახეს, — განაცხადა კორნელია კაპმა. — ანკარიდან კვიპროსისა და ინგლისის გავლით ჩამიყვანეს ვაშინგტონში. ბანაკში მომათავსეს. მეგონა, არაფერი იყო ცნობილი ამერიკელებთან ჩემი მუშაობის შესახებ. ძლიერ ბევრი განვიცადე. გამუდმებით თვალყურს ზადევნებდნენ. მეპყრობოდნენ როგორც დამნაშავეს. უფლება არ მქონდა მარტო წავსულიყავი საპირფარეოში. შემდეგ მე ვაშინგტონში ჩვეულებრივ ციხეში მომათავსეს ქუჩის ქალებთან ერთად. და ეს ყველაფერი მას შემდეგ, რაც მე ამერიკისათვის გავაკეთე“. — ყვებოდა იგი მოგვიანებით.

შემდეგ წავიკითხე განცხადება ჩიკაგოს რესტორანის ოფიციანტის ვიოლეტ მაილისა, რომელიც პინკის მეტსახელითაა ცნობილი.

„კორნელია ჩვენთან მოვიდა ჩრდილოეთ დაკოტის შტატის ბისმარკის ბანაკიდან, — წერდა იგი. — ოფიციალტად მუშაობდა, დავმეგობრდით. რესტორანში მებუფეტედ იყო გერმანელი, სახელად ვოლფანგი, გვარი დამავიწყდა, ისიც ბანაკში იყო ნამყოფი. ვოლფანგს ძლიერ უყვარდა კორნელია. მან მისცა მისტერ კუტანდინის მისამართი, რომელიც წარმოშობით გერმანელი იყო. კორნელიამ ცოლ-ქმარ კუტანდინებთან დაიწყო ცხოვრება. მერე ვოლფანგი გერმანიაში გაგზავნეს. იქიდან წერდა კორნელიას, მაგრამ კორნელია არ პასუხობდა. კორნელია ყოველთვის გამოძიების ფედერალური ბიუროს აგენტების მეთვალყურეობის ქვეშ იყო. რესტორანში ხშირად ჰქონდა გულის შეტევები. ამბობდა, ეს ჩემდამი ცუდად მოპყრობის შედეგიაო. კორნელია დღეში ოც ჰიქა ყავას სვამდა და მთლიანად ნერვებად იყო ქცეული. იგი ხშირად ამბობდა, ყველაზე უფრო მამა მიყვარდაო, მამა ძლიერ ანებივრებდა თურმე მას და ამით გააფუჭა. როდესაც ბავშვი იყო, მას ყველაფერი ნებადართული ჰქონდა. არასოდეს არ

ჰქონია ბევრი ფული, მაგრამ ნივთებს ყველაზე ძვირფას მა-  
ლაზიებში ყიდულობდა“.

ამრიგად, რამდენიმე ხანს კორნელია ჩიკაგოში ცოლ-ქმარ  
კუტანდინებთან ცხოვრობდა.

ცოლ-ქმარ კუტანდინების ნაამბობიც წაეკითხე.

„კორნელია ბევრს გვიამბობდა ანკარის შესახებ. მან ამე-  
რიკელებს საიდუმლო შიფრი მისცა და სისტემატურად გა-  
დასცემდა. საიდუმლო ინფორმაციას. ანკარიდან უნდა გამგ-  
ზავრებულიყო 1944 წლის აპრილში. თავისი ჩემოდანი პირ-  
თამდე შოკოლადით გაავსო, რადგან მუდამ ეშინოდა, მშიერ  
არ დავრჩეო. ცოტა ხნის შემდეგ ამ შოკოლადის ნახევარს თა-  
გვებმა მოუღეს ბოლო. კორნელია მუდამ ლაპარაკობდა რო-  
მელილაც ყმაწვილზე, რომელსაც ანკარაში შეხვდა. აკეთებდა  
ყველაფერს, რომ ეპოვა იგი-ამერიკაში. ერთხელ გაიგო, იგი  
მოკვდაო. მალე კორნელია გაეცნო ბილი ჰორმანს (იგი ჩვენს  
სახლში ცხოვრობდა) და ისინი დაქორწინდნენ. 1947 წელს,  
როდესაც მამის სიკვდილის ამბავი მოვიდა, იგი სამზარეუ-  
ლოში შევიდა და გაზის ყველა ქურა გააღო, თავის მოკვლას  
ცდილობდა, როდესაც სამზარეულოდან გამოვიტანეთ, უგრძ-  
ნობლად იყო. შემდეგ გონს მოვიდა, აქვითინდა და ყვირილი  
მორთო: „ჩემი ბრალია! ეს ჩემ გამოა!“ ფიქრობდა, მამაჩემი  
დარდით მოკვდაო. გამოძიების ფედერალური ბიუროს აგენ-  
ტები კვირაში ერთხელ ნახულობდნენ“.

იყო თუ არა ოპერაცია „ციცერონი“ ავადმყოფობა, რო-  
მელმაც უბედურებით დაასნებოვნა ყველა; ვინც კი მას ახ-  
ლოს გაეკარა?



ამრიგად, ბედი არა მარტო მე მომეპყრო მკაცრად. ეს რამდენადმე მამშვიდებდა. ხარბად ვეწაფებოდი ყოველგვარი სახის ინფორმაციას, რომელიც „ციცერონის“ სხვა მონაწილეებს ეხებოდა.

რუთ კუტანდინმა, ცოლ-ქმარ კუტანდინების ქალიშვილმა, რომლებთანაც კორნელია კაპი ცხოვრობდა, კორნელია კალიფორნიაში ნახა. მისმა ქმარმა ბილმა სამუშაო ლოს-ანჯელესში მიიღო. რუთ კუტანდინი წერდა: „ისინი ბიჩვულ დრაივის ქუჩაზე ცხოვრობდნენ. კორნელია ცუდად არ გამოიყურებოდა. მართალია, ზოგჯერ ძლიერ სევდიანი იყო. იგი ორი ბავშვის დედა გახდა, მაგრამ სიმშვიდე ვერ პოვა. მითხრეს, ერთხელ, საღამოს, მან მთელი ბოთლი ლიქიორი დალიაო, როგორც ჩანს, ღვინოში დარდის ჩახშობას ცდილობდა. „ა. ა.“-ს ორგანიზაციამ (შემოკლებით ანონიმური ალკოპოლიკები“) განკურნა კორნელია ჰიპნოზით“.

მე მგონია, იგი ძლიერ მორწმუნე გახდა.

აი, ასეა აღწერილი სახლი, რომელშიც იგი ცხოვრობს.

„პატარა სახლი სან-დიეგოს სამხედრო-საზღვაო ბაზის პარტის რაიონში. ეს წყნარი ოკეანის სანაპიროს მახლობლადაა, კორნელიას ბავშვები ყოველთვის სუფთად და ხალისიანად გამოიყურებიან. იგი გარეგნულად საკმაოდ მშვიდი ქალია, მაგრამ ზოგჯერ განსაკუთრებით ჭიუტია. ამბობენ, რეგულარულად დადის გადამრჩენი არმიის ალკოპოლისტა კრებებზეო“.

მე კი სტამბულში ცენტრის ახლოს ვცხოვრობ. ყოველცისმარე დილითა და საღამოს შვეული ქვის კიბით მეორე სართულზე ავდივარ.

კიბეზე ყოველთვის ბნელა. თითქმის ორმოცდაათი წლისა ვარ, დიდი ოჯახის უფროსი გახლავართ. ძლიერ მიყვარს ტკბილი ყავა. ზოგჯერ ვიყურები სარკეში და ვცდილობ დავინახო სასტიკი ავანტიურისტი და ჯაშუში ბრწყინვალე ოცნებებით. მაგრამ ვხედავ მხოლოდ მელოტ შეფერთხილ ადამიანს — ოჯახის მამას, რომელიც ცხოვრობს თავის მეორე ცოლთან, რომელიც ოცი წლით უფრო ახალგაზრდაა მასზე. ბავშვები პირველი ქორწინებიდან იშვიათად მოდიან ჩემთან.

რვაბავშვიანი ავანტიურისტი? ადამიანი, რომელსაც ყველაზე სახიფათო ჯაშუშად თვლიდნენ მეორე მსოფლიო ომის დროს. ახლა უკვე სიამოვნებას აღარ მგერის სარკეში ჩემი თავის ყურება.

მყუდრო ბინა — აი. ყველაფერი, რაც მოვიპოვე. ოდესღაც აიკა მყავდა, მოლიმარი, მშვიდი და ანგარიშიანი, მაგრამ ჭანმა მიმტყუნა.

— თქვენ გაავრცელეთ ყალბი ბანკნოტები?

— არ ვიცოდი, რომ ისინი ყალბი იყო.

— თქვენ ცდილობდით ხალხის მოტყუებას?

— მოგატყუეს გერმანელებმა და არა მე.

— როგორ შეგიძლიათ ამის დამტკიცება?

წლები გავიდა, მაგრამ ოფიციალური ორგანოების ექვიკვლავინდებურად თავზე მაწევს.

მე შევხვდი დურიეტს და იგი ჩემი ცოლი გახდა. მან იცოდა, რომ ღარიბი ვიყავი, მაგრამ ამან არ შეაშინა.

დაბოლოს, დადგა დრო, როდესაც მოსაშართლენი დამნაშავედ აღარ მთვლიდნენ. მაგრამ დაყინებით მოითხოვდნენ გადაემხადა ვალები, რომლებიც იმის გამო აღმომაჩნდა, რომ უცოდნელად ანგარიშებს ყალბი ფულებით ვანაზლაურებდი.

სიმღერის გაკვეთილებს ვაძლევდი. ხმა — ეს იყო ყველაფერი, რაც დამრჩა. ის ცოტაოდენი ფული, რომელსაც ვშოულობდი, ჩემს მევალებთან მიდიოდა. ნახმარი მანქანებით ვვაჭრობდი, და ჩემი მევალებები მოგებიდან ნაწილს იღებდნენ. როდესაც ჩიხში აღმოვჩნდი, ქირით გამოვიტანე საღამური კოსტიუმი, დავიჭირავე კინოთეატრი ისტიკლიაი კადესის რაიონში. ქალაქში, ჩემი კონცერტის შესახებ, განცხადებები გავაკარი.

დილით, კონცერტის შემდეგ, გაზეთში შემდეგი რამ წავიკითხე:

„ქუჩაში გაკრულმა აფიშებმა, რამდენიმე დღის წინ გვამცნო, რომ ელიას ბაზნა აპირებს კონცერტის გამართვას. ბაზნამ (ბარიტონი) იმღერა ჰენდელის, ჯორდანის, ვერდის, მასკანის, გრიგისა და ჰიზეს ოპერებიდან. თავის კონცერტი მან „O sole mio-თი“ დაამთავრა.

ყოველი ნომრის შემდეგ ტაში გრიალებდა. თუმცა დარბაზში მხოლოდ რამდენიმე ასეული ადამიანი იჯდა. საღამო ტრაგიკომიკურად დამთავრდა. მაყურებელთა შორის იმყოფებოდა სტამბულელი ვაჭარი, რომელიც მომღერალის მევალე იყო. მასთან ერთად გახლდათ სასამართლოს ბოქაული. უკანასკნელმა კონფისკაცია უყო კონცერტის მთელ შემოსავალს ჯერ კიდევ მის დამთავრებამდე“.

კინოთეატრიდან უკანა კარით გამოვედი და შინ წავჩაჩაღლდი.

ახლა მხოლოდ ერთი რამ დამრჩენოდა — მოწყალების თხოვნა.

წავედი გერმანიის გენერალურ კონსულთან, რომელიც ახლა ცნობილია როგორც გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის გენერალური კონსული.

— გენერალურ კონსულთან მინდოდა ლაპარაკი, — მივმართე მორიგეს.

— რა საქმეზე?

— ფინანსურზე...

გაოცებით შემომხედა. ჩემი გარეგნობა აშკარად ნდობას არ იწვევდა: ძველი, გაქუცული კოსტიუმი მეცვა.

ჩემთან მოვიდა უმცროსი მოხელე, რომელსაც ვუამბე ჩემი თავგადასავალი.

— ამ საქმისა არაფერი ვიცი, — მითხრა მან. — ოფიციალურად ჩვენთვის არაფერია ცნობილი ოპერაცია „ციცერონის“ შესახებ.

მე არ გამაჩნდა არავითარი დოკუმენტი, ხოლო საკონსულოს თანამშრომლები მხოლოდ მას უწევენ ანგარიშს.

— მე საშინლად მომატყუა გერმანიის რაიხმა. ფედერა-

ციული რესპუბლიკა რაიხის იურიდიული მემკვიდრეა და ამიტომ მინდა სარჩელი წარვუდგინო თქვენს მთავრობას.

ჩემად ვლაპარაკობდი. ჩემს ხმაში არ იყო დამაჯერებლობა და თავს შერცხვენილად ვგრძნობდი, რადგან აღამიანი, რომელთანაც ვლაპარაკობდი, ისე მიყურებდა, როგორც აბეზარ მათხოვარს.

— ვშიშობ, რომ ვერაფრით დაგეხმარებით. ძლიერ ვწუხვარ...

მას, როგორც ჩანს, ნამდვილად ვეცოდებოდი. აუჩქარებლად დაიწყო დოკუმენტების გადასინჯვა, ცდილობდა ეჩვენებინა, რომ საკმაოდ მოვაბეზრე თავი.

ერთ მშვენიერ დღეს ბატონ ენკესთან წასვლა გადავწყვიტე. მას, ისევე როგორც გერმანიის საელჩოს სხვა თანამშრომლებს, თურქეთი უნდა დაეტოვებინა. რამდენიმე ხანს იგი ბადენ-ბადენში იმყოფებოდა, შემდეგ კი თურქეთში დაბრუნდა (1949 წლის ბოლოს ანდა 1950 წლის დამდეგს) და ისევ, როგორც ოდესღაც, მოიჯარადრე გახდა.

ვფიქრობდი, რომ მას შეეძლო დამხმარებოდა. დიდხანს ვიდექი ქუჩაში, ვფიქრობდი იმაზე, რით დამეწყო. მან იცოდა, რომ მე გერმანელებთან ვმუშაობდი და რომ მათ მომატყუეს. უკიდურეს შემთხვევაში, მას შეეძლო სესხად ცოტაოდენი ფულის მოცემა.

ზარი დავრეკე და ჩემი გვარი დავასახელე. მითხრეს, დაიცადეო. დიდი ხნის ლოდინი დამჭირდა.

შემდეგ მოსამსახურე ქალი გამოვიდა და მითხრა, ბატონ ენკეს არ შეუძლია თქვენი მიღებაო.

ორი დღის შემდეგ იგი გარდაიცვალა.

ენკე მეგობრებთან ერთად მარმარილოს ზღვაში ნავიი სეირნობდა. ნავი გადაბრუნდა. ყველა გადაარჩინეს, მაგრამ, როდესაც ენკე წყლიდან ამოიყვანეს, იგი უგონოდ იყო.

გაზეთები წერდნენ „იღუმალ სიკვდილზე“, მაგრამ ნეკროლოგში ნათქვამი იყო, გულის დამბლით მოკვდაო.

ერთხელ, სალამოს, როდესაც მძიმე მდგომარეობაში ვიმყოფებოდი, მაგიდას მიუუჯექი და წერილი მივწერე მის აღმატებულებას, დოქტორ კონრად აღენაუერს, ფედერალურ კანცლერს.

ჯერ შავად დავწერე, შემდეგ კი გადავათეთრე.

„თქვენო აღმატებულებავ, — ვწერდი მე, — ქვემოთ ნელსიმომწერი ელიას ბაზნა ვებდავ წარმოუდგინო თქვენს აღმატებულებას ფაქტები, რომელიც ჩემ მიერ ქვევით არის მოყვანილი, იმ იმედით, რომ თქვენი აღმატებულება ჩასწვდება საქმის არსს და, თუნდაც ნაწილობრივ, გამოასწორებს იმ ბოროტებას, რომელიც მე მომაყენეს. მე ანკარაში გერმანიის საელჩოში ვმსახურობდი. ომის დროს სამუშაოდ გადავდი ანკარის ინგლისის საელჩოში, სულ სიმპათიით ვიყავი განწყობილი გერმანიის რაიხისადმი და მინდოდა შესაძლებლობა მქონოდა მისთვის სამსახური გამეწია, საფრთხეში ვავდებდი სიცოცხლეს, თავისუფლებას, რეპუტაციას. ჩემი ერთგულების სანაცვლოდ მე ყალბი ინგლისური ბანკნოტებით დამაჭილდოეს...“

ეს იყო გრძელი მაამებლური მონური წერილი, ნაკარნაზევი უკიდურესი გაჭირებით:

მთავრდებოდა ასე:

„ამის გამო ვებდავ სწრაფი და კარგი პასუხის იმედი მქონდეს. დასასრულს, მსურს, გამოვუცხადო თქვენს აღმატებულებას გულწრფელი მადლობა და ვთხოვო თქვენს აღმატებულებას დარწმუნებული ბრძანდებოდეთ თქვენდამი განსაკუთრებულ პატივისცემაში“.

რამდენიმე თვის შემდეგ გფრ საგარეო საქმეთა სამინისტროდან მივიღე წერილი. შიგ ნათქვამი იყო:

„გენერალური კანცლერის სახელზე 1954 წლის 16 აპრილს თქვენს მიერ გამოგზავნილი წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ საგარეო საქმეთა სამინისტრო გამოიძიებს თქვენს საქმეს. საგარეო საქმეთა სამინისტრო აუცილებლად დაგიკავშირდებათ მოგვიანებით“.

წერილზე იყო გაურკვეველი ხელმოწერა.

ხოლო რამდენიმე თვის შემდეგ ბონიდან ძალზე მოკლე წერილი მივიღე:

„გერმანიის რაიხისადმი თქვენი უფლებების განცხადების თაობაზე საგარეო საქმეთა სამინისტრო წუხს, მაგრამ ჩვენ აღნიშნული საქმის მოგვარებისათვის არაფრის გაკეთება არ შეგვიძლია“.

მე ჯერ ისევ ცოცხალი ვარ!

ვყიდი და ვყიდულობ.“ მე ლევანტიელი<sup>1</sup> ვარ, ეს კი რაღაცას ნიშნავს. ლევანტიელები თუ ეცემიან, სულ ერთია, მაინც ფეხზე დგებიან.

შარშან ზაფხულში მე და ჩემი ცოლი ბურსაში გავემგზავრეთ. მას ვუჩვენე ატმის ბაღები, ულუდაღის მთა და ცხელი წყაროები. ვიყავით სასტუმრო „გელიკ პალასში“. დიდებული სასტუმროა. მტრედისფერ ფორმის ტანსაცმელში გამოწყობილი ორი ბიჭი კარებთან იდგა და გულმოდგინედ უღებდნენ მას შემსვლელებს.

უზარმაზარ დაბალჭერიან პოლში ჩვენ ღრმა რბილ. სავარძლებში ჩავსხედით და დიდ კასრებში გაზრდილ პალმებს ვუყურებდით.

ღურიეტს სასტუმროს პროსპექტი წაუყუთხე:

„გაზაფხულში ჩვენი სტუმრები ტკბებიან ბურსას დიდებული გარეუბნებით, ცხელი წყაროებითა და ტყეებით. ზამთარში დიდებული მთის უღუღალღის კალთები სამოთხეა მოთხილამურეებისათვის. აქაური ჰავა და ლანდშაფტი შეიძლება შეედაროს მხოლოდ შვეიცარიის ალპების ჰავასა და ლანდშაფტს. სასტუმრო „გელიკ პალასის“ ყოველ ნომერში თავისა აბაზანა, ცივი და ცხელი წყალი, ტელეფონი და ცენტრალურა კათობაა. დიდი პოპულარობით სარგებლობს საცურაო აუზი. ჩვენი კაბარე აკმაყოფილებს ყველაზე ნატიფ გემოვნებას. სადილისა და ვახშმობის დროს უკრავს ორკესტრი. სასტუმრო „გელიკ პალასი“ ყველაზე დიდი სასტუმროა მინერალური წყლებით ბალკანეთსა და ახლო აღმოსავლეთში“.

ღურიეტი ჩუმად მისმენდა. მეორე სართულიდან მუსიკის ხმა ისმოდა. ორკესტრი ვენის ვალსებს უკრავდა.

— მათ რომ ჩემი გეგმით აეშენებინათ, — შევნიშნე მე, — მაშინ რესტორანი უნდა მოეპირკეთებინათ ღია მწვანე ქვიით და უნდა ჰქონოდა თერთმეტი სვეტი.

სასტუმროში ერთ საათზე მეტი დავყავით. არ შევსულვართ რესტორანში, არ დაგვიჩირავებია ნომერი. ეს ძლიერ მდიდრული სასტუმროა. მისი ფასები ჩვენთვის ხელმიუწვდომელი იყო.


<sup>1</sup> ლ ე ვ ა ნ ტ ი — ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროს ქვეყნები.

## შ ი ნ ა ა რ ს ი



- |                                       |     |
|---------------------------------------|-----|
| მ. მ ლ ი ზ ი ზ ი. ოპერაცია „ცოცხლონი“ | 3   |
| ნ. ბ ა ზ ნ ა. მთ ვიყავი ცოცხლონი      | 169 |

Л. Мойзиси. Операция «Цицероп»  
Ә. Базна. Я был Цицероном

 (На грузинском языке)

Издательство «Сабчота Сакартвелო»  
Тбилиси, Марджанишвили, 5.  
1975

რედაქტორი ნ. აგიაშვილი

გამომცემლობის რედაქტორი ო. ცინცაძე  
მხატვრული რედაქტორი ნ. ოქრუაშვილი  
ტექნიკური რედაქტორი ნ. აფხაზავა  
კორექტორი ე. ქვანია  
გამომშვები გ. ბენიძე

გადაეცა წარმოებას 20/VI-72 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 28/III-75 წ.  
ქალაქის ზომა 84×108<sup>1</sup>/<sub>32</sub>, პირობითი ნაბეჭდი თაბახი 18,06  
სააღრ.-საგამომცემლო თაბახი 15,35  
ტირაჟი 10.000 შუკვ. № 5759  
ფანი 92 კაპ.

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“  
თბილისი, მარჯანიშვილის 5

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა  
და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის სტამბა № 5,  
ქ. ქუთაისი, ი. ჭავჭავაძის პროსპექტი, № 11.

Типография № 5 Государственного комитета

Совета Министров Грузинской ССР по делам издательств,  
полиграфии и книжной торговли.  
г. Кутаиси, пр. И. Чавчавадзе, 11.